აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტური პარტიების
ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები

წაწილი მეორე

1921—1937

●

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
19 თბილისი 72

ЗКП1 (С4)
З33 1 (47.92)
ა581

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

ნ. კ. ვეზიროვი,
ვ. ნ. მერკვილაძე,
გ. ბ. ღარიბეზანიანი,
შ. ი. ჩიკვაძე.

წინასიტყვაობა

„ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორიის ნარკვევების“ მეორე ნაწილი მოამზადეს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტებმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალებმა. იგი 1967 წელს გამოქვეყნებული „ნარკვევების“ პირველი ნაწილის გაგრძელებაა.

სკკპ სახელოვანი მებრძოლი რაზმების — ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორია წიგნში მოცემულია როგორც მთელი ჩვენი პარტიის ისტორიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

„ნარკვევების“ მეორე ნაწილში გაშუქებულია ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ამ მხარეში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ამ წიგნში მოკლედ მოცემულია ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა მრავალმხრივი საქმიანობა ამ მხარის მშრომელთა დარაზმვისათვის სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად.

ამიერკავკასიის ხალხთა ძმური ერთიანობის იდეის კონკრეტული განსახიერება გახდა ამიერკავკასიის სფსრ, რომელიც თავისი არსებობის თითქმის 14 წლის მანძილზე ემსახუ-

რებოდა ამიერკავკასიის მშრომელთა მეგობრობის განმტკიცების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ლენინური დროშით მათი გაერთიანების საქმეს. კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. „ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობაზე, — სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს"[1].

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის სოციალისტური პროგრესი, მათი ძმური ერთიანობა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, რასაც ეს წიგნი ასახავს, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ბრძნულია ლენინის მოძღვრება და პარტიის პოლიტიკა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში, რომ ნამდვილად გაიმარჯვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა.

აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულია ექსპლოატატორული კლასებისა და მათი პარტიების ნაშთების, „მემარცხენე" და მემარჯვენე ოპორტუნისტების, ნაციონალ-უკლონისტების, ყველა იმათ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში, ვინც ხელს უშლიდა ჩვენი საზოგადოების წარმატებითს წინსვლას.

აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომპარტიები თავიანთი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ყველა ეტაპზე ლენინის დიადი პარტიის ერთგული მებრძოლი რაზმები იყვნენ, თავდადებით იბრძოდნენ მისი რიგების ერთიანობისათვის. სოციალიზმის მშენებლობის აქტიური ორგანიზატორები და ხელმძღვანელები, ისინი დაუცხრომლად ზრდიდნენ ამიერკავკასიის მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას მარქსიზმ-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. თბილისი, 1971, გვ. 104.

ლენინიზმის, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

წიგნის დასასრულს გაშუქებულია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციასა და სსრ კავშირში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უშუალოდ შესვლასთან, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გაუქმებასა და პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა უშუალოდ დაქვემდებარებასთან.

კომუნისტურ მშენებლობას, რომელიც ეროვნული ურთიერთობის ახალი ეტაპია, ახასიათებს სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთიანობის მიღწევა. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ერთობლივი ბრძოლის პროცესში ძლიერდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიური და კულტურული ერთიანობა.

50 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და კომპარტიები შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა ძმურ თანამეგობრობაში აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარეებიდან ისეთ სოციალისტურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ, რომლებსაც აქვთ დიდად განვითარებული მრეწველობა, მოწინავე კოლექტიური სოფლის მეურნეობა. არნახულად აყვავდა აქ მეცნიერება, განათლება და სოციალისტური კულტურა.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ამიერკავკასიის ხალხები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით თავგამოდებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

* * *

„ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები" (ნაწილი მეორე) ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების 1921-1937 წლების ისტორიის სისტემატური გადმოცემის პირველი ცდაა. ამ წიგნს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ სრულად და ამომწურავად გადმოსცა ამ თემის ყველა საკითხი.

წიგნის წერის დროს ავტორთა კოლექტივი ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებით, პარტიული ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებით, გადაწყვეტილებებითა და მასალებით, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობების, აგრეთვე რკპ (ბ) ცენ-

ტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა დადგენილებებით. ავტორებმა გამოიკვლიეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების ნაშრომები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივსა და მისი ფილიალების არქივებში, ცენტრალურ და რესპუბლიკურ სახელმწიფო ისტორიულ არქივებში დაცული დოკუმენტები, პერიოდული პრესა, საბჭოთა ისტორიკოსების განმაზოგადებელი და მონოგრაფიული ნაშრომები. ტექსტში ასახულია ის დებულებები და ცნობები, რომლებსაც შეიცავს წიგნი „სკკპ ისტორია", აგრეთვე აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ისტორიების ნარკვევები.

„ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევების" ავტორები არიან: მ. მ. ბაგიროვი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. მ. ბაგმანიანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯ. ბ. გულიევი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხ. ჰ. ვეზიროვი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფ. ნ. ლომაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ნ. ბ. მამედზადე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ე. ნ. მერკვილაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ი. ი. მირცხულავა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვ. ნ. ნერკარარიანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. კ. ჟვანია — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. რ. სიმონიანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ს. ვ. ხარმანდარიანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შ. ი. ჩივაძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. ა. პუსეინოვი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციას ეწეოდა ჯ. ბ. გულიევი (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალი).

წიგნის რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ბ. სტრიგუნოვმა.

დამხმარე-სამეცნიერო და საგამომცემლო მუშაობა გაწია აზერბაიჯანის კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის კოლექტივმა.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების პარტიის ისტორიის ინსტიტუტები დიდ მადლობას უძღვნიან იმ სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლების სკკპ ისტორიის კათედრებს, ამხანაგებს, რომლებმაც თავიანთი სასარგებლო რჩევა-დარიგებებით და შენიშვნებით დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ წიგნის მომზადებაში.

თავი მეათე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის გრძოლაში

ამიერკავკასიის სფსრ შექმნა და შესვლა სსრ კავშირში

(1921—1925 წლები)

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტთა მთავარი ამოცანების შესახებ

რთულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში დაიწყეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა სოციალისტური მშენებლობა.

იმპერიალისტები, რომლებიც ახორციელებდნენ აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ისწრაფვოდნენ ამიერკავკასიაშიც ჩაეხრჩოთ საბჭოთა ხელისუფლება. ექსპლოატატორული კლასები, რომლებიც უკვე დაამხეს, მაგრამ ჯერ საბოლოოდ ვერ მოსპეს, მუსავატელების, დაშნაკების, ქართველი მენშევიკებისა და სხვა განადგურებული კონტრრევოლუციური პარტიების ნაშთები იმპერიალისტებთან შეთანხმებით განაგრძობდნენ ანტისაბჭოურ საქმიანობას ამიერკავკასიაში, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს სახალხო მეურნეობის აღდგენას, ცეცხლს უკიდებდნენ ნავთობის სარეწებს, ფაბრიკა-ქარხნებს. ზოგიერთ მაზრაში ჯერ კიდევ თარეშობდნენ კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებული ბანდები.

კომუნისტურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის მშრომელები შეუპოვრად ახშობდნენ კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგობას. მათ გამოამეღავნეს და გაანადგურეს ბურ-

ჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების არალეგალური ორგანიზაციები, მოსპეს ანტისაბჭოური ბანდები.

1921 წლის გაზაფხულისათვის გაუმჯობესდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეოპოლიტიკური მდგომარეობაც. „ახლა აღარ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ, დაღესტნელ და მთიელ თეთრგვარდიელებს"[1], — აღნიშნავდა მაშინ ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში წარსულისაგან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. უცხოელ ინტერვენტთა და კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა ბატონობამ სულ გააჩანაგა ამიერკავკასიის ისედაც უაღრესად ჩამორჩენილი ეკონომიკა. ამ მხარის სახალხო მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1921 წლისათვის 1913 წელთან შედარებით ერთიანად შემცირდა. კატასტროფულ მდგომარეობაში იყო ნავთობის მრეწველობა, შახტები და მაღაროები, ფაბრიკა-ქარხნები. ნავთობის მოპოვება ბაქოში, რომელიც 1913 წელს 7.358 ათას ტონას შეადგენდა, 1920/21 წელს 2.457 ათას ტონამდე შემცირდა[2]. მარგანეცის მადნის მოპოვება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის მთლიანად შეწყდა.[3] აღარ მუშაობდნენ ამიერკავკასიის სპილენძის მაღაროები. თითქმის მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან ტრანსპორტი. ძალიან შემცირდა მუშათა რაოდენობა.

გაჩანაგდა სოფლის მეურნეობაც. მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო ნათესი ფართობი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის სულადობა. დაინგრა სარწყავი არხები. ამიერკავკასიის მშრომელები სურსათის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

ნახევრად დანგრეული იყო ამიერკავკასიის ბევრი ქალაქი და სოფელი. მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რიცხვი.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისა და მშრომელების წინაშე წამოიჭრა არაერთი გადაუდებელი ამოცანა: უნდა მოეშუშებინათ ჭრილობები, რომლებიც ამიერკავკასიის ეკონომიკას

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

[2] მთავრობის 1925 და 1926 წლების საქმიანობის მიმოხილვა. ანგარიში სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების V ყრილობისადმი, ბაქო, 1927, გვ. 207.

[3] ამიერკავკასია. სტატისტიკურ-ეკონომიური კრებული. თბილისი, 1925, გვ. 364.

მიაყენეს მსოფლიო ომმა, ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის თარეშმა, უნდა აღედგინათ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი, უნდა უზრუნველეყოთ მათი შემდგომი განვითარება.

ამ ამოცანათა გადაწყვეტას ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები უაღრესად რთულ პირობებში შეუდგნენ. წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა, ამ მხარის ცალკეული რაიონების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიური განვითარება, რასაც ერთვოდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, მუშათა კლასის სიმცირე და დაქსაქსულობა დამატებითს სიძნელეებს უქმნიდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებას, მათი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას.

1921 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას უკვე ჰყავდა მნიშვნელოვანი ძალები ამ სიძნელეების დასაძლევად. 1921 წლის 15 მაისისათვის აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიაში იყო დაახლოებით 15 ათასი წევრი, საქართველოს კომპარტიაში 1 სექტემბრისათვის — 14 ათასზე მეტი, სომხეთის კომპარტიაში — 5 ათასზე მეტი წევრი[1], მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში პარტიულ ორგანიზაციათა მდგომარეობას მაშინ ახასიათებდა ზოგიერთი თავისებურება: აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სადაც საბჭოთა ხელისუფლება უფრო ადრე დამყარდა, უკვე ბევრი რამ გააკეთეს პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის, საქართველოს კომუნისტებს კი ის-ის იყო მიეცათ პარტიული მუშაობის გაშლის შესაძლებლობა.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა საქმიანობას თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ხელმძღვანელი როლის ამაღლებისათვის მეთაურობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ გაითვალისწინა ახალი პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც მხარის პარტიული ორგანიზაციების წინაშე წამოიჭრა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის ყველა სფეროში, და 1921 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად რკპ(ბ) ცენტრალური

---

[1] Журн. «Советский Кавказ», 1921, № 1, стр. 52.

კომიტეტის კავკასიის ბიურო გაიყო და შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო და კავკასიის ბიურო. ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ფუნქცია იყო ხელმძღვანელობა გაეწია ამიერკავკასიის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისათვის. კავკასიის ბიუროს წევრებად დაამტკიცეს: ს. მ. კიროვი, ფ. ე. მახარაძე, ა. თ. მიასნიკოვი, ა. მ. ნაზარეტიანი, ნ. ნ. ნარიმანოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. პ. ფიგატნერი, მოგვიანებით კი ა. გ. ყარაევი, შ. ზ. ელიავა და სხვ. კავკასიის ბიუროს პლენუმებს იწვევდნენ თვეში ერთხელ მაინც[1].

კავკასიის ბიუროს აპარატის ჩამოყალიბება დამთავრდა 1921 წლის ივნისისათვის. მასში შედიოდა სამდივნო და ოთხი განყოფილება — საერთო, ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო, გამომცემლობისა და ქალთა განყოფილებანი. გარდა ამისა, შეიქმნა რამდენიმე ქვეგანყოფილება—საალრიცხვო, სტატისტიკური, საინფორმაციო-საფინანსო, სამეურნეო და სატრანსპორტო.

კავკასიის ბიურო იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, რომელიც პასუხს აგებდა მის წინაშე ამ მხარეში პარტიული მუშაობის წარმართვისათვის, იმ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუსახა კავკასიისა და ამიერკავკასიის კომუნისტებს. არ ყოფილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული მშენებლობის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომ იგი კავკასიის ბიუროს არ განეხილოს.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ორგანიზაციული მუშაობა იშლებოდა ორი ძირითადი მიმართულებით: პარტიული მშენებლობისა და პარტიული მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა; პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის, ერთმანეთთან და პროფკავშირებთან მათი ურთიერთობის შეთანხმება და რეგულირება.

მთელ თავის საქმიანობას რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო წარმართავდა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან მჭიდრო კონტაქ-

---

[1] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი (შემდეგში მლიცპა), ფ. 64, აღწ. 2, შესან. ერთ. 1, ფურც. 55.

ტით, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ აფხაზეთის, აჭარის, ყარაბახის, ნახჭევნის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, აგრეთვე საქალაქო და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობას. ისევე როგორც მთელი პარტია, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები აგებული იყო საწარმოო-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები გარდაქმნიდნენ თავიანთ მუშაობას ახალი პირობების შესაბამისად, რაზმავდნენ მშრომელ მასებს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის საბრძოლველად.

მაგრამ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას ართულებდა ოპოზიციონერთა ანტიპარტიული გამოსვლების გაძლიერება. როგორც პარტიულ მშენებლობაში, ისე მასების ხელმძღვანელობის საქმეში ლენინის ხაზის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ტროცკი, „მუშათა ოპოზიცია", „დეცისტები" და სხვა ანტიპარტიული დაჯგუფებები. ოპოზიციონერები თავს ესხმოდნენ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, უარყოფდნენ, რომ საჭიროა პარტიისა და მასების კავშირის განმტკიცება, ყოველნაირად ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიული დისციპლინისათვის, შეერყიათ პარტიული რიგების ერთიანობა. ისინი ინიღბებოდნენ განცხადებებით პარტიის საქმიანობის „გაუმჯობესების" შესახებ, სინამდვილეში კი სურდათ, რომ პარტია აეცდინათ ლენინური გზიდან. შინაპარტიული ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა პროფკავშირების გამო გამართული დისკუსიის დროს. ამ დისკუსიას, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, საფუძვლად ედო პრინციპული უთანხმოებანი „...მასასთან მ ი დ გ ო მ ი ს, მასის დაუფლების, მასასთან კ ა ვ შ ი რ ი ს მეთოდების საკითხის გამო"[1].

ტროცკისტები და სხვა ოპოზიციონერები არსებითად უარყოფდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, არ ესმოდათ პროფკავშირების როგორც ყველაზე მასობრივი მუშათა ორგანიზაციის როლი და ამოცანები და უპირისპირებდნენ მათ საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 6.

ლენინური პლატფორმის შესაბამისად პროფკავშირები ის ამძრავი ღვედია, რომლითაც პარტია მასებს ამოქმედებს, კომუნიზმის სკოლაა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პროფკავშირები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებაში: მათი საშუალებით ხორციელდება კომუნისტური პარტიის კავშირი მასებთან. დისკუსიაში გაიმარჯვა ლენინის თვალსაზრისმა პროფკავშირების თაობაზე. კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაამარცხა ოპოზიციონერები, კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები, მთელი თავისი ძალ-ღონე წარმართა უახლოესი სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

ანტილენინურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ამიერკავკასიის კომუნისტებიც თანამიმდევრულად იბრძოდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა გ. კ. ორჯონიკიძე. განსაკუთრებით გამწვავდა პროფკავშირული დისკუსია ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც ტროცკისტთა ადგილობრივ დაჯგუფებას მეთაურობდა პარტიის ბაქოს კომიტეტის მდივანი ს. ა. დანიელიანი (სარქისი). ბაქოელ კომუნისტთა დიდი უმრავლესობა მტკიცედ იდგა ლენინურ პოზიციებზე. სრულიად ბაქოს V პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც 1921 წლის იანვარში გაიმართა, ლენინის პლატფორმას ხმა მისცა 191 დელეგატმა, ტროცკისას კი — 61-მა[1]. ოპოზიციონერებმა საკადრისი პასუხი მიიღეს აგრეთვე აზერბაიჯანის კომპარტიის III ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1921 წლის თებერვალში. ყრილობაზე მოხსენება „პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ" გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ. ყრილობის 226 დელეგატმა ხმა მისცა ლენინის პლატფორმას. ტროცკის პლატფორმამ მიიღო 35 ხმა, „მუშათა ოპოზიციის" პლატფორმამ კი მხოლოდ 2 ხმა[2].

1921 წლის მარტში გაიმართა პარტიის X ყრილობა. ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ყრილობაზე გაგზავნეს 20-ზე მეტი დელეგატი. აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა სახელით ყრილობას მიესალმნენ რ. ა. ახუნდოვი, ა. ა. ბექზადიანი და მ. გ. ცხაკაია. ამიერკავკასიის კომუნისტების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ყრილობის მუშაობაში. მ. გ. ცხაკაია აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმში, ხოლო რ. ა. ახუნ-

---

[1] Газ. «Коммунист» (Баку) № 33, 11 февраля 1921 г..

[2] «Бюллетень ЦК АКП (б)» 1921, № 6, стр. 4.

დოვი, ა. ა. ბექზადიანი, გ. ნ. კამინსკი, ა. ა. რზაევი — ეროვნული საკითხის კომისიაში.

რკპ (ბ) X ყრილობამ განსაზღვრა პარტიის პოლიტიკა და მისი ამოცანები ახალ ისტორიულ პირობებში. მოხსენებები ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური საქმიანობის, სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის, პარტიის ერთიანობის, ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის შესახებ ყრილობაზე გააკეთა ვ. ი. ლენინმა.

სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის გადაწყვეტილებებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის საკითხი იყო „უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად პოლიტიკური საკითხი...“[1]. ამ საკითხის დედააზრია მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობა, რაც განსაზღვრავს სოციალისტური რევოლუციის ბედს ჩვენს ქვეყანაში, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ახალი ეკონომიური პოლიტიკა უზრუნველყოფდა მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ამოყვანის მტკიცე ეკონომიურ საფუძვლებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტური განვითარების ამოცანებთან განუყრელად იყო დაკავშირებული ეროვნული საკითხიც. ეს უპირატესად იყო გლეხთა საკითხი, რადგან საბჭოეთის ქვეყნის ეროვნული რაიონების მოსახლეობის უმრავლესობას გლეხები შეადგენდნენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების გლეხთა ძირეულ ინტერესებს. იგი ხელს უწყობდა ყოფილი გაბატონებული ერის მუშათა კლასისა და წინათ დაჩაგრულ ხალხთა გლეხობის სწორი ურთიერთობის დამყარებას. სწორედ ეს იყო უწინარეს ყოვლისა ეროვნული საკითხის კლასობრივი არსი იმ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა სოციალისტურ მშენებლობაზე გადადიოდა.

ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 259.

ლისათვის აღაფრთოვანებდა მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს. ეროვნული საკითხი რკპ (ბ) X ყრილობაზე განხილული ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო. მოხსენება ეროვნულ საკითხში „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ“ გააკეთა ი. ბ. სტალინმა. ყრილობამ დასახა წარსულის მძიმე მემკვიდრეობის — წინათ ჩაგრულ ხალხთა ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა.

პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებას ეროვნულ საკითხზე, რომელიც გამომდინარეობდა იქიდან, რომ საჭიროა განმტკიცდეს რუსი მუშებისა და ყოფილი ჩაგრული ერების გლეხობის კავშირი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი კავშირისა და რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიური დახმარების გარეშე ეროვნული განაპირა მხარეების მშრომელები ვერ აღმოფხვრიდნენ ჩამორჩენილ ხალხთა ფაქტიურ უთანასწორობას და ვერ უზრუნველყოფდნენ მათს აქტიურ მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობაში.

X ყრილობამ აღნიშნა, რომ კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში ვერც ერთი ცალკე აღებული საბჭოთა რესპუბლიკა ვერ მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილია ეკონომიური გამოფიტვისა და სამხედრო განადგურებისაგან მსოფლიო იმპერიალიზმის მხრივ, და ხაზი გაუსვა: „საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესები, ერთი მხრივ, ომით დანგრეული მწარმოებლური ძალების აღდგენის ამოცანა, მეორე მხრივ, და საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპირო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პირიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, — დაჟინებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას“[1].

ყრილობამ დასახა პრაქტიკული მოქმედების პროგრამა ეროვნული მშენებლობის დარგში, ნებაყოფლობითი საბჭოთა ფედერაციის საფუძველზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმური კავშირისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების დარგში. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I. თბილისი, 1954, გვ. 716—717.

რკპ (ბ) X ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირთა საკითხზე გამართული დისკუსიის შედეგები და მხარი დაუჭირა პროფკავშირთა როლის ლენინისეულ შეფასებას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის რეზოლუციებს „პარტიის ერთიანობის შესახებ“ და „ჩვენს პარტიაში სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ“. ყრილობამ მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ დაეშალათ ყველა ფრაქციული ჯგუფი და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ მკაცრად ედევნებინათ თვალყური, რათა არ დაეშვათ რაიმე ფრაქციული გამოსვლები. ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიის ერთიანობის შესახებ მისი ცხოვრებისა და მშენებლობის ურყევი კანონი გახდა.

რკპ (ბ) X ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში დასახა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზები და მეთოდები, შემოქმედებითად განავითარა მოძღვრება კომუნისტური პარტიის შესახებ. ხაზგასმით აღნიშნა მისი გადამწყვეტი როლი საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობაში. ყრილობამ გაამდიდრა გარდამავალი პერიოდის ეროვნული მშენებლობის თეორია და პრაქტიკა, დააკონკრეტა მარქსისტულ-ლენინური დებულება, რომ შეიძლება ჩამორჩენილ ხალხთა გადასვლა სოციალიზმზე განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად. პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მშენებლობისათვის ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები აღფოთოვანებით შეხვდნენ პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებს. მის დადგენილებებს ფართოდ განიხილავდნენ ამ მხარის პარტიულ ორგანიზაციებში. 1921 წლის 7 აპრილს თბილისში გამართულ პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკთა კრებაზე მოხსენება ყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა ს. მ. კიროვმა. ბაქოს ბალახანის რაიონის ნავთობის სარეწთა კომუნისტებმა მოიწონეს პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებანი და პარტიის ყველა წევრს მოუწოდეს უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ ცენტრალური კომიტეტის გარშემო. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში შეიქმნა რკპ (ბ) X ყრილობის დადგენილებათა შემსწავლელი სპეციალური წრეები. ნუხის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საერთო კრების ხე-

2. ამიერკავკასიის კომ. ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები.

ზოლუციაში, რომელიც ყრილობის შედეგებს მიეძღვნა, აღნიშნული იყო, რომ კომუნისტები განუხრელად განახორციელებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით[1].

ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში წამოჭრილი ურთულესი საკითხების გადაჭრისას ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ლენინის რჩევა-დარიგებითა და მითითებებით. თავის შრომებსა და გამოსვლებში, ამიერკავკასიის კომუნისტებისათვის გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებში ვ. ი. ლენინმა დასახა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროგრამა, ამ მხარეში სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული გზები, აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებას.

საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ცნობილ, 1921 წლის 14 აპრილის წერილს „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს". ამ წერილში ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს დაუსახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა „შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური"[2]. ამ მხარის სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანები რომ განსაზღვრა, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, საჭიროა განვითარდეს ელექტრიფიკაცია, სარწყავი სისტემები, გაფართოვდეს საქონელბრუნვა, გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობაო.

თავის წერილში ვ. ი. ლენინი ურჩევდა ადგილობრივ კომუნისტებს გაეთვალისწინებინათ კავკასიის რესპუბლიკების თავისებურებანი, მოქნილად და უნარიანად გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის გამოცდილების გაკვეთილები, ბრმად კი არ გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდეთ იგი კონკრეტული პირობების სხვაობასო[3].

---

[1] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში მლიაზფა), ფ. 248, აღწ. 1. შისრ. ერთ. 28. ოურც. 13.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397.

[3] იქვე.

ვ. ი. ლენინი გამოთქვამდა რწმენას, რომ კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი „...შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“[1].

ვ. ი. ლენინის დირექტივები საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა საქმიანობას, მათი გზის მანათებელი ვარსკვლავი გახდა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების დასაწყისი. ამიერკავკასიის კომუნისტების I ყრილობა

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასელისთანავე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ენერგიულად შეუდგნენ თავიანთი რიგების განმტკიცებას, ახალი ამოცანების შესაბამისად ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას.

პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ლენინური ხაზის განსახორციელებლად თვალსაჩინო როლი შეასრულეს ს. მ. კიროვმა, ა. თ. მიასნიკოვმა, ნ. ნ. ნარიმანოვმა, გ. კ. ორჯონიკიძემ და სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიაში მუშაობდნენ.

რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელება მოითხოვდნენ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, პარტიის რიგების შემდგომ შეკავშირებას, მათს გაწმენდას უცხო ელემენტებისაგან.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ იხელმძღვანელა პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებით და 1921 წლის ივლისის პლენუმზე დაადგინა მოეწყო პარტიის რიგების სისტემატური წმენდა უცხო, კარიერისტული ელემენტებისაგან, რომლებსაც პარტიულ ორგანიზაციებში შეჰქონდათ „გახრწნისა და მეშჩანური ინტელიგენტური ნაციონალიზმის სულისკვეთება“[2]. კავკასიის ბიუროს პლენუმის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397.

[2] Газ. «Правда Грузии» № 108, 13 июля 1921 г.

ნული, რომ პარტიული ორგანიზაციები უნდა განმტკიცდეს დისციპლინის ამაღლების, თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და ქალაქის და სოფლის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტების ხარჯზე მათი გაფართოების გზით.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელ პარტიასთან ერთად 1921 წლის დამლევისათვის წარმატებით განახორციელეს პარტიული რიგების წმენდა. წმენდის დროს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებიდან გარიცხეს 12 ათასზე მეტი კაცი. ანუ მათი შემადგენლობის 30,2 პროცენტი. ძირითადად ესენი იყვნენ პარტიაში შეპარული შენიღბული კონტრრევოლუციონერები, ნაციონალისტური ელემენტები, ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და სრულიად არ მონაწილეობდნენ პარტიულ ცხოვრებაში. წმენდამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა განმტკიცებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას. წმენდის შემდეგ, 1922 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში 33,3 ათასი კომუნისტი ირიცხებოდა[1].

კავკასიის ბიუროს ყურადღების ცენტრში იყო პარტიის ყველა რგოლის — პირველადი უჯრედები, სამაზრო, საქალაქო ორგანიზაციები იქნებოდა ეს თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები — ორგანიზაციულად განმტკიცების საკითხები. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიული ძალების სწორ განაწილებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საპასუხისმგებლო უბნებზე. 1921 წლის მაისიდან დეკემბრამდე გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს რვა პლენუმი, რომლებიც განიხილავდნენ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. სარეწების, ქარხნების, მაღაროებისა და ფაბრიკების პარტიულ უჯრედებში, პარტიის სამაზრო და საქალაქო კომიტეტებში იგზავნებოდა ცირკულარული წერილები, ინსტრუქციები და სხვა დოკუმენტები. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშა-

---

[1] Приложение к отчету Закрайкома РКП(б) за 1922 год. [Тифлис, 1923], диаграмма № 8.

�ebi ხშირად ჩადიოდნენ მაზრებსა და ქალაქებში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კავშირი მშრომელ მასებთან. ხორციელდებოდა ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო მშრომელთა ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესება. მასებში ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი საშუალება იყო პრესა, რომლის გარშემო იქმნებოდა მუშა და სოფლის კორესპონდენტების ქსელი.

გაძლიერდა მუშაობა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისა და იდეური წრთობისათვის. იქმნებოდა პოლიტგანათლების სკოლები, საბჭოთა-პარტიული სკოლები, პარტიის თეორიისა და ისტორიის შემსწავლელი კურსები და წრეები. 1921 წელს თბილისში გაიხსნა ცენტრალური პარტიული სკოლა, ბაქოში კი — აზერბაიჯანის ცენტრალური პარტიულ-საბჭოთა სკოლა და აზერბაიჯანის კპ (ბ) ბაქოს კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. პარტიული სკოლები იქმნებოდა სხვა ქალაქებშიც. იქმნებოდა ლექტორთა მოსამზადებელი ჯგუფები. ბევრი კომუნისტი გაიგზავნა სასწავლებლად მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტებში, აგრეთვე ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელიც თბილისში გაიხსნა.

1921 წლის მაისიდან დეკემბრამდე კავკასიის ბიურომ თავის პლენუმებზე 59-ჯერ განიხილა პოლიტიკური, აგიტაცია-პროპაგანდის საკითხები და 9-ჯერ ახალგაზრდობასა და ქალებთან მუშაობის საკითხები. მასებში პოლიტიკური აგიტაციის გაშლის საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიული კომიტეტების აგიტგანყოფილებათა გამგეების პირველმა ყრილობამ, რომელიც თბილისში გაიმართა 1921 წლის ოქტომბერში. ყრილობამ განიხილა მოხსენებები ადგილებიდან და შემდგომი მუშაობის ამოცანები.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების, ამ მხარის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ყოველმხრივ გაშუქების მიზნით კავკასიის ბიურომ 1921 წლის ოქტომბრიდან დაიწყო თავისი ორგანოს — ჟურნალ „სოვეტსკი კავკაზის"[1] გამოცემა. 1921

[1] 1921 წლის დეკემბერში გამოსული მეორე ნომრიდან ჟურნალი გამოდიოდა „კავკაზსკი რაბოჩი" სახელწოდებით.

წლის მაისიდან გამოდიოდა აგრეთვე ჟურნალი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ კავკაზა“. ეს გამოცემები განაზოგადებდნენ და პოპულარიზაციას უწევდნენ ამიერკავკასიაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო-ეკონომიური, პროფკავშირული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გამოცდილებას, პროპაგანდას უწევდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის იდეებს.

მუშებთან და გლეხებთან პარტიულ ორგანიზაციათა კავშირის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებდნენ უპარტიოთა კრებები და კონფერენციები, რომლებზეც მუშები და გლეხები კომუნისტებთან ერთად განიხილავდნენ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს, აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს. ეს კრებები და კონფერენციები ხელს უწყობდნენ უპარტიო მშრომელთა ფართო მასების აქტივობის ზრდას.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ წარმართავდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, სისტემატურ დახმარებას უწევდა მას. პარტიულ ორგანიზაციათა განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულეს პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებმა. ძველმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ სამუშაოზე გამოგზავნა ამიერკავკასიაში. მარტო 1921 წლის მაისიდან დეკემბრამდე რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიაში სამუშაოდ გამოგზავნა 148 კაცი[1], სულ კი ამ პერიოდში კავკასიის ბიუროს განკარგულებაში სხვადასხვა ორგანიზაციიდან ჩამოვიდა 626 მუშაკი, აქედან 432 კაცს ჰქონდა პარტიული სტაჟი 1920 წლამდე. მათგან ნახევარი მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვისა და ყურადღების შედეგად კავკასიის ბიურომ სულ მალე შეძლო განემტკიცებინა პარტიული ორგანოები გამოცდილი მუშაკებით, რომლებიც გაანაწილა პარტიულ ორგანიზაციებში. ამავე პერიოდში კავკასიის ბიურომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში გაგზავნა 205, სომხეთისაში 69 და აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში 56 კაცი[2]. გა-

---

[1] «Известия Кавбюро ЦК РКП(б)», 1922 г., № 2, стр. 6.

[2] იქვე, გვ. 7.

მოცდილი კადრებით ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია სომხეთის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც პარტიული და საბჭოთა მუშაკების კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ. მაშინ აზერბაიჯანიდან სომხეთში ჩავიდა 300-მდე სომეხი კომუნისტი.

პარტიული მუშაობის იმ ახალი პირობების შესაბამისად გარდაქმნის პროცესში, როცა პირველ პლანზე წამოიწია ეკონომიური ამოცანები, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები წააწყდნენ დიდ სიძნელეებს, რომლებსაც განაპირობებდა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, მოსახლეობის ეროვნული სიჯრელე. წერილბურჟუაზიული სტიქიის დიდი გავლენა და ნაციონალიზმის გადმონაშთები. ამ სიძნელეების გადასალახავად საჭირო იყო მხარის სოციალურ და ეროვნულ თავისებურებათა საფუძვლიანი შესწავლა, სწორი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც გაითვალისწინებდა სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებებს და ამასთან მის თავისებურებებს ამიერკავკასიაში.

მაგრამ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ აქტიურად ემუშავათ პარტიის ლენინური ხაზის განხორციელებისათვის, განაგრძობდნენ თავიანთ ფრაქციულ, გამთიშველ საქმიანობას. ტროცკისტები და სხვა ოპოზიციონერები ფაქტიურად ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ბაქოელი მუშებისა და აზერბაიჯანელი გლეხების კავშირისათვის იმით, რომ ერთმანეთს უპირისპირებდნენ ბაქოს პარტიულ ორგანიზაციასა და აზერბაიჯანის კომპარტიას, ბაქოს საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს.

კომუნისტების ერთმა ნაწილმა ვერ გაიგო ის საერთო ამოცანები და პარტიის პოლიტიკის არსი, რასაც ომიდან მშვიდობაზე გადასვლის პერიოდი აყენებდა. ყველანი, პასუხისმგებელი მუშაკებიც კი, სწრაფად და გონივრულად ვერ ჩასწვდნენ ამიერკავკასიაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების სპეციფიკას. მაგალითად, ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი (რ. ა. ახუნდოვი, მ. დ. ჰუსეინოვი, ს. ა. დანიელიანი (სარქისი) და სხვები აზერბაიჯანში, გ. ს. ალიხანოვი, ა. ს. ნურიჯანიანი და სხვ. სომხეთში) ანგარიშს არ უწევდნენ მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებებს, არ ეთანხმებოდნენ ზოგიერთ დათმობას გლეხობისა და ძველი ინტელიგენციის მიმართ,

სურდათ დაემკვიდრებინათ მუშაობის ისეთი მეთოდები, რომლებიც გაართულებდნენ სოციალისტურ მშენებლობას.

მეორე მხრივ, მუშაკთა ერთ ნაწილში შეიმჩნეოდა გადახრა ნაციონალიზმისაკენ, ისინი ჯეროვნად ვერ აფასებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის ნაშთების საშიშროებას.

„ამ მუწუკების მოსპობა ზოგჯერ ძალზე მტკივნეული იყო,— აღნიშნავდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო,— ამასთან ეს მოსპობა ხდებოდა ან შინაგანი, იდეური დაძლევის გზით, ან პარტიულ კრებებსა და ყრილობებზე გამართულ დისკუსიებში მოპოვებული იდეური გამარჯვების შედეგად...“[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის დახმარებით იყო დაძლეული უთანხმოებანი აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში. ფრაქციონერები დამარცხდნენ. 1921 წლის ივლისში აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ს. მ. კიროვი. 1921 წლის 15 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელმაც მ. გ. გაჯიევის, მ. ბ. კასუმოვის, ნ. ნ. ნარიმანოვის, გ. კ. ორჯონიკიძის მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში სავსებით შეწყვეტილიყო ყოველგვარი ფრაქციული მოქმედება და ზუსტად განეხორციელებინათ პარტიის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შექმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ მ. გ. გაჯიევი, მ. ბ. კასუმოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ბ. სტალინი, და დაავალა მას შეემუშავებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების პროექტი აზერბაიჯანში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შესახებ. 1921 წლის 17 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები აზერბაიჯანის მუშაკებს“, სადაც აღნიშნული იყო, რომ საჭიროა საგულდაგულოდ გაითვალისწინონ რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებანი და გულისხმიერად მოეკიდონ აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ინტერესებს, მის ეროვნულ და რელიგიურ გრძნობებს. დირექტივებში განსაზღვრული იყო აზერბაიჯანის კომუნისტთა

[1] Первый Закавказский съезд коммунистических организаций. Стенографический отчет. Тифлис, 1922, стр. 70.

კონკრეტული ამოცანები: ყოველი ღონისძიებით ჩაებათ აზერბაიჯანელ მშრომელთა ფართო მასები საბჭოთა მშენებლობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ პარტიაში მოსახლეობის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ფენების წარმომადგენელთა მიღებისათვის, აზერბაიჯანელ კომუნისტთაგან მოემზადებინათ პარტიული მუშაკები, რისთვისაც შეექმნათ სპეციალური სკოლა და სხვ.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა აზერბაიჯანის, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის ყველა კომუნისტს ემუშავათ ერთად, ერთსულოვნად და ხელი შეეშალათ პარტიულ ორგანიზაციაში რაიმე ფრაქციების წარმოშობისათვის[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განხორციელებამ ხელი შეუწყო ერთიანობის განმტკიცებას აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში, გააძლიერა მისი მუშაობა ეროვნული კადრების მომზადებისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აზერბაიჯანელი მუშების ჩაბმისათვის. 1921 წლის 17 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეექმნა სამთვიანი პარტიული სკოლა, რომელიც აზერბაიჯანელ კომუნისტებს მოამზადებდა პარტიული კომიტეტების მდივნებად, რაიონულ და სამხარეო ორგანიზატორებად სამუშაოდ[2].

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, კავკასიის ბიურომ განამტკიცეს სომხეთის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1921 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სომხეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს ა. თ. მიასნიკოვი და ს. ლ. ლუკაშინი (სრაპიონიანი). ა. თ. მიასნიკოვი იყო სომხეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 1921 წლის 21 მაისიდან სომხეთის საბალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ს. ლ. ლუკაშინი კი — სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. სომხეთში გაგზავნეს აგრეთვე პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები, ხოლო ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკი გაწვიეს ან გადაიყვანეს სხვა თანამდებობაზე.

---

[1] Известия Центрального Комитета Российской Коммунистической партии (большевиков) № 36, 15 декабря 1921 г., стр. 3.

[2] ᲛᲚᲘᲪᲐ, ფ. 64, აღწ. 2, შესან. ერთ. 7, ფურც. 41.

რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს კომპარტიას იმ სიძნელეთა დაძლევაში, რომლებსაც განიცდიდა თავისი ჩამოყალიბების პერიოდში.

საქართველოსა და სომხეთის პარტიულ ორგანიზაციათა განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულეს მათმა პირველმა ყრილობებმა. საქართველოს კომპარტიის პირველმა ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე, განიხილა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ამოცანები, რესპუბლიკაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების საკითხი, ეროვნული საკითხი და სხვ. ყრილობამ გადაჭრით დაგმო „ნაციონალისტური ტენდენციები და გადახრები, რომლებმაც ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთ ნაწილში იჩინა თავი"[1], მოუწოდა საქართველოს კომუნისტებს უზრუნველეყოთ თავიანთი რიგების მონოლითურობა, განუხრელად განხორციელებინათ პარტიის ლენინური ხაზი რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

სომხეთის კომპარტიის პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1922 წლის 26—29 იანვარს, განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, თანამოხსენება კომუნისტური პარტიის ტაქტიკის შესახებ, სრულიად რუსეთის IX პარტიული კონფერენციის შედეგები, საბჭოთა მშენებლობის, აგრარული პოლიტიკისა და სხვა საკითხები. ყრილობამ აღნიშნა სომხეთში სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაში მოპოვებული პირველი წარმატებანი და ცხადყო პარტიის რიგების მზარდი იდეური ერთიანობა.

აზერბაიჯანში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები განსაზღვრა აზერბაიჯანის კომპარტიის IV ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 2—7 თებერვალს გაიმართა. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის რიგების ერთიანობის განმტკიცებას.

აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ამ რესპუბლიკების კომუნისტურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ძირეული სოციალისტური გარდაქ-

---

[1] მლიქა, ფ. 85, აღწ. 5, შესან. ერთ. 69, ფურც. 1.

მნა. მაგრამ იმის გამო, რომ ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილში სოციალისტურ რევოლუციას ერთდროულად არ გაუმარჯვნია, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური გარდაქმნების ტემპი ამ მხარის ყველა რესპუბლიკაში ერთნაირი არ ყოფილა. თუ აზერბაიჯანში და ცოტა მოგვიანებით სომხეთში უკვე დამთავრდა ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვრევა და შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. განხორციელდა პირველი სოციალისტური ღონისძიებანი (ნავთობის მრეწველობის, მაღაროებისა და სხვა დიდი სამრეწველო საწარმოების, ბანკების, ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და სხვ.), საქართველოში ამ პროცესის დასაწყისი დაემთხვა მთელი საბჭოთა ქვეყნის გადასვლას სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაზე.

წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაციისა და მემამულეთა მიწების კონფისკაციის შედეგად სახალხო მეურნეობის საკომანდო სიმაღლეები მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებმა ძირი გამოუთხარეს ბურჟუაზიის, მემამულეების, ანტისაბჭოური პარტიების ძალებს, მნიშვნელოვნად განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველი ეტაპი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იყო რევოლუციური კომიტეტების შექმნა. მხოლოდ პროლეტარულ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებშივე აირჩიეს მუშათა დეპუტატების საბჭო. რევოლუციური კომიტეტები იყო დროებითი რევოლუციური ორგანოები, რომლებსაც ძირითადად კი არ ირჩევდნენ, არამედ ნიშნავდნენ. ამას მოითხოვდა ის, რომ აუცილებელი იყო კონტრრევოლუციის რაც შეიძლება მალე განადგურება, აგრეთვე სათანადოდ არ იყო ორგანიზებული მშრომელი გლეხობა. რევოლუციური კომიტეტების შემადგენლობაში შედიოდნენ კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები. სასოფლო რევოლუციურ კომიტეტებში მუშაობდა სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ-სამართლებრივი, სასურსათო და სხვა საკითხთა კომისიები.

1920 წლის დამლევიდან აზერბაიჯანში სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების მიზნით სასოფლო და საუბნო რევოლუციური კომიტეტების ნაცვლად იქმნებოდა ღარიბთა კომიტეტები. სამაზრო რევოლუციური კომიტეტები კი რჩებოდა, ოღონდ შევ-

სებული იყო ღარიბთა კომიტეტების წარმომადგენლებით. სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის განხორციელების დროს ღარიბთა კომიტეტებმა აზერბაიჯანში დიდი როლი შეასრულეს მუშათა კლასის გარშემო ღარიბი გლეხობის შეკავშირებისა და 1921 წლის გაზაფხულზე მთელ რესპუბლიკაში საბჭოების არჩევნების პირობების მომზადებაში. არჩევნების შემდეგ, 1921 წლის მაისში, გაიმართა სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

სომხეთსა და საქართველოში (აჭარის გარდა) ღარიბთა კომიტეტები არ შექმნილა, რადგან აქ საბჭოთა ხელისუფლებამ უფრო გვიან გაიმარჯვა და მაშინ უკვე სხვა პირობები იყო. სომხეთში სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა შეზღუდული მასშტაბით ხორციელდებოდა ცოტა ხნის მანძილზე, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამდე. საქართველოში კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარება თითქმის დაემთხვა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას. სომხეთსა და საქართველოში რევოლუციურმა კომიტეტებმა 1921 წლის მანძილზე გასწიეს დიდი მუშაობა ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობათა აღდგენისათვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისათვის, მოსახლეობისა და წითელი არმიის სურსათით მომარაგებისათვის, რევოლუციური წესრიგის დამყარებისათვის და სხვ. მათი საქმიანობის შედეგად ამ რესპუბლიკებშიც შეიქმნა ხელშემწყობი პირობები საბჭოების არჩევნებისათვის. სომხეთისა და საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობებმა, რომლებიც 1922 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა, მიიღეს საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ კონსტიტუციები.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციები ამკვიდრებდნენ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს. კონსტიტუციები, რომლებიც მშრომელებს ანიჭებდნენ საარჩევნო უფლებებს, ზოგიერთ უპირატესობას აძლევდნენ მუშებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოები იყო საბჭოების ყრილობები, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები; უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოები იყო სახალხო კომისართა საბჭოები. თითოეულ რესპუბლიკაში შეიქმნა შინაგან, საგარეო, სამხედრო საქმეთა, სურსათის, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, იუსტიცი-

ისა და სხვა სახალხო კომისარიატები, სახალხო მეურნეობის საბ-ჭოები. შემოღებული იყო რევოლუციური, საბჭოთა კანონები, მო-ისპო წოდებრივი შეზღუდვები და წოდებები, გაუქმდა ძველი სა-სამართლოები, რომელთა ნაცვლად შეიქმნა ახალი, სახალხო სასა-მართლოები, მუშურ-გლეხური ინსპექციების ორგანოები, კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნას, რომლებიც წითელ არმიას შეუერთდნენ. 1921 წლის 2 მარტის წერილში ვ. ი. ლენინმა გ. კ. ორჯონიკიძეს დაუსახა ამოცანა: „დაუყოვნებლივ შე-ვაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია"[1]. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა იყო უმნიშვ-ნელოვანესი პირობა, რათა უზრუნველეყოთ წინათ დაჩაგრული ხალხების, კერძოდ, აზერბაიჯანელების პოლიტიკური თანასწორუფ-ლებიანობა, აზერბაიჯანელებისა, რომლებსაც ცარიზმის დროს, როგორც წესი, ჯარში არ იწვევდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფ-ლების დამყარების შემდეგ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შე-დეგად მშრომელი აზერბაიჯანელებისაგან პირველად შეიქმნა წი-თელი არმიის ნაწილები. 1922 წლის ზაფხულში ეროვნული ბრიგა-დები გარდაქმნეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მსრო-ლელთა დივიზიებად. მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენ-ლები რომ ეროვნული ნაწილების მეთაურთა შემადგენლობისათვის მოემზადებინათ, ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკაში გაიხსნა მეთაურთა ნაკრები სკოლები[2].

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში დამკვიდრდა ყველა ხალხის ნამდვილი თანასწორუფლებიანობა. 1921—1924 წლებში საბჭოთა საქართველოს ფარგლებში შეიქმნა აფხაზეთისა და აჭა-რის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, სამ-ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო საბჭოთა აზერბაიჯანში ნახჭევნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი.

რკპ (ბ) XII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად აზერ-ბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189.

Краснознаменный Закавказский. М., 1969, стр. 98, 99.

განახორციელეს ღონისძიებანი ამ რესპუბლიკების ეროვნულ უმ-ცირესობათა — აზერბაიჯანში სომეხი მოსახლეობის, სომხეთში-აზერბაიჯანელი და ქურთი მოსახლეობის, საქართველოში — სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული გან-ვითარებისათვის.

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან შეიქმნა სპეციალური განყოფილებანი ეროვნულ უმცირესობებთან სამუშაოდ, გამოდი-ოდა ჟურნალ-გაზეთები და ლიტერატურა მათს ენებზე. კომუნის-ტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა და ყურად-ღება ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების საჭიროებებისა და ინტერესებისადმი აისახა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხე-თის მთავრობათა ბევრ დადგენილებასა და გახარგულებაში. ერო-ვნულ უმცირესობებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყო-ველმხრივ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს. მაგალითად, სომხე-თის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნით კავკასიის ბიუროს ბევრჯერ გაუგზავნია აზერბაიჯანიდან სომხეთში პარტიუ-ლი კადრები აზერბაიჯანელ ქალებთან სამუშაოდ.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და ახალი ცხოვრების წარმატებით აშენებლობაში უაღრესად დიდმნიშ-ვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის სფსრ დახმარებამ ამიერკავ-კასიის საბჭოთა რესპუბლიკებისადმი. ამიერკავკასიის რესპუბლი-კებსა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო-ეკონომიური ხელშეკრულებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ მათი სამხედრო და სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას საბ-ჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა დაცვისა და სახალხო მეურ-ნეობის აღდგენისათვის.

მაშინდელ რთულ საგარეო და საშინაო პირობებში ამიერკავკა-სიის პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო განემტკიცებინათ ამ მხარის რესპუბლიკების საერთა-შორისო მდგომარეობა. უწინარეს ყოვლისა უნდა მოწესრიგებული-ყო მათი ურთიერთობა მეზობელ თურქეთთან. ამ საქმეში დიდ-მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის სფსრ და თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებამ. მან დააწესა სა-ხელმწიფო საზღვარი, დაადასტურა, რომ გაუქმებულია ბრესტის ხელშეკრულება და უკანონოა ალექსანდროპოლის ხელშეკრულება, რომელიც თურქეთმა დაუდო დამხობილ დაშნაკურ მთავრობას.

მოსკოვის ხელშეკრულებით თურქეთს უნდა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან, მაგრამ თურქეთი სხვადასხვა საბაბით აჭიანურებდა საზავო კონფერენციის მოწვევას. ეძებდა შესაძლებლობას ეწარმოებინა სეპარატული მოლაპარაკება ცალ-ცალკე თითოეულ რესპუბლიკასთან. 1921 წლის 3 სექტემბერს კავკასიის ბიუროს პლენუმმა დაავალა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებს ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ მომავალ ყარსის კონფერენციაზე და ზუსტად დაეცვათ მოსკოვის ხელშეკრულება. აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა რუსეთის სფსრ მხარდაჭერით 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს თურქეთთან ხელშეკრულებას ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ.

საბჭოთა რუსეთი, რომელიც თვითონაც განიცდიდა დიდ ეკონომიურ სიძნელეებს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს უგზავნიდა პურსა და სხვა სურსათს და სამრეწველო ნაწარმს. რუსეთმა 1921—1922 წლებში მათ გამოუყო 10 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, რაც გახკუთვნილი იყო ტრაქტორების შესასყიდად, მუღანის ველზე სარწყავი სისტემის, აზერბაიჯანსა და სომხეთში მებამბეობის აღსადგენად, ზემო აუქალის ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად. 1922 წელს საბჭოთა რუსეთმა საჩუქრად გამოგზავნა მთელი მოწყობილობა ქუთაისში, განჯასა (ახლა კიროვაბადი) და ალექსანდროპოლში (ახლა ლენინაკანი) საფეიქრო ფაბრიკების შესაქმნელად.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები თავიანთ მეცადინეობას ახმარდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში სამეურნეო მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი რგოლი იყო სოციალისტური მრეწველობისა და წვრილსაქონლური გლეხური მეურნეობის საფაჭრო ურთიერთობის დამყარება.

პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინის ლოზუნგით „ისწავლეთ ვაჭრობა", დიდ ყურადღებას აქცევდა ფულის მიმოქცევის, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის, სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების, კერძო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხებს. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მოითხოვა სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის სისტემის, სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის მშენებლობის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა და სრულყოფა.

ახორციელებდა რა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთიან ეკონომიურ პოლიტიკას, პარტია ამასთან ითვალისწინებდა ეროვნული რესპუბლიკების თავისებურ პირობებს და ამასთან დაკავშირებით მათს ეკონომიკაში სოციალისტურ გარდაქმნათა თავისებურებებს.

მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისას ამიერკავკასიაში ზოგჯერ წარმოიშობოდა სიძნელეები, რომელთა მიზეზი ხშირად ის იყო, რომ პარტიულ და საბჭოთა კადრებს საკმაოდ ღრმად არ ჰქონდათ შეთვისებული დასახულ კონკრეტულ ამოცანათა არსი. ვ. ი. ლენინს, რომელიც უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდა მხარის ეკონომიკის განვითარებას, განსაკუთრებით აინტერესებდა შეითვისეს თუ არა ამიერკავკასიის კომუნისტებმა მნიშვნელობა „ჩვენი ახალი პოლიტიკისა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით?"[1].

1921 წელს საქართველოსა და სომხეთში შემოიღეს სასურსათო გადასახადი, ხოლო აზერბაიჯანში მოუსავლიანობასთან დაკავშირებით სასურსათო გადასახადის შემოღება დროებით გადაიდო და მხოლოდ 1922 წლის აპრილიდან აქაც შემოიღეს სასურსათო გადასახადი.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მთელი საქმიანობა სოფლად მიმდინარეობდა ახალ ეკონომიურ საფუძველზე, ამ მხარის მუშებისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცების ნიშნით.

მშრომელ გლეხებს მიეცათ შესაძლებლობა გადასახადის შეტანის შემდეგ თავისუფლად მოეხმარათ თავიანთი მოსავალი. სახელმწიფო გლეხებს აძლევდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და თესლს, ეხმარებოდა აგრონომიული პუნქტების გახსნაში, მიწის დამუშავების მოწინავე მეთოდების ათვისებაში, სარწყავ ნაგებობათა აღდგენაში.

გლეხებმა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები უდიდეს დახმარებას უწევდნენ მათი მეურნეობის განვითარებაში, ნებაყოფლობით დაიწყეს სასურსათო გადასახადის გადახდა პურით. ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხთა ფართო მასების თანაგრძნობა და ნდობა მოიპოვა. 1922—1923 წლებში ამიერკავკასიაში წარმატებით აკრიფეს სასურსათო გადასახადი.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები რკპ (ბ) ცენტრალუ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 35, გვ. 510.

რი კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით სულ უფრო აძლიერებდნენ მუშაობას მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და საქონელბრუნვის განვითარებისათვის. კავკასიის ბიურომ საუკეთესო პარტიული მუშაკები გაგზავნა საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე. სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლად იქმნებოდა პარტიული უჯრედები. მუშების შრომითი აქტივობის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულეს შაბათობებმა, საწარმოო თათბირებმა, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეწყობოდა. მარტო 1921 წლის პირველ ნახევარში პარტიულმა ორგანიზაციებმა ბაქოში მოაწყვეს 204 შაბათობა, რომელთა შედეგად სახელმწიფომ დამატებით მიიღო დაახლოებით 7 ათასი ტონა ნავთობი[1].

მთელი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობს და სწორედ ამიტომ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ნავთობის მრეწველობის აღდგენის საკითხები. ბაქოს კომუნისტ მენავთობეთა 1921 წლის სექტემბერში გამართული კრების გადაწყვეტილებით პარტიის წევრებს დაწესებულებებიდან გზავნიდნენ ნავთობის ფრონტზე[2]. დიდი მუშაობა იყო გაწეული სარეწებში პარტიული უჯრედების შექმნისა და განმტკიცებისათვის. ბევრი რამ კეთდებოდა იმისათვის, რომ განემტკიცებინათ მუშების შრომის დისციპლინა, დაერაზმათ ისინი ნავთობის მოპოვების გადიდებისათვის საბრძოლველად. კომუნისტი მენავთობეები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ რჩებოდნენ სარეწებში და განაგრძობდნენ ნავთობის ამოღებას. იქმნებოდა ამომკასრავ მუშათა დამკვრელური ჯგუფები, რომლებშიც შედიოდნენ როგორც კომუნისტები, ისე უპარტიოები.

ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აზერბაიჯანში ნავთობის მრეწველობის აღდგენისა და განვითარების საკითხებს. მათი ინიციატივის გამო ხორციელდებოდა სასწრაფო ღონისძიებანი სურსათითა და ტანსაცმლით მენავთობეთა უზრუნველყოფისათვის, მოწყობილობითა და მასალებით საწარმოთა მომარაგებისათვის. იმასთან დაკავშირე-

---

[1] VII Общебакинская конференция АКП. Баку, 1922, стр. 8.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 208, 13 сентября 1921 года.

ბით, რომ ბაქოში შეიქმნა მძიმე სასურსათო მდგომარეობა, ვ. ი. ლენინმა ურჩია, რომ აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტისათვის მიეცათ გარკვეული დამოუკიდებლობა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა საზღვარგარეთ გაეცვალა სურსათზე მოპოვებული ნავთობის ნაწილი. 1921 წლის 2 აპრილს ვ. ი. ლენინმა მისწერა აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. პ. სერებროვსკის, თუ ასეთი დამოუკიდებლობა არა გაქვთ, ზუსტად გვიდეპეშეთ და ჩვენ მოგანიჭებთო[1]. ა. პ. სერებროვსკის პასუხის მიღების შემდეგ, 1921 წლის 18 აპრილს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტს უნდა მისცენ ნება დამოუკიდებლად გაცვალოს საზღვარგარეთ ნავთობპროდუქტები მოწყობილობაზე, მუშებისათვის საჭირო სურსათსა და ტანსაცმელზე[2]. იმავე დღეებში ვ. ი. ლენინმა დეპეშა გაუგზავნა როსტოვში სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომლითაც მოითხოვდა, რომ გადამწყვეტი ღონისძიებანი განეხორციელებინათ ბაქოს და ამავე დროს საქართველოსა და ჩრდილოეთის მომარაგებისათვის...[3]. ბაქოში სასურსათო მდგომარეობის გაუარესებით შეშფოთებული ვ. ი. ლენინი 1921 წლის 27 მაისს წერდა: „უნდა გავაძლიეროთ ყურადღება და ზრუნვა ბაქოს მიმართ.

გთხოვთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეიტანოთ ბაქოსათვის დახმარების სისტემატურ ღონისძიებათა პროგრამა საზღვარგარეთ შესყიდვების გამოყენებით.

დღენიადაგ უნდა ვადევნებდეთ „თვალყურს" რა ხდება ბაქოში და ჩ ვ ე ნ რ ი თ ი ვ ე ხ მ ა რ ე ბ ი თ.

დავადგინოთ მოკლე შედეგები ორივე ნაწილში (ა: რა არის; ბ: რა მივეცით) და დაუცხრომლად ვადევნოთ თვალყური"[4].

ვ. ი. ლენინის, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა და ყურადღების, პარტიულ ორგანიზაციათა დაძაბული ორგანიზატორული მუშაობის, მუშათა შრომითი ენთუზიაზმის შედეგად მოპოვებული იყო პირველი წარმატებანი ნავთობისათვის ბრძოლაში. 1921 წლის დამლევსა და 1922 წლის დამდეგისათვის მდგომარეობა ნავთობის მრეწველობაში თანდათან გაუმჯობესდა. 1921/22 სამეურნეო წელს ბაქოში მოიპოვეს 2.945 ათასი

[1] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 52, стр. 124.
[2] იქვე, გვ. 152.
[3] იქვე, გვ. 147.
[4] იქვე, გვ. 217.

ტონა ნავთობი, მაშინ როცა 1920/21 წელს — 2.457 ათასი ტონა[1]. ზოგიერთი ძვრები დაიწყო ნავთობგადამუშავების დარგშიც.

მიუხედავად ამისა ნავთობის მოპოვების მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას თხევად სათბობზე; მისი წარმოების მკვეთრად გადიდება ამიერკავკასიის კომუნისტთა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო. კავკასიის ბიუროს პლენუმმა 1921 წლის 1 ივნისს განიხილა ნავთობის მრეწველობის საკითხები და კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმს დაავალა დეტალურად გაცნობოდა მის საჭიროებებს და სასწრაფო ზომები მიეღო მათი დაკმაყოფილებისათვის[2]. კავკასიის ბიუროს დახმარებით აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი კონკრეტული ღონისძიება ნავთობის მრეწველობის მუშაობის გარდაქმნისათვის. 1921 წლის სექტემბერში მოხდა აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის რეორგანიზაცია და შეიქმნა დამოუკიდებელი ტრესტი „აზნავთობი". ნავთობის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განიხილეს მათი შრომის ანაზღაურებისა და მომარაგების გაუმჯობესების საკითხები. პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო სარეწებისა და ქარხნების აღდგენის საკითხები. ამ საკითხებს ხშირად განიხილავდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის სხდომებზე, პარტიულ კონფერენციებსა და კრებებზე. კავკასიის ბიუროს 1921 წლის ნოემბრისა და 1922 წლის იანვრის პლენუმებმა მოისმინეს ა. ბ. სერებროვსკის მოხსენებები და მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანი იყო ნავთობის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესება და მისი მწარმოებლობის გადიდება[3]. ბაქოს IX პარტიულმა კონფერენციამ 1922 წლის იანვარში მიიღო დადგენილება, რომ გაეძლიერებინათ ნავთობის მრეწველობის მომარაგება ტექნიკური მასალებით.

დიდი ყურადღება ეთმობოდა მრეწველობის სხვა დარგების აღდგენასაც. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს არაერთი საწარმოს აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის, საექსპლოატაციოდ მათი გადაცემისა და ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენები-

---

[1] Обзор деятельности правительства за 1925 и 1926 гг. Отчет V Всеазербайджанскому съезду Советов. Баку. 1927, стр. 207.

[2] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана. Баку, 1963, стр. 368.

[3] მლიცპა, ფ. 64, აღწ. 2, შესან. ერთ. 1, ფურც. 182, 217.

სათვის. 1921 წელს სომხეთში ამუშავდა ერევნის ღვინისა და კონიაკის ქარხანა, ორი ტყავის ქარხანა და სხვა საწარმოები. 1922 წლისათვის საქართველოში უკვე მუშაობდა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ათი საწარმო (მათ შორის ჩათახის თუჯსამსხმელო ქარხანა), კვების, ხე-ტყის, ტყავის, საფეიქრო, პოლიგრაფიული მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები. 1921 წელს და 1922 წლის დამდეგს აზერბაიჯანში ამუშავდა 3 აბრეშუმსახვეელი ფაბრიკა ნუხაში, ზაგლიკის შაბის ქარხანა და ნახჭევნის მარილის მაღაროები.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს საწარმოთა განმტკიცებისათვის, ტრესტებისა და სხვა დარგობრივი გაერთიანებების შექმნისათვის, რაც დადებით გავლენას აბდენდა მრეწველობის აღდგენაზე.

ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტთა ყურადღებას აქცევდა იმას, რომ უნარიანად გამოეყენებინათ ამ მხარის ენერგეტიკული რესურსები. „გოელროს" ლენინურ გეგმაში კავკასია წარმოდგენილი იყო როგორც ერთიანი ეკონომიური რაიონი, რომელსაც მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნის დიდი შესაძლებლობანი აქვს. „გოელროს" გეგმაში აღნიშნული იყო, რომ კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ ფართო ელექტრიფიკაცია[1]. ამის შესაბამისად დაიწყო ზემო ავჭალის (ზაჰესი), ალექსანდროპოლის, აბაშის, აჭარისწყლის, ერევნის, კუბისა და სხვა ელექტროსადგურების მშენებლობა.

ვ. ი. ლენინი გამუდმებით ინტერესს იჩენდა აგრეთვე ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებისადმი, დიდ ყურადღებას უთმობდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ჰარმონიულ განვითარებას მხარის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, ურჩევდა განევითარებინათ სარწყავი სისტემები, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

1921 წლის 5 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა განიხილა მუღანის ველის მორწყვის საკითხი და დაავალა გ. კ. ორჯონიკიძეს თხოვნით მიემართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის, რომ ამ მიზნით გამოეყოთ სახსრები[2]. 1921 წლის სექტემბრის დამლევს შრომისა და თავდაცვის საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით დაადგინა, რომ 800 ათასი

---

[1] План электрификации РСФСР. М., 1955, стр. 590.

[2] ბლიცპა, ფ. 64, აღწ. 2, შესან. ერთ. 1, ფურც. 171.

ოქროს მანეთი გამოეყოთ მუღანის ველზე სამელიორაციო სამუშაოებისათვის. 1921 წლის 21 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი წერდა, უფრო ძლიერად უნდა წავწიოთ წინ ბამბის საკითხი კავკასიაში, აზერბაიჯანსა (მუღანის ველი) და სომხეთში[1]. ამასთან ვ. ი. ლენინი წერდა, რომ სახბანეს მიეცა რაც შეიძლება მეტი სესხი რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში[2].

1922 წლის 24 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა მოისმინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუღანს წარგზავნილი რწმუნებულის მოადგილის ჩ. ი. ილდრიმის მოხსენება და დაადგინა გაეგზავნა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა სპეციალური კომისია მუღანის ველზე სამელიორაციო სამუშაოთა მდგომარეობის შესამოწმებლად[3].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შეიქმნა მუღანმილის წყალთა მშენებლობის სამმართველო (მუღანმილმშენი), რომელსაც გამოუყვეს 220 ტრაქტორი, შეუქმნეს სპეციალური „სარწყავი ფონდი". მუღანისა და მილის ველის პარტიული ორგანიზაციები ათასობით ადგილობრივ მშრომელ გლეხს რაზმავდნენ მტკვრისა და არაქსის ნაპირების გამაგრების სამუშაოებში მონაწილეობისათვის. დაიწყო ძველი სარწყავი არხების აღდგენა და ახლის მშენებლობა. სარწყავი სამუშაოები გაჩაღდა სომხეთსა და საქართველოში.

საირიგაციო ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად გაიზარდა ნათესი ფართობები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

დიდი ყურადღება ექცეოდა მებამბეობისა და მეაბრეშუმეობის აღორძინებას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ამიერკავკასიაში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა კულტურული მშენებლობა. იგი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტურ გარდაქმნათა ორგანული ნაწილი იყო. კულტურული რევოლუციის ამოცანათა გადაწყვეტა ხდებოდა უაღრესად ძნელ პირობებში, წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული უმეცრებისა და ჩამორჩენილობის ვითარებაში. ახალი კულტურის

---

[1] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 53, стр. 289.

[2] იქვე.

[3] მლიცპა, ფ. 64, აღწ. 2, შესან. ერთ. 1, ფურც. 217.

მშენებლობის პირველი ღონისძიებანი იყო წერა-კითხვის სწავლება, ეროვნული კადრების მომზადება, ქალის განთავისუფლება, მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა კულტურულ მშენებლობაში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოპოვებული პირველი წარმატებანი ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა შეაჯამეს თავიანთ პირველ ყრილობაზე, რომელიც თბილისში გაიმართა 1922 წლის 18—22 თებერვალს. ყრილობას ესწრებოდა 252 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 117—სათათბირო ხმის უფლებით, რომლებიც პარტიის 42 ათასი წევრისა და წევრობის კანდიდატის წარმომადგენლები იყვნენ. ყრილობის დღის წესრიგში იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები, მოხსენებანი ამიერკავკასიის ფედერაციის, წითელი არმიის შესახებ, პარტიული მშენებლობის, ნავთობის მრეწველობის, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის საკითხები, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, სარევიზიო და საკონტროლო კომისიების არჩევნები.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პოლიტიკური ანგარიში 1921 წლის აგვისტოდან 1922 წლის თებერვლამდე განვლილი პერიოდის შესახებ წაიკითხა გ. კ. ორჯონიკიძემ, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა ამიერკავკასიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეროვნული საკითხის ის გადაწყვეტა, რომელიც თავიდანვე დავსახეთ, სწორი იყო. არც ერთ განაპირა მხარეში ეროვნული საკითხი არ გადაწყვეტილა ისეთი წარმატებით, როგორც ჩვენში“[1]. გ. კ. ორჯონიკიძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებებით, ყოველმხრივ, ღრმად დაასაბუთა, რომ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანება.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველმა ყრილობამ ცნო, რომ სწორია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საერთოპოლიტიკური ხაზი და დასახა შემდეგი ამოცანები:

„ა) გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა პარტიაში ნაციონალისტური გადახრებისა და ტენდენციების წინააღმდეგ;

---

[1] Первый Закавказский съезд коммунистических организаций. Стенографический отчет, стр. 41, 42.

ბ) დაჩქარდეს ამიერკავკასიის საერთოპოლიტიკური გაერთიანებული ცენტრის შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატებით მუშაობა მისი ეკონომიური ძლიერების აღდგენისათვის...“[1].

ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ორგანიზაციული მუშაობის ანგარიში წაიკითხა ა. მ. ნაზარეტიანმა. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ და გაიზარდა მათი ავანგარდული როლი ჩვენი მხარის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, რომელიც ახორციელებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა საერთო ხელმძღვანელობას. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში პარტიის XI ყრილობისადმი იმ საოლქო პარტიულ ბიუროებს შორის, სადაც ყველაზე ფართოდ და სისტემატურად წარმოებდა პარტიული მუშაობა, დასახელებული იყო ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო[2].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ამიერკავკასიის კომუნისტების პირველმა ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს ორგანიზაციული, პარტიული და საგამომცემლო მუშაობა. დამყარდეს უფრო მჭიდრო, ცოცხალი კავშირი პარტიულ ორგანიზაციებთან.

ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის ფედერაციის კომისიის მოხსენება, რომელიც შ. ზ. ელიავამ გააკეთა, და ერთხმად დაამტკიცა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი, აგრეთვე უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დებულება.

შ. ზ. ელიავამ მოხსენებაში წითელი არმიის შესახებ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ცალკე კავკასიის არმიის განმტკიცების მნიშვნელობას. ყრილობის რეზოლუციაში ამ საკითხის გამო აღნიშნულია, რომ არმიისა და ფლოტის ყოველმხრივი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა პარტიის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

---

[1] Первый Закавказский съезд коммунистических организаций. Стенографический отчет, стр. 100, 101.

[2] Одиннадцатый съезд РКП(б). Стенографический отчет. М., 1961, стр. 653.

ყრილობამ დაავალა მხარის ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრს „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ეროვნული ნაწილების შექმნას, რათა ამით ამიერკავკასიის მუშები და გლეხები შეუერთდნენ კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის მებრძოლი ინტერნაციონალური წითელი არმიის დიად ოჯახს"[1].

ყრილობამ აღნიშნა ამიერკავკასიის რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით და დასახა მათი მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

მოხსენება პარტიული მშენებლობის შესახებ გააკეთა ა. თ. მიასნიკოვმა. მან აღნიშნა, თუ რა ამოცანებია დასახული პარტიული მშენებლობის დარგში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასა და ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის თავისებურებებთან დაკავშირებით. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ საჭიროდ ცნო „რუსეთის კომპარტიის ერთიანი ცენტრალიზებული ამიერკავკასიის ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც ეყოლება კავკასიის ერთიანი კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს პარტიის მთელ მუშაობას ამიერკავკასიის ყველა ნაწილში"[2]. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ სამხარეო კომიტეტი ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მუშაობას და მთლიანად პასუხს აგებს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა მდგომარეობისა და საქმიანობისათვის. რეზოლუციაში განსაზღვრული იყო აგრეთვე საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერაციაში, არმიაში, ქალებთან და ახალგაზრდობასთან პარტიული მუშაობის კონკრეტული ამოცანები.

ყრილობამ აირჩია რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, პ. გ. მდივანი, ა. თ. მიასნიკოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. პლეშაკოვი, ს. დ. იაკუბოვი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს ა. გ. ყარაევი, მ. ლისოვსკი, ფ. ე. მახარაძე, ლ. ი. მირზოიანი, მ. ს. ოკუჯავა. შეიქმნა აგრეთვე საკონტროლო და სარევიზიო კომისი-

---

[1] Первый Закавказский съезд коммунистических организаций. Стенографический отчет, стр. 203—204.

[2] იქვე, გვ. 280.

ები. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს ს. მ. კიროვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ხოლო პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად — ფ. ე. მახარაძე და ა. თ. მიასნიკოვი. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად აირჩიეს მ. დ. ორახელაშვილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს ა. თ. მიასნიკოვი (რომელიც შემდეგ სამხარეო კომიტეტის მდივანი გახდა) და ნ. ნ. ნარიმანოვი.

ყრილობამ რკპ (ბ) XI ყრილობაზე წარსაგზავნად აირჩია გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე 24 და სათათბირო ხმის უფლების მქონე 16 დელეგატი[1].

ამიერკავკასიის კომუნისტთა პირველმა ყრილობამ დიდი როლი შეასრულა ამ მხარის პარტიულ ორგანიზაციათა იდეური და ორგანიზაციული შეკავშირების საქმეში. ყრილობამ განსაზღვრა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები.

1922 წლის 27 მარტიდან 2 აპრილამდე მოსკოვში მიმდინარეობდა რკპ (ბ) XI ყრილობა, რომელმაც შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლის შედეგები და დასახა სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები. ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ უკან დახევა დამთავრდა და წამოაყენა ახალი ამოცანა — ძალთა გადაჯგუფება კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის დასაწყებად. ვ. ი. ლენინმა განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფის, ახალი, სოციალისტური ეკონომიკისა და გლეხური ეკონომიკის დაკავშირების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ყოველმხრივ დაასაბუთა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის მშენებლობის პროგრამა.

8. ამიერკავკასიის სფსრ შექმნა და შესვლა სსრ კავშირში. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა II ყრილობა

ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარის ყველა

[1] Первый Закавказский съезд коммунистических организаций. Стенографический отчет, стр. 298, 299.

რესპუბლიკის ღონისძიებათა გაერთიანებას. ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ აღადგენდა და წარმატებით ვერ განავითარებდა თავის სახალხო მეურნეობას. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის განხორციელების საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა მაშინვე, როგორც კი მთელ ამიერკავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მხოლოდ ამ პირობით შეეძლო თითოეულ რესპუბლიკას განმტკიცებულიყო პოლიტიკურად და ეკონომიურად, წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალისტთა შესაძლო ახალი ინტერვენციისათვის, გაეშალა ნაყოფიერი მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. „კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური გაერთიანების ამოცანა, — აღნიშნავდა გ. კ. ორჯონიკიძე, — რიგში დადგა მაშინვე, როგორც კი მთელ კავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება"[1].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას მოითხოვდა აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, მშრომელთა მასების ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანები. ამიერკავკასია გამოირჩეოდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელით. კონტრრევოლუციური პარტიების ბატონობის პერიოდში ეროვნული საკითხი უაღრესად გამწვავდა. ნაციონალისტურმა განწყობილებამ, რომელსაც აღვივებდნენ მუსავატელები, დაშნაკები, ქართველი მენშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები, მოიცვა არა მარტო წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, არამედ მშრომელთა ჩამორჩენილი ფენებიც.

ასეთ ვითარებაში, ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე დასახულ ამოცანათა ვადასაწყვეტად უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ამ მხარის ხალხთა შორის მტკიცე ეროვნული მშვიდობის, ურთიერთნდობის უზრუნველყოფა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ვ. ი. ლენინი იყო. 1921 წლის თებერვალში, განსაზღვრავდა რა ელექტროსადგურების განლაგებას „გოელროს" გეგმის შესაბამისად, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, ტ. 1, თბ., 1957, გვ. 249.

„კავკასია ამ გეგმაში აღებულია მთლიანად, სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიური შეთანხმების ვარაუდით"[1].

ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ „შეექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის"[2]. 1921 წლის 11 აპრილს სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე ვ. ი. ლენინმა კვლავ დასვა საკითხი ერთ სამეურნეო ცენტრად კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ[3].

ამიერკავკასიის კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ლენინის მოძღვრებით ეროვნულ საკითხში, რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებით, თანამიმდევრულად ახორციელებდნენ პარტიის ეროვნულ პოლიტიკას ამ მხარის კონკრეტული პირობების შესაბამისად, ამზადებდნენ პირობებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანებისათვის.

1921 წლის 9 აპრილს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სფსრ ეკონომიური ურთიერთობის, რესპუბლიკების სახალხო კომისარიატების გეგმებისა და უმაღლესი ეკონომიური საბჭოების საქმიანობის კოორდინაციის საკითხები. პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა გ. კ. ორჯონიკიძემ, რომელმაც ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე წამოაყენა ამიერკავკასიის რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების საკითხი. ამ საკითხების გადაწყვეტა, თქვა გ. კ. ორჯონიკიძემ, „პირველი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის გზაზე..."[4]. გ. კ. ორჯონიკიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს არ შელახავს არც რესპუბლიკების პოლიტიკურ ინტერესებს და არც მათს დამოუკიდებლობას. ყველა რესპუბლიკა მოგებული დარჩება..."[5].

ამ საკითხებზე აზრთა გაზიარება გაიმართა აგრეთვე თბილისში 1921 წლის აპრილის პირველ რიცხვებში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 32, გვ. 163.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 35, გვ. 510.

[3] В. И. Л е н и н. Полное собрание сочинений, т. 43, стр. 186.

[4] მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 74, შესან. ერთ. 39, ფურც. 76.

[5] იქვე, ფურც. 75, 76.

სფსრ წარმომადგენლები. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საგარეო ვაჭრობისა და რკინიგზების გაერთიანებას.

1921 წლის 16 აპრილს თბილისში გ. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სფსრ გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც გადაწყვიტეს გაეერთიანებინათ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რკინიგზები[1]. ამასთან დაკავშირებით გადაიჭრა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საბაჟო ბარიერების ლიკვიდაციის საკითხიც.

1921 წლის 2 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა გამოიტანა დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის კომისარიატების გაერთიანებისა და საგარეო ვაჭრობის ერთიანი კოლეგიის შექმნის შესახებ.

რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური დაახლოებისათვის.

მთელ მოსამზადებელ მუშაობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისათვის სათავეში ედგა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო. ამ სამუშაოების მორიგი საკითხები განიხილეს 1921 წლის 2—3 ივლისს თბილისში გამართულ კავკასიის ბიუროს პლენუმზე, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის ბაქოსა და თბილისის კომიტეტების, პროფკავშირთა საბჭოების პრეზიდიუმებისა და კავკასიის არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრები. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა ი. ბ. სტალინი. მოხსენება ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ.

პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს სამხედრო, სავაჭრო და სამეურნეო-საფინანსო შეთანხმებანი დაედოთ რუსეთის სფს რესპუბლიკასთან. პლენუმმა გადაწყვიტა, რომ უნდა შეიქმნას კომისია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო საქმიანობის გასაერთიანებლად, უწინარეს ყოვლისა მელიორაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში. პლენუმმა დაავა-

[1] «История Советской Конституции (в документах). 1917—1956». М., 1957, стр. 283, 284.

ლა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველი ღონისძიებით დაეჭირათ მხარი საგარეო ვაჭრობისა და რკინიგზების გაერთიანებული ორგანოებისათვის და ფართოდ განემარტათ მშრომელი მასებისათვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანოებს მხარის საწარმოო ძალების აღდგენისა და განვითარებისათვის.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საგარეო ვაჭრობისა და რესპუბლიკების ტერიტორიების განსაზღვრის, საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების საკითხთა გადაწყვეტისას გამომჟღავნდა ამიერკავკასიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის გადახრა ნაციონალიზმისაკენ და წინადადება მისცა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს „მტკიცედ ჩაუნერგონ პარტიის ყველა წარმომადგენელს, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ ამ რესპუბლიკების მშრომელი მასების ძმური ურთიერთობის ინტერესებით"[1].

პლენუმმა ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა გადაუდებელი, უპირველესი ამოცანა — შეურიგებლად ებრძოლათ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. პლენუმის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კომუნისტთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა „ყოველმხრივი მიზანდასახული აგიტაციის საშუალებით აღმოფხვრან ურთიერთ უნდობლობის, ეროვნული შუღლის შხამიანი გადმონაშთები და შექმნან ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო სამეურნეო მშენებლობისა და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების საქმეში, ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და რუს მუშათა და გლეხთა ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე"[2].

რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთა ი. ვ. სტალინმა. მოხსენებაში დასაბუთებული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანების, მხარის ხალხთა ძმური თანამეგობრობის დამყარების უდიდესი მნიშვნელობა.

ცხოვრება სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდა ამიერკავკა-

---

[1] Газ. «Правда Грузии» № 108, 13 июля 1921 г.

[2] იქვე.

სიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებებისა და მატერიალური რესურსების გაერთიანებას.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებით შექმნილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო საქმიანობის გაერთიანების კომისიამ მოამზადა სამხარეო ეკონომიური თათბირი, რომელიც 1921 წლის 7 აგვისტოს გაიხსნა. თათბირმა დასახა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, დაადასტურა, რომ საჭიროა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო-ეკონომიური პოლიტიკის ერთიანობა, სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაცია და სარწყავი სისტემის გაფართოება ამიერკავკასიაში. „კავკასიის რესპუბლიკები, — ხაზგასმული იყო თათბირის რეზოლუციაში, — რომლებიც თავიანთი სოციალური წყობილებით განუყრელად არიან დაკავშირებული საბჭოთა რუსეთთან. თავიანთ ეკონომიურ გაერთიანებაში უნდა უთანხმებდნენ და უხამებდნენ თავის სამეურნეო მშენებლობას რუსეთის სფსრ სამეურნეო მშენებლობას, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველია ისტორიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა"[1]. თათბირმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის საფინანსო პოლიტიკის გაერთიანებას და ფულის ერთიანი ნიშნის შემოღებას. თათბირმა საჭიროდ ცნო ფულის რეფორმის მომზადება და განხორციელება.

კავკასიის ბიურომ მოიწონა ეკონომიური თათბირის გადაწყვეტილებანი და დაადგინა რესპუბლიკური სამეურნეო სახალხო კომისარიატების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შეექმნათ ცენტრალური ორგანო — ეკონომიური ბიურო.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ივლისის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად 1921 წლის 12—14 აგვისტოს თბილისში გაიმართა პირველი სამხარეო პარტიული თათბირი, რომელსაც ესწრებოდა 43 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 38 — სათათბირო ხმის უფლებით. თათბირმა განიხილა კავკასიის ბიუროს პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ანგარიში, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამხედრო ორგანიზაციების ურთიერთობისა და სხვა საკითხები. მოხსენება

---

[1] Газ. «Правда Грузии» № 137, 16 августа 1921 г.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პოლიტიკური მუშაობის შესახებ გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ.

სამხარეო პარტიულმა თათბირმა მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პოლიტიკა და სამხარეო ეკონომიური თათბირის გადაწყვეტილებანი და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ ბრძოლა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ. თანამიმდევრულად განეხორციელებინათ ყველა ხალხის ძმური სოლიდარობისა და თანამეგობრობის პოლიტიკა. თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანება გადაუდებელი საქმეა, მთავარ ამოცანად დასახა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებისა და ძმური ურთიერთობის განმტკიცება მათი მჭიდრო ეკონომიური გაერთიანების საფუძველზე. „პროლეტარული სოლიდარობისა და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცების საქმეში, — ხაზგასმულია თათბირის რეზოლუციაში, — კავკასიის რესპუბლიკები ერთსულოვანი და ერთიანი არიან. ეს ერთიანობა უპირველეს ყოვლისა ვლინდება პარტიული მუშაობის, პროფესიული გაერთიანებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობს კავკასიის ბიურო"...[1].

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მოიწონეს ამ მხარის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების დასახული ღონისძიებანი. მაგრამ ამ ღონისძიებებს არ დაეთანხმა ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. განსაკუთრებით ამან თავი იჩინა საქართველოში და, ნაკლებად —აზერბაიჯანში. საქართველოში ნაციონალისტურად განწყობილი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჯგუფი პ. გ. ამდივნის მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანებას. წერილში, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს, ეს მუშაკები აცხადებდნენ, ამიერკავკასიის ერთიანი ეკონომიური ცენტრის შექმნა ორგანიზაციულ არევ-დარევას გამოიწვევს და გააძნელებს კონტრრევოლუციურ პარტიათა ნაშთების გავლენისაგან ნაციონალისტურად განწყობილ პირთა განთავისუფლებასო[2].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ეხმარებოდა

---

[1] Журн. «Советский Кавказ» № 1, 1921, стр. 3.

[2] მლიცპა, ფ. 85, აღწ. 18, შესან. ერთ. 325. ფურც. 11.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისათვის ბრძოლაში. 1921 წლის 24 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიური ბიუროს შექმნის შესახებ და წინადადება მისცა აქ მხარის პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ განემარტათ „პარტიის ყველა წევრისა და უპარტიო მშრომელი მასებისათვის, თუ რა უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა ექნება კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ გაერთიანებას კავკასიაში მშრომელი მასების ძმური სოლიდარობის განმტკიცების, ნაციონალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში“[1].

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს დიდი მუშაობა, რათა დაერაზმათ მშრომელები ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიანობის განმტკიცებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროფკავშირებიც. ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანებასთან დაკავშირებით სამი რესპუბლიკის რკინიგზელთა პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც მოიწვია სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს კავკასიის ბიურომ, მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების რკინიგზელთა პროფკავშირების გაერთიანების საორგანიზაციო ბიუროს შექმნის შესახებ[2]. 1921 წლის აგვისტოში თბილისში გაიმართა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რკინიგზელთა პროფკავშირების გაერთიანებული ყრილობა, რომელმაც აირჩია ერთიანი ხელმძღვანელობა — ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი. ამის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის სხვა პროფკავშირების გაერთიანებაც. მაგალითად, 1921 წლის შემოდგომაზე გაერთიანდნენ ამიერკავკასიის მაღაროელთა პროფკავშირები.

აზერბაიჯანის პროფკავშირთა II ყრილობამ (1921 წლის ივლისი) წამოაყენა წინადადება, რომ ამიერკავკასიის პროფესიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციული გაერთიანების მიზნით მოეწვიათ ამიერკავკასიის პროფკავშირთა პირველი ყრილობა. ამ წინადადე-

---

[1] Газ. «Коммунист» (Баку) № 196, 30 августа 1921 г.

[2] Газ. «Правда Грузии» № 66, 21 мая 1921 г.

ბას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოსა და სომხეთის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ამიერკავკასიის პროფკავშირთა პირველ ყრილობაზე, რომელიც 1922 წლის მარტში გაიმართა, საბოლოოდ განმტკიცდა სამი რესპუბლიკის პროფკავშირთა გაერთიანება. ამ მხარის პროფკავშირთა გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობისათვის, მან ხელი შეუწყო მუშების ინტერნაციონალურ შეკავშირებას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ, რომელიც ბაქოში გაიხსნა 1921 წლის 1 სექტემბერს, ცხადყო ამ მხარის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მისწრაფება ძმური ერთიანობისადმი. ყრილობაზე მოხდა კომკავშირულ ორგანიზაციათა გაერთიანება და გამოცხადდა, რომ ისინი მთლიანად უერთდებიან რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს.

რკინიგზების, საგარეო ვაჭრობის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გზაზე. მან ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის დამყარებას.

მაგრამ ძირითადად მაშინ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ჯერ კიდევ კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ. თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი ფულის სისტემა. სამეურნეო საქმეების ცალ-ცალკე გაძღოლა, მიმოქცევაში სხვადასხვა ფულის არსებობა აფერხებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებას, ხელს უშლიდა მათი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების საშინაო და საგარეო პირობები დაჟინებით მოითხოვდნენ მათი არა მარტო სამეურნეო, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანების, სახელმწიფოებრივი კავშირის საუკეთესო ფორმა იყო საბჭოთა ფედერაცია. კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, როცა ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო აღმოფხვრილი ეროვნული შუღლი, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ხელოვნურად აღვივებდა ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა, როცა არ შენელებულა მენშევიკების, დაშ-

ნაკებისა და მუსავატელების ბატონობის შედეგად უაღრესად გამწვავებული ეროვნული ურთიერთობა, ფედერაცია ხელს შეუწყობდა ერთა შორის უნდობლობის აღმოფხვრის, ძმური თანამშრომლობის დამყარების ამოცანების გადაწყვეტას.

ფედერაციის შექმნის საჭიროება ნაკარნახევი იყო საგარეოპოლიტიკური მიზეზებითაც. იმპერიალისტური სახელმწიფოები მზად იყვნენ ესარგებლათ სულ მცირე შესაძლებლობით, რათა ამიერკავკასიაში დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება, ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთობი და მხარის სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი. საზღვარგარეთ გაქცეული ამიერკავკასიელი კონტრრევოლუციონერები უცხოელ იმპერიალისტთა წაქეზებით აკოწიწებდნენ სხვადასხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს. მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ლიდერებმა, რომლებიც პარიზში შეიკრიბნენ 1921 წლის ივნისში, დადეს ხელშეკრულება, რომ ერთიანი ფრონტით გაილაშქრებდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა საზღვარგარეთ იმპერიალიზმის აგენტურის მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „კავკასიის აჯანყების გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტი".

საჭირო იყო ერთიანი იმპერიალისტური ფრონტისათვის დაეპირისპირებინათ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული ღონისძიებანი.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგება, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ იყვნენ განადგურებული.

ყოველივე ეს უაღრესად აძნელებდა ამიერკავკასიის კომუნისტების მუშაობას. საჭირო იყო, რომ პარტიულ ორგანიზაციებს მოთმინებით, საგულდაგულოდ ემუშავათ, რათა მშრომელები აღეზარდათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

1921 წლის 3 ნოემბერს ბაქოში გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. მოლოტოვი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. მოხსენება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ. მოხსენება

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შესახებ წაიკითხა შ. ზ. ელიავამ. პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ დამყარებულიყო „ფედერაციული კავშირი რესპუბლიკებს შორის, უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში“[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ მოიწონეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და მას ფართოდ გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის მშრომელები.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ფართო პოლიტიკური კამპანია. ამ მხარის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების საკითხებს განიხილავდნენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებში, მშრომელთა მასობრივ მიტინგებზე, პრესაში. მარტო თბილისში გაიმართა 30-ზე მეტი ხალხმრავალი მიტინგი და კრება. ყველგან იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებიც იწონებდნენ ფედერაციის იდეას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნისათვის ბრძოლის ავანგარდში იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახელოვანი ტრადიციებით აღზრდილი ბაქოელი მუშები. ს. მ. კიროვი ხაზგასმით აღნიშნავდა, აზერბაიჯანში „ბევრი ფილოსოფოსობა არ დაგვჭირვებია. როგორც კი წარმოიშვა აზრი ფედერაციის შექმნის შესახებ, არ დარჩა არც ერთი მუშა, აღტაცებული რომ არ ყოფილიყო ამის გამო“[2].

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა და ორგანიზაციულმა ბიუროებმა 1921 წლის 28 ნოემბერს მოიწონეს სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი და დაადგინეს გაეგზავნათ იგი აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრისათვის.

აზერბაიჯანის არაერთ მაზრაში გამართული პარტიული კონფერენციები ერთხმად იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც იწონებდნენ გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ტაუზის სამაზრო პარტიულმა კონფერენციამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ მხოლოდ გაერთიანების პირობებში შეიძ-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 254, 6 ноября 1921 г.

[2] Газ. «Правда Грузии» № 231, 7 декабря 1921 г.

ლება საერთო ღონისძიებებით აღადგინონ გაჩანაგებული ეკონომიკა, სამუდამოდ მოსპონ ეროვნული შუღლი და დაამყარონ ხალხთა ძმობა[1].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1921 წლის 14 ნოემბერს გაიმართა, აღნიშნა, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ პოლიტიკურად სწორია და დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პასუხისმგებელი მუშაკები, ცნო, რომ ეს საკითხი სავსებით მომწიფებული და დროული, ეკონომიურად მიზანშეწონილი და საარსებოდ საჭიროა[2]. ფედერაციას მხარი დაუჭირა აგრეთვე თბილისელ კომუნისტთა 1921 წლის 22 ნოემბერს გამართულმა კრებამ, რომელშიც ორი ათასი კაცი მონაწილეობდა.

1921 წლის ნოემბერში გამართული ერევნის კომუნისტთა კრების რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ფედერაცია მოწოდებულია მთელ მსოფლიოს უჩვენოს კავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ნიმუში. ერევნელი კომუნისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება შეესაბამება „მთელი კავკასიის მშრომელთა ეკონომიურ და პოლიტიკურ საჭიროებებს"[3].

სადაც კი განიხილავდნენ ფედერაციის საკითხს, კომუნისტები ყველგან იწონებდნენ ფედერაციული გაერთიანების იდეას. მაგრამ საქართველოს პარტიულ მუშაკთა ჯგუფმა პ. გ. მდივნის მეთაურობით, რომელშიც შედიოდნენ აგრეთვე ვ. ე. დუმბაძე, მ. ს. ოკუჯავა, მ. გ. ტოროშელიძე, კ. მ. ცინცაძე და სხვები, გაილაშქრა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ. შეცდომები ჰქონდათ აგრეთვე აზერბაიჯანის პარტიულ მუშაკებს რ. ა. ახუნდოვსა და მ. დ. ჰუსეინოვს. ისინი ფაქტიურად ილაშქრებდნენ ფედერაციის შესახებ კავკასიის ბიუროს დადგენილების წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდათ, რომ ფედერაციის შექმნა ნაადრევი და მცდარია. მათ მსჯელობაში აისახა საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრობლემათა არასწორი გაგება.

---

[1] მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 125, შესან. ერთ. 178, ფურც. 9.

[2] Газ. «Правда Грузии» № 218, 22 ноября 1921 г.

[3] Газ. «Правда Грузии» № 223, 27 ноября 1921 г.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს ამიერკავკასიის მშრომელთა გამაერთიანებელი მოძრაობის მსვლელობას. მან შეისწავლა ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები და დაწერა რეზოლუციის პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. 1921 წლის 29 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ერთხმად მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი რეზოლუცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია: რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ცნო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია პრინციპულად აბსოლუტურად სწორია და უთუოდ უნდა განხორციელდეს...[1] რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ფედერაციის საკითხები ფართოდ უნდა განიხილონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, მუშათა და გლეხთა მასებმა.

1921 წლის 7 დეკემბერს გაიმართა მეორე სამხარეო პარტიული თათბირი (ამიერკავკასიის პირველი პარტიული კონფერენცია), რომელშიც მონაწილეობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრები, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. თათბირმა მოისმინა გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება, თუ როგორ მიმდინარეობს ფედერაციის შექმნის კამპანია აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, და საჭიროდ ცნო გადასვლა ფედერაციის იდეების აგიტაციიდან „მუშაობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებაზე, რათა რაც შეიძლება მალე პრაქტიკულად განეხორციელებინათ ფედერაცია საბჭოების საშუალებით“[2]. ამ მიზნით თათბირმა წამოაყენა წინადადება დაჩქარებულიყო საბჭოების არჩევნები. თათბირმა მოიწონა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი.

კამპანია, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ფედერაციის შექმნის საკითხზე, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი ნდობის მკაფიო დემონსტრაცია იყო.

საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა პირველმა ყრილობებმა, აზერბაიჯანის კომპარტიის IV ყრილობამ ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ საჭიროა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 134.

[2] Газ. «Правда Грузии» № 234, 10 декабря 1921 г.

რაციული გაერთიანება, რაც ამ მხარეში სოციალისტური მშენებლობის, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

ფედერაციის შექმნას მხარი დაუჭირეს აგრეთვე საქართველოს და სომხეთის საბჭოების პირველმა ყრილობებმა, აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ.

კომუნისტები წარმატებით ძლევდნენ ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგობას და რაზმავდნენ მშრომელთა მასებს ამიერკავკასიის ფედერაციის ინტერნაციონალური დროშის გარშემო.

ფედერაციის შექმნისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა ძმური ერთიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების შეკავშირებას ერთიანი პარტიული ხელმძღვანელობით. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველმა ყრილობამ საკადრისი პასუხი გასცა ნაციონალ-უკლონისტებს და ცხადყო პარტიული მასების პოლიტიკური სიმწიფე, რომლებმაც ღრმად შეიგნეს, რომ საჭიროა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო, მტკიცე ძმური კავშირი.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1922 წლის 23 თებერვალს გაიმართა, განიხილა ფედერაციის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ.

1922 წლის 11 მარტს გაიხსნა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კონფერენცია. თითოეული რესპუბლიკისაგან კონფერენციას ესწრებოდა 25 კაცი. კონფერენცია ამიერკავკასიის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო იყო; მას ჰქონდა ერთი წლის რწმუნებანი და ამ დროის მანძილზე სამჯერ მაინც უნდა გამართულიყო. კონფერენციამ შექმნა აღმასრულებელი ორგანო — საკავშირო საბჭო, მისი პრეზიდიუმი, რომელშიც შედიოდა სამი წევრი (თითოეული რესპუბლიკის თითო წარმომადგენელი) და უმაღლესი ეკონომიური საბჭო, აგრეთვე დაამტკიცა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის კანდიდატურები. 1922 წლის 12 მარტს კონფერენციამ მიიღო სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოცია-

ლისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. სამოკავშირეო ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სრულუფლებიანმა კონფერენციამ, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი პროლეტარული რევოლუციის მიერ გამოცხადებული ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით, ცნობს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას, შეგნებული აქვს, რომ საჭიროა ძალების შეკავშირება თავდაცვის მიზნით და სამეურნეო მშენებლობის ინტერესებისათვის, დაადგინა, რომ ამიერიდან აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები ერთმანეთთან ამყარებენ მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს...[1].

ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო საკავშირო საბჭოსა და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს უფლება-მოვალეობანი. საკავშირო საბჭო განაგებდა სამხედრო და საფინანსო, საგარეო პოლიტიკის, საგარეო ვაჭრობის, გზათა, კავშირგაბმულობის, ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას. შეიქმნა საკავშირო საგანგებო კომისია და მუშურ-გლეხური ინსპექცია.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების დიდი ისტორიული მოვლენა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

თავისი არსებობის მანძილზე საკავშირო საბჭომ დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო-პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საკავშირო საბჭომ შექმნა ამიერკავკასიის გაერთიანებული სახალხო კომისარიატები, მოაწესრიგა სასაზღვრო დავა, ამ მხარის ტყეებით, წყლებითა და საძოვრებით სარგებლობის საკითხები.

ფედერაციული კავშირის შექმნის მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტები ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ, ხელს უშლიდნენ მის განმტკიცებას. პარტიულ ორგანიზაციებში ისინი ქმნიდნენ დაჯგუფებებს, უთანხმოებას, კინკლაობას. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა პროტესტი ფედერაციული კავშირის შექმნის წინააღმდეგ და 1922 წლის 5 აპრილს

[1] «История Советской Конституции», стр. 358.

მიიღო დადგენილება, რომელშიც კვლავ დაადასტურა თავისი ნოემბრის გადაწყვეტილება ფედერაციის შესახებ და დაავალა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიებს უთუოდ და უშენიშვნოდ განეხორციელებინათ ეს გადაწყვეტილება. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით მოსთხოვა ამიერკავკასიის კომუნისტებს ბოლო მოეღოთ კინკლაობისა და ჯგუფურობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში, რომ „ამიერკავკასიის მშრომელთა მასების ეროვნული მშვიდობისა და ძმური სოლიდარობის განმტკიცებისათვის ბრძოლა კვლავაც ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა...“[1]. ამასთან რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე უთანხმოებათა გადაწყვეტის დროს შეუწყნარებელია ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება. ცენტრალურმა კომიტეტმა მოაგონა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ნაციონალისტური გადმონაშთებით მოწამლული წვრილბურჟუაზიული მასები საბჭოთა მშენებლობაში უნდა ჩააბან ფრთხილად, თანდათანობით იმუშაონ მათი ხელახლა აღზრდისათვის.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულმა კავშირმა დიდი როლი შეასრულა ამ მხარის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებასა და სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენაში. მაგრამ სახელშეკრულებო კავშირის ფარგლებში საკმაოდ ძნელი იყო სოციალისტური მშენებლობის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა. ფედერაციული კავშირი აერთიანებდა რესპუბლიკების საქმიანობის მხოლოდ ზოგიერთ დარგს — სამხედრო, დიპლომატიურ და ნაწილობრივ სამეურნეო დარგებს, ხოლო საკავშირო საბჭო საბოლოო ანგარიშით იყო შეზღუდული კომპეტენციის მქონე სათათბირო ორგანო. ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვდა ერთიანი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა პირველადმა გაერთიანებამ და ფედერაციული კავშირის შექმნამ მოამზადეს საჭირო პირობები გაერთიანების უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლისათვის — ერთიანი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისათვის. 1922

---

[1] «Известия Центрального Комитета Российской Коммунистической партии (большевиков)» № 6 (42), 1922 г., стр. 4.

წლის ზაფხულიდან ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ბრძოლა, რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის ნაცვლად შექმნილიყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა.

სოციალისტური მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისა და საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო რესურსების, საგარეოპოლიტიკური ღონისძიებების გაერთიანებას. პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის საერთო ბრძოლით გაერთიანებული საბჭოთა ხალხები ესწრაფვოდნენ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ვ. ი. ლენინი. მან წამოაყენა, დაასაბუთა და განავითარა სსრ კავშირის როგორც თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, სუვერენული ერების ნებაყოფლობითი თანამეგობრობის შექმნის იდეა.

ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო კომუნისტური პარტია. მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა თითქმის ერთდროულად წამოჭრეს საკითხი, რომ საჭიროა ერთიანი საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. 1922 წლის იელისში რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა დაავალა გ. კ. ორჯონიკიძეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში დაესვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

აგვისტოში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელშიც შეეიდნენ ს. ა. აღამალი ოღლი, ვ. ვ. კუიბიშევი, პ. გ. მდივანი, ა. თ. მიასნიკოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, გ. ი. პეტროვსკი, ი. ბ. სტალინი, ა. გ. ჩერვიაკოვი და სხვები. კომისიას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის უნდა მოემზადებინა საკითხი რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შემდგომი ურთიერთობის შესახებ. კომისიამ მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებული თეზისები, რომლებიც ცნობილი

გახდა როგორც „ავტონომიზაციის“ გეგმა. თეზისებით გათვალისწინებული იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანება ავტონომიის საფუძველზე რუსეთის სფსრ ფარგლებში.

1922 წლის სექტემბრის დამდეგს ი. ბ. სტალინის თეზისები გაეგზავნა საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს თეზისებს. სულ სხვა პოზიციას დაადგა ამ საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 15 სექტემბერს გაიმართა, ხმის უმრავლესობით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: „გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით, რომელსაც გვთავაზობენ ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე, ჩაითვალოს ნაადრეად. სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, მაგრამ ამასთან უნდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი“[1]. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები პ. გ. მდივნის მეთაურობით, რომლებიც მაშინ უმრავლესობას შეადგენდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, თუმცა შენიღბული ფორმით, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. 1922 წლის სექტემბერში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა პ. გ. მდივნის, მ. ს. ოკუჯავასა და ვ. ე. დუმბაძის თანდასწრებით კიდევ ერთხელ განეხილა მათი განცხადებანი. იმისათვის, რომ თავს არიდებდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შენიშვნა.

მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში განხილვისას „ავტონომიზაციის“ იდეა არსებითად არ გაუკრიტიკებიათ, მაგრამ განხილვის დროს გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, რომლებიც მოწმობდნენ ამ პროექტის სერიოზულ ნაკლოვანებებს. მიუხედავად ამისა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს კომისიის სხდომამ, რომელიც 23—24 სექტემბერს გაიმართა, საფუძვლად მიიღო (თავი შეიკავა მხოლოდ საქართველოს წარ-

---

[1] Борьба за упрочение Советской власти в Грузии. Сборник документов и материалов. Тбилиси, 1959, стр. 116—117.

მომადგენელმა) ი. ბ. სტალინის პროექტი. სპეციალური პუნქტით კომისიამ უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია.

25 სექტემბერს კომისიის მასალები, აგრეთვე აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების რეზოლუციები გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს გორკიში[1]. ვ. ი. ლენინმა ყურადღებით შეისწავლა ეს დოკუმენტები და 25—29 სექტემბერს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის საკითხებზე ესაუბრა ი. ბ. სტალინს, გ. კ. ორჯონიკიძეს, ა. თ. მიასნიკოვს, გ. ი. სოკოლნიკოვს, პ. გ. მდივანს, ვ. ე. დუმბაძეს, კ. მ. ცინცაძეს, მ. ს. ოკუჯავას და სხვ[2].

26 სექტემბერს ვ. ი. ლენინმა წერილი მისწერა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, რომელშიც გააკრიტიკა „ავტონომიზაციის" პროექტი და წამოაყენა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პრინციპულად ახალი საფუძველი — ყველა დამოუკიდებელი მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის რუსეთის სფს რესპუბლიკის ნებაყოფლობით შესვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მათი სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობის საფუძველზე.

ი. ბ. სტალინმა გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის მითითებანი და გადაამუშავა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს კომისიის რეზოლუცია. ახალი პროექტი დაეგზავნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს.

1922 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დეტალურად განიხილა ახალი პროექტი და ერთსულოვნად მიიღო სსრ კავშირის შექმნის ლენინისეული გეგმა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია: „მიჩნეულ იქნეს საჭიროდ ხელშეკრულების დადება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად" მათი გაერთიანების შესახებ, ამასთან თითოეულ მათგანს უფლება აქვს თავისუფლად გამოვიდეს „კავშირის" შემადგენლობიდან"[3]. რზეოლუციაში აღ-

---

[1] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 45, стр. 558.

[2] იქვე, გვ. 686, 687.

[3] იქვე, გვ. 559.

ნიშნული იყო, რომ კავშირის უმაღლესი ორგანოა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიან რუსეთის სფსრ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლები იმ მოსახლეობის პროპორციულად, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო დიდმპყრობელური შოვინიზმი, ამასთან უარყო პ. გ. მდივნის განცხადებანი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შემდგომი შენარჩუნება მიზანშეწონილი არ არისო, და მისი წინადადება, რომ ეს რესპუბლიკები უშუალოდ შესულიყვნენ სსრ კავშირში. პლენუმმა საკუთარი მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის წინადადება, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები სსრ კავშირში შევიდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შენარჩუნება და განვითარება, მათი შესვლა სსრ კავშირში ერთიანი ამიერკავკასიის სფსრ შემადგენლობით ნაკარნახევი იყო როგორც ამ მხარის ეკონომიური, სამეურნეო ერთიანობით, ისევე საჭიროებით, რომ საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეროვნული უნდობლობა და უზრუნველყოფილიყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოიწონეს საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ლენინისეული გეგმა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილება. გაიშალა ნამდვილად საყოველთაო სახალხო გამაერთიანებელი მოძრაობა საკავშირო სახელმწიფოს შექმნისათვის.

1922 წლის 18 ოქტომბერს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება და გადაწყვიტა გაეჩაღებინა მასებში სააგიტაციო კამპანია ამიერკავკასიის სფსრ შექმნისა და სსრ კავშირში მისი შესვლისათვის.

თბილისის საერთო საქალაქო პარტიულმა კრებამ, რომელიც 1922 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა, მხურვალედ მოიწონა სსრ

კავშირის შექმნის იდეა. „ეს ახალი მსოფლიოში არნახული თანასწორთა ძმური კავშირი, — ნათქვამი იყო კრების რეზოლუციაში,— სავსებით შეესაბამება საბჭოთა ქვეყნების მშრომელ ხალხთა საარსებო ინტერესებს, ქვეყნებისა, რომელთა პოლიტიკური განმტკიცება და ეკონომიური განვითარება მოითხოვს მათს გაერთიანებას ერთიან მძლავრ საბჭოთა კავშირში კაპიტალის წინააღმდეგ"[1].

1922 წლის 26 ოქტომბერს გამოქვეყნდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თეზისები საბელწოდებით „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა". პარტიულ კრებებსა და მშრომელთა მიტინგებზე მოხსენებებს საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო სახელმწიფო კავშირის შექმნის საჭიროების შესახებ აკეთებდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. პრესის ორგანოები რუბრიკით „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი" სისტემატურად ბეჭდავდნენ სტატიებს, ანგარიშებს პარტიული კონფერენციების, პლენუმების, მშრომელთა კრებებისა და მრავალრიცხოვანი მიტინგების შესახებ, რომელთა მონაწილენი ფართოდ განიხილავდნენ სსრ კავშირის შექმნის საკითხს.

1922 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა აზერბაიჯანის კომპარტიის II კონფერენცია. მან განიხილა აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. მ. კიროვის მოხსენება და ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიესალმებოდა სსრ კავშირის შექმნის იდეას. ამავე დროს კონფერენციამ დაადასტურა, რომ „საარსებოდ საჭიროა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება და განმტკიცება და რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების როგორც ერთიანი მთელის შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით"[2].

ერევნის პარტიული ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრებამ მოისმინა ა. თ. მიასნიკოვის მოხსენება სსრ კავშირის შესახებ და ერთსულოვნად მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილება. კრების რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცე-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 107, 24 октября 1922 г.

[2] Конференция Азербайджанской Коммунистической партии (большевиков) 1—4 XI. 22 г. Резолюции. Баку, 1922, стр. 3.

ბის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და ორგანიზაციული გაერთიანება[1].

სოხუმის საქალაქო პარტორგანიზაციის, პროფკავშირების, წითელარმიელებისა და აფხაზეთის ახალგაზრდობის კავშირის გაერთიანებულმა კრებამ მთლიანად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის შექმნის იდეას, გამოთქვა რწმენა, რომ რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საკავშირო საბჭო მტკიცედ დაუჭერენ მხარს ამ იდეის განხორციელებას[2].

პარტიის ზუგდიდისა და ახალსენაკის სამაზრო, ბათუმისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების პლენუმებმა აგრეთვე მოიწონეს სსრ კავშირის შექმნის იდეა და მხარი დაუჭირეს მის რაც შეიძლება მალე განხორციელებას. პარტიის გორის სამაზრო კომიტეტმა სსრ კავშირის შესახებ მ. ი. კახიანის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება და განმტკიცება და პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომუნისტები და მშრომელები მხარს უჭერდნენ სსრ კავშირის შექმნის იდეას, პ. გ. მდივნის ჯგუფი კვლავ მოითხოვდა ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას და ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკის დამოუკიდებლად შესვლას სსრ კავშირში. ნაციონალ-უკლონისტები სხვადასხვა მოთხოვნებით გზავნიდნენ დელეგაციებს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, უჩიოდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს. ბუხარინის მეშვეობით მათ ვ. ი. ლენინს გადასცეს ბარათი, რომელშიც კვლავ სვამდნენ საკითხს ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისა და სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ. 1922 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა კ. მ. ცინცაძის ინფორმაცია მოსკოვში სპეციალური დელეგაციის წარგზავნის შედეგების შესახებ და მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „იმ შემთხვევაში, თუ რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა საქართველოს კომპარტიის შუამდგომლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ: ა) ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს არსებობა ჩაითვალოს ზედმე-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 121, 10 ноября 1922 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 116, 3 ноября 1922 г.

ტად; ბ) საკითხი ამიერკავკასიის ფულის ნიშნების შემოღების შესახებ შეიძლება მოიხსნას; გ) რაც შეეხება ქართული ბონების დატოვებას ან მათ ნაცვლად საბჭოთა ფულის ნიშნების შემოღებას, ამ საკითხზე საჭიროა ცალკე მსჯელობა"[1].

ვ. ი. ლენინმა მკვეთრად გააკრიტიკა მდივნის ჯგუფის მცდარი პოზიცია და აგრძნობინა მათ, რომ უთანხმოებანი ამოწურულია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებით. 1922 წლის 21 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა დეპეშა გაუგზავნა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც უკმაყოფილება გამოთქვა მდივნის ჯგუფის მომხრეთა მოქმედების გამო და გადაჭრით დაგმო მათი გამოხდომები გ. კ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ[2].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ჯგუფმა იგრძნო, რომ მისი პოზიცია შეირყა და გადაწყვიტა გადამდგარიყო. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრმა მ. დ. ორახელაშვილმა გააკეთა ცალკე განცხადება, რომელშიც გადაჭრით დაგმო ამ ჯგუფის ანტიპარტიული საქციელი. ამ განცხადებას შეუერთდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ა. ა. გეგეჭკორი და შ. ზ. ელიავა. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, შემდეგ კი რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უკლონისტური ჯგუფის გადადგომა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში ამ საკითხის გამო ნათქვამი იყო: „ვინაიდან საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკთა კრებამ და ქალაქ თბილისის საერთო საქალაქო პარტიულმა კრებამ უნდობლობა გამოუცხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ შემადგენლობას, და ვინაიდან საქართველოს კომპარტიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი აშკარად არ შეესაბამება თავის ამოცანებს — ლოიალურად და დროულად განახორციელოს რკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივები, დაკმაყოფილდეს საქართველოს კომპარტიის ახლანდელი ცენტრალური

---

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში მლისფპა), ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 2, ფურც. 180.

2 В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 54, стр. 299—300.

კომიტეტის შუამდგომლობა მისი გადადგომის შესახებ"[1]. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა წარადგინა. საქართველოს კომპარტიის ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა წერილით მიმართა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, რომელშიც განუმარტავდა კომუნისტებს ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა არსს, და მოითხოვა, რომ შეეწყვიტათ ყოველგვარი დისკუსიები და აღარ განეხილათ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ წევრთა აპელაციები პარტიული ორგანიზაციებისადმი უკვე გადაწყვეტილი საკითხების გამო.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ვ. ი. ლენინი საესებით უჭერდნენ მხარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზს ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა გ. კ. ორჯონიკიძეს ადმინისტრირებისა და მეტისმეტი სიმკვახისათვის, იმისთვის, რომ მოქნილობასა და სიფრთხილეს არ იჩენდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებისას.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1922 წლის ნოემბერში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელსაც ფ. ე. ძერჟინსკი მეთაურობდა. კომისიას სასწრაფოდ უნდა განეხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამდგარ წევრთა განცხადებანი და შეემუშავებინა საქართველოს კომუნისტთა რიგების ერთიანობის აღდგენის ღონისძიებანი. კომისიამ გამოიტანა ძირითადად სწორი პოლიტიკური დასკვნები, აღნიშნა, რომ რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობა შეესაბამება პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს. ამავე დროს კომისიამ ვერ შეძლო სათანადო მიუდგომლობით და ყოველმხრივ განეხილა ეს საკითხი. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა, რომელიც გმობდა მდივნის მცდარ პოზიციას ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის საკითხებში, დასვა საკითხი, რომ ამიერკავკასიაში გაეგზავნათ ცენტრალური კომიტეტის ახალი კომისია ვ. ვ. კუიბიშევის მეთაურობით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომისიის მასალების გაცნობის შედეგად ცნო, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა

---

[1] ბლიცპა, ფ. 558, აღწ. 1, შესან. ერთ. 2446, ფურც. 1, 2.

და პირადად გ. კ. ორჯონიკიძის პოლიტიკური ხაზი პრინციპულად სწორია და სავსებით შეესაბამება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ წევრთა პოზიცია კვალიფიცირებული იყო როგორც ნაციონალისტური გადახრა. ამავე დროს აღინიშნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შეცდომები — ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ზოგიერთი დარგის მეტისმეტი ცენტრალიზაცია[1]. შემდგომში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის რიგების ერთიანობის უზრუნველსაყოფად.

1922 წლის 11—12 ნოემბერს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის II პარტიული კონფერენცია. მას ესწრებოდა 95 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 18 — სათათბირო ხმის უფლებით. კონფერენციამ განიხილა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ანგარიში, სსრ კავშირის შექმნის, ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობისა და რესპუბლიკების საბჭოების ყრილობათა მოწვევის, წითელი არმიის საკითხები და მიმდინარე საქმეები. მოხსენება რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობის შესახებ გააკეთა მ. დ. ორახელაშვილმა. ვრცელი მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის შექმნა საარსებო საკითხი, „უმთავრესად ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტის საკითხია"[2]. მოხსენებაში ხაზგასმული იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები სსრ კავშირში უნდა შევიდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, რაც ამ მხარეში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმაა.

კონფერენციამ სრული სოლიდარობა გამოუცხადა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რესპუბლიკების კავშირში საქა-

---

[1] История Коммунистической партии Советского Союза, т. 4, кн. I, М., 1970, стр. 204.

[2] Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Тифлис, 1922, стр. 17.

რთველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უნდა შევიდნენ როგორც ერთიანი ოჯახი, ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით"[1].

კონფერენციამ მოიწონა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობა და გადაჭრით დაგმო ნაციონალ-უკლონისტთა ხაზი — ძირი გამოეთხარათ ამიერკავკასიის ფედერაციისათვის, მოუწოდა საქართველოს კომუნისტებს ემუშავათ ერთსულოვნად, შეთანხმებულად და მხარი დაეჭირათ თავიანთი ახალი ცენტრალური კომიტეტისათვის. „ამიერკავკასიის კონფერენცია, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — კვლავაც ადგას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შენარჩუნებისა და განმტკიცების თვალსაზრისს... ადასტურებს, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ამიერკავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და რკპ ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი ორგანოა ამიერკავკასიაში და ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას განუხრელად ახორციელებდეს რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყველა დადგენილებასა და დირექტივას"[2].

კონფერენციამ აღნიშნა, რომ უპირველესი მნიშვნელობა აქვს წითელი არმიისა და ფლოტის განმტკიცებას, დასახა ღონისძიებანი ჯარის ნაწილებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ.

ამრიგად, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს სრული ერთსულოვნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხში, მხარი დაუჭირეს სსრ კავშირში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სსრ შესვლას ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

სსრ კავშირში საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ლოზუნგს მხურვალედ გამოეხმაურნენ მშრომელთა ფართო მასები. საბჭოების სამაზრო, საუბნო ყრილობებზე, რაიონული და საქალაქო საბჭოების პლენუმებზე, ყველგან კომუნისტებს ერთსულოვნად ირჩევდნენ ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის დელეგატებად. ამომრჩეველები თავიანთ დეპუტატებს ავალებდნენ, რომ ყოველი ღონისძიებით განე-

---

[1] Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 30.

[2] იქვე. გვ. 16, 17.

ხორციელებინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების შემდგომი გაერთიანებისა და სსრ კავშირში მათი შესვლის ხაზი.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ მუშაობა დაიწყო ბაქოში 1922 წლის 10 დეკემბერს. ყრილობის გახსნისას ნ. ნ. ნარიმანოვმა თქვა: „ამ საზეიმო ისტორიულ დღეს სიხარულით ძგერს ამიერკავკასიის ყველა მშრომელის გული, რადგან დღეს საძირკველი ეყრება იმ სახლს, რომლის საერთო ჭერქვეშ ამიერკავკასიის ყველა მშრომელი ერთად იქნება ჭირსა და ლხინში. ამ დღეს ჩვენ ვსახავთ თავისუფლების, ძმობისა და შრომის გამარჯვების ყველაზე ადვილ, ყველაზე სწორ გზას".[1]

მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ყრილობაზე გააკეთა ს. მ. კიროვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის უდიდესი შენობის საძირკველში ჩადებული თითოეული ქვა საუკეთესო აგიტაცია იქნება.[2]

ნ. ნ. ნარიმანოვმა გააკეთა აგრეთვე საანგარიშო მოხსენება ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს საქმიანობის შესახებ. ყრილობამ მოიწონა საკავშირო საბჭოს საქმიანობა.

მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესახებ გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ. ყრილობამ მიიღო კომუნისტური ფრაქციის მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყრილობას დროულად და საჭიროდ მიაჩნია ასეთი კავშირის შექმნა შემდეგ საფუძვლებზე...

რუსეთი, უკრაინის, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის ფედერაცია ერთიანდებიან ერთ ძირითად სახელმწიფოდ, რომელსაც ეწოდება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", ამასთან თითოეულ ამ რესპუბლიკას შენარჩუნებული აქვს უფლება თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან"[3].

ყრილობამ გამოაცხადა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, ერთხმად მიიღო მისი კონსტიტუცია და აირჩია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 150 წევრისა და 50 კანდიდატის შემადგენლობით. ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შედიოდა 13 კაცი, მათ შორის სამი თავმ-

---

[1] Первый Закавказский съезд Советов. Тифлис, 1923, стр. 1.

[2] იქვე, გვ. 27.

[3] იქვე, გვ. 129.

ჯდომარე (ს. ა. აღამალი ოღლი, ს. ს. ამბარცუმიანი, მ. გ. ცხაკაია), თითო თითოეული რესპუბლიკისაგან, რომლებიც რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს. პირველ სესიაზე, რომელიც 1923 წლის იანვარში გაიმართა, ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა ამიერკავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭო, რომელთანაც დაარსდა უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობისა და სრულიად საკავშირო საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატები და მისცა მათ მანდატები, რომ „უფლება აქვთ ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ"[1].

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ გაუგზავნა მისალმებანი ვ. ი. ლენინს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს. ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ დავამყარეთ მტკიცე ეროვნული მშვიდობა, რაც ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ურყევობის საწინდარია, ერთიან ოჯახად შევდივართ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი ნაცადი და უნარიანი ხელმძღვანელობით და კომინტერნის დროშებით აქ, აღმოსავლეთის კარიბჭესთან, მივაღწევთ საბჭოთა ხელისუფლების მძლავრ განმტკიცებას, ჩვენი ერთიანი მეურნეობის აღორძინებას..."[2].

ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა ისტორიული მოვლენა იყო ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. მან მკაფიოდ ცხადყო კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებანი ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ფედერაციამ უდიდესი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობის აღდგენაში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში.

ამიერკავკასიის სფსრ საბჭოთა რესპუბლიკების ახალი ტიპის ურთიერთობის მაგალითი იყო. რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით იგი აგებული იყო არა ავტონომიის ბაზაზე, არამედ მასში

---

[1] Первый Закавказский съезд Советов, стр. 147.
[2] იქვე, გვ. 93.

შემავალი სამი თანასწორუფლებიანი და სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. ამიერკავკასიის სფსრ შექმნა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სსრ კავშირის შექმნის გზაზე, რადგან ეს იყო სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების პირველი ცდა. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მხოლოდ საბჭოთა ფედერაციას შეუძლია მრავალეროვან სახელმწიფოში უზრუნველყოს წინათ ჩამორჩენილ ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის აყვავება.

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში, რომელიც საკავშირო სახელმწიფოს წარმოადგენდა, კარგად იყო შეხამებული მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერესების ინტერნაციონალური ერთიანობის მოთხოვნები და მათი ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტი, საბჭოთა ფედერაციის საფუძველზე შექმნილი დიდი სახელმწიფოს უპირატესობანი და ამიერკავკასიის ხალხთა საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ამოცანები.

ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობის პერიოდში პარტიულ ორგანიზაციებს უხდებოდათ მნიშვნელოვან სიძნელეთა დაძლევა: ერთი მხრივ, ეს იყო ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგობა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ზედმეტი ცენტრალიზაციის ტენდენცია, რაც პრაქტიკულად მეტისმეტად ზღუდავდა რესპუბლიკური ორგანოების უფლებებს, იწვევდა უთანხმოებას ამიერკავკასიის სფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების ერთგვაროვან უწყებათა და დაწესებულებათა შორის. ასეთი სადავო საკითხების მოწესრიგებას პარტიული ორგანიზაციები ბევრ დროს, ძალღონესა და ენერგიას ალევდნენ.

ვ. ი. ლენინი, რომელიც ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ სსრ კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით ოდნავ მაინც შელახულიყო საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენული უფლებები, მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისათვის და გაეფართოებინათ მათი უფლებები. ვ. ი. ლენინის ეს მითითება სავსებით ეხებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობასაც. ი. ბ. სტალინი, რომელიც აკრიტიკებდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მეტისმეტი ცენტრალიზაციის ხაზის განხორციელებისათვის, ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის სწორედ ამ მითითებებით. 1923 წლის 21 მარტს გ. კ. ორჯონიკი-

ძის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ი. ბ. სტალინი წერდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნისას „ამიერკ. სახკომსაბჭომ ეროვნულ სახკომსაბჭოებს წაართვა თითქმის ყველა კომისარიატი, ხუთი თუ ექვსი საყოფაცხოვრებო კომისარიატის გარდა, მიმაჩნია, რომ ეს კომბინაცია.. .არასწორი და უკანონოა... არ შეიძლება ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკები ჩავაყენოთ ყირიმისა და იაკუტიის რესპუბლიკებზე უარეს მდგომარეობაში. ეს შეცდომა აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს".[1]

1922 წლის დამლევისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის ამიერკავკასიის მშრომელებმა გამოთქვეს თავიანთი ურყევი ნება-სურვილი გაერთიანებულიყვნენ. ეს იყო მშრომელთა ბუნებრივი და ნებაყოფლობითი მისწრაფება, რომელიც გამოხატავდა მათს საარსებო ინტერესებს.

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1922 წლის 23—27 დეკემბერს, ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა კვლავ დაადასტურეს მშრომელთა მისწრაფება შეექმნათ ერთიანი საკავშირო სახელმწიფო. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისაგან ყრილობაზე გამოვიდნენ ს. ლ. ლუკაშინი, გ. მ. მუსაბეკოვი და მ. გ. ცხაკაია. ყრილობამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებს საერთო ღონისძიებებით ებრძოლათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

1922 წლის 30 დეკემბერს დილით საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიანმა დელეგაციებმა კრემლში ხელი მოაწერეს დეკლარაციასა და ხელშეკრულებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ. 30 დეკემბერს საღამოს გაიხსნა სრულიად საკავშირო საბჭოების პირველი ყრილობა. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისაგან ყრილობას ესწრებოდა 73 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 18 — სათათბირო ხმის უფლებით.

მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ გააკეთა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც წაიკითხა დეკლარაცია და სამოკავშირო ხელშეკრულება. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში „გახდა შესაძლებელი ეროვნული ჩაგვ-

---

[1] მლიცპა, ფ. 558, აღწ. 1, შესან. ერთ. 2522, ფურც. 1—2.

რის ძირფესვიანად აღმოფხვრა, ურთიერთ ნდობის ვითარების შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საძირკველის ჩაყრა".[1]

ხელშეკრულება განსაზღვრავდა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას, მათს სტრუქტურასა და არჩევნების წესს, ხელისუფლების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ურთიერთობის ხასიათს, აწესებდა ერთიან საკავშირო მოქალაქეობას. ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას უფლება აქვს თავისუფლად გამოვიდეს სსრ კავშირიდან.

ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებს საფუძვლად დაედო ნებაყოფლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის ლენინური პრინციპები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეები. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება განხორციელდა ნებაყოფლობის საწყისებზე, სსრ კავშირში შესული თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საფუძველზე.

ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა 371 წევრი და 138 წევრობის კანდიდატი. მათ შორის იყვნენ ამიერკავკასიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებიც: ს. ა. ალამალი ოღლი, ს. ს. ამბარცუმიანი, რ. ა. ახუნდოვი, ა. ა. გეგეჭკორი, ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე, ა. თ. მიასნიკოვი, გ. მ. მუსაბეკოვი, ა. მ. ნაზარეტიანი, ნ. ნ. ნარიმანოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. ცხაკაია და სხვ. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებად აირჩიეს მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, ნ. ნ. ნარიმანოვი და ა. გ. ჩერვიაკოვი.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიაზე შეიქმნა სსრ კავშირის სახკომსაბჭო. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სსრ კავშირში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება არა მარტო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია, არამედ აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული გარდაქ-

---

[1] История Советской Конституции, стр. 393.

მნის, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ამოცანათა გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. საბჭოების პირველი ყრილობის მუშაობის დღეებში ვ. ი. ლენინმა უკარნახა წერილი „ეროვნებათა საკითხისათვის, ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ", რომელშიც გაშუქებულია ახალ ეტაპზე პარტიის ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეები, წამოყენებულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დებულებანი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რაობის შესახებ, კვლავ ხაზგასმულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ხალხთა ფაქტიური უთანასწოროობის ლიკვიდაციას.

სსრ კავშირის შექმნა იყო დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების როგორც ერთნაირი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანამშრომლობის, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ერებისა და ეროვნებების ნებაყოფლობით გამოთქმული ნება-სურვილის კანონზომიერი შედეგი, მათი გამაერთიანებელი მოძრაობის ლოგიკური დასასრული. ეს იყო გარდატეხის მომენტი საბჭოთა ხალხების ისტორიაში.

სსრ კავშირი გახდა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების თავისუფლებისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის, მათი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საიმედო გარანტია, სოციალისტური მშენებლობის წარმატებების, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საწინდარი.

სსრ კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიადი პრინციპების გამარჯვება იყო.

1923 წლის მარტში გაიმართა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა მორიგი ყრილობები, რომლებზეც შეაჯამეს თავიანთი საქმიანობის შედეგები და განიხილეს მორიგი ამოცანები. 12—16 მარტს მუშაობდა აზერბაიჯანის კომპარტიის V ყრილობა, რომელზეც მოხსენება რკპ (ბ) მომავალი XII ყრილობის შესახებ გააკეთა მ. ი. კალინინმა; 13—17 მარტს გაიმართა სომხეთის კომპარტიის II ყრილობა, ხოლო 14—18 მარტს—საქართველოს კომპარტიის II ყრილობა. ქართველ კომუნისტთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ვ. ვ. კუიბიშევი. ყრილობებმა განიხილეს პარტიული მუ-

შაობის მორიგი ამოცანები, სოფლის მეურნეობის, საფინანსო პოლიტიკის, სახალხო განათლების საკითხები, ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში, ქალთა შორის მუშაობის, კომკავშირისა და პროფკავშირების საქმიანობის საკითხები და სხვ.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ყრილობებმა შესაძლებლობა მისცეს ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს კარგად მომზადებულიყვნენ ამიერკავკასიის კომუნისტთა II ყრილობისათვის, რომელიც თბილისში გაიმართა 1923 წლის 19—23 მარტს. ყრილობას ესწრებოდა 243 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 34 — სათათბირო ხმის უფლებით. თითოეული ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ზუსტად დაადგინა ამიერკავკასიის კომუნისტთა აღწერამ, რომელიც 1922 წლის თებერვალ-მარტში მოეწყო. ყრილობის მოწვევის დროისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა პარტიის 11.680 წევრი და წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანში — 8.779, სომხეთში — 4.745 და არმიის ორგანიზაციებში — 4.585.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის უხუცესმა წევრმა მ. გ. ცხაკაიამ. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები; ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო და სარევიზიო კომისიათა ანგარიშები; რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ანგარიში, საფინანსო რეფორმისა და საგადასახადო პოლიტიკის შედეგები; ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში; სამეურნეო მშენებლობის საკითხები, ორგანიზაციული საკითხები, მიმდინარე საქმეები, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში წაიკითხა გ. კ. ორჯონიკიძემ, ორგანიზაციული — ა. თ. მიასნიკოვმა. „მთელი მსოფლიოს წინაშე, ჩვენი მტრებისა და მეგობრების წინაშე, — ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში გ. კ. ორჯონიკიძემ, — შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ასეთ მრავალტომიან, მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიც ამიერკავკასიაა, მხოლოდ ჩვენმა პარტიამ შეძლო დაემყარებინა ეროვნული მშვიდობა...“[1] ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი — ამიერკავკა-

[1] Второй съезд коммунистических организаций Закавказья. Полный стенографический отчет. Тифлис, 1923, стр. 8.

სიის ყველა ხალხის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის დამყარების ხაზი. ყრილობამ ყველა კომუნისტის უპირველეს ამოცანად დასახა კვლავაც განუხრელად განაგრძონ მუშაობა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა რიგების ერთიანობის განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის, ამიერკავკასიის სფსრ ყოველმხრივი განმტკიცებისათვის[1].

ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობა და მოითხოვა პარტიის სოციალური შემადგენლობის მკვეთრი გაუმჯობესება, მუშათა ბირთვის გაზრდა და განმტკიცება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა შევინარჩუნოთ პარტიის მშენებლობის კლასობრივი არსი, რათა განუწყვეტლივ ვავსებდეთ ჩვენს რიგებს მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებით.[2] ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა პარტიის წევრთა პოლიტიკური აქტივობის გადიდება და უპარტიო მასებთან მუშაობის გაფართოება.

ამიერკავკასიის კომუნისტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებით პარტიის ერთიანობის შესახებ, მტკიცედ განაცხადეს, რომ „ცდები ყოველნაირი კინკლაობა და უთანხმოებანი გადაიტანონ შინაპარტიულ ცხოვრებაში, მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს დანაშაულად პარტიის წინააღმდეგ“[3].

ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კომუნისტებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას. იმ პერიოდში, როცა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა აქა-იქ ედება მუშათა და გლეხთა რიგებს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — „კომუნისტური რიგების რევოლუციური სიმტკიცის დაცვის საქმეში კომუნისტური სწავლება უპირველესი ფაქტორის მნიშვნელობას იძენს...“[4]. რელიგიური ცრურწმენისაგან მუშათა და გლეხთა მასების განთავისუფლებისათვის ყრილობამ საჭიროდ ცნო ფართოდ განეკითარებინათ ანტირელიგიური

---

[1] Второй съезд коммунистических организаций Закавказья. Полный стенографический отчет, стр. 83.

[2] იქვე. გვ. 329.

[3] იქვე. გვ. 325.

[4] იქვე. გვ. 330.

პროპაგანდა „საერთოდ მეცნიერების, და კერძოდ, მარქსისტული მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე"[1].

კომკავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება რომ მოისმინა, რომელიც ნ. პ. ჩაპლინმა გააკეთა, ყრილობამ ახალგაზრდობას ამოცანად დაუსახა ღრმად ეუფლებოდეს დიად კომუნისტურ მოძღვრებას, ცდილობდეს მიიღოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა, შეითვისოს კომუნისტური პარტიის უძვირფასესი კუთვნილება — მისი სახელოვანი ძველი ბოლშევიკური გვარდიის ტრადიციები[2]. „თქვენ, ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს, — აღნიშნული იყო ყრილობის მიმართვაში კომკავშირელებისადმი, — გეკისრებათ აუცილებელი მოვალეობა ხელი შეუშალოთ მუშათა რევოლუციისა და კომუნიზმის მტრებს, რომ ნაციონალიზმის შხამით მოწამლონ ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ახალგაზრდობა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელი ახალგაზრდობა უნდა გახდეს ერთიანი ძმური ოჯახი, რომელსაც საერთო აქვს ყველა ფიქრი, ყველა მისწრაფება — იბრძოლოს მუშათა საქმისათვის, კომუნიზმისათვის"[3].

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სამეურნეო მშენებლობის, საფინანსო პოლიტიკის საკითხებს, დასახა ღონისძიებანი ამიერკავკასიაში საგადასახადო კანონმდებლობის ერთიანი სისტემის დაწესებისათვის.

ყრილობამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რათა პრესას სწორად გაეშუქებინა საბჭოთა კანონმდებლობა მიწისა და საგადასახადო პოლიტიკის დარგში. ამ საკითხთა საფუძვლიან ახსნა-განმარტებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის. ყრილობამ საჭიროდ ცნო მოსკოვის „ბედნოტას" ტიპის გლეხთა გაზეთების გამოცემა მკვიდრი მოსახლეობის ენებზე.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სოფლად მუშაობის უმნიშვნელოვანესი საყრდენი პუნქტია სასოფლო პარტიული უჯრედი. სოფლად კომუნისტთა წინაშე დასახული იყო დიდმნიშვნელოვანი ამოცანები — საფუძვლიანად უნდა განემარტათ მიწისა და საგადასახადო პოლიტი-

---

[1] Второй съезд коммунистических организаций Закавказья. Полный стенографический отчет, стр. 332, 333.

[2] იქვე. გვ. 109, 110.

[3] იქვე. გვ. 109.

კის, სახალხო განათლების საკითხები, სარეწაო და საბრძოლველო კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, მიწის კოლექტიურად დამუშავების მნიშვნელობა, საბჭოთა კანონმდებლობის არსი. დასახული იყო ისეთ ღონისძიებათა ფართო პროგრამა, როგორიც არის გლეხობის უწიგნურობის ლიკვიდაცია, სამაზრო საბჭოთა პარტიული სკოლების შექმნა, ქოხ-სამკითხველოების საშუალებით პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, სასოფლო უჯრედებზე დიდი საფაბრიკო-საქარხნო კომუჯრედების შეფობის ორგანიზაცია.

ყრილობამ აირჩია რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი — 23 წევრი და 9 წევრობის კანდიდატი. სამხარეო კომიტეტის წევრებს შორის იყვნენ ს. ს. ამბარცუმიანი, რ. ა. ახუნდოვი. მ. დ. ჰუსეინოვი, შ. ზ. ელიავა, ს. ი. იაკუბოვი, ა. გ. ყარაევი, მ. ბ. კასუმოვი, მ. ი. კახიანი, ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე, ა. თ. მიასნიკოვი, გ. მ. მუსაბეკოვი, ა. მ. ნაზარეტიანი, ნ. ნ. ნარიმანოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. თ. სტურუა, მ. გ. ცხაკაია და სხვ. ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიაში აირჩიეს 15 წევრი და 5 წევრობის კანდიდატი, ხოლო სარევიზიო კომისიაში — 5 კაცი. ყრილობამ აირჩია რკპ (ბ) XII ყრილობაზე წარსაგზავნი 23 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 13 — სათათბირო ხმის უფლებით.

1923 წლის 24 მარტს გაიმართა ახალი შემადგენლობის რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო. პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს შ. ზ. ელიავა, ს. ი. იაკუბოვი, ს. მ. კიროვი, ა. თ. მიასნიკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. ცხაკაია; პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად — მ. დ. ჰუსეინოვი, ა. მ. ნაზარეტიანი. სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ვ. დ. მიხაილოვი, ა. თ. მიასნიკოვი და ა. მ. ნაზარეტიანი.

ამიერკავკასიის კომუნისტთა მეორე ყრილობამ, რომელმაც განსაზღვრა მათი მორიგი ამოცანები, ცხადყო პარტიული ორგანიზაციის მზარდი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი ამ მხარის ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

1923 წლის 17 აპრილს მოსკოვში გაიხსნა რკპ (ბ) XII ყრილობა. ვ. ი. ლენინი ყრილობას ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო, მაგრამ

ყრილობის მუშაობას საფუძველად დაედო მისი უკანასკნელი სტატიები, სიტყვები და წერილები, რომლებშიც ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გეგმა. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, სახელმწიფო მრეწველობის საკითხი, ეროვნული საკითხი, სოფლად საგადასახადო პოლიტიკის საკითხი და სხვ. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში ეროვნული მომენტების შესახებ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო გამოტანილ რეზოლუციაში პარტიის XII ყრილობამ მოითხოვა ერთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის დაჩქარება, წინათ ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული და სამეურნეო დონის ამაღლება. ყრილობამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ რუსეთის მუშათა კლასმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრულ ხალხებს ფაქტიური უთანასწორობის დაძლევაში.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლებამ გამოიწვია ნაციონალიზმის გაძლიერება. იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულიყო ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალიზმის მშენებლობაში, განუხრელად განხორციელებულიყო ლენინური ეროვნული პოლიტიკა, ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია გადამწყვეტი ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის როგორც მთავარი საფრთხის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ამავე დროს ყრილობამ დაგმო ადგილობრივი ნაციონალიზმი. ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა ხელმძღვანელმა პ. გ. მდივანმა ყრილობაზე კვლავ გაილაშქრა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ გადაესინჯათ სსრ კავშირის შექმნის პრინციპები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა და პარტიამ მოიწონა. პ. გ. მდივანის ეს შეხედულებანი დასაბუთებულად გააკრიტიკეს ყრილობის დელეგატებმა შ. ზ. ელიავამ, ა. ს. ენუქიძემ, ა. ი. მიქოიანმა, მ. დ. ორახელაშვილმა, გ. კ. ორჯონიკიძემ, ი. თ. სტურუამ, მ. ვ. ფრუნზემ და სხვებმა, რომლებმაც განაცხადეს, პ. გ. მდივანის გამოსვლა ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებაა. მაგრამ ყრილობის დელეგატთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც შეეცადნენ დაეცვათ ნაციონალ-უკლონისტები და

აცხადებდნენ, მათი მოქმედება არც ისე საშიშიაო. ამ პოზიციას ადგნენ, კერძოდ, ბუხარინი და რაკოვსკი, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება, რომ რეზოლუციის პროექტიდან ამოეღოთ პუნქტი ადგილობრივი ნაციონალიზმის მავნეობის შესახებ. ყრილობამ უარყო ეს მცდარი წინადადებანი და ბოლომდე ამხილა ქართველი ნაციონალ-უკლონისტები.

რკპ (ბ) XII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციათა ქსელის შექმნისა და განვითარების დროს საჭიროა გაითვალისწინონ ეროვნული რესპუბლიკების სპეციფიკური თავისებურებანი. ამავე დროს ყრილობის რეზოლუციაში აღინიშნა: იმის გამო, რომ ეროვნული რესპუბლიკები ეკონომიურად ჩამორჩენილია, ჰყავთ მცირერიცხოვანი ეროვნული პროლეტარიატი, აკლიათ ან სულ არ ჰყავთ ძველი პარტიული მუშაკების ადგილობრივი კადრები, არა აქვთ მარქსისტული ლიტერატურა დედაენაზე, სუსტია პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა, და ბოლოს, ჯერ კიდევ იგრძნობა ნაციონალისტური ტენდენციები, ადგილობრივ კომუნისტებში თავი იჩინა გარკვეულმა გადახრამ ნაციონალიზმისაკენ — ზედმეტად აფასებენ ეროვნულ თავისებურებებს და ჯეროვნად ვერ აფასებენ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებსო. ეს მოვლენა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ყრილობამ, განსაკუთრებით საშიში ხდებოდა იმ რესპუბლიკებში, სადაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობდა, რადგან იქ ზოგჯერ უფრო ძლიერი ეროვნების კომუნისტებს შორის თავს იჩენდა შოვინიზმისაკენ გადახრა, მიმართული სუსტ ეროვნებათა კომუნისტების წინააღმდეგ. საქართველოსა და აზერბაიჯანში ეს გადახრა აფერხებდა ეროვნული პროლეტარიატის განთავისუფლებას ეროვნული ბურჟუაზიის იდეური გავლენისაგან, აძნელებდა სხვადასხვა ეროვნების პროლეტართა შეკავშირებას ერთიან ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციაში.

მეორე მხრივ, როგორც პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში, ისე ეროვნული რესპუბლიკების კომპარტიათა ორგანიზაციებში იყო ბევრი რუსი ძველი პარტიული მუშაკი, რომლებიც არ იცნობდნენ ამ რესპუბლიკების მშრომელი მასების ზნე-ჩვეულებებსა და ენას და ამიტომ ყოველთვის გულისხმიერად ვერ ეკიდებოდნენ მათს მოთხოვნილებებს. ამ გარემოებამ პარტიაში წარმოშვა გადახრა ველიკორუსული შოვინიზმისაკენ, როცა პარტიულ მუშაობაში ჯეროვნად ვერ აფასებენ ეროვნულ თავისებურებებსა და ეროვნულ ენას,

ქედმაღლურად და აგდებულად ეკიდებიან ამ თავისებურებებს. ეს გადახრა მავნე იყო მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ აფერხებდა ეროვნული ენის მცოდნე კომუნისტთა ადგილობრივი კადრების აღზრდის საქმეს, ქმნიდა ეროვნული რესპუბლიკების პროლეტარული მასებისაგან პარტიის მოწყვეტის საფრთხეს, არამედ, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ნერგავდა და ასაზრდოებდა ნაციონალიზმისაკენ გადახრას, აძნელებდა მასთან ბრძოლას.[1]

რკპ (ბ) XII ყრილობის პრინციპულ მითითებებს დიდძპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

რკპ (ბ) XII ყრილობაზე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სახელით გამოვიდნენ აგრეთვე რ. ა. ახუნდოვი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე და სხვები. ს. მ. კიროვი, ა. თ. მიასნიკოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. დ. ორახელაშვილი აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.[2]

ეროვნულ საკითხზე XII ყრილობის დირექტივების განვითარებასა და კონკრეტიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირმა ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით. რომელიც გაიმართა 1923 წლის 9—12 ივნისს. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისაგან თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ს. ს. ამბარცუმიანი. რ. ა. ახუნდოვი, მ. დ. ჰუსეინოვი. ს. მ. კიროვი, ფ. ე. მახარაძე, ა. თ. მიასნიკოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე. თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას. რომ საჭირო იყო შეემუშავებინათ პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიის XII ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. რომლებიც ეხებოდნენ ეროვნულ საკითხს და მკვიდრი მოსახლეობის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტებისაგან პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე ეროვნული კადრების დაწინაურებას. თათბირმა აღნიშნა, რომ რკპ (ბ) ერთ-ერთი ამოცანაა გა-

---

[1] სკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I. გვ. 918—919. 920—921.

[2] Двенадцатый съезд РКП(б). Стенографический отчет. М., 1968, стр. 662.

ნამტკიცოს და განავითაროს ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ რესპუბლიკებსა და ოლქებში პარტიაში მიღებისა და ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურებისას გარკვეული შეღავათი მიეცათ მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენლებისათვის.[1]

რკპ (ბ) XII ყრილობისა და თათბირის გადაწყვეტილებებმა დიდად შეუწყვეს ხელი პარტიული ორგანიზაციების შექმნასა და გაფართოებას ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე, მასებში პარტიული გავლენის გაძლიერებას, ეროვნული რესპუბლიკების მშრომელებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას.

კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც სხვა ეროვნულ რესპუბლიკებში, ფართოდ ჩაება ადგილობრივი ეროვნული კადრები საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. პარტიის ასეთმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გლეხობის ფართო მასებისა და ეროვნული ინტელიგენციის გადმოყვანას საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

4. პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. ბრძოლა ტროცკისტების წინააღმდეგ. ლენინური გაწვევა პარტიაში. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა III ყრილობა

რკპ (ბ) XII ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებდნენ, ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ამ მხარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი ხალხის ძმურ დახმარებას. საბჭოთა რუსეთი ეხმარებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ახალი სამრეწველო კერების შექმნაში. რუსეთის სფს რესპუბლიკიდან

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, გვ. 992.

ამიერკავკასიაში გადმოჰქონდათ მთელი სამრეწველო საწარმოები, სარეწების, ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების მოწყობილობა, გზავნიდნენ პურს, ფართლეულს, საშენ მასალებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და სხვ. საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიაში გზავნიდა კვალიფიციურ კადრებს მრეწველობის, სარწყავი ნაგებობებ-ს აღდგენასა და ახალ სამრეწველო საწარმოთა შექმნაში დასახმარებლად.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ნავთობის მრეწველობის აღდგენაში. მენავთობეებმა კომუნისტების მეთაურობით დაძლიეს უდიდესი სიძნელეები, ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს ნგრევის წინააღმდეგ, ნავთობის მოპოვების გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის ბრძოლაში. 1922/23 სამეურნეო წელს ნავთობის მოპოვება 3,4 მილიონ ტონამდე გაიზარდა. წარმატებები იყო აგრეთვე ნავთობის ჭაბურღილების ბურღვაში. ბაქოს საბუნჩის რაიონის ეგრეთწოდებული „ჯარისკაცთა ბაზრის" ტერიტორიაზე შეიქმნა პირველი საბჭოთა სანიმუშო ნავთობის სარეწი, რომელშიც უკვე 1923/24 სამეურნეო წელს მოიპოვეს 281 ათასი ტონა ნავთობი. ახალი ნავთობის სარეწი შეიქმნა აგრეთვე ბიბი-ეიბათის რაიონში ყურის ამოვსებულ უბანზე. მოგვიანებით ამ სარეწს „ილიჩის ყურე" დაარქვეს. 1925 წელს იგი უკვე იძლეოდა მთელი ბაქოს რაიონის მოპოვების 10 პროცენტს.[1]

მსუბუქი მრეწველობის ახალი საწარმოები შეიქმნა განჯაში. დაიწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკების აღდგენა ნუხაში. დიდი მუშაობა გასწიეს ნედლეულით სამრეწველო საწარმოთა მომარაგების მოწესრიგებისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის საქართველოს კომუნისტებმა. თანდათან ვითარდებოდა სომხეთის მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობა. მომგებიანი გახდა სპილენძის მრეწველობის საწარმოები ალავერდში.

იქმნებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონის სამრეწველო განვითარებაში არსებული მკვეთრი დისპროპორციის ლიკვიდაციის პირობები, საჭირველი ეურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონის თანდათანობით გადიდებას.

ამავე დროს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ეწე-

---

[1] С. М. Лисичкин. Очерки развития нефтедобывающей промышленности СССР. М., 1958, стр. 272.

ოდნენ უდიდეს მუშაობას სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, მარცვლეულის, ბამბისა და სხვა კულტურების ნათესი ფართობების გადიდებისა და მეცხოველეობის აღდგენისათვის. ამ მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რწყვას. ლენინის ბრძნულ მითითებათა შესაბამისად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წარმოებდა დიდი საირიგაციო სამუშაოები. საბჭოთა ხელისუფლება კონკრეტულ დახმარებას უწევდა მშრომელ გლეხობას სოფლის მეურნეობის აღდგენაში.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურული მშენებლობისათვის ბრძოლაში პარტიულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვან სიძნელეთა გადალახვა უხდებოდათ. ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ამიერკავკასიაშიც სოციალისტური გარდაქმნები ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას ხდებოდა კაპიტალისტური ელემენტების აქტივიზაციის პირობებში, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ვაჭრობის დარგში. მკვეთრად განსხვავდებოდა სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასები, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებდა გლეხობას და წარმოშობდა სამრეწველო პროდუქციის გასაღების კრიზისს.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ფასების განსხვავების ლიკვიდაციის კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი: გაიაფდა ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელი და გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები. მშრომელ გლეხობას სახელმწიფო აძლევდა შეღავათიან კრედიტს მეურნეობის აღსადგენად.

გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ამიერკავკასიაში ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი გაერთიანდა ერთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადად. მისი ოდენობა განისაზღვრებოდა ერთი წლით ადრე და ნაწილდებოდა სხვადასხვა ვადაში გადასახდელად. ამასთან გადასახადის გადახდა გლეხს შეეძლო ფულით ან ნატურით ამა თუ იმ რაიონის პირობების მიხედვით. ყოველივე ეს საშუალებას აძლევდა გლეხობას წინასწარ ეანგარიშა თავისი შემოსავალ-გასავალი და ამის შესაბამისად ეწარმოებინა მეურნეობა. ახალი საგადასახადო სისტემის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ მას საფუძვლად ჰქონდა გადასახადის გადამხდელთა ქონებრივი მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვა. ნატურალური გადასახადიდან ფულად გადასახადზე თანდათანობით გადასვლამ ხელი შეუწყო სასა-

ქონლო წარმოების განვითარებას, საქონელბრუნვის გაფართოებას, საფინანსო პოლიტიკისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღებას.

ამიერკავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებისათვის, მშრომელთა ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფულის რეფორმას, რომლის შედეგად დაწესდა ფულის ერთიანი ნიშანი ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკისათვის. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ჯერ კიდევ 1922 წლის 4 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში ფულის რეფორმის განხორციელების შესახებ.[1] ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1923 წლის 10 იანვარს გამოვიდა დეკრეტი, რომ სახმარებლად გამოეშვათ ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი. ერთიანი ფულის ნიშანი თანდათან ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარების დიდმნიშვნელოვან საშუალებად გადაიქცა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პირობებში. ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის სახმარებლად შემოღებამ და ფულის ერთეულის სტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებას.

სამეურნეო სიძნელეების ლიკვიდაციას ართულებდა ის გარემოება, რომ ტროცკისტები და სხვა ანტიპარტიული ელემენტები. სარგებლობდნენ ვ. ი. ლენინის ავადმყოფობით და ცდილობდნენ გაეაქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმზე ტროცკიმ ხმა მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ეკონომიურ საკითხებზე. ოქტომბერში კი მან დაწერა ცილისმწამებლური წერილი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ჩირქს სცხებდა მის ღონისძიებებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლაში ტროცკისტებს შეუერთდნენ „დეცისტები" და ანტიპარტიული დაჯგუფებების — „მემარცხენე კომუნისტების", „მუშათა ოპოზიციის" ნაშთები. ტროცკის წერილის შემდეგ მათ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს ეგრეთ წოდებული „46-ის განცხადება", რომელსაც ხელს აწერდა ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრიც.

ტროცკისტები და სხვა ფრაქციონერები ცდილობდნენ ჩაეშა-

---

[1] მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 74, შესან. ერთ. 128, ფურც. 175; შესან. ერთ. 41. ფურც. 46.

ლათ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელება. ტროცკი ჯიუტად უგულებელყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს სამეურნეო მშენებლობაში და გვერდს უვლიდა გარდამავალი პერიოდის ძირეულ საკითხს — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირის განმტკიცებას. ტროცკი კვლავ ქადაგებდა თავის ავანტიურისტულ იდეას სოფლის მეურნეობაზე „მრეწველობის დიქტატურის“ შესახებ, რომელიც, არსებითად, მოითხოვდა მრეწველობის განვითარებას გლეხობის ექსპლოატაციის ხარჯზე. ასეთ ხაზს შეიძლებოდა მოჰყოლოდა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საფუძვლის დარღვევა. ტროცკისტი პრეობრაჟენსკი მოითხოვდა სამრეწველო საქონლის მაღალი ფასების შენარჩუნებას და ამას ასაბუთებდა ყურით მოთრეული „თავდაპირველი სოციალისტური დაგროვების კანონით“.

ტროცკისტები, რომლებმაც მთავარი იერიში პარტიის ხელმძღვანელ კადრებზე მიიტანეს, დემაგოგიურად აბრალებდნენ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შინაპარტიული დემოკრატიის უქონლობას, მოითხოვდნენ დისკუსიებისა და დაჯგუფებების თავისუფლებას, ფრაქციებისა და ჯგუფების კატეგორიულად აკრძალვის შესახებ რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილების გაუქმებას. იმისათვის, რომ გამოეწვიათ კომუნისტთა უნდობლობა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი, ოპოზიციონერები ცილისმწამებლურად აცხადებდნენ, პარტიული აპარატი პარტიის მაგივრობას სწევსო.

1923 წლის ოქტომბრის დამლეგს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ათი უდიდესი პარტორგანიზაციის, მათ შორის ბაქოს პარტორგანიზაციის წარმომადგენლები. პლენუმმა ცნო, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზი სწორია და დაგმო ტროცკის გამოსვლა და „46-ის განცხადება“ როგორც პოლიტიკურად მცდარი და ფრაქციულ-გამთიშველური მოქმედება.

იმ მიზნით, რომ დაეცვა პარტიის ერთიანობა და მთავარი ყურადღება დაეთმო აღმშენებლობითი საქმიანობისათვის, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა საჯაროდ არ გამოეტანა დოკუმენტი ოპოზიციის შესახებ. მაგრამ ტროტკისტებმა დაარღვიეს ეს დადგენილება და გაავრცელეს ტროცკის წერილი და „46-ის განცხადე-

ბა“ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, რითაც პარტიას თავს მოახვიეს ახალი დისკუსია.

დისკუსიის პერიოდში ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელ პარტიასთან ერთად ერთსულოვნად უარყვეს ტროცკისტთა ფრაქციული პლატფორმა და მხარი დაუჭირეს ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხაზს. 1923 წლის დეკემბერში გაიმართა პარტიის ბაქოს კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საკონტროლო კომისიისა და რაიკომების წევრები. პლენუმმა გადაჭრით დაგმო ოპოზიციის ძირგამომთხრელი საქმიანობა და მოუწოდა მთელი ამიერკავკასიის კომუნისტებს კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.[1] ტროცკისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში იდეური სიმწიფე და მაღალი ორგანიზებულობა ცხადყო ამიერკავკასიის მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ, მეტადრე ბაქოს, თბილისის, ერევნის, განჯის, ქუთაისის, ალექსანდროპოლის ორგანიზაციებმა.

1923 წლის 22—23 დეკემბერს გაიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ათი უდიდესი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები. პლენუმმა დაგმო ოპოზიციონერთა ფრაქციული საქმიანობა და მხარი დაუჭირა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს. პლენუმმა აღნიშნა, რომ დისკუსიის დროს აშკარად გამომჟღავნდა პარტიის წევრთა ცალკეული ჯგუფების ტენდენციები, ჯგუფებისა, რომლებსაც „მთელ პარტიაში მუშათა დემოკრატიის განხორციელება კი არ აინტერესებდათ, არამედ სურდათ გამოეყენებინათ პარტიის მიერ უარყოფილი და დაგმობილი ლოზუნგები დემოკრატიისა თავიანთი ჯგუფური და ფრაქციული პრეტენზიებისათვის“[2]. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ტროცკისტი ოპოზიციონერები ცდილობენ დაუპირისპირონ ახალგაზრდობა ძველ ბოლშევიკურ გვარდიას და ყოველნაირად უჭერენ მხარს ცალკეულ თაედაუჭერელ და მერყევ კომუნისტთა ნახევრადმენშევიკურ და ანარქისტულ გამოხდომებს.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის ხაზი, რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის უახლოესი მონა-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 289, 21 декабря 1923 г

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 1, 1 января 1924 г.

წილეობით, უთუოდ სწორია და სავსებით შეესაბამება პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს, რომ ამ ხაზის უარყოფა ნიშნავს უარყო ლენინიზმი და ჩაეფლო მემარცხენე ფრაზებით შენიღბული წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული ოპორტუნიზმის ჭაობში. „მთელი ენერგიით ვიბრძოლებთ ჩვენი პარტიის სრული ერთიანობის შესანარჩუნებლად, — ნათქვამია პლენუმის რეზოლუციაში. — ჩვენი პარტია ყოველთვის იყო, არის და იქნება ერთიანად ჩამოსხმული მონოლითი, მუშათა კლასის ავანგარდი, რომელსაც აერთიანებს საერთო ნება და მოქმედება, და არა ფრაქციებისა და დაჯგუფებების თავყრილობა, როგორც ეს სურთ ამხ. პრეობრაჟენსკის, საპრონოვსა და მისთანებს. მიგვაჩნია, რომ X ყრილობის გადაწყვეტილება პარტიის ერთიანობის შესახებ, რომელიც მივიღეთ ამხ. ლენინის წინადადებით, მთლიანად რჩება და უნდა დარჩეს ძალაში პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და ოდნავადაც კი არ უნდა შესუსტდეს...“[1]

პლენუმმა მხურვალედ მოუწოდა პარტიის ყველა წევრს, მიაღწიონ იმას, რომ ყოველნაირი ფრაქციული ბრძოლა შეწყდეს ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც ამჯერადაც ნათლად გამოვლინდა, რომ არსებობს წინათ ჩამოყალიბებული უკლონისტთა ფრაქცია, რომელშიც გაერთიანებული არიან პარტიის ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები, სრულიად დაუმსახურებლად შენიღბულნი მუშათა დემოკრატიის პრინციპებით.

პლენუმმა მოუწოდა პარტიულ მასებს უფრო მჭიდროდ დარაზმულიყვნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რათა სრულად განხორციელებულიყო მისი ლენინური კურსი, შეენარჩუნებინათ ლენინიზმის დროშით მიმავალი და მებრძოლი პარტიის ერთიანობა, ძლიერება და რევოლუციური ავტორიტეტი.[2]

დისკუსიის შედეგები შეაჯამა რკპ (ბ) XIII კონფერენციამ, რომელიც 1924 წლის 16—18 იანვარს გაიმართა. კონფერენციამ გადაჭრით დაგმო ტროცკისტთა ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ და განაცხადა: „ახლანდელი ოპოზიციის სახით ჩვენს წინაშეა არა მარტო ბოლშევიზმის რევიზიის ცდა, არა მარტო პირდაპირი ჩამოშორება ლენინიზმისაგან, არამედ აშკარად გამოხატული წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა დ ა ხ რ ა ც“.[3] კონფერენციამ ცხადყო პარტიის ერთიანო-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 1, 1 января 1924 г.

[2] იქვე.

[3] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, გვ. 1011—1012.

ბა. მისი მზადყოფნა ებრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ეკონომიური პოლიტიკის მორიგ ამოცანათა განხილვისას კონფერენციამ აღნიშნა, კერძოდ, ბაქოს ნავთობის მრეწველობის აღდგენაში მიღწეული წარმატებანი.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია „პარტშენებლობის შესახებ", რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ახალგაზრდობის აღზრდას ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ტრადიციებით, კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ ლენინიზმის საფუძვლების, კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მეტადრე ახალგაზრდებთან. პარტიულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს პარტიის ისტორიის სავალდებულო სწავლება, ხოლო ყველა პარტიულ ორგანიზაციას ურჩიეს შეექმნათ ლენინიზმის შემსწავლელი სპეციალური წრეები.

XIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა.

1924 წლის 13 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების წევრები და ამიერკავკასიის დიდი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პლენუმმა მოისმინა და განიხილა გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება — "შინაპარტიულ მდგომარეობა შინაპარტიული მშენებლობის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და რკპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლუციასთან დაკავშირებით. პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი შინაპარტიული მუშაობის გამოცოცხლებისა და მუშათა დემოკრატიის გაძლიერების, პარტიის რიგების ერთიანობის უზრუნველყოფის საკითხში. პლენუმმა გადაჭრით დაგმო ტროცკის ფრაქციული გამოხდომები და მისი ბროშურა „ახალი კურსი" შეაფასა როგორც ანტიპარტიული დოკუმენტი[1].

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 561, ფურც. 36.

პლენუმის მონაწილეებმა გადაჭრით უარყვეს ფრაქციონერთა მიერ პარტიის წინააღმდეგ წამოყენებული „უაზრო ბრალდებანი, რომლებიც მოწმობენ მათი ავტორების სრულ იდეურ გაკოტრებას"[1].

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა აგრეთვე მოიწონა XIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი და აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ყველა ანტილენინური მიმდინარეობის წინააღმდეგ და კომუნისტები ღრმად უნდა დაეუფლონ ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკას. ასეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ ამიერკავკასიის სხვა პარტიული ორგანიზაციებიც.

1924 წლის 21 იანვარს პარტიას, საბჭოთა ადამიანებსა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავს დაატყდა დიდი უბედურება: გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. როცა ამას იუწყებოდა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიმართვაში „პარტიას, ყველა მშრომელს" წერდა: „ახლა, როდესაც ჩვენს პარტიას თავს დაატყდა ყველაზე მძიმე უბედურება — ილიჩის სიკვდილი, — ჩვენ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა შევასრულოთ მისი ძირითადი ანდერძი"[2].

ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად ამიერკავკასიის მშრომელები ღრმად განიცდიდნენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალებას. ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი სამგლოვიარო კრებები და მიტინგები, რომელთა მონაწილეები მიღებულ რეზოლუციებში პირობას დებდნენ, რომ მასები მჭიდროდ შეკავშირდებოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

კომუნისტური პარტია მტკიცედ გაუძღვა საბჭოთა ხალხებს ლენინური გზით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა მუშების სურვილი და 1924 წლის იანვრის დამლევს გამოაცხადა დაზგის მუშათა ლენინური გაწვევა პარტიაში. თავიანთი ბელადისადმი — ვ. ი. ლენინისადმი უსაზღვრო სიყვარული მუშებმა გამოხატეს იმით, რომ მასობრივად შევიდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში. ლენინური გაწვევით ამი-

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 561, ფურც. 37.

2 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 1, გვ. 1042.

ერკავკასიაშიც სამრეწველო ცენტრების ათასობით მუშა შეეიდა პარტიაში. 1924 წლის 8 თებერვალს რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაადგინა პარტიაში მიეღო დაახლოებით 6.500 დაზგის მუშა, აქედან: აზერბაიჯანში — დაახლოებით 4.250, საქართველოში — 2.000 და სომხეთში — 250[1]. მაგრამ იმის გამო, რომ იღებდა პარტიულ ორგანიზაციათა უამრავ განცხადებას, სადაც ითხოვდნენ ნება დაგვრთეთ პარტიაში ზემოაღნიშნულზე მეტი მოწინავე მუშა მივიღოთო, რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა "შესაძლებლად მიიჩნია პარტიაში მიღებულთა რიცხვი 11.350-მდე გაეზარდა[2].

ლენინური გაწვევით ამიერკავკასიაში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს 12.138 კაცი. აქედან დაზგის მუშები 93,8 პროცენტს შეადგენდნენ[3]. ეს იყო ამიერკავკასიის მუშების საუკეთესო, მოწინავე ნაწილი. ლენინური გაწვევის შემდეგ ამიერკავკასიაში კომუნისტთა რიცხვი 47 პროცენტით გაიზარდა, ამ მხარის პარტიულ ორგანიზაციებში განმტკიცდა მუშათა ბირთვი. პარტიაში მიღებულთა შორის ქალები შეადგენდნენ 3,9 პროცენტს, ახალგაზრდები კი — 12 პროცენტს.[4]

პარტიის წევრთა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით ბაქოსა და თბილისის საწარმოთა ბევრ პარტორგანიზაციაში შექმნეს საამქრო უჯრედები და გამოჰყვეს საამქროს ორგანიზატორები.

პარტიაში ათასობით ახალი კომუნისტის შესვლა მოითხოვდა აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას. ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის აგვისტოს პლენუმის დადგენილებით „ლენინური გაწვევის პოლიტიკური აღზრდის შესახებ", გაეჩაღეს დიდი მუშაობა პარტიის ახალგაზრდა წევრთა იდეურ-პოლიტიკური წრთობისათვის, ფართოდ აბამდნენ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, პოლიტსკოლებსა და წრეებში. პარტიის ახალგაზრდა წევრთათვის გაიხსნა სამთვიანი კურსები[5]. გარდა ამისა, ლენინური გაწვევის პირველ წელს მარტო ბაქოსა და თბილისში მოქმედებდა 168

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. 1, შესან. ერთ. 585, ფურც. 8.
2 იქვე, ფურც. 23.
3 იქვე, შესან. ერთ. 623, ფურც. 144.
4 იქვე, შესან. ერთ. 184, ფურც. 199.
5 იქვე, შესან. ერთ. 407, ფურც. 74, 75.

პოლიტსკოლა, სადაც 5 ათასზე მეტი კომუნისტი სწავლობდა. ეს სკოლები დაამთავრა საშუალოდ ლენინური გაწვევის კომუნისტთა 35 პროცენტმა[1]. ყოველივე ამან ხელი შეუწყო პარტიის ახალ წევრთა იდეური დონის ამაღლებას, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდას.

ლენინურ გაწვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრეთვე პარტიული მუშაობა სოფლად, რადგან ამიერკავკასიის მუშების დიდი ნაწილი კავშირს არ წყვეტდა გლეხობასთან. ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლისათვის საშეფო დახმარების მოწყობაში[2].

რუსეთის კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1924 წლის 10—11 დეკემბერს გაიმართა, განიხილა ლენინური გაწვევის კომუნისტთა შორის მუშაობის საკითხი, აღნიშნა, რომ გაწვევამ განამტკიცა პარტიის განუყრელი კავშირი მუშათა კლასის ფართო ფენებთან, ცხადყო ლენინის პარტიისადმი მშრომელთა მხურვალე სიყვარული და ერთგულება. პლენუმმა მიუთითა, რომ პარტიაში სხვადასხვა ეროვნების მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობით მოზიდვა ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური სოლიდარობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ახალგაზრდა კომუნისტთა ბოლშევიკური წრთობა, ნათქვამი იყო პლენუმის გადაწყვეტილებაში, უნდა მიმდინარეობდეს როგორც პრაქტიკულ მუშაობაში მათი ჩაბმის, ისე თეორიული სწავლების ხაზით[3].

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას. მათ გაშალეს იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა, შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს ლენინიზმისაგან ოდნავი გადახრების წინააღმდეგ, პარტიისა და მუშათა კლასის იდეოლოგიისათვის უცხო გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაშლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიული კომიტეტების სააგიტაციო-პროპაგანდისტულ განყოფილებათა გამგეების 1924 წლის 17—20 მაისის თათბირმა. მან

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. 1, შესან. ერთ. 623, ფურც. 146.

2 იქვე. ფურც. 147.

3 იქვე, შესან. ერთ. 184, ფურც. 177, 178.

განიხილა პარტიული სწავლების მოწყობის, საბჭოთა პარტიული სკოლების, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საქმიანობის და სხვა საკითხები.

მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმეს 1924 წლის მაისში გამართულმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების მორიგმა ყრილობებმა. აზერბაიჯანის კომპარტიის IV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის III ყრილობამ და სომხეთის კომპარტიის III ყრილობამ დასახეს პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული ამოცანები და ცხადყვეს ამიერკავკასიის კომუნისტთა რიგების შეკავშირება და მონოლითურობა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის მთავარი შინაარსი იყო ლენინიზმის, პარტიის ისტორიის პროპაგანდა და შესწავლა, თავიანთ რიგებში ტროცკისტული, ნაციონალისტური, ყველა ანტილენინური ელემენტის მხილება, მშრომელთა აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალისტების სრული იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში ამ მხარის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც პოლიტიკურად გაკოტრდნენ და რომლებმაც დაკარგეს სოციალური ბაზა ექსპროპრიაციაქმნილი ეროვნული ბურჟუაზიის სახით, ამიერკავკასიის ფარგლებში ახდენდნენ თვითლიკვიდაციას. 1923 წლის ივლის-აგვისტოში გაიმართა საქართველოს მენშევიკების კონფერენციები, შემდეგ კი ყრილობაც, რომლებმაც გამოავლინეს მენშევიკური პარტიის სრული გახრწნა. ყრილობამ გამოაცხადა პარტიის თვითდაშლა. ივლისში გამოცხადდა, რომ დაიშალა სომხეთის წვრილბურჟუაზიული პარტია „ჰნჩაკი", აგვისტოში ბაქოში გამოქვეყნდა ყოფილ მუსავატელთა ჯგუფის „მუსავატის" პარტიის თვითლიკვიდაციის დეკლარაცია. 1923 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანში" („საბჭოთა სომხეთი") გამოქვეყნდა დაშნაკელთა მთელი რიგი წერილები და მიმართვები „დაშნაკცუთიუნის"

პარტიიდან მათი გასვლის შესახებ. 1923 წლის ნოემბერში დაშნაკელთა ერევნის ყრილობამ გამოაცხადა ამ პარტიის დაშლა საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში.

მაგრამ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა ბელადები, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ, განაგრძობდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას, ქსოვდნენ ინტრიგებისა და შეთქმულებათა ქსელს, სულ უფრო უახლოვდებოდნენ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს. უცხოეთს გადახვეწილი ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ლიდერები და მათი აგენტურა ამ მხარეში აწყობდნენ იდეოლოგიურ და სხვა დივერსიებს. ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში ისევ მოქმედებდნენ ანტისაბჭოთა შეიარაღებული ბანდები.

ასეთ პირობებში ამიერკავკასიის კომუნისტებმა საკადრისი პასუხი გასცეს ამ მხარეში მყოფ მტრულ ძალებს. ისინი ნერგავდნენ მასებში რევოლუციურ სიფხიზლეს, აძლიერებდნენ მუშაობას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მხილებისათვის.

1924 წლის 13—15 მაისს გაიმართა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების III ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 443 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 56 — სათათბირო ხმით. ისინი წარმოადგენდნენ პარტიის 41 645 წევრსა და კანდიდატს. ყრილობა გახსნა მ. გ. ცხაკაიამ. თავისი პირველი სიტყვა მან ვ. ი. ლენინის ხსოვნას მიუძღვნა.

ყრილობამ განიხილა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები, რკპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ინფორმაცია, ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო და სარევიზიო კომისიების ანგარიშები, საშინაო ვაჭრობისა და კოოპერაციის, კომკავშირელებში მუშაობისა და სხვა საკითხები.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე. მან თავის მოხსენებაში ყოველმხრივ დაახასიათა ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, აღნიშნა დიდი მიღწევები მრეწველობის დარგში. ნავთობის მოპოვება 1924 წლის გაზაფხულისათვის 1920 წლის დონესთან შედარებით გადიდდა 67 პროცენტით, ხოლო ჭაბურღილების რაოდენობა — 87 პროცენტით. ნავთობის მრეწველობის მუშათა რაოდენობა 1920 წლის ნოემბერში 23 ათას კაცს შეადგენდა, 1924 წლის მაისისათვის კი 50 ათასს მიაღწია. გაიზარდა მარგანეცის მოპო-

ვება საქართველოში. დიდი მუშაობა ჩატარდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით საქართველოში. აეწყო რკინიგზის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობა.

დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობაში. ბაძბის ნათესი ფართობი 1924 წელს 1923 წელთან შედარებით ერთისამად და მეტად გადიდდა. გაიზარდა აგრეთვე სხვა კულტურების ნათესი ფართობები, წარმატებით ხდებოდა მეაბრეშუმეობის აღდგენა.

მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა ის უდიდესი მუშაობა, რაც ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების გახსნის, სხვადასხვა კულტურის კერების შექმნის საქმეში. „არასოდეს ამ რესპუბლიკებისა და ამ ხალხების არსებობის მთელ მანძილზე, — ამბობდა გ. კ. ორჯონიკიძე, — არ ყოფილა ის ღრმა კულტურული მუშაობა, რომელსაც ახლა ამ რესპუბლიკებში სწორი ეროვნული პოლიტიკის ნიადაგზე, ბოლშევიკები ახორციელებენ.“ [1]

ტროცკისტების, ნაციონალ-უკლონისტების, ყველა ანტილენინური ჯგუფისა და მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ცხადყვეს, რომ ღრმად ესმოდათ პარტიის ლენინური გენერალური ხაზი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშში, რომელიც ა. თ. მიასნიკოვმა გააკეთა, აღნიშნული იყო, რომ საანგარიშო წელი წარმოადგენდა ამ მხარის ყველა პარტიული ორგანიზაციის გარდატეხის წელი. აზერბაიჯანში პარტიულ-ორგანიზაციულად მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის უჯრედები, საქართველოსა და სომხეთში რესპუბლიკების დარაიონების საკითხის გადაჭრა ხელს უწყობდა პარტიული ორგანიზაციების კავშირის გაძლიერებას მშრომელ მასებთან. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშში აღნიშნული იყო პარტიული და საბჭოთა პრესის როლი, ის, რომ იგი ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე. ამიერკავკასიის ფედერაციაში მოქმედებდა 19 საბჭოთა პარტიული სკოლა, 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში სწავლობდა 257 კომუნისტი[2].

---

[1] III съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Тифлис, 1924, стр. 31.

[2] იქვე, გვ. 50, 52.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, აგრეთვე რკპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობა, ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო და სარევიზიო კომისიების და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიშები.

საშინაო ვაჭრობისა და კოოპერაციის შესახებ შ. ზ. ელიავას მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო თეზისები, რომლებმაც განსაზღვრეს ამიერკავკასიის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გაშლის ამოცანები.

ყრილობამ ფართოდ განიხილა ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მ. დ. ორახელაშვილი. ამიერკავკასიის კომკავშირი, რომლის რიგებშიც დაახლოებით 50 ათასი კაცი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტურ მშენებლობაში. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ შინაპარტიული დისკუსიის დროს ამიერკავკასიის მთელი კომკავშირი ერთგულად და განუხრელად მიჰყვებოდა პარტიის ლენინურ კურსს.

ყრილობამ აირჩია რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ახალი შემადგენლობა 32 წევრისა და 16 კანდიდატისაგან. არჩეულთა შორის იყვნენ ს. ა. აღამალი ოღლი, ს. ს. ამბარცუმიანი, რ. ა. ახუნდოვი, დ. ქ. ბუნიათზადე, ა. ა. გეგეჭკორი, შ. ზ. ელიავა, ს. ი. იაკუბოვი, ა. გ. იოანისიანი, ა. გ. ყარაევი, მ. ი. კახიანი, ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე, ა. ა. მრავიანი, ა. თ. მიასნიკოვი, გ. მ. მუსაბეკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. ცხაკაია, მ. დ. ჰუსეინოვი და სხვები. არჩეულ იქნა აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საკონტროლო კომისია და სარევიზიო კომისია. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმში შევიდნენ შ. ზ. ელიავა, ს. ი. იაკუბოვი, ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, ა. თ. მიასნიკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. ცხაკაია, მ. დ. ჰუსეინოვი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნებად არჩეულ იქნენ ა. თ. მიასნიკოვი და ლ. დ. ქართველიშვილი.

ყრილობამ აირჩია რკპ (ბ) XIII ყრილობაზე გასაგზავნი 44 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 15 — სათათბირო ხმით.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა III ყრილობამ ჩაიარა ლენინიზმის დროშის ირგვლივ ამიერკავკასიის კომუნისტთა სრული ერთიანობის ნიშნით. ყრილობამ თვალნათლივ ცხადყო, თუ

რა უდიდესი მუშაობა ჩაეტარებინათ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხარის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

1924 წლის 23—31 მაისს გაიმართა რუსეთის კპ (ბ) XIII ყრილობა, რომელმაც განიხილა სამეურნეო პოლიტიკის, პარტიის ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის შედეგები და აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო სამეურნეო აღმავლობა. პარტიის XIII ყრილობამ საესებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის სიმტკიცე და ლენინური შეურიგებლობა ტროცკიზმთან ბრძოლაში, ლენინიზმის მედგრად დაცვაში. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს კვლავაც გადაჭრით და მტკიცედ დაეცვა ყოველგვარი გადახრისაგან პარტიის ერთიანობა და განუხრელი ხაზი და დაამტკიცა XIII პარტიული კონფერენციის რეზოლუცია, რომელშიც ტროცკიზმი დახასიათებული იყო როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრა.

ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია პირველ რიგში წარმოების საშუალებათა წარმოების ორგანიზაციას, მიუთითა, რომ მთავარი ამოცანა ხდება მეტალურგიის განვითარება. ამავე დროს ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად აღადგინონ და განავითარონ მსუბუქი ინდუსტრია, ურომლისოდაც არ შეიძლებოდა სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის მოგვარება, მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის დაგროვების შექმნა. ყრილობამ დასახა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების ღონისძიებანი და განსაზღვრა პარტიული ორანიზაციების სოფლად მუშაობის კონკრეტული ამოცანები.

ყრილობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პარტიული მშენებლობისა და პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის საკითხებმა. ყრილობამ აღნიშნა ლენინური გაწვევის უდიდესი მნიშვნელობა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭირო იყო ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა და მათი ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში.

ამიერკავკასიის კომუნისტთა წარმომადგენლებიდან ყრილობის

მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ს. მ. კიროვი, ა. თ. მიასნიკოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე.

რკპ (ბ) XIII ყრილობამ ცხადყო პარტიის რიგების მონოლითურობა და შეკავშირება.

5. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება სოფლად. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენის შედეგები. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობა

რკპ (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის კომუნისტებმა გააძლიერეს მუშაობა სოფლად. პარტიის ლოზუნგით „პირით სოფლისაკენ!" მათ ფართო საქმიანობა გაიჩაღეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, უღარიბესი და საშუალო გლეხობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებისათვის.

1924 წლის აგვისტოში მენშევიკებმა საქართველოში პროვოკაციულად გამოიწვიეს ანტისაბჭოთა აჯანყება. მშრომელებმა კომუნისტების მეთაურობით წითელი არმიის ნაწილების დახმარებით სწრაფად მოახდინეს ამ მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1924 წლის ოქტომბერში გაიმართა, გააანალიზა ანტისაბჭოთა აჯანყების მიზეზები, პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭირო იყო პარტიული და საბჭოთა მუშაობის სერიოზული გაუმჯობესება სოფლად. იმავე ხანებში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ, პოლიტიკური შეფასება მისცა მათ და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად.

პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სოფლად იყო საბჭოების საქმიანობის გამოცოცხლება. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1924 წლის ოქტომბერში მოიწვიეს, თავის გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა, რომ „პოლიტიკური აქტივობის... ზრდა გლეხობისა საერთოდ, და განსაკუთრებით მცირე შეძლე-

ბის გლეხებისა, პარტიამ უნდა ეცადოს წარმართოს უწინარეს ყოვლისა საბჭოების გამოცოცხლებისაკენ, საბჭოთა, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მოღვაწეობის გაძლიერებისაკენ"[1]. პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს გლეხთა მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში მათი ფართოდ ჩაბმისათვის. კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა გაეაქტიურებინათ ბრძოლა საშუალო გლეხზე კულაკობის გავლენის წინააღმდეგ, განემტკიცებინათ საშუალო გლეხის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან, გაეუმჯობესებინათ საბჭოთა აპარატის საქმიანობა სოფლად. სოფლად ხელმძღვანელ სამუშაოზე იგზავნებოდნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკები. ამავე დროს აწინაურებდნენ თვით სოფელში გაზრდილ ახალ კადრებს. პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდნენ გლეხების საჭიროებებს.

განხორციელდა სოფლის პარტიული უჯრედების, მასებში მათი როლის ამაღლების ღონისძიებანი. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის ამიერკავკასიაში იყო 1.384 სოფლის პარტიული უჯრედი, რომლებიც აერთიანებდნენ 16.366 კომუნისტს, ე. ი. ერთ უჯრედზე მოდიოდა დაახლოებით 12 კაცი.[2] იმართებოდა სოფლის უჯრედების მდივანთა თათბირები, რომლებზეც განიხილავდნენ პარტიული მუშაობის ამოცანებს სოფლად. ბევრ მაზრაში იმართებოდა სოფლის უჯრედების კრებები უპარტიო გლეხთა აქტიური მონაწილეობით. ასეთ კრებებზე ჩვეულებრივ განიხილავდნენ კოოპერაციის, კულტურული მშენებლობის, საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებს. უღარიბესი გლეხობის პოლიტიკური აქტივობის ამაღლებასა და შეკავშირებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ღარიბთა ჯგუფები.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ამიერკავკასიის სოფლის პარტიულ მშენებლობაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ განევითარებინათ სოფლის საწარმოო

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II. თბილისი, 1955, გვ. 133.

[2] Коммунистические организации Зажавказья в цифрах. Тифлис, 1927, стр. 26, 27.

ძალები, გაეფართოებინათ სამელიორაციო სამუშაოები, შეღავათიანი კრედიტის მიცემით მცირეძალოვანი გლეხური მეურნეობები მოემარაგებინათ ინვენტარითა და მუშა პირუტყვით, სოფლად მოეწყოთ ფართო კოოპერაციული ქსელი და გაეჩაღებინათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

სოფლის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს ყურადღება კოოპერირების საკითხებზე. გლეხებში ტარდებოდა ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფლის მეურნეობის კოოპერირების მნიშვნელობის შესახებ. კოოპერაციაში ჩაება ათიათასობით გლეხი. 1925 წლის აპრილისათვის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში იყო 389 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც აერთიანებდა 63.205 გლეხურ მეურნეობას. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის გლეხთა კოოპერირება მაშინ უმთავრესად შეეხო მზარდი საქონლიანობის დარგებს — მებამბეობას, მევენახეობას, მეხილეობას და მებოსტნეობას, მეთამბაქოეობას, მეაბრეშუმეობას და ა. შ. ამ კოოპერატივების ძირითადი ამოცანა იყო თავისი წევრები დაეკრედიტებინა და მოემარაგებინა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, აგრეთვე თანდათან ჩაება გლეხთა ფართო მასები ერთპიროვნულ მეურნეობათა მსხვილ კოოპერაციულ-საამხანაგო მეურნეობებად გაერთიანების საქმეში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, 1925 წელს მოეწყო „სოფელთან ქალაქის კავშირის საზოგადოება", რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ბევრ რამეს აკეთებდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და კოოპერაციის განვითარებისათვის. სამხარეო თათბირების ჩატარებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების გზით იგი აავლენდა ნაკლოვანებებს სოფლის პარტიული უჯრედების საქმიანობაში, რომლებიც უმთავრესად გამოწვეული იყო სოფლად მუშაობის უცოდინარობით, გლეხთა მასებისაგან მოწყვეტით, პარტიული და საბჭოთა ფუნქციების აღრევით და ა. შ. ხორციელდებოდა გადამწყვეტი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერება ხელს უწყობდა უღარიბესი და საშუალო გლეხობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას. ეს განსაკუთრებით აშკარად გა-

მოვლინდა საბჭოების გადარჩენების მსვლელობაში 1925 წელს. აზერბაიჯანში სოფლის საბჭოების რიცხვი 440-დან 1.428-მდე გაიზარდა.[1] სოფლის საბჭოების რაოდენობის ზრდა ხელს უწყობდა საბჭოთა მუშაობაში დაახლოებით 50 ათასი გლეხის ჩაბმას.[2] სომხეთის სოფლისა და ქალაქის საბჭოებში არჩეულ იქნა 15 ათასი დეპუტატი,[3] ხოლო საქართველოში — 22 ათასამდე.[4]

რკპ (ბ) XIV კონფერენციის (1925 წლის აპრილი) გადაწყვეტილებების განსახორციელებლად ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მსხვილი საქალაქო პარტიული ორგანიზაციები ბევრ კომუნისტსა და კომკავშირელს გზავნიდნენ სოფლად მუდმივ სამუშაოდ.

მაშინ როცა პარტია ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით ძალ-ღონეს ძაბავდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად აღედგინათ ქვეყნის საწარმოო ძალები და კიდევ უფრო წინ წასულიყვნენ სოციალიზმის გზაზე, ტროცკი და ტროცკისტები მიმართავდნენ ახალ ცდებს გადაეცდინათ პარტია ლენინური პოზიციებიდან.

1924 წლის შემოდგომაზე განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პარტიის ბრძოლამ ტროცკის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ რევიზია გაეწია ლენინიზმისათვის. ეს ბრძოლა გაძლიერდა ტროცკის სტატიის „ოქტომბრის გაკვეთილების“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მასში გაყალბებული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორია, ბოლშევიზმის ისტორია. მთავარ დარტყმას ტროცკი კვლავ მიმართავდა ლენინიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. იგი რეკლამას უწევდა თავის თავს და ისწრაფვოდა დაეკნინებინა კომუნისტური პარტიისა და ვ. ი. ლენინის როლი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და განხორციელებაში. ტროცკის სტატია იყო პოლიტიკური გამოსვლა კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ. ტროცკი მიზნად ისახავდა ლენინიზმი ცროცკიზმით შეეცვალა, სახელი გაეტეხა პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის და

---

[1] Обзор деятельности правительства за 1925 и 1926 гг. Отчет V Всеазербайджанскому съезду Советов. Баку, 1927, стр. 36.

[2] მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 324, შესან. ერთ. 61, ფურც. 488.

[3] V годовщина советизации Армении. Тезисы Агитотдела ЦК КП(б) Армении. Эривань, 1925, стр. 22, 23.

[4] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1971, გვ. 563.

დაემტკიცებინა მისი ხელმძღვანელი ბირთვის შეცვლის აუცილებლობა.

პარტიამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია ტროცკისტ ფალსიფიკატორებსა და კაპიტულანტებს, დაიცვა ლენინური მოძღვრების სიწმინდე და ცხადყო ლენინიზმის, როგორც მარქსიზმის განვითარებაში ახალი ეტაპის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები გამოდიოდნენ სტატიებით, რომლებშიც ამხილებდნენ ტროცკიზმის ანტილენინურ არსს. ტროცკიზმის იდეურ განადგურებასა და ლენინიზმის დაცვაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ი. ბ. სტალინის ნაშრომებმა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა" და სხვ.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით დაგმეს ტროცკის გამოსვლა, მოუწოდეს კომუნისტებს უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ ლენინურ იდეურ საფუძველზე. აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის პლენუმმა, გამართულმა 1924 წლის დეკემბერში, ს. მ. კიროვის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ცდებს — შეცვალონ ლენინიზმი ტროცკიზმით ძლიერი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მთელმა პარტიამ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წინა წლებში".[1]

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელიც 1924 წლის ნოემბერში გაიმართა, მ. ი. კახიანის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მკაცრად დაგმო ტროცკისტების მორიგი გამოხდომა. 1924 წლის დეკემბერში გაიმართა თბილისის სამაზრო და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის გაერთიანებული კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთა ვ. ვ. კუიბიშევმა. კრებამ თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა ტროცკიზმის ანტიბოლშევიკური, წვრილბურჟუაზიული ხასიათი და გადაჭრით უარყო ტროცკისტული „წინასწარმეტყველება" ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური კრიზისების გარდაუვალობის შესახებ. სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის და ერევნის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა ს. ლ. ლუკაშინის მოხსენება შინაპარტიული მდგომარე-

---

[1] მლიაზფპა, ფ. 2, აღწ. 22, შესან. ერთ. 54, ფურც. 119.

ობის შესახებ, ტროცკის სტატია შეაფასა როგორც ოქტომბრის ნამდვილი გაკვეთილების თავხედური დამახინჯება.

იმავე ხანებში გაიმართა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ტროცკის ანტიპარტიული მოქმედება, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მოითხოვა პარტიის შიგნით ფრაქციული ბრძოლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „ტროცკიზმის მრუდე სარკე, რომელიც ყველაფერს ამახინჯებს... უნდა გადავაგდოთ და ნამსხვრევებად ვაქციოთ".[1] პლენუმმა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დააკალა სისტემატურად შეესწავლათ ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ოქტომბრის ისტორია, რათა ლენინიზმის ნაცადი იარაღით „სამუდამოდ დაესამარებინათ ტროცკიზმი როგორც უცხო მენშევიკური მიმდინარეობა ჩვენს ლენინურ პარტიაში".[2]

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხაზს ერთსულოვნად იწონებდა და მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაცია. პარტიულ კრებებზე ყველგან ილებდნენ რეზოლუციებს, რომლებიც გმობდნენ ტროცკიზმს. ამიერკავკასიაში ტროცკისტულ ოპოზიციას თითქმის არსად არ ჰყოლია მომხრეები.

ამიერკავკასიის კომუნისტებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის იანვრის პლენუმს, რომელმაც დისკუსია დამთავრებულად ცნო და გაათავისუფლა ტროცკი სსრ კავშირის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში მუშაობისაგან. ბაქოს საერთო-პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1925 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა, დაგმო ტროცკისტები და მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ის მტკიცე ხაზი, რომ ყოველგვარი გადახრისა და ლენინიზმის რევიზიის ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში შეაკავშიროს პარტია და განამტკიცოს მისი ლენინური ერთიანობა[3]. პარტიის თბილისის კომიტეტის 1925 წლის თებერვლის პლენუმმა მოისმინა გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება რკპ (ბ) ცენ-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 756, 18 декабря 1924 г.

[2] იქვე.

[3] Стенографический отчет XIV общебакинской партийной конференции. Баку, 1925, стр. 290.

ტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა ფართო პარტიული მასებისათვის ტროცკიზმის ოპორტუნისტული არსის ახსნა-განმარტების საჭიროება.

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავიანთი რიგები ლენინის დროშით და გაუძღვნენ ამ მხარის მშრომელებს სოციალისტურ მშენებლობაში შემდგომი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

1925 წელს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობამ თითქმის ყველა დარგში ძირითადად მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო ზოგიერთ დარგში კიდეეაც გადააჭარბა მას.

დიდი წარმატებები მოვიპოვეთ ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანის — ნავთობის მრეწველობის აღდგენის — გადაჭრაში. ნავთობის მოპოვება 1921/22 სამეურნეო წლის 2,9 მილიონი ტონიდან 1924/25 სამეურნეო წელს 4,6 მილიონ ტონამდე გაიზარდა, რაც ომამდელი დონის 63,4 პროცენტს შეადგენდა. ამავე დროს ხორციელდებოდა ნავთობის მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციაც: ინერგებოდა ბრუნვითი ბურღვა და სილრმისეული ტუმბოები მოპოვებაში. აღდგენილი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები სულ უფრო მეტ ბენზინს, ნავთსა და საცხებ ზეთებს უშვებდნენ.

წარმატებით მიმდინარეობდა მარგანეცის მრეწველობის აღდგენა. თუ 1922/23 სამეურნეო წელს მოპოვებულ იქნა 9.200 ათასი ფუთი მარგანეცის მადანი, 1924/25 სამეურნეო წელს მოიპოვეს 26.041 ათასი ფუთი. ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 1922/23 სამეურნეო წელს 1.838 ათასი ფუთიდან 1924/25 სამეურნეო წელს 4.567 ათას ფუთამდე გაიზარდა და ომამდელ დონეს 8,6 პროცენტით გადააჭარბა. ტემპი განავითარა სპილენძის მრეწველობამ. მარილის მრეწველობის პროდუქცია ომამდელ დროსთან შედარებით ერთისამად და მეტად გადიდდა.

წვრილი მექანიკური საამქროების ბაზაზე შეიქმნა დიდი ლითონდამმუშავებელი ქარხნები ბაქოში, რომელიც ემსახურებოდა ნავთობის მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვ. საჭიროებას.

ამიერკავკასიის უდიდესმა საფეიქრო საწარმომ — ლენინის სახელობის ბაქოს ფაბრიკამ აღდგენითი პერიოდის დამლევისათვის თავისი პროდუქციის მოცულობით გადააჭარბა 1913 წლის დონეს. აზერბაიჯანის თამბაქოს მრეწველობამ 1924 წელს მიაღწია წარმოების

ომამდელი დონის 85 პროცენტს, ხოლო საქართველოს თამბაქოს მრეწველობამ — 90 პროცენტს.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ყათარისა და ალავერდის სპილენძის საბადოები, ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, თბილისის მაუდის ფაბრიკა, განჯის მაუდისა და საჩითავი ფაბრიკები და ზეთსახდელი და საპნის ქარხნები, მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა, ბორჯომის სატეჩი, შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხნები, სოხუმის სპირტისა და არყის სახდელი ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა, სარდარაბადის (ახლა ოქტემბერიანი) და ერევნის ბამბის საწმენდი ქარხნები, ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკა, ბაქოს იოდის ქარხანა, ნუხის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, მთიანი ყარაბახის სპირტისა და არყის სახდელი ქარხანა და სხვა საწარმოები. ამოქმედდა არაერთი ელექტროსადგური, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი ამ მხარის ეკონომიკისათვის.

სულ მალე აღვადგინეთ და მნიშვნელოვნად განვაახლეთ რკინიგზის ტრანსპორტი. შენდებოდა ჯულფის, ოზურგეთისა და შავი ზღვის რკინიგზის შტოები. დიდი მუშაობა განხორციელდა კასპიის ნავთობსასხმელი ფლოტის აღსადგენად.

სარეწების, მაღაროების, ქარხნებისა და ფაბრიკების აღდგენის, ახალ საწარმოთა მწყობრში ჩადგომის კვალობაზე დიდდებოდა ამიერკავკასიის სამრეწველო მუშების რიცხვი: 1925 წლის დამლევისათვის მათი რიცხვი დაახლოებით 60 ათასი იყო. მარტო ნავთობის მრეწველობაში მუშათა რაოდენობა 1920 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. მუშათა კლასის რიცხობრივ ზრდას განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიისათვის, რომელიც კიდევ უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი.

ამიერკავკასიის მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას, წარმოებაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას მოწმობდა შრომის ნაყოფიერების ზრდა. იგი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში 1925 წლისათვის 1923 წელთან შედარებით 25,5 პროცენტით გადიდდა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის დარგშიც. ამიერკავკასიის მთელი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ აღდგენითი პერიოდის მიწურულისათვის ომამდელი

დონის 72,3 პროცენტს მიაღწია.[1] სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ 1924 წელს (ომამდელი ფასებით) შეადგინა 165,3 მილიონი მანეთი ნაცვლად 126,3 მილიონი მანეთისა 1922 წელს.[2]

საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის მანძილზე ამიერკავკასიაში ნათესი ფართობი ძირითადად აყვანილ იქნა ომამდელ დონემდე, ხოლო აზერბაიჯანში ამ დონეს გადააჭარბეს. მებამბეობა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით აღდგენილ იქნა 94,6 პროცენტით, მეთამბაქოეობა — 81 პროცენტით, მევენახეობა — 95 პროცენტით, მეცხოველეობა — 80—85 პროცენტით, მეაბრეშუმეობა — 62 პროცენტით.[3]

ვ. ი. ლენინის მითითებებს რომ ასრულებდნენ, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიწების მორწყვის მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს. 1925 წელს დამთავრდა ან გრძელდებოდა ისეთი სარწყავი არხების მშენებლობა, როგორიც არის ალაზნის, ტირიფონის ველის, მაშავერის, დოესი—გრაკალის, ლამი—მისაქციელის, ელდარისა და სხვებისა საქართველოში, რომელთაც უნდა მოერწყათ 100 ათასი დესეტინა; შირაქის, ეჩმიაძინის, ევჯილარის, აიგერ-გელის, მცირე სარდარაბადისა და ქარჩევანისა — სომხეთში. მათ შეეძლოთ მოერწყათ 30 ათასი დესეტინა. აზერბაიჯანში აღადგინეს და გააფართოეს მუღანის სარწყავი სისტემა 125 ათას დესეტინაზე, შენდებოდა შიხლის, ყარა-სახკალის, გიაურ-არხისა და ფაჰდარ-არხის არხები 30 ათასი დესეტინა მიწის მოსარწყავად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ნათესი ფართობის გადიდებას.

სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება ხელს უწყობდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ამიერკავკასიის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას, ქმნიდა შესაძლებლობას შეეწყვიტათ უცხოეთიდან სურსათისა და სამრეწველო საქონლის შემოზიდვა. საქონლის შემოტანისა და გატანის პასიური ბალანსი 1923/24 სამეურნეო წელს პირველად გახდა აქტიური. საქონელბრუნვის საერთო გადიდება მოხდა ექსპორტის ზრდის ხარჯზე. 1923/24 სამე-

---

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Тифлис, 1926, стр. 16.

[2] Народное хозяйство Закавказья в 1923/24 хозяйственном году, стр. 12.

[3] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 14—16.

ურნეო წელს გატანილ იქნა 525 ათას ტონაზე მეტი ნავთობპროდუქტები ნაცვლად 1922/23 სამეურნეო წლის 230 ათასზე მეტი ტონისა[1] და 4,7 მილიონი ტონა მარგანეცის მადანი ნაცვლად წინა სამეურნეო წლის 3,1 მილიონი ტონისა.

სსრ კავშირის ეკონომიური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, მყარ სახელმწიფო ბიუჯეტზე გადასვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფულის რეფორმას, რომელიც 1924 წლის თებერვალ-მარტში განხორციელდა. საბჭოთა სახელმწიფომ შიდა რესურსებზე დაყრდნობით, გარედან რაიმე დახმარების მიუღებლად შექმნა მყარი ვალუტა. 1924 წლის აპრილში გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დეკრეტი ფედერაციის ტერიტორიაზე საერთო-საკავშირო მტკიცე ვალუტის შემოღების შესახებ. დეკრეტის შესაბამისად შეწყდა ამიერკავკასიის ფულის ნიშნების ბეჭდვა და გამოშვება.[2] ამ ნიშნების გამოსასყიდად და ფინანსური რეფორმის განხორციელებაში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის დასახმარებლად სსრ კავშირის მთავრობამ 1.380 ათასი მანეთი გაიღო[3]. განხორციელდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების შემცირება. ფულის რეფორმამ განამტკიცა მანეთის მსყიდველობითიუნარიანობა, ხელი შეუწყო საქონელბრუნვის ზრდას, ბაზრის და საბაზრო ფასების რეგულირებას, „მაკრატლის" ლიკვიდაციას.

მთელი აღდგენითი პერიოდის მანძილზე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ბალანსი დეფიციტური რჩებოდა, ხოლო დეფიციტს საერთო-საკავშირო ბიუჯეტით ფარავდნენ. საერთო-საკავშირო სახსრებით აფინანსებდნენ მუღანის ველის მორწყვის, ზაჰესის მშენებლობის სამუშაოებსაც. 1925 წლის იანვარში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება დამატებით ასიგნებულიყო 900 ათასი მანეთი ზაჰესის და აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის, 1 მილიონი მანეთი ალავერდისა და ყათარის მაღაროების სამუშაოთა დასაფინანსებლად, 1.750 ათასი მანეთი ფედერაციაში მორწყვისა და სამელიორაციო სამუშაოთა შესრულებისათვის.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ უდიდესი მუშაობა

---

[1] ЗСФСР. Обзор деятельности правительства. Тифлис, 1929, стр. 113.
[2] Газ. «Заря Востока» № 543, 5 апреля 1924 г.
[3] Газ. «Заря Востока» № 669, 5 сентября 1924 г.

განახორციელა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, გაიზარდა გლეხთა შემოსავალი. დაიწყო ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები, გაიშალა მუშათა ახალშენების მშენებლობა.

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს კულტურული მშენებლობის დარგში, სახალხო განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა ახალი, საბჭოთა სკოლა. სწრაფად ფართოვდებოდა სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი. 1925/26 სასწავლო წელს ამიერკავკასიის 9.692 სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლაში სწავლობდა დაახლოებით 684 ათასი ბავშვი ნაცვლად 1913 წლის 222 ათასისა.[1] პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს მოზრდილ მოსახლეობაში უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის. ამიერკავკასიის 14 უმაღლეს სასწავლებელში 1925/26 სასწავლო წელს 16 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა.[2]

ამიერკავკასიაში შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებანი, წარმოებდა კვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამიერკავკასიაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე მოეზიდათ ძველი ეროვნული ინტელიგენციის კადრები, სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ მათი ცოდნა და გამოცდილება. აღდგენითი პერიოდის დამლევისათვის ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა უკვე ჩაება სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის განვითარების ამოცანათა გადასაჭრელად.

ფართოდ განვითარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების და

---

[1] Народное хозяйство Закавказья в цифрах. Тифлис, 1927, стр. 36, 37; Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 18.

[2] Народное хозяйство Закавказья в цифрах, стр. 46.

სხვ. საქმიანობა, პრესა, საგამომცემლო საქმე. აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოდიოდა 36 გაზეთი, რომელთა გარშემო 1925 წელს გაერთიანებული იყო დაახლოებით 5,4 ათასი მუშა და სოფლის კორესპონდენტი, 61 ჟურნალი.[1]

ამიერკავკასიის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომთა გამოცემას. ამ მხარის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ლიტერატურის, ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების განვითარებას. ეროვნული ლიტერატურა და ხელოვნება მდიდრდებოდა ახალი შინაარსით, ითვისებდა და ასახავდა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეებს.

განათლებისა და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, პრესის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებები, რომლებიც 1924—1925 წლებში განხორციელდა, საფუძველს უყრიდნენ კულტურულ რევოლუციას ამიერკავკასიაში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმატებით დამთავრების პირობებში პარტიის წინაშე დგებოდა საკითხი, თუ რა პერსპექტივა აქვს სოციალიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში. კომუნისტურმა პარტიამ ამხილა კაპიტულანტური პოზიცია ტროცკისტებისა, რომლებიც ეპვს თესავდნენ, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება შეუძლებელიაო, და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელების მტკიცე კურსი აიღო. XIV სრულიად საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1925 წლის აპრილში გაიმართა, გადაჭრით უარყო ტროცკისტების მტკიცება, დასავლეთ ევროპის გამარჯვებული პროლეტარიატის მხრივ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა თუ არ გვექნა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელიაო. „პროლეტარიატის პარტიამ, — განაცხადა კონფერენციამ, — ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა აშენოს სოციალისტური საზოგადოება იმ რწმენით, რომ ეს მშენებლობა შეიძლება იყოს და ნამდვილად ძლევამოსილი იქნება კიდეც, თუ მოხერხდება ქვეყნის დაცვა რესტავრაციის ყოველგვარი

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 52, 53, 65.

ცდებისაგან...“[1] კონფერენციის გადაწყვეტილებაში ყურადღება ექ-ცეოდა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მეორე, საერთაშორისო მხარესაც. ეს გამარჯვება ვერ იქნებოდა საბოლოო, ვიდრე საბჭოთა კავშირი მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა და, მაშასადამე, არსებობდა ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭირო იყო წარმატებითი პროლეტარული რევოლუცია მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც.

კონფერენციის გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირში შეესაძლებელია სოციალიზმის აშენება, საერთო-პარტიული დირექტივა, კანონი გახდა ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, ამიერკავკასიის, ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისათვის. ამიერკავკასიის კომუნისტებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობა წარმატებით განხორციელდებაო, და მოუწოდეს მხარის მშრომელებს ყოველი ღონე ეხმარათ ამ დიადი ამოცანის განსახორციელებლად.

ამიერკავკასიის პარტიულმა სამხარეო თათბირმა, რომელიც 1925 წლის 19—23 ივნისს გაიმართა, შეიმუშავა რკპ (ბ) XIV პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი[2].

1925 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის მორიგი VII ყრილობა, საქართველოს კომპარტიის მორიგი IV ყრილობა და სომხეთის კომპარტიის მორიგი IV ყრილობა. მათ შეაჯამეს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენის შედეგები და დასახეს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების კონკრეტული ამოცანები.

1925 წლის 5—9 დეკემბერს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 387 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 219 დელეგატი—სათათბირო ხმით. ისინი წარმოადგენდნენ პარტიის 30.519 წევრსა და 20.202 კანდიდატს. ყრილობის დღის წესრიგში იდგა: ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები, სამხარეო სარევიზიო და საკონტროლო კომისიების და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მუშგლეხინის ანგარიშები, პარტიის მორიგი ამო-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II, თბილისი, 1955, გვ. 220—221.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 986, ფურც. 382—389.

ცანები მრეწველობის დარგში, პარტიის ამოცანები სოფლად, პროფკავშირების შესახებ, ახალგაზრდობაში მუშაობა და მიმდინარე საქმეები. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა კომუნისტური პარტიის სახელოვანი შვილების ნ. ნ. ნარიმანოვის, ა. თ. მიასნიკოვის, გ. ა. ათარბეკოვის, ს. გ. მოგილევსკის და მ. ვ. ფრუნზეს ხსოვნას.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე. მის მოხსენებაში აღნიშნული იყო საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის მნიშვნელოვანი განმტკიცება, ყოველმხრივ აისახა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურული მშენებლობის შედეგები და შემდგომი ამოცანები. გ. კ. ორჯონიკიძემ ხაზგასმით აღნიშნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მიღწევები და თქვა: „უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაქვს ეროვნული ზავი — ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პირველი და ძირითადი წანამძღვარი... ამიერკავკასიის ფედერაციამ გაამართლა იმედები მთელი 100 პროცენტით"[1].

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხებს, სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერების ამოცანას, „ნაციონალისტურ და დიდმპყრობელურ გადახრათა ნაშთების"[2] აღმოფხვრისათვის შემდგომ ბრძოლას.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციულ ანგარიშში, რომელიც ა. მ. ნაზარეტიანმა გააკეთა, აღნიშნული იყო, რომ მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების რიგები. კომუნისტების ნახევარზე მეტი საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა. განმტკიცდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშური ბირთვი. პარტიის წევრთა საერთო რიცხვიდან ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტი მუშები შეადგენდნენ 42 პროცენტს, მოჯამაგირეები — 1,2 პროცენტს, ღარიბი გლეხები — 21,2

---

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 13, 14.

[2] იქვე, გვ. 436.

პროცენტს, მოსამსახურენი — 25 პროცენტს, მოსწავლეები — 2,1 პროცენტს და დანარჩენი — 4,5 პროცენტს[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმას, რომ გაიზარდა პარტიის წევრთა რაოდენობა, რომლებიც ამიერკავკასიის მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენლები იყვნენ. მარტო 1924 წლის იანვრიდან 1925 წლის ოქტომბრამდე ქართველ კომუნისტთა რიცხვი 8.210-დან გაიზარდა 13.510-მდე, სომხებისა — 6.297-დან 12.273-მდე, ხოლო აზერბაიჯანელებისა — 5.012-დან 9.433 კაცამდე[2].

1925 წლის ოქტომბრისათვის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების რიგებში იყო 2.560-ზე მეტი კომუნისტი ქალი[3]. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა ქალთა შორის. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი თითქმის ყოველწლიურად ატარებდა სამხარეო თათბირებს, რომლებიც ეძღვნებოდა ქალთა შორის მუშაობის ამოცანებს. ქალთა მოძრაობის საკითხები არაერთხელ განიხილეს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტური პარტიების ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე. სადელეგატო კრებების დელეგატ ქალთა რიცხვი მთელ ამიერკავკასიაში 11 ათასს აღწევდა; მათ ნახევარს გლეხი ქალები შეადგენდნენ[4].

ამიერკავკასიის კომუნისტთა რიგების ზრდა ხელს უწყობდა პარტიული უჯრედების რიცხვის გადიდებას. 1925 წლის ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა 2.190-ს, მათ შორის 1.384 სოფლის უჯრედი იყო.[5]

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა უჯრედში. „უჯრედი უნდა გახდეს, — ხაზგასმით იყო აღნიშნული ყრილობის რეზოლუციაში, — ჩვენი პარტიის გარშემო მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების დარაზმვის ცენტრი"[6].

---

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 38.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] Материалы к отчету Закавказского краевого Комитета РКП(б) IV съезду коммунистических организаций Закавказья. Тифлис, 1925, стр. 65.

[4] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 49, 50.

[5] იქვე, გვ. 40, 41.

[6] იქვე, გვ. 437.

ყრილობამ საესებით მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და ორგანიზაციული მუშაობა, აღნიშნა მნიშვნელოვანი წარმატებები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ყრილობამ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა მიღწევები ელექტრიფიკაციისა და ბაქოს ნავთობის მრეწველობის მექანიზაციაში, საესებით დაუჭირა მხარი მრეწველობის განვითარებაზე პარტიის მიერ აღებულ კურსს. ყრილობამ მოიწონა აგრეთვე სოფლად საწარმოო ძალთა განვითარების ღონისძიებანი და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს ყოველი ღონისძიებით შეეწყოთ ხელი კოოპერაციის განვითარებისათვის, დაერაზმათ ღარიბთა, მოჯამაგირეთა, საშუალო გლეხთა ელემენტები კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად.[1]

სოფლად პარტიის ამოცანების შესახებ მ. დ. ორახელაშვილის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, ამასთან აღნიშნა, რომ საჭირო იყო დაეჩქარებინათ მიწათმოწყობის სამუშაოები, მთლიანად აღედგინათ და განევითარებინათ საირიგაციო ქსელი. აეშენებინათ ახალი ქარხნები სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად, განეგრძოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების მოწესრიგება, გაეუმჯობესებინათ პარტიული მუშაობა, აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი სოფლად საბჭოთა აპარატის საქმიანობაში, არ დაეშვათ კომუჯრედებით სოფსაბჭოების შეცვლა და ა. შ.[2].

ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმას, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იდეური ბრძოლის გაძლიერებას პროფკავშირებში სხვადასხვა ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ, რაც პროფკავშირთა „დემოკრატიისა და თავისუფლების", „ნეიტრალობის", „ფედერალიზმის" და სხვ. კლასგარეშე განმარტებით გამოიხატებოდა.[3]

ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარების მორიგი ამოცანების შესახებ ს. ლ. ლუკაშინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ აღნიშნა, რომ შეუძლებელია სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდა მთელი სახალხო მეურნეობისა და უმთავრესად მრე-

---

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 435, 436.

[2] იქვე, გვ. 438—457.

[3] იქვე, გვ. 459—464.

წველობის აღმავლობის გარეშე. ამიტომ ამიერკავკასიაშიც მომავალი პერიოდის ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს ამ მხარის ინდუსტრიალიზაცია. აქ პირველ რიგში უნდა განვითარებულიყო სამთო-მომპოვებელი და ქიმიური მრეწველობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობა, შექმნილიყო მძლავრი ენერგეტიკული ბაზა.[1]

ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ მოხსენება ყრილობაზე გააკეთა ა. გ. კარაევმა. 1925 წელს ამიერკავკასიაში იყო დაახლოებით 110 ათასი კომკავშირელი. წარმატებით ებრძოლათ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის სოციალისტური მშენებლობის პროცესში და უზრუნველეყოთ კომკავშირისადმი სწორი პარტიული ხელმძღვანელობა, — ასეთი იყო ძირითადი ამოცანები ამ დარგში, რომლებიც ყრილობამ დაუსახა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს.[2]

აჯამებდა რა ყრილობის მუშაობას, ს. მ. კიროვი ამბობდა: „ახლა ამიერკავკასიაში არ ცხოვრობს არც ერთი რამდენადმე პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც ეჭვი ეპარებოდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკების არსებობის ფორმა აუცილებლად ფედერაციული უნდა იყოს... ახლა ჩვენი ორგანიზაციების IV ყრილობაზე დავსახეთ ჩვენი ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცების ახალი პროგრამა, სახელდობრ კი მისი ეკონომიური ფუნდამენტის განმტკიცება".[3]

ყრილობამ აირჩია საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი 60 წევრისა და 23 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო და სარევიზიო კომისიები.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე არჩეულ იქნა მისი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ს. ს. ავბარცუმიანი, შ. ზ. ელიავა, ს. მ. კიროვი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე, გ. მ. მუსაბეკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. გ. ცხაკაია, მ. დ. ჰუსეინოვი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად აირჩიეს გ. კ. ორჯონიკიძე, ა. მ. ნაზარეტიანი, ლ. ი. ქართველიშვილი.

ამრიგად, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობამ განაზოგადა ქალაქად და სოფლად პარტიული მუშაობის

---

[1] Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 474—476.

[2] იქვე, გვ. 477—490.

[3] იქვე, გვ. 423—424.

გამოცდილება, განსაზღვრა კომუნისტური ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები ამიერკავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცებისა და მისი ეკონომიკისა და კულტურის პერსპექტიული განვითარებისათვის.

1925 წლის 18 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა პარტიის XIV ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის გადასვლა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე როგორც სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ტემპის დაჩქარების მთავარ, გადამწყვეტ რგოლზე. აიღო რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსი, პარტიას მიაჩნდა, რომ სსრ კავშირი კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობისაგან დამოუკიდებელ თავისთავად ეკონომიურ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს. ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლა პარტიის ძირითადი ამოცანაა.

პარტიის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზის წინააღმდეგ ყრილობაზე გაილაშქრა „ახალმა ოპოზიციამ". მას სათავეში ედგნენ ზინოვიევი და კამენევი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, რომლებიც ტროცკისტულ პოზიციებზე დაექანენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სოციალიზმის მშენებლობა ერთ, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში თითქოსდა განწირულია ჩასაფშვავად. „ახალმა ოპოზიციამ" შემოიკრიბა პარტიის ოპორტუნისტული ელემენტები, კაპიტულანტები და ურწმუნოები და დაიწყო ბრძოლა პარტიის ლენინური ხაზის მუშათა კლასის საშუალო გლეხთან კავშირის წინააღმდეგ, რაც ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრას. „ახალი ოპოზიცია" ცილისმწამებლურად აცხადებდა, პარტია გადაგვარების გზას ადგასო.

ყრილობაზე „ახალი ოპოზიცია" განცალკევებულ ჯგუფად გამოვიდა და გადაწყვიტა ბრძოლა გაემართა ცენტრალური კომიტეტისათვის, რათა დაემხო იგი და თავის ხელში აეღო ძალაუფლება. მან ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ თავის თანამომხსენებლად გამოიყვანა ზინოვიევი, რომელმაც ყველა ძირითად საკითხში პარტიის ხაზს დაუპირისპირა „ახალი ოპოზიციის" შეხედულებანი.

ყრილობამ სასტიკად დაგმო კაპიტულანტები, ამხილა „ახალი ოპოზიციის" ანტიპარტიული არსი. პარტიის XIV ყრილობამ იდეურად გაანადგურა „ახალი ოპოზიცია" და ცხადყო კომუნისტური პარტიის ურღვევი იდეური შეკავშირება ლენინიზმის დროშის გარშემო.

ასე სამარცხვინოდ დამარცხდა კიდევ ერთი ანტიპარტიული დაჯგუფება, რომელიც ცდილობდა შეერყია პარტიის ერთიანობა და ტროცკიზმით შეეცვალა ლენინიზმი.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციიდან ყრილობაზე გამოდიოდნენ გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი და სხვები. მათ დაგმუს „ახალი ოპოზიცია", აღნიშნეს სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ამიერკავკასიაში.

XIV ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება. სსრ კავშირის შექმნასა და ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით წესდებაში შეტანილ იქნა ზოგიერთი დაზუსტება, რომლებიც ეხებოდა პარტიის აგების სტრუქტურას. ყრილობამ რკპ (ბ)-ს გამოუცვალა სახელი და დაარქვა საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პარტიის XIV ყრილობის მიერ არჩეულ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებიდან შევიდნენ ს. ლ. ლუკაშინი, გ. მ. მუსაბეკოვი, ა. მ. ნაზარეტიანი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. თ. სტურუა და სხვ., საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში კი — ს. მ. ეფენდიევი, გ. მ. პლეშაკოვი და სხვ.

საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. მის გადაწყვეტილებებში დაკანონდა პარტიის ლენინური კურსი მძიმე ინდუსტრიის, მსხვილი მანქანური სოციალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარებისა, რომელსაც შეეძლება უახლესი ტექნიკით შეაიარაღოს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა და სოციალისტურად გარდაქმნას გლეხური მეურნეობა, გადააქციოს ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, უზრუნველყოს სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება.

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, კომუნისტები მხურვალედ იწონებდნენ საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ყრილობის შედეგები და სავსებით დაუჭირა მხარი პარტიის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარების ხაზს.

ტროცკიზმისა და სხვა ანტილენინურ გადახრათა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები მტკიცედ იდგნენ ლენინურ პოზიციებზე და

აქტიურად უპერდნენ მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს. განამტკიცებდნენ თავიანთი რიგების ერთიანობას. ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაგმეს „ახალი ოპოზიციის“ პლატფორმა, გამოხატეს პარტიული და უპარტიო მასების მტკიცე ნება მიეღწიათ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო ბაქოს, თბილისის და ერევნის პარტიულ ორგანიზაციებში. ამიერკავკასიის ზოგიერთ მსხვილ საქალაქო და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციაში იყვნენ „ახალი ოპოზიციის“ მომხრენი. მაგრამ მათ, თუ არ ჩავთვლით ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფს კ. მ. ცინცაძის, მ. ს. ოკუჯავას, ვ. ე. დუმბაძის და სხვათა მეთაურობით, რომლებმაც ფერი იცვალეს, „ახალი ოპოზიციის“ მომხრეებად მოგვეელინენ და ტროცკიზმის დამცველებად გამოვიდნენ, უმეტეს შემთხვევებში ვერ გაბედეს აშკარად დასხმოდნენ თავს პარტიის ხაზს. ფრაქციონერები ჩვეულებრივ იძლეოდნენ სხვადასხვა პროვოკაციულ შეკითხვას, ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ მომხსენებლებისათვის, მოითხოვდნენ ოპოზიციის მომხრეთა თანამოსსენებას, ქარაგმულად ლაპარაკობდნენ დისკუსიის საკითხებზე. კენჭისყრის დროს ისინი ხშირად ტოვებდნენ დარბაზს, ამით გამოხატავდნენ, რომ არ ეთანხმებოდნენ პარტიის ხაზს. სამაზრო პარტიული ორგანიზაციების უმეტესობაში თითო-ოროლა ერია ოპოზიციის მომხრე. ოპოზიციური განწყობილება და გამოსვლები დამახასიათებელი არ იყო ამ ორგანიზაციებისათვის.

„ახალი ოპოზიციის“ აშკარა და შენიღბული გამოსვლები ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში გადამწყვეტ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ჯერ კიდევ რუსეთის კპ (ბ) XIV ყრილობის მუშაობის დღეებში ბაქოს საერთო-საქალაქო პარტიულმა აქტივმა ერთსულოვნად გაილაშქრა ოპოზიციონერების წინააღმდეგ. ყრილობის დამთავრების შემდეგ ბაქოს პარტიული ორგანიზაციები და აზერბაიჯანის 16 მაზრის თითქმის ყველა კომიტეტი და უჯრედი შეუერთდა მის გადაწყვეტილებებს, დაგმო „ახალი ოპოზიცია“. აქტივისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მიღებულ რეზოლუციებს წითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ პარტიის ლენინური ერთიანობის განმტკიცება პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

რეზოლუციებში ხაზგასმული იყო, რომ პარტიის ნებისა და მოქმედების ერთიანობა პარტიული ცხოვრების აუცილებელი კანონია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს და ვერც ვერავინ დაარღვევს.[1]

ყრილობის გადაწყვეტილებებს ფართოდ განიხილავდნენ ამიერკავკასიის ყველა სხვა პარტიულ ორგანიზაციაშიც. თბილისის საქალაქო პარტიულმა აქტივმა მოისმინა მოხსენება ყრილობის შედეგების შესახებ, მკაცრად დაგმო „ახალი ოპოზიცია" და დასახა ღონისძიებანი ყრილობის მასალების შესწავლის მოსაწყობად, ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მალე მთელ საქართველოში გაიმართა პარტიული აქტივის რაიონული და საქალაქო კრებები, სამაზრო პარტიული კონფერენციები, საქალაქო, სამაზრო კომიტეტების პლენუმები და პარტიული უჯრედების კრებები. სენაკის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი თავის რეზოლუციაში მიესალმა XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და განაცხადა, რომ ყრილობამ „აიღო ერთადერთი სწორი ხაზი სოციალისტური მშენებლობის საქმეში".[2] პლენუმმა დაგმო ოპოზიციონერთა გამოსვლები და დაავალა პარტიის წევრებს ყოველი ღონე ეხმარათ ყრილობის გადაწყვეტილებათა უცილობლად განხორციელებისათვის. რესპუბლიკის პარტიული აქტივებისა და პარტიული ჯგუფების უჯრედების კრებებზე ყრილობის მასალების განხილვის დროს სერიოზული ლახვარი ჩასცეს როგორც „ახალ ოპოზიციას", ისე ადგილობრივ ოპოზიციონერებს, რომლებსაც არ სწამდათ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა და მოითხოვდნენ ნეპის გაუქმებას, ფრაქციების თავისუფლებას და სხვ.

ერევნის პარტიული ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებაზე მოისმინა საქალაქო კომიტეტის მდივნის ა. ო. შახგელდიანის მოხსენება XIV ყრილობის შედეგების შესახებ. კრება საესებით შეუერთდა ყრილობის გადაწყვეტილებებს, დაგმო „ახალი ოპოზიციის" გამოსვლა და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. გ. იოანისიანის მოხსენების გამო ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის მიერ ერ-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 10, 13 января 1926 г.; მლისფპა, ფ. 13. აღწ. 1, ნაწ. II, შესან. ერთ. 1594, ფურც. 1—7.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. II, შესან. ერთ. 1682, ფურც. 87—91.

თსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიის რიგების ერთიანობის შენარჩუნება. „კრება საესებით დარწმუნებულია, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — რომ ცენტრალურ კომიტეტს თავისი ძლიერი ხელმძღვანელობით და გონიერული პოლიტიკით შეუძლია უზრუნველყოს პარტიის ერთიანობა, რაც პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების არსებითი საწინდარია“.[1] რეზოლუციაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ „პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია უზრუნველყოს XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება და, ჩაუდგება რა სათავეში პარტიულ და უპარტიო მასებს, მიუხედავად ყველაფრისა, მიაღწიოს სოციალიზმის სრულ გამარჯვებას“.[2] ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს ქოთაიქის, ალავერდის, ყაფანის და სხვა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე, მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა კოლექტივების მრავალ კრებაზე.

საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა ხელს უწყობდა კომუნისტების, უპარტიო მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, ყველა ჯურის ანტილენინურ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ცხადყვეს თავიანთი ურყევი ერთგულება ლენინიზმისადმი, თავიანთი რიგების მჭიდრო შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ისინი მტკიცედ მიუძღოდნენ მშრომელებს ლენინის გზით.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია — კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი — ამ მხარის თავისებურ და რთულ პირობებში წარმატებით ასრულებდა წამყვანი და წარმმართველი ძალის როლს, რაზმავდა და შთააგონებდა მრავალეროვან მშრომელ მასებს ნგრევის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერკავკასიის მუშათა კლასი, რომელსაც რაზმავდნენ და ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური ორგანიზაციები, გმირული, თავდადებული შრომის ნიმუშებს გვიჩვენებდა.

ამიერკავკასიის ფედერაციაში შეკავშირებული ამიერკავკასიის

---

[1] გაზ. „ჰორურდაინ ჰაიასტან“ № 16, 1926 წლის 21 იანვარი.

[2] იქვე.

ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით ენერგიულ ბრძოლას ეწეოდნენ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ამ მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობა. უკვე აღდგენითი პერიოდის დამლევს ძირითადად მიღწეულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამიერკავკასიაში ახალი ინდუსტრიული კერების შესაქმნელად. ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციამ დიდი წარმატებანი მოიპოვა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღდგენაშიც და კულტურულ მშენებლობაშიც.

აღდგენითი პერიოდის ძირითადი ამოცანები წარმატებით რომ გადაჭრეს, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ მხარის მშრომელი მასების ბრძოლას სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის.

თავი მეთერთმეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის მომზადებისათვის ბრძოლაში

(1926—1929 წლები)

1. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისი ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის წინააღმდეგ

სახალხო მეურნეობის აღდგენა ძირითადად რომ დაამთავრა, საბჭოთა ქვეყანამ დაიწყო თავისი განვითარების ახალი ეტაპი — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარება და განმტკიცება. პარტია ემყარებოდა ვ. ი. ლენინის იმ მითითებას, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც"[1].

მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას შეეძლო უზრუნველეყო მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის ეკონომიური საფუძვლის განმტკიცება, მშრომელთა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

კეთილდღეობის ამაღლება. მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია მოწოდებული იყო შეექმნა ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობები.

კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა — გადაგვექცია სსრ კავშირი მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, ისტორიულად მინიმალურ ვადაში დაეწეოდით, ხოლო შემდეგ კიდეეაც გაგვესწრო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მრეწველობის წარმოების მოცულობის მხრივ.

საჭირო იყო ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ აუცილებელი იყო უსწრაფესად აღმოგვეფხვრა შეუსაბამობა ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებასა და მის ჩამორჩენილ ეკონომიურ ბაზას შორის ჩვენს ქვეყანაში. ეს გამომდინარეობდა სოციალიზმის გზაზე მისი წარმატებითი განვითარების ამოცანებიდან.

ხელახლა უნდა შეგვექმნა თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი დარგები. დასახული იყო ახალი ელექტროსადგურების, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი, საავტომობილო, ქიმიური და სხვა ქარხნების მშენებლობა, ძველ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია.

შესაქმნელი იყო თანამედროვე ინდუსტრია ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ეროვნულ რაიონში. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წინათ ჩაგრული ხალხების ფაქტობრივი ჩამორჩენილობის მოსპობისათვის, ეროვნული კადრების ზრდისათვის, ეროვნული კულტურების განვითარებისათვის. ყოველივე ეს მოითხოვდა ათობით მილიარდი მანეთის კაპიტალდაბანდებას. საბჭოთა კავშირს არ შეეძლო რაიმე გარეშე დახმარების იმედი ჰქონოდა. საჭირო იყო დაგროვების წყაროების გამონახვა თვით ჩვენს ქვეყანაში და არსებული სახსრების გონივრულად გამოყენება.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობა ის იყო, რომ შეგვემუშავებინა და პრაქტიკულად გამოგვეყენებინა მისი მეთოდები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის მეთოდებისაგან, გამოგვეყენებინა პროლეტარული სახელმწიფოს ხელში წარმოების საშუალებათა თავმოყრის დიდი უპირა-

ტესობანი, ფართოდ დაგვენერგა დაგეგმეა საბალხო მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ ან შეეფერხებინათ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა იმპერიალისტებმა საბჭოთა კავშირს უარი უთხრეს სესხზე, ცდილობდნენ ეკონომიურ იზოლაციაში მოექციათ იგი, ემუქრებოდნენ ახალი ინტერვენციით, აწყობდნენ ათასნაირ პროვოკაციებს.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები, მთელი ბურჟუაზიული პროპაგანდა ცილს სწამებდნენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირს. მაგრამ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, მშრომელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს სოციალიზმის მშენებლობას სსრ კავშირში. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოეთის მუშათა დელეგაციებს აღაფრთოვანებდა სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და შინ რომ ბრუნდებოდნენ, აერცელებდნენ სიმართლეს პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის შესახებ. მშრომელთა გაძლიერებული რეოლუციური გამოსვლები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლობის აღმავლობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, რასაც საბჭოთა ხალხი მხურვალე თანაგრძნობით ხვდებოდა, სერიოზულ დარტყმებს აყენებდნენ კაპიტალიზმის საფუძვლებს, ხელს უწყობდნენ იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ზრახვების ჩაშლას. ამას ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკაც.

კაპიტალისტური ელემენტები და მათი აგენტურა ცდილობდნენ გააფთრებული წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის.

ინდუსტრიალიზაციის სიძნელენი დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობასთან, კვალიფიციური მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური კადრების სიმცირესთან, დაგროვების, კაპიტალური მშენებლობის სირთულესთან.

კომუნისტური პარტია წარმატებით ძლევდა სიძნელეებს, აკონკრეტებდა ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდს. მან გამოავლინა დაგროვების მთავარი წყაროები, განახორციელა საჭირო ღონისძიებანი მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმის, არამწარმოებლური ხარჯების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, წარმოების რაციონალიზაციის ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების

უზრუნველსაყოფად. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებში განზოგადებული იყო პარტიის გამოცდილება ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებაში და დაისახა ახალი სამეურნეო ამოცანები. ტროცკისა და „ახალი ოპოზიციის“ ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიამ დაიცვა და დააკონკრეტა საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის მიერ მიღებული ინდუსტრიალიზაციის კურსი.

პარტიის პოლიტიკას ხალხმა მხურვალედ დაუჭირა მხარი. სოციალიზმის აშენების ლენინური იდეები ეუფლებოდნენ მასებს და იქცეოდნენ მძლავრ მატერიალურ ძალად. საბჭოთა ხალხი შეუდგა ისეთი დიდი ობიექტების მშენებლობას, როგორიცაა დნეპრჰესი, თურქესტან-ციმბირის რკინიგზა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანა და სხვები.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობდნენ, მუშაობა გაშალეს ამ მხარის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის საკითხები ფართოდ განიხილა 1926 წლის მაისში გამართულმა ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულმა თათბირმა. თათბირის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი მალე დაამტკიცა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მაისის პლენუმმა. გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო ერცელი გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის გადაქცევას განვითარებული ინდუსტრიის მხარედ. ამ მიზნით გადაწყდა დაჩქარებული ტემპით გაგვევითარებინა უწინარეს ყოვლისა ბაქოსა და ტყვარჩელის სათბობის მრეწველობა, დაგვემთავრებინა ჰიათურის სამთამადნო, ალავერდის და ყაფანის ფერადი მეტალურგიის, ბაქოს, თბილისის, ერევნის, ქუთაისის, განჯის, ლენინაკანის, სოხუმის, ნუხის და სხვა ქალაქებისა და რაიონების სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია, მაქსიმალურად გაგვეძლიერებინა ამიერკავკასიის ელექტრიფიკაციის სამუშაო[1].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ემყარებოდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრობლემათა გადაჭრის საერთო ინტერესებს, ამ მხარის კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე დასახა პირველხარისხოვანი ამოცანა — ხელშესახები წვლი-

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 6, შესან. ერთ. 1350, ფურც. 61—62.

ლი შეეტანა საკავშირო მრეწველობის მომარაგებაში ნავთობით, ბამბით, მატყლით, აბრეშუმით და სხვ. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა მაქსიმალურად გადიდდეს ნავთობის მოპოვება, გაფართოვდეს ბამბის ნათესი ფართობები, სწრაფად განვითარდეს მეცხვარეობა. ამავე დროს დაისახა ამოცანა — ყოველი ღონისძიებით გაგვეითარებინა ადგილობრივი მრეწველობა. ამასთან დადგენილება წინადადებას აყენებდა მრეწველობა განვითარებინათ რენტაბელობის გათვალისწინებით, ხოლო პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს აფრთხილებდა არ დაეშვათ კუთხურობა.

ამიერკავკასიის კომუნისტებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ მხოლოდ საერთო-საკავშირო მრეწველობის განვითარების ბაზაზე შეიძლებოდა წარმატებით განვითარებინათ ამ მხარის ეკონომიური ცხოვრება, შეექმნათ ადგილებზე ახალი მძლავრი სამრეწველო კერები. აი ამიტომ ამიერკავკასიის კომუნისტების ყურადღების ცენტრში იყო საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მძიმე ინდუსტრიის — უწინარეს ყოვლისა ნავთობისა და მარგანეცის მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის განვითარების საკითხები.

პარტია და მთავრობა ითვალისწინებდნენ, რომ განსაკუთრებით დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობას, რომელმაც 1926 წელს ნავთობის მთელი საკავშირო მოპოვების 68 პროცენტი მოგვცა, და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ მის განვითარებას. ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობის დაფინანსება ხდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით. საკავშირო მთავრობის ასიგნებანი მისი განვითარებისათვის 1927 წელს შეადგენდა 55,5 მილიონ მანეთს, ანუ თითქმის 7-ჯერ მეტს, ვიდრე გათვალისწინებული იყო მხარის მრეწველობის ყველა დანარჩენი დარგის განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ და განმტკიცებამ, მისმა შესვლამ სსრ კავშირის შემადგენლობაში, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობამ ამ მხარის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის დარგში შესაძლებელი გახადეს არა მარტო აღგვედგინა მისი სახალხო მეურნეობა, არამედ კიდევაც გადაგვეჭრა ინდუსტრიალიზაციის რთული ამოცანები. ამას ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეც, ძვირფასი წიაღისეული, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აღმოჩენილი და დაზვერილი იყო,

გეოგრაფიული მდებარეობის. უპირატესობაც ამიერკავკასიაში ჭარბად იყო შრომითი რესურსებიც, რომლებიც შეიძლებოდა ჩაგვება მრეწველობის მშენებლობაში. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სულ უფრო მეტად ყალიბდებოდა სოციალისტური სისტემის სასარგებლოდ.

ამავე დროს ამიერკავკასიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესში უნდა დაგვეძლია განსაკუთრებით სერიოზული სიძნელეები. ამ მხარეში ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ჩამორჩენილობა. თუ არ ჩავთვლით ნავთობისა და მარგანეცის მრეწველობას, მრეწველობის პროდუქციის წილი ამიერკავკასიის ეროვნულ შემოსავალში მხოლოდ 37 პროცენტს შეადგენდა.[1] არ იყო თანაბარზომიერება მრეწველობის გადგილებაშიც. ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებზე უფრო მწვავედ აქ იგრძნობოდა კვალიფიციური მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების ნაკლებობა. მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება იყო საჭირო ამიერკავკასიის მკვიდრი ეროვნებიდან საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის მომზადებისა და აღზრდისათვის.

ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხები შეადგენდნენ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჭარბობდა წვრილსაქონლური გლეხური მეურნეობა, ხოლო ზოგიერთ შორეულ რაიონში შემორჩენილი იყო პატრიარქალური კარჩაკეტილი მეურნეობის ნაშთები. სოფლის მეურნეობაში ცენტრალური ფიგურა იყო საშუალო გლეხი. მაგრამ კულაკები, სოფლის მოსახლეობის დაახლოებით ხუთი პროცენტი, აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. კულაკობა ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმის მშენებლობას.

ყოველივე ეს ერთგვარ თავისებურებას ქმნიდა და საჭირო იყო გამოგვემუშავებინა და გამოგვეყენებინა ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის, სამრეწველო მშენებლობაში მშრომელი მასების ჩაბმის განსაკუთრებული მეთოდები.

ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტური

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья, (стенограмма). Тифлис, 1928, стр. 26.

პარტიის ხელმძღვანელობით გამოდიოდა მუშათა კლასი, რომელიც წინ მიუძღოდა მშრომელ გლეხობასა და ინტელიგენციას.

ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაცია ითვალისწინებდა, არსებულ სამრეწველო საწარმოთა ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან ერთად, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების, მრეწველობის ახალი დარგების შექმნას.

ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას. ახალ დარგებსა და საწარმოებს უნდა უზრუნველეყოთ ამ მხარეში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება. გათვალისწინებული იყო მრეწველობის მაქსიმალურად მიახლოება ნედლეულის წყაროებთან. ამრიგად, ამიერკავკასიის ინდუსტრიული განვითარება გულისხმობდა სოფლის მეურნეობის შესაბამის ზრდასაც.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებს სწორად ესმოდათ თავიანთი ამოცანები. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმურ პრინციპებს. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინიციატივით ამიერკავკასიის ფედერაციაში და თითოეულ მის რესპუბლიკაში შეიქმნა მგეგმავი ორგანოები — სახალხო მეურნეობის საბჭოები, სახელმწიფო საგეგმო კომისიები. უკვე 1926 წლის ზაფხულში მომზადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობისა და ელექტრიფიკაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტები. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე 1926 წელს განიხილავდნენ რესპუბლიკებისა და მთლიანად ამ მხარის ეკონომიკის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს, კერძოდ, მძიმე მრეწველობის განვითარების გეგმებს. დაისახა ღონისძიებანი მძიმე მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების კერების შესაქმნელად. ამავე დროს ხორციელდებოდა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

გაჩაღდა მუშაობა იმისათვის, რომ შეგვექმნა ახალი სარეწები და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები ბაქოში, მანქანათმშენებელი ქარხნები და ქიმიური მრეწველობის საწარმოები ერევანში, თბილისში, ბაქოში, ზეთსახდელი და საპნის სახარში ქარხნები და საფეიქრო ფაბრიკები ერევანში, თბილისში, განჯაში, ლენინაკანში, ქუთა-

ისში. მიმდინარეობდა მარგანეცის, საბთამაღნო და ქვანახშირის მრეწველობის საწარმოების, სამშენებლო მასალის, ბამბისსაწმენდი ქარხნებისა და აბრეშუმსახვევი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და გაფართოება. შენდებოდა მთელი რიგი დიდი ელექტროსადგურები.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით დაწყებამ გააცოფა და გააბოროტა ჩვენი სამშობლოს შინაური და გარეშე მტრები. ჩვენს ქვეყანაში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. მეურნეობის აღდგენასთან, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაშლასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ გამოიწვიეს: პარტიის რიგების არამტკიცე ელემენტების მერყეობა და ყოყმანი. ტროცკისტები, ზინოვიეველები და სხვა ფრაქციონერები წინააღმდეგობას უწევდნენ სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას. მთავარი საფრთხე იყო ტროცკისტები და ზინოვიეველები. პარტიის XIV ყრილობაზე დამარცხების შემდეგ „ახალი ოპოზიცია“ ზინოვიევის, კამენევის და სხვათა სახით აშკარად გადავიდა ტროცკიზმის ანტილენინურ პოზიციებზე. 1926 წლის ზაფხულში ტროცკისტები და ზინოვიეველები გაერთიანდნენ ანტიპარტიულ ბლოკში, რომელსაც საფუძვლად ტროცკისტული პლატფორმა ედო. მას მიემხრნენ დამარცხებული ოპოზიციური ჯგუფების — „მუშათა ოპოზიციის“, „დეცისტების“ და სხვათა ნაშთები. ანტიპარტიული ელემენტები ასახავდნენ ექსპლოატატორულ კლასთა ნაშთების ინტერესებს, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით. ისინი წარმოადგენდნენ კლასობრივი მტრების აგენტურას პარტიაში, მტრული კაპიტალისტური გარემოცვის რუპორს.

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკთან პარტიის პრინციპული უთანხმოების საფუძველი იყო საკითხი, შესაძლებელია თუ არა სსრ კავშირში გაიმარჯვოს სოციალიზმმა. პარტიას, რომელიც ვ. ი. ლენინის ანდერძს მიჰყვებოდა, მიაჩნდა, რომ საბჭოთა ქვეყანაში არის ყველაფერი, რაც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად პროლეტარიატის დიქტატურისა და გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცების საფუძველზე.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის წინააღმდეგ, სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის პარ-

ტიის ბრძოლას სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტი. პარტიული ორგანიზაციები საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეუპოვარ და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ კაპიტულანტების წინააღმდეგ, რაზმავდნენ მასებს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმების შესრულებისათვის.

ოპოზიციურ ბლოკს სერიოზული დარტყმა აგემეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1926 წლის ივლისში. პლენუმმა გადაჭრით დაგმო ანტიპარტიული გამოსვლები ტროცკისტებისა და ზინოვიეველებისა, რომლებიც ცდილობდნენ ფრაქციული ბრძოლის გზით დაენგრიათ პარტია.

საკავშირო კპ (ბ) XV კონფერენციამ (1926 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა (1926 წლის ნოემბერ-დეკემბერი) კვლავ განიხილეს ოპოზიციური ბლოკის საკითხი და თავიანთი გადაწყვეტილებებით ოპოზიციონერები დააყენეს ალტერნატივის წინაშე: ან პარტიასთან ერთად, ან მის რიგებს გარეთ. XV პარტიულმა კონფერენციამ მოგვცა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის როგორც პარტიაში წარმოქმნილი მენშევიკური გადახრის ვრცელი პოლიტიკური შეფასება და გააფრთხილა ოპოზიციონერები, რომ შემდგომი ევოლუცია მენშევიზმისაკენ მიიყვანს მათ პარტიის რიგებიდან გარიცხვამდე. კონფერენციამ მოუწოდა ყველა კომუნისტს გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ანტიპარტიულ გამოსვლებს და მის გამთიშველურ საქმიანობას გადაჭრით გმობდნენ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები. ამიერკავკასიის კომუნისტთა ბრძოლას ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ უშუალოდ წარმართავდნენ საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. ამიერკავკასიაში ოპოზიციის წინააღმდგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ს. მ. ეფენდიევი, ა .გ. იოანისიანი, ა. გ. ყარაევი, ა. ბ. კარინიანი, მ. ი. კახიანი, ს. ლ. ლუკაშინი, ფ. ე. მახარაძე, ლ. ი. მირზოიანი, გ. მ. მუსაბეკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ჰ. გ. ცხაკაია და სხვები. ბაქოში, თბი-

ლისში, ერევანში, განჯაში, ბათუმში, ქუთაისში, ლენინაკანში, ყარაკლისში და სხვა ქალაქებში პარტიული აქტივის კრებები ერთსულოვნად გმობდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ფრაქციულ საქმიანობას და მოუწოდებდნენ დაეცვათ პარტიის რიგების ლენინური ერთიანობა.

1926 წლის აგვისტოში თბილისში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიების გაერთიანებული პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები. გ. კ. ორჯონიკიძემ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ოპოზიციური ბლოკი და მისი ძირგამომთხრელი მუშაობა. პლენუმმა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ამიერკავკასიის კომუნისტები კვლავაც მტკიცედ „იდგებიან პარტიის ლენინური ერთიანობის საფარაჯოზე და იბრძოლებენ ლენინიზმის ყოველგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ“[1].

ამიერკავკასიის კომუნისტები გმობდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკს, მტკიცედ და გადაჭრით იცავდნენ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ კურსს, ამხილებდნენ ოპორტუნიზმის მომხრეებს ამიერკავკასიაში.

მაშინ როცა აზერბაიჯანსა და სომხეთში ოპოზიციონერებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ჩამოყალიბება, საქართველოში უკვე მოქმედებდა მათი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა თავისი უჯრედები, კომიტეტები და ხელმძღვანელი ცენტრი. ეს ორგანიზაცია ყოველნაირად ცდილობდა უეცრად ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკს, ქართულ ენაზე თარგმნიდა, არალეგალურად ბეჭდავდა და ავრცელებდა ფრაქციულ დოკუმენტებს. ქართველი ოპოზიციონერები კვლავ რჩებოდნენ ნაციონალ-უკლონიზმის პოზიციებზე და ამავე დროს ქადაგებდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის პლატფორმას, თესავდნენ სოციალიზმის მშენებლობის ურწმენო-

[1] «Известия Закрайкома ВКП(б)», 1926, № 7, стр. 1, 2.

ბას, ცილს სწამებდნენ პარტიას, მოითხოვდნენ მისი ლენინური ხელმძღვანელობის შეცვლას. 1926 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ოპოზიციონერები ბევრს ეცადნენ მოეხდინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების დეზორგანიზაცია, მაგრამ ვერ მოახერხეს.

თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებებზე სამი ათასი მონაწილიდან ოპოზიციას ხმა მისცა სულ 25 კაცმა. ოპოზიცია დამარცხდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და მაზრებში გამართულ პარტიული აქტივის კრებებზეც.

პარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის საკითხი და პარტიის ზემდგომ ორგანოებს მიმართა წინადადებით სასტიკ პასუხისგებაში მიეცა ფრაქციონერები. მალე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიიდან გარიცხა ქართველ ტროცკისტთა მოთავენი. 1926 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა კვლავ განიხილა ადგილობრივი ოპოზიციის საკითხი და დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება.

ტროცკისტული ოპოზიციის ხელმძღვანელებმა საქართველოში — ვ. ე. დუმბაძემ, ე. ე. კალანდაძემ, მ. ს. ოკუჯავამ მიბაძეს ოპოზიციური ბლოკის მოთავეთა ორპირობას და ცრუ განცხადება გააკეთეს, ტროცკისტულ შეხედულებებზე, ფრაქციულ ბრძოლაზე ხელს ვიღებთო, ნამდვილად კი განაგრძობდნენ ანტიპარტიულ საქმიანობას.

1926 წლის დეკემბრის დამდეგს გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ამ მხარის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის მუშაობაში პირველად აღარ იღებდა მონაწილეობას გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროისათვის საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე და მუშგლეხინის სახალხო კომისრად დააწინაურეს. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა გ. კ. ორჯონიკიძეს ერთსულოვნად გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო მისი დიდი დამსახურება ამ მხარის კომუნისტურ ორგანიზაციათა რიგების ლენინური ერთიანობის განმტკიცებასა და

მრავალეროვანი მშრომელი მასების ინტერნაციონალურ შეკავშირებაში. გამოთქმული იყო მტკიცე რწმენა, რომ იგი კვლავაც იქნებოდა ურყევი და შეუპოვარი ლენინელი.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა მ. დ. ორახელაშვილი. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა განიხილა მისი მოხსენება საკავშირო კპ (ბ) XV კონფერენციის შედეგების შესახებ, მიიღო დადგენილება, რომელიც გმობდა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას, მაღალ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ. „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — სავსებით უერთდება XV პარტიულ კონფერენციას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკების კომუნისტებმა გარკვეული მუშაობა გაწიეს იმ მძიმე ფრაქციული ბრძოლის პერიოდში, რომელიც დაიწყო „ახალმა ოპოზიციამ" — ტროცკის, ზინოვიევის, შლიაპნიკოვის და სხვათა ბლოკმა, რომ ფართო პარტიულმა მასებმა ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს ოპოზიციას ყველგან, მეტადრე ამიერკავკასიის მუშათა ცენტრებში (ბაქოში, თბილისში)"[1].

პლენუმმა აღნიშნა, რომ ძლევდა რა ყველა სიძნელეს, კომუნისტურმა პარტიამ მთელ მსოფლიოს უჩვენა სოციალიზმის გამარჯვებისადმი ურყევი რწმენა, და ცხადყო თავისი რიგების ურღვევი ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციამ მხოლოდ სიტყვით თქვა უარი თავის შეხედულებებსა და ფრაქციულ ბრძოლაზე, მიუთითა ოპოზიციური ბლოკის იდეური და ორგანიზაციული განადგურების აუცილებლობაზე. პლენუმმა აღნიშნა, რომ „ოპოზიციამ ნიადაგი ვერ პოვა აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიულ ორგანიზაციებში და ფრაქციულმა ბრძოლამ მხოლოდ საქართველოში მიიღო ვითომდა სერიოზული ხასიათი".[2]

თუმცა პარტიამ დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციონერები, მათ მაინც ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები, ხან აშკარად, ხან შენიღბულად, პირფერულად განაგრძობდნენ ანტიპარტიულ საქმიანობას. 1927 წლის გაზაფხულზე, როცა ტროცკისტულ-

---

1 შლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. II, შესან. ერთ. 1671, ფურც. 41.

2 იქვე.

ზინოვიევური ბლოკის ლიდერებმა გააძლიერეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ და გამოვიდნენ ეკრეთ წოდებული „33-ის პლატფორმით“, რომელიც პარტიისა და მუშათა კლასის მოტყუებას ვარაუდობდა, ტროცკისტებმა აზერბაიჯანში აგრეთვე გააქტიურეს თავიანთი ფრაქციული საქმიანობა. 1927 წლის მაისში მათ ბაქოში შექმნეს არალეგალური „საინიციატიო ბიურო“, რომელიც ფაქტობრივად ტროცკისტული ოპოზიციის ადგილობრივი ცენტრი გახდა. ამ ცენტრის შემადგენლობაში შევიდნენ ლ. ი. გირშიკი, ტ. ვ. კრილოვი, ა. გ. მამედლინსკი, ვ. ი. ტიტოვი და თ. ი. შებარშევი[1]. აზერბაიჯანის სხვა ქალაქებსა და მაზრებში მცირერიცხოვანი ოპოზიციონერები არ იყვნენ ორგანიზებული ჯგუფებად. მაგრამ ბაქოს ცენტრს რომ ეყრდნობოდნენ ფრაქციონერები ადგილებზე შესამჩნევად გამოცოცხლდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკის და ზინოვიევის გამოყვანის შესახებ.

ბაქოს ოპოზიციური ცენტრის ორგანიზატორებმა და მომხრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა პარტიის ხაზის წინააღმდეგ, გააჩაღეს ძირგამომთხრელი მუშაობა, შეაკოწიწეს ფრაქციული დოკუმენტი სათაურით „44-ის განცხადება“, რომელიც მიმართული იყო პარტიის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა წინააღმდეგობა გაეწია საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკის და ზინოვიევის გარიცხვისათვის. ოპოზიციის ბაქოს „საინიციატიო ბიურომ“ მჭიდრო კავშირი დაამყარა მის ცენტრებთან მოსკოვში, ტროცკისთან, ზინოვიევთან, მიიღო მათგან სათანადო ინსტრუქციები და დოკუმენტები, მათ შორის ტროცკის და ზინოვიევის წერილი „ამხანაგებს, რომლებმაც წერილი გამოგვიგზავნეს ბაქოს ორგანიზაციისაგან“. 1927 წლის მეორე ნახევარში ბაქოელმა ოპოზიციონერებმა ქალაქის სხვადასხვა რაიონში შექმნეს რამდენიმე არალეგალური ჯგუფი. მათ ურთიერთობა დაამყარეს საქართველოს ოპოზიციონერებთან, მონაწილეობა მიიღეს ოპოზიციის ამიერკავკასიის ცენტრის შექმნაში.

ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის, კერძოდ. „44-ის განცხადების“ შესახებ რომ შეიტყეს, ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციებმა

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 35, 12 февраля 1928 г.

გადაჭრით დაგმეს მათი საქციელი და პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინაშე დააყენეს საკითხი — სასტიკ პასუხისგებაში მიეცათ ოპოზიციის აქტიური წევრები[1]. ოპოზიციონერების გამოსვლებს საქალაქო კომუნისტური უჯრედებისა და პარტიული აქტივის კრებებზე არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონია. მათ დასაცავად მხოლოდ რამდენიმე კაცი გამოვიდა. 1927 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში პარტიული აქტივის საქალაქო კრებამ გადაჭრით დაგმო ტროცკისტების, ა. გ. მამედლინსკის და ა. ჰ. სკუბლინსკის გამოსვლები, ყველა ოპოზიციონერისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ფრაქციული საქმიანობა და დამორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას.[2]

მაგრამ ოპოზიციონერები არ ცხრებოდნენ. 1927 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიის რიგებიდან გარიცხა ოპოზიციის მთელი რიგი წევრები, მათ შორის თ. გ. ბუტოვი, ი. კ. გასანოვი, ტ. ვ. კრილოვი, ა. გ. მამედლინსკი, რ. ე. ნაჯაროვი, მ. მ. პოპოვი, ა. დ. სარქისი, თ. ი. შებარშევი და სხვები. ბაქოს პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი ადგილობრივი ოპოზიციის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ და მოიწონა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ეს გადაწყვეტილება.

ოპოზიციამ სრული მარცხი განიცადა აზერბაიჯანის სხვა ქალაქებისა და მაზრების პარტიულ ორგანიზაციებშიც.

ტროცკი და ზინოვიევი ცდილობდნენ გაემხნევებინათ ადგილობრივი ფრაქციონერები. მათ ბაქოში გამოგზავნეს მთელი რიგი თავიანთი თანამოაზრენი, მათ შორის ვ. ა. ტერ-ვაგანიანი, აქ ანტიპარტიული მუშაობის გასაძლიერებლად. სრულიად ბაქოს XVII პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1927 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა, გადაჭრით დაგმო ვ. ა. ტერ-ვაგანიანის ტროცკისტული გამოსვლები. ვ. ა. ტერ-ვაგანიანმა გამოიყენა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებული ცალკეული შეცდომები და სცადა ჩირქი მოეცხო საკავშირო კპ (ბ)

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 193, 19 августа 1927 г.

[2] იქვე.

ცენტრალური კომიტეტის იმ პოხსენების ძირითადი დებულებებისათვის, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ი. ე. რუძუტაკმა გააკეთა, დემაგოგიურად ბრალს სდებდა პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტულანტური პოლიტიკის განხორციელებაში, ცდილობდა უთანხმოება ჩამოეგდო პარტიულ ორგანიზაციაში ეროვნული საკითხის გამო. კონფერენციის დელეგატებმა საკადრისი პასუხი გასცეს ამ ცილისმწამებლურ მონაჩმახს. ბაქოს კომუნისტების კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა. ოპოზიციას ხმა მისცა მხოლოდ ერთმა კაცმა.

„83-ის პლატფორმის“ გამოჩენის შემდეგ ოპოზიციის საქმიანობა გამოცოცხლდა სომხეთშიც. 1927 წლის გაზაფხულზე ერევანსა და რესპუბლიკის ზოგიერთ მაზრაში გაჩნდა ოპოზიციური ჯგუფები, ხოლო იმავე წლის ზაფხულში ოპოზიციონერებმა აქ აშკარად დაიწყეს ბრძოლა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. 1927 წლის ივლისის დამდეგს სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე, რომელმაც განიხილა ს. ს. ამბარცუმიანის მოხსენება ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, ტროცკისტები ბ. ო. კაზარიანი, გ. ა. პირგულიანი და რ. ნ. საფრაზბეკიანი გამოვიდნენ ეგრეთ წოდებული „სამის დეკლარაციით“. დეკლარაციის ავტორები პირფერულად იფარებდნენ პარტიის პოლიტიკის დამცველთა ნიღაბს და ბრალს სდებდნენ პარტიას მცდარ საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. საკავშირო კპ (ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს მისამართით ტროცკისტების ძირითად ცილისმწამებლურ ბრალდებებს რომ იმეორებდნენ, განაცხადეს, არ ვეთანხმებით მოხსენების შინაარსს ოპოზიციური ბლოკის შესახებ და ხმას ვაძლევთ პლენუმზე წამოყენებული რეზოლუციის წინააღმდეგო.

პლენუმის მონაწილენი გულისწყრომით შეხვდნენ სამეულის ვამოსვლას, რომელიც ფაქტობრივად რესპუბლიკის ტროცკისტული გამთიშველების ცენტრი იყო. პლენუმმა გააფრთხილა სამეული, რომ თუ ისინი შეეცდებოდნენ შეეგროვებინათ უბადალებული დეკლარაციის ხელმოწერები და განაგრძობდნენ ფრაქციულ ბრძოლას, მათ მიმართ მიღებული იქნებოდა მკაცრი ზომები. პლენუმმა მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის

შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ, საკუთარი შეუერთდა კომინტერნის აღმასკომის VIII გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და დასახა ლენინიზმის პროპაგანდის გაძლიერების ღონისძიებანი[1].

სომხეთის არც ერთ პარტიულ ორგანიზაციას არ მიუცია ხმა ოპოზიციის პლატფორმისათვის. მხოლოდ ერევნის ცალკეულ პარტიულ უჯრედებში მოაგროვა ოპოზიციამ თითო-ოროლა ხმა. „ყველაზე დამახასიათებელი ის არის, — წერდა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჰორურდაინ ჰაიასტანი“ („საბჭოთა სომხეთი“), — რომ სომხეთის კომუნისტური პარტიის ერევნის ორგანიზაციის მუშათა უჯრედებში ოპოზიციისადმი აღშფოთება სულ უფრო ძლიერდებოდა, როცა რიგითი მუშები ამკარა ფაქტებით უარყოფდნენ ოპოზიციის ცილისმწამებლურ ბრალდებებს პარტიის მისამართით. უნდა ითქვას, რომ ოპოზიციამ მუშათა უჯრედებში მხოლოდ ორი ხმა მოაგროვა“[2].

კრებებზე კომუნისტები მოითხოვდნენ მკაცრად დაესაჯათ ოპოზიციის ლიდერები. რიგითი კომუნისტების მიმართ, რომლებიც თავდაპირველად ვერ გაერკვნენ ოპოზიციის შეხედულებათა არსში და მათ მიემხრნენ, გამოიჩინეს განსაკუთრებული დამოკიდებულება. მათ მოუწოდებდნენ შეესწავლათ ლენინიზმი, პარტიის პოლიტიკა, შეეგნოთ თავიანთი შეცდომები და ხელი აეღოთ მათზე, ზურგი შეექციათ ოპოზიციისათვის, ყველა კომუნისტთან ერთად ებრძოლათ პარტიის ერთიანობისათვის. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. დ. ორახელაშვილის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ლენინაკანის დეპოსა და გარნიზონის პარტორგანიზაციათა გაერთიანებულმა კრებამ მკაცრად დაგმო ოპოზიციური ბლოკის საქმიანობა, მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა, რომ „პარტიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ლენინური პოლიტიკაა და მას მივყავართ სოციალიზმისაკენ“[3]. სომხეთის კომუნისტური პარტიის ზანგეზურის სამაზრო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლი-

---

1 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში მლისომხეპა), ფ. 1, აღწ. 9, შესან. ერთ. 32, ფურც. 25, 26.

2 გაზ. „ჰორურდაინ ჰაიასტან“ № 217, 1927 წლის 23 სექტემბერი.

3 გაზ. „ჰორურდაინ ჰაიასტან“ № 201, 1927 წლის 3 სექტემბერი.

ტიკური ხაზი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბლოკის მომხრეთა დეზორგანიზატორული საქმიანობა შეუწყნარებელი და აშკარად ანტიკომუნისტური გახდა, პლენუმმა მოითხოვა მათ მიმართ მიეღოთ უსასტიკესი ზომები, თვით პარტიის რიგებიდან გარიცხვაც კი, „ვინაიდან არ შეიძლება კომუნისტი ეწოდოს იმას, ვინც ანგრევს ლენინურ პარტიას, რევოლუციონერი ვერ იქნება ის, ვინც ასუსტებს რევოლუციის დაცვის საქმეს"[1].

ძირგამომთხრელი მუშაობა ტროცკისტებმა საქართველოშიც გააძლიერეს. ისინი მართავდნენ არალეგალურ კრებებს, აწყობდნენ ფიტაქვეშა ჯგუფებს, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ ტროცკისტულ ლიტერატურას, აგროვებდნენ სახსრებს საიდუმლო სტამბების შესაქმნელად, საწერი მანქანების შესაძენად, აგროვებდნენ ხელმოწერებს „83-ის პლატფორმის" მხარდასაჭერად, აძყარებდნენ დანაშაულებრივ ურთიერთობას კულაკურ და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან. ოპოზიცია ისწრაფოდა თავის გავლენაში მოექცია თბილისის, ხაშურის, ჭიათურის, სამტრედიის, ფოთის სამრეწველო საწარმოთა მუშები, გადაებირებინა ისინი. ადგილობრივი ოპოზიციონერები ცილისმწამებლურ წერილებსა და განცხადებებს გზავნიდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ანონიმურ წერილებს აცხობდნენ და უგზავნიდნენ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც. ტროცკისტული დაჯგუფებების ბირთვი იყო ყოფილი ნაციონალ-უკლონისტების ნაწილი.

ქართველი ოპოზიციონერები ცილისმწამებლურად ბრალს სდებდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეგრეთ წოდებული წვრილბურჟუაზიული ცენტრისტული პოლიტიკის განხორციელებაში. ვ. ე. დუმბაძე, მ. ს. ოკუჯავა, კ. მ. ცინცაძე და სხვები პროტესტს აცხადებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ფრაქციონერთა წინააღმდეგ მიღებული ორგანიზაციული ღონისძიებების წინააღმდეგ და გამოვიდნენ ეგრეთ წოდებული „15-ის" განცხადებით. ისინი მოითხოვდნენ პარტიულ უჯრედებში გადარჩევნების მოწყობას და რაიონულ და სამაზრო პარტიულ კონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატების ახალ არჩევნებს. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს დარღვეული იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები.

---

1 მლისომხფპა, ფ. 8, აღწ. 1, შესან. ერთ. 925, ფურც. 17.

ნამდვილად კი ეს მოთხოვნა იმით აიხსნებოდა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა საკადრისი პასუხი გასცეს ტროცკისტებს, არ აირჩიეს ისინი პარტიული კონფერენციების დელეგატებად.

ოპოზიციონერებმა აიფარეს ახალგაზრდობის, კომკავშირის ინტერესების გამომხატველთა ნიღაბი და შეძლეს ეშოვათ მომხრეები, მათ ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მერყევი ელემენტების მეშვეობით ერთგვარი გავლენა მოახდინეს კომკავშირულ მასებზე, შექმნეს ფრაქციული ჯგუფები. მაგრამ საქართველოს კომკავშირმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ტროცკისტებს, დაიცვა თავისი რიგების ერთიანობა.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივლის-აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის შედეგების განხილვის დროს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ცხადყვეს თავიანთი შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ერთგულება ლენინიზმის პრინციპებისადმი, მოითხოვდნენ აქტიური ოპოზიციონერების გარიცხვას პარტიის რიგებიდან. მაგალითად, 1927 წლის 4 ოქტომბერს სოხუმის საერთო-საქალაქო პარტიულმა კრებამ, რომელშიც მონაწილეობდა კომკავშირული აქტივი, მოისმინა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ი. ე. რუძუტაკის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირს ომის საფრთხე ემუქრება, როცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი და გლეხობა მთელ თავიანთ ყურადღებას მიმართავენ ქვეყნის თავდაცვისათვის, ოპოზიცია ზურგში დარტყმას უმზადებს პარტიას. საქართველოს კპ (ბ) სოხუმის საქალაქო ორგანიზაცია ერთხელ კიდევ გადაჭრით გმობს ოპოზიციის ქცევას, სწორად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებანი, სრულ ერთსულოვან მხარდაჭერას ჰპირდება საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მოუწოდებს მთელი აფხაზეთის ორგანიზაციას მტკიცედ და გადაჭრით იბრძოლოს გამთიშველ-ოპოზიციონერთა წინააღმდეგ"[1].

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 199, ფერც. 31, 32.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებებით რომ ხელმძღვანელობდნენ, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები დღითი დღე აძლიერებდნენ ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელიც 1927 წლის 30 აგვისტოს გაიმართა, შეუერთდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლის-აგვისტოს (1927 წლის) გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამ მხარის ყველა პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახა ამოცანა მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაეშალათ ოპოზიციური ბლოკის მენშევიკური არსის მხილებისათვის. ამავე დროს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოითხოვა უაღრესად მკაცრი ზომები მიეღოთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ატყუებდა პარტიას, ხელს აწერდა ამკარად ანტიპარტიულ დოკუმენტებს. პარტიული კომიტეტების წინაშე დასახა ამოცანა ბოლო მოეღოთ ოპოზიციური ჯგუფების ფრაქციული საქმიანობისათვის, გაეწმინდათ პარტიის რიგები ოპოზიციონერებისაგან, რომლებიც განაგრძობდნენ თავიანთ გამთიშველურ მუშაობას.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ხალხის გულისწყრომისა და აღშფოთების ტალღა აზვირთდა ტროცკისტების წინააღმდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ 1927 წლის ოქტომბრის სადღესასწაულო დღეებში მოსკოვსა და ლენინგრადში მათ მოაწყეს დემონსტრაციები ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ლოზუნგებით. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ შეასრულეს ხალხის ნება და პარტიიდან გარიცხეს ტროცკი, ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანეს ბევრი სხვა ოპოზიციონერი, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბლოკი საბოლოოდ განადგურებულ იქნა. 1927 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საერთო-პარტიული დისკუსიის დროს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას ხმა მისცა პარტიის 224 ათასმა წევრმა, ტროცკისტულ-ზინოვიეეურ ოპოზიციურ ბლოკს — მხოლოდ 4 ათასმა (ერთ პროცენტზე ნაკლებმა). პარტიის ლენინურმა გენერალურმა ხაზმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

საერთო-პარტიული დისკუსიის პერიოდში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთიანობა. ბაქოში დისკუსიის დროს პარტიის პოლიტიკაზე ცილის-

წამებით გამოვიდნენ ტროცკისტები, მათ შორის მ. ფ. ხანბუდაგოვი და მოსკოვიდან ჩასული ა. ა. ოჰანეზოვი და ვ. ა. ტერ-ვაგანიანი. ისინი კვლავ ცდილობდნენ გაეთრიათ „83-ის პლატფორმა", ეუბნებოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის მიზანშეწონილობას, მაგრამ სამარცხვინოდ დამარცხდნენ. სადისკუსიო კრებების 25 დღის მანძილზე კამათში გამოსული 1.477 კომუნისტიდან მხოლოდ 40 კაცმა დაუჭირა მხარი ოპოზიციის პლატფორმას. ქალაქის ყველა კომუჯრედში მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერდნენ პარტიის გენერალურ ხაზს. სულ ბაქოს პარტორგანიზაციის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 14.438 კაცმა, რომელთაგან ოპოზიციას ხმა მისცა 0,5 პროცენტმა, ხოლო თავი შეიკავა 0,6 პროცენტმა[1]. ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ თავი გამოიჩინა როგორც პარტიის ერთ-ერთმა იდეურად გამოწრთობილმა და ბრძოლისუნარიანმა რაზმმა.

აზერბაიჯანის ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები განიხილა 1927 წლის 12—18 ნოემბერს გამართულმა აზერბაიჯანის კომპარტიის VIII ყრილობამ, რომელმაც პარტიული რიგების ლენინური ერთიანობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით ჩაიარა.

სომხეთის კომუნისტურ პარტიაში სადისკუსიო კრებები და პირველადი, რაიონული, საქალაქო და სამაზრო ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ერთდროულად მიმდინარეობდა. სამაზრო კრებებზე მანდატი მიიღო მხოლოდ ოპოზიციის 11 წარმომადგენელმა. სადისკუსიო კრებებზე ოპოზიციამ მხოლოდ ორჯერ გაბედა წამოეყენებინა თავისი რეზოლუცია, ამასთან სულ 20 ხმა მოაგროვა.[2] რესპუბლიკის 9 მაზრიდან 6 მაზრაში სადისკუსიო კრებებზე ოპოზიციას ხმა მისცა 1,79 პროცენტმა, ხოლო თავი შეიკავა 0.01 პროცენტმა. საწარმოო ორგანიზაციების კენჭისყრაში მონაწილე 1.020 კაციდან მხოლოდ 19-მა მისცა ხმა ოპოზიციას, ხოლო ორმა თავი შეიკავა. სასოფლო რაიონებში 1.421 დელეგატიდან ოპოზიციას ხმა მისცა ორმა.[3] ერევანში დისკუსიის დღეებში ოპოზიციას ხმა მისცა სულ 50 კაცმა.

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 290, 13 декабря 1927 г.

[2] ბლისომხუპა, ფ. 1, აღწ. 9, შესან. ერთ. 60, ფურც. 5.

[3] იქვე, ფურც. 2.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის განადგურებაში დიდი როლი შეასრულა სომხეთის კომპარტიის V ყრილობამ, რომელიც 1927 წლის 19 ნოემბერს გაიმართა. ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. დ. ორახელაშვილის მოხსენება, დაგმო ოპოზიციური ბლოკის ლიდერთა სამარცხვინო საქციელი და მოითხოვა მათი გარიცხვა პარტიიდან. ამავე დროს ყრილობამ მოიწონა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა ღონისძიება ადგილობრივი ოპოზიციონერების მიმართ და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა პარტიიდან გაერიცხათ ისინი, ვინც დაჟინებით იცავდნენ თავიანთ შეცდომებს.[1]

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში საერთო-პარტიული დისკუსიის დროს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისებს ხმა მისცა 32.430 კომუნისტმა, წინააღმდეგ — 537-მა, თავი შეიკავა 135-მა.

საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ, რომლიც 1927 წლის 12—19 ნოემბერს გაიმართა, დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი, აღუთქვა კომინტერნს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ლენინიზმისადმი ერთგულება, ანტილენინური გადახრებისა და მიმდინარეობებისადმი შეურიგებლობა და საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობაზე წარგზავნილ თავის დელეგატებს დაავალა ცდილიყვნენ, რომ პარტიიდან გაერიცხათ ოპოზიციის ლიდერები და მათი აქტიური ხელშემწყობნი. ქართველ კომუნისტთა ყრილობამ პარტიიდან გარიცხა ადგილობრივი ოპოზიციონერები ვ. ვ. ვირაპი, პ. ო. გაზარიანი, რ. ს. ჯღამაძე, რ. ფ. კალაძე, გ. გ. ლაფანაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ლ. ბ. მირუტაძე, ა. ლ. თუმანოვი და კ. მ. ცინცაძე და დააყენა ოპოზიციის დანარჩენ მონაწილეთა საქმეების სასწრაფოდ განხილვის საკითხი.

ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა და განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა, გამოიჩინა მარქსისტულ-ლენინური იდეებისადმი ერთგულება ამიერკავკასიის კომკავშირმა, რომელიც კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო. ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია ტროცისტულ-

---

1 მლისომხფპა, ფ. 1, აღწ. 9, შესან. ერთ. 27, ფურც. 2.

ზინოვიევურ ბლოკს, გაბედულად ამხილა ოპოზიციონერები. განსაკუთრებით დიდი აქტივობა ცხადყო ამიერკავკასიის კომკავშირმა დისკუსიების პერიოდში. ალკკ ბაქოს ორგანიზაციის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 12-ათასმა კომკავშირელმა. მათგან პარტიის ხაზის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 11 კაცმა, ხოლო კენჭისყრისაგან თავი შეიკავა 15-მა.

დისკუსიის დღეებში თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის წარმატებით იბრძოდნენ სომხეთის კომკავშირული ორგანიზაციები. აქ 70 კომკავშირელიდან, რომლებიც მხარს უჭერდნენ ოპოზიციას და გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა არალეგალურ ჯგუფში, დაახლოებით 20 გარიცხეს კომკავშირის რიგებიდან, დანარჩენებს კი დაადეს დისციპლინარული სასჯელი. დისკუსიის განმავლობაში კენჭისყრაში მონაწილე 5.108 კომკავშირელიდან ოპოზიციას ხმა მისცა მხოლოდ 21-მა (0,01 პროცენტმა).

თუმცა ტროცკისტებმა საქართველოში მოახერხეს ოპოზიციის გავლენაში მოქცეული კომკავშირელებისგან შეექმნათ თავიანთი ორგანიზაცია და მთელი რიგი იატაკქვეშა ახალგაზრდული წრეები, რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომუნისტების დახმარებით ამხილეს და დაგმეს ეს ფრაქციული ანტიპარტიული მოქცევა დისკუსიის პროცესში და მის შემდეგ საქართველოს კომკავშირი მტკიცედ იდგა ლენინიზმის პოზიციებზე და აქტიურად უჭერდა მხარს პარტიის გენერალურ ხაზს.

დისკუსიამ ცხადყო, რომ ამიერკავკასიის კომკავშირი ლენინიზმის ერთგულია და ულმობელია მისი მტრებისადმი, მზად არის შეასრულოს მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველი დავალება. საკ. ალკკ ამიერკავკასიის V ყრილობამ, რომელიც 1928 წლის მარტში გაიმართა, აღნიშნა ამ მხარის კომკავშირული ორგანიზაციების წარმატებანი ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, — ნათქვამი იყო ყრილობის რეზოლუციაში, — ამიერკავკასიის კომკავშირმა განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა, პოლიტიკურად გაიზარდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა კომუნისტურ პარტიას"[1].

საკ. ალკკ VIII ყრილობამ, რომელიც 1928 წლის მაისში გაიმართა, თავის რეზოლუციაში მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის

---

[1] Резолюции и постановления V Закавказского съезда ВЛКСМ. Тифлис, 1928, стр. 18.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, აღნიშნა, რომ მათი გადამწყვეტი ბრძოლის შედეგად ტროცკისტებმა „დიდი დამარცხება განიცადეს და ვერავითარი გავლენა ვერ მოიპოვეს მუშათა მასებისა და გლეხი ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობაში".[1]

ამრიგად, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, გაამართლეს საკავშირო კპ (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნდობა. მათ გაწმინდეს თავიანთი რიგები ოპოზიციონერებისაგან, უფრო მეტად განმტკიცდნენ, უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციაზე გამარჯვება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა იყო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პარტიის ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. იმპერიალისტები, საბჭოების ქვეყნიდან გაქცეული მუსავატელები, დაშნაკები, ქართველი მენშევიკები და სსრ კავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად მოქმედი ანტისაბჭოთა ჯგუფები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთები საზღვარგარეთ ოცნებობდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციაზე, ამიერკავკასიაში ბურჟუაზიული რეჟიმის აღდგენაზე. მათ ძალებს თავი მოუყარეს სტამბოლში, პარიზში, ბერლინსა და სხვა ქალაქებში, სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ეწეოდნენ აღვირახსნილ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა მიერ განდევნილი მუსავატელები, დაშნაკები და მენშევიკები ყოველმხრივ დახმარებას იღებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან.

1927 წელს კავკასიელმა ემიგრანტებმა პარიზში შექმნეს კონტრრევოლუციური „კავკასიის კონფედერაციის დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელიც ამოცანად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ამიერკავკასიაში[2]. ამ კომიტეტის შემადგენლობაში შედიო-

---

[1] Справочник партийного работника. Вып. VII, ч. 1, М.—Л., 1930, стр. 495.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 146, 26 июня 1927 г.

დნენ ქართველი მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები, ითთიჰადისტები და საბჭოთა ხალხის სხვა მტრები.

ამავე დროს მუსავატელებმა (მ. ე. რასულზადემ და სხვ.) სტამბოლში შექმნეს კონტრრევოლუციური ცენტრი სახელწოდებით „აზერბაიჯანის ეროვნული კომიტეტი", რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აზერბაიჯანში. ანტისაბჭოთა ძალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ოპოზიციურ ელემენტებზე კომუნისტური პარტიის შიგნით. კერძოდ, მუსავატელი მაჩანჩალები ცდილობდნენ ყოველნაირად დაეპირათ ეხარი ოპოზიციისათვის. ისინი თავიანთი მიზნების განხორციელების გზას ხედავდნენ კომუნისტური პარტიის გახრწნაში.

ანტისაბჭოთა საქმიანობას განაგრძობდნენ დაშნაკებიც. ისინი ყოველნაირად ჩირქს სცხებდნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, ტროცკისტებთან ერთად ისწრაფოდნენ გაეხრწნათ საკავშირო კპ (ბ), ძირი გამოეთხარათ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებისათვის, რათა დაეჩქარებინათ კაპიტალისტური წყობილების რესტავრაცია. თავიანთი მუხანათური გეგმების განხორციელებას დაშნაკები, ისევე როგორც სხვა ნაციონალისტები, უკავშირებდნენ საომარ ინტერვენციას, რომელსაც ამზადებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ინგლისის მეთაურობით. ისინი გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ კონტრრევოლუციურ ძალებზეც ქვეყნის შიგნით — დამხობილი კლასების ნარჩენების, კულაკობის და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების სახით. 1926 წლის დამდეგს დაშნაკებმა განამტკიცეს თავიანთი ურთიერთობა თეთრ ემიგრანტებთან, აგრეთვე მუსავატელებთან და ქართველ მენშევიკებთან.

სომხეთის კომუნისტები თანამიმდევრულად ამხილებდნენ დაშნაკთა ნამდვილ მიზნებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „დაშნაკცუთიუნი" ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია იყო, არასოდეს არ გამოხატავდა და არ იცავდა სომეხი ხალხის ინტერესებს. „მაუზერიზმი და II ინტერნაციონალი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ფაშიზმი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის განზრახვა — აი ის ნიადაგი, რომელზედაც დგანან მენშევიკთა და დაშნაკთა ლიდერები",[2] — აბუ

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 146, 26 июня 1927 г.

[2] გაზ. „ᲯᲝᲠᲣᲠᲓᲐᲜᲘ ᲰᲐᲘᲐᲡᲢᲐᲜ" № 140, 1926 წლის 16 ივნისი.

ახასიათებდა სომხეთის პარტიული პრესა ამიერკავკასიის ბურჟუა-ზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთების პოზიციას.

საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები იყვნენ ქართველი მენშევიკებიც. საქართველოში 1924 წელს მათ მიერ მოწყობილი კონტრრევოლუციური შეიარაღებული გამოსვლების კრახის შემდეგ მათ ხელი არ აუღიათ თავიანთ ანტიიერისტულ გეგმებზე — აღედგინათ ბურჟუაზიული რეჟიმი. 1926 წელს ნ. ჟორდანია წერილში ადგილობრივი მენშევიკებისადმი, რომლებიც იატაკქვეშეთში იმყოფებოდნენ, უსაყვედურებდა მათ პასივობას და წინადადებას აძლევდა მომზადებულიყვნენ ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1927 წელს ჟორდანიამ და რამიშვილმა კვლავ მოსთხოვეს თავის მომხრეებს დაეწყოთ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოააშკარავეს მენშევიკთა ეს ზრახვები. ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა მთლიანად ამხილეს და გაანადგურეს ამ მხარის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციების ნაშთები. მათი გახრწნა და კრახი ფაქტობრივად ასახავდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციის იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის წარმატებებს.

ამიერკავკასიის კომუნისტები აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ სმენაევხელების წინააღმდეგაც. ამ უკანასკნელთა პოზიციებიდან აქ გამოდიოდა განადგურებული პარტიების — დაშნაკების, ქართველი მენშევიკებისა და სხვათა ზოგიერთი წარმომადგენელი, აგრეთვე ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მერყევი ნაწილი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მოპირდაპირეებად ინიღბებოდნენ, ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ მშრომელი მასები და შიგნიდან მოქმედებით ძირი გამოეთხარათ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების გამოჩენილ მოღვაწეთა შრომებში, მათს გამოსვლებში სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური პარტიების ყრილობებზე მხილებულ იქნა ამიერკავკასიელ სმენაევხელთა შეხედულებებისა და ზრახვების ნამდვილი არსი.

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გაანადგურეს

ადგილობრივი ოპოზიცია, ძლიერი დარტყმები მიაყენეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთებს. მათ კიდეე უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგები და უდიდესი მუშაობა გააჩაღეს მასებში, დარაზმეს ისინი ინდუსტრიალიზაციისათვის საბრძოლველად.

2. ამიერკავკასიის მშრომელთა მობილიზაცია ინდუსტრიალიზაციისათვის. ამიერკავკასიის პარტიული და მასობრივი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა

იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე ჩაგვება მუშათა კლასი და ყველა მშრომელი ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა გადაწყვეტაში, საჭირო იყო კიდეე უფრო აგვემაღლებინა სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე, მშრომელთა შეგნება, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა.

1926 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში იყო პარტიის 55.217 წევრი და წევრობის კანდიდატი. მათ შორის დაახლოებით 25 ათასი მუშაობდა აზერბაიჯანში, 23 ათასზე მეტი — საქართველოში და დაახლოებით 7 ათასი — სომხეთში[1]. დაახლოებით 27 ათას პარტიის წევრსა და კანდიდატს შეადგენდნენ მუშები[2]. პარტიული ორგანიზაციების პროლეტარული ბირთვი ძირითადად თავმოყრილი იყო ბაქოში, თბილისში, ერევანსა და ამიერკავკასიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში. მარტო ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში 18 ათასი კომუნისტიდან თითქმის 10 ათასს მუშები შეადგენდნენ[3].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას რომ შეუდგნენ, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა თავიანთი სოციალური შემადგენლობის გაუმჯო-

---

[1] Коммунистические организации Закавказья в цифрах. Тифлис, 1927, стр. 2, 3; Коммунистическая партия Азербайджана в цифрах. Статистический сборник. Баку, 1970, стр. 23.

[2] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 64.

[3] Газ. «Заря Востока» № 1469, 7 мая 1927 г.; ჰლიაზფა, ფ. 1, აღწ. 23, შესაბ. ერთ. 1, ფურც. 38.

ბესებისათვის, პროლეტარული ბირთვის გადიდებისათვის. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიული ორგანიზაციების ზრდის რეგულირებას. იგი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მიზნად უსახავდა ამ ამოცანათა გადაწყვეტას, სწავლობდა და ავრცელებდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებითს გამოცდილებას. 1926 წლის დეკემბრის დამდეგს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის ზრდისა და რეგულირების საკითხები. პლენუმმა აღნიშნა, ცალკეული პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა თავიანთი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, დასახა ღონისძიებანი პარტიის რიგებში მოწინავე მუშების მოსაზიდად.

ხელმძღვანელობდნენ რა „პარტიის ზრდის რეგულირების შესახებ" საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, რომელიც მიღებულ იქნა 1926 წლის დეკემბრის დამლეს, და საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით, მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა პარტიის რიგებში მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლების მოსაზიდად.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ მსხვილ ინდუსტრიულ საწარმოთა პარტიული კომიტეტები.

1927 წლის ივნისში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამა სამხარეო პარტიული კომიტეტის მუშაობა სამხარეო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და რეგულირების საკითხებზე წლის პირველ ნახევარში. აღინიშნა, რომ პარტიაში მიღებულ მუშათა ხვედრითმა წონამ 72,1 პროცენტს მიაღწია, მაშინ როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში მუშები პარტიაში მიღებულთა საერთო რიცხვის 58,2 პროცენტს შეადგენდნენ[1]. ამიერკავკასიის მსხვილი სამრეწველო ცენტრების პარტიულ ორგანიზაციებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო; ბაქოს ორგანიზაციაში იგი 84,1 პროცენტს აღწევდა.[2]

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 65.

[2] К XV съезду ВКП(б). М.-Л., 1927, стр. 9.

პარტიის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო სრულიად საკავშირო პარტიულმა აღწერამ, რომელიც 1927 წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. ამიერკავკასიაში ჩატარდა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა პარტიული აღწერის საუკეთესოდ მოსაწყობად. ჯერ კიდევ 1926 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის თათბირმა პარტიული სტატისტიკის საკითხებზე შეიმუშავა აღწერის ჩატარების ღონისძიება. აღწერამ შესაძლებლობა მოგვცა ზუსტი მონაცემები მიგვეღო სამხარეო პარტიული ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის შესახებ.

მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ყველგან მოწყურებული იყვნენ ლენინური პარტიის რიგებში შესვლას. თანაუგრძნობდა რა მუშათა ამ მისწრაფებებს, ქვეყნის ოთხი უდიდესი ქალაქის პარტიული ორგანიზაციის (მათ შორის ბაქოს პარტიული ორგანიზაციის) წინადადებით საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ოქტომბრის 10 წლისთავთან დაკავშირებით გამოაცხადა მასობრივი გაწვევა პარტიაში. ამიერკავკასიის მოწინავე მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. ათასობით დაზგის მუშამ გამოაცხადა თავის მისწრაფება აქტიურად ებრძოლა პარტიის რიგებში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. საოქტომბრო გაწვევის შედეგად აზერბაიჯანში პარტიაში შევიდა 3.276 მუშა[1], საქართველოში — 2.207[2], სომხეთში — 779[3]. ამრიგად, ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს შეემატა მუშათა კლასის ექვსი ათასზე მეტი საუკეთესო წარმომადგენელი. საოქტომბრო გაწვევამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის განმტკიცებასა და ინდუსტრიალიზაციისათვის მშრომელთა მობილიზაციაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობაში; მუშათა პროცენტი ამ ორგანიზაციებში 1928 წლის დამლევისათვის 52,2-მდე გაიზარდა.[4]

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ მუშაობდნენ, რომ გაეფართოვებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი რიგები, მარქსისტულ-ლენინურად აღეზარდათ კომუნისტები. საკავ-

---

[1] «Известия ЦК и БК АКП(б)», 1928, № 1, стр. 26.

[2] «Известия Центрального и Тифлисского комитетов КП(б) Грузии», 1928, № 4, стр. 12.

[3] ჰლისომხფპა, ფ. 1, აღწ. 9, შესან. ერთ. 61, ფურც. 31.

[4] К VI съезду коммунистических организаций Закавказья. Тифлис. 1930, стр. 117.

შირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სისტემატურად ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ განათლებას, პარტიული სწავლების ორგანიზაციასა და იდეური დონის ამაღლებას. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ პარტიული განათლების დარგში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პროპაგანდისტული ჯგუფები. 1926—1927 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოქმედებდა 45 ასეთი ჯგუფი. რომლებშიც შედიოდა 500-მდე კომუნისტი[1]. ისინი არა მარტო თვითონ ეწეოდნენ პროპაგანდას, არამედ პარტიის წევრთა პოლიტიკური განათლების მუშაობის ორგანიზატორებიც იყვნენ.

ბევრი კომუნისტი მეცადინეობდა ლენინიზმის, პარტიის ისტორიის, პოლიტეკონომიის შემსწავლელ წრეებში. კადრების ნაწილი თეორიულ მომზადებას იღებდა საბჭოთა პარტიულ სკოლებში. 1926/27 სასწავლო წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იყო 58 დღის და სალამოს საბჭოთა პარტიული სკოლა.[2] ათასობით კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო სწავლობდა ამ წლებში პოლიტკოდნის სკოლებში.

1926—1927 წლებში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან მოქმედებდა მაზრის პარტიული მუშაკების გადასამზადებელი სპეციალური კურსები. პარტიული უჯრედების მდივანთათვის მოეწყო კურსები რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან. ამიერკავკასიის ყველა სამაზრო კომიტეტში ეწყობოდა კურსები, იმართებოდა თათბირები სოფლის უჯრედების მდივანთა მომზადებისა და გადამზადებისათვის.[3] პარტიული კადრების ნამდვილი სამჭედლო გახდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, რომელმაც პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა 1926 წლის ივნისში.[4]

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის შრომების თარგმნასა და გამოცემას აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე. გამომცემლობებმა „ზაკკნიგამ", „ბაკინსკი

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 71.

[2] Материалы к отчету Заккрайкома ВКП(б). К V съезду коммунистических организаций Закавказья, Тифлис, 1927, стр. 41.

[3] იქვე, გვ. 6.

[4] Газ. «Заря Востока» № 1194, 6 июня 1926 г.

რაბოჩიმ“ და სხვებმა ამ წლებში მოამზადეს და ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე გამოსცეს ვ. ი. ლენინის მთელი რიგი ნაშრომები. კომუნისტები და უპარტიო მშრომელები — აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები — თავიანთ წმობლიურ ენაზე სწავლობდნენ ლენინის შრომებს და იარაღდებოდნენ ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით.

მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პროპაგანდის ისეთი მასობრივი ფორმები, როგორიცაა პრესა და რადიო. 1927 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიაში გამოდიოდა 96 გაზეთი და ჟურნალი[1]. მარტო გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი დაახლოებით 270 ათას ეგზემპლარს შეადგენდა.[2] მშრომელთა ფართო მასებთან პრესის კავშირის განმტკიცებას ხელს უწყობდა მუშა და სოფლის კორესპონდენტების დიდი რაზმის საქმიანობა.

სამხარეო და რესპუბლიკური პარტიული ორგანოები — „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“ (ქართულ ენაზე), „ბაკინსკი რაბოჩი“, „კომუნისტი“ (აზერბაიჯანულ ენაზე), „ჰოარურდაინ ჰაიასტანი“ პროპაგანდას უწევდნენ მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ახალ ფორმებს, აწყობდნენ საწარმოო დათვალიერებას, გადაძახილს, კონკურსებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას.

ამიერკავკასიის პრესამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაშიც, რეგულარულად ათავსებდა სტატიებსა და წერილებს მასალის, ნედლეულის დაზოგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ცდილობდნენ მიეღწიათ, რომ ყველა კომუნისტს აქტიური მონაწილეობა მიეღო ამ მხარის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამასთან ახორციელებდნენ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხა-

---

[1] Материалы к отчету Заккрайкома ВКП(б). К V съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 77, 80.

[2] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 72.

რეო კომიტეტი და რესპუბლიკების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები განუწყვეტლივ ზრუნავდნენ პირველადი ორგანიზაციების, განსაკუთრებით ძირეული პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, მათი მუშაობის შინაარსისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მუშათა კლასთან პარტიის ურთიერთობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საამქროს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც შუაგულ მუშათა მასებში იმყოფებოდნენ, თავიანთ გარშემო ამჟიდროებდნენ უპარტიო აქტივს.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტის სხდომები რეგულარულად ისმენდნენ მსხვილი სამრეწველო ცენტრების, რაიონული და სამაზრო პარტიული კომიტეტების მოხსენებებს. 1926 წლის მაისში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ფართო პარტიულ თათბირზე განიხილა ბაქოს, თბილისისა და ერევნის მთელი რიგი სამაზრო კომიტეტების მუშაობის საკითხები. სამხარეო პარტიული თათბირის მიერ დასახულმა ღონისძიებებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებაში და დადებითი ზეგავლენა მოახდინეს შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე. პარტიული ორგანოების არჩევნებმა და უჯრედების გადარჩევნებმა 1926—1927 წლებში ცხადყვეს კომუნისტთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა. არჩევნების შედეგად ბიუროების წევრთა შემადგენლობა მხარის პირველადს ორგანიზაციებში 50 პროცენტით განახლდა.[1] 54 პროცენტით განაახლეს თავიანთი შემადგენლობა პარტიულმა კომიტეტებმა 1927 წელს. მუშების რიცხვი მათში 45.1 პროცენტამდე გაიზიდდა[2]. 1927 წლის ივლისში ამიერკავკასიაში იყო 523 საწარმოო უჯრედი.[3] მათი რიცხვი 1926 წლის იანვართან შედარებით 30 პროცენტზე მეტად გაიზარდა.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება ამ მხარის ინდუსტრიალიზაციაში. 1926—1927 წლებში საკავშირო

---

[1] Материалы к отчету Заккрайкома ВКП(б). К V съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 22.

[2] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 67.

[3] იქვე.

კპ (ბ) საშხარეო კომიტეტმა და ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიამ გამოიკვლიეს ქუთაისის და ლორი-პამბაკის სამაზრო, ლენინაკანის საქალაქო, ბაქოს ბაილის და საფაბრიკო-საქარხნო რაიონული ორგანიზაციები, ალავერდის საწარმოთა პირველადი ორგანიზაციები.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს განმტკიცებასა და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიათა საკონტროლო კომისიებმა 1926—1927 წლებში გამოიკვლიეს პარტიის მთელი რიგი სამაზრო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ეს დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს დროზე აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში, აემაღლებინათ კომუნისტთა აქტივობა, გაეფართოებინათ შინაპარტიული დემოკრატია, მკაცრად დაეცვათ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები.

1927 წლის 12 სექტემბერს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ბაქოს ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ". მასში ზუსტად და დაწვრილებით იყო განსაზღვრული ბაქოს კომიტეტის ამოცანები პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დარგში. ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ მიუთითა, რომ საჭირო იყო ძირეული პარტიული უჯრედების განმტკიცება. მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება, დაავალა ბაქოს პარტორგანიზაციას შეურიგებელი ბრძოლა ეწარმოებინა მუსავატური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მოსახლეობის ზოგიერთ ფენაზე. ბაქოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე საგანგებოდ მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება და განაცხადა, რომ „ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს თავისი ლენინური შტაბის — საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად".[1]

---

[1] «Бюллетень БК АКП(б)», 1927, № 9—10, стр. 7.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, სამაზრო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები ემყარებოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს და თავიანთ მუშაობას აგებდნენ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების საფუძველზე. რეგულარულად იმართებოდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV და V ყრილობებს შორის პერიოდში ჩატარდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის რვა პლენუმი და 15 სამხარეო თათბირი, რომლებმაც განიხილეს პარტიული, სამეურნეო, კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ხშირად იმართებოდა აქტივის კრებები. სისტემატურად იწვეოდნენ პარტიის სამხარეო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების გაფართოებულ პლენუმებს.

ამიერკავკასიის კომუნისტების მთელი მრავალმხრივი საქმიანობა მიზნად ისახავდა პარტიული რიგების იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, მუშათა კლასის, მთელი მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაანეითარებას ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში.

ბევრი რამ გააკეთეს პარტიულმა ორგანიზაციებმა აგრეთვე მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისადმი საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საბჭოები. მათ საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებით დიდი ამოცანები ინდუსტრიალიზაციის განსახორციელებლად მუშათა კლასის მეცადინეობის მობილიზაციისათვის საბჭოების წინაშე იდგა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში. ისინი მოწოდებული იყვნენ ეზრუნათ მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, ქალაქისა და მუშათა ახალშენების მოსახლეობისათვის ხელსაყრელი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. ამისათვის საბჭოებს ყოველდღიურად უნდა გაეფართოებინათ თავიანთი აქტივი, საბჭოთა მშენებლობაში ჩაებათ მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები.

მუშათა და გლეხთა ფართო მასებთან კავშირის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოების არჩევნებს 1926—1927 წლებში. ეს არჩევნები გადაიქცა დიდ პოლიტიკურ კამპანიად და ხელს უწყობდა მშრომელთა აქტივობის შემდგომ ამაღლებას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას. ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა შეასრულა 1926 წელს საბჭოების არჩევნების პირველი ფართო საარჩევნო კამპანიის მოსამზადებლად. არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ საქალაქო და სამაზრო კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე, პარტიული და საბჭოთა აქტივის კრებებზე. საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობისათვის მოიზიდეს პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები და მრავალი დაზგის მუშა.

საბჭოების არჩევნები ამიერკავკასიაში, ისევე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გააქტიურეს მაშინ თავიანთი საქმიანობა ანტისაბჭოთა ელემენტებმა სოფლად. კულაკები მთელი ძალებით ცდილობდნენ გამძვრალიყვნენ საბჭოებში, თავიანთ გავლენაში მიექციათ გლეხთა მასები. მაგრამ სოფლად პარტიული ორგანიზაციების მჩქეფარე ორგანიზატორულ და სააგიტაციო მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავდა პროლეტარული გავლენის განმტკიცებას, ღარიბებისა და საშუალო გლეხების აქტივობის გაძლიერებას, მოჰყვა საბჭოების არჩევნებში გამარჯვება. გადარჩევნებმა ცხადყვეს, რომ იზრდება მუშათა კლასის აქტივობა სახელმწიფოს მართვაში. ეს იყო პარტიის ბრწყინვალე გამარჯვება.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოების არჩევნების ფართო კამპანია გაიაზრეს 1927 წლის დამდეგს. ყველგან, ქალაქებსა და სოფლებში, გაძლიერებული მზადება იყო არჩევნებისათვის. წარმატებით ჩატარდა პარტიული აქტივის თათბირები, ფართოდ განიხილავდნენ საბჭოების ახალი შემადგენლობისათვის მიცემულ განაწესს. ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებიდან ათასობით აგიტატორი მოვიდა სოფლის პარტორგანიზაციების დასახმარებლად. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში დიდი მუშაობა შეასრულა პარტიულმა პრესამ.

საბჭოების არჩევნებმა 1927 წელს ერთხელ კიდევ ცხადყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა. ბაქოს საბჭოში დეპუტატებს შორის მუშები შეადგენდ-

ნენ 55,3 პროცენტს, ხოლო სხვა არჩეულ ქალაქის საბჭოებში — საშუალოდ 43,3 პროცენტს.[1] პნიშვნელოვნად გადიდდა კომუნისტთა ხვედრითი წონა. ისინი საქალაქო საბჭოებში შეადგენდნენ დეპუტატების 52,8 პროცენტს, სასოფლო საბჭოებში კი — 16,3 პროცენტს. კომკავშირელთა რიცხვი საბჭოებში გაიზარდა 6,7 პროცენტამდე საქალაქო და 9,5 პროცენტამდე სასოფლო საბჭოებში[2]. ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში საბჭოების დეპუტატთა 11,4 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.[3]

1927 წლის 5—9 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის საბჭოების IV ყრილობა. ყრილობამ მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ე. რუძუტაკის მოხსენება და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში. მოხსენებები სამეურნეო მშენებლობის პერსპექტივების შესახებ. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ღონისძიებებმა, რომლებიც ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობამ მიიღო, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი მასების შემდგომი ჩაბმისათვის.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები, ისევე როგორც უწინ, დაუცხრომლად ზრუნავდნენ საბჭოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის. მათ მიერ დაგროვილი გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1927 წლის ზაფხულში გამოიკვლია ბაქოს, თბილისის, ერევნისა და ბათუმის საქალაქო საბჭოების მუშაობა. როგორც გამოკვლევამ ცხადყო, არჩევნების შემდეგ მიღწეულ იქნა შესამჩნევი წარმატება საქალაქო საბჭოების მასობრივ მუშაობაში. მათ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო საბჭოების დეპუტატები. არამედ პროფაქტივის, ქალთა სადელეგატო კრებებისა და კომკავშირის წარმომადგენლებიც. მხარის ოთხ საქალაქო საბჭოში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 4 ათასი კაცი[4]. უფრო რეგუ-

---

[1] Материалы к отчету Заккрайкома ВКП(б). К V съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 98, Справочные цифровые материалы к XIX общебакинской партконференции и к X съезду АКП(б). Баку, 1930, стр. 25.

[2] იქვე, გვ. 97.

[3] იქვე, გვ 62, 63.

[4] Газ. «Заря Востока» № 1573, 10 сентября 1927 г.

ლარულად ტარდებოდა საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომები. უფრო ხშირად ისმენდნენ დეპუტატების ანგარიშებს ამომრჩეველთა წინაშე. ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდნენ იმ დეპუტატების გაწვევის უფლებას, რომლებმაც არ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა.

1927 წლის სექტემბერში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავდა საქალაქო საბჭოების განმტკიცებას, მათი როლის ამაღლებას მხარის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში.

სულ უფრო მეტად იზრდებოდა პროფკავშირების როლი. 1927 წლის ივლისისათვის პროფკავშირებში იყო დაახლოებით 410 ათასი წევრი.[1] საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ყოველდღიური დახმარებით ამ მხარის პროფკავშირული ორგანიზაციები განამტკიცებდნენ მასებთან კავშირს, დიდად ზრუნავდნენ მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. პარტიული ორგანიზაციები წარმართავდნენ პროფკავშირების საქმიანობას, ზრუნავდნენ მათი აქტივის განმტკიცებისათვის. პროფკავშირების წევრთა 10 პროცენტზე მეტს შეადგენდა ორგანიზაციების ძირეული აქტივი.[2] 1927 წლის იანვრისათვის ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პროფკავშირული აქტივის დაახლოებით 53 პროცენტი კომუნისტი იყო.[3]

ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში პროფესიულ კავშირთა საქმიანობა გააქტიურდა ამიერკავკასიის პროფკავშირების III ყრილობის შემდეგ. ყრილობა მიმდინარეობდა ბაქოში 1926 წლის 16—19 მარტს. მის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის რეზოლუცია პროფკავშირების მუშაობის შესახებ. ამიერკავკასიის პროფკავშირთა ყრილობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო აემაღლებინათ პროფკავშირების როლი ამ მხარის სამეურნეო მშენებლობაში, დაერაზმათ მშრომელნი, პირველ რიგში პროფკავშირთა წევრები ინდუსტრიალიზაციისათვის საბრძოლველად.

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 74.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ პროფკავშირების მუშაობის სტილი და მეთოდები. პარტიული კომიტეტები თავიანთ პლენუმებზე, ბიუროებზე, სამდივნოებზე რეგულარულად განიხილავდნენ პროფკავშირების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს საკითხები გაჰქონდათ განსახილველად სამრეწველო საწარმოთა პარტიული უჯრედების საერთო კრებებზეც.

პროფკავშირები სამხარეო პარტიული ორგანიზაციის საიმედო დასაყრდენი გახდა. ისინი სათავეში ედგნენ საწარმოო თათბირების მუშაობას, აძლიერებდნენ საწარმოებზე თავიანთი კონტროლის ფუნქციების განხორციელებას, სულ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოო საკითხების გადაჭრაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუდამ ყურადღებას უთმობდნენ აგრეთვე კომკავშირის საქმიანობას, მისი რიგების იდეურ-ორგანიზაციულ განმტკიცებას, ახალგაზრდობის აღზრდას. ამიერკავკასიის კომკავშირი პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწე იყო სოციალიზმის მშენებლობის დამკვრელურ უბნებზე. 1926 წლის დამდეგისათვის საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა დაახლოებით 100 ათას ჭაბუკსა და ქალიშვილს[1]. ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა განსახორციელებლად ახალგაზრდობის მრავალათასიანი რაზმის მობილიზაციისათვის დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის IV ყრილობამ, რომელიც 1926 წლის მარტში გაიმართა. მან განიხილა კომკავშირული მუშაობის მთელი რიგი საკითხები და განსაზღვრა კომკავშირის შემდგომი აქტივიზაციის გზები სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში.

კომკავშირის საქმიანობა იყო საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ყურადღების ცენტრში. პარტიული კომიტეტები სულ უფრო ხშირად განიხილავდნენ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, კომკავშირის ორგანიზაციების აქტივობის ზრდის საკითხებს. იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიათ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, მათ მიამაგრებდნენ, ხოლმე პარტიის წევრებს.

---

[1] Закавказские организации ВЛКСМ в цифрах. Тифлис, 1928, стр. 38.

პარტიული ორგანიზაციების მხრივ ყოველდღიურმა დახმარებამ ხელი შეუწყო კომკავშირის მუშაობის მნიშვნელოვნად გამოცოცხლებას. კომკავშირელები პარტიაში შემსვლელთა დიდ პროცენტს შეადგენდნენ. სწრაფად იზრდებოდა სამხარეო კომკავშირული ორგანიზაციის რიცხვიც; უკვე 1927 წლის ოქტომბრისათვის მის რიგებში 150 ათასზე მეტი კომკავშირელი იყო.[1]

ამიერკავკასიის კომკავშირელები დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ სარეწებსა და მაღაროებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სოფლად. ისინი მრავალი ძვირფასი წამოწყების ინიციატორებად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. კომკავშირის თაოსნობით ბაქოსა და თბილისში წარმატებით ჩატარდა კონკურსები, რომლებსაც უნდა გამოევლინებინათ წარმოების საუკეთესო ახალგაზრდა მუშაკები[2]. საკ. ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებით ამ მხარის კომკავშირელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სრულიად საკავშირო კომკავშირულ შაბათობაში, რომელიც მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ახორციელებდნენ სოციალისტურ მშენებლობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩასაბმელად. მარტო 1926—1927 წლებში პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ჩაატარა ხუთი თათბირი, რომლებიც ქალთა შორის მუშაობას მიეძღვნა. ამ თათბირებზე განიხილეს ქალთა მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხები. მაგალითად, ქალთა შორის მუშაობის სამხარეო თათბირმა, რომელიც საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1927 წლის ივნისში მოიწვია, ყოველმხრივ განიხილა აქტუალური საკითხები: სადელეგატო კრებების, ქალთა შორის მასობრივი მოძრაობის, ახალი ყოფაცხოვრების მოწყობის გზების შესახებ და სხვ. თათბირის გადაწყვეტილებები მიზნად ისახავდა კიდევ უფრო მეტად ჩაებათ ქალები საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაეშალათ ბრძოლა ძველი ყოფისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაეთავისუფლებინათ ქალები.

---

[1] Материалы к отчету Заккрайкома ВЛКСМ. Тифлис, 1928, стр. 48.

[2] Газ. «Заря Востока» № 1478, 18 мая 1927 г.

ქალთა შორის მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშა ღა გლეხ ქალთა განყოფილება განყოფილების გეგმებს, გამოკვლევის შეღეგებს და წინადადებებს პერიოდულად განიხილავდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნო. მუშაობა გააჩაღეს რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, საქალაქო და სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან არსებულმა ქალთა განყოფილებებმაც.

პოლიტიკურ-სააგიტაციო ძუშაობის გაძლიერების შედეგად ამაღლდა ქალთა აქტივობა სოციალისტურ მშენებლობაში. ხორციელდებოდა ღონისძიებანი მუშა ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ქალიშვილებს იზიდავდნენ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სხვადასხვა პროფტექნიკურ კურსებზე.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ფორმა ქალთა აქტივობის ამაღლებისათვის, ისევე როგორც წინათ, კვლავაც იყო მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებები. იზრდებოდა ქალთა ამ მასობრივი ორგანიზაციების ავტორიტეტი. 1926—1927 წლებში მათში იყო 23 ათასზე მეტი დელეგატი ქალი[1].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია მოითხოვდა უაღრესად დაგვეძაბა ქვეყნის მთელი ძალები და სახსრები. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში წამყვანი და მთავარი ძალა მუშათა კლასი იყო.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშათა კლასმა სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში განიცადა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ შესამჩნევი თვისებრივი ცვლილებებიც. გადიდდა კვალიფიციური მუშების რიცხვი, გაუმჯობესდა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ მხარეში, საღაც მოსახლეობის 76,5 პროცენტი სოფელ ადგილებში ცხოვრობდა[2], მუშათა შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო. ამიერკავკასიის მუშათა კლასის რიგები ივსებოდა გლეხთა ხარჯზეც, რომელთა კლასობრივი შეგნება მაშინ არ იყო საკმარისად მაღალი. არ იყო მაღალი ამ მხარის მუშათა კულტურულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო დონეც. ბევრი მუშა მცირემცოდნე ან

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 80.

[2] IV Закавказский съезд Советов. Тифлис, 1927, стр. 33.

უწიგნური იყო. მრეწველობა კვალიფიციური სამუშაო ძალის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა.

ინდუსტრიალიზაციას რომ იწყებდნენ, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ითვალისწინებდნენ ამ მხარის მრეწველობის განვითარების თავისებურებას და მუშათა კლასის მდგომარეობას. ამიერკავკასიის კომუნისტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პარტიის გადაწყვეტილებებით, გაშალეს მუშაობა მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ასამაღლებლად, თავიანთი ღონისძიებები წარმართეს იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ შიდასამრეწველო დაგროვება, ებრძოლათ წარმოების ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

წარმოების მართვაში მუშათა ჩაბმის, მათში შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდის ქმედითი ფორმა იყო საწარმოო თათბირები. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიზნად დაუსახა გაეფართოებინათ საწარმოო თათბირების საქმიანობის სფერო. თუ 1926 წელს ამიერკავკასიაში იყო 535 საწარმოო თათბირი, 1927 წელს მათი რიცხვი უკვე 857-მდე გაიზარდა[1]. გაფართოდა მათი საქმიანობის საკითხთა წრე. საწარმოო თათბირები უფრო აქტიურად იკრებოდნენ წარმოების ამოცანათა გადაწყვეტაში. 1927 წელს ამიერკავკასიის საწარმოო თათბირებმა დაახლოებით 12 ათასი წინადადება შეიტანეს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად[2].

კარგად იყო დაყენებული საწარმოო თათბირების მუშაობა ბაქოს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში. ბაქოს კომიტეტმა, ისევე როგორც სხვა პარტიულმა კომიტეტებმა, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საწარმოო თათბირების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. 1926—1927 წლებში ბაქოს საწარმოო თათბირებში ჩაბმული იყო მუშათა საერთო რაოდენობის დაახლო-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 18, 24 января 1929 г.

[2] იქვე

ბით 75 პროცენტი[1]. ამ თათბირებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაახლოებით 60 პროცენტი განხორციელდა.[2]

მაგრამ საწარმოო თათბირების საქმიანობაში ბევრი სუსტი მხარეც იყო. პროფკავშირთა გამგეობები ზოგჯერ არასაკმაოდ კონკრეტულად ახორციელებდნენ თათბირებისადმი ხელმძღვანელობას; საბჭოურნეო მუშაკები ხშირად სათანადო ყურადღებას არ იჩენდნენ მათი წინადადებებისა და რეკომენდაციებისადმი, არ ახალისებდნენ რაციონალიზატორებს.[3]

იმ მიზნით, რომ შემდგომ განევითარებინათ საწარმოო თათბირების მუშაობა, აემაღლებინათ მათი როლი და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ქმედითობა, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები. საკავშირო კპ (ბ) XV კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, იქმნებოდა დროებითი საკონტროლო კომისიები, რომელთაც ფართო უფლებამოსილება ჰქონდათ. გაიზარდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების როლი საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში.

ამიერკავკასიის მუშათა კლასის შრომითი აქტივობა ვლინდებოდა ისეთი ახალი ფორმებითაც, როგორიც არის საწარმოთა მუშაობის საზოგადოებრივ-საწარმოო დათვალიერება, საწარმოო გადაძახილი მუშათა კოლექტივებს შორის, რაციონალიზატორთა მოძრაობა. მუშები ააშკარავებდნენ საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებებს, შეჰქონდათ კარგი წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად, ავლენდნენ წარმოების რეზერვებს.

სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ინდუსტრიალიზაციის დაწყებითს ეტაპზე პარტიას მიაჩნდა დაგროვების წყაროთა სწორად გამოყენება, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული იყვნენ უზრუნველეყოთ უმკაცრესი მომჭირნეობა, შეურიგებლად ებრძოლათ ყოველნაირი ზედმეტობისა და არამწარმოე-

---

[1] XVII Общебакинская партийная конференция АКП(б). 28 октября — 6 ноября 1927 г. Стенографический отчет. Баку, 1927, стр. 32.

[2] იქვე.

[3] Материалы к отчету Заккрайкома ВКП(б). К V съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 101.

ბლური ხარჯების წინააღმდეგ, დაერაზმათ მშრომელნი სოციალისტური დაგროვების გამრავლებისათვის საბრძოლველად. 1926 წლის აპრილში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მიიღეს მოწოდება ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი, ყველა მშრომელისადმი „მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შესახებ“.[1] მასში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ უმკაცრესი მომჭირნეობის შემოღების გზით ყველა სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციაში შეიძლება უზრუნველყოთ სოციალისტური დაგროვება, წარმატებით გადავჭრათ ინდუსტრიალიზაციის ამოცანები.

ამიერკავკასიის კომუნისტები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას, აქტიურად ჩაებნენ მომჭირნეობის რეჟიმისათვის. ბრძოლაში. რეზოლუციაში, რომელიც სამხარეო პარტიულმა თათბირმა 1926 წლის მაისში მიიღო, ნათქვამი იყო, რომ მომჭირნეობის რეჟიმის ლოზუნგი ნავარაუდევია საკმაოდ ხანგრძლივი დროისათვის. ამის შემდეგ მომჭირნეობა და ყაირათიანობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმის მშენებლობის გულისათვის დიდხანს იქნება საბჭოთა რესპუბლიკის კარგი მეურნის, ადმინისტრატორისა და კოოპერატორის განუყრელი თვისება. სამხარეო კომიტეტმა პარტიას აღუთქვა, რომ ამიერკავკასიის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა უმკაცრესი მომჭირნეობის საფუძველზე კიდევ უფრო გაეზარდათ სამრეწველო ნედლეულისა და სამრეწველო ექსპორტის საგნების წარმოება.[2]

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1926 წლის შუა მაისში გაიმართა, შეიმუშავა არამწარმოებლური ხარჯების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებანი.[3] ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში საქმიანად განიხილეს მომჭირნეობის რეჟიმის საკითხები. კომუნისტები აყენებდნენ არამწარმოებლური ხარჯების, წუნის, მოცდენების, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებებს. ბევრ ქალაქში გაიმართა პარტიული კომიტეტების

---

[1] Решения партии и правительства по хозяйственным вопросам, т. 1, М., 1967, стр. 525—530.

[2] Резолюция пленума Заккрайкома ВКП(б) от 12—13 мая 1926 г. Тифлис, 1926, стр. 4, 5.

[3] იქვე, გვ. 15.

პლენუმები და თათბირები, რომლებიც მიეძღვნა მომჭირნეობის რეჟიმის საკითხს. 1926 წლის ივნისში პარტიის ბაქოს კომიტეტმა განსაზღვრა სამრეწველო საწარმოთა, სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოთა კოლექტივების ძირითადი ამოცანები მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში, შეიმუშავა ღონისძიებანი ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.[1]

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები საწარმოო თათბირების, დელეგატთა კრებების, მუშათა კონფერენციების მეშვეობით რაზმავდნენ პარტიულ და უპარტიო მასებს მომჭირნეობის რეჟიმისათვის, სამეურნეო აპარატის სრულყოფისათვის საბრძოლველად.

ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარმოების რაციონალიზაციას. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ წარმოების მექანიზაციას, საწარმოთა სპეციალიზაციას, ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას. წარმოების რაციონალიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის კომკავშირმა. პარტიული ორგანიზაციების იმ ყოველდღიური მუშაობის შედეგად, რომელსაც რაციონალიზაციისათვის ეწეოდნენ, ამიერკავკასიის მრავალმა საწარმოო კოლექტივმა უკვე ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების გულმოდგინე და ბეჯითმა მუშაობამ მშრომელთა მობილიზაციისათვის, აგრეთვე მუშათა კლასის შრომითმა და პოლიტიკურმა აქტივობამ უზრუნველყო ამიერკავკასიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განვითარება.

3. ამიერკავკასიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი წარმატებანი, ამ მხარის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობა. პარტიის კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის განადგურების დამთავრება

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებდნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსს, პარტიის ხელმძღვა-

---

[1] მლიაზუპა, ფ. 2, აღწ. 22, შესან. ერთ. 59, ფურც. 61, 62.

ნელობით უკვე 1926—1927 წლებში დიდი წარმატებანი მოიპოვეს. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის უმაგალითო ტემპით ეითარდებოდა მანქანური ინდუსტრია. ინდუსტრიალიზაციის მეორე წლის მიწურულს სსრ კავშირმა გადააჭარბა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ომამდელ დონეს. სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სექტორი მნიშვნელოვნად განმტკიცდა, კერძო სექტორი კი სულ უფრო კარგავდა თავის პოზიციებს. 1927 წლის დამლევისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მრეწველობაში შეადგენდა 86 პროცენტს, ხოლო საცალო ვაჭრობაში — 52 პროცენტზე მეტს (ნაცვლად 1924/25 სამეურნეო წლის 35 პროცენტისა). წარმატებით მიმდინარეობდა მსხვილი ინდუსტრიის ახალი დარგებისა და მძლავრი სამრეწველო კერების შექმნის პროცესი ეროვნულ რესპუბლიკებში.

ეკონომიურ განვითარებაში დიდ წარმატებებს მიაღწია ამიერკავკასიამაც. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი შედეგები შეაჯამეს 1927 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის კომპარტიის VIII ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ, სომხეთის კომპარტიის V ყრილობამ და ამიერკავკასიის კომუნისტთა V ყრილობამ. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების V ყრილობის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში 1927 წლის 21—25 ნოემბერს, მონაწილეობდა 529 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 350 — სათათბირო ხმით. ისინი წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის 65 ათასზე მეტ კომუნისტს. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მოხსენებები, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საკონტროლო კომისიისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები, მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობის დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ გამოვიდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი მ. დ. ორახელაშვილი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში მოცემული იყო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მრავალმხრივი მუშაობისა და პარტიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობის ღრმა ანალიზი, დახასიათებული იყო ამ მხარის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში მოპოვებული მიღწევები. მოხსენებაში მკაცრად იყ-

ვნენ გაკრიტიკებული ნაციონალ-უკლონისტები, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მომხრენი, რომლებიც ეპვქვეშ აყენებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შემდგომი არსებობის მიზანშეწონილობას, და კვლავ განსაკუთრებული ძალით იყო ხაზგასმული ფედერაციის სასიცოცხლო აუცილებლობა. ყრილობამ აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მოწინააღმდეგენი სინამდვილეში ლენინიზმის მტრები არიან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრების მოწინააღმდეგენი.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობამ ზუსტად განსაზღვრა ამ მხარის ინდუსტრიული განვითარების პირობების თავისებურება, მიუთითა მისი შემდგომი განხორციელების გზები. ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების კურსი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრობლემათა გადაჭრისა. ყრილობა ემყარებოდა იმას, რომ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გარეშე, და ყურადღება მიაქცია არა მარტო მძიმე მრეწველობის, არამედ მსუბუქი, კვების და იმ სხვა დარგების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასთან. ყრილობაზე აღინიშნა, რომ კაპიტალური დაბანდება ამ მხარეში უმთავრესად ხმარდებოდა ახალი საწარმოების მშენებლობას.

ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის პირველი წარმატებანი.

1926/27 სამეურნეო წლის დამლევისათვის ამიერკავკასიის მთლიანი სამრეწველო პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მისი მოცულობა წინა წელთან შედარებით 15,6 პროცენტით გადიდდა[1]. უფრო სწრაფი ტემპით (წელიწადში 16,9 პროცენტით) ზრდიდა წარმოებას აზერბაიჯანის მრეწველობა. ბევრად უფრო ნელა იზრდებოდა საქართველოს მრეწველობის პროდუქცია, იგი წელიწადში იზრდებოდა მხოლოდ 2,9 პროცენტით[2]. ამიერკავკასიის სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ მეტად გაადიდა საერთო პროდუქცია სომხეთის მრეწველობამ.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ამიერკავკასიის

---

[1] ЗСФСР в цифрах. Тифлис, 1929, стр. 53.

[2] იქვე.

ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. 1926/27 სამეურნეო წელს კაპიტალდაბანდებები ამ დარგში 82,9 მილიონ მანეთს შეადგენდა[1]. ამან შესაძლებლობა მოგვცა მკვეთრად გაგვეფართოებინა სამუშაოთა მოცულობა ბურღვის დარგში. ამ წელს ბურღვითმა გავლამ თითქმის ერთ-ნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1913 წლის დონეს[2]. წამყვანი ადგილი დაიკავა ბრუნვითმა ბურღვამ. სწრაფად გაიზარდა ნავთობის მოპოვება და დამუშავება. გადიდდა ნავთობის მოპოვება ახალ სარეწებზე. მაგრამ 1926/27 სამეურნეო წლის დამლევისათვის ნავთობის მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია წარმოების ომამდელ დონეს[3].

წარმატებით სრულდებოდა ვ. ი. ლენინის მითითებანი ამიერკავკასიის ელექტრიფიკაციის შესახებ. 1926 წლის ივნისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური (ზაჰესი) — სიმძლავრის მიხედვით ჩვენი ქვეყნის მეორე (ვოლხოვმშენის შემდეგ) ელექტროსადგური. ზაჰესი აშენდა „გოელროს" გეგპით. მის საზეიმო გახსნას დაესწრნენ მ. ი. კალინინი და ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელები. მშრომელთა თხოვნით ზაჰესს ვ. ი. ლენინის სახელი მიენიჭა. ამ ელექტროსადგურის ამუშავებით საქართველოს სახალხო მეურნეობამ მიიღო მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. რესპუბლიკაში დაიწყო მზადება რიონჰესისა და ზოგიერთი სხვა ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. სომხეთში აშენდა მთელი რიგი სარაიონო ელექტროსადგურები, ხოლო 1926 წლის მაისში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი რიგი ერევნის ავტომატური მართვის ჰიდროელექტროსადგურისა. ეს იყო ასეთი პირველი ელექტროსადგური ჩვენს ქვეყანაში. მისი საზეიმო გახსნა ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნათელ დემონსტრაციად იქცა. ზეიმს ესწრებოდნენ ს. ა. აღამალი ოღლი, შ. ზ. ელიავა, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. ხანოიანი და ამიერკავკასიის ფედერაციისა და პარტიული ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელები. საფუძველი ჩაეყარა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას მდინარე ძორაგეტზე და ლენინაკანში. ხდებოდა ძველი ელექტროსადგურების მოდერნიზაცია და შენდე-

---

[1] Обзор деятельности правительства ЗСФСР. 1927—V—1929 г., Тифлис, стр. 54, 55.

[2] იქვე, გვ. 110.

[3] იქვე, გვ. 111, 112.

ბოდა ახალი ელექტროსადგურები აზერბაიჯანშიც, რომლის წილადაც 1926/27 სამეურნეო წელს მოდიოდა ამიერკავკასიაში გამომუშავებული მთელი ელექტროენერგიის 93,6 პროცენტი[1]. ელექტრიფიკაციის დარგში გაწეული მუშაობის შედეგად ამიერკავკასიამ ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებით 1926/27 სამეურნეო წელს ორჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს[2].

სწრაფი ტემპით იდიდებოდა ლითონდამმუშავებელი, ქიმიური და ქვანახშირის მრეწველობის მიერ გამომუშავებული პროდუქციის მოცულობა. 1926/27 სამეურნეო წელს იგი გაიზარდა ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში 18,6 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 21,8 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის მრეწველობაში — 8,6 პროცენტით[3].

წარმატებით ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის მთელი რიგი დარგები, პირველ რიგში საფეიქრო მრეწველობა. ბევრ პროდუქციას უშვებდნენ მისი ახალი საწარმოები — განჯისა და ლენინაკანის სართავ-საქსოვი ფაბრიკები, ქუთაისისა და განჯის მაუდის ფაბრიკები. მწყობრში ჩადგა 4 ახალი ბამბის საწმენდი ქარხანა და რეკონსტრუქცია გაუკეთდა ერთს. დაიწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკების მშენებლობა ნუხაში, ძთიან ყარაბაღში და ქუთაისში, მაუდის ფაბრიკისა — თბილისში. მარტო 1925/26 სამეურნეო წელს საკავშირო ბიუჯეტიდან ამიერკავკასიის საფეიქრო მრეწველობის განვითარებას მოხმარდა 5,4 მილიონ მანეთზე მეტი[4]. 1926/27 სამეურნეო წელს ამ მხარის საფეიქრო მრეწველობამ გამოიმუშავა 50 მილიონი მანეთის პროდუქცია— 25 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. პროდუქციის გამოშვებას ზრდიდნენ კვების მრეწველობის, განსაკუთრებით ღვინის, სპირტის და კონიაკის, თამბაქოს, თევზის მრეწველობის საწარმოები. პირველი ნაბიჯები გადაიდგა საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის.

---

[1] ЗСФСР в цифрах, стр. 60.

[2] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 25.

[3] Обзор деятельности правительства ЗСФСР. 1927 г.—V—1929 г., стр. 117, 118, 122.

[4] Обзор деятельности Совета Народных Комиссаров и Высшего экономического Совета ЗСФСР. 1925 г.—IV—1927 г., Тифлис, 1927, стр. 76.

მთელ ამიერკავკასიაში გაჩაღდა მუშაობა. შენდებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების საამქროები, ხდებოდა ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია, მიმდინარეობდა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ათვისება, შენდებოდა ელექტროსადგურები.

ინდუსტრიალიზაციის სამუშაოთა უდიდესი გაქანება შესაძლებელი გახდა კაპიტალდაბანდებათა სწრაფი ზრდის მეოხებით. მარტო 1926/27 სამეურნეო წელს მათ შეადგინეს 107,4 მილიონი მანეთი. ამასთან ახალ წარმოებათა მშენებლობაზე დაიხარჯა სახსრების 79 პროცენტი (ნაცვლად საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში დახარჯული 20 პროცენტისა). ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ვანკარგულებაში არსებული ძირითადი კაპიტალი მარტო ერთი წლის მანძილზე 41 პროცენტით გადიდდა. ეს ზრდა თიოქმის 4-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე შესაბამისი საშუალო საერთო საკავშირო მაჩვენებელი[1].

ამავე დროს ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში ადგილი ჰქონდა სიძნელეებსაც. განსაკუთრებით ვლინდებოდა ეს სიძნელეები მარგანეცის, სამთამადნო, სპილენძსადნობ და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში, რომლებიც 1926/27 წლის დამლევს ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩებოდნენ ომამდელი დონის წარმოებას.

ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში სწრაფად ვითარდებოდა ტრანსპორტი, პირველ რიგში რკინიგზის ტრანსპორტი. 1926 წლის ზაფხულისათვის მთლიანად ელექტრიფიცირებული იყო რკინიგზა, რომელიც ბაქოს აერთებს ქალაქის ნავთობის რაიონებთან. იგი სსრ კავშირში პირველი რკინიგზაა, სადაც გამოიყენეს ელექტრული წევა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებათა მეოხებით სულ უფრო იდევნებოდა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები, მტკიცდებოდა ეკონომიკის სოციალისტური სექტორის პოზიციები. 1926/27 სამეურნეო წელს განსაზოგადოებული სექტორის (სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების) წილად მოდიოდა ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის

---

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 27, 28.

96,8 პროცენტი[1]. პრობლემა „ვინ—ვის“ წარმატებით იჭრებოდა სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ საქონელბრუნვის სისტემაშიც და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

ამიერკავკასიის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას თან ახლდა მუშათა კლასის რიცხობრივი შემადგენლობის გადიდება, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება, უმუშევრობის შემცირება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ფასების ნორმალიზაცია და ა. შ.

ყველა ეს მიღწევა განაპირობა მუშათა კლასის, გლეხობის შრომითმა ენთუზიაზმმა, კომუნისტური ორგანიზაციების მრავალმხრივმა პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა და ორგანიზაციულმა მუშაობამ, ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანებულ ხალხთა ურთიერთდახმარებამ, დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების მხრივ დახმარებამ. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გახუხრელი განხორციელების მეოხებით სულ უფრო მტკიცდებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხების, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხების. ინტერნაციონალური კავშირი და ძმური მეგობრობა.

V ყრილობამ აღნიშნა დიდი მიღწევები ამიერკავკასიის ინდუსტრიულ განვითარებაში და სწორად მიიჩნია სამრეწველო მშენებლობის თავიდანვე აღებული კურსი, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაცია უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე[2]. ამასთან ერთად ყრილობამ შეიმუშავა მხარის ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპის უზრუნველყოფის შემდგომი ზომები და მოიწონა პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებანი სოფლად საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობამ აღნიშნა, რომ ამ მხარეში შესრულდა სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების მნიშვნელოვანი სამუშაოც. გადაიდგა პირველი ნაბიჯები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დარგში, განხორციელდა სწორი საგადასახადო პოლიტიკა, განუხრელად ძლიერდებოდა ახალმწიფოებრივი დახმარება გლეხობისათვის, ამაღლდა სოფლის პარტიული უჯრედების პარტი-

---

[1] ЗСФСР в цифрах, стр. 62.

[2] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 286.

ულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, გაძლიერდა სა-შეფო დახმარება სამრეწველო ცენტრების მუშათა მხრივ, წარმოებ-და მუშაობა, რათა განხორციელებულიყო პარტიის მიერ წამოყე-ნებული ლოზუნგი „პირით სოფლისაკენ!", — ყოველივე ეს ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის წარმატებას, სოფლის მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, რომლებიც შესამჩნევად ილ-ტვოდნენ კოოპერაციისაკენ, წარმოებისა და გასაღების კოლექტი-ური ფორმებისაკენ. 1925 წელს კოოპერაციაში ჩაება ამიერკავკა-სიის გლეხთა 10,1 პროცენტი, 1926 წელს — 15,4 პროცენტი, ხოლო 1927 წელს — დაახლოებით 21,5 პროცენტი. მაგრამ იმის გამო, რომ არ გაგვაჩნდა საკმარისი სახსრები, გვაკლდა გამოცდილი კად-რები, არ გვქონდა ჩვევები, კოლმეურნეობები მაშინ ჯერ კიდევ სუ-სტი იყო. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრი-ლობამ დიდი ყურადღება დაუთმო საკითხებს, რომლებიც დაკავში-რებული იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან, საბჭოთა მე-ურნეობების მუშაობის გაუმჯობესებასთან, სოფლის კერძომესაკუთ-რულ ელემენტებზე ეკონომიური ზემოქმედების შემდგომ გაძლიე-რებასთან. ყრილობამ აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო და სამომხმა-რებლო კოოპერაციის საქმიანობის დადებითი შედეგები და დასახა ამოცანა — შემდგომ განგვევითარებინა სამეურნეო და სამომხმა-რებლო კოოპერაციის ქსელი და განგვემტკიცებინა იგი ორგანიზა-ციულ-პოლიტიკურად.

ამიერკავკასიის კომუნისტთა V ყრილობამ აღნიშნა მიღწევები პარტიულ მშენებლობაში, გააანალიზა მხარის პარტიული ორგანი-ზაციების მიერ შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ XIV ყრილო-ბისა და საკავშირო კპ (ბ) XIV კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგები. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ყოველწლიურ-ად დიდდებოდა პარტიის მუშური ბირთვი. ასე, მაგალითად, 1926 წლის დამდეგისათვის პარტიის წევრი მუშები სამხარეო პარტიულ ორგანიზაციაში შეადგენდნენ 53,6 პროცენტს, 1927 წლის დამდე-გისათვის — 55 პროცენტს, ხოლო ამავე წლის პირველი ივლისი-სათვის 56,8 პროცენტს. მუშათა უჯრედების რაოდენობა საანგა-რიშო პერიოდში 30,1 პროცენტით გაიზარდა[1]. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება განეგრძო პარტიის პროლეტარული ბირთვის გა-

[1] Пятый съезд коммунистических организаций Закавказья (стенограмма), стр. 63, 66.

დიდების კურსი, ამავე დროს უზრუნველეყო პარტიის ზრდა ამის რიგებში სოფლის ღარიბთა საუკეთესო წარმომადგენლების მიღების გზითაც, ამასთან გაგვაფრთხილა არ დაგვეშვა პარტიის ხელოვნური გაბერვა არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, აღნიშნა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის სრული გაკოტრების უდიდესი მნიშვნელობა. ყრილობამ დასახა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებისა და გაშლის ღონისძიებანი.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ა. მ. ხაჩიევმა, და ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიის მოხსენება, რომლითაც გამოვიდა ს. ლ. ლუკაშინი. ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ერთიანობის შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, რომ საჭიროა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და ა. შ.

ყრილობის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმის განხილვამ.

ჯერ კიდევ 1926 წლის იანვარში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამსვლელმა სესიამ, რომელიც ერევანში მიმდინარეობდა, მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის შესახებ და დაავალა მას უმოკლეს ვადაში შეედგინა ამ მხარის სამრეწველო ვანვითარების ხუთწლიანი გეგმის პროგრამა. ეს დავალება შესრულებულ იქნა. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შ. ზ. ელიავას მოხსენებაში აღინიშნა ძირითადი მიმართულებანი და დასახულ იქნა ხუთწლიან პერიოდში ამიერკავკასიის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიჯნები, რაც მოასწავებდა ამ მხარის ხალხთა ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელობაში გეგმურ საწყისებს.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავდა შემდგომ განემტკიცებინათ

პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობა, დაერაზმა მშრომელები სოციალისტური მშენებლობის პროგრამის შესრულებისათვის საბრძოლველად.

ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ამოცანები ობიექტური აუცილებლობით მოითხოვდნენ შემდგომ განგვევითარებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ძირეულად გარდაგვექმნა იგი მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნის საფუძველზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საჭიროება პირველ რიგში ნაკარნახევი იყო იმით, რომ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლოთ დიდხანს დაყრდნობოდნენ საპირისპირო საფუძვლებს — ერთი მხრივ, მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას და, მეორე მხრივ, წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას. ამოცანა ის იყო, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა გადაგვეყვანა მსხვილ მაღალგანვითარებულ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ამ ამოცანის მისაღწევად კომუნისტურმა პარტიამ აირჩია ისეთი გზა, რომელიც შეესაბამებოდა სოციალიზმის მშენებლობისა და მშრომელი გლეხობის მილიონიანი მასების ინტერესებს. ასეთი გზა იყო კოლექტივიზაცია, გლეხურ მეურნეობათა ნებაყოფლობითი კოოპერირება.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიული აუცილებლობა, ძირითადი საშუალებები და მეთოდები განსაზღვრული იყო ლენინურ კოოპერაციულ გეგმაში. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხს ვ. ი. ლენინი განიხილავდა სოციალისტური მშენებლობის საერთო პროცესთან განუყრელ კავშირში, ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციის საკითხებთან ორგანულ ერთიანობაში. ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციის გარეშე, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, ლაპარაკიც არ შეიძლება სოფლად სოციალიზმის გამარჯვებაზე. ეს რადი ნიშნავდა იმას, რომ უნდა დავლოდებოდით ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციის სრულ განხორციელებას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია უნდა შეგვეხამებინა ინდუსტრიალიზაციის და კულტურული რევოლუციის პროცესებთან და ამით უზრუნველგვეყო სოციალისტური შეტევის გაშლა მთელ ფრონტზე.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა თავისი განთქმული

კოოპერაციული გეგმა და განსაზღვრა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების ძირითადი პრინციპები. ერთ-ერთ პრინციპად მას მიაჩნდა მატერიალური დაინტერესების პრინციპი. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გლეხი საკუთარი გამოცდილებით უნდა დარწმუნდეს საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა კოლექტივიზმის მთავარი პრინციპი — ნებაყოფლობის პრინციპი.

1927 წლის დამლევისათვის ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებას მიაღწია სამეურნეო მშენებლობაში. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უშვებდნენ უფრო მეტ საერთო პროდუქციას, ვიდრე ომამდე. ყველაზე სწრაფად ვითარდებოდა მსხვილი მრეწველობა. ამ დროისათვის სოციალისტურ სექტორს მრეწველობაში განუყოველი გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის სფეროში. 1927 წლის დამლევისათვის სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებდა 9,7 მილიონ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია — დაახლოებით 9,5 მილიონ გლეხურ მეურნეობას.

მაგრამ პარტიას აწუხებდა სოფლის მეურნეობის — სახალხო მეურნეობის ყველაზე ფართო და სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის — ჩამორჩენა. მთლიანად სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ ომამდელ დონეს გადააჭარბა. მარცვლეულის მეურნეობაში 1926/27 სამეურნეო წელს ვაწარმოეთ 1913 წლის საერთო პროდუქციის 95 პროცენტი. მარცვლეული მეურნეობის სასაქონლო ნაწილი კი შეადგენდა მხოლოდ 13,3 პროცენტს ნაცვლად ომამდელი დროის 26 პროცენტისა.

ინდუსტრიის სწრაფი ზრდისაგან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებანი, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლა უნდა შეემუშავებინა საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობას.

პარტიის XV ყრილობამ, რომელიც 1927 წლის 2—19 დეკემბერს გაიმართა, განიხილა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშათა და გლეხთა იხსპექციის ანგარიშები, დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, სოფლად მუშაობის, ოპოზიციის და სხვა საკითხები. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორ-

ანიზაციული საქმიანობა, პარტიისა და მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

ყრილობამ ღრმად და ყოველმხრივ განიხილა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, გამოააშკარავა მისი ნელი ვანვითარების მიზეზები. სოფლის მეურნეობა წვრილი და დაქუცმაცებული რჩებოდა. გარდა იმ მიწებისა, რომლებიც ნაციონალიზებული იყო, წვრილი გლეხური მეურნეობა დაფუძნებული იყო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, პრიმიტიულ ტექნიკასა და ხელით შრომაზე, მასზე გავლენას ახდენდა ბაზრის სტიქია, ნელა ვითარდებოდა, ხშირად ვერ უზრუნველყოფდა მარტივ კვლავწარმოებასაც კი.

1927 წლისათვის წვრილმა დაქუცმაცებულმა გლეხურმა მეურნეობამ ძირითადად ამოწურა ნაყოფიერების შემდგომი გადიდების თავისი შესაძლებლობანი. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა დაბრკოლება ხდებოდა მთელი სოციალისტური მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. XV ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლის შესახებ.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში წამოყენებული იყო პარტიის ამოცანა „გააფართოოს და განამტკიცოს ჩვენი სოციალისტური მბრძანებელი მაღლობები სახალხო მეურნეობისყველა დარგში როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ამასთან კურსი ეჭიროს სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისაკენ“[1].

ეს იყო მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევისათვის უშუალო მომზადების კურსი.

XV ყრილობის გადაწყვეტილებანი როდი ნიშნავდა დაუყოვნებლივ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას. ყრილობამ გადაუდებელ საქმედ აღიარა ფართო პროპაგანდის გაჩაღება, რომ გლეხობისთვის საჭირო და ხელსაყრელია მსხვილ საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა და პრაქტიკულად ყოველნაირად წახალისება სოფლად მსხვილი კოლექტიური მეურნეობის

[1] Пятнадцатый съезд ВКП(б), декабрь 1927 года. Стенографический отчет, ч. I, М., 1961, стр. 59.

უკვე არსებული ელემენტებისა, რომელნიც მნიშვნელოვნად იზრდებიან[1].

XV ყრილობა პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის მომზადების ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა ტროცკიზმის წინააღმდეგ ლენინიზმის მრავალწლიანი ბრძოლა, დაამთავრა მისი იდეური განადგურება და პარტიიდან ყველაზე აქტიური ტროცკისტების გარეკვა. ყრილობამ ტროცკისტული ოპოზიციისადმი კუთვნილება და მისი შეხედულებების პროპაგანდა პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად გამოაცხადა. ყრილობის შემდეგ ბევრი ოპოზიციონერი, მეტადრე მუშები, კავშირს წყვეტდნენ ოპოზიციასთან, ხოლო გამოუსწორებელი ფრაქციონერები გაირიცხნენ პარტიიდან.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის ხაზი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (გ. მ. მუსაბეკოვმა, შ. ზ. ელიავამ და სხვებმა) პარტიის XV ყრილობაზე სავსებით დაუჭირეს მხარი კოლექტივიზაციის კურსს. ყრილობის შემდეგ პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიულ კრებებსა და თათბირებზე, პრესაში, აგრეთვე ამიერკავკასიის პარტიული განათლების მთელ ქსელში მოეწყო ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. რეზოლუციებს, რომლებიც იწონებდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს, ყველგან ერთხმად იღებდნენ.

საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებები საფუძველად დაედო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მთელ შემდგომ საქმიანობას. სომხეთის კომპარტიის მორიგმა VI ყრილობამ (1929 წლის 20—29 იანვარი), აზერბაიჯანის კომპარტიის IX ყრილობამ (6—14 მარტი), საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ (1—10 ივლისი) ერთხმად მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც სავსებით იწონებდნენ პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებს. აზერბაიჯანის კომუნისტთა ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმული იყო იმის საჭიროება, რომ უფრო გადაჭრით გაეშალათ შემდგომი ბრძოლა ახალ კოლექტიურ მეურნეობათა შესაქმნელად, „მიწათმოქმედების კოლექტიურ ფორმაზე გადაეყვანათ მთელი სოფ-

---

1 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, გვ. 613—614.

ლები და რაიონები"[1]. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაეუხრელი განხორციელების საჭიროება აღნიშნა საქართველოს კომუნისტთა ყრილობამაც. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არის პარტიის გენერალური ხაზი სოფლად, ლენინური კოოპერაციული გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომ სოფლის პარტორგანიზაციები სათავეში უნდა ჰაუდგნენ სოფლის მეურნეობის წარმოების განსაზოგადოების დიად საქმეს, „მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ არ არსებობს სხვა, უფრო სწორი გზა გლეხური წარმოების გასაჯანსაღებლად და სოფლის მეურნეობის მოსახლეობის ჩამორჩენილობის მოსასპობად"[2]. სომხეთის კომუნისტთა ყრილობას რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის აღმავლობა კოლექტივიზაციის საფუძველზე სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მორიგ ამოცანად მიაჩნდა.

თავიანთ კონკრეტულ ამოცანებს საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე რომ განსაზღვრავდნენ, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ძირითადად სწორად ითვალისწინებდნენ ადგილობრივი პირობების სპეციფიკას. კოლექტივიზაციას ამიერკავკასიაში ობიექტურად ხელს უწყობდა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ხვედრითი წონის ზრდა, რაც მოითხოვდა უდიდეს კაპიტალდაბანდებებს და სამუშაო ძალის დიდ დანახარჯებს, ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის საფუძველზე. ასეთი კულტურების დიდ მნიშვნელობას რომ ითვალისწინებდა, საბჭოთა სახელმწიფო კოლმეურნეობებს უწევდა მნიშვნელოვან ფინანსურ, ტექნიკურ, აგრონომიულ და სხვა დახმარებას.

მაგრამ მთლიანად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ობიექტური და სუბიექტური პირობები ამიერკავკასიაში უფრო ნელა მწიფდებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მარცვლეულის რაიონებში. ეს განპირობებული იყო ამიერკავკასიის განვითარების ზოგიერთი თავისებურებით. ამიერკავკასია სერიოზულად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონით.

---

[1] Девятый съезд АКП(б). Стенографический бюллетень № 6, Баку, 1929, стр. 205.

[2] VI съезд Компартии Грузии. Стенографический отчет. Тифлис, 1929, стр. 666.

1927 წელს ამიერკავკასიის გლეხურ მეურნეობათა 51,4 პროცენტს არ გააჩნდა სახნავი ინვენტარი, მაშინ როცა რსფს რესპუბლიკაში ეს პროცენტი 36,1-ს შეადგენდა[1]. ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას დამატებით სიძნელეებს უქმნიდა აგრეთვე სოფლის მოსახლეობის დაქსაქსულობა, ერთიმეორისაგან დაშორებული წვრილი დასახლებული პუნქტების სიჭარბე. 1926 წლისათვის სოფლები, რომლებშიც 500 სულზე ნაკლები ცხოვრობდა, ამიერკავკასიის მთელი დასახლებული პუნქტების დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენდა[2].

აგრარულ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების ერთ-ერთი თავისებურება ამიერკავკასიაში ის იყო, რომ, რსფს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთელი რიგი სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, აქ გაბატონებული იყო მიწათსარგებლობის სანადელო-ინდივიდუალურ-საკარმიდამო (საკომლო) ფორმა[3]. ეს გარემოება ხელს უწყობდა ამიერკავკასიის გლეხობაში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის უფრო ძლიერ და ღრმა განვითარებას. თავის მიწის ნაკვეთზე მიჯაჭვა განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობოდა იმ გლეხებში, რომლებიც მევენახეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას მისდევდნენ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში განსაკუთრებულ სიძნელეებს ჰქონდა ადგილი მის ზოგიერთ დარგსა და ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში. ამიტომ საჭირო იყო დიფერენცირებული მიდგომა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მხრივ. ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ განსაზოგადოების პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობდა მეცხოველეობის რაიონებში, სადაც უფრო მეტად იგრძნობოდა პატრიარქალურ-საყოფაცხოვრებო გადმონაშთები.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ეკონომიურ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას აღრმავებდა სოფლის კულტურული ჩამორჩენილობა. 1926 წელს წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობა ამიერკავკა-

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 236.

[2] Всесоюзная перепись населения 1926 года, т. IX, М., 1929, стр. 24, 25; т. XVII, М., 1929, стр. 67.

[3] მარტოოდენ სომხეთში იყო შემოღებული თემურ-სასოფლო მიწათსარგებლობა. მაგრამ მიწის ნაკვეთების ხელახალ განაწილებაში დიდი პერიოდის დაწესების გამო მიწათსარგებლობა ფაქტობრივად იქაც საკომლო იყო.

ᲡᲘᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ 19,7 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲐᲠ ᲐᲚᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ[1]. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲕᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲝᲤᲚᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ[2]. ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲐ.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲘᲜᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲗᲐ ᲢᲔᲛᲞᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲖᲔ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ-ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲠᲔᲚᲔᲪ.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜᲐᲪ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲚᲔᲥᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ-ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲡ ᲡᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ. ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐᲡ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲙᲣᲚᲐᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲧᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲝᲒᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲬᲝᲠ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ.

---

[1] ЗСФСР в цифрах, стр. 10—12.

[2] იქვე.

4. ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები პირველ ხუთწლედში. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებანი ამ მხარეში

სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან იარაღად პარტიას მიაჩნდა სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა. პარტიამ შეიმუშავა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, ამასთან იგი ეყრდნობოდა აღდგენითს პერიოდში და ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში შეძენილ სოციალისტური დაგეგმვის გამოცდილებას, მოპოვებულ მიღწევებს. დირექტივები პირველი ხუთწლედის შესადგენად მიიღო საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობამ. პირველი ხუთწლედის ძირითადი სამეურნეო ამოცანები ის იყო, რომ განუბრელად განვითარებულიყო მძიმე ინდუსტრია და მის ბაზაზე მიგვეღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი ზრდისათვის, აგვემაღლებინა მასში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა, უფრო გადაჭრით განგვედევნა კაპიტალისტური ელემენტები, ამასთან მხედველობაში გვქონოდა მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის მომზადება.

პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. „ხუთწლიანმა გეგმამ, — ნათქვამი იყო დირექტივებში, — განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩამორჩენილი ნაციონალური განაპირა მხარეების და ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიკის და კულტურის აღმავლობის საკითხებს, იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია ამ მხარეებისა და რაიონების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის თანდათანობით ლიკვიდაცია და ამის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას მათი ეკონომიკისა და კულტურის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება ამ რაიონების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების საბჭოთა კავშირის საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან შეხამებით“[1].

ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების საფუძველზე

---

1 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, გვ. 598.

პარტიამ დასახა პირველ ხუთწლედში ამიერკავკასიის რესპუბლიკების განვითარების გზები. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობამ მოიწონა დირექტივები ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის. ყრილობამ განსაზღვრა მისი ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებანი და საგეგმო ორგანოების ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიის ელექტრიფიკაციის აუცილებლობას ამ მხარის ინდუსტრიალიზაციის უზრუნველსაყოფად. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის საჭირო პირობების შექმნისა და საგეგმო დავალებათა შესრულების მიზნით ყრილობამ ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაავალა ელექტრიფიკაციასთან ერთად დიდი ყურადღება მიექციათ მორწყვისა და მელიორაციის სამუშაოების გაფართოებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული იყო მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისა და ამ მხარეში გაშლილი კულტურული მშენებლობის კონკრეტული პროგრამა.

საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობის დირექტივებისა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საგეგმო ორგანოებში, ამიერკავკასიის ყველა უწყებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით, გაჩაღდა დიდი მუშაობა პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. მშრომელები ფართოდ განიხილავდნენ პირველი ხუთწლედის მოსამზადებელ მასალებს და შემოჰქონდათ მრავალი ძვირფასი წინადადება.

1929 წლის მარტში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი. გულდასმით განხილვის შემდეგ პლენუმმა მიიღო ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა. იგი გამომდინარეობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანებიდან.

ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 2.619,4 მილიონი მანეთის ოდენობით. ამ თანხიდან 1.152,1 მილიონი მანეთი განზრახული იყო მოხმარებოდა მრეწველობის განვითარებას[1]. ხუთწლედში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში უნდა

[1] ЗСФСР на новом этапе. Тифлис, 1929, стр. 11, 12.

შექმნილიყო მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, აგებულიყო 6 ახალი ელექტროსადგური[1]. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ხუთწლედში უნდა გადიდებულიყო ერთიორად და მეტად.

ამიერკავკასიის სფსრ ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირების ბაზაზე. ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 62,5 პროცენტით[2].

ხუთწლედი ითვალისწინებდა ამიერკავკასიის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის დიდად ამაღლებას, მუშათა ხელფასის გადიდებას დაახლოებით 29,3 პროცენტით, ყოველწლიური საბინაო მშენებლობის ხარჯების ზრდას 135 პროცენტით[3]. კულტურული მშენებლობის დარგში ამიერკავკასიის სფსრ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითს სწავლებაზე გადასვლას და მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას, ამ მხარის სახალხო მეურნეობის კადრების მომზადებას, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

საკავშირო კპ (ბ) XIV კონფერენციამ, რომელიც 1929 წლის აპრილში გაიმართა, განიხილა და მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა 1928/29 — 1932/33 სამეურნეო წლებისათვის, რომელიც ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის შექმნის პროგრამად იქცა.

მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის ამოცანები მოითხოვდნენ მშრომელთა მასების შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გაცილებით მაღალ დონეს. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდებოდა პარტიის ხელმძღვანელი როლი, მაღლდებოდა მისი სოციალური შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელობა. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის ზრდისა და რეგულირების საკითხებს დიდი ადგილი ეთმობოდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მთელ მუშაობაში. ეს საკითხები 1928 — 1929 წლებში ორჯერ განიხილეს

---

[1] Основные элементы пятилетнего плана ЗСФСР. Тифлис, 1929, стр. 29.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] იქვე, გვ. 108, 127.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმებზე. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო რეგულარულად ისმენდნენ ცნობებს პარტიის რიგებში მუშების მიღების შესახებ. ამ მიზნით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეამოწმა რამდენიმე დიდი პარტიული ორგანიზაცია.

პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და მუშათა წრიდან გამოსული ახალი პარტიული კადრების აღზრდაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 25 ივლისის დადგენილებამ, რომელიც მიღებულ იქნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აზერბაიჯანში მოპოვებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი წარმატებები და ამავე დროს მიუთითა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არ უზრუნველყო საჭირო პირობები თვითკრიტიკის გაშლისათვის, აგრეთვე მუშათა წრიდან გამოსული ხელმძღვანელი კადრების უსწრაფესად მომზადებისა და დაწინაურებისათვის, თავი ვერ გაართვა კონკრეტულ ნაკლოვანებებთან საბრძოლველად ფართო მასების მობილიზაციის ამოცანას. ბევრ საწარმოში დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გაუმჯობესების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები, ამავე დროს დაავალა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს უზრუნველყოს ხელმძღვანელობის განმტკიცება ეროვნული კომპარტიების (აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის) ცენტრალური კომიტეტებისადმი[1], აგრეთვე წინადადება მისცა გაეჩაღებინა ნამდვილი თვითკრიტიკა, კერძოდ, პარტიის წმენდისა და პარტიული ორგანოების გადარჩევების დროს, ამასთან განემტკიცებინა ისინი პარტიული მუშების, განსაკუთრებით ადგილობრივ

---

[1] Материалы и постановления о состоянии в Азербайджанской партийной организации. Баку, 1929, стр. 43.

ეროვნებათა წარმომადგენლების გაბედული დაწინაურების საფუძველზე[1].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ამ პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდნენ შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებას. სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად საჭირო იყო ფართო პარტიული მასების აქტივობის ამაღლება, მინდობილი საქმისათვის ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერება, მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის უფრო მეტად განმტკიცება. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ღრმად სწავლობდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და ცხოვრებას. დიდ დახმარებას უწევდა მათ შინაპარტიული დემოკრატიის, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებაში. ასე, მაგალითად, 1929 წლის გაზაფხულზე, ბაქოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შემოწმებისას, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოააშკარავა ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ კრიტიკის ჩახშობის ელემენტები. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა „უზრუნველეყოთ თვითკრიტიკის ნამდვილი გაშლა.... ენერგიული ბრძოლა ეწარმოებინათ პარტორგანოების მუშაობაში არსებულ დამახინჯებათა წინააღმდეგ, ფართოდ განევითარებინათ შინაპარტიული დემოკრატია, პასუხისგებაში მიეცათ ყველა, პიროვნების მიუხედავად, ვინც ახშობს მასების კრიტიკას"[2].

სულ უფრო უმჯობესდებოდა კომუნისტების იდეური წრთობა. 1928/29 სასწავლო წელს ამიერკავკასიის პარტიული განათლების ქსელში სწავლობდა 39 ათასზე მეტი კაცი[3]. 1929 წლის შემოდგომაზე ამ მხარის მარტო დღის საბჭოთა და პარტიულ სკოლებში მეცადინეობდა 1.200-მდე მსმენელი. ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს გარდა 1928/29 სასწავლო წლიდან მოქმედებდნენ საღამოს და დაუსწრებელი კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში 1929/30 სასწავლო წელს სწავლობდა 1.000-მდე სტუდენტი. სამხარეო პარტიული ორგანიზაციის იდეო-

---

[1] Материалы и постановления о состоянии в Азербайджанской партийной организации, стр. 43.

[2] К XVI съезду ВКП(б). Выпуск I, М.—Л., 1930, стр. 35.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 38.

ლოგიურ მუშაობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პარტიის ისტორიის განყოფილება, რომელიც შეიქმნა 1929 წლის ივნისში.

მთელი ფრონტით სოციალიზმის შეტევის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო მასობრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, მატულობდა ამიერკავკასიის პროფკავშირების წევრთა რაოდენობა. 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის ისინი აერთიანებდნენ 494 ათას მუშას[1]. პარტიულმა ორგანიზაციებმა განამტკიცეს თავიანთი გავლენა პროფკავშირებზე, წარუძღვნენ მათ პირველი ხუთწლედის ამოცანების შესასრულებლად.

სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შექმნისათვის ბრძოლაში სამხარეო პარტიული ორგანიზაციის ერთგული თანაშემწე იყო კომკავშირი. სამხარეო კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის რიგებში 208 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი იყო[2], ანუ ერთიორად მეტი, ვიდრე 1926 წლის დამდეგს, წარმატებით იბრძოდა ხუთწლედის მოწინავე მიჯნებზე, იჩენდა თაოსნობასა და აქტივობას.

სამხარეო პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა მუშაობა სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა მოზიდვისათვის. 1930 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში 5.124 ქალი ითვლებოდა[3], ანუ ამ მხარის კომუნისტთა საერთო რაოდენობის 6,1 პროცენტი. 16.000 ქალი საბჭოების წევრი იყო[4]. ბევრად გაიზარდა დელეგატთა კრებების მონაწილე ქალთა რიცხვი: 1929 წელს აქ იყო 44.000 დელეგატი ქალი — 91 პროცენტით მეტი, ვიდრე 1926 — 1927 წლებში. ცოტა როდი იყო სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალთა რიცხვი.

წარმატებით ჩაიარა საბჭოების არჩევნებმა 1929 წელს. ამ არჩევნებმა თვალნათლივ გვიჩვენეს ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მზარდი აქტივობა და პოლიტიკური მოწიფულობა. არჩევნებში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდ-

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 267.

[2] იქვე, გვ. 270.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 60.

[4] VI съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 359.

ნენ მუშები. მხარის სამრეწველო ცენტრების წარგზავნილებმა დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის მშრომელებს სასოფლო საბჭოების გადარჩევებში.

მასები სულ უფრო მეტად ებმებოდნენ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებულ მუშაობაში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებდნენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშგლეხინის ამიერკავკასიის სფსრ ორგანოები. „მსუბუქი კავალერიის", შტატგარეშე ინსპექტორების ინსტიტუტის, მუშგლეხინის სექციების, საჩივართა ბიუროების, დროებითი საკონტროლო კომისიების ხელშეწყობითა და დახმარებით ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში, მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მრავალ სამხარეო და რესპუბლიკურ გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა მუშგლეხინის ფურცლები.

ამიერკავკასიის მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა პირველი ხუთწლედის დავალებანი მიიჩნიეს თავიანთ ღვიძლ საქმედ. ყველა სამრეწველო საწარმოში გაჩაღდა ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მოწყობილობის რაციონალური გამოყენებისათვის, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვისათვის.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც წარმართავდნენ მშრომელთა ფართო ფენების შრომითს და პოლიტიკურ აღმაელობას მათ წინაშე დასმული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები მოაწყვეს. ამიერკავკასიის მშრომელებში მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება პოვა ლენინგრადელი მუშების პატრიოტულმა მოწოდებამ ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარების შესახებ. ამიერკავკასიის მუშათა კლასმა 1929 წლის 20 სექტემბერი — ბაქოს 26 კომისრის დაღუპვის 11 წლისთავი — ინდუსტრიალიზაციის დღედ გამოაცხადა. მთელი გამომუშავებული სახსრები გადაეცა ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფონდში.

მხარის მუშათა კლასის შემოქმედებითი აქტივობის ზრდა ნათლად გამოიხატა აგრეთვე საწარმოო თათბირების სრულიად საკავშირო დათვალიერებით, რომელიც 1929 წლის დამდეგს მოეწყო

გაზეთ „პრავდის“ ინიციატივით. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მხარის ყველა საწარმოში დაიწყო საწარმოო თათბირების საქმიანობის მასობრივი შემოწმება. ბაქოს, თბილისის, ერევნის, ლენინაკანის, განჯის, ბათუმისა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრების ათეულათასობით მუშა მონაწილეობდა დათვალიერებაში. რამდენიმე თვის განმავლობაში მუშებმა შეიტანეს მრავალი ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა წარმოებაში. მარტო ბაქოს მუშებმა ამ პერიოდში შეიტანეს ცხრაჯერ მეტი წინადადება, ვიდრე მთელი 1928 წლის განმავლობაში.

მუშათა კლასის პოლიტიკურმა და შრომითმა აღმავლობამ წარმოშვა ახალი პატრიოტული მოძრაობა — მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. მის გაჩაღებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლენინურმა იდეებმა შეჯიბრების შესახებ. 1929 წლის იანვარში პირველად „პრავდაში“, ხოლო შემდეგ სხვა გაზეთებშიც გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“. მან ხელი შეუწყო მშრომელთა ფართო მასების თაოსნობის შემდგომ ზრდას. საკავშირო კპ (ბ) XVI კონფერენციამ მიიღო მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა მუშისა და მშრომელი გლეხისადმი პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ.

პარტიის მოწოდების პასუხად ამიერკავკასიის ათასობით მშრომელმა იკისრა საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების მოთავეობა. შეჯიბრების განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ. 1929 წლის 2 აპრილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიმართა ამ მხარის ყველა კომკავშირელსა და მუშა-ახალგაზრდობას მოწოდებით — გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება[1]. კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ამიერკავკასიის ბევრ სამრეწველო საწარმოში დაიწყო დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბება.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა მასების მასობრივ პატრიოტულ მოძრაობას და პირველივე დღეებიდან უნარიანად წარმართეს შეჯიბრების მიმდინარეობა. 1929 წლის მაისის დამდეგს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო

[1] Газ. «Молодой рабочий» № 39, 2 апреля 1929 г.

კომიტეტმა მოუწოდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება[1]. ასეთივე მოწოდებით მუშებსა და ყველა მშრომელს მიმართეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, აგრეთვე ამიერკავკასიის სამრეწველო საწარმოების ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებოდა სულ მეტი და მეტი მუშა, მთელი მუშათა კოლექტივები. ბაქოს მენავთობეებმა დაიწყეს შეჯიბრება გროზნოს მესარეწეებთან და დონბასის მეშახტეებთან. შეჯიბრება გაჩაღდა ზემო ავჭალისა და ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურების ენერგეტიკოსებს შორის, ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელებს, განჯისა და ქუთაისის მემაუდეებს შორის. მშრომელთა მასობრივი შრომითი გმირობა და სოციალისტური შეჯიბრების პირველი წარმატებები ხელს უწყობდნენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას.

ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის გმირული შრომის შედეგად უკვე პირველი ხუთწლედის პირველსავე წელს დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ამ მხარის ინდუსტრიალიზაციაში. მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგა ახალი კრეკინგ-ქარხანა, მილდანადგარები, მეავეს ქარხანა ბაქოში, ნავთობგადამუშავებელი ქარხანა ბათუმში. დამთავრდა ბაქო—ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა 822 კილომეტრ მანძილზე. ძირითადად დამთავრდა განჯის საჩითავი ფაბრიკის მეორე რიგის მშენებლობა, ახალი საამქროები იქმნებოდა ლენინაკანის საფეიქრო კომბინატში. წარმატებით მიმდინარეობდა მზადება ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების სამრეწველო დამუშავებისათვის. საძირკველი ჩაეყარა კარაკლისის დიდ ქიმიურ კომბინატს. შენდებოდა და მწყობრში დგებოდა ბევრი ახალი ელექტროსადგური. პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კულტურული მშენებლობის საკითხებსაც. კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამიერკავკასიაში კვლავ რჩებოდა მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა. ამ საქმეში მიღწეულ გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, ამიერკავკასიის სფსრ მოსახლეობის წიგნიერების მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ჩვენი

---

[1] Газ. «Заря Востока» № 100, 5 мая 1929 г.

ქვეყნის ბევრ სხვა ნაწილს[1]. მაგალითად, 1929 წლის ივლისისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნიერი მოსახლეობა დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენდა[2].

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უწიგნურობასთან ბრძოლას და პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად უსახავდა ამ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტას. მისი მითითებით 1929 წლის შუა ხანებში შემოწმებულ იქნა უწიგნურობის აღმოსაფხვრელად გაწეული მუშაობის მდგომარეობა. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა უწიგნურობის აღმოფხვრისადმი მიძღვნილ ამიერკავკასიის თათბირზე, რომელიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია 1929 წლის ივლისში[3].

სამხარეო თათბირის გადაწყვეტილებამ და უწიგნურობის აღმოფხვრის შესახებ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1929 წლის ოქტომბრის დადგენილებამ[4] დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიაში ამ მუშაობის გასაძლიერებლად. უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ აზერბაიჯანული დამწერლობა 1929 წლის 1 იანვრიდან საბოლოოდ გადაიყვანეს ლათინიზებულ ანბანზე.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ზრუნავდნენ სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელის გაფართოებაზე, სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა კადრების მომზადებაზე. 1928/29 სასწავლო წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების 4.999 სკოლაში სწავლობდა 572 ათასზე მეტი მოსწავლე[5]. 1929 წელს ამიერკავკასიის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განათლება მიიღო 22 ათასზე მეტმა კაცმა[6]. საგრძნობი წარმატებანი იყო მოპოვებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებაში. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სხვა ტექნიკურ სკოლებსა და კურსებზე ახალგაზრდა მუშე-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 202, 4 сентября 1929 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 166, 24 июля 1929 г.

[3] Газ. «Заря Востока», № 202, 4 сентября 1929 г.

[4] Газ. «Заря Востока» № 227, 3 октября 1929 г.

[5] Культурное строительство СССР. Статистический сборник. М.—Л., 1940, стр. 43—45.

[6] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 28.

ბი და გლეხები იძენდნენ პროფესიებს, იმაღლებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას.

დიდი მუშაობა მიმდინარეობდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა კადრების მომზადებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სოციალური და პარტიული შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში 1929 წელს არსებობდა 14 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ითვლებოდა 18 ათასამდე სტუდენტი[1]. ყოველწლიურად ფართოვდებოდა მუშფაკებისა და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი კურსების ქსელი. 1928 წელს ამიერკავკასიის 9 მუშფაკში სწავლობდა 5.700-ზე მეტი მოსწავლე[2]. მუშფაკდამთავრებული ახალგაზრდობა ძირითადად შედიოდა უმაღლეს სასწავლებლებში, რაც აფართოებდა მუშურ-გლეხურ ფენას სტუდენტთა შორის. სტუდენტობაში წლითიწლობით მატულობდა პარტიის წევრთა და კომკავშირელთა რიცხვი. 1929/30 სასწავლო წელს ისინი შეადგენდნენ უმაღლესი ინდუსტრიული სასწავლებლების მოსწავლეთა 31,2 პროცენტს, ხოლო უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში — 36,5 პროცენტს[3].

ამიერკავკასიაში სწრაფად ვითარდებოდა მეცნიერება. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა და ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპი დიდ მოთხოვნებს უყენებდა მეცნიერებს. სულ მალე ამიერკავკასიაში შეიქმნა ბევრი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, საცდელი სადგურები, ლაბორატორიები, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებანი. განმტკიცდა მეცნიერების კავშირი წარმოებასთან. წარმატებით მიმდინარეობდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადება. მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტ მეცნიერ მუშაკთა ამიერკავკასიის თათბირს, რომელიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია 1929 წლის მარტში. თათბირმა განიხილა ამიერკავკასიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობა და დასახა ამ მხარის სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

---

[1] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 29.

[2] Обзор деятельности правительства ЗСФСР. 1927 г.—V—1929 г., стр. 354.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 30.

წარმატებით ვითარდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა ახალი, საბჭოური ლიტერატურა და ხელოვნება. ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ამ მხარის შემოქმედებითი ინტელიგენციის მეცადინეობას აერთიანებდნენ და წარმართავდნენ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. 1928 წლის იანვარში გაიმართა ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა პირველი ყრილობა, რომელმაც დასაბამი მისცა პროლეტარული მწერლების ამიერკავკასიის ასოციაციას[1]. 1928 წლის აპრილში გამოსვლა დაიწყო ასოციაციის ორგანომ — ყოველთვიურმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „ნა რუბეჟე ვოსტოკამ".

1928 წლის ოქტომბერში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია მხატვრული ლიტერატურის დარგში მუშაობის შესახებ. ამ დოკუმენტმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურული ძალების დაახლოებასა და მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცებაში და განსაზღვრა ამიერკავკასიელ მწერალთა ამოცანები[2]. 1929 წლის მაის—ივნისში წარმატებით ჩაიარა ამიერკავკასიის მწერალთა მეგობრობის ერთთვიურმა.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ხელოვნების განვითარებას. 1928 წლის მარტში გაიმართა ამიერკავკასიის კინოთათბირი, ხოლო 1929 წლის ივლისში — თეატრის მუშაობისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის თათბირი. მათ დადებითი გავლენა იქონიეს თეატრალური დადგმებისა და კინოფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებაზე.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე მიმდინარეობდა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების ვითარებაში. ანტისოციალისტურ ელემენტთა მთავარი ძალა კულაკობა იყო, რომელიც სულ უფრო აქტიურად გამოდიოდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. სოციალიზმის შეტევის შეჩერებას რომ ლამობდნენ, მტრები გაშმაგებულ იერიშზე გადმოდიოდნენ.

კლასობრივმა ბრძოლამ უაღრესად მძაფრი ხასიათი მიიღო

---

[1] Газ. «Заря Востока» № 19, 24 января 1928 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 255, 3 ноября 1928 г.

1927 — 1928 წლებში პუოის დამზადების დროს. „პურის კრიზისი“ გამოწვეული იყო ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით, მაგრამ პირველ რიგში — კულაკობის გამძაფრებული წინააღმდეგობით. პურის ფასების სწრაფი ზრდის პირობებში კულაკები ყოველნაირად ცდილობდნენ შემოენახათ იგი, რათა ჩაეფუშათ პურის სახელმწიფო დამზადება, თვითონ კი მამასისხლად გაეყიდათ პური. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდნენ საგანგებო ზომები მიეღოთ კულაკობის წინააღმდეგ.

კულაკების წინააღმდეგობამ გააქტიურა მტრული ელემენტები ჩვენს ქვეყანაში. 1928 წლის დამდეგს დონბასის შახტისა და სხვა რაიონებში აღმოჩენილ იქნა დიდი მავნებლური ორგანიზაცია. შახტის ხელმძღვანელობაში მოკალათებულმა მტრულმა ბურჟუაზიულმა სპეციალისტებმა მოაწყვეს დივერსიები და საბოტაჟი, განზრახ აყოვნებდნენ ხელფასის გაცემას, არღვევდნენ შრომის დაცვის საბჭოთა კანონებს და ამით ცდილობდნენ მუშების უკმაყოფილების გამოწვევას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩაშლას.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული დასკვნები გამოიტანეს „შახტის საქმიდან“. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1928 წლის აპრილის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დასახეს სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშრომელთა პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების გზები.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ გავლენა მოახდინა შინაპარტიულ მდგომარეობაზე. ჩამოყალიბდა მემარჯვენე კაპიტულანტთა ჯგუფი ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მეთაურობით. ჯერ კიდევ 1925 წელს ბუხარინი გამოვიდა ლოზუნგით „გამდიდრდით!“, რაც ნიშნავდა სოფლად კულაკური მეურნეობისათვის მხარდაჭერას. კულაკის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე პარტიის გადასვლისთანავე მემარჯვენეთა ლიდერებმა აშკარად გაილაშქრეს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. სიტყვით სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას რომ აღიარებდნენ, მემარჯვენე ოპორტუნისტები საქმით წინააღმდეგობას უწევდნენ მძიმე ინდუსტრიის განვითარების პოლიტიკას, უარყოფდნენ მისი მაღალი ტემპების მნიშვნელობას.

მემარჯვენენი ქადაგებდნენ კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სოციალიზმში კულაკობის მშვიდობიანი შეზრდის „თეორიას“.

ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სოციალიზმის შეტევის გაშლას მთელ ფრონტზე და სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას, მათ მიაჩნდათ, რომ სოციალისტურ რელსებზე სოფლის გადაყვანა შეიძლება მხოლოდ მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის გზით. პარტიის ხაზის საპირისპიროდ ისინი წინადადებას იძლეოდნენ „ხელფეხი გაგვეხსნა" ბაზრის სტიქიისათვის, მოგვეხსნა ყოველგვარი შეზღუდვები კულაკური მეურნეობისათვის, დათმობაზე წავსულიყავით კაპიტალისტური ელემენტების მიმართ.

ამრიგად, მემარჯვენენი სინამდვილეში უარყოფდნენ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. ისინი პარტიაში ნერგავდნენ სიძნელეების წინაშე კაპიტულანტობის იდეოლოგიას, ესწრაფვოდნენ შეთანხმებას ქალაქისა და სოფლის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებთან. მათ პოზიციას გარდუვალად მოსდევდა კაპიტალიზმის რესტავრაცია.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი პრინციპულ ბრძოლას ეწეოდა მემარჯვენე კაპიტულანტების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1929 წლის აპრილის გაერთიანებულ პლენუმსა და XVI კონფერენციაზე მემარჯვენეებმა პოლიტიკური მარცხი განიცადეს. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც განაზოგადა მთელ ფრონტზე სოციალისტური შეტევის პირველი წარმატებანი, მემარჯვენე ოპორტუნიზმის შეხედულებათა პროპაგანდა და მასთან შემარიგებლობა მიიჩნია საკავშირო კპ (ბ) რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად. ამრიგად, უკვე 1929 წლის დამლევისათვის მემარჯვენე გადახრამ იდეური კრახი განიცადა.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, ისევე როგორც ბევრ სხვა ორგანიზაციაში, მემარჯვენე გადახრამ ვერ მოასწრო დამოუკიდებელ ფრაქციად გაფორმება. მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეხედულებებს აქ აშკარად და პირდაპირ თითქმის არავინ არ იცავდა, მაგრამ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებშიც იყო გამოსვლები მემარჯვენე ოპორტუნიზმის პოზიციებიდან, რომლებიც გადახლართული იყო ნაციონალისტურ გამოვლინებასთან. ამიერკავკასიაში მემარჯვენე უკლონისტთა ეს განმასხვავებელი თვისება თავიდანვე გამოიცნეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაცი-

ებმა. ჯერ კიდევ საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1928 წლის ოქტომბრის პლენუმმა თავის მიმართვაში პარტიის ყველა ორგანიზაციას და წევრს მიუთითა აუცილებლად გაეთვალისწინებინათ, რომ „ჩვენდამი მტრული კლასობრივი ჯგუფების აქტივობის ზრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის პირობებში შეხამებულია მებრძოლი ნაციონალიზმის ზრდასთან, რომელიც რევანშის აღებას ლამობს ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითად საკითხებში... ყოველივე ეს ავალებს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღების განსაკუთრებული დაძაბვით მოეკიდონ ჩვენს პარტიაში მემარჯვენე საფრთხის საკითხს, განსაკუთრებული ძალით წარმართონ ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც თავი წამოყო“[1].

1929 წლის იანვარ—თებერვალში გამართულმა რაიონულმა და სამაზრო პარტკონფერენციებმა გვიჩვენეს, რომ მემარჯვენე გადახრამ ამიერკავკასიის პირობებში ნამდვილად მიიღო ნაციონალისტური ელფერი. „ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — აღნიშნული იყო საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1929 წლის 5 მარტის საინფორმაციო ცნობაში, — მიმდინარე პარტკონფერენციების სახით თავიანთ გადაწყვეტილებებში აღნიშნეს, რომ მემარჯვენე გადახრას თავისი გამოხატულება აქვს ნაციონალისტურ გადახრაში (აზერბაიჯანი). სომხეთის კომპარტიის სამაზრო კონფერენციებმა მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა დაუკავშირეს ტროცკიზმის, სპეციფიზმის, დაშნაკიზმის, მენშევიზმისა და სმენოვეხოველობის წინააღმდეგ ბრძოლას“[2]. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1929 წლის მარტში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მემარჯვენე გადახრის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის პირობებში წარმოადგენს ნაციონალისტური გადახრა, რომელიც აღრმავებს მემარჯვენე საფრთხეს“[3].

ადგილობრივი მემარჯვენე უკლონისტები აზვიადებდნენ ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების სპეციფიკას და ცდილობდნენ იმის მტკიცებას, რომ მდგომარეობის თავისებურებათა გამო ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში შეუძ-

---

[1] «Известия Закрайкома ВКП(б)», 1928, № 10—11, стр. 2.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2968, ფურც. 75.

[3] იქვე, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 3155, ფურც. 54.

ლებელია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება. ისინი უარყოფდნენ კულაკური ფენის არსებობას ამიერკავკასიის სოფლებში ან ცდილობდნენ ადგილობრივი კულაკი გაესაღებინათ განსაკუთრებული ტიპის კულაკად. „ჩვენში არ არიან კულაკები. ჩვენი კულაკი მხოლოდ ფსიქოლოგიური კატეგორიაა". იგი „კარგი საბჭოთა კულაკია" — ასეთი მტკიცებანი ხშირად ემსახურებოდა სოციალისტური მშენებლობის, კერძოდ, საკოლმეურნეო მოძრაობის კონკრეტული საკითხებისადმი მემარჯვენე ოპორტუნისტული მიდგომის „გამართლებას". ასე მაგალითად, კახეთის ოლქის ერთ-ერთი სათემო აღმასკომის კომუნისტი წევრები მოითხოვდნენ არ ჩამორთმეოდა კულაკებს ზედმეტი მიწები იმ მოსაზრების გამო, რომ ისინიც საბჭოთა საზოგადოებას ეკუთვნიან და, მაშასადამე, არიან „საბჭოთა კულაკები[1]". ახკლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გლეხთა კრებაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ადგილობრივი შავსიელი კულაკები „კარგი, კეთილი ხალხია, ისეთები როდი არიან, სხვა სოფლებში რომ კულაკებია, ისინი ეხმარებიან ღარიბებს, გადასახადს დროზე იხდიან, ყველა ჩვენს მოთხოვნას ასრულებენ. იქნებ აღვადგინოთ ისინი თავიანთ უფლებებში? მოდით ყველამ შევეხვეწოთ... ეს[2]".

საქართველოს კომპარტიის თელავის სამაზრო კომიტეტს ერთ-ერთ თავის ამოცანად მიაჩნდა „სოფლად ფენებად დაშლის თავიდან აცილება[3]". აზერბაიჯანის კომპარტიის ნუხის სამაზრო კომიტეტი ამტკიცებდა, რომ ამ მაზრაში კულაკებს ღარიბობაზე „არავითარი გავლენა არა აქვთ[4]". სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ იყო გავრცელებული იმის მტკიცება, რომ „რადგან 1920 წელს ყველანი ერთად იბრძოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ, არავითარი განსხვავება სხვადასხვა ფენებს შორის არ არის... შეღავათებით ყველა ერთნაირად უნდა სარგებლობდეს[5]".

ასეთი მიდგომა ხშირად იწვევდა გლეხობის სხვადასხვა ფენებისადმი დამოკიდებულების პარტიის პოლიტიკის ლენინური პრინციპების უხეშ დარღვევას, კულაკური საფრთხის შეუფასებლობასა და უგულებელყოფას.

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2491, ფურც. 3.

2 იქვე.

3 «Известия Заккрайкома ВКП(б)», 1928, № 8—9, стр. 8.

4 იქვე.

5 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 3158, ფურც. 26.

მემარჯვენე გადახრა თავის გამოხატულებას ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში პოვებდა იმითაც, რომ კულაკებს უყოფდნენ საუკეთესო მიწის ნაკვეთებს, მათ პირველ რიგში აძლევდნენ კრედიტებს იმ საბაბით, რომ ისინი ყველაზე საიმედო გადამხდელები არიანო, ზოგჯერ შეღავათებს აძლევდნენ კულაკებს გადასახადის გაწერისას, ათავისუფლებდნენ მათ ზედმეტი პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარებისაგან. ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობაში კულაკების მიღების და თვით სასოფლო საბჭოების შემადგენლობაში და კოლმეურნეობების გამგეობაში მათი არჩევის ფაქტებსაც.

ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენდა სოფლად კლასობრივი ძალების გამიჯვნის პროცესზე, ხელს უშლიდა კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასასვლელად პირობების მომზადებას. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციები და გამოვლინებანი ასუსტებდნენ კომუნისტების ავანგარდულ როლს, ხელს უშლიდნენ ადგილობრივ სამაზრო და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩასდგომოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში საჭირო ხდებოდა მემარჯვენე გადახრის გავლენის ქვეშ მოქცეული ცალკეული კომუნისტების წინააღმდეგობის დაძლევაც კი. მაგალითად, 1929 წლის გაზაფხულზე ეჩმიაძინის მაზრაში საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობის შემსწავლელი კომისია იტყობინებოდა, რომ აქ სერიოზული დაბრკოლება არის „ის წინააღმდეგობა, რასაც ორგანიზაციას თავიდანვე უწევდნენ კომპარტიისა და კომკავშირის ზოგიერთი წევრი და კომპარტიის მთელი უჯრედებიც კი, რომელნიც არა მარტო მსურველი არ იყვნენ კოლმეურნეობაში შესვლისა, არამედ ღარიბთა შორისაც აგიტაციას ეწეოდნენ კოლმეურნეობაში შესვლის წინააღმდეგ“...[1].

მთელ ფრონტზე სოციალიზმის გადამწყვეტი შეტევის მომზადების პირობებში ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ მემარჯვენე კაპიტულანტური გადახრის მთელი საშიშროება, პრინციპული ბრძოლა გააჩაღეს ამ გადახრის ყველა გამოხატულების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე, საოლქო, საქალა-

[1] «Известия Заккрайкома ВКП(б)», 1929, № 7—8, стр. 4.

ქო და რაიონულ პარტკონფერენციებზე, აგრეთვე პარტიული აქტივის კრებებზე ერთსულოვნად იღებდნენ რეზოლუციებს, რომელნიც გმობდნენ მემარჯვენე კაპიტულანტებს.

არაერთი პარტიული ორგანო იძულებული გახდა ორგანიზაციული ზომები მიეღო მემარჯვენე უკლონისტების მიმართ. ის მუშაკები, რომლებიც ეწეოდნენ მემარჯვენე გადახრის ოპორტუნისტულ შეხედულებათა პროპაგანდას, ამახინჯებდნენ პარტიის პოლიტიკას, ერთი მხრივ, მშრომელი გლეხობის მიმართ, და, მეორე მხრივ, კულაკობის მიმართ, — მიცემულ იქნენ პასუხისგებაში. მაგალითად, 1928 წლის ზაფხულში სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის უხეში შეცდომების ჩადენისათვის თანამდებობიდან გადააყენეს და პარტიულ პასუხისგებაში მისცეს სტეპანავანის, ვორონცოვის, მეგრისა და სხვა რაიონების მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ნოემბრის, 1929 წლის აპრილის და ნოემბრის პლენუმებისა და XVI პარტკონფერენციის შედეგები რომ განიხილეს, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაგმეს მემარჯვენე გადახრის შეხედულებანი და პოლიტიკა. მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლა მათ მჭიდროდ დაუკავშირეს პარტიის ლენინური გენერალური ხაზისაგან ყველა სხვა გადახრებთან ბრძოლას. 1928 წლის ოქტომბერში გამართული ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის მიმართვაში პარტიის ყველა ორგანიზაციის და წევრისადმი პარტუჯრედების ბიუროების გადარჩევებთან დაკავშირებით ნათქვამი იყო:

„მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ ი ს მ ე რ ყ ე ო ბ ა თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. უ ნ ი ა დ ა გ ო პ ა ნ ი კ ი ო რ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ტ რ ო ც კ ი ს ტ უ ლ გ ა მ ო ხ დ ო მ ა თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, თ ა ვ წ ა მ ო ყ ო ფ ი ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ა დ ა შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ მ უ წ უ კ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ — ნ ა თ ე ლ ი ლ ე ნ ი ნ უ რ ი ხ ა ზ ი ს ა თ ვ ი ს, კ უ ლ ა კ ზ ე შ ე ტ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, ქ ვ ე ყ ნ ი ს ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს, ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს, ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს —

[1] გაზ. „ჰორურდაინ ჰაიასტან“ № 182. 1928 წლის 7 აგვისტო.

მძლავრი სსრ კავშირის ნაწილის სიმტკიცისათვის, მუშურ-გლეხური მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრული ძმური სოციალისტური მუშაობისათვის, ჩვენს პარტიაში ლენინური ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის — ამ ლოზუნგებით უნდა ჩატარდეს ამიერკავკასიის სფსრ პარტიული საგადარჩევნო კამპანია"[1].

პარტუჯრედების ბიუროების გადარჩევებთან დაკავშირებით, 1928 წლის ოქტომბერში ასეთივე მოწოდებით მიმართეს პარტიულ ორგანიზაციებსა და კომუნისტებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, აგრეთვე პარტიის ბაქოს, თბილისის, ერევნის კომიტეტებმა.

მემარჯვენე კაპიტულანტებთან ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მემარჯვენე გადახრა მიიჩნია მთავარ საფრთხედ პარტიის რიგებში.

1929 წლის 23 თებერვალს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, იმასთან დაკავშირებით, რომ მემარჯვენე გადახრა გაცხოველებით ლამობდა დამოუკიდებელ ფრაქციულ ჯგუფად გაფორმებულიყო პარტიაში, საჭიროდ მიიჩნია ბრძოლის გაძლიერება ამ ანტილენინური ტენდენციის წინააღმდეგ. ამასთანავე აღნიშნავდა, რომ მარჯვნიდან და „მარცხნიდან" ლენინიზმის რევიზიის ყოველ ცდას, ბოლშევიზმის ორგანიზაციულ-პოლიტიკური პრინციპების წინააღმდეგ ყოველგვარ გალაშქრებას მტკიცედ წინააღუდგება ბაქოს პარტიული ორგანიზაცია. გაერთიანებული სხდომის რეზოლუცია ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ცეცხლი მიმართული უნდა იქნეს აშკარა ოპორტუნისტული, ლიკვიდატორული გადახრის წინააღმდეგ, რადგან მისი დაძლევის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში"[2]

რამდენიმე დღის შემდეგ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრა-

---

1 «Известия Заккрайкома ВКП(б)», 1928, № 10—11, стр. 3.

2 მლიაზფა ფ. 1, აღწ. 74, შესან. ერთ. 287, ფურც. 103—105.

ლური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც კვლავ განიხილა მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხი, მიღებულ რეზოლუციაში გადაჭრით გმობდა ოპოზიციის ლიდერების ფრაქციულ, დეზორგანიზატორულ მუშაობას და მოითხოვდა ამ საკითხის განხილვას საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც, აგრეთვე პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო, სამაზრო კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, რომლებიც ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში გმობდნენ მემარჯვენე კაპიტულანტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის თებერვლის პლენუმმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მორიგ გაერთიანებულ სხდომაზე ოპოზიციის ლიდერებს აშკარად ეღიარებინათ თავიანთი შეცდომები. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — აღნიშნული იყო პლენუმის რეზოლუციაში, — პარტია იძულებული გახდება დასვას საკითხი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან მათი გამოყვანის შესახებ"[2].

იდეოლოგიურ მუშაობაში დაშვებული ცალკეული შეცდომებისა და დაუდევრობის მიუხედავად, რაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთების ზეგავლენის შეუფასებლობით გამოიხატებოდა, სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს მემარჯვენე ოპორტუნიზმის იდეური განადგურებისათვის. სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა 1928 წლის აპრილში, ივლისსა და ნოემბერში დაგმეს მემარჯვენე გადახრა.

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ივნისის წერილით. მასში აღნიშნული იყო, რომ მემარჯვენეთა ეკონომიური და პოლიტიკური პლატფორმის წინააღმდეგ იდე-

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2974, ფურც. 94, 95.

[2] იქვე, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 1364, ფურც. 393.

ურ ბრძოლასთან ერთად საჭიროა ყურადღების დაძაბვა მემარჯვენე ოპორტუნიზმის კონკრეტულ პრაქტიკულ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი განიხილეს ამიერკავკასიის პარტიული კომიტეტების პლენუმებზე და ყველა პარტიული უჯრედის კრებებზე. მიღებულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალ ეტაპზე მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის კონკრეტული ამოცანების განსაზღვრას. „ამჟამად, — ნათქვამი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო წერილში პარტიის ყველა საოლქო, საოკრუგო და სამაზრო კომიტეტებისადმი, — პარტიის ძირითად ამოცანად კვლავ რჩება გადამწყვეტი ბრძოლის შემდგომი გაჩაღება მემარჯვენე გადახრასთან და შემრიგებლობასთან. მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლაში პარტია გადის ახალ ეტაპს, როცა მემარჯვენეთა პლატფორმის იდეურ-პოლიტიკური გამოაშკარავების შეუნელებელი განგრძობისას დარტყმა მიმართულია მემარჯვენე გადახრის კონკრეტულ გამოვლინებათა წინააღმდეგ, მემარჯვენე გადახრის დასაძლევად ყველა პარტიული და პროლეტარული ორგანიზაციებისა და ცალკეულ კომუნისტთა პრაქტიკულ მუშაობაში"[1].

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მიღებულ დადგენილებებსა და დირექტივებში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი რესპუბლიკურ და სხვა პარტიულ ორგანიზაციებს ყოველთვის მოაგონებდა, რომ ამავე დროს აუცილებელია ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგაც. იმ პერიოდშიც კი, როცა ტროცკისტი ავანტიურისტები უკვე მხილებული იყვნენ და მთავარ საფრთხედ პარტიის რიგებში გახდა მემარჯვენე გადახრა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მიუთითებდა ტროცკისტებთან ბრძოლის გაგრძელების დიდ მნიშვნელობაზე. 1929 წლის 28 ნოემბრის თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის მონაწილეობით გამართული ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს თ ვ ი თ უ მ ც ი რ ე ს ი ც დ ე ბ ი ს დ ა უ ნ დ ო ბ ე ლ ა ღ ქ ვ ე თ ა ს თ ა ნ დ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე პ რ ა ქ ტ ი კ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შ ე უ პ ო ვ ა რ ბ რ ძ ო ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ, პ ა რ ტ ი ა მ ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე ა რ უ ნ დ ა შ ე ა ს უ ს ტ ო ს

[1] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 3163, ფურც. 307.

ბრძოლა „მემარცხენე“ ტროცკისტულ და ნახევრადტროცკისტულ განწყობილებათა ყოველგვარ გამოვლინებებთან და მათდამი შემწყნარებლურ დამოკიდებულებასთან“[1].

ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციასთან ამ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა საქართველოში, სადაც ტროცკიზმი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ნაციონალ-უკლონიზმს. რეზოლუციაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ მიიღო ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, ნათქვამი იყო, რომ ადგილობრივი ტროცკისტები ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ პარტიისა და მისი ხელმძღვანელობისათვის, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა მუშაობას, მოუწოდებდნენ გაფიცვისაკენ. ტროცკიზმი საქართველოში გვეელინებოდა „ქართული მენშევიზმის ახალ გამოცემად[2]“. ასეთ შეფასებას რომ ეყრდნობოდა, ყრილობამ ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა: „ეწევა რა გადამწყვეტ ბრძოლას განვითარების ამ ეტაპზე ყველაზე საშიში მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ..., ყრილობას მიაჩნია, რომ საქართველოს თავისებურ პირობებში ცენტრალური საკონტროლო კომისიის ორგანოები... არანაკლებად უნდა ეწეოდნენ ბრძოლას კონტრრევოლუციური ტროცკისტული გადახრის წინააღმდეგ...[3]“.

ასეთსავე სწორ პოზიციას ადგნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციები. ჯერ კიდევ 1929 წლის იანვარში ბაქოს პარტიული ორგანიზაციის XVIII კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს და გაღრმავდეს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც ამ ეტაპზე ძირითად საფრთხეს წარმოადგენდა, და ამავე დროს საჭიროდ მიიჩნევდა ბრძოლის გაძლიერებას შემორჩენილი კონტრრევოლუციური ტროცკისტული ჯგუფების წინააღმდეგაც, რომლებიც ლამობდნენ თავიანთი მუშაობის გამოცოცხლებას[4].

---

[1] Газ. «Заря Востока» № 274, 29 ноября 1929 г.

[2] VI съезд Компартии (б) Грузии. Стенографический отчет, стр. 637.

[3] იქვე. გვ. 642.

[4] XVIII Бакинская конференция АКП(б), 19—29 января 1929 г. Стенографический отчет. Баку, 1929, стр. 724.

დაშნაკელ ავანტიურისტებთან ტროცკისტული ოპოზიციის იდეური და ორგანიზაციული შესისხლხორცების ფაქტებს რომ აღნიშნავდა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1930 წლის იანვარში წინადადებას აძლევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს განეგრძოთ „შეუნელებელი ბრძოლა ტროცკისტულ კონტრრევოლუციასთან". ამასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ამოცანას, რომ სოციალისტური მშენებლობის ჩაშლის ცდების კონკრეტული ფაქტებით მასების წინაშე გადაჭრით გამოეაშკარავებინათ „ტროცკისტები როგორც სოციალისტური მშენებლობის მტრები, როგორც ბურჟუაზიის დამქაშები"[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა მიიღო გადამჭრელი ზომები მემარჯვენეთა მიმართ, რომლებიც პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. პლენუმმა მემარჯვენეთა შეხედულების პროპაგანდა მიიჩნია პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად. პლენუმმა განიხილა მემარჯვენეთა ლიდერების — ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის საკითხი და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან გამოიყვანა ბუხარინი როგორც მემარჯვენე კაპიტულანტთა მოთავე და ხელმძღვანელი, ხოლო რიკოვსა და ტომსკის სერიოზული გაფრთხილება მისცა.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებებს. 1929 წლის 28 ნოემბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა თბილისის ორგანიზაციის აქტივთან ერთად მოისმინა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ა. ი. კრინიცკის მოხსენება და საესებით მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ყველა გადაწყვეტილება. მიღებული რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ხუთწლედის პირველი წლის წარმატებებმა მთლიანად და სავსებით გააქარწყლეს მემარჯვენე ოპოზიციონერების ყველა ოპორტუნისტული წინასწარმეტყველება, დაგვანახვეს მათი სრული პოლიტიკური გაკოტრება"[2]. პლენუმმა მოითხოვა რომ ოპოზიციის ლიდერებს ბუხარინს, რიკოვს და ტომსკის საქმით, პრაქტიკული მუშაობით დაემტკიცებინათ, რომ მათი განცხადება ჩადენილი შეცდომების მონანიების შესახებ გულწრფელი იყო. კერ-

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2597, ფურც. 310.

[2] Газ. «Заря Востока» № 274, 29 ноября 1929 г.

ძოდ, პლენუმმა კატეგორიულად მოსთხოვა ბუხარინს დაუყოვნებლივ გამოეაშკარავებინა თავისი „მცდარი თეორიული შეხედულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ლენინიზმს"[1].

ტროცკიზმისა და მემარჯვენე კაპიტულანტური გადახრის იდეურ-ორგანიზაციული განადგურება ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე გამარჯვებათა აუცილებელი პირობა იყო და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში ახალ წარმატებათა დიდმნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა.

კოლექტივიზაციის შემდგომი გაშლისათვის პირველყოვლისა საჭირო იყო სოფლის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლოდ გამზადება. 1929 წელს ამიერკავკასიის სასოფლო პარტუჯრედებში თავმოყრილი იყო ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ყველა კომუნისტის 28,5 პროცენტი[2]. 1933 წლის პირველი აპრილისათვის სასოფლო პარტუჯრედებსა და კანდიდატთა ჯგუფებში ირიცხებოდა 19.034 კომუნისტი[3]. ამ დროისათვის ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააფართოეს თავიანთი გავლენა სოფელზე.

მიუხედავად ამისა, პარტიულ მუშაობაში სოფლად იყო სერიოზული ნაკლოვანებანიც. მეტ წილ სასოფლო დასახლებულ პუნქტში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი პარტიული უჯრედები. იმ დროისათვის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში ითვლებოდა 12.385 სასოფლო დასახლებული პუნქტი[4], ხოლო პარტიული უჯრედების რიცხვი შეადგენდა 1.539-ს. სასოფლო პარტუჯრედები მეტწილად სულ რამდენიმე კომუნისტისაგან შედგებოდა. 1929 წლის სექტემბრისათვის დიდი სასოფლო პარტუჯრედები, სადაც თითოეულში 10 კომუნისტზე მეტი ითვლებოდა, საქართველოში იყო სულ 25, ხოლო სომხეთში — 7[5]. ყოველივე ეს ზღუდავდა მშრომელი გლეხობის ძალებში პარტიული მუშაობის შესაძლებლობებს.

მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის ამოცანები მოითხოვდა სოფლად პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის თავმოყრას პარტიული კომიტეტების სპეციალურ განყოფილებებში. საკავშირო

---

[1] Газ. «Заря Востока» № 274, 29 ноября 1929 г.

[2] ЗСФСР в цифрах, стр. XII—XIII.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 117.

[4] ЗСФСР в цифрах, стр. 2.

[5] ᲛᲚᲘᲡᲤᲐ, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 3115, ფურც. 103—105.

კპ (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან და რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, ხოლო შემდგომ საოლქო კომიტეტებთან და საოკრუგო კომიტეტებთანაც შეიქმნა სოფლად მუშაობის განყოფილება.

სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერების, პირველ ყოვლისა სასოფლო პარტუჯრედების გარშემო მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შეკავშირების მიზნით 1928 წლიდან შექმნილებულ იქნა სოფლის პარტორგანიზატორთა ინსტიტუტი. ისინი მოწოდებული იყვნენ დაერაზმათ მშრომელი გლეხობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საბრძოლველად[1].

ამიერკავკასიის სოფელში საგრძნობლად გამოცოცხლდა საბჭოების მუშაობა. მაგალითად, თუ 1927 წელს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში სასოფლო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 54 პროცენტი, 1929 წელს მონაწილეობდა თითქმის 70 პროცენტი. წინასაარჩევნო კრებებზე 1929 წელს კამათში გამოვიდა 73 ათასამდე ამომრჩეველი, მათ შორის 3 ათასზე მეტი მოჯამაგირე. 1929 წელს სასოფლო და სათემო საბჭოებში არჩეული 87,2 ათასი კაციდან 16,6 პროცენტს შეადგენდნენ კომუნისტები, 13,3 პროცენტს — კომკავშირელები[2].

დიდ იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას ეწეოდა სოფლად აგრეთვე ამიერკავკასიის კომკავშირი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეობას 1929 წლის პურის დამზადების კამპანიაში და აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები გამოდიოდნენ სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად. თითქმის ყველგან ყალიბდებოდა მსუბუქი კავალერიის ჯგუფები, თვალყურს ადევნებდნენ სასოფლო ყრილობების, ღარიბთა კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებას, ააშკარავებდნენ ცალკეულ მიმალულ კულაკებს, ეხმარებოდნენ პარტიას ღარიბთა ჯგუფების მოწვევაში, უშუალო დახმარებას უწევდნენ შესაბამის ორგანოებს სპეკულაციასთან, თაღლითობასთან და სხვ. ბრძოლაში[3].

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 14, შესან. ერთ. 2739, ფურც. 146.

[2] ЗСФСР в цифрах, стр. VI.

[3] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 3463, ფურც. 14.

სულ უფრო აფართოვებდნენ თავიანთ საშეფო მუშაობას სოფლად პროფესიული ორგანიზაციები. სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობისათვის მუშათა ბრიგადების და ჯგუფების გაგზავნა სოფლად უკვე 1928 წელს მასობრივ მოვლენად იქცა აზერბაიჯანში. „აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის მიერ მუშათა ჯგუფების გაგზავნა მაზრებში აზერბაიჯანული სოფლის მდგომარეობის შესასწავლად და იქ სამუშაოდ, — აღნიშნავდა გაზეთი „პრავდა" 1928 წლის ნოემბერში, — წარმოადგენს უაღრესად ძვირფას თაოსნობას. მუშებმა არსებითი დახმარება გაუწიეს სოფელს კულაკობასთან ბრძოლაში"[1].

კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში 25 ათასი მუშის გაგზავნის თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის დირექტივის შესასრულებლად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა სოფლად გაეგზავნა მუშათა რაზმი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად და, განსაკუთრებით, კოლექტივიზაციისათვის მუშაობის გასაძლიერებლად[2].

ამიერკავკასიის მუშათა კლასმა ენთუზიაზმით მიიღო პარტიის მოწოდება. უკვე 1930 წლის იანვრის შუა რიცხვებისათვის მარტო „ოცდახუთათასელთა" ანგარიშში სოფლად გაიგზავნა 850-მდე მუშა[3].

მუშათა კლასის წარგზავნილები დიდ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში, ახალი კოლმეურნეობების შექმნაში, ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს საზოგადოებრივი წარმოების მოწყობაში, აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწესრიგებაში, კულაკების გამოაშკარავებაში, ახორციელებდნენ მასობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ ზრუნვას იჩენდნენ გლეხობისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. საკოლმეურნეო მოძრაობის გასაჩაღებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხებისათვის საკრედიტო დახმარების გაწევას. უკვე 1927 წელს ამიერკავკასიაში მოქმედებდა 8 სასოფლო-სამეურნეო ბანკი

---

[1] Газ. «Правда» № 266, 16 ноября 1928 г.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 3129, ფურც. 1.

[3] იქვე, შესან. ერთ. 3312, ფურც. 30.

და 9 განყოფილება.[1] ამ ბანკების პირველადი უჯრედები იყო სოფლის საკრედიტო ამხანაგობები, რომელთა რაოდენობა 1928 წლის პირველი აპრილისათვის 332 შეადგენდა[2]. სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ გლეხებისათვის კრედიტის გაცემა წლითიწლობით მატულობდა. მაგალითად, თუ 1925/26 სამეურნეო წელს გლეხებს მიეცათ 11.4 მილიონი მანეთი, 1927/28 სამეურნეო წელს — 20,8 მილიონი მანეთი, აქედან 11,7 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტის სახით[3]. სულ 1924—1928 წლებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მეშვეობით ამიერკავკასიის გლეხებმა მიიღეს 88,8 მილიონი მანეთი[4]. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში გლეხურმა მეურნეობამ სესხად მიიღო საშუალოდ 100 მანეთამდე[5], მაშინ როდესაც გლეხთა ანაბრები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში იმავე პერიოდში არ აღემატებოდა 35 კაპიკს გლეხურ კომლზე[6].

სოფლის მეურნეობის მშრომელებზე საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობას მოწმობდა აგრეთვე ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში გლეხობასა და სახელმწიფოს შორის საერთო ანგარიშსწორების ბალანსები. მაგალითად, 1927/28 სამეურნეო წელს გლეხობის ყველა გადასახდელი სხვადასხვა გადასახადის, სესხებისა და პრემიათა სახით შეადგენდა 47,9 მილიონ მანეთს, ხოლო სახელმწიფოს ხარჯები სოფლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაფინანსებისათვის, საგზაო და კულტურული მშენებლობისათვის და სხვა — თითქმის 72,5 მილიონ მანეთს.[7]

ყოველწლიურად იზრდებოდა აგრეთვე სახელმწიფო აგროტექნიკური დახმარება გლეხობისადმი. მაგალითად, თუ 1923/24 სამეურნეო წელს საქართველოში გლეხებისადმი აგროტექნიკურ დახმარებაზე დაიხარჯა სულ 19,5 ათასი მანეთი, 1926/27 სამეურნეო წელს — უკვე 427,8 ათასი მანეთი.[8] 1927 წელს მარტო მებამბეობის დარგს გაეწია მილიონ მანეთზე მეტი თანხის აგროდახმარება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურ-

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1. შესან. ერთ. 2276, ფურც. 19—22.

2 იქვე, შესან. ერთ. 2041, ფურც. 1.

3 იქვე, ფურც. 50.

4 Журн. «Народное хозяйство Закавказья», 1929, № 9—10, стр. 30.

5 იქვე.

6 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2679, ფურც. 75.

7 საქ. სსრ ცსა, ფ. 804, აღწ. 1, შესან. ერთ. 1845, ფურც. 11.

8 Журн. «Экономический вестник Закавказья», 1928, № 6, стр. 94.

ნეო ტექნიკით დახმარებას. 1928/29 წელს ამიერკავკასიაში იყო 80 ათასი რკინის გუთანი ანუ ერთიორად მეტი, ვიდრე 1913 წელს. და მაინც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა რკინის გუთნებით არ აღემატებოდა 37,1 პროცენტს. ამიერკავკასიის სოფლკავშირის გამოანგარიშებით, ხის კავი რომ მთლიანად შეეცვალათ რკინის გუთნით, სამ წელიწადში საჭირო იყო 191,3 ათასი რკინის გუთნის შეძენა[1].

კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობაში ტრაქტორის წევაზე გადასვლას. 1929 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში ითვლებოდა დაახლოებით 1.200 ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრიდა 13.810 ცხენისძალას[2]. ტრაქტორთა მწვავე ნაკლებობა სერიოზულად აბრკოლებდა კოლექტივიზაციის დაჩქარებას.

20-იანი წლების დამლევისათვის საგრძნობლად გაიზარდა კონტრაქტაციის როგორც სოციალისტური სახელმწიფოსა და გლეხური მეურნეობის კავშირის უმთავრესი საშუალების როლი. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მოსამზადებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონტრაქტაციას ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების დარგში. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კონტრაქტაციის საკითხებს. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სადირექტივო ცირკულარი, რომელიც 1928 წლის თებერვლის დამდეგს დაეგზავნა მხარის პარტიულ ორგანიზაციებს, მათ ავალებდა ფართოდ გამოეყენებინათ კონტრაქტაცია მებამბეობაში, მეთამბაქოეობაში, მეჩაიეობასა და სოფლის მეურნეობის ბევრ სხვა დარგში, ამასთანავე, ერთდროულად მაქსიმალური ზომები მიეღოთ სოფლად საწარმოო პროცესების კოოპერირებისათვის.[3] 1929/30 სამეურნეო წელს კონტრაქტაციამ მოიცვა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მთელი წარმოება და მარცვლეულის ფართობების 20 პროცენტზე მეტი[4].

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანი-

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 804, აღწ. 1, შესან. ერთ. 4055, ფურც. 7—15.

2 მლისფსა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 3122, ფურც. 167.

3 იქვე. შესან. ერთ. 2510, ფურც. 3.

4 Газ. «Заря Востока» № 44, 19 февраля 1930 г.

ზაციების ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობდა იმით, რომ განუხრელად იზრდებოდა კოოპერირების პროცესები. მარტო ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაცია 1929 წლის პირველი ოქტომბრისათვის აერთიანებდა 1.186 ათას კაცს, მათ შორის 601 ათასს სოფლად.[1]

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას. თუ 1926 წლის პირველი ოქტომბრისათვის მან მოიცვა ამიერკავკასიის გლეხური მეურნეობის 22,8 პროცენტი, 1929 წლის პირველი ივლისისათვის უკვე აერთიანებდა მეურნეობათა 57,7 პროცენტს.[2] სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ნიადაგს ამზადებდა კოოპერაციული მოძრაობის უფრო მაღალ საფეხურზე — კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მოსამზადებლად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახულ ღონისძიებათა სისტემაში დიდი ადგილი ეკავა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას. საბჭოთა მეურნეობებს როგორც მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებს, სერიოზული გავლენა უნდა მოეხდინათ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებზე. 1928—1930 წლების მანძილზე საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა ამ მხარეში 61-დან გაიზარდა 110-მდე, ხოლო მათ მიერ დასამუშავებელი სათესი ფართობი — 6,7 ათასი ჰექტარიდან 23,8 ათას ჰექტარამდე[3]. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა საქართველოში. 1928 წელს აქ იყო 37 საბჭოთა მეურნეობა, 1930 წელს—64, მაგრამ 1930 წელს მთლიანად საბჭოთა მეურნეობების წილად ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში მოდიოდა სათესი ფართობი 1 პროცენტი[4], ხოლო ტექნიკური კულტურების ფართობები — 3,2 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობები ამიერკავკასიის რესპუბლიკაში მაშინ ჯერ კიდევ ვერ იყვნენ სანიმუშო მეურნეობანი, რომელთაც შეეძლებოდათ გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესზე.

კოლექტივიზაციის მომზადების პირობებში საგრძნობლად იზრ-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 6, 8 января 1930 г.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 3130, ფურც. 75.

[3] საქ. სსრ ცსა, ფ. 660, აღწ. 1, შესან .ერთ. 4435. ფურც. 9.

[4] იქვე, შესან. ერთ. 383, ფურც. 42.

დებოდა გლეხთა კომიტეტების — გლეხობის მასობრივი ორგანიზაციის როლი. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, როცა გლეხკომები მეტწილად გლეხთა ეკონომიური ურთიერთდახმარების მოწყობის საკითხებზე მუშაობდნენ, ახლა მოწოდებული იყვნენ ხელი შეეწყოთ სოფლის მეურნეობის ძირფესვიანი სოციალისტური გარდაქმნისათვის. გლეხთა კომიტეტების ძირითად ამოცანად, როგორც ნათქვამი იყო საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1928 წლის 19 დეკემბრის დადგენილებაში, უნდა გამხდარიყო ყოველმხრივი ხელისშეწყობა წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის განხორციელებაში, მიწის ერთობლივად დამმუშავებელი სამანქანო ამხანაგობის დაარსებასა და კოლმეურნეობათა განმტკიცებაში. გლეხკომთა განკარგულებაში არსებული მანქანები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები უნდა გამოყენებულიყო პირველყოვლისა სოფლის მეურნეობაში კოლექტიური საწყისების გასაძლიერებლად და წვრილგლეხური მეურნეობისათვის დახმარების გასაწევად.[1]

1928/29 წელს გლეხკომებმა მარტო აზერბაიჯანში ჩამოაყალიბეს 84 კოლმეურნეობა და ბევრი კოოპერაციული გაერთიანება, რაზეც დახარჯეს 50 ათას მანეთზე მეტი[2]. 1927/28 წელს საქართველოს გლეხკომებს ჰქონდათ 200-მდე საწარმოო წამოწყება,[3] გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების დარგში სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე სომხეთის გლეხკომები. 1929 წლის ივლისისათვის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში იყო 3.043 გლეხკომი, რომლებიც აერთიანებდნენ 376 ათას გლეხურ მეურნეობას.[4]

პარტიის XV ყრილობამდე კოლექტიურ მეურნეობათა ყველაზე გავრცელებული ფორმა ამიერკავკასიაში იყო არტელი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამიერკავკასიაში შექმნილ კომუნათა მეტმა წილმა შეწყვიტა არსებობა.[5] 1926 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიაში ითვლებოდა სულ 58 კოლექტიური მეურნეობა, მათ შორის 11 კომუნა, 45 არტელი და 2 ამხანაგობა.[6]

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებებს, უზ-

---

[1] Известия Заккрайкома ВКП(б), 1929, № 1—2, стр. 11.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 3132, ფურც. 234, 235.

[3] იქვე, ფურც. 243.

[4] საქ. სსრ ცსა, ფ. 607, აღწ. 1, შესან. ერთ. 2478, ფურც. 3.

[5] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 2700, ფურც. 211.

[6] საქ. სსრ ცსა, ფ. 617, აღწ. 1, შესან. ერთ. 1134, ფურც. 16.

რუნველყვეს საკოლმეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის სპეციალური რესპუბლიკური ცენტრების შექმნა. 1928 წლის იანვარში საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების პირველმა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოსთან — „სოფლის კავშირთან" შექმნილიყო საკოლმეურნეო სექცია. 1928 წლის სექტემბერში იგი გარდაიქმნა საქართველოს სსრ საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრად. ასეთივე საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრები შეიქმნა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საკოლმეურნეო მშენებლობის რესპუბლიკური ცენტრების შექმნა და ბევრი სხვა ღონისძიების განხორციელება ხელს უწყობდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის დაჩქარებას. 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 ოქტომბრამდე კოლმეურნეობათა რიცხვი ამ მხარეში 131-დან 687-მდე, ანუ თითქმის ერთიხუთად გაიზარდა.[1] საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარი ფორმა იყო სასოფლო-სამეურნეო არტელი. 1928 წლის ივნისში მოწყობილმა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის საკოლმეურნეო სისტემის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ არტელები შეადგენენ ყველა კოლექტიური მეურნეობის 78,9 პროცენტს.[2]

საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპი მატულობდა. 1929 წლის პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში შეიქმნა 506 კოლმეურნეობა, 13 სამანქანო ამხანაგობა და 15 ჯგუფობრივი გაერთიანება.[3] იმავე წლის მეორე ნახევარში კოლმეურნეობებში შევიდა 12 ათასი გლეხური მეურნეობა. სულ 1929 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში 850-დან გაიზარდა 2.500-მდე, ანუ ერთისამად და მეტად.[4]

გარკვევით შეიცვალა საშუალო გლეხობის დამოკიდებულება კოლმეურნეობისადმი. თუ აქამდე საკოლმეურნეო მოძრაობა რჩებოდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა და მოჯამაგირეთა მასების მოძრაობად, ახლა უკვე კოლმეურნეობისაკენ პირი იბრუნა საშუალო გლეხობის ნაწილმაც.

1929 წლის დეკემბრისათვის ამიერკავკასიის კოლმეურნეობებ-

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 804, აღწ. 1, შეს-ნ. ერთ. 2091. ფურც. 7.

2 Журн. «Статистическое обозрение Закавказья», 1929, № 3—4, стр. 99.

3 იქვე, 1930, № 1, გვ. 58, 59.

4 Газ. «Заря Востока» № 14, 17 января 1930 г.

ში გაერთიანებული იყო 45 ათასი გლეხური მეურნეობა. მაგრამ ეს ამ მხარის ყველა გლეხური მეურნეობის მხოლოდ ხუთიოდე პროცენტს შეადგენდა. ამიერკავკასიის ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევის პირობები აქ უფრო ნელა მწიფდებოდა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონში.

სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ამიერკავკასიის მშრომელთა წარმატებით წინსვლის საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ფედერაცია. მის შემადგენლობაში გაერთიანებული ამიერკავკასიის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთობლივად ახორციელებდნენ დიდი ლენინის მითითებას ამიერკავკასიის საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ, წყვეტდნენ ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის საკითხებს.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შემდგომი მუშაობის თაობაზე 1929 წლის 30 ოქტომბერს მიღებულ დირექტივაში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ამოცანები ახალ პირობებში. „ამიერკავკასიის ფედერაციის ორგანოებმა, — ნათქვამი იყო დირექტივაში, — ...თავიანთი ძალ-ღონე ახლანდელ პერიოდში უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ეროვნულ რესპუბლიკებში, მათს ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ და სოციალურ გარდაქმნას“.[1] ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება წამოაყენა განემტკიცებინათ ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზა, განეხორციელებინათ მთელი სამეურნეო მშენებლობის ეფექტიანი ხელმძღვანელობა, განემტკიცებინათ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ამასთან მიენიჭებინათ მისთვის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგებისადმი საკონტროლო-ოპერატიული ფუნქციები, გარდაექმნათ ამიერკავკასიის საგეგმო ორგანოების სისტემა ისე, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები დაეგეგმა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, შესაბამისად შეეცვალათ ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს როლი და შეექმნათ ფედერაციის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სოფ-

---

[1] ЗСФСР на новом этапе. Тифлис, 1929, стр. 53.

ლის მეურნეობის გარდაქმნის ყველა ძირითადი ღონისძიების ხელმძღვანელობისათვის.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ამიერკავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელი როლისასეთი გაძლიერებაერთიანული რესპუბლიკების მიმართ უნდა მიმდინარეობდეს ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ეროვნული რესპუბლიკებისფართოთვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის ერთდროულად გაშლის პირობებში".[1]

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა ფედერაციის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი როლის გადაჭრით გაძლიერება. განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა უნდა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების საქმიანობისადმი „ისე, რომ არამც და არამც არ დაუშვას ფედერალიზმის პრინციპის გადატანა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში".[2]

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე მიუთითა შემდგომ გაეშალათ თვითკრიტიკა, დაეწინაურებინათ ახალი კადრები, გაეძლიერებინათ მასებთან კავშირი, გაემარტივებინათ და გაეიაფებინათ ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო და პარტიული აპარატი.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა მთლიანად და სავსებით შეესაბამებოდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ინტერესებს. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებით შეიარაღებული ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადასაწყვეტად.

---

[1] ЗСФСР на новом этапе. Тифлис, 1929, стр. 54.

[2] იქვე.

თავი მეთორმეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ომთან ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში. საკოლმეურნეო წყობილების შექმნა

(1920—1932 წლები)

1. ბრძოლა კოლექტივიზაციის გაშლისათვის ამიერკავკასიაში. სიძნელეთა და დამახინჯებათა დაძლევა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობა

იმ დროს, როდესაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა უმაგალითოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობა განიცდიდა განსაკუთრებით ძლიერ და ხანგრძლივ ეკონომიურ კრიზისს, რომელმაც ბოლო მოუღო კაპიტალიზმის დროებითს, სტაბილიზაციას. კრიზისმა გამოიწვია წარმოების მკვეთრი დაცემა, დიდად გაზარდა უმუშევართა რიცხვი, უკიდურესად გაამძაფრა წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის. სულ უფრო მწვავე ფორმებს იღებდა გასაღების ახალი ბაზრებისა და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები, რომელთაც ძალა არ შესწევდათ თავი დაეღწიათ კრიზისის გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან, ცდილობდნენ ანტაგონისტური წინააღმდეგობანი გადაეკრათ მსოფლიოს ხელახალი განაწილების გზით. საომარ ისტერიას ყოველმხრივ რომ აჩაღებდნენ, ყველაზე აგრესიული სახელმწიფოები გამალებით ემზადებოდნენ სხვათა მიწების, პირველ

რიგში სუსტად განვითარებული ქვეყნების ვრცელი ტერიტორიების ძალმომრეობით დაპყრობისათვის. 1931 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და ხელთ იგდო მანჯურია. ამის შედეგად შორეულ აღმოსავლეთში წარმოიშვა ომის საშიში კერა.

იმპერიალისტები ვერ ბედავდნენ ომის დაწყებას სსრ კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდნენ შეეფერხებინათ სოციალიზმის მშენებლობა. ისინი ცილს სწამებდნენ საბჭოეთს. ხელს უწყობდნენ მავნებლობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებდნენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ იბრძოდნენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ამავე დროს ითვალისწინებდნენ ომის რეალურ საფრთხეს. ჯეროვან ზომებს იღებდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას — საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების საფუძველს.

სამეურნეო მშენებლობის წარმატებებმა, ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა კლასობრივ ძალთა ახალმა თანაფარდობამ, ეკონომიკაში სოციალისტური სექტორის განმტკიცებამ, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის შემდგომ მიმდინარეობაზე უფრო აქტიური სახელმწიფო ზემოქმედებისათვის ეკონომიურ შესაძლებლობათა გაფართოებამ — ყოველივე ამან საშუალება მისცა პარტიას გადასულიყო მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პოლიტიკაზე.

მრეწველობის მძაფრ ზრდასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში გაიშალა მძლავრი საკოლმეურნეო მოძრაობა. მარცვლეულის მწარმოებელ არაერთ რაიონში (ვოლგისპირეთი, ჩრდილოეთი კავკასია, უკრაინის ველიანი ნაწილი) მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რაც 1929 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, გადაიზარდა მთლიან კოლექტივიზაციად.

„საბჭოთა სოფლის გადასვლა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე მოასწავებდა დიდ რევოლუციას ეკონომიურ ურთიერთობაში, გლეხობის ცხოვრების მთელ წყობაში".[1] ეს უდიდესი რევოლუციური გადატრიალება სოფ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, — იხ. სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 405.

ლად, რაც მოამზადა ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელმა მსვლელობამ, ხორციელდებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის ყოველმხრივი მხარდაჭერითა და მშრომელი გლეხობის ფართო მასების აქტიური მონაწილეობით.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ გლეხობის ძირითადი მასების მტკიცე შემობრუნება სოციალიზმისაკენ, რაც მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობით გამოიხატა, ნიშნავს, „ახალ ისტორიულ ეტაპს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში".[1] პლენუმმა განსაზღვრა საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი ამოცანები: ღარიბ-ღატაკთა და მოჯამაგირეთა ბირთვის შეკავშირება კოლმეურნეობებში; საკოლმეურნეო მოძრაობაში ქალაქის პროლეტარული ელემენტების, სოფლის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ფენების მონაწილეობისა და ხელმძღვანელი გავლენის ყოველმხრივ გაძლიერება; სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება; საკოლმეურნეო მშენებლობაში თვით მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარება; შეუნელებელი და სისტემატური ბრძოლა კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად; საკოლმეურნეო კადრების მომზადების მთელი სისტემის გადაჭრით გარდაქმნა; სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და სხვ.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში საკოლმეურნეო მოძრაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე პლენუმმა აღნიშნა მთლიან კოლექტივიზაციაზე ცალკეული ოლქებისა და მხარეების გადასვლის შესაძლებლობა. ამასთანავე ის ეროვნული რაიონები, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, გამოიყო დამოუკიდებელ ჯგუფად. აქ უახლოეს ამოცანად დასახულ იქნა პირობების მომზადება მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობისათვის.

საფუძვლიანად რომ შეისწავლა საკოლმეურნეო მოძრაობის მიმდინარეობა, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1930 წლის 5 იანვარს მიიღო დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებით დამტკიცდა ლენინუ-

1 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II, გვ. 808.

რი კოოპერაციული გეგმის განხორციელების გადამწყვეტი ეტაპის — სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებაზე გადასვლა. რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ოლქსა და მოკავშირე რესპუბლიკებში პირობების სხვადასხვაობას და კოლექტივიზაციისათვის გლეხების მომზადების არათანაბარ დონეს რომ ითვალისწინებდა, ცენტრალური კომიტეტი აწესებდა კოლექტივიზაციის განხორციელების სხვადასხვა ტემპს და ვადებს. დადგენილებით გათვალისწინებულ კოლექტივიზაციის ტემპებს საფუძვლად დაედო რეალური შესაძლებლობანი და სოფლად არსებული ვითარება. მარცვლეულის მწარმოებელ ისეთ დიდმნიშვნელოვან რაიონებს, როგორიცაა ჩრდილოეთი კავკასია, ქვემო და შუა ვოლგა, კოლექტივიზაცია უნდა დაემთავრებინათ ძირითადად 1930 წლის შემოდგომაზე, ან, ყოველ შემთხვევაში, 1931 წლის გაზაფხულზე მაინც. ამ რაიონებს ჰყავდათ გამოცდილი კადრები, ჰქონდათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ხოლო ჩვენი ქვეყნის დანარჩენ მარცვლეულის მწარმოებელ რაიონებს — უკრაინას, ციმბირის მხარეს, ურალს, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებსა და ყაზახეთის ზოგიერთ რაიონს, კოლექტივიზაცია უნდა დაემთავრებინათ ძირითადად 1931 წლის შემოდგომისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წლის გაზაფხულზე მაინც. დანარჩენი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის, მათ შორის ამიერკავკასიისათვისაც, კოლექტივიზაციის დამთავრების ვადები დადგენილებით არ იყო დაწესებული. ამით საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ნათლად უჩვენა, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებაზე გადასვლა მათთვის ჯერ ნაადრევია. ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტების გამოდევნება.

ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა კოლექტივიზაციის მიმდინარეობა, აგრეთვე გაითვალისწინა მოწინავე კოლმეურნეობათა დადებითი გამოცდილება, და ამის საფუძველზე განსაზღვრა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ფორმა უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რადგან იგი, კომუნებისაგან განსხვავებით, კოლმეურნეთა პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებთან უნარიანად შეხამების საშუალებას იძლევა.

ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზა-

ციებს, ერიდეთ როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ხელოვნური შეფერხების ცდებს, ისე, განსაკუთრებით, ზემოდან პირი რაიმე „დეკრეტირებასო“, „რამაც შეიძლება შექმნას იმის საფრთხე, რომ ნამდვილად სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობათა ორგანიზაციისათვის შეიცვალოს კოლექტივიზაციის თამაშით“.[1]

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალ პირობებში საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპების, ფორმებისა და გზების განსაზღვრაში. პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სათავეში ჩასდგომოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ იმისათვის, რომ „უზრუნველეყოთ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ორგანიზაცია კოლმეურნეობებში“.[2]

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აისახა აგრეთვე პარტიის ახალი პოლიტიკა სოფლის ბურჟუაზიის მიმართ — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მოესპო კულაკობა როგორც კლასი. ამ პოლიტიკის დედაარსი ის იყო, რომ წაერთმია სოციალიზმის დაუძინებელი მტრის — კულაკობისათვის არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროები — მიწით თავისუფლად სარგებლობა, იჯარა, მუშახელის დაქირავების უფლება. პარტიის ახალმა პოლიტიკამ კანონის ძალა მიიღო მას შემდეგ, რაც 1930 წლის 1 თებერვალს გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განმტკიცებისა და კულაკობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება ენიჭებოდათ ჩამოერთმიათ ქონება კულაკებისათვის და გაესაჯლებინათ ისინი.[3]

საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა მოქნილ ტაქტიკას, სოფლის სპეციფიკური თავისებურებებისადმი სწორ მიდგომას. როგორც ვ. ი. ლენინი 1921 წელს მიუთითებდა, ამიერკავკასიაში საჭირო იყო „უფ-

---

[1] სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II, გვ. 869.

[2] იქვე. გვ. 868—869.

[3] Коллективизация сельского хозяйства. Важнейшие постановления Коммунистической партии и Советского правительства. 1927—1935 гг. М., 1957, стр. 267.

რო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე".[1] სოფლის ძველი წყობის დამსხვრევა ამიერკავკასიის პირობებში მოითხოვდა იმ დიდი სიძნელეების გადალახვას, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ მხარის ჯერ კიდევ ბოლომოუღებელ ჩამორჩენილობასთან, ეროვნულ ურთიერთობათა სირთულესთან და ა. შ.

მაგრამ საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აჭ თავისებურებებს საკმაოდ არ ითვალისწინებდა სოფლად მუშაობაში. სუსტი იყო ამიერკავკასიის გლეხობაში კომუნისტური პარტიის იმ პოლიტიკის პროპაგანდა, რომელიც კოლექტივიზაციას ეხებოდა. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებას ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყოველი კომუნისტი როდი იცნობდა. დაშვებული იყო გადახვევები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან.

ყოველივე ამან გამოიწვია სერიოზული შეცდომები და გამრუდებანი პარტიის ხაზის გატარებაში, რაც პირველყოვლისა იმით გამოიხატა, რომ დაირღვა კოლმეურნეობებში გლეხთა შესვლის ნებაყოფლობის ლენინური პრინციპი, კოლექტივიზაციის განხორციელების დროს ცალკეულ შემთხვევებში გლეხობის, განსაკუთრებით საშუალო გლეხობის მიმართ, იყენებდნენ იძულების მეთოდს. ბევრ შემთხვევაში საშუალო გლეხებს გადასახადით ბეგრავდნენ კულაკების თანაბრად და ართმევდნენ საარჩევნო უფლებას. ამის გამო საშუალო გლეხთა ნაწილი, განკულაკების, მძიმე გადასახადების შეწერისა და სხვათა შიშით, კოლმეურნეობაში შედიოდა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

მართალია, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა არაერთი ზომა მიიღეს ამგვარ შეცდომათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამავე დროს აღნიშნეს, საჭიროა დავაჩქარო— საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპი და კულაკობის მასობრივი ლიკვიდაციის განხორციელებაო. ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხარის სოფლის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად მექანიკურად გადაჰქონდათ რუსეთის ფედერაციის იმ მოწინავე მარცვლეულის რაიონების გამოცდილება, რომელთაც საკმაო მატერიალურ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ.. ტ. 32, გვ. 399.

ტექნიკური ბაზა და სხვა ხელსაყრელი პირობები გააჩნდათ მთლიანი კოლექტივიზაციის დაჩქარებით განხორციელებისათვის.

ასე, მაგალითად, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა „საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ" 1929 წლის 12 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნა, რომ უახლოეს თვეებში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში „ახალი კოლმეურნეობების შექმნასთან ერთად (მებამბეობის, მემარცვლეობისა და სხვ.) საჭიროა გამოყენებული იქნეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პრაქტიკით შემოწმებული მასობრივი კოლექტივიზაციის ფორმები, მომიჯნავე სოფლების ჩაბმიდან ცალკეული რაიონებისა და ოკრუგების მთლიან კოლექტივიზაციამდე". გათვალისწინებული იყო მთლიან კოლექტივიზაციას მოეცვა სულ ცოტა 10 რაიონი მაინც (ოთხ-ოთხი აზერბაიჯანსა და საქართველოში და ორი — სომხეთში) და თითო ოკრუგი[1].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა 1930 წლის იანვარში განიხილა საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხი და აიღო კურსი უმოკლეს ვადაში დაემთავრებინა ამ მხარის მთლიანი კოლექტივიზაცია. პლენუმის დადგენილებაში იყო მცდარი მითითებანი იმის შესახებაც, რომ გადასულიყვნენ არა მარტო კულაკობის, არამედ „ახალი ბურჟუაზიის" (ნეპმანების) ლიკვიდაციაზეც, აგრეთვე გაესახლებინათ კულაკობა არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან, არამედ სხვა ადგილებიდანაც.[2]

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა მიზნად დაისახეს აშკარად განუხორციელებელი ამოცანა — დაემთავრებინათ კოლექტივიზაცია რამდენიმე თვეში, ხოლო ცალკეულ რაიონებში — რამდენიმე კვირაში.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის იანვარში მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მაისამდე კოლმეურნეობებში ჩაებათ რესპუბლიკის სულ ცოტა 88 ათასი გლეხური მეურნეობა, მათ შორის 50 ათასი — მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.[3] აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, აზერბაიჯანის საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტ-

---

[1] მლისფა, ფ. 13,აღწ. 1, ნ.წ. III, შესან. ერთ. 2928, ფურც. 165.

[2] Газ. «Заря Востока» № 20, 25 января 1930 г.

[3] მლიაზფა, ფ. 1, აღწ. 74. შესან. ერთ. 298, ფურც. 76.

რმა ადგილობრივ ორგანიზაციებს დირექტივა მისცა მოეხდინათ ერა ბარტო მიწის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წარმოების სხვა ძირითად საშუალებათა განსაზოგადოება, არამედ „ფუტკრის, ცხვრის, თხის, ღორისა და ფრინველისაც“,[1] ხოლო ცალკეული რაიონებისათვის განსაზოგადოების ზუსტი ციფრებიც კი დააწესა, მაგალითად, ნახჭევნის ასს რესპუბლიკისათვის — 40 ათასი ქათმისა.[2] დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს პარტიის სალიანის, კუბის, ყარაბაღის, განჯის, ნახჭევნის საოკრუგო კომიტეტებმა და ბევრმა რაიკომმა.

კოლექტივიზაციის განხორციელების დამახინჯებებს აზერბაიჯანში ამასთანავე აღრმავებდა კულტურული მშენებლობის დარგში და იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთ საკითხში დაშვებული შეცდომები. მიცემულ იქნა მითითებანი ადმინისტრაციული წესით აეკრძალათ ჩადრის, ფაფახის ტარება, ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტები შეეცვალათ ევროპულით, დაეხურათ მეჩეთები. ჯერ კიდევ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის აპრილის პლენუმმა წამოაყენა მცდარი თეზისი იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის კომპარტიას „არ შეუძლია უარი თქვას სოციალისტურ შეტევაზე ისეთი კლასობრივი ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ, როგორიცაა ჩადრი, შარიათი, მეჩეთი და ა. შ.“[3]

მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე მკაცრად დაგმო პარტიის ხაზის ისეთი ვულგარიზაცია როგორც „მემარცხენე“ ავანტიურიზმი პოლიტიკაში, აქა-იქ ავტომატურად ძველ ხაზს ადგენენ, რითაც სოფლის მშრომელთა მასების უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდნენ. ჩადრის, რელიგიურ წეს-ჩვეულებათა და წარსულის სხვა ადათების ადმინისტრაციული წესით აკრძალვის ცდები აპარაშიც იყო.

1930 წლის იანვრის დამდეგს სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზაფხულამდე დამთავრებულიყო კოლექტივიზაცია 11 რაიონში და ამ დროისათვის კოლმეურნეობებში ჩაებათ რესპუბლიკის ყველა გლეხური მეურნეობის 30 პროცენტი. თავის მხრივ საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრმა გადაწყვიტა ამ ვადების კიდევ უფრო შემცირება და თა-

---

1 Газ. «Бакинский рабочий» № 83, 13 апреля 1930 г.

2 VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 262.

3 მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 74, შესან. ერთ. 63, ფურც. 84.

ვის ინსტრუქციაში ხაზგასმით აღნიშნა, თითქოს რესპუბლიკას „გაჩნია ყველა წინაპირობა კოლექტივიზაციის უფრო მაღალი ტემპებისათვის“ და რომ „ამიერიდან აღარაა საჭირო მიწის ერთობლივად დამმუშავებელ ამხანაგობათა ჩამოყალიბება, არამედ უნდა შეიქმნას მხოლოდ არტელები და კომუნები“[1].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1930 წლის იანვარში გაიმართა, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს კოლექტივიზაციის ტემპების ყოველმხრივ დაჩქარების გზი მისცა. პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს სსრ კახეთის, გორისა და თბილისის ოლქებში, ზუგდიდის მაზრაში კოლექტივიზაცია უნდა დამთავრდეს 1930 წელს, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში — თუ 1931 წელს არა, უკიდურეს შემთხვევაში 1932 წლის გაზაფხულისათვის მაინც.[2]

ასეთი აჩქარება სრულიადაც არ შეესაბამებოდა ამიერკავკასიის რეალურ შესაძლებლობებს და გარდუვლად იწვევდა პარტიის ხაზის უხეშ გამრუდებას საკოლმეურნეო მშენებლობაში. მაღალ მაჩვენებლებს გამოდევნებული ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ანგარიშს არ უწევდნენ ამ მხარის თავისებურებებს, გლეხთა მასების განწყობილებასა და სურვილს, კოლმეურნეობებში გლეხების შესვლის ნებაყოფლობის ლენინურ პრინციპს, აგრეთვე პარტიის არაერთგზის მითითებას ამ საკითხზე და ხელოვნურად აჩქარებდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპებს.

1930 წლის 10 თებერვლისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კოლმეურნეობათა რიცხვმა მიაღწია 4 ათასს. მათში ჩაბმული იყო გლეხურ მეურნეობათა 62,7 პროცენტი, ხოლო ცალკეულ ადგილებში — გაცილებით მეტი (მაგალითად, სამხრეთ ოსეთში — 92 პროცენტი).

კლასობრივმა მტერმა დაუყოვნებლივ გამოიყენა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები. ტერორისტულმა აქტებმა, აქტივისტებისათვის სახელის გატეხამ და დემაგოგიამ, კოლმეურნეთა მიმართ შანტაჟმა და დაშინებამ, საზოგადოებრივი დოვლათის დატაცება-გაფუჭებამ და კოლმეურნეობათა წინააღმდეგ კულაკობის ბრძოლის სხვა ფორმებმა სერიოზული ხასიათი მიიღეს. ბევრგან

---

[1] გაზ. „მაჩკალ“ („მხვნელ-მთესველი“), № 63, 1930 წლის 1 იენისი.

[2] Л. Гогоберидзе. Колхозное строительство Грузии. Тифлис, 1930, стр. 72.

(ნახჩევნის ასსრ, აჭარის ასსრ, ნუხა-ზაქათალის ოკრუგი, ვედინის, მარტუნის, დარალაგაზის რაიონები და სხვ.) კულაკთა ხროვის აშკარა შეიარაღებული გამოსვლებიც კი ეწყობოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

შინაური მტრები დაკავშირებული იყვნენ გარეშე მტრებთან. საზღვარგარეთული კონტრრევოლუციური „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი" დივერსიულ ჯგუფებს ქმნიდა ხელსაყრელ მომენტში სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოჭრისათვის.[1]

საგანგაშო სიგნალები რომ მიიღო ადგილებიდან, საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაუდებელი ზომები განახორციელა დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისათვის. 1930 წლის 30 იანვარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მოუვიდა ი. ბ. სტალინის ხელმოწერილი დეპეშა, რომელშიც საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა უზრუნველეყოთ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ გადახრათა აღმოფხვრა და ნახჩევნის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში საშინაო ცხოვრების ნორმალიზაცია.[2]

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი და აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისადმი გაგზავნილ წერილში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლეოდა გამოესწორებინათ „დაშვებული შეცდომები პარტიული ორგანიზაციების ძალებით... არავითარ შემთხვევაში არ შეეცვალათ გლეხობის ფართო მასებში ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა შიშველი ადმინისტრირებითა და კოლექტივიზაციის მაღალი ტემპების გამოდევნებით, გადაჭრით ებრძოლათ პარტიული ხაზის გამრუდებასთან".[3]

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წარმართავდა საკოლმეურნეო მოძრაობის მიმდინარეობას, იღებდა ზომებს კოლექტივიზაციის განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებათა გამოსწორებისათვის.

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 282, 283.

[2] ბლიცა. ფ. 62. აღწ. 1. შესან. ერთ. 3257. ფურც. 6.

[3] Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление. М., 1969, стр. 110.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთ „პრავდის“ 1930 წლის 1 თებერვლის მოწინავე სტატიას, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ ეტაპზე ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში, მათ შორის ნახჩევანისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ლაპარაკიც ზედმეტია მთლიან კოლექტივიზაციასა და კულაკობის ლიკვიდაციაზე, და რეკომენდაციას იძლეოდა ასეთ რაიონებში ძალაში დარჩენილიყო კულაკობის შეზღუდვისა და განდევნის ლოზუნგი.

ამ მითითებათა საფუძველზე უკვე 1 თებერვალს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მითითება მისცა ფედერაციის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს დაუყოვნებლივ გადაესინჯათ კოლექტივიზაციის პრაქტიკა და შეეწყვიტათ კულაკებისა და მათი ოჯახების მასობრივი გასახლება.

6 თებერვალს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება „ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში კოლექტივიზაციის თაობაზე და კულაკობის მიმართ ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე პარტიულ გადაწყვეტილებათა ყველა დამახინჯების დაუყოვნებლივ და გადაჭრით გამოსწორებას ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკების თავისებურებათა გათვალისწინების თვალსაზრისით“.[1] პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლეოდათ „დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ კოლექტივიზაციის ციფრებისა და ფორმალური პროცენტების გამოდევნების პრაქტიკა“, გაეჩაღებინათ დაუნდობელი ბრძოლა „კოლექტივიზაციის თამაშის“, საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან დეკრეტირების წინააღმდეგ და „კოლექტივიზაციის ტემპის განსაზღვრის დროს არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ სსრ კავშირის მოწინავე მარცვლეულის რაიონების (ქვემო ვოლგა, ჩრდილოეთი კავკასია და ა. შ.) გამოცდილების მცდარი მექანიკური გადატანა ამიერკავკასიაში“[2]. დადგენილება მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება დათმობოდა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფას საჭირო წარმოების საშუალებებით, კოლმეურნეობათა სათესლე და განუყოფელი ფონდების შექმნას, აგრონომიული მომსახურების გაუმ-

---

[1] მლისფპა, ფ. 18, აღწ. 1, ნაწ. III, შესან. ერთ. 3129, ფურც. 20.

[2] იქვე.

ჯობესებას, საკოლმეურნეო კადრების შერჩევას, მომზადებასა და დაწინაურებას, პირუტყვის შენარჩუნებას, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცებას, ერთპიროვნულ მეურნეთა შორის მუშაობის შეუფასებლობის აღმოფხვრას. დადგენილება იძლეოდა რჩევას მოსახლეობისათვის მოთმინებით განემარტათ ნაციონალისტურ ტენდენციათა და რელიგიურ ცრურწმენათა მავნეობა, დაუნდობელი ბრძოლა გაეშალათ კულაკობის წინააღმდეგ, ამასთანავე განეხორციელებინათ მისი შეზღუდვის ან ლიკვიდაციის პოლიტიკა სხვადასხვა რაიონებში კოლექტივიზაციის ტემპის კვალობაზე და ა. შ.

მაგრამ კოლექტივიზაციის მაღალი ტემპებით გატაცების ვითარებაში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება ნელა სრულდებოდა. მხოლოდ ზემდგომი პარტიული ორგანოების მტკიცედ ჩარევის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაშვებულ შეცდომათა ენერგიული გამოსწორება.

მთელ რიგ ეროვნულ რესპუბლიკებში კოლექტივიზაციის განხორციელების პარტიის ხაზის სწორად გატარებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1930 წლის 11—12 თებერვალს მოწვეულ თათბირს, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის, შუა აზიის, ყაზახეთის, დაღესტნისა და ბურიატ-მონგოლეთის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ამ თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი აზერბაიჯანში, ბურიატ-მონგოლეთში, დაღესტანში, საქართველოში, სომხეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში კოლექტივიზაციის მიმდინარეობის შესახებ. გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ძირეულ საკითხზე. თათბირმა გააანალიზა ეროვნულ რაიონებში საკოლმეურნეო მშენებლობის და კლასობრივ ძალთა განლაგების თავისებურებანი, განსაზღვრა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების და კულაკობის მიმართ პოლიტიკის ფორმები და მეთოდები[1].

თათბირის მასალების საფუძველზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოამზადა და 1930 წლის 20 თებერვალს მიიღო დადგენილება „კოლექტივიზაციისა და ეკონომიურად ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში კულაკობასთან ბრძოლის შესახებ", რომელიც

---

[1] Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление, стр. 104.

უშუალოდ ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებსაც. დადგენილებაში პარტიამ დასახა იმ ეროვნული რესპუბლიკებისა და რაიონების სოციალისტურ გარდაქმნაში გლეხთა მასების ჩაბმის გზები და მეთოდები, რომლებსაც არ გაუვლიათ კაპიტალიზმის სტადია ან განელეს ეს სტადია, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიური განვითარების დაბალ დონეზე იმყოფებოდნენ. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა პარტიულ ორგანიზაციებს მთავარი ყურადღება დაეთმოთ კოლექტივიზაციის მოსამზადებელი მუშაობის გაწევისათვის, ამასთანავე გაეთვალისწინებინათ ამ რაიონების ეროვნული, ეკონომიური და სხვა თავისებურებანი, დაბეჯითებით აფრთხილებდა, რომ მექანიკურად არ გადმოეტანათ კოლექტივიზაციის ის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც იყენებდნენ რსფს რესპუბლიკის უფრო განვითარებულ რაიონებში. დადგენილება რჩევას იძლეოდა, რომ ყოველი ღონისძიებით დაერაზმათ ღარიბ-ღატაკთა და მოჯამაგირეთა მასები, განემტკიცებინათ საშუალო გლეხთან კავშირი, რაც კოლექტივიზაციის განხორციელების გადამწყვეტი პირობა იყო, გაეტარებინათ კულაკური ელემენტების მიმართ შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკა სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე დავალებათა დაწესების გზით.

ამ დადგენილების საფუძველზე გაზეთი „პრავდა“ მოწინავე სტატიაში „გამოვასწოროთ სოციალისტური მშენებლობის ფრონტი“ წერდა, რომ „ამიერკავკასიის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაიონები (განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა აჭარა, აფხაზეთი, მთიანი საქართველო, ნახჭევნის რესპუბლიკა, აზერბაიჯანისა და სომხეთის დიდი ნაწილი)“[1] განეკუთვნებიან იმ ეროვნულ რაიონებს, სადაც ჯერ არ არის დასმული მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ამოცანა.

კოლექტივიზაციის განხორციელებისას ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინების თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დიდი დახმარება გაუწია სასოფლო-სამეურნეო არტელის დაზუსტებულმა და შევსებულმა სანიმუშო წესდებამ და ი. ბ. სტალინის სტატიამ „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა 1930 წლის 2 მარტს. სტატია განმარტავდა პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლო-

---

[1] Газ. «Правда» № 57, 27 февраля 1930 г.

ბაში, ხაზგასმით აღნიშნავდა მის ნებაყოფლობის პრინციპს, გმობდა გლეხებზე ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს.

მეორე დღეს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს გაუგზავნა მითითებანი განუხრელად ეხელმძღვანელათ ამ დოკუმენტებით. ნაბრძანები იყო დაუყოვნებლივ მოეხსნათ პოსტებიდან ის მუშაკები, რომელთაც გაამრუდეს პარტიის ხაზი, და ფართოდ გამოექვეყნებინათ ეს პრესაში.[1] ამავე დროს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც გააუქმა თავისი „წინანდელი გადაწყვეტილებანი „ახალი ბურჟუაზიის" ლიკვიდაციისა და არამთლიანი კოლექტივიზაციის რაონებში განკულაკების შესახებ".[2]

1930 წლის 6 მარტს გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც საფუძვლიანად იქნა განხილული საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომების მიზეზები და დაისახა ზომები მათი გამოსწორებისათვის.

მიღებულ იქნა დადგენილებანი კულაკურ-ბანდიტური გამოსვლების ლიკვიდაციისათვის ვედიბასარის, დარალაგაზის, ყარაიაზის რაიონებში, ნახჩევნის ასს რესპუბლიკაში და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონში.[3] ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ადგილობრივ კომუნისტებსა და კომკავშირელებს. კულაკურ-ბანდიტურ ხროვათა წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკის დედაქალაქებიდან იგზავნებოდნენ პასუხისმგებელი მუშაკები.

9 მარტს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „კოლექტივიზაციის მიმდინარეობისა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ", სადაც აღნიშნული იყო, რომ „კოლექტივიზაციის მნიშვნელოვანი ზრდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში (განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში) მიღწეულია ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობის, პარტიის ხელმძღვანელობით სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე მათი უფრო ფართოდ გამოყვანის

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. 111, შესან. ერთ. 3129, ფურც. 44.

2 იქვე, შესან. ერთ. 3214, ფურც. 297.

3 იქვე, შესან. ერთ. 3129, ფურც. 40, 64.

საფუძველზე, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების დაძაბული მუშაობისა და სამეურნეო მშენებლობის საკითხებისაკენ მათი მნიშვნელოვანი შემობრუნების პირობებში.[1] დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ ამ მხარის პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა უზრუნველყონ კოლმეურნეობათა სამეურნეო წარმატება, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებზე დაყრდნობით საკადრისი პასუხი გასცენ კულაკობისა და ანტისაბჭოთა ელემენტების ყოველგვარ ცდებს გამოიყენონ საკოლმეურნეო მშენებლობის სიძნელენი კოლექტივიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად."[2] ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების საფუძველზე დაუყოვნებლივ გარდაექმნათ მოუმზადებელი სასოფლო-სამეურნეო არტელები, შეეცვალათ ისინი მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობით, განემტკიცებინათ კოლმეურნეობათა, მათი რაიონული და საოლქო გაერთიანებათა მუდმივი მუშაკების შემადგენლობა, აგრეთვე სოფლად სამუშაოდ მობილიზებული ხელმძღვანელი მუშაკები მიემაგრებინათ კოლმეურნეობებზე, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ „მემარცხენე" გადახრების, „ნებაყოფლობის დარღვევის, ციფრებით თამაშის და იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მოუმზადებელი მეურნეობებისათვის თავს მოეხვიათ გაერთიანების უფრო მაღალი ფორმები (არტელის ნაცვლად კომუნა, მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობის ნაცვლად არტელი და ა. შ.)", რაც იწვევდა „საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის გაწყვეტას. ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებისაგან პარტიის მოწყვეტას..."[3]

მაგრამ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ამ დადგენილებაში არ იყო ღრმად გაანალიზებულ საშუალო გლეხობის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენების მიზეზები, არ იყო მხილებული საკუთარი შეცდომები, დაშვებული ამ მხარეში კოლექტივიზაციისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ

---

[1] მლისფპა. ფ. 13. აღწ. 1, ნაწ. III, შესან. ერთ. 3332, ფურც. 12.

[2] იქვე, ფურც. 13.

[3] იქვე, შესან. ერთ. 3129, ფურც. 59.

დეპეშაში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ზოგადად აღიარა დაშვებული შეცდომები".[1]

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შემდეგ სათანადო დადგენილებანი მიიღეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, მაგრამ ამ დადგენილებებსაც ახასიათებდა ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანება: არ იყო ბოლომდე დაძლეული მთლიანი კოლექტიეიზაციის რაიონების გამოყოფით გატაცება, მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული იმ მეურნეობათა ტიპი, რომლებიც კულაკურს განეკუთვნებოდა.

კოლექტივიზაციის განხორციელების დროს დაშვებულ შეცდომათა აღმოფხვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 14 მარტის დადგენილებამ „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", რომელშიც გამოვლინებული იყო სოფლად პარტიის პოლიტიკის დამახინჯების მიზეზები და მითითებული იყო მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებანი. დადგენილებაში აღინიშნა, რომ პარტიული ხაზის გამრუდება წარმოადგენს „საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის ძ ი რ ი თ ა დ დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ას და ჩვენი კლასობრივი მტრების ა შ კ ა რ ა დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს".[2] ცენტრალური კომიტეტი აკალებდა პარტიულ ორგანიზაციებს შეეწყვიტათ მთელ რიგ ადგილებში შემჩნეული კოლექტივიზაციის იძულებითი მეთოდების გამოყენების მავნე პრაქტიკა, მთელი ყურადღება მიექციათ კოლმეურნეობათა სამეურნეო გაფორმებისა და განმტკიცებისათვის, არ გადამხტარიყვნენ არტელის ფორმიდან კომუნაზე. გადაჭრით აღმოეფხვრათ საშუალო გლეხობის მიმართ დაშვებული შეცდომები, აეკრძალათ ბაზრების გაუქმება და ეკლესიების დახურვა ადმინისტრაციული წესით. პარტია გლეხთა მასებს განუმარტავდა, რომ საკოლმეურნეო გზა — კულაკური ყაბალისაგან, სილატაკისა და უმეცრებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი სწორი გზაა და რომ მხოლოდ ამ გზას მიჰყავს გლეხობა თავისუფალი, ბედნიერი და ნათელი ცხოვრებისაკენ.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიიღო განუხრელ სახელმძღვანელოდ და ახალი, უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა საკოლმეურ-

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. III, შესან. ერთ. 3129, ფურც. 57, 58.

2 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II, გვ. 873.

ნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისათვის. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1930 წლის 10 აპრილს მიიღო სპეციალური დადგენილება ამ მხარეში საკოლმეურნეო მშენებლობის შეცდომების შესახებ, რომელშიაც განსაზღვრული იყო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები პარტიის საკოლმეურნეო პოლიტიკის დამახინჯებათა აღმოფხვრისა და კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში.[1] კოლექტივიზაციის მიმდინარეობა და შედეგები, საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი აპრილში განიხილეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა.[2] კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა მიიღეს კონკრეტული ზომები საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის განუხრელი გატარებისათვის. არაერთი ხელმძღვანელი მუშაკი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გაემგზავრა სოფლად, რათა ადგილობრივ ორგანიზაციებს ოპერატიულად დახმარებოდნენ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა აღმოფხვრეს შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამ მუშაობის დროს იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ იმისათვის, რომ იშლებოდა ხელოვნურად შექმნილი კოლექტიური მეურნეობანი, გლეხთა მეოყევი ნაწილი გადიოდა კოლმეურნეობებიდან. ამის შედეგად კოლექტივიზაციის პროცენტი მნიშვნელოვნად შემცირდა, კოლმეურნეობათა რაოდენობამ კი იკლო. დაახლოებითი მონაცემებით, 1930 წლის შუა ხანებისათვის კოლმეურნეობებში ითვლებოდა ამიერკავკასიის გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 11 პროცენტი[3]. კოლმეურნეობათა რაოდენობა 4 ათასიდან შემცირდა 2,5 ათასამდე[4]. მაგრამ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სისწორეში მტკიცედ დარწმუნებული გლეხთა მასები დარჩნენ კოლმეურნეობებში.

შეცდომის აღმოფხვრამ ხელი შეუწყო ჯანსაღი ვითარების შექმნას ნებაყოფლობის საწყისებზე კოლექტივიზაციის წარმატებით

---

[1] Газ. «Заря Востока» № 94, 11 апреля 1930 г.

[2] მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, შესან. ერთ. 3463, ფურც. 241—246; მლიაზფა, ფ. 1, აღწ. 74, შესან. ერთ. 300, ფურც. 82, 83; გაზ. „ჰორურდაინ პაიასტან“ № 82, 1930 წლის 9 აპრილი და სხვ.

[3] საქ. სსრ ცსა, ფ. 660, აღწ. 1, შესან. ერთ. 2195, ფურც. 1.

[4] მლისფა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. III, შესან .ერთ. 3122, ფურც. 107.

განხორციელებისათვის. როგორიც უნდა ყოფილიყო კოლექტივიზაციის მიმდინარეობაში დაშვებული შეცდომები, რომელთაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდათ, განმსაზღვრელ კრიტერიუმს ისინი კი არ წარმოადგენდნენ, როგორც ამის მტკიცებას ლამობენ ჩვენი მტრები, არამედ ის ჭეშმარიტად დიდი წარმატებანი, რომლებსაც პარტიამ მიაღწია ოქტომბრის რევოლუციის შემდგომდროინდელი ყველაზე ძნელი ამოცანის გადაჭრაში — სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. ამ საქმეში დაშვებული შეცდომები აიხსნებოდა გამოცდილების უქონლობით, აგრეთვე პირველ წარმატებათა გატაცებით. პარტიამ გამოასწორა ეს შეცდომები.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჯეროვანი ზომები მიიღეს კოლმეურნეობათა ყოველმხრივ განმტკიცებისათვის. 1929/30 სამეურნეო წელს სახელმწიფომ კოლმეურნეობებს 500 მილიონი მანეთი კრედიტი მისცა. სახელმწიფოს ხარჯზე სრულდებოდა მიწათმოწყობის ყველა სამუშაო და ხდებოდა საკოლმეურნეო კადრების მომზადება. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ეძლეოდათ მთელი რიგი შეღავათები, კერძოდ, გადასახადებში. ისინი ორი წლით იყვნენ გათავისუფლებული პირუტყვის გადასახადით დაბეგვრისაგან. კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ აგრეთვე ზოგიერთი სახის დავალიანება.

საბჭოთა სახელმწიფომ გააძლიერა კოლმეურნეობათა მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით. დაჩქარებით შენდებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელი ქარხნები.

კოლმეურნეობებისათვის საწარმოო დახმარების გაწევის, სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების გავრცელების, ახალი ტექნიკისა და აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა გამოყენების, მექანიზატორთა კადრების მომზადებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა მეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. ამიერკავკასიაში პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები შეიქმნა 1929—1930 წლებში. სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური დაარსდა საქართველოში 1929 წელს. 1930 წლის დამდეგს აზერბაიჯანში ამოქმედდა ბარდისა და დალმამედლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ხოლო 1930 წლის მარტში — სომხეთში სარდარაბადის მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

ბევრი რამ კეთდებოდა ხელმძღვანელი კადრებითა და სპეცია-

ლისტებით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფისათვის. მობილიზებულ იქნა ცენტრალურ დაწესებულებათა ბევრი მუშაკი და მოწინავე მუშა, დააწინაურეს ადგილობრივი აქტივისტები, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა, ტექნიკუმებისა და სხვადასხვა კურსების ქსელი. 1930 წლის პირველ თვეებში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა სოფლად მუდმივ ან დროებითს სამუშაოზე გაგზავნეს 520 პასუხისმგებელი მუშაკი. 200 აგრონომი და 2 500 მუშა. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოკლევადიან კურსებზე სწავლობდა 1.000 კაცი, ხოლო კოლმეურნეობათა ბუღალტრების, მოანგარიშეების, ვეტფერშლების, მანქანის მძღოლებისა და სხვათა კურსებზე — 50 ათასი კაცი.[1]

კოლმეურნეობათა შექმნასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა მუშათა კლასსა და საშეფო ორგანიზაციებს. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის მოწოდებას კოლმეურნეობათა განმტკიცების მიზნით სოფლად მოწინავე მუშების გაგზავნის შესახებ გამოეხმაურა ბაქოს, თბილისის, ერევნისა და ამიერკავკასიის ფედერაციის სხვა ქალაქების მრავალი სამრეწველო საწარმოს კოლექტივი. იმ რამდენიმე ათას მშრომელთაგან, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეარჩიეს და სოფლად გაგზავნეს 1.226 დაზგის მუშა — „ოცდახუთათასელი" და 750 სხვა მუშა[2].

„ოცდახუთათასელები" წინ უძღოდნენ გლეხთა მასებს. მათ გააჩაღეს გაბედული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ავლენდნენ და ასწორებდნენ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს, ააშკარავებდნენ კულაკურ და სხვა მტრულ ელემენტებს; აძლიერებდნენ კოლმეურნეთა პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, კოლმეურნე გლეხთა მასებიდან ამზადებდნენ ახალ კადრებს, სოფლის მშრომელებს რაზმავდნენ ლენინური პარტიის გარშემო. პროლეტარულ ბაქოდან მუშათა ბრიგადები იგზავნებოდა არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ სომხეთისა და საქართველოს სოფლებშიაც. ასობით მუშათა ბრიგადა და კომკავშირული რაზმი სოფლად იგზავნებოდა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდანაც. მუშათა კლასის წარმომადგენლები ადგილობრივ ორგანიზაციებს სერიოზულ დახმარებას უწევდ-

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. III, შესაბ. ერთ. 3129, ფურც. 59, 60.

[2] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 350.

ნენ პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში.

დაშვებული შეცდომების გამოსწორებამ, პარტიის მრავალმხრივმა მუშაობამ საგრძნობლად განამტკიცა კოლმეურნეობანი და გააძლიერა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკებშიაც.

მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობას რომ აჩაღებდა, პარტია ამავე დროს შეუნელებლად ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. სოციალისტური მრეწველობისა და კოლმეურნეობათა სწრაფმა ზრდამ გააფართოვა სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის ფრონტი. 1929 წლამდე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სერიოზული შეტევა წარმოებდა მეტწილად ქალაქად— მრეწველობასა და ვაჭრობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის არ იყო განსაზოგადოებული. სოციალიზმის გზაზე გლეხთა ძირითადი მასების გადასვლისთანავე კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, გაჩაღდა მთელ ფრონტზე — როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ასეთ ვითარებაში 1930 წლის მაისის დამლეს და ივნისის დამდეგს გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის მორიგი X ყრილობა, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების VII ყრილობები, რომლებმაც შეაჯამეს გაწეული მუშაობის შედეგები და დასახეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების მორიგი ამოცანები.

1930 წლის 5—12 ივნისს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობა. მას ესწრებოდა 328 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ 87 ათასზე მეტ პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენებანი, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის (შ. ზ. ელიავა), სამხარეო საკონტროლო კომისიის (ი. თ. სტურუა) და სარევიზიო კომისიის ანგარიშები და აირჩია ამ მხარის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობა.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცი-

ების საგრძნობი ზრდა, მათი პროლეტარული ბირთვის გაფართოება, პარტიის გენერალური ხაზის გარშემო უფრო მჭიდროდ დარაზმვა, ტროცკიზმის იდეური და ორგანიზაციული განადგურება და მემარჯვენე გადახრის დაძლევა. ეს იყო ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების გიგანტური ტემპების, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში წარმატებათა, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების პერიოდი.

განვლილი ორი წლის მანძილზე კაპიტალურმა დაბანდებებმა ამიერკავკასიის მრეწველობაში შეადგინა 84,5 მილიონი მანეთი, 9 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. კაპიტალურ დაბანდებათა მეტი ნაწილი მოხმარდა წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებას[1]. ამიერკავკასიის მრეწველობის დარგებს შორის თავისი მნიშვნელობით და მიღწეული წარმატებებით პირველი ადგილი ეკავა ბაქოს ნავთობს. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობისათვის ნავთობის მოპოვებამ 44,5 პროცენტით გადააჭარბა 1913 წლის დონეს, ბურღვამ — 128 პროცენტით, ნავთობპროდუქტების გადამუშავებამ — 80 პროცენტით. ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მეოხებით, ნავთობის მრეწველობის ძირითადი პროდუქტების თვითღირებულება 1924/25 სამეურნეო წელთან შედარებით თითო ტონაზე 9 მანეთი და 13 კაპიკიდან შემცირდა 3 მანეთამდე, ხოლო ბურღვაში — თითო გაყვანილ მეტრზე 412 მანეთიდან 157 მანეთამდე. ნავთობპროდუქტების ექსპორტი 1913 წელთან შედარებით სამ-ნახევარჯერ გაიზარდა.[2]

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობამ ნავთობის მრეწველობის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მთელი ყურადღება მიაპყრო მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და მათ წინაშე დასახა საბრძოლო ამოცანა — უზრუნველეყოთ სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების უფრო მაღალი ტემპი, გამოეყენებინათ ყველა არსებული საშუალება და შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით,

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 220.

[2] იქვე, გვ. 57.

რომ ამ მხარეში საჭიროა დაიწყოს დიდი სამუშაოები ელექტრიფიკაციის დარგში[1], სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და წლითიწლობით საგრძნობ წარმატებებს აღწევდნენ სახალხო მეურნეობაში ელექტროენერგიის დანერგვასა და გამოყენებაში.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდუსტრიის სხვადასხვა დარგების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფისათვის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო.

მარტო 1928/29 სამეურნეო წელს სამრეწველო პროდუქციის მატებამ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გაერთიანებულ საწარმოებში შეადგინა 54,3 პროცენტი, ანუ თითქმის 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში[2].

მრეწველობის ზრდასთან ერთად მატულობდა ახალი მუშათა კადრების ნაკადი, საგრძნობლად დიდდებოდა ამიერკავკასიის მუშათა კლასის რიცხვი. წელიწად-ნახევრის მანძილზე მრეწველობას შეემატა 20 ათასი ახალი მუშა[3]. 1930 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის ცენზიან მრეწველობაში დასაქმებული იყო 84,7 ათასი კაცი[4], ხოლო ყველა პროფესიის მუშების რიცხვი 482 ათას აღწევდა[5].

საგრძნობლად ამაღლდა მშრომელთა კეთილდღეობა, მრეწველობაში მთლიანად აღმოიფხვრა უმუშევრობა.

ხაზგასმით რომ აღნიშნა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ განვითარებაში მიღწეული დიდი წარმატებანი, ამ მხარის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობამ ამავე დროს გამოავლინა მუშაობის ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანება. სამრეწველო საწარმოთა ნაწილმა არ შეასრულა კაპიტალურ დაბანდებათა, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების გეგმები. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები იყო ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიციური კადრების სიმ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32. გვ. 400.

[2] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 221.

[3] იქვე.

[4] იქვე. გვ. 332.

[5] Материалы к отчету Закавказского Совета профсоюзов (за 1928 — —1932 гг.), Тифлис, 1932, стр. 88.

ცირე, შეფერხებანი საშენი მასალების მიწოდების საქმეში, ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებანი და ა. შ.

ყრილობამ პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს მოსთხოვა მოეხდინათ მთელი ძალებისა და საშუალებათა მობილიზება საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უმოკლეს ვადაში დაემთავრებინათ ჰიდროელექტროსადგურების დაწყებული მშენებლობა და შესდგომოდნენ ახალი მძლავრი სადგურების აგებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობისათვის.

VI ყრილობამ აღნიშნა, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ფერხდება ტრანსპორტის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა ამაღლდეს რკინიგზის ტრანსპორტის თვისებრივი მაჩვენებლები, უთუოდ შესრულდეს მათი საწარმოო დავალებანი, გაძლიერდეს გზატკეცილების, აგრეთვე რკინიგზების მშენებლობის ტემპი, რომლებსაც ამიერკავკასიის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლისა და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის საკითხებს. შეაჯამა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში მუშაობის შედეგები, ერთხელ კიდევ დაგმო შეცდომები და პარტიული ხაზის გამრუდება საკოლმეურნეო მოძრაობაში.

საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს შრომის მექანიზაციის, სათესი ფართობების გადიდების, მეჩაიეობისა და ნაწილობრივ მეთამბაქოეობის განვითარების დარგში. თუ წინათ სათესი ფართობების ნახევარი მუშავდებოდა პრიმიტიული იარაღებით, ახლა ბევრი მათგანი შეცვლილ იქნა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით. სამი წლის მანძილზე ამიერკავკასიის სოფელმა სახელმწიფოსაგან მიიღო 24 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.[1]

ამასთანავე ყრილობამ აღნიშნა, რომ „ამიერკავკასიის პარტიუ-

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 236.

ლი ორგანიზაციები საკმაო ძალითა და ყურადღებით არ ეკიდებოდნენ სოფლად მუშაობას, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობის განვითარება ყოველად არადამაკმაყოფილებელი ტემპებით წარმოებს"[1].

ყრილობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მათი როლის ასამაღლებლად სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოების როლის ამაღლებას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, გადაჭრით დაგმო საკოლმეურნეო მშენებლობაში საბჭოების მნიშვნელობისა და ადგილის შეუფასებლობის ტენდენციები, რომლებიც ბევრგან გამოვლინდა.

მიღებულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმული იყო, რომ ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით ანტილენინურ დაჯგუფებათა და კონცეფციათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შედეგად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობაში. ტროცკიზმის იდეური და ორგანიზაციული განადგურებისთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა ბრძოლა გააძლიერეს მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ბევრგან გაძლიერდა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების დროს.

VI ყრილობამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა მიღწევები ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში, და პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა მთელი ყურადღება დაეთმოთ ნაკლოვანებათა და არაჯანსაღ მოვლენათა დაძლევისათვის. დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მკვიდრი ეროვნუ-

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 502.

ლი კადრების მომზადებისათვის, ეროვნულ უცირესობათა შორის მუშაობის გაძლიერებისათვის.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის ძირითადი ხაზი სწორად რომ მიიჩნია, ყრილობამ ამავე დროს აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ცალკეული შეცდომები დაუშვა, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაწევაში.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების საქმიანობაში ვლინდებოდა ფედერალიზმის არაჯანსაღი ტენდენციები, როცა ამა თუ იმ რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი პასიურად ეკიდებოდა სხვა რესპუბლიკების მდგომარეობას, ჩქმალავდა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ნაკლოვანებებს სამხარეო პარტიულ ორგანოებში ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს. ეს მოწმობდა პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის სისუსტეს, ხოლო ზოგჯერ იწვევდა შეცდომებს პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა „ვერ უზრუნველყო ამიერკავკასიის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის განმტკიცების თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა მთლიანად და დროულად შესრულება, არ უზრუნველყო ამიერკავკასიაში შინაპარტიული ურთიერთობის ფედერალიზმის ელემენტების სრულად აღმოფხვრის თაობაზე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულება და ვერ დაძლია ეროვნულ კომპარტიათა რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტების წინააღმდეგობა ამ დირექტივის შესრულებისადმი"[1].

VI ყრილობის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების უფრო მჭიდრო შეკავშირებისა და ბრძოლისუნარიანობს შემდგომი ამაღლებისათვის. პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანათა გადასაწყვეტად მათი ძალების მობილიზაციისათვის.

ახლად არჩეულ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ პლენუმზე, რომელიც 1930 წლის 12 ივნისს გაიმართა, არჩეულ

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 503.

იქნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმი. მის შემადგენლობაში შევიდნენ რ. ა. ახუნდოვი, ნ. ფ. გიკალო, შ. ზ. ელიავა, ს. ი. კასიანი, ბ. ვ. ლომინაძე, გ. მ. მუსაბეკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, ა. გ. ყარაევი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. ხანჯიანი და სხვები.

1930 წლის 26 ივნისს — 13 ივლისს მიმდინარეობდა პარტიის XVI ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა.

საკავშირო კპ(ბ) XVI ყრილობამ გადაწყვიტა პარტიის მთელი ძალ-ღონე დაეძაბა, რათა ყოველმხრივ განევითარებინა მძიმე ინდუსტრია, დაეჩქარებინა შავი მეტალურგიის განვითარების ტემპები, უახლოეს ხანს აღმოსავლეთში შეექმნა ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზა — ურალ-კუზბასის კომბინატი. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა ტრანსპორტის, მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარება და რეკონსტრუქცია, საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებათა განმტკიცება, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ორგანიზაცია, მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება, მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, მეცხოველეობის შეუწყნარებელი ჩამორჩენის აღმოფხვრა. ყრილობამ დაავალა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს „შემდგომაც უზრუნველყოს სოციალისტური მშენებლობის საბრძოლო ბოლშევიკური ტემპები, მიაღწიოს ხუთწლედის ოთხ წელიწადში ნამდვილად შესრულებას და განუხრელად გაატაროს კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მთელ საბჭოთა კავშირში"[1].

ყრილობის დადგენილებებში მითითებული იყო, რომ საჭიროა ახალი ტექნიკის ბაზაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია, რაც სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ძირითადი პირობაა. ამასთანავე ხაზგასმით იყო აღნიშნული ხელმძღვანელი სამეურნეო და ტექნიკური კადრების მომზადების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ახლებურად დასვა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების სოციალური დასაყრდენის საკითხი. ყრილობამ გაითვალის-

---

1 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. III, გვ. 27.

წინა სოფლად მომხდარი ძირეული სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი და მიაჩნია, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში მთელი კოლმეურნე გლეხობა გახდა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი და მტკიცე დასაყრდენი.

ყრილობამ განსაზღვრა პროფკავშირთა ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში, ამასთანავე მათ დაუსახა ამოცანა კიდევ უფრო ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, დაერაზმათ მუშათა კლასი სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიამ სოციალისტურ მშენებლობაში წარმატებებს მიაღწია გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების, ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მეოხებით, რომ ტროცკიზმი მთლიანად დაექანა კონტრრევოლუციურ, მენშევიკურ პოზიციებზე. მთავარი საფრთხე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პირობებში იყო მემარჯვენე გადახრა, რომელიც ობიექტურად წარმოადგენდა კულაკობის აგენტურას პარტიაში. ყრილობამ დაადასტურა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილება, რომ მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებანი შეუთავსებელია საკავშირო კპ(ბ) რიგებში ყოფნასთან. მან პარტიის ყურადღება მიაპყრო აგრეთვე ბრძოლას ეროვნულ საკითხში გადახრების წინააღმდეგ — დიდმპყრობელური შოვინიზმის როგორც უმთავრესი საფრთხის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ყრილობამ კომუნისტებს მოუწოდა დაიცვან პარტიის ერთიანობა და ცენტრალურ კომიტეტს დაავალა კვლავაც „ულმობლად ებრძოდეს ყველა ცდას — შეარყიონ და მოშალონ ლენინური პარტიის ფოლადისებური პარტიული დისციპლინა და ერთიანობა“[1].

საკავშირო კპ(ბ) XVI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა მასებში.

---

1 სკკპ ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. III, გვ. 26.

2. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობა მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პერიოდში

მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევა დაბეჯითებით მოითხოვდა პარტიული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, ორგანიზაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნასა და მათი როლის ამაღლებას ახალი ამოცანების შესაბამისად.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული მათი რიგების ზრდაზე, პირველ ყოვლისა მოწინავე მუშების მიღების გზით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პარტიაში მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენელთა მოზიდვას, ხოლო საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებათა კვალობაზე — მოწინავე კოლმეურნეთა ჩაბმასაც.

პარტიული ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის ზრდისა და რეგულირების საკითხები არაერთხელ განუხილავთ საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებსა და სამდივნოთა სხდომებზე[1]. პარტიული რიგების ზრდის რეგულირების საკითხები რომ განიხილა 1930 წლის აპრილში, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა პარტიაში მოწინავე სამრეწველო მუშებისა და მოჯამაგირე ღარიბ გლეხთა მოზიდვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. აგრეთვე აღნიშნა, რომ ერთი წლის მანძილზე პარტიაში მიღებულ გლეხთა საერთო რიცხვში კოლმეურნეები შეადგენენ მხოლოდ 35.9 პროცენტს. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც ამ მხარის პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გადამწყვეტი გარდატეხა მოეხდინათ მუშაობის ამ უბანზე[2].

---

[1] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 1. Справочник партработника Закавказья, вып. I, Тифлис, 1931, стр. 48—52.

[2] Газ. «Заря Востока» № 90, 7 апреля 1930 г.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს პარტიაში მიღების ერთგვარ გაუმჯობესებას. 1930 წელს პარტიაში მიღება ამიერკავკასიაში გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად 1929 წელთან შედარებით (22,7 ათასი კაცი 10 ათასი კაცის ნაცვლად), საწარმოების მუშები და მოჯამაგირეები მიღებული იყო 16,3 ათასი კაცი, ანუ 71,8 პროცენტი[1].

იმის შედეგად, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები მტკიცედ დაადგნენ კოლექტივიზაციის გზას და გააქტიურდა მშრომელი გლეხობის მოწინავე ელემენტების ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, — მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიაში ღარიბ და საშუალო გლეხთა, უმთავრესად კოლმეურნეთა შესვლა.

ამავე დროს რამდენადმე იკლო მუშათა და მოჯამაგირეთა რიცხვმა. მიღებულთა შორის იგი 1929 წლის 84,4 პროცენტიდან 1930 წელს შემცირდა 71,8 პროცენტამდე[2]. ამასთან დაკავშირებით საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა „1930 წელს ამიერკავკასიის პარტორგანიზაციის ზრდის შესახებ“ დადგენილებაში ამოცანად დასახა: მიღწეულ იქნეს მხარის პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობაში პროლეტარული ბირთვის ზრდა იმ გზით, რომ გაძლიერდეს მუშაობა მოწინავე მუშებისა და მუშა ქალების მოსაზიდად პარტიაში, პირველ რიგში სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე (ნავთობი, ლითონი, ტრანსპორტი). „უზრუნველყოფილ იქნეს ზრდის ისეთი ტემპი წარმოების მუშების ხარჯზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მისაღებთა ინდივიდუალურ შერჩევასა და თვისებრივ შემადგენლობას, რომ 1931 წელს წარმოების მუშების რიცხვი ამიერკავკასიის პარტიული

---

[1] Вопросы роста Закавказской организации ВКП(б). (Итоги роста за 1930 год). Тифлис, 1931, стр. 32.

[2] იქვე, გვ. 33.

ორგანიზაციის საერთო შემადგენლობაში იყოს სულ მცირე 50 პროცენტი"[1].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველეყო, რომ 1931 წელს პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში წარმოების მუშათა და მოჯამაგირეთა რიცხვი ყოფილიყო სულ ცოტა 85 პროცენტი; საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს — 80 პროცენტი; სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს — 60 პროცენტი.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების ყურადღება განსაკუთრებით მიაპყრო პარტიული ორგანიზაციების ზრდის შემდგომი გაძლიერების საჭიროებას ამიერკავკასიის მკვიდრ ეროვნებათა მშრომელების ხარჯზე.

პარტიულ ორგანიზაციებს, პირველ რიგში მებამბეობისა და მეცხოველეობის რაიონების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს უნდა უზრუნველეყოთ პარტიის რიგების ზრდა მუშებისა და ღარიბ გლეხთა ხარჯზე და გადაექციათ საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და დიდი კოლმეურნეობები სოფლად პარტიული მუშაობის დასაყრდენ პუნქტებად.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩალეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებისათვის. 1931 წელს 500 რაიონული მუშაკი (ორასი— ორასი აზერბაიჯანსა და საქართველოში, ასი — სომხეთში) გაიგზავნა სოფლად ძირეულ პარტიულ, საბჭოთა, კოოპერაციულ, პროფკავშირულ სამუშაოზე[2].

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა საფუძველზე ამაღლდა მუშათა, სოფლის ღარიბ გლეხთა, კოლმეურნეთა აქტივობა. კიდევ უფრო გაძლიერდა მშრომელთა ფართო მასების ნდობა ბოლშევიკური პარტიისადმი, რაც გამოიხატა პარტიის რიგებისაკენ მათი ახალი ძლიერი ლტოლვით.

---

[1] Вопросы роста Закавказской организации ВКП(б). (Итоги роста за 1930), стр. 34—35.

[2] Справочник партработника Закавказья, вып. II, Тифлис, 1931, стр. 63.

მარტო 1931 წელს ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 45,3 ათასი კაცი, ე. ი. ერთიორად მეტი, ვიდრე 1930 წელს[1]. პარტიის რიგები გაიზარდა სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მუშების, მოჯამაგირეების (28,7 ათასი კაცი), გლეხობის ხარჯზე (13,2 ათასი კაცი: მათ შორის კოლმეურნეები შეადგენდნენ 84,3 პროცენტს). 1932 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ითვლებოდა 141,2 ათასი კომუნისტი და პარტიის წევრობის კანდიდატი[2].

გაიზარდა მუშათა და მშრომელ გლეხთა ხვედრითი წონა პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობაში. თუ 1930 წლის 1 აპრილისათვის პარტიულ ორგანიზაციებში მუშები შეადგენდნენ 63.5 პროცენტს, ხოლო გლეხები — 21,9 პროცენტს, 1932 წლის 1 იანვრისათვის — შესაბამისად 63,8 პროცენტსა და 25.7 პროცენტს. ამ წლებში მოსამსახურეთა ხვედრითი წონა პარტიული ორგანიზაციების რიგებში შემცირდა 14,6-დან 10,5 პროცენტამდე[3].

გარკვეული ცვლილებანი მოხდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ეროვნულ შემადგენლობაშიც. შეიცვალა ამ მხარის მკვიდრ ეროვნებათა მშრომელების წარმომადგენელ კომუნისტთა ხვედრითი წონა: სომეხ კომუნისტთა რიცხვი 26,4-დან 27,9 პროცენტამდე, ქართველ კომუნისტთა — 25,8-დან 23,9 პროცენტამდე, აზერბაიჯანელ კომუნისტთა — 19,6-დან 22.7 პროცენტამდე[4]. ეს მოწმობდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური როლის შემდგომი ამაღლებისათვის, პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობისა და კრისტალური სიწმინდის სულისკვეთებით პარტიული მასების აღზრდისა და მათი აქტიურობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVI საკავშირო პარ-

---

1 Справочник партработника Закавказья, вып. IV, Тифлис, 1932, стр. 27.

2 К VII съезду коммунистических организаций Закавказья. Тифлис, 1934, стр. 9.

3 იქვე, გვ. 194.

4 К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 122; к VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 195.

ტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით 1929—1930 წლებში ჩატარებულ პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა გენერალურ წმენდასა და შემოწმებას, რაც მხარეში დაიწყო 1929 წლის ივნისი—ივლისში[1]. შეიქმნა გამწმენდი კომისია, რომლის შემადგენლობაში იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ორი წევრი ამიერკავკასიიდან. კომისიამ თავდაპირველად მოაწყო ამიერკავკასიის ხელმძღვანელი შემადგენლობის — პარტიული კომიტეტების, საკონტროლო კომისიების წევრთა და სხვათა წმენდა. შემოწმების დროს კრებებს ესწრებოდა 52,1 ათასი კაცი, მათ შორის 21.7 ათასი უპარტიო.[2] ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შემმოწმებელი კომისიების მუშაობაში[3]. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამიერკავკასიის ხელმძღვანელი შემადგენლობა ძირითადად ჯანსაღი იყო, მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

პარტიული რიგების წმენდისა და შემოწმების შედეგად ამიერკავკასიაში პარტიიდან გაირიცხა 7.620 კაცი, ანუ 9 პროცენტი[4]. მაგრამ კომუნისტთა საერთო რაოდენობა ამიერკავკასიაში არ შემცირებულა: წმენდამ და შემოწმებამ ხელი შეუწყო პარტიის რიგებისაკენ მუშებისა და მშრომელ გლეხთა ლტოლვის გაძლიერებას[5].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის რეორგანიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფის საქმეში (საამქროთა, ბრიგადების, უბნების პარტჯგუფებისა და პარტჯგუფების შექმნა).

სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანათა შესაბამისად საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 15 ივლისს მიიღო დადგენილება „ოკრუგების გაუქმების შესახებ", რაც მოიწონა პარტიის XVI ყრილობამ. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო

---

[1] Материалы к отчету ЗККК ВКП(б) — НК РКИ ЗСФСР VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 11.

[2] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 149, 150.

[3] Материалы к отчету ЗККК ВКП(б) — НК РКИ ЗСФСР VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 13.

[4] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 151.

[5] იქვე, გვ. 248.

რაიონის განმტკიცება, რომელიც სოფლად სოციალისტური მშენებლობის ძირითად რგოლს წარმოადგენდა.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების გარდაქმნის საკითხებს მიეძღვნა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმები. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ახალი რაიონული დაყოფა მოხდა 1930 წლის სექტემბერში. ამიერკავკასიაში გაუქმდა ოკრუგები (შექმნილი 1929 წელს) და მაზრები, შეიქმნა 136 რაიონი, მათ შორის აზერბაიჯანში — 63, საქართველოში — 48, სომხეთში — 25.

ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის რაიონებში გადატანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიულ-საბჭოთა აქტივის სოფელთან, მასებთან მიახლოებისათვის, სოფლად პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების, მათ დონეზე პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლების აუცილებლობის შესაბამისად რეორგანიზებულ იქნა ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები. „საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ" ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე 1930 წლის თებერვალში გარდაიქმნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პარტიული აპარატი. გამარტივდა მისი სტრუქტურა. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობას საფუძვლად დაედო ფუნქციური ნიშანი, რაც უზრუნველყოფდა პარტიული მუშაობის ცალკეული დარგებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევას. გაუქმებული იქნა სოფლად მუშაობის განყოფილება და მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილება. სოფლად პარტიული ხელმძღვანელობისა და ქალთა შორის მუშაობის საკითხები ყველა განყოფილების საქმიანობის შემადგენელი ნაწილი გახდა. ორგანიზაციულ-განმანაწილებელი განყოფილების ნაცვლად შეიქმნა ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო და განმანაწილებელი განყოფილებანი. პირველი მათგანი ხელმძღვანელობდა მთელ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, აზოგადებდა პარტიული მშენებლობის გამოცდილებას ადგილებზე, ხოლო მეორე — განაგებდა ადმინისტრაციულ, სამეურნეო

და პროფკავშირული კადრების შერჩევას, მომზადებასა და განაწილებას[1].

იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე აგიტაციის, პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ნაცვლად ორი დამოუკიდებელი განყოფილების — კულტურისა და პროპაგანდის, აგიტაციისა და მასობრივი კამპანიების განყოფილებათა შექმნას. კულტურული მშენებლობის, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, ბეჭდვითი სიტყვის, იდეოლოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და განაწილების საკითხებს განაგებდა კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება. აგიტაციისა და მასობრივი კამპანიების განყოფილების გამგებლობაში იყო საბჭოთა, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანოების გადარჩევების, სადელეგატო კრებების, სოციალისტური შეჯიბრების, სასოფლო-სამეურნეო კამპანიების მოწყობა და სხვა საკითხები.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის აპარატის გარდაქმნასთან დაკავშირებით, თითოეულ განყოფილებას ეკისრებოდა არა მარტო კონკრეტული ხელმძღვანელობა თავისი დარგისადმი, არამედ მისი უზრუნველყოფაც სათანადო კადრებით, მათი შერჩევა, განაწილება და აღზრდა. ყველა ამ ღონისძიების შედეგად საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა და სამდივნომ უფრო უკეთ და ოპერატიულად დაიწყეს მუშაობა. გაძლიერდა მათი კავშირი რესპუბლიკურ და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან.

პარტიული აპარატის გარდაქმნისათვის შესაბამისი ზომები მიიღეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა. დიდ საწარმოებში, სადაც კომუნისტთა რიცხვი 500-ზე ნაკლები არ იყო, შეიქმნა პარტიული კომიტეტები, ხოლო ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 50 ათას კაცს აღემატებოდა — პარტიის საქალაქო კომიტეტები.

მრეწველობაში პარტიული ორგანიზაციების ფუნქციათა გაფართოებასთან დაკავშირებით, ხდებოდა მათი ორგანიზაციული განშტოება-გაშლა. „საამქროსა და ბრიგადაში პარტიული და მასობრივი

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 284—285.

მუშაობის შესახებ" საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 მარტის დადგენილების საფუძველზე მიღებულ იქნა ზომები საწარმოებში პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო მეტად შეესაბამებოდა საწარმოთა სტრუქტურას; საამქროებში ყალიბდებოდა პარტიული უჯრედები, ხოლო ბრიგადებში — პარტიული ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ სწავლობდნენ საწარმოო საკითხებს, თაოსნობდნენ მრავალ წამოწყებას, თავის გარშემო იკრებდნენ უპარტიო აქტივს. სამრეწველო საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელური მოძრაობის გაჩაღებისათვის, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ლოზუნგით „პირით საკოლმეურნეო წარმოებისა და კოლმეურნეებისაკენ!" ხდებოდა პარტიული მუშაობის გარდაქმნა სოფლად. საკოლმეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის საჭირო იყო სოფლის პარტიული უჯრედების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება. მათი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. ოკრუგების გაუქმებისა და მათი ფუნქციების რაიონებისათვის გადაცემის შემდეგ სოფლის პარტიული უჯრედების ორგანიზაციულ სტრუქტურას საფუძვლად დაედო ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპი. ტერიტორიული პარტიული უჯრედების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნა საკოლმეურნეო საწარმოო უჯრედებად. პარტიული უჯრედები შეიქმნა საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. 1930 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში მოქმედებდა 238 საკოლმეურნეო, 24 საბჭოთა მეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის 1.403 სასოფლო ტერიტორიული უჯრედი[1]. ყოფილი ოკრუგების მუშაკებით განამტკიცეს რაიონული რგოლის კადრები. 1931 წლის დამდეგისათვის ოკრუგების მუშაკთა 33 პროცენტი გადაიყვანეს რაიონებში.[2] პარტიული მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში საგრძნობლად გააქტიურდა. მათი პარტიული უჯრედები უფრო ღრმად სწავლობ-

---

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 198.

[2] Газ. «Заря Востока» № 51, 21 февраля 1931 г.

დნენ სამეურნეო და ორგანიზაციულ საკითხებს. საწარმოო უბნებზე, ფერმებსა და ბრიგადებში ყალიბდებოდა პარტიული ჯგუფები, ირჩევდნენ პარტიულ ორგანიზატორებს.

მაგრამ, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება მოწმობდა, უჯრედების ორგანიზატორული საქმიანობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მძაფრ პროცესს. მეტ წილ უჯრედებს ძლიერ დაეტყოთ პარტიული მუშაობის, საკოლმეურნეო წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გამოცდილების უქონლობა.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და სოფლად პარტიული გავლენის შემდგომი გაძლიერებისათვის საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 5 მარტს მიიღო დადგენილება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და დიდი კოლმეურნეობების პარტიული უჯრედების გადაქცევა სოფლად დასაყრდენ პუნქტებად. ამ დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიის ბევრ საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და დიდ კოლმეურნეობაში შეიქმნა ძლიერი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო თავიანთი მუშაობის გამოცდილების გაზიარება სხვა უჯრედებისათვის.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა გახდა სოფლის ცხოვრების ყველა სფეროში პარტიული გავლენის გაფართოება-გაძლიერების გადამწყვეტი პირობა. ამიტომაც აქცევდნენ სოფლის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეთა ხარჯზე თავიანთი რიგების ზრდის საკითხებს. ამ საქმისა და სოფლად პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის 1931 წლის 1—5 ივლისის გაერთიანებულ პლენუმს, რომელმაც სპეციალურად განიხილა სოფლის პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობისა და მათი მორიგი ამოცანების საკითხი[1]. მიღებული ზომების შედეგად სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში წლითიწლობით იზ-

[1] Резолюции 3-го объединенного пленума ЗКК и ЗККК ВКП(б), июль 1931 г., Тифлис, 1931, стр. 24—39.

რდებოდა კომუნისტ კოლმეურნეთა რიცხვი. 1930 წლის 1 აპრილისათვის ისინი შეადგენდნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე კომუნისტთა საერთო რაოდენობის 50,9 პროცენტს[1]. ორი წლის მანძილზე (1930 წლის 1 აპრილიდან 1932 წლის 1 აპრილამდე) საკოლმეურნეო უჯრედების რიცხვი გაიზარდა ერთიოთხად და უფრო მეტად[2].

სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნის დროს ადგილი ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებიდან გადახვევებს. იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და დიდი კოლმეურნეობების უჯრედები გაეხადათ დასაყრდენ პუნქტებად, ისინი ფაქტიურად მეტწილად ქვერაიკომებად გადააქციეს. ეს ერთი მხრივ იწვევდა რაიკომების ხელმძღვანელი როლის შესუსტებას, ხოლო მეორე მხრივ — ძირეული საკოლმეურნეო და სასოფლო უჯრედების გაუპიროვნებას. ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში პარტიული უჯრედები არ იყო შექმნილი. ასე მაგალითად, 1931 წლის 1 ივლისისათვის 200 საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურზე მოდიოდა მხოლოდ 80 პარტუჯრედი[3].

საკოლმეურნეო უჯრედების გარდაქმნა საწარმოო ნიშნის მიხედვით ნელა ხორციელდებოდა. ბევრი სასოფლო უჯრედი სუსტად მუშაობდა. სერიოზული ნაკლოვანებანი იყო სოფლად პარტიული ძალების განაწილებაში.

„სოფლად ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ" 1932 წლის 27 მარტის დადგენილებაში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა ამ საქმეში დაშვებული დარღვევები, მიიღო გადაწყვეტილება, რათა გაუქმებულიყო სასოფლო პარტკომები, სასოფლო პარტკოლექტივები და საკოლმეურნეობათაშორისო პარტკოლექტივები, რომლებიც შექმნილი იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საწინააღმდეგოდ — არა ერთი რომელიმე სოფლის ან კოლმეურნეობის

---

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 10.

[2] იქვე, გვ. 198; журн. «Большевик Закавказья», 1932, № 1, стр. 92, 93; Очерки истории Коммунистической партии Армении, Ереван, 1967, стр. 348.

[3] Резолюции 3-го объединенного пленума ЗКК и ЗККК ВКП(б), июль 1931 г., стр. 26.

უჯრედების, არამედ რამდენიმე სოფლის, სასოფლო საბჭოს ან კოლმეურნეობათა უჯრედების გაერთიანების გზით[1].

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დასახა უჯრედების შექმნა ყველა საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, აგრეთვე კოლმეურნეობებში. მითითებული იყო, რომ იმ სოფლებსა და კოლმეურნეობებში, სადაც სამ კომუნისტზე ნაკლებია, გამოეყოთ პარტორგანიზატორები, რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს უნდა უზრუნველეყოთ პარტიული ძალების სწორი განაწილება სოფლად, კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ხაზით პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დათმობოდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, შრომის რაციონალური ორგანიზაციის, მისი ნაყოფიერების ამაღლების საკითხებს.

პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

ადგილებზე პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სწავლობდა და აზოგადებდა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მრავალი რაიონული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, დახმარებას უწევდა მათ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. ამისათვის იქმნებოდა შემმოწმებელი კომისიები, იმართებოდა თათბირები, პრაქტიკაში ინერგებოდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა გამგზავრება ადგილებზე. მარტო 1930—1931 წლებში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტ-

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. IV, стр. 32.

რალური კომიტეტების ხაზით რაიონებში გაემგზავრა 500-ზე მეტი პასუხისმგებელი მუშაკი[1].

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაითვალისწინა მებამბეობის რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობის სწრაფი ზრდა და 1931 წლის 4 ივნისს მიიღო დადგენილება „მებამბეობის რაიონებში პარტიულ-მასობრივი და კულტურული მუშაობის შესახებ"[2].

პარტიული მუშაკების, განსაკუთრებით სასოფლო კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დააარსა პარტიული აქტივისტების სამხარეო, რესპუბლიკური, სარაიონთაშორისო კურსები, რომლებშიც 1931 წელს ჩაბმული იყო 2 ათასზე მეტი კაცი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1930 წელს[3].

სასოფლო რაიონების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის განმტკიცებისათვის 1931—1932 წლების მანძილზე ამ რაიონებში მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა 1.500-ზე მეტი პარტიული მუშაკი[4]. განსაკუთრებულ ზომებს იღებდნენ ამიერკავკასიის საზღვრისპირა რაიონების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის განმტკიცებისათვის.

კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისადმი ყურადღების გაძლიერების შედეგად, რაიონებში საგრძნობლად შეიცვალა პარტიული კადრების შემადგენლობა. 1932 წელს პარტიის რაიკომების მდივნების რიცხვში მუშები შეადგენდნენ 32,2 პროცენტს, მოსამსახურენი — 59.3 პროცენტს, გლეხები — 8,5 პროცენტს[5].

ძირეულ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი შემადგენლობის გაუმჯობესებამ აამაღლა მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური როლი სოფლად სოციალისტურ მშენებლობაში, მთლიანი კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, კოლმეურნეობათა განმტკიცებაში, სასოფლო-სამეურნეო კამპანიების მოწყობაში, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლაში.

---

[1] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 8; Резолюции 3-го объединенного пленума ЗКК и ЗККК ВКП(б), июль 1931 г., стр. 38.

[2] Справочник партработника Закавказья, вып. I, стр. 62—67.

[3] Справочник партработника Закавказья, вып. II, стр. 60.

[4] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 20.

[5] იქვე, გვ. 18.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მუშაობა კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, მისი 1930 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით პარტიული განათლების ამოცანების შესახებ და მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ კომუნისტთა და უპარტიო აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდის გაძლიერებისათვის, სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებთან პოლიტიკური სწავლების კავშირის განმტკიცებისათვის[1].

1931 წელს დაარსდა პარტიის ისტორიის ამიერკავკასიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებული იყო შეესწავლა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების, მუშათა მოძრაობის, ეროვნულ ურთიერთობათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ძირითადი პრობლემები. ინსტიტუტის ამოცანებში 'მედიოდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენაც. ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა შექმნილიყო ერთიანი პარტარქივი, ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოყალიბებულიყო ხელშემწყობი წრეები, მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო ძველ ბოლშევიკთა, პოლიტკატორღელთა, წითელ პარტიზანთა და სხვა საზოგადოებების განყოფილებებთან.

კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებათა მუშაობის გარდაქმნის თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1932 წლის 17 იანვარს მიღებული დადგენილების შესაბამისად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების ნაცვლად შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი პროპაგანდის, უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების და სხვ. სექტორები[2]. ამიერკავკასიაში პარტიული პროპაგანდის, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების დარგში მუშაობის მოწყობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყვეს ღონისძიებებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო კ. მარქსის გარდაცვალების

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. II, стр. 61.

[2] იქვე. გვ. 159, 160.

50 წლისთავისათვის მზადებასთან. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო ზომები 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის, რესპუბლიკებში არსებული კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად ამოწმებდა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მდგომარეობას.

წლითიწლობით ფართოვდებოდა კომუნისტთა ჩაბმა მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში. თუ 1930/31 სასწაელო წელს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობდა კომუნისტთა 29 პროცენტი, 1931/32 სასწავლო წელს მათი რაოდენობა 47,1 პროცენტამდე გაიზარდა[1].

საგრძნობლად ამაღლდა პროპაგანდისტთა პოლიტიკური და ზოგადი განათლების დონე. კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში ფართოდ იყენებდნენ ლენინის შრომებს, პარტიული ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების მასალებს, პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს ამიერკავკასიის ფედერაციის, ანტილენინური გადახრების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებზე. იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო მშენებლობის, კულტურული რევოლუციისა და სხვა პრობლემებს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობაში უდიდეს როლს ასრულებდნენ ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იღვწოდა, რათა გაეძლიერებინა პარტიული ხელმძღვანელობა იდეოლოგიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნებისადმი, აემაღლებინა მათი როლი სოციალისტურ მშენებლობაში. დიდი ყურადღება ექცეოდა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებისა და გამომცემლობათა მუშაობის გაუმჯობესებას, მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარებას[2]. ამ მოძრაობის გაძლიერებას მხარეში ხელი შეუწყო 1930 წლის ბოლოსა და 1931 წლის დამდეგს გამართულმა მუშგლეხკორთა IV სრულიად საკავშირო თათბირმა და მუშგლეხკორთა მოძრაობის სა-

---

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 13.

[2] Справочник партработника Закавказья, вып. I, Тифлис, 1931, стр. 185—187, 195—202; вып. II, стр. 145—150.

კითხებისადმი მიძღვნილმა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც „პრავდის" რედაქციამ მოიწვია, აგრეთვე თბილისში, ბაქოში, ერევანსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და სოფლებში გამართულმა მუშგლეხკორთა შეკრებებმა და თათბირებმა. 1930 წლის 1 ივნისისათვის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში 22 ათასი მუშგლეხკორი იყო[1].

ბეჭდვითი სიტყვისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ დადებითი გავლენა იქონია მის რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდაზე. თუ 1930 წელს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში ითვლებოდა 49 გაზეთი, 1932 წელს უკვე იყო 243[2]. ეს გაზეთები გამოდიოდა არა მარტო ამ მხარის მკვიდრ ეროვნებათა და რუსულ ენებზე, არამედ — ეროვნულ უმცირესობათა ენებზეც[3].

ძლიერ ვითარდებოდა აგრეთვე ძირეული პრესა რაიონებში, საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 1928 წელს ამიერკავკასიაში პირველად გამოჩნდა საფაბრიკო-საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთები; 1930 წლის დამდეგისათვის ასეთი გაზეთები იყო 8, ხოლო 1932 წელს 82[4]. 1932 წელს მრავალტირაჟიანი გაზეთები პირველად შეიქმნა ამ მხარის 11 საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში[5]. 1929 წლიდან აქ ფართოდ გავრცელდა მასობრივი მუშაობის ისეთი ახალი სახეობაც, როგორიცაა რადიოგაზეთი[6].

ამიერკავკასიაში გაფართოვდა წიგნის გამოცემის საქმეც. თუ 1930 წელს ამიერკავკასიაში გამოცემული წიგნების ტირაჟი 13,6 მილიონ ეგზემპლარს შეადგენდა, 1932 წელს მისი რაოდენობა იყო 19,6 მილიონი[7].

მშრომელთა პოლიტიკურ და ესთეტიკურ აღზრდაში, მათს კულტურულ ზრდაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. წლითიწლობით ფართოვდებოდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი. არსდებოდა

---

[1] Газ. «Заря Востока» № 5, 5 января 1931 г.; № 46, 16 февраля 1931 г.

[2] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 30.

[3] იქვე, გვ. 32.

[4] იქვე, გვ. 31.

[5] იქვე.

[6] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 49, 50.

[7] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 224.

კლუბები. ამიერკავკასიის ხალხთა სულიერ ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა კულტურულ-პოლიტიკური აღზრდის ყველაზე მასობრივი საშუალება — კინო. 1928 წელს ამიერკავკასიაში იყო 473 კინოდანადგარი, ხოლო 1932 წელს — 1.002.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, იგი კვლავ ჩამორჩებოდა ცხოვრების მიერ წამოყენებულ პრაქტიკულ ამოცანებს. დიდი ზიანი მოჰქონდა ჯგუფობრიობის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები საკითხების გადაწყვეტის დროს არც თუ იშვიათად მიმართავდნენ ადმინისტრირების მეთოდებს, არ ითვალისწინებდნენ კრიტიკას ქვემოდან[1].

1930—1931 წლებში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში ამ არანორმალური მოვლენების დასაძლევად, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მათი ერთიანობისა და მონოლითობის უზრუნველყოფისათვის.

ასე მაგალითად, 1930 წლის 3 აგვისტოს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „აზერბაიჯანის საქმეთა შესახებ", რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს შორის „უპრინციპო ჯგუფობრივმა ბრძოლამ მიიღო ბოლშევიკურ პარტიაში ყოვლად დაუშვებელი ხასიათი"[2]. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა რესპუბლიკის კომპარტიას მიეღწია „გადამწყვეტი გარდატეხისათვის მთელი პარტიული და საბჭოთა მუშაობის გაძლიერების მხრივ აზერბაიჯანულ სოფელში და ნავთობის მრეწველობის მაქსიმალური განვითარების საქმეში"[3].

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრა-

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. III, Тифлис. 1932, стр. 64. 65.

[2] Об азербайджанских делах. Баку, 1930, стр. 3.

[3] იქვე, გვ. 4—5.

ლური საკონტროლო კომისიისა და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც 1930 წლის 5 აგვისტოს გაიმართა, მთლიანად მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და მიიღო იგი განუხრელი შესრულებისათვის, განაახლა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შემადგენლობა[1]. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „აზერბაიჯანის საქმეთა შესახებ" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის.

განსაკუთრებით საშიში იყო მაშინ ბ. ვ. ლომინაძის ჯგუფი. ბ. ვ. ლომინაძემ, როგორც საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა, გამოიყენა ამ მხარის პარტიული ორგანიზაციის ნდობა და თავისი მდგომარეობა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ საბრძოლველად.[2] ლომინაძის ანტიპარტიული ხაზი გამოიხატა მისი მომემარცხენო გამოსვლებით. იგი მოითხოვდა კაპიტალური მშენებლობის შეკვეცას ვითომდა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და კოლექტივიზაციის დაუსაბუთებელ დაჩქარებას ამიერკავკასიაში. იგი არღვევდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს.

ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ გამოიჩინა მაღალი ბოლშევიკური სიფხიზლე და პრინციპულობა, დროზე გაილაშქრა ლომინაძის ანტიპარტიული ხაზის წინააღმდეგ, ამასთანავე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობა მისი შეცდომები[3]. 1930 წლის ნოემბერში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების და ცენტრალური საკონტროლო კომისიების გაერთიანებული პლენუმები, რომლებმაც მოისმინეს და განიხილეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ს. მ. კიროვის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

1930 წლის 18—19 ნოემბერს გამართულმა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო

---

[1] Об азербайджанских делах, стр. 6.

[2] Газ. «Заря Востока» № 269, 5 октября 1930 г.; მლისფა, ფ. 1, აღწ. 1, შესაბ. ერთ. 3212, ფურც. 1—9.

[3] С. М. Киров. Под знаменем генеральной линии партии к новым победам социализма. Тифлис. 1930, стр. 40, 41.

კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა განაახლა სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები. აირჩიეს ახალი სამხარეო კომიტეტის ბიურო, რომლის წევრთა შემადგენლობაში შევიდნენ დ. ჭ. ბუნიათზადე, ა. ი. იაკოვლევი, ფ. ე. მახარაძე, გ. მ. მუსაბეკოვი, მ. დ. ორახელაშვილი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. ხანჯიანი და სხვები. სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ლ. ი. ქართველიშვილი.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა (1930 წლის 17—21 დეკემბერი) მკაცრად დაგმო ლომინაძისა და მის მიმდევართა ფრაქციული საქმიანობა, პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა კომუნისტის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, და „მამარცხენე“ ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, მოითხოვა გაშლილიყო მუშაობა სოციალისტური მშენებლობის საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისათვის და ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო ძლიერების განმტკიცების თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებისათვის[1].

თავის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას რომ ავითარებდნენ და სრულყოფდნენ, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავდნენ სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაძლიერებისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა მაშინ საბჭოთა ორგანოების, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების — სოფლად პროლეტარული დიქტატურის ორგანოების განმტკიცებისათვის. ეს აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ კოლექტივიზაციის განხორციელების დროს სასოფლო საბჭოების როლს ხშირად ამცირებდნენ, მათ ყოველთვის საკმარისად როდი იზიდავდნენ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საარსებო საკითხების გადასაწყვეტად.

სასოფლო საბჭოების საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა მშენებლობისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის თათბირის მუშაობაში, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამართა 1930 წლის თებერვალში. ამ თათბირ-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 313, 20 ноября 1930 г.

ზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სასოფლო საბჭოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა ლოზუნგით „პირით კოლმეურნეობებისაკენ"[1]. პარტიული ორგანიზაციები .უკვე უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ სასოფლო საბჭოების განმტკიცებას და მათს გაწმენდას უცხო ელემენტებისაგან, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში ღარიბ და საშუალო გლეხთა ჩაბმას. ამიერკავკასიის სასოფლო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით ამ სამუშაოზე გაიგზავნა მუშათა კლასის ასობით წარმომადგენელი[2].

1930—1931 წლებში მოწყობილმა გადარჩევებმა ხელი შეუწყო საბჭოების მუშაობის გარდაქმნას, მასებში მათი აუტორიტეტის ამაღლებას. ამ საქმეში Მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე 1931 წლის თებერვალში გამართულმა საბჭოების რესპუბლიკურმა ყრილობებმა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის საბჭოების VI ყრილობამ.

ამიერკავკასიის სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულეს სასოფლო საბჭოების კონკურსებმა, რომლებიც ეწყობოდა მთელ საბჭოთა კავშირში. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სასოფლო საბჭოებმა სრულიად საკავშირო კონკურსში 1933 წელს მეორე ადგილი დაიკავეს.

უმჯობესდებოდა საქალაქო საბჭოების მუშაობაც. 1930 წელს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში იყო 85 საქალაქო საბჭო, აქედან 19 — საქართველოში, 13— აზერბაიჯანში და 3— სომხეთში. 10 საქალაქო საბჭო ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი იყო და თავისი ბიუჯეტი ჰქონდა.

ახლადშემოღებულმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამ ბევრად შეუწყო ხელი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას. მხარის ხელმძღვანელი აპარატის გამარტივებისა და ვაიაფების, მასებთან მისი მიახლოების

---

[1] Закавказское совещание по вопросам советского строительства при ЗакЦИКе. 3—5 февраля 1930 г. Стенографический отчет. Тифлис, 1930, стр. 166.

[2] Резолюции 3-го объединенного пленума ЗКК и ЗККК ВКП(б), июль 1931 г., стр. 39; Материалы к отчету ЦК и БК АКП(б) (январь 1932 г.). Баку, 1932, стр. 73.

მომწიფებულ აუცილებლობასთან დაკავშირებით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის VII პლენუმმა 1930 წლის იანვარში სპეციალურად განიხილა ეს საკითხები და შეიმუშავა სახელმწიფო დაწესებულებათა განმტკიცებისა და მათი ხარჯების შემცირების ღონისძიებათა პროგრამა.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გარდაქმნა, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის რეორგანიზაციასა და სრულყოფას.

ფედერაციაში ადრე არსებულმა სამეურნეო მართვის ორგანიზაციულმა ფორმებმა უდიდესი როლი შეასრულა საწარმოო ძალთა აღორძინებაში, სოციალისტური მშენებლობის მომდევნო ეტაპზე ეროვნულ რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივისა და შემოქმედებითი ძალების გაღვივებაში. ამიერკავკასიის შემდგომი დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარება მოითხოვდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის როგორც მთლიანი ეკონომიური რაიონის სამეურნეო ბაზის განმტკიცებას. იმის შედეგად, რომ განცალკევებულ-გაფანტული იყო მრეწველობის ერთგვაროვანი დარგები, რომლებიც, ამასთანავე, შედარებით მცირე რაოდენობის პროდუქციას ამზადებდნენ, დაქსაქსული იყო ხელმძღვანელობა, მაშინ როცა იგრძნობოდა კვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების მწვავე ნაკლებობა, აგრეთვე ბევრი სხვა მიზეზების გამო, ფედერაციის სამრეწველო მშენებლობას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებდა (პარალელიზმი ახალ საწარმოთა მშენებლობაში, მშენებლობის დაქსაქსვა მრავალ ობიექტად და ა. შ.).

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მთავრობამ 1930 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება, რომლითაც მხარის მრეწველობის რამდენიმე დარგი (სამთოქიმიური, ხე-ტყის, საფეიქრო, ენერგეტიკული, სამშენებლო) მიეკუთვნა საერთო სამხარეო (ამიერკავკასიის) დაქვემდებარების საწარმოთა რიცხვს[1]. რეორგანიზაცია შეეხო რესპუბლიკურ და საერთო სამხარეო სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და ზოგიერთი სახალხო კომისარიატის აპარატებს. შეიქმნა სამხარეო მასშტაბის ახალი დაწესებულებანი,

---

[1] Газ. «Заря Востока» № 39, 14 февраля 1930 г.

როგორიც იყო ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის სოფლის კავშირი და სხვ[1].

ინსასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა ახალი და გაუქმდა ბევრი ადრე არსებული სამხარეო დაწესებულება, აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა თითქმის ყველა დანარჩენ დაწესებულებათა სტრუქტურამ. პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი შესაბამისი ორგანოებისათვის ხელმძღვანელი კადრების მომზადებისა და განაწილების საქმეს. საერთო სამხარეო და რესპუბლიკურ სამეურნეო დაწესებულებებში გაიგზავნა გამოცდილი სპეციალისტები[2].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებებისა და დირექტივების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები სამხარეო დაწესებულებათა პარტიული ბირთვის განმტკიცებისა და მათი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. 1930 წლის 1 აპრილისათვის სამხარეო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებს შორის პარტიული ფენა შეადგენდა ამ მუშაკთა მთელი რაოდენობის 19,5 პროცენტს, ხოლო მუშურ-გლეხური ფენა — 23 პროცენტს[3].

დიდი მუშაობა იქნა გაწეული ვაბიუროკრატებული და სოციალურად უცხო ელემენტებისაგან სახელმწიფო დაწესებულებათა გასაწმენდად. 1930 წლის 1 აპრილისათვის ამიერკავკასიის საბჭოთა აპარატიდან გათავისუფლებულ იქნა 800-მდე კაცი[4]. ხელმძღვანელ პოსტებზე დააწინაურეს უნარიანი მუშაკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო სამუშაოზე[5]. მასობრივმა წმენდამ, რომელიც მოეწყო ისეთ პირობებში, როცა სოფლად და ქალაქად ჯერ კიდევ არ იყვნენ ლიკვიდირებული კაპიტალისტური ელემენტები, ხელი შეუწყო მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას სახელმწიფო აპარატის სისტემაში.

---

[1] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 26.

[2] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 27; Социалистическая индустриализация Азербайджана (1926—1932 гг.). Документы и материалы. Баку, 1957, стр. 461.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 11, 12.

[4] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 157.

[5] Материалы к отчету ЦКК—РКИ Азербайджана (июнь 1930—январь 1932 г.). Баку, 1932. стр. 68, 69.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების, მასობრივი კონტროლის მოწყობის საქმეს დიდ დახმარებას უწევდნენ მუშურ-გლეხური ინსპექციის ხელშემწყობი ჯგუფები, რომლებიც შეიქმნა სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული მუშურ-გლეხური ინსპექციების სექციები, საჩივართა ბიუროები და მათი ადგილობრივი საგუშაგოები, მუშათა და მუშგლეხკორთა ბრიგადები, „მსუბუქი კავალერიის" კომკავშირული რაზმები. საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, მისი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას ხელს უწყობდა მასობრივი მუშათა კონტროლის ისეთი ახალი და ქმედითი ფორმაც, როგორიც იყო სამრეწველო საწარმოთა შეფობა სახელმწიფო დაწესებულებებზე.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებდნენ აგრეთვე პროფკავშირების მუშაობის ძირეულ გარდაქმნას. მიღებულ იქნა ზომები, რომელთა მიზანი იყო პროფკავშირული ორგანოების მუშაკთა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, საამქრო კარჩაკეტილობისა და მათს მუშაობაში არსებულ ტრედუნიონისტულ განწყობილებათა აღმოფხვრა, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მუშების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში პროფკავშირთა როლის ამაღლება.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელმაც ხელი შეუწყო მასებში პროფკავშირული მუშაობის გაუმჯობესებას, წარმოადგენდა პროფკავშირის დაწვრილერთეულება, რაც განხორციელდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1931 წლის იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე. 23-ის ნაცვლად შეიქმნა 54 რესპუბლიკური და 15 სამხარეო პროფკავშირი. გამარტივდა პროფკავშირული ორგანოების სტრუქტურა, რამაც საშუალება მისცა მათ უფრო დაახლოებოდნენ წარმოებას, ძირეულ აქტივს, უფრო კონკრეტულად ემუშავათ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საკითხებზე, ღრმად ჩასწვდომოდნენ მუშათა სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებებს.

პროფკავშირული მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებანი იქნა მოპოვებული

პროფკავშირებში მუშების ჩაბმის საქმეში. თუ 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის ამიერკავკასიის პროფკავშირებში ითვლებოდა 494 ათასი წევრი[1], 1932 წლის 1 ივნისისათვის მათმა რაოდენობამ 800 ათასს მიაღწია[2].

ამიერკავკასიის პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებებში სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის განსამტკიცებლად ამიერკავკასიის პროფსაბჭოს ხაზით სოფლად მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა 2 ათასი დაზგის მუშა[3], მათ შორის სასოფლო-სამეურნეო არტელის გასაძლიერებლად — 800-ზე მეტი კაცი[4]. მათ თავი გამოიჩინეს როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ჩინებულმა ორგანიზატორებმა. მასობრივი ხასიათი მიიღო მუშათა საშეფო ბრიგადების სოფლად გაგზავნამ. პროფკავშირები იყვნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებს შორის სამეურნეო ხელშეკრულების დადების ინიციატორები[5]. გარდა ამისა, ამიერკავკასიის პროფკავშირები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ქვეყნის სხვა სასოფლო-სამეურნეო რაიონებსაც. მაგალითად, ბაქოელი მუშები მიეშურებოდნენ საქართველოსა და სომხეთის, აგრეთვე შუა ვოლგის მხარის, ჩრდილოეთ კავკასიის, თათრეთის, დაღესტნისა და სხვა კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

სოციალისტურ მშენებლობაში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწე იყო კომკავშირი. „სამეურნეო მშენებლობაში საკავშირო ალკკ მონაწილეობის შესახებ" საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის დეკემბრის დადგენილებით[6] რომ ხელმძღვანელობდნენ. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობდნენ ფართოდ ჩაებათ ახალგაზრდობა საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მუშაობაში.

ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტმა. რესპუბლიკურმა

---

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 267.

[2] Газ. «Заря Востока» № 142, 20 июня 1932 г.

[3] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 350.

[4] Газ. «Заря Востока» № 196, 24 июля 1930 г.

[5] Журн. «Большевик Закавказья», 1932, № 2—3, стр. 68.

[6] Решения партии и правительства по хозяйственным вопросам, т. 2. М., 1967, стр. 149—152.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირელებსა და ახალგაზრდებში. 1929 წლის ოქტომბერში გამართულმა ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტის IV პლენუმმა აღნიშნა მხარის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ერთგვარი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩაბმისათვის და ხაზი გაუსვა, რომ ბაქოს, თბილისის, კუბის, ლენქორანის, ყარაბაღის, ზანგეზურის, ოზურგეთის, სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში სერიოზული დამახინჯებანი იყო შინაკომკავშირული დემოკრატიის განხორციელებასა და ორგანიზატორულ საქმიანობაში. გულდასმით რომ გააანალიზა მხარის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტმა დაავალა მათ გადაჭრით გარდაექმნათ მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების შესაბამისად, გაეძლიერებინათ ახალგაზრდობის აღზრდა პარტიის გენერალური ხაზისადმი ერთგულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით[1].

1930 წლის დეკემბრის დამლევს გაიმართა ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების რესპუბლიკური ყრილობები. ამ მხარის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალეს ამიერკავკასიის ალკკ VI ყრილობისა და საკავშირო ალკკ IX ყრილობისათვის. 1931 წლის იანვრის დამდეგს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების VI ყრილობა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის კომკავშირი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პარტიის ლენინური გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე გაძლიერდა, გაიზარდა და დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ყრილობამ დაავალა ამიერკავკასიის კომკავშირულ ორგანიზაციებს სათავეში ჩადგომოდნენ მშრომელი ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტივობისა და ენთუზიაზმის მზარდ აღმავლობას, განემტკიცებინათ ძირითადად დამთავრებული შემობრუნება წარმოებისაკენ, მთელი თავიანთი ძალა და ენერგია მოეხმარათ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტური მრეწველობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებით განვითარებისა-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 249—251; 29—31 октября 1929 г.

თვის. გამოსულიყვნენ ახალ წამოწყებათა მოთავეებად და ინიციატორებად სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე[1].

წლითიწლობით იზრდებოდა ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების გავლენა, უმჯობესდებოდა მათი სოციალური შემადგენლობა. მარტო 1930 წლის მანძილზე კომკავშირელთა რაოდენობა ამიერკავკასიაში 208 ათასიდან გადიდდა 262 ათასამდე[2]. კომკავშირში ბევრად გაფართოვდა მუშათა და მოჯამაგირეთა ფენა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში კომკავშირის როლის ამაღლებასა და მისი გავლენის გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი კომკავშირული ორგანოების გადარჩევებმა და კომკავშირული ბილეთების გამოცვლამ, რაც 1931—1932 წლებში მიმდინარეობდა[3]. ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტმა მოუწოდა ყველა კომიტეტსა და უჯრედს, ამიერკავკასიის ყველა კომკავშირელს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ კამპანიებში, უფრო მეტად დაერაზმათ მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასები პარტიის გენერალური ხაზის გარშემო, ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების ღამოაკრებისათვის ბრძოლაში.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელიც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცებას, 1931 წლის 7 აპრილს მიიღო სპეციალური დადგენილება „ძირეული კომკავშირული ორგანოების გადარჩევების შესახებ", რომელიც კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, რაიკომებსა და პარტიულ უჯრედებს აძლევდა უზრუნველეყოთ კონკრეტული დახმარება კომკავშირული ორგანიზაციებისადმი[4]. შეიქმნა პარტიული აპარატის მუშაკთა და პარტიულ აქტივისტთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ კომკავშირული არჩევნების მოწყობაში, შემმოწმებელი კომისიების მუშაობაში, პარტიული ორგანოების მიერ გადარჩევების მიმდინარეობის

---

[1] VI Закавказский съезд комсомольских организаций ЗСФСР. Тифлис, 1931, стр. 111, 113, 114.

[2] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 270; газ. «Заря Востока» № 243, 18 октября 1932 г.

[3] О перевыборах низовых органов комсомола Закавказья. Тифлис, 1931, стр. 14, 15; газ. «Заря Востока» № 243. 18 октября 1932 г.

[4] Справочник партработника Закавказья, вып. 1, стр. 237.

განხილვაში, უზრუნველყოფდნენ მათი შედეგების გაშუქებას პარტიულ პრესაში. პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობამ კომკავშირული ორგანოების გადარჩევებში ჩაიარა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ნიშნით.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კომკავშირის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირელთა იდეურ-თეორიული და კულტურული დონის გამუდმებით ამაღლებას. წლითიწლობით მატულობდა პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმულ კომკავშირელთა რაოდენობა. 1931/32 სასწავლო წელს მეცადინეობდა 121 ათასზე მეტი კომკავშირელი[1]. ამიერკავკასიის კომკავშირი გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა საკავშირო ლაშქრობაში წიგნიერებისათვის, ბრძოლაში საყოველთაო დაწყებითი სწავლების განხორციელებისათვის, სოფლად კულტურულ ლაშქრობებში.[2] ახალგაზრდა ლიტერატორთათვის დახმარების გაწევის, ბოზარდი თაობის პოლიტიკურ და მხატვრულ აღზრდაში მათი როლის ამაღლების მიზნით ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტმა და ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ მოაწყვეს ამ მხარის კომკავშირელ მწერალთა თათბირი[3].

კომკავშირული ორგანიზაციების რიგების იდეურმა და ორგანიზაციულმა განმტკიცებამ აამაღლა მათი როლი სოციალისტურ მშენებლობაში, ხელი შეუწყო ახალგაზრდობის მობილიზებას ხუთწლედის ამოცანათა გადასაწყვეტად. კომკავშირელები სხვებთან ერთად გამოდიოდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად და დამკვრელობის მოთავეებად. 1930 წლის ივნისში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მუშა ახალგაზრდობის 70 პროცენტი[4]. კომკავშირული ბრიგადები გვიჩვენებდნენ ბოლშევიკური ტემპისა და მუშაობის ხარისხის ნიმუშებს. ნავთობის მრეწველობაში კომკავშირულმა ბურღილებმა მიაღწიეს ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. შეასრულეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება დაზგა-თვეში

---

[1] Журн. «Революция и национальности», 1932, № 3, стр. 24.

[2] Газ. «Заря Востока» № 264, 17 ноября 1929 г.; № 237, 3 сентября 1930 г.

[3] Газ. «Заря Востока» № 16, 19 января 1930 г.

[4] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 372.

300 ვეტრი ჩქაროსნული გაყვანის შესახებ[1]. ხუთიდან ოთხ ეახტაზე გადასვლით კომკავშირულმა ბურღილებმა 16 პროცენტით შეამცირეს გაყვანის თვითღირებულება[2]. 1931 წლის 13 დეკემბერს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ნავთობის მრეწველობის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში ბაქოს კომკავშირის მონაწილეობის შესახებ", სადაც აღნიშნული იყო ახალგაზრდა მენავთობეთა მნიშვნელოვანი როლი, რომლებიც გამოიდნენ ნავთობის ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევარში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად და გააჩაღეს მასობრივი მოძრაობა შემხვედრი გეგმისათვის. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოს კომკავშირულ ორგანიზაციას მოუწოდა დაერაზმა მუშა ახალგაზრდობა ნავთობის მრეწველობის წინაშე დასმული ახალი ამოცანების გადასაჭრელად, მოეწყო კომკავშირული ბანებისა და ბურღილების მოწინავე გამოცდილების ჩამორჩენილთათვის გაზიარება, დაეჩქარებინა ტურბსაბურღის დანერგვა, აემაღლებინა წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლები[3].

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომკავშირის მუშაობა სოფლად. ამიერკავკასიის ალკკ სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება საკოლმეურნეო მოძრაობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობაში კომკავშირელთა მონაწილეობის შესახებ. ასობით აქტიური კომკავშირელი, ახალგაზრდა მუშა გაიგზავნა სოფლად საბჭოთა და საკოლმეურნეო სამუშაოზე[4].

რაიონებში, სადაც არ იყო პარტიული უჯრედები, კომკავშირი ასრულებდა კოლმეურნეობათა შექმნისა და განმტკიცების ორგანიზატორის როლს. კომკავშირული ორგანიზაციები წინ მიუძღოდნენ კოლმეურნე ახალგაზრდობას, უჩვენებდნენ დამკვრელური მუშაობისა და შრომითი ენთუზიაზმის მაგალითებს. ალკკ სასოფლო რაიკომები და უჯრედები აწყობდნენ დამკვრელურ დეკადებს საგაზაფხულო თესვისათვის მეურნეობის მზადყოფნის შესამოწმებლად. ლაშქრობებს ბოსაელისათვის, ეხმარებოდნენ წყალმომარაგებაში, თესლის გაწმენდაში, აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო-სამე-

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. 1, стр. 245; там же, вып. III, стр. 154.

[2] Справочник партработника Закавказья, вып. III, стр. 154.

[3] იქვე, გვ. 155—156.

[4] Газ. «Заря Востока» № 263, 16 ноября 1929 г.

ურნეო კამპანიებში. კიდეე უფრო განმტკიცდა დაზგის მუშა და გუთნისდედა კომკავშირელთა კავშირი. განჯის, შამქორის, ლენინაკანის, მარტუნის, ზუგდიდის, მცხეთისა და სხვა რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები უდიდეს დახმარებას უწევდნენ სასოფლო საბჭოებს სამეურნეო და კულტურული საკითხების გადაწყვეტაში[1]. სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციები 1932 წლის ივნისში ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში საფინანსო გეგმის ვადამდე შესასრულებლად კომკავშირული ლაშქრობის უკეთ მოწყობისათვის. კომკავშირული „მსუბუქი კავალერია" უტევდა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე და ხელს უწყობდა სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მუშა და გლეხი ქალების აქტივობაზე და საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწიეს ქალთა მასების ფართოდ ჩაბმისათვის სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

მხარის ქალთა შორის მუშაობის გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა აღმოსავლეთის ქალთა კლუბების, კუთხეებისა და კარვების (ალაჩოყის) მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც 1930 წლის 7—12 მარტს გაიმართა ბაქოში[2]. თათბირის მუშაობის შედეგები რომ შეაჯამა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა აღმოსავლეთში ქალთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება, ქალთა მასებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, მათი ფართოდ ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში[3].

1931 და 1932 წლებში პირველად გაიმართა ქალთა შორის მო-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 94, 22 апреля 1932 г.

[2] Газ. «Правда» № 69, 11 марта 1930 г.

[3] Работа среди женщин Востока. Материалы 2-го Всесоюзного клубного совещания, состоявшегося в Баку в марте 1930 г., М., 1930, стр. 89.

მუშავეთა ამიერკავკასიის პარტიული თათბირები[1]. ამ თათბირებზე მიღებულ და საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ რეზოლუციებში დასახული იყო ქალთა შორის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა მოეზიდათ ქალები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ, გაეუმჯობესებინათ მათი შრომის პირობები წარმოებაში, მოემზადებინათ ქალთა პროლეტარული კადრები სხვადასხვა კურსებზე ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დაეწინაურებინათ ქალები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კოოპერაციულ და სამეურნეო სამუშაოზე, გაეძლიერებინათ ქალთა კლუბების, წითელი კუთხეების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

1932 წელს 1928 წელთან შედარებით ქალთა ხვედრითი წონა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა: სოფლის მეურნეობაში — 4-ჯერ და მეტად, მშენებლობაში — 5-ჯერ, მრეწველობაში და ტრანსპორტზე — თითქმის 2,5-ჯერ[2].

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პარტიის რიგებში მრეწველობის მოწინავე მუშა ქალების, კოლმეურნე და მოჯამაგირე ქალთა მოზიდვას.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში წლითიწლობით მატულობდა ქალთა რიცხვი: 1930 წლის დამდეგისათვის მათი რაოდენობა მხოლოდ 5.124 იყო[3], 1931 წლის დამდეგისათვის — 6.430. ხოლო 1932 წლის ბოლოსათვის — 15.210[4]. ამიერკავკასიის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზრუნავდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე ქალთა დაწინაურებისათვის.

ქალთა შორის დიდ მასობრივ მუშაობას ეწეოდნენ სადელეგატო კრებები, ქალთა საბჭოები, ქალთა კლუბები და წითელი კუთხეები, გლეხ ქალთა ქოხები. სადელეგატო კრებების შემადგენლობაში

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. I, стр. 217—221; вып. III, стр. 180—195.

[2] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 39.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 60.

[4] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 196.

1931/32 წელს არჩეული იყო 18 ათასზე მეტი ქალი, 1932/33 წელს — 70 ათასზე მეტი[1]. 1930 წელს ამიერკავკასიაში 16 ათასი ქალი იყო ქალთა საბჭოების წევრი, თითქმის 14 ათასი ქალი მონაწილეობდა ქალთა კლუბების მუშაობაში[2].

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნამ ახალი ამოცანების შესაბამისად, პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ ამიერკავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყვეს სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, მშრომელთა ძალების მობილიზაციას ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებდნენ ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის.

სოციალისტური მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეამოწმა, თუ როგორ მუშაობდნენ ბაილოვო-ბიბიეიბათის, ტყიბულის, ლენინაკანის, განჯის, სამტრედიის ორგანიზაციები იმისათვის, რომ მოეხდინათ ძალთა მობილიზაცია სამრეწველო საფინანსო გეგმის შესასრულებლად, დამკვრელობის გასაფართოებლად და ა. შ.[3].

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში, მასების შრომითი აქტივობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ 1931 წელს მიღებულმა დადგენილებებმა ნავთობის, ქვანახშირის, მარგანეცისა და სპილენძის მრეწველობაში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და პარტიულ-მასობრივი მუშაობის შესახებ, მშენებლობის პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

ფართოედებოდა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა, დამკვრელთა რიგები. სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ხელი შეუწყო იმან, რომ 1929 წლის დამლევს გაიმართა დამკვრელი ბრი-

---

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 41, 42.

[2] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 58, 59; VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 359.

[3] К VI съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 9.

გადების სრულიად საკავშირო ყრილობა, ამიერკავკასიის დამკვრელთა რესპუბლიკური კონფერენციები და ყრილობები[1], აგრეთვე დამკვრელთა სამხარეო შეკრება 1931 წლის მაისში[2].

ამიერკავკასიის სამრეწველო საწარმოთა მუშები გულმხურვალედ გამოეხმაურნენ წარმოების დამკვრელთა ლენინურ მოწოდებას, რომელიც საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადეს 1930 წლის იანვარში. შეიქმნა ასობით დამკვრელი ბრიგადა, ათობით დამკვრელი საწარმო, რომლებშიც ათასობით მუშა შრომობდა. წარმატებით ხორციელდებოდა ლოზუნგი: „დამკვრელი ბრიგადებიდან დამკვრელი საწარმოებისაკენ". თითქმის 3 ათასი მუშა მონაწილეობდა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და შედეგების შესწავლაში 357 შემმოწმებელ ბრიგადაში და საკონტროლო კომისიაში[3].

ბაქოს მენავთობეთა ლენინის რაიონის დამკვრელები იყვნენ ინიციატორები შეჯიბრებისა ნავთობის ხუთწლედის ორწელიწადნახევარში შესრულებისათვის[4]. ამიერკავკასიის სპილენძმშენის სპეციალისტებმა დამკვრელებად გამოიცხადეს თავი და მოუწოდეს სომხეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს მიებაძათ მათი მაგალითისათვის. დიდი შრომითი აღმაღლობით ჩაება დამკვრელობაში აზნავთობმშენის კოლექტივი[5]. თუ ლენინურ გაწვევამდე ამიერკავკასიაში იყო 15,4 ათასი დამკვრელი, 1930 წლის ივნისისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 99,3 ათას კაცამდე, ე. ი. 6,5-ჯერ და მეტად გადიდდა. ამ მოძრაობის ავანგარდში იყვნენ კომუნისტები და კომკავშირელები. ამ დროისათვის საწარმოების კომუნისტთა 56,3 პროცენტი და კომკავშირელთა 60 პროცენტი ჩაბმული იყო დამკვრელობაში[6].

ამიერკავკასიისა და მოძმე რესპუბლიკების საწარმოთა კოლექტივებს შორის, აგრეთვე მშრომელთა შორისაც გაჩაღდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: „ხუთწლედი — 4 წელი-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 258, 10 ноября 1929 г.; № 259, 12 ноября 1929 г.; № 281, 7 декабря 1929 г.; журнал «Народное хозяйство Закавказья», 1930, № 8, стр. 3.

[2] Газ. «Заря Востока» № 124, 8 мая 1931 г.

[3] Журн. «Народное хозяйство Закавказья», 1930, № 1, стр. 128.

[4] Газ. «Бакинский рабочий» № 17, 21 января 1930 г.

[5] Газ. «Заря Востока». № 42, 17 февраля 1930 г.

[6] Газ. «Заря Востока» № 168, 26 июня 1930 г.

წადში!". მაგალითად, ძორაპესის მშენებლები და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი ჩაებნენ შეჯიბრებაში ლენინგრადის, ხარკოვისა და კიევის ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნების კოლექტივებთან. ჰიათურის მარგანეცის საბადოთა მაღაროელები ეჯიბრებოდნენ ნიკოპოლელ მაღაროელებს. თბილისის დეპოს რ. ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივებმა, ბაქოს ლენინის რაიონის მენავთობეებმა გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი დონბასის არტემის სახელობის შახტის მაღაროელთა, ქარხანა „წითელი აქსაისა" და დონის როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშათა თაოსნობას „საზოგადოებრივი ბუქსირის" ორგანიზაციის შესახებ. ამ თაოსნობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა წარმოების შეფერხებისა და ხარვეზების ლიკვიდაციაში, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებაში, ჩამორჩენილი უბნების დაწინაურებაში, მუშათა კლასის სასახელო ტრადიციებზე მშრომელი ახალგაზრდობის აღზრდაში.

პირველი ხუთწლედის გეგმის დაგვირგვინებისათვის ბრძოლაში დიდი მამობილიზებელი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 3 სექტემბრის მიმართვამ „ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას"[1].

პარტიის საბრძოლო მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის მშრომელები. მან პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. სწრაფად იზრდებოდა დამკვრელთა რიცხვი, კიდევ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. გაიმართა პარტიულ-საწარმოო აქტივები. საწარმოთა კოლექტივების კრებები, რომლებზეც განიხილეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. მისი განხილვის მსვლელობაში ამიერკავკასიის ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის მუშებმა ლენინგრადის კარლ მარქსის სახელობის ქარხნის კოლექტივის მაგალითისამებრ წამოაყენეს საწარმოთა შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმები.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, მხარის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მუშათა მასების შრომითს აღმავლობას, გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობებს. ფართოდ ვრცელდებოდა სოციალისტური შე-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 239, 5 сентября 1930 г.

ჯიბრების ისეთი ახალი ფორმები, როგორიცაა სოციალისტური ურთიერთთავდებობა, საწარმოო დათვალიერებანი, კოლექტივების შრომითი გადაძახილი, საუკეთესო საამქროს, ბრიგადის წოდების მოპოვების კონკურსები და სხვ. დამკვრელის დღეს — 1930 წლის 1 ოქტომბერს — გაიმართა ბაქოს, თბილისის, ერევნის, განჯის, ბათუმისა და ლენინაკანის უდიდესი საწარმოებისა და ახალმშენებლობების საუკეთესო დამკვრელთა ამიერკავკასიის რადიოგადაძახილი[1]. ამ მხარის საწარმოთა მოწინავე კოლექტივები უპატაკებდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამრეწველო-საფინანსო გეგმის რეალიზაციისათვის, საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებს.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის კვალობაზე ამიერკავკასიის მუშათა კლასი სულ უფრო ხშირად იწყებდა სხვადასხვა ახალ თაოსნობებს. ბაქოს მენავთობეთა სურახანის რაიონის მოწინავე მუშების ინიციატივით აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის, საქართველოსა და დაღესტნის მენავთობეებმა დადეს ხელშეკრულება ნავთობის მოპოვების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში სოციალისტური თავდებობის შესახებ[2]. ამიერკავკასიის მუშები უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ტულის, მარიუპოლისა და სხვა ქალაქების მსხვილ საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობებს, რომლებმაც წამოაყენეს სოციალისტური შრომის ახალი ფორმები— წარმოების ცვლიან-შემხვედრი დაგეგმვა, სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების შექმნა და ა. შ[3].

სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა სულ უფრო მეტად ინერგებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც. 1931 წლის თებერვალ—მარტში გამართულმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კოლმეურნეთა ყრილობებმა ხელი შეუწყვეს კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტივობის. ზრდას, გააძლიერეს ერთპიროვნულ გლეხთა მიზიდვა არტელში[4]. ათასობით კოლმეურნე შედიოდა დამკვრელ ბრიგადებში. 1931 წლის პირველ მაისს კოლმეურნეებმა მოაწყვეს დამკვრელური კომუნისტური შაბათობები მინდვრად.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 265, 1 октября 1930 г.

[2] Социалистическая индустриализация Азербайджана, стр. 321, 322, 327—329.

[3] Газ. «Заря Востока» № 242, 8 сентября 1930 г.; № 124, 8 мая 1931 г.

[4] Газ. «Заря Востока» № 124, 8 мая 1931 г.

სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, რომლებიც უფართოესი მასების შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაციისა და ენთუზიაზმის მძლავრი ბერკეტები, მათი კომუნისტური აღზრდის სკოლა გახდნენ, დამაჯერებლად მოწმობდნენ, რომ უნიადაგო იყო ბურჟუაზიულ წინასწარმეტყველთა და მათ ლაქიათა — ამიერკავკასიელ ნაციონალისტ-ემიგრანტთა მტკიცებანი ხუთწლედის „განუხორციელებლობის" შესახებ, ადასტურებდნენ, რომ ცრუ იყო მათი მონაკორი, თითქოს ბოლშევიკები სოციალისტური შეჯიბრების გზით ნერგავდნენ „კაპიტალისტურ ექსპლოატაციას".

1931 წლის 1 მაისისათვის სოციალისტურმა შეჯიბრებამ ამიერკავკასიაში მოიცვა 200 ათასზე მეტი კაცი — მრეწველობის მუშათა დაახლოებით 70 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა 60 პროცენტი.

8. წარმატებანი ამიერკავკასიაში მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებაში. ბრძოლა სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის. პირველი ხუთწლედის შედეგები ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში

1931 წელი იყო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი აღმავლობის წელი, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებაში წარმატებათა მოპოვების წელი. ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. 1930 წელთან შედარებით, როცა ამიერკავკასიაში გაჩნდნენ პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ბევრად გაიზარდა ტრაქტორების რაოდენობა, ხოლო ტრაქტორის წევის ხვედრითი წონა ამ მხარის სოფლის მეურნეობის საერთო წევის რესურსებში 4,7 პროცენტიდან გადიდდა 10,5 პროცენტამდე[1]. 1932 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიაში იყო 30 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. მათ ჰქონდათ დაახლოებით 2.700 ტრაქტორი, რომლებიც ამუშავებდნენ 200,9 ათას ჰექტარ საკოლმეურნეო მიწას[2].

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР. Тифлис, 1933, стр. 96, 97.

[2] Материалы к отчету правительства ЗСФСР за 1931—1934 гг. Тифлис, 1935, стр. 96, 99.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სახელმწიფოს განკარგულებაში არსებულ მოწინავე ტექნიკას უხამებდნენ კოლმეურნეობათა წარმოების უმარტივეს საშუალებებს და უფრო მაღალ დონეზე აჰყავდათ სოფლის საწარმოო ძალები, აძლიერებდნენ გეგმიანობას საკოლმეურნეო წარმოებაში, სერიოზულად აუმჯობესებდნენ აგროტექნიკას და ადიდებდნენ მოსავლიანობას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები დიდმნიშვნელოვანი როლი გახდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, კოლმეურნეობებში შრომის ახალი დისციპლინის შექმნასა და მისი ნაყოფიერების ამაღლებაში.

წარმატებანი საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული იყო იმის შედეგადაც, რომ გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად, სადაც გაიგზავნა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, აგრეთვე სპეციალისტების ახალი კადრები. გამოწრთობილი ბოლშევიკური კადრებით სოფლის განმტკიცების მიზნით 1932—1933 წლებში ამიერკავკასიის სოფლებში მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა დაახლოებით 12 ათასი კაცი, აქედან საქართველოში — 6 ათასამდე, აზერბაიჯანში—4,5 ათასამდე და სომხეთში — 1,5 ათასამდე კაცი[1].

ამიერკავკასიაში კოლექტივიზაციის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებას, რომელიც 1930 წლის დეკემბერში მიიღეს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ 1931 წელს კოლექტივიზაციას მოეცვა საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში გლეხურ მეურნეობათა ნახევარი მაინც, ძირითადად დამთავრებულიყო კოლექტივიზაცია უკრაინის ველის ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ქვემო ვოლგასა და შუა ვოლგაზე (ვოლგისმიღმა მხარეში), დანარჩენ მარცვლეულის რაიონებში, აგრეთვე მებამბეობისა და მეჭარხლეობის რაიონებში განეხორციელებინათ კოლექტივიზაცია გლეხურ მეურნეობათა ნახევარში მაინც, მოხმარების ზოლში — დაახლოებით მეოთხედში[2].

ეს მითითება საფუძვლად დაედო საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წლის 12 თებერვლის დადგენი-

---

[1] VII съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Тифлис, 1934, стр. 18.

[2] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. III, გვ. 105.

ლებას „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“ და ამიერკავკასიის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ კოლექტივიზაციის საქმეში „მემარცხენე“ შეცდომებისა და პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის დროს „ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს მიეზიდათ კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო ერთპიროვნულ გლეხთა ახალი ნაკადი“[1].

აღასთანავე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა არაერთი სერიოზული ნაკლოვანება კოლმეურნეობათა განვითარებასა და ორგანიზაციაში, რომლებიც ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია პარტიის ხაზის „მემარცხენე“ დამახინჯების შემდეგ დაადგა მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკით ამ შეცდომების გამოსწორების გზას, რაც კოლმეურნეობებში ახალი ნაკადის მოზიდვის ნამდვილ ორგანიზაციაზე უარის თქმას ნიშნავდა. ბევრ რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცებას. „ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობაში, — ნაოქვამი იყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებაში, — დიდი დეფექტია ის, რომ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებს ვერ ვუკავშირებთ ღონისძიებებს, რომელთაც პარტია ახორციელებს სოფლად, კოლმეურნეობებში ახალი ნაკადის მოზიდვის ორგანიზაციის ამოცანებს“[2]. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს გამოენახათ კოლმეურნეობებში გლეხთა ჩაბმისათვის მასობრივი მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის დეკემბრის პლენუმისა და საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებანი საბრძოლო პროგრამად მიიღეს და ენერგიულად შეუდგნენ მათს განხორციელებას. ამ მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა ერ-

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1; ნაწ. IV, შესან. ერთ. 3507, ფურც. 21.

[2] იქვე.

თპიროვნულ გლეხთა შორის გააჩაღეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომელშიც აბამდნენ საკოლმეურნეო აქტივს. დაიწყო ამიერკავკასიაში საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აღმავლობა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც მანამდე უპირატესად ღარიბთა მოძრაობას წარმოადგენდა, ახლა ამიერკავკასიაში საშუალო გლეხთა მასობრივი ნებაყოფლობითი მოძრაობაც ხდებოდა.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის 1931 წლის წინასწარი მონახაზები, რომლებიც საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იყო განსაზღვრული, რამდენადმე გადაჭარბებულ იქნა უკვე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში. თუ 1931 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 4.397 კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 1.067 ათასი გლეხური მეურნეობა ანუ მათი 17,8 პროცენტი, იმავე წლის დამლევისათვის 7.883 კოლმეურნეობაში ჩაბმული იყო დაახლოებით 398 ათასი მეურნეობა ანუ 40,4 პროცენტი[1]. 1931 წლის დამლევისათვის კოლექტივიზაციის პროცენტმა აზერბაიჯანში შეადგინა 43, საქართველოში — 38,5 და სომხეთში — 39,3.

ამ დროისათვის საშუალო გლეხობის მეტი ნაწილი საბოლოოდ შემობრუნდა კოლმეურნეობებისაკენ. 1931 წლის 1 ოქტომბრისათვის ამიერკავკასიის ყველა კოლმეურნეთა 42,5 პროცენტს საშუალო გლეხები შეადგენდნენ[2].

ამიერკავკასიის ბევრ რაიონში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა მთლიან კოლექტივიზაციად გადაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კოლექტივიზაცია 1931 წელს ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების რაიონებში. დაწინაურდნენ მებამბეობის რაიონები, სადაც წლის დამლევისათვის კოლექტივიზაციის პროცენტი 59-ს აღწევდა[3]. ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ბევრ რაიონში მთლიანი კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა.

კოლმეურნეობათა რიცხვის ზრდისა და კოლექტივიზაციის პრო-

---

[1] Материалы к отчету правительства ЗСФСР за 1931—1934 гг., Тифлис, 1935, стр. 91.

[2] საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები. შრომების კრებული. ტ. 15, თბილისი, 1967, გვ. 164.

[3] Г. Саров. Колхозы к десятилетию ЗСФСР. Тифлис, 1932, стр. 10.

ცენტის ამაღლებასთან ერთად მიმდინარეობდა კოლმეურნეობათა გამსხვილება. 1931 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიაში ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 38 მეურნეობა, ერთი წლის შემდეგ კი — 51 მეურნეობა[1].

საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ფორმა ამიერკავკასიაში იყო სასოფლო-სამეურნეო არტელები, რომლებიც ყველა კოლექტიური მეურნეობის საერთო რიცხვის 90 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ.

კოლექტივიზაციის წარმატებანი ამიერკავკასიაში ამ წლების მანძილზე მოპოვებულ იქნა სოფლად გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში კულაკობა უწინდებურად გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციას. 1931 წელს კულაკები ამიერკავკასიაში ახდენდნენ ტერორისტულ აქტებს საკოლმეურნეო წყობილების ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ეწეოდნენ მავნებლობას სოფლის მეურნეობაში. ამავე დროს საშუალო გლეხთა გადაკრით მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ საშუალებას არ აძლევდა კულაკებს მოეწყოთ ფართო ანტისაბჭოური და ანტისაკოლმეურნეო გამოსვლები. კულაკობა თანდათანობით იზოლირებული აღმოჩნდა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებისაგან.

კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის რომ იბრძოდნენ, ამიერკავკასიის კომუნისტები გაბედულად ამხილებდნენ კულაკებს, რაზმავდნენ სოფლის მშრომელ მასებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. უკვე 1932 წლის დამლევისათვის ბევრ რაიონში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია მთავრდებოდა, კულაკობა ძირითადად ლიკვიდირებული იყო. მნიშვნელოვნად შეირყა კულაკობის სამეურნეო ძლიერება და შესუსტდა მისი წინააღმდეგობის უნარი ფედერაციის სხვა რაიონებშიც. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის რაიონებისაგან განსხვავებით, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესი მთლიანად ამიერკავკასიის სოფლებში გაჭიანურდა და პირველი ხუთწლედის დამლევისათვის არ დამთავრებულა.

საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მოწინავე რაიონების კოლექტივიზაციის გამოცდილების დანერგვამ. 1931 წლის ზაფხულში საკავშირო კპ(ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო აზერბაიჯანის

[1] Материалы к отчету правительства ЗСФСР за 1931—1934 гг., стр. 91.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებს სოციალისტურ ბუქსირზე აეყვანათ საკოლმეურნეო მშენებლობა აზერბაიჯანში. სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩრდილოეთ კავკასიის 24 მოწინავე რაიონმა, რომელთაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ შეძენილი, იკისრა აზერბაიჯანის მებამბეობის რაიონების შეფობა. 1931 წლის აგვისტოში აზერბაიჯანში გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეთა „საბუქსირო ბრიგადა" 300 კაცის შემადგენლობით. ამავე დროს აზერბაიჯანის 200 კოლმეურნე გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში კოლექტივიზაციის გამოცდილების შესასწავლად. ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეთა შეფობის პოპულარიზაციისათვის 1931 წლის აგვისტოს დამლევს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოში მოაწყო აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეთა გაერთიანებული შეკრება[1]. გაერთიანებული რაიონული შეკრებები გაიმართა აგრეთვე აზერბაიჯანის მებამბეობის რაიონებში.

ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეთა ბრიგადა დაახლოებით სამ თვეს იმყოფებოდა აზერბაიჯანის მებამბეობის რაიონებში და ხელი შეუწყო ბამბის კრეფის კამპანიის წარმატებით ჩატარებას, საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცებასა და განვითარებას. ჩრდილოეთკავკასიელთა ძმური დახმარება სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარების მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენდა.

კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში შეძენილ მოწინავე გამოცდილებას გაცხოველებით უზიარებდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც. 1931 წლის ივნისში გაიმართა ლანჩხუთის, ლაგოდეხის, შამქორისა და კასუმ-ისმაილის რაიონების კოლმეურნეთა შეკრება. ეს რაიონები მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები გახდნენ.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებებს. საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო არტელების გამოცდილებას რომ ემყარებოდა. პლენუმმა ურჩია კოლმეურნეობებს მთელი სამუშაოები ეწარმოებინათ მონარდეობის საფუძველზე, შემოეღოთ შრომის შე-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 200, 30 августа 1931 г.

ფასება შრომადღეებით და შემოსავალი (ნატურალური და ფულადი) გაანაწილებინათ შრომადღეების მიხედვით.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ადგილობრივება პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გაშალეს კოლმეურნეობებში მონარდეობის დანერგვისა და შრომის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის. ამიერკავკასიის კოლმეურნე გლეხობის მოწინავე ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებასა და დისციპლინის განმტკიცებას, აქტიურად დაუჭირა მხარი ამ ღონისძიებებს. 1931 წლის განმავლობაში ამ მხარის ყველა კოლმეურნეობამ შემოიღო მონარდეობა და შრომადღე.

კოლმეურნეობებში შეიქმნა საწარმოო ბრიგადები, რომლებიც მონარდეობის უფრო ფართოდ გამოყენების, შემოსავლის განაწილებაში გათანაბრების ლიკვიდაციის შესაძლებლობას იძლეოდნენ. პარტიული ორგანიზაციები ცდილობდნენ განემტკიცებინათ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და ბრიგადირთა კადრები, ზრუნავდნენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საკოლმეურნეო აქტივის შექმნისა და აღზრდისათვის.

მაგრამ 1931 წელს ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავ გაიმეორეს წინანდელი შეცდომები და გადახრები საკოლმეურნეო მშენებლობაში. 1931 წლის აპრილის დამდეგს „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში ჩნდება გადახრათა ცალკეული ფაქტები.

ამიერკავკასიის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერაციული აპარატების, უწინარეს ყოვლისა ამიერკავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრის, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და კოლმეურნეობათა ცენტრების მუშაობაში დაშვებული იყო პარტიის ხაზის უხეში „მემარცხენე“ დამახინჯებანი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ღარიბ და საშუალო ერთპიროვნულ გლეხთა შორის მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლისა და გულმოდგინე ახსნა-განმარტებითი მუშაობის ნაცვლად მიმართავდნენ ფორმალურ-ბიუროკრატიულ მეთოდებს და საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან შიშველ ადმინისტრირებას („საკონტროლო ციფრების“ შედგენა, რომლებიც განსაზღვრავდნენ, თუ რამდენი მეურნეობა უნდა გაეხადათ კოლექტიური რაიონში, სოფელში;

შეძლებულ-კულაკურ მეურნეობათა გამოვლინების „დაგეგმვა“ და სხვ.)[1].

დაშვებული შეცდომების საბოლოოდ გამოსწორებისა და სოფლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებების განმტკიცების, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შემდგომი გაშლის საქმეში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ, რომელიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო მიიღეს. ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო მნიშვნელოვანი წარმატებები, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა მოიპოვეს სამეურნეო მშენებლობაში, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციის დარგში. ამავე დროს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოავლინა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები, განსაზღვრა მათი ამოცანები ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ეროვნულ კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულია სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხთა საკითხში“[2]. აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები აპიანურებდნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებას, გადაჭრით არ იბრძოდნენ ადგილებზე პარტიის ხაზის გამრუდების წინააღმდეგ. კულაკები და სხვა მტრული ელემენტები სარგებლობდნენ ამ ნაკლოვანებებით და ცდილობდნენ გამოეწვიათ უკმაყოფილება გლეხთა შორის.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შეცდომები სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ვლინდებოდა მეტისმეტი ცენტრალიზაციითაც, რომელიც აბრკოლებდა ეროვნული რესპუბლიკების ინიციატივის გაშლას. ამან ზო-

---

[1] О мероприятиях по реализации постановлений ЦК ВКП (б) от 31 октября 1931 г. Постановление ЗКК ВКП(б) от 10 декабря 1931 г. Тифлис, 1931, стр. 2.

[2] Постановление ЦК ВКП(б) от 31 октября 1931 г., Тифлис, 1932 г. стр. 3.

გიერთ დარგში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანოების გაუპიროვნება.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანა — დაუყოვნებლივ გამოესწორებინათ შეცდომები სოფლად მუშაობაში, ფართოდ გაეშალათ ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ეროვნული რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივა და თვითმოქმედება.

სოციალისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით რეალიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელ და თანამიმდევრულ განხორციელებას. მაგრამ ამიერკავკასიაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტის დროს ჯერ კიდევ იჩენდა თავს როგორც ადგილობრივი ნაციონალიზმის, ისე დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებანი; იყო წარსულის გადმონაშთებიც ამ მხარის მკვიდრ ეროვნებათა ურთიერთობაში, ერთი მხრივ, და მათს ურთიერთობაში ეროვნულ უმცირესობებთან, მეორე მხრივ[1].

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობდა, რომ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული ძნელი, მაგრამ სავსებით შესასრულებელი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ფედერაციის ვითარების თავისებურება, მისი კონკრეტული პირობები, შემოქმედებითად გამოეყენებინათ პრაქტიკაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპები, ადგილებზე პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებისას გამოეჩინათ მაქსიმალური სიფხიზლე და მოქნილობა. სამეურნეო ცხოვრების, კულტურისა და ყოფის თავისებურებანი მოითხოვდნენ პარტიული ხელმძღვანელობის დიფერენცირებულ ფორმებსა და მეთოდებს.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საჭირო იყო: უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარება და ამასთანავე მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებაც; საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება; ტექნიკური და სუბტროპიკული ნარგავების (ბამბა, ციტრუსები, ვაზი, ჩაი) ფართობების გადიდება; მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების არაერთი ღონისძიების

[1] VI съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 277, 278.

განხორციელება; პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება; როგორც მთლიანად ამიერკავკასიის. ისე ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ხელმძღვანელ კადრებში დამკვიდრებული ცალკეულ პირთა გავლენისათვის („ატამანობის" ელემენტები) უპრინციპო ბრძოლის აღმოფხვრა და პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცება.

ამრიგად, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები შეაიარაღა ნათელი, კონკრეტული სამოქმედო პროგრამით. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად დაუსახა უზრუნველეყოთ სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებისადმი, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, ყოველი ღონისძიებით გაეშალათ თითოეული ეროვნული რესპუბლიკის ფართო თვითმოქმედება და სამეურნეო ინიციატივა.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ფართოდ განიხილეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა 1931 წლის დეკემბერში, აგრეთვე აზერბაიჯანის კომპარტიის XI ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობამ და სომხეთის კომპარტიის VIII ყრილობამ, რომლებიც 1931 წლის იანვარში გაიმართა. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს დადგენილება და დასახეს ღონისძიებანი დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, პირველი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ფედერაციის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ აღმავლობასთან ერთად იზრდებოდნენ ეროვნული კადრები, უმჯობესდებოდა მშრომელი მასების კეთილდღეობა და კულტურული დონე. ძლიერდებოდა მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. მტკიცდებოდა ხალხთა მეგობრობა, ძლიერდებოდა პარტიული ორგანიზაციების გავლენა და ავტორიტეტი.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა საშუალება მისცეს კომუნისტურ პარტიას წამოეყენებინა და

პრაქტიკულად გადაეწყვიტა უახლესი ტექნიკის ბაზაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ძირეული რეკონსტრუქციის ამოცანა.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დარგთაგან ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ტექნიკური რეკონსტრუქციის პროცესი ნავთობის მრეწველობამ. ფართოდ გაიშალა მუშაობა მის ყველა დარგში. ეს გამოიხატა კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებით, ბურღვის გაფართოებით, ახალი სარეწი მოედნების საექსპლოატაციოდ გადაცემით, სრულყოფილი ნავთობგადამმუშავებელი დანადგარების მშენებლობით, ნავთობის მოპოვების გადიდებითა და გადამუშავების გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით.

ყოველივე ამის მეოხებით მენავთობეთა შრომით გმირობასთან, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ზრდასთან, ნავთობის მრეწველობის განვითარებისადმი უნარიან პარტიულ ხელმძღვანელობასთან ერთად მოპოვებულ იქნა ბრწყინვალე გამარჯვება ნავთობის ფრონტზე. 1931 წლის მარტის დამლევისათვის აზერბაიჯანის მენავთობეებმა შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა ორწელიწადნახევარში. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით „აზნავთობი" დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლესი ორდენით — ლენინის ორდენით.

აზერბაიჯანის — იმ დროს ჩვენი ქვეყნის მთავარი ნავთობმომპოვებელი რაიონის — ნავთობის მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპს დიდი საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ხელს უწყობდა პირველი ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ხორციელდებოდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობის შემდგომი რეკონსტრუქცია, რისთვისაც მძლავრ მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ხდებოდა სამუშაოთა კონცენტრაცია. 85 პროცენტამდე აჰყავდათ მოპოვების მექანიზაცია, ნერგავდნენ მძიმე და მსუბუქ სანგრევ მანქანებს, მოსანგრევ ჩაქუჩებს, ხდებოდა მთელი მაღაროს მეურნეობის ელექტრიფიკაცია.

კომპრესორული მეურნეობის დანერგვისა და პნევმატურ ბურღვაზე გადასვლის, სამთო სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე მიმდინარეობდა სომხეთის სპილენძის მრეწველობის რეკონსტრუქცია. გაფართოვდა ქვანახშირის მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზა.

1931—1932 წლებში ამიერკავკასიის მანქანათსაშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას მოხმარდა 7,3 მილიონი მანეთი. აშენდა საკასრო ჩარხმშენებლობის ქარხანა ბაქოში, მექანიკური ქარხანა ერევანში და ლითონის კონსტრუქციების ქარხანა თბილისში. განხორციელდა ბაქოსა და თბილისის მანქანათსაშენებელი ქარხნების ძირეული რეკონსტრუქცია.

პირველი ხუთწლედის ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე აღჭურვილი ახალი ფაბრიკები და ქარხნები: „აზნავთობის“ ნავთობსახდელი ქარხნები ბაქოსა და ბათუმში, საფეიქრო ფაბრიკები განჯაში, თბილისსა და ლენინაკანში, აბრეშუმსახვევი ფაბრიკები ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, ნუხასა და სტეპანაკერტში, საკონსერვო ფაბრიკები ერევანში, გორსა და ლენქორანში, გრანიტის კარიერები კურსებსა და ბამბაკში, ცემენტის ქარხანა კასპში და სხვ.

ამიერკავკასიის პირველი ხუთწლედის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ადგილობრივი ენერგეტიკული ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ამოქმედდა ბობოქარი მთის მდინარეების უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსები. იქმნებოდა და შენდებოდა ისეთი დიდი ჰიდროსადგურები, როგორიცაა რიონჰესი, ძორაჰესი, ზაჰესი, კასიგიუმიშის, ხრამის, სამგორის, კანაკერისა და სხვა ელექტროსადგურები. ამიერკავკასიის ელექტროსადგურების სიმძლავრე 1922 წლის 92 ათასი კილოვატიდან გაიზარდა 161,3 ათას კილოვატამდე 1931 წელს. ელექტრიფიკაციის ბაზაზე იზრდებოდა მრეწველობა, იქმნებოდა ახალი ენერგოტევადი წარმოებანი, მიმდინარეობდა ძველი დარგების რეკონსტრუქცია.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის სწრაფი ტემპის პირობებში იგრძნობოდა იმ ადამიანების მწვავე ნაკლებობა, რომელთაც შეუძლიათ მართონ რთული ტექნიკა. სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო კონფერენციამ, რომელიც საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით იქნა მოწვეული 1931 წლის იანვრის დამლევს, წამოაყენა ლოზუნგი: „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას!“. პარტიამ განახორციელა არაერთი ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამეურნეო მუშაკთა ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებას, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მომზადებას, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, ტექნიკური კურსების ქსელის გაფართოებას და ა. შ.

ტექნიკის დაუფლებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის სტი-

ლის გაუმჯობესების შესახებ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სათავეში ჩაუდგა პროფესიული განათლების სისტემის კარდინალური რეფორმის განხორციელებას ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში და ესწრაფვოდა კადრების მომზადების მასშტაბი შეესაბამებინა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კონკრეტული მოთხოვნილებებისათვის. ამავე მიზნით უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და მუშათა ფაკულტეტები რეორგანიზებულ იქნენ დარგობრივი ნიშნის მიხედვით.

დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომლებიც მასობრივად ამზადებდნენ კვალიფიციურ მუშებს. 1931 წლის განმავლობაში სხვადასხვა მომზადება-გადამზადების კურსები დაამთავრა ბაქოში 27 ათასმა კაცმა[1]. 1931 წლის ოქტომბერში აქ შეიქმნა სპეციალური სასწავლო კომბინატი, სადაც სწავლობდა 1.300-ზე მეტი სხვადასხვა პროფესიის მუშა — მბურღავი, ხარატი, ზეინკალი, შემდუღებელი, ელექტრიკოსი, მშენებელი და სხვ. 1931 წლის დამდეგიდან თბილისში დაიწყო მუშათა ტექნიკური სწავლება, აგრეთვე ტექმინიმუმის ჩაბარება წარმოებას მოუწყვეტლივ. 1932 წლის დამდეგისათვის თბილისის ტექმინიმუმის წრეებში 6 ათასზე მეტი კაცი მეცადინეობდა.

გარდაიქმნა საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მუშაობაც, რომლებიც მოკლევადიანი სწავლების (6—12 თვე. ნაცვლად 2 წელიწადისა) პროფესიული სკოლები გახდნენ. თითოეული ასეთი სკოლა დაკავშირებული იყო შესაბამის საწარმოსთან.

დიდი მუშაობა განხორციელდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების მომზადებისათვის. უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა საბჭოთამეურნეობრივ-კოლმეურნეობრივი მშენებლობის სპეციალური კათედრები; სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციულ ტექნიკუმებთან გაიხსნა საანგარიშო-საალრიცხვო განყოფილებანი. სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ბევრი კურსდამთავრებული გაგზავნა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში[2].

საკოლმეურნეო კადრების მომზადების ძირითადი ფორმა გახდა

---

[1] Материалы к отчету ЦК и БК АКП(б) (январь 1932 г.), стр.53.

[2] Справочник партработника Закавказья, вып. II, стр. 125.

კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლები, რომლებიც გადაყვანილ იქნენ განუწყვეტელ სასწავლო-საწარმოო წელიწადზე. ამ სკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამები გადაისინჯა საკოლმეურნეო წარმოების ამოცანების შესაბამისად.

უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა მთელი რიგი ახალი უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები უმაღლეს სასწავლებელთა ცალკეული ფაკულტეტების ბაზაზე. ამის გამო უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი 1930 წელს ხუთწლედის დამდეგთან შედარებით 4-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1930 წელს ხუთწლედის გეგმა მუშათა ფაკულტეტების ორგანიზაციის დარგში გადაჭარბებულ იქნა 42,8 პროცენტით. რაც ადასტურებდა მუშების ფართოდ ჩაბმას უმაღლეს განათლებაში. ეს ხელს უწყობდა უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის შეცვლას, მუშათა კლასისაგან სპეციალისტთა კადრების ჩამოყალიბებას.

დაწყებული 1930/31 სასწავლო წლიდან, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოთხოვნების შესაბამისად, იქმნებოდა სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლები: ნავთობის, სამთო, ენერგეტიკული, სამშენებლო, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინერთა, სასოფლო-სამეურნეო (ბამბის, ჩაის, ეთერზეთოვანი კულტურების, სუბტროპიკული, სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის), სამედიცინო და სხვები.

მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა კონტინგენტი. თუ 1929/30 სასწავლო წელს ამიერკავკასიის 14 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 18.3 ათასი და 119 ტექნიკუმში — 23,8 ათასი კაცი, 1932/33 სასწავლო წელს, შესაბამისად,—31,2 ათასი და 58,7 ათასი[1].

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნა. ისინი შეიქმნა კომუნისტური უნივერსიტეტების ბაზაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად. 1932/33 სასწავლო წელს ამიერკავკასიის კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 1,7 ათასი კაცი.

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა

---

[1] Материалы по отчету правительства ЗСФСР за 1931—1934 гг., стр. 178, 179.

1931 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით აღნიშნა არასაკმარისი ყურადღება სასწავლო მომზადების ხარისხის საკითხებისადმი, აგრეთვე სპეციალობათა მეტისმეტი დანაწევრება უმაღლეს სასწავლებლებში. ამ შეცდომების გამოსასწორებლად განხორციელდა უმაღლესი სასწავლებლების ქსელის რეორგანიზაცია მათი გამსხვილების გზით, გადაისინჯა და შემცირდა სპეციალობათა ნომენკლატურა. მაგალითად, 1932/33 სასწავლო წელს თბილისის რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც მრეწველობის სპეციალისტებს ამზადებდნენ, ერთ ინდუსტრიულ ინსტიტუტად გაერთიანდა. 22 სპეციალობიდან ინდუსტრიულ ინსტიტუტში დარჩა მხოლოდ 10. გაერთიანდნენ აგრეთვე სომხეთის სამშენებლო და ქიმიური ინსტიტუტები. ფედერაციის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში სპეციალობათა რიცხვი შემცირდა 4—5-მდე. 1—1,5 წლით გახანგრძლივდა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლის ვადები, გადაისინჯა სასწავლო გეგმები და პროგრამები, მოწესრიგდა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია.

1931—1933 წლებში ამიერკავკასიაში მომზადდა 11,3 ათასი უმაღლესი და 21,8 ათასი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი.

ამრიგად, მოკლე ხანში ფედერაციაში მომზადდა ინჟინერ-ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალისტთა კადრები, რომლებიც გამოსული იყვნენ ხალხის რიგებიდან და ერთგულად ემსახურებოდნენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას.

ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყვეს აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა სამეურნეო აპარატის გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის. საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 17 იანვრის დადგენილებით რეორგანიზებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მის საფუძველზე შეიქმნა: ამიერკავკასიის მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი, რომელსაც დაეკისრა სადირექტივო ფუნქციები, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის კომისარიატის რწმუ-

ნებულის სამმართველო. ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები გარდაიქმნა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებად და შეიქმნა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოები.

გაუქმდა ამიერკავკასიისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობათა ცენტრები და განხორციელდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების რეორგანიზაცია. საკოლმეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობა მთლიანად დაეკისრა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

1933 წლის იანვარში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა შეაჯამა პირველი ხუთწლედის შედეგები. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად. მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ომამდელ დონესთან შედარებით ერთისამად და მეტად გაიზარდა, ხოლო 1928 წლის დონესთან შედარებით — ერთიორად და მეტად. მრეწველობის ხვედრითი წონა მთელი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 70 პროცენტამდე გადიდდა. სოციალისტურმა სისტემამ მრეწველობაში საბოლოოდ განდევნა კაპიტალისტური ელემენტები.

სოფლად გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, შეიქმნა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება. სსრ კავშირი წვრილ-გლეხური ქვეყნიდან გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა 200 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, რომლებიც გლეხთა კომლების 60 პროცენტზე მეტს აერთიანებდნენ და მთელი ნათესი ფართობის დაახლოებით 75 პროცენტს მოიცავდნენ. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მოისპო კულაკობის კლასი.

საბჭოთა კავშირში აშენდა სოციალიზმის ეკონომიური საძირკველი. ეს იყო საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რომელიც მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა.

საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში პირველი ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარებაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმაც. ფედერაციის სახალხო მეურნეო-

ბის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შესრულდა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ ხუთწლედში 2.264,7 მილიონი მანეთი შეადგინა, აქედან „ა" ჯგუფის მრეწველობაში — 1.056,8 მილიონი მანეთი და „ბ" ჯგუფში — 134,6 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობაში — 454,1 მილიონი მანეთი, ტრანსპორტზე — 234,4 მილიონი მანეთი[1]. განსაზოგადოებული სექტორის კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა ხუთწლედში თითქმის სამჯერ გაიზარდა, ამასთან ხუთწლედის — მარტო ერთი უკანასკნელი წლის კაპიტალურმა დაბანდებებმა გადააჭარბეს მთელი აღდგენითი პერიოდის კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობას.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობის ძირითადი ფონდების მოცულობა ორჯერ გაიზარდა, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში — ოთხჯერ და კვების მრეწველობაში — სამჯერ. ამ ახალი ძირითადი ფონდების მაღალი ტექნიკური დონე მოწმობდა სახალხო მეურნეობაში მომხდარ უღრმეს ტექნიკურ რევოლუციას პირველ ხუთწლედში და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საწარმოო ძალთა გიგანტურ ზრდას.

თუ 1928 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება (1926—1927 წლების ფასებით) შეადგენდა 482 მილიონ მანეთს, 1932 წლისათვის 1291,5 მილიონ მანეთს მიაღწია, ე. ი. თითქმის 2,7-ჯერ გაიზარდა[2]. სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1932 წელს 3,5-ჯერ და მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. ამიერკავკასიის მრეწველობის ზრდის ტემპი უსწრებდა საერთო-საკავშირო ტემპს.

ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ზრდა იმით გამოიხატა, რომ სახალხო მეურნეობის მთლიან პროდუქციაში სამრეწ-

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, Тифлис, 1934, стр. 4.

[2] იქვე, გვ. 33, 34.

ველო პროდუქციამ წამყვანი ადგილი დაიკავა და ხუთწლედის დამლევისათვის 73 პროცენტი შეადგინა[1].

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის წამყვან დარგში — ნავთობის მრეწველობაში — კაპიტალურმა დაბანდებებმა ხუთწლეულში შეადგინეს 648,5 მილიონი მანეთი, ანუ მთელი მძიმე მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა 77 პროცენტი. ნავთობის მრეწველობამ აითვისა ახალი ნავთობიანი ფართობები. საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ტექნიკურად სრულყოფილი ნავთობგადამმუშავებელი საწარმოები ბაქოსა და ბათუმში, რის მეოხებითაც ათვისებულ იქნა კრეკინგის პროცესი. შეიქმნა გაზისა და გაზოლინის მეურნეობა ბაქოში. ბაქო-ბათუმის მძლავრი ნავთობსადენის გაყვანამ ხელი შეუწყო ნავთობის გატანის გადიდებასა და გაიაფებას.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული მანქანათმშენებლობის დარგში. ამიერკავკასიის მთელი მანქანათსაშენებელი მრეწველობის საერთო პროდუქცია ხუთწლედში 3-ჯერ გაიზარდა[2]. ნავთობის მანქანათმშენებლობასთან ერთად ვითარდებოდა ფედერაციის მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოება.

ხუთწლედში განმტკიცდა სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა. ხუთწლედის დამლევისათვის ამიერკავკასიის ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზარდა 227,7 ათას კილოვატამდე, რამაც 93 პროცენტით გადაამეტა 1928 წლის დონეს. 1932 წელს ამიერკავკასიის ყველა ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 813,5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ნაცვლად 442,9 ათასი კილოვატსაათისა 1928 წელს[3]. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების (ნავთობმოპოვების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის) მთლიანი ელექტრიფიკაცია.

განხორციელდა სპილენძის, მარგანეცის, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქცია, გამოვლინდა მადნეულისა და ქვანახშირის ახალი მნიშვნელოვანი მარაგი. მძლავრი ფეროშენადნობთა ქარხანა აშენდა ზესტაფონში. დაიწყო ახალი სპილენძსადნო-

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 35.

[2] იქვე. გვ. 64.

[3] იქვე. გვ. 20.

ბი ქარხნის მშენებლობა ალავერდში, დიდი საფლოტაციო ფაბრიკისა ზანგეზურში, ქვანახშირის მაღაროებისა ტყვარჩელში.

ამიერკავკასიის ქიმიურმა მრეწველობამ აითვისა იოდისა და ბრომის წარმოება ბაქოში, ქლორიანი ბარიტისა (სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად) ქუთაისში. მთავრდებოდა გოგირდმჟავისა და სპილენძის აჯასპის ქარხნების მშენებლობა ალავერდში.

ბევრად გაიზარდა საშენ მასალათა მრეწველობა, რომელმაც აითვისა უმაღლესი მარკების ცემენტისა და ახალი საშენი მასალების (ტუფი, პემზაბეტონი, ნიჟარქვა და სხვ.) წარმოება. ამ დარგის ახალ საწარმოთა შორის უდიდესი იყო კასპისა და დავალის ცემენტის ქარხნები.

პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. სპეციალიზებულ დარგებად ჩამოყალიბდნენ ბამბის, შალის, აბრეშუმის, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო მრეწველობა, აგრეთვე შაქრის, სამაცივრო და კონსერვ-ხილ-ბოსტნეულის მრეწველობა. საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის ქაღალდის მრეწველობას. მწყობრში ჩადგნენ ლენინაკანის ბამბეულისა და ტრიკოტაჟის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი, კამვოლ-მაუდისა და ტრიკოტაჟის, ქუთაისისა და სტეპანაკერტის აბრეშუმსახვევი ფაბრიკები, ნუხის აბრეშუმის კომბინატი. დამთავრდა ბაქოსა და ერევნის სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა. შენდებოდა კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები.

ხუთწლედის განმავლობაში ლიკვიდირებულ იქნენ კაპიტალისტური ელემენტები. სოციალისტური სისტემა მრეწველობაში ერთადერთი გახდა. თუ 1928 წელს კერძო სექტორის წილი მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 29,5 პროცენტს შეადგენდა, 1932 წელს იგი 1 პროცენტამდე შემცირდა, რაც მოდიოდა წვრილ, ჯერ კიდევ არაკოოპერირებულ შინამრეწველებზე.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა რკინიგზის ტრანსპორტის განსავითარებლად. იწყებოდა მისი ელექტრიფიკაცია. 1932 წელს დაიწყო ელექტროწევის გამოყენება ხაშური — ზესტაფონის რკინიგზის ელელტეხილის უბანზე. მიმდინარეობდა სამუშაოები ორი ახალი რკინიგზის — შავიზღვისპირა (350 კმ) და ალიატ-ჯულფის (409 კმ) რკინიგზების გასაყვანად. გაიზარდა ტვირთბრუნვა.

მნიშვნელოვნად ვანასლდა ორთქლმავლების პარკი. დიდი მუშაობა მიმდინარეობდა სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა მუშათა კლასის რიგები, დიდდებოდა მისი ხვედრითი წონა ოსახლეობის შემადგენლობაში, ძლიერდებოდა ხელმძღვანელი როლი სოციალისტურ მშენებლობაში. მუშათა საერთო რიცხვი 1928 წლის 363 ათასი კაციდან გაიზარდა 807 ათას კაცამდე 1932 წელს[1]. მუშათა კლასის რიცხვის საერთო მატებიდან დაახლოებით 65,2 პროცენტი მოღიოდა საწარმოო სფეროში დასაქმებულ მუშებზე. მუშათა კლასის ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაში 79,4 პროცენტამდე გაიზარდა[2]. იზრდებოდა მუშათა კლასის ეროვნული კადრების რიცხვიც. მკვიდრი ეროვნების მუშათა რიცხვი აზერბაიჯანში გაიზარდა 96 პროცენტით, სომხეთში — 108 პროცენტით, საქართველოში — 110 პროცენტით[3].

პირველი ხუთწლედის პერიოდში ამიერკავკასიაში დიდი წარმატებანი იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგშიც. სოფლად შეიქმნა 7.757 კოლმეურნეობა, 348 საბჭოთა მეურნეობა და კოოპერაციული მეურნეობა, 61 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. განსაზოგადოებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება მოიცავდა მთელი ნათესი ფართობის დაახლოებით 43,2 პროცენტს, ხოლო კოლმეურნეობები — 38,1 პროცენტს. განმტკიცდა და გაფართოვდა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების ქსელი.

ხუთწლიანი გეგმის მონახაზები კოლექტივიზაციის დარგში გადაჭარბებით შესრულდა: ნაცვლად 17,4 პროცენტისა 1932 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 39,9 პროცენტი[4], ხოლო ტექნიკური კულტურების რაიონებში — 64,4 პროცენტი[5]. კოლექტიური შრომა სახავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმაგალითო ზრდისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების პერსპექტივებს. კოლმეურნე გლეხობა გახდა ცენტრა-

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 153.

[2] იქვე, გვ. 159.

[3] იქვე, გვ. 158.

[4] იქვე, გვ. 110.

[5] იქვე, გვ. 94.

ლური ფიგურა ამიერკავკასიის მიწათმოქმედებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების რაიონებში.

დიდმა კაპიტალურმა დაბანდებებმა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, რომელთაც ხუთწლედში 454,1 მილიონი მანეთი შეადგინეს[1], უზრუნველყვეს ღრმა ძვრები მის დარგობრივ სტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვაში. პირველი ხუთწლედის მანძილზე სატრაქტორო პარკის სიმძლავრე ფედერაციაში თითქმის 5-ჯერ გადიდდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა მთლიანად 4-ჯერ და მეტად გაიზარდა[2].

მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნამ და მისთვის ახალი ტექნიკური ბაზის ჩაყრამ შესაძლებელი გახადეს ნათესი ფართობების გადიდება და სტრუქტურის შეცვლა ტექნიკური კულტურების ნათესების გაფართოებით. ასეულ-ათასობით ჰექტარი უნაყოფო ველი და ჭაობი დამუშავებულ ყანებად იქცა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია იყო ნამდვილი რევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპო ექსპლოატატორული ელემენტები. იგი სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის გამარჯვებას ნიშნავდა და უზრუნველყოფდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას და განვითარებას. „საბჭოთა სოფლის გადასვლა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე,—ხათქვაძია სკკპ პროგრამაში, — მოასწავებდა **დიდ რევოლუციას ეკონომიურ ურთიერთობაში, გლეხობის ცხოვრების მთელ წყობაში.** კოლექტივიზაციამ სამუდამოდ იხსნა სოფელი კულაკური კაბალისაგან, კლასობრივ ფენებად დაშლისაგან, გაღატაკებისა და სიღარიბისაგან, ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე ნამდვილად გადაიჭრა გლეხობის ძველთაძველი საკითხი"[3].

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა უზრუნველყვეს ამიერკავკასიის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება.

---

[1] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 109.

[2] იქვე, გვ. 96, 97.

[3] სკკპ XXII ყრილობის მასალები. თბილისი, 1962, გვ. 405.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო შემოსავალი 1928 წლის 1.007,1 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1.841 მილიონ მანეთამდე 1932 წელს. მთელ ამიერკავკასიის მრეწველობაში მუშათა ხელფასი თითქმის ერთიორად გაიზარდა. მთლიანად აღმოიფხვრა უმუშევრობა ქალაქებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური დაზღვევის ფონდები. საბინაო ფონდი 1,5 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრით გადიდდა; ფართოდ გაიშალა ქალაქების კეთილმოწყობის სამუშაოები.

სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას თან ახლდა დიდი მიღწევები კულტურული მშენებლობის დარგში. სწრაფად ვითარდებოდა განათლება და მეცნიერება, პრესა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება. ჯერ კიდევ 1929/30 სასწავლო წელს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას ჩვენს ქვეყანაში მეორე ადგილი (უკრაინის სს რესპუბლიკის შემდეგ) ეკავა ათას სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ[1]. უზრუნველყოფილ იქნა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ამიერკავკასიის ხალხთა დედაენებზე სწავლების პირობები, შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის საყოველთაო სწავლება შვიდწლედის მოცულობით ყველა ქალაქსა და დაბაში. 1932/33 სასწავლო წელს დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლობდა 1.112,7 ათასი მოსწავლე — 4,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1919/20 სასწავლო წელს[2]. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების რიცხვი 1928/29 სასწავლო წლის 128-დან გაიზარდა 471-მდე 1932/33 წელს, ხოლო სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტინგენტი 22,1 ათასიდან გადიდდა 129,6 ათასამდე[3]. ყოველწლიურად უშვებდნენ ათასობით უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მომზადებულ სპეციალისტს — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წრიდან გამოსულებს. დიდი მუშაობა ხორციელდებოდა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკასა და ოლქში მო-

---

[1] Журнал «Народное хозяйство Закавказья», 1930, № 14, стр. 10.

[2] Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР, стр. 183.

[3] იქვე, გვ. 172.

სახლეობის უწიგნურობისა და მცირეწიგნიერობის ლიკვიდაციის დასამთავრებლად.

სწრაფად იზრდებოდა ბეჭდვითი გამოცემების — წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, გაზეთების რიცხვი, ფართოვდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 1932 წელს ფედერაციაში გამოდიოდა 227 რაიონული და რესპუბლიკური გაზეთი. აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში შეიქმნა გამომცემლობები, რომლებიც ემსახურებოდნენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის მშრომელთა კულტურულ საჭიროებებს. 1928—1932 წლებში კლუბების რიცხვი 230-დან გაიზარდა 562-მდე, მასობრივი ბიბლიოთეკებისა — 290-დან 557-მდე, ქოხ-სამკითხველოებისა — 591-დან 1.458-მდე.

დიდი ძვრები მოხდა რადიოფიკაციისა და კინოფიკაციის დარგში. 1932 წელს ამიერკავკასიაში იყო 48,4 ათასი რადიოწერტი, 916 კინოდანადგარი (ნაცვლად 1929 წლის 281-სა). გაითვალისწინა რა სამეურნეო მშენებლობის ტემპი და მშრომელთა კულტურული მოთხოვნების ზრდა, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის როგორც მასების კულტურულ-პოლიტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებების შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული თეატრალური დასების რიცხვი 1932 წელს 47-მდე გაიზარდა, ნაცვლად 1929 წლის 20-სა. ყოველივე ამან დააჩქარა ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელი მასების კულტურული ზრდის პროცესი.

1931 წელს ამიერკავკასიაში პირველად გაიმართა უკრაინული კულტურის დეკადა, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა, ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას[1].

მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობდნენ მისი ახალი მასობრივი ფორმები — მკითხველთა კონფერენციები, გამსვლელი რედაქციები, პრესის მიერ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები-

---

[1] Журн. «На рубеже Востока», 1931, № 5—6, стр. 3—4; № 7—8, стр. 3—30.

სადმი მიძღვნილი კრებები, დისპუტები, საგაზეთო მიტინგები, გაცვლითი გვერდები, ქალაქების რადიოგადაძახილი და სხვ.

ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში მოპოვებული წარმატებანი ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და კულტურული მშენებლობის დარგში იმ გიგანტური მუშაობის შედეგი იყო, რომელიც ამიერკავკასიის მშრომელებმა და კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

1932 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ათი წლისთავი. ეს დღესასწაული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ათი წლისთავის აღსანიშნავად საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მხარის მშრომელებისადმი მისალმებაში გამოთქვა რწმენა, რომ ამიერკავკასიის სახელოვანი ბოლშევიკური ორგანიზაციის მეთაურობით ისინი კიდევ უფრო განამტკიცებდნენ ღონისძიებებს სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად[1].

საბჭოთა ამიერკავკასიის მშრომელების მიერ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი ახარებდნენ და აღაფრთოვანებდნენ მათს მეგობრებს საზღვარგარეთ. გერმანელ კომუნისტთა ორგანო „როტე ფანე", ფრანგ კომუნისტთა — „ლუმანიტე", ინგლისელ კომუნისტთა — „დეილი უორკერი", კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი, იაპონელ კომუნისტთა ბელადი სენ-კატაიამა, საზღვარგარეთის მრავალი პროგრესული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია მიესალმებოდნენ ამიერკავკასიის მშრომელებს, უცხადებდნენ მათ უღრმეს სიმპათიებს, აღუთქვამდნენ, რომ მზად იყვნენ დახმარებოდნენ სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზულ საქმეში.

ამრიგად, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, მისი უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის განუხრელი განხორციელების მეოხებით მოპოვებულ იქნა უმაგალითო წარმატებანი ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების

---

[1] Справочник партработника Закавказья, вып. IV, стр. 2.

გადაწყვეტის საქმეში. ეს მუშაობა მიმდინარეობდა მრავალეროვანი მხარის ურთულეს და უძნელეს პირობებში, მხარისა, რომელმაც ის-ის იყო დააღწია თავი სიბნელესა და ჩამორჩენილობას და დაადგა ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას.

საბჭოთა ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის ხალხთა ცხოვრების წყობაში მომხდარმა ღრმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა მსოფლიოს მშრომელებს უჩვენეს საბუკვარი მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ ერთიანი მწყობრით მიმავალ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მძლავრი ძალა. ახალი საზოგადოების შემქმნელთა დიადი შემოქმედებითი აღტყინება, ლენინური პარტიის შთამაგონებელი, მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლი საბჭოთა ხალხების ბედ-იღბალში. პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამიერკავკასიის მშრომელებისადმი მისალმებაში მათ ინტერნაციონალურ დღესასწაულთან დაკავშირებით წერდა, რომ „ამიერკავკასიის ფედერაცია მკაფიო მაგალითია იმისა, რომ მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია წყვეტს მთლიანად ეროვნულ საკითხს მშრომელი მასების სასარგებლოდ, ახორციელებს თვითგამორკვევის ლოზუნგს და ქმნის ყველა პირობას ყველა ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის[1].

თავისი ნაცადი ავანგარდის — ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების — ხელმძღვანელობით ამ მხარის მშრომელებმა გვაჩვენეს თავდადებული შრომის, მაღალი შეგნებულობის ნიმუშები სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრებისათვის, დიდი ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 60, 12 марта 1932 г.

თავი მეცამეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის ბრძოლაში. სოციალიზმის მაქსიმალური

(1933—1937 წლები)

1. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები მეორე ხუთწლედში. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობა. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მასებში

პირველი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მოპოვებულმა წარმატებებმა საშუალება მისცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ 1932 წლის დამდეგს დაეყენებინა მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავების საკითხი. საკავშირო კპ (ბ) XVII კონფერენციამ, რომელიც 1932 წლის 30 იანვარს — 4 თებერვალს გაიმართა, განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1933—1937 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივები.

კონფერენციის დირექტივებით რომ ხელმძღვანელობდა, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია შეუდგა მუშაობას ფედერაციის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. ამ მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნოს 1932 წლის 17 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის საბჭოთა

ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მუსაბეკოვი[1].

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებანი და მეორე ხუთწლედის ამოცანები განიხილა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის IV გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც გაიმართა 1932 წლის 20—22 მარტს. პლენუმმა მოისმინა სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. დ. ორახელაშვილის მოხსენება და თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა უნდა ემყარებოდეს საკავშირო კპ (ბ) XVII კონფერენციის მიერ დასახულ ძირითად პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს, აგრეთვე ითვალისწინებდეს ამიერკავკასიის ეკონომიურ, ეროვნულ და სხვა თავისებურებებს. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო იყო ამ მხარის უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართოდ გამოყენება და მოქცევა სამრეწველო ექსპლოატაციაში ამიერკავკასიის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის უზრუნველყოფისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დამთავრების მიზნით; სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ახალი ენერგეტიკული ბაზის შექმნა და მისი გადაყვანა უმაღლეს ტექნიკურ საფეხურზე; სახალხო მეურნეობისა და მთელი კულტურული მშენებლობის სწრაფი ზრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში[2].

1932 წლის 31 მარტს — 5 აპრილს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კონფერენცია მეორე ხუთწლედში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საწარმოო ძალთა განლაგების საკითხებზე. ამ კონფერენციამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენაში. ამის შემდეგ, 1932 წლის მაისის დამლევს თბილისში გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საგეგმო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც დააზუსტეს ამ მხარის მეორე ხუთწლედის ძირითადი მაჩვენებლები[3].

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 167, ფურც. 11

[2] Газ. «Заря Востока» № 76, 1 апреля 1932 г.

[3] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 4031, ფურც. 29.

მეორე ხუთწლიანი გეგმა სახავდა ფედერაციის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების — ნავთობის, სამთამადნო, მსუბუქი, საკონსერვო მრეწველობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობის, მეჩაიეობის, მეცხოველეობისა და სხვათა — განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფის ამოცანას.

ამიერკავკასიის მეორე ხუთწლიან გეგმას საფუძვლად დაედო ამ მხარის რესპუბლიკების ხუთწლიანი გეგმები, რომლებიც აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობით შეიმუშავეს. მაგრამ, თუ ამიერკავკასიის პირველი ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა რესპუბლიკათა გეგმების თავისებურ ჯამს წარმოადგენდა, მეორე ხუთწლიან გეგმაში ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობა ერთიან კომპლექსად იყო მიჩნეული.

განუხრელად რომ ხელმძღვანელობდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკით, აგრეთვე ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების საერთოსაკავშირო მნიშვნელობას, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დიდ დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენაში. 1932 წლის ივნისში ამიერკავკასიაში ჩამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ბრიგადა, რომელიც ამ მიზნით იყო შექმნილი.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო ამიერკავკასიის პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების წინადადება საწარმოო ძალთა შესწავლაში, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეორე ხუთწლედის პრობლემათა შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის შესახებ. აკადემიის საბჭოში, სადაც მანამდე არსებობდა ყირიმ-კავკასიის სექცია, შეიქმნა სპეციალური, ამიერკავკასიის სექცია. მან გააძლიერა კადრებით თავისი სამეცნიერო ბაზა თბილისში, შექმნა კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი, აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შესწავლისათვის სპეციალური სამეცნიერო კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენციას უნდა ჩაება ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო ძალები ამიერკავკასიის სფს

რესპუბლიკის უდიდეს საწარმოო შესაძლებლობათა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ღრმად შესწავლაში. კონფერენციის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკადემიკოსები ნ. ი. ვავილოვი, ვ. ა. ვოლგინი, ი. მ. გუბკინი, ა. ლ. კარპინსკი და სხვები. თავისი 1932 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ მოიწონა წინადადება ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ და „უაღრესად საჭიროდ და მიზანშეწონილად მიიჩნია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ჩაბმა ამიერკავკასიის საწარმოო ძალთა შესწავლის საქმეში"[1]. კონფერენცია გაიმართა ლენინგრადში 1932 წლის 25 ნოემბერს — 5 დეკემბერს. მან ბევრი რამ გააკეთა მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების ძირითად პრობლემათა მეცნიერული დამუშავებისათვის.

„მილიონები იბრძოდნენ პირველი ხუთწლედისათვის, მილიონები შეიმუშავებენ მეორე ხუთწლიან გეგმას" — ასეთი ლოზუნგით ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მუშაობა ამ მხარის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. ამ მუშაობაში ნათლად გამოვლინდა ამიერკავკასიის მუშათა და ყველა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს. 1932 წლის მარტის დამლევიდან დაიწყო მათი მასობრივი განხილვა. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეაგროვეს მშრომელთა წინადადებანი მეორე ხუთწლედის ფონდისათვის. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი საწარმოებისა და დარგების რეზერვთა და შესაძლებლობათა გამოვლინებაში, წარმოების უკეთ ორგანიზაციის საკითხთა განხილვას და დამუშავებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში და ა. შ. მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის საწარმოო ძალთა განლაგების საკითხები და შეგროვებული წინადადებანი დეტალურად განიხილეს პარტიულ-ტექნიკურ კონფერენციებზე, პროფკავშირულ

---

1 მლისფპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 177, ფურც. 276.

აქტივებზე, მუშრომელთა კრებებზე. ამიერკავკასიაში გამომავალი გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები, კორესპონდენციები და ინფორმაციები, რომლებიც განმარტავდნენ მეორე ხუთწლედის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ამოცანებს.

ამიერკავკასიის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისა და განხილვისათვის, მისი შესწავლისა და განმარტების ორგანიზაციისათვის წარმოებულ მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. 1932 წლის 17 ივნისს სამხარეო კომიტეტის სამდივნომ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავება. თავის გადაწყვეტილებაში სამხარეო კომიტეტმა მითითება მისცა პარტიულ კომიტეტებს „უშუალო ხელმძღვანელობა გაეწიათ მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად ყველა საგეგმო ორგანოსა და უწყების მუშაობისათვის"[1]. ამასთან ხაზგასმული იყო, რომ ამ საქმეში საჭიროა აქტიურად მონაწილეობდნენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ფართო მასები. 27 ივნისს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „ამიერკავკასიის და ადგილობრივი პრესის მიერ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეორე ხუთწლიანი გეგმის ცალკეულ საკვანძო პრობლემათა პოპულარიზაციის შესახებ"[2].

პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობამ, ორგანიზაციებისა, რომლებსაც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ედგა სათავეში, მუშრომელთა ფართო ინიციატივამ, მეცნიერთა აქტიურმა მონაწილეობამ შესაძლებელი გახადეს მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

1933 წელს საბჭოთა ხალხი შეუდგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ჩვენი ქვეყანა შევიდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების პერიოდში.

ამ წლებში მრეწველობის დარგში, კაპიტალური მშენებლობის გაშლასთან ერთად, წინა პლანზე ისახებოდა ახალ საწარმოთა ათვი-

---

[1] მლისუპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 170, ფურც 4.

[2] იქვე, ფურც. 176, 177.

სების აწოცანა. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა ინჟინერია. ტექნიკოსთა, კვალიფიციურ მუშათა საჭირო კადრების მომზადებას, რომლებიც დაუფლებული იქნებოდნენ ახალი ტექნიკის გამოყენების ჩვევებს. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ახალ ტექნიკას დაუფლებული კადრების მომზადების საჭიროება ამიერკავკასიაში, სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დაძლეული ჩამორჩენა ამ ღარგში. დიდი სიძნელეები იყო გადასალახავი მრავალათასიანი მუშათა კოლექტივების შეთანხმებული მუშაობის აწყობასთან დაკავშირებით, კოლექტივებისა, რომლებიც ის-ის იყო ყალიბდებოდნენ.

სოფლის მეურნეობაში ყურადღების ცენტრში იდგა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხები. საკოლმეურნეო მშენებლობის გამოცდილებამ გვიჩვენა ამ საქმეში არსებული სიძნელეები. კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჯერ კიდევ სუსტი იყო ეკონომიურად. საჭირო იყო პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დახმარება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის მოწყობასა და განვითარებაში, მათი ახალი ტექნიკით აღჭურვაში, გამოცდილი კადრებით განმტკიცებაში. განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს სიძნელეები ამიერკავკასიის ფედერაციაში, სადაც მეორე ხუთწლედის დამდეგისათვის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად ნაკლები გლეხობა იყო ჩაბმული, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონში. ამიტომ აქ ერთდროულად უნდა გადაჭრილიყო მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანები.

სახოგადოებრივი ურთიერთობის დარგში პარტია მეორე ხუთწლედში წყვეტდა სსრ კავშირში კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციის ამოცანას. მართალია, მათი ძალები შერყეული იყო და აღარ შეეძლოთ აშკარად გამოსულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ექსპლოატატორული კლასების ნაშთები მიმართავდნენ გააფთრებულ წინააღმდეგობას, ეწეოდნენ მავნებლობას, იტაცებდნენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონებას. ამის გათვალისწინებით საჭირო იყო მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმების დამკვიდრება, სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრების უმკაცრესი დაცვა, კაპიტალისტური ელემენტების ბოლომდე ლიკვიდაცია.

მეორე ხუთწლედში მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა საბჭოთა ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევის,

სოციალიზმის, შრომისადმი, საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის, სოციალიზმის აქტიურ მშენებლებად მათი გადაქცევის ამოცანები. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა პარტიის დიდ ღონისძიებებს და ხანგრძლივ დროს მოითხოვდა.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა სოციალისტური წარმოების ორგანიზაციასა და სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას. საჭირო იყო პარტიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება მშრომელ მასებზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისაღმი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, პარტიული მუშაობის მეთოდების შემდგომი სრულყოფა.

ბრძოლა მეორე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის მიმდინარეობდა იმ ვითარებაში, როცა მკვეთრად გამწვავდა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ამ პერიოდს ახასიათებდა ეკონომიური დეპრესია. კაპიტალის ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი კვლავ მეტისმეტად დიდი იყო. კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში ძლიერდებოდა რევოლუციური აღმავლობა.

მონოპოლიები თავიანთ ხსნას ფაშისტური რეჟიმის დამყარებაში ხედავდნენ და აპირებდნენ გამოეყენებინათ ფაშიზმი მუშათა მოძრაობის ჩასახშობად, მეორე მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. ომის ახალი კერა წარმოიშვა ევროპაში, სადაც ფაშისტური გერმანია, რომელიც გამალებული ტემპით იარაღდებოდა, ემზადებოდა მსოფლიო ბატონობის დამყარების გიჟური იდეების განხორციელებისათვის საბრძოლველად. კვლავ ვანაგრძობდა აგრესიას შორეულ აღმოსავლეთში იაპონია. ეთიოპიის დასაპყრობად უაჩაღური ომი გააჩაღა ფაშისტურმა იტალიამ. გერმანიამ და იტალიამ ფართოდ დაუჭირეს მხარი ფაშისტთა ამბოხებას ესპანეთში, სადაც სამოქალაქო ომის ალი გიზგიზებდა.

ასეთ ვითარებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მედგრად იბრძოდნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის, ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ, დიდად ზრუნავდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იცავდა მშვიდობის საქმეს და მშრომელთა მასების ღონისძიებებს

ახმარდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ აღმავლობას. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა (1933 წლის იანვარი), რომელმაც განიხილა პირველი ხუთწლედის შედეგები და 1933 წლის — მეორე ხუთწლედის პირველი წლის — სახალხო-სამეურნეო გეგმა, ხაზგასმით აღნიშნა ახალ სამრეწველო საწარმოთა ათვისების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1933 წლის იანვარში გაიმართა ბაქოს, თბილისისა და ერევნის ორგანიზაციების, რაიონული პარტიული ორგანიზაციების პარტიული აქტივის და პარტიული უჯრედების კრებები, რომლებზეც განიხილეს და ერთხმად მოიწონეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ 1933 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1933 წლის — მეორე ხუთწლედის პირველი წლის — სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ძირითადი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების ამაღლება ახალი ქარხნებისა და მოწყობილობის ათვისების, ტექნიკის უკეთ გამოყენების საფუძველზე.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მუშაობა მეორე ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად ამ მხარის მშრომელთა მობილიზაციისათვის. იგი ცდილობდა გაეძლიერებინა პარტიული ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის მრეწველობისადმი, გაეუმჯობესებინა სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. 1933 წლის 17—18 იანვარს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სამრეწველო საწარმოების პარტიულ მუშაკთა სამხარეო თათბირი, რომელიც საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია[1]. თათბირი მოწოდებული იყო განესაზღვრა მეორე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესასრულებლად მუშათა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის მობილიზაციის ფორმები და საშუალებანი. თათბირმა განიხილა ბაქოს ლენი-

[1] Газ. «Заря Востока» № 15, 17 января 1933 г.

ნის რაიონის ექსპლოატაციის პირველი საამქროსა და პარიზის კომუნის სახელობის დოკის, ალავერდის სპილენძის კომბინატის პარტიული კომიტეტების, პარტიის ჭიათურის რაიკომის, თბილისის რ. ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის, განჯის საფეიქრო ფაბრიკის პარტიული უჯრედების მოხსენებანი წარმოებაში პარტიული მუშაობის დაყენების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო ამიერკავკასიის უდიდეს სამრეწველო საწარმოთა პოლიტიკური როლის კიდევ უფრო ამაღლება, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, მოსთხოვა მათ ყოველდღიურად ემუშავათ ახალი ტიპის, ტექნიკით შეიარაღებული მუშის ფორმირებისა და აღზრდისათვის, უზრუნველეყოთ თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლი წარმოებაში.

ამიერკავკასიის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების წინაშე დასახული იყო ასეთი ამოცანები: უზრუნველეყოთ, რომ სამრეწველო საწარმოები სანიმუშონი გამხდარიყვნენ და სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დახმარებოდნენ სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს; ყოველდღიური გავლენა მოეხდინათ საბჭოთა აპარატის საქმიანობაზე, ეწარმოებინათ ულმობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების, მუშაობაში უსისტემობისა და არაორგანიზებულობის წინააღმდეგ, შეექმნათ უმნიშვნელოვანეს უბნებზე მტკიცე, მყარი აქტივი.

1933 წლის პირველ ნახევარში მოეწყო აგრეთვე რამდენიმე სხვა სამხარეო თათბირი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. 1933 წლის 19 იანვარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან გაიმართა სამხარეო პარტიული თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდებოდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მძიმე მრეწველობაში საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის პლენუმის დირექტივები. 2 თებერვალს თბილისში მოეწყო სამხარეო თათბირი პარტიულ კადრებთან მუშაობის საკითხზე[1].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისა და მშრომელებთან მა-

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 216, ფურც. 130.

თი კავშირის განმტკიცების მიზნით პარტიის სამხარეო კომიტეტმა 1933 წლის იანვარში მიიღო დადგენილება „ამიერკავკასიაში პოლიტდღეების ჩატარების მიმდინარეობისა და მუშათა კრებებზე პასუხისმგებელ მუშაკთა ანგარიშების მოსმენის შესახებ"[1]. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა ბაქოს, თბილისისა და ლენინაკანის პარტიული ორგანიზაციების დადებითი გამოცდილება ერთიანი პარტიული დღეების მომზადებისა და ჩატარების დარგში, და ამავე დროს მიუთითა, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თითქმის შეწყვიტეს პარტიული დღეების მოწყობა. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციას ფართოდ გაეშალათ მუშაობა პარტიული დღეების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, ამ დღეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების, შემდგომი შემოწმებისათვის, აგრეთვე ურჩია მათ შემოეღოთ პრაქტიკაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების ხელმძღვანელთა და პასუხისმგებელ მუშაკთა სისტემატური ანგარიშები მუშათა კრებებზე.

ამ გადაწყვეტილებას რომ ასრულებდა, თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ ერთი თვის მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1933 წლის 22 მაისს წარმატებით ჩაატარა ერთიანი პარტიული დღე ლოზუნგით „ხელმძღვანელობის მაღალი ხარისხისათვის, წარმოების ტექნიკის ათვისებისათვის"[2]. 1933 წლის 5 იელისს ბაქოს ყველა საწარმოში მოეწყო ერთიანი პარტიული დღე, რომელიც მიეძღვნა ახალი ტექნიკის ათვისების თაობაზე პარტიის ლოზუნგების რეალიზაციის შემოწმებას. ერთიანი პარტიული დღეები სომხეთის სამრეწველო საწარმოთა უჯრედებში მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ახალი ტექნიკის ათვისება, მუშათა მომარაგება, მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულება და სხვ.

1933 წლის 25 თებერვალს გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური და ერევნის კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიის რაიკომებისა და პარტიული უჯრედების მდივნები. პლენუმმა განიხილა საკითხი „სომხეთის კომპარტიის მორიგი ამოცანები" და გააკრიტიკა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში არსებული შეცდომები და ნაკ-

[1] Газ. «Заря Востока» № 16, 18 января 1933 г.
[2] Газ. «Заря Востока» № 137, 16 июня 1933 г.

ლოვანებანი. პლენუმმა განამტკიცა სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ერევნის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა[1]. პლენუმის გადაწყვეტილებებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სომხეთის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, რესპუბლიკის მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. ძირეული პარტიული რგოლების წარმატებით გარდაქმნის, წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფის მეოხებით ერევნის პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო სათავეში ჩადგომოდა საწარმოო პარტუჯრედებისა და ყველა მუშის ბრძოლას საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ერევნის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმომ და ობიექტმა წლიური გეგმები 11 თვეში შეასრულა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის დაწყებიდანვე იყო აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარება[2]. ამ ამოცანას უდიდესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ყოველდღიურად სულ უფრო მეტ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს მოითხოვდა. გარდა ამისა, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავათ საბჭოთა ექსპორტში და სავალუტო დაგროვების დიდ წყაროს წარმოადგენდნენ. ნავთობის მრეწველობის განვითარებისადმი ყურადღებისა და ზრუნვის გაძლიერების საჭიროება იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ „აზნავთობმა" ნავთობის მოპოვების გეგმა პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს მხოლოდ 78.6 პროცენტით შეასრულა, ხოლო ბურღვისა — 83 პროცენტით. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ნავთობის მრეწველობაში მოწინავე ტექნიკის სუსტად გამოყენება, რის შედეგადაც ახალი ნავთობის საბადოების სამრეწველო დამუშავება ნელა მიმდინარეობდა. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ არ შეგვეძლო მუშაობა ნავთობის მრეწველობის ორგანიზაციის გართულების პირობებში, სუსტად ვფლობდით რთულ ტექნიკას. მეორე ხუთწლედის დამდეგს სერიოზულად ჩამორჩებოდა დონბასის ქვანახშირის მრეწველობაც, რაც ავალებდა ბაქოელ მენავთობეებს ემუშავათ ისე, რომ ჩვენს ქვეყანას არ ეგრძნო სათბობის ნაკლებობა.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 48, 27 февраля 1933 г.

[2] VII съезд коммунистических организаций Закавказья, стр. 195.

მეორე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა ფართოდ გაშალეს მუშაობა, რათა დაერაზმათ მენავთობე მუშები ნავთობის მრეწველობის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებელი ნავთობისათვის საბრძოლველად.

1933 წლის მარტში გაიმართა პარტიის ბაქოს კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „ბაქოს ორგანიზაციის ამოცანები ნავთობისათვის ბრძოლაში". პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბაქოს მთელი პარტიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი კადრები დაუყოვნებლივ შედგომოდნენ „კონკრეტულ, ყოველდღიურ და შეუპოვარ ბრძოლას ნავთობისათვის"[1]. პლენუმზე მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ბაქოში მყოფმა მარსელ კაშენმა — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ. მან მაღალი შეფასება მისცა ბაქოს მუშათა გმირულ ბრძოლას ნავთობის ფრონტზე, გააცნო მათ საფრანგეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა.

აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის — ამიერკავკასიის მრეწველობის ამ წამყვანი დარგის — განვითარების საკითხებზე ყოველდღიურად და ღრმად მუშაობდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. იგი სისტემატურად განიხილავდა ნავთობის ახალ საბადოთა დაზვერვასთან, ჭაბურღილების გაყვანასთან, ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებასთან, ნავთობის მანქანათსაშენებელი ქარხნების, დამხმარე საწარმოების მუშაობასთან, კადრების მომზადებასთან, ახალი სანავთობო ტექნიკის ათვისების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს. 1933 წლის 10—13 აპრილს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო საკონტროლო კომისიის VII გაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა მოხსენებანი ნავთობის მრეწველობის მუშაობის შესახებ და მიიღო ვრცელი დადგენილება „აზნავთობის" ხაზით გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ". ბურღვისა და ნავთობმოპოვების დარგში სამუშაოთა გაძლიერების საჭიროებასთან ერთად დადგენილება ბაქოს პარტიული ორგანიზაციისა და „აზნავთობის" უმნიშვნელოვანეს საბრძოლო ამოცანად მიიჩნევდა „ბრძოლის გაჩაღე-

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 59, 12 марта 1933 г.

ბას ტექნიკის ათვისებისათვის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ტექნიკური აღზრდის ორგანიზაციისათვის"[1].

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და პარტიის ბაქოს კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი ბაქოს კომუნისტების. ყველა მენავთობის მუშაობის კონკრეტულ პროგრამად გადაიქცნენ ნავთობის მოპოვების დარგში მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის. 1933 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ბაქოს პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დიდი მუშაობა განახორციელა „აზნავთობის" სამმართველოს. სარეწებისა და ქარხნების აპარატის რეორგანიზაციისა და გამარტივებისათვის „დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე. ეს ღონისძიებანი მიზნად ისახავდნენ ოპერატიული სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის გაძლიერებას ნავთობის მრეწველობის საწარმოებისადმი. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთეს აგრეთვე ბურღვის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, მენავთობე მუშათა ხელფასის სისტემის სრულყოფისა და მოწესრიგებისათვის.

თავდაპირველად „აზნავთობის" ხაზით ნავთობის მოპოვების გეგმა 1933 წელს დასახული იყო 14,4 მილიონი ტონის ოდენობით. შემდეგ, ქვეყნის სწრაფად მზარდი ეკონომიკის მოთხოვნილებათა და აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ეს გეგმა გადაისინჯა. ბაქოს მენავთობეთა წინაშე დაისახა ახალი ამოცანა — 1933 წელს დამატებით მოეპოვებინათ 900 ათას ტონამდე ნავთობი.

1933 წლის 7 აგვისტოს ბაქოში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნოს, აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ბიუროების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო ერცელი დადგენილება „ნავთობის მოპოვების გადიდების შესახებ". პარტიის ბაქოს კომიტეტის პლენუმმა ქალაქის პარტიულ აქტივთან ერთად, რომელიც ამის შემდეგ მალე გაიმართა, განიხილა საკითხი „ნავთობისათვის

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 90, 18 апреля 1933 г.

ბრძოლაში ბაქოს ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ".

მენავთობეთა ღონისძიებების მობილიზაციამ ნავთობისათვის საბრძოლველად, ორგანიზაციულ და სხვა ნაკლოვანებების თანდათანობით აღმოფხვრამ საშუალება მისცა ბევრ კოლექტივს დაეძლია ჩამორჩენა, მოეპოვებინა მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებები.

ნავთობის მოპოვების გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში კვლავ დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბაქოს მენავთობეთა და დონბასის მეშახტეთა შეჯიბრება. 1933 წლის 25 მარტს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა ბაქოს ძერჟინსკის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის ზეინკლის ნ. ვდოვინის წერილი სახელგანთქმული მნგრეველის ნ. იზოტოვისადმი, რომელშიც იგი მოუწოდებდა დაენერგათ მორიგი ცვლისათვის ვახტების შეუჩერებლად გადაცემის გამოცდილება. ბაქოელმა მენავთობეებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ წინადადების განსახორციელებლად, რამაც უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა. 1933 წლის 15 მაისს დაიდო ბაქოსა და გროზნოს მენავთობეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასათბობო რაიონების შეჯიბრებაში ჩაბმული მენავთობეები და მეშახტეები არ სჯერდებოდნენ მოწინავე გამოცდილების გაზიარებას, არამედ აგრეთვე ეხმარებოდნენ ერთმანეთს ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და აღმოფხვრაში, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაში.

1933 წლის აგვისტოდან ბაქოს სარეწებზე და ქარხნებში გაიშალა მოძრაობა ლენინგრადის საუკეთესო საწარმოების — „წითელი პუტილოველისა" და სტალინის სახელობის ქარხნების გარდამავალი დროშების მოსაპოვებლად. 1933 წლის 13 ოქტომბერს გაზეთმა „პრავდამ" მოაწყო ოთხი ქალაქის — ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო ცენტრების: მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოსა და ხარკოვის რადიოგადაძახილი. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება იყო და ქვეყნის მუშათა კლასის მოწინავე რაზმების ახალი შემოქმედებითი ენთუზიაზმი და აქტივობა გამოიწვია. რადიოგადაძახილში ბაქოდან მონაწილეობდა ერთ-ერთი საუკეთესო მბურღავი ოსტატი აღა ნეიმატულა.

ყარა-ჩუხურის სარეწის დამკვრელთა, გაზეთების „ენი იოლისა" და „ვიშკის" ინიციატივით დიდი ოქტომბრის 16 წლისთავის ზეიმის დღეებში მოსკოვში გაიმართა ბაქოს, დონბასისა და გროზნოს დამკვრელთა შეხვედრა. ამ დღეებში ქალაქ ბაქოში ოქტომბრის დღესასწაულზე შეკრებილმა ლენინგრადელ, გროზნოელ და ბაქო-

ელ დამკვრელთა დელეგაციებმა მიიღეს მიმართვა „საბჭოთა კავშირის ნავთობის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების ყველა დამკვრელი მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი", რომელშიც მოუწოდეს მათ „კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმულიყვნენ, კიდევ უფრო მეტი ენერგია და დაუცხრომლობა გამოეჩინათ ნავთობის მოპოვების გეგმის შესრულებისათვის, ნავთობის მოწყობილობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში"[1].

პარტიის სამხარეო კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საწარმოებში პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. 1933 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხი ბაქოსა და თბილისის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ ბაქოს ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის (ახლა ყარაევის სახელობის ქარხანა) და სტალინის სარეწის ბურღვის მეორე ჯგუფის, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის უჯრედების მაგალითზე. ამ საწარმოებმა, რომლებიც 1932 წელს ძალიან ჩამორჩებოდნენ, 1933 წელს მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა და მოწინავეთა დონეს მიაღწიეს. წარმატებანი მოპოვებულ იქნა ტექნიკის ათვისებისადმი ყურადღების გაძლიერების, წარმოებაში ძალთა სწორი განაწილების, საწარმოო უბნებზე კომუნისტთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფის, პარტიული უჯრედების მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და შინაარსის გაუმჯობესების მეოხებით. მიღებულ გადაწყვეტილებაში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავდა, რომ „ამ უჯრედებმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, ასრულებენ რა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივებს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიულ-მასობრივი მუშაობის დაყენება და ამის საფუძველზე მოიპოვეს დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები ტექნიკის ათვისებისა და თავიანთ საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების დარგში"[2].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია ღრმად შეესწავლათ მოწინავე საწარმოებში პარტიულ-მასობრივი მუშა-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 257, 7 ноября 1933 г.
[2] Журн. «Партработник Закавказья», 1933, № 6—7, стр. 141.

ობის დადებითი გამოცდილება და გაეზიარებინათ იგი ჩამორჩენილებისათვის. მოწინავე უჯრედების მუშაობის დადებითი გამოცდილების ამსახველი მასალები დაეგზავნა ყველა სამრეწველო საწარმოს პარტიულ უჯრედებს და ფართოდ განიხილეს 1933 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ამის საფუძველზე შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი თითოეული პარტიული უჯრედის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მოწინავე პარტიული უჯრედების მუშაობის გამოცდილების განხილვისა და შესწავლის შედეგები შეაჯამეს სპეციალურ პარტიულ თათბირებზე, რომლებიც წლის დამლევს გაიმართა ბაქოში, თბილისსა და ერევანში.

თუმცა ამიერკავკასიის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი შეძლო ოპერატიულად გარდაექმნა თავისი მუშაობა. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ სამეურნეო საკითხებს ამუშავებდა და ივიწყებდა, რომ მათი მთავარი ამოცანაა ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, კომუნისტებისადმი და მათი მეშვეობით — მშრომელთა ფართო მასებისადმი, მთელი სოციალისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება.

დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა საწარმოო თათბირების მუშაობას, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1933 წლის ივლისში განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობდნენ ეს თათბირები ილიჩის ყურის საწარმოებში, ყარა-ჩუხურის ნავთობსარეწზე, კარაკლისის ქიმიურ კომბინატსა და თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამ საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან შეფასებას არ აძლევდნენ საწარმოო თათბირებს, რის გამოც ისინი ვერ გახდნენ ქმედითი იარაღი სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, ტექნიკის ათვისებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და წარმოების რაციონალიზაციისათვის ბრძოლაში. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას გარდაექმნათ საწარმოო თათბირების მუშაობა, ამასთან განეხილათ ამ თათბირებზე სამუშაო დღის შემჭიდროებისათვის, გამომუშავების ტექნიკურად შემოწმებული ნორმებისათვის, ტექნიკური და სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის კონკრეტული საკითხები[1].

[1] Журн. «Партработник Закавказья», 1933, № 4—5, стр. 168.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობ-და სწრაფად მზარდი მრეწველობისაგან რკინიგზის ტრანსპორტის სერიოზული ჩამორჩენის ლიკვიდაციას. მეორე ხუთწლედის დამ-დეგისათვის ამიერკავკასიის რკინიგზამ ამოწურა გამტარობისა და გადაზიდვის უნარიანობის ტექნიკური შესაძლებლობანი. რამდენიმე წლის მანძილზე მას არ შეუსრულებია ნავთობის გადაზიდვის სა-ხელმწიფო გეგმა. ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმოდა, რომ ჩამორჩენილი რკინიგზის ტრანსპორტი შეაფერხებ-და მხარის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა იხელმძღვანელეს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სა-ხალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 3 ივნისის დადგენილებით „რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ" და დასახეს და გა-ნახორციელეს არაერთი ღონისძიება ამიერკავკასიის რკინიგზის მუ-შაობის გასაუმჯობესებლად. რკინიგზაზე შეიქმნა პოლიტგანყოფი-ლება, რამაც ხელი შეუწყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გა-უმჯობესებას. 1933 წლის მაის—აგვისტოში მოეწყო რამდენიმე სამ-ხარეო პარტიული თათბირი, რომლებმაც განიხილეს, თუ როგორ სრულდებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილე-ბანი რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ. 1933 წლის 31 ივლისს ეს საკითხი განიხილა საკავშირო კპ(ბ) ამი-ერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ[1]. სამხარეო კომიტე-ტის ბიურომ აღნიშნა ერთგვარი წარმატებანი ამ საქმეში და ამას-თან მიუთითა, რომ რკინიგზელთა ნაწილი კვლავ ძველებურად მუ-შაობდა. ამიტომ პარტიის სამხარეო კომიტეტმა დასახა ამოცანა გა-უმჯობესებულიყო მასობრივ-განმარტებითი, აღმზრდელობითი მუ-შაობა, გაძლიერებულიყო ტექნიკური ხელმძღვანელობა, დაახლო-ებოდა იგი ძირეულ საწარმოო რგოლს, უზრუნველყოფილიყო შრომისა და დანორმვის სწორი ორგანიზაცია, განმტკიცებულიყო ერთმმართველობა რკინიგზის ტრანსპორტზე, გაუმჯობესებულიყო რკინიგზის მუშაკთა მომარაგება. რკინიგზაზე ნავთობჩასასხმელი მა-ტარებლების კომენდანტებად, უბნებისა და ცალკეული დიდმნიშვ-ნელოვანი კვანძების ხელმძღვანელებად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაგზავნა ბაქოსა და თბილისის პარტიული აქტივიდან მობილიზებული 100 კომუნისტი.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 180. 6 августа 1933 г.

პარტიული ორგანიზაციების მიერ 1933 წელს გაწეული მუშაობის შედეგად მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ახალი ნაბიჯი გადადგა წინ აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობამ. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1933 წლის 5 დეკემბერს მიღებულ დადგენილებაში „„აზნავთობის“ სამუშაოთა 1934 წლის პროგრამის შესახებ“, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის შემდგომ განვითარებაში, ნათქვამი იყო: „ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციისა და „აზნავთობის“ უეკველ წარმატებებს 1933 წელს, რაც იმით გამოიხატა, რომ აღმოჩენილი და ათვისებულია ახალი რაიონები, შესრულებულია მოპოვების ძირითადი პროგრამა და ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დავალება — გეგმის გადამეტებით ამოეღოთ 500.000 ტონა ნავთობი აგვისტო—ნოემბრის ვანმავლობაში“[1].

აზერბაიჯანის მენავთობეებმა პირნათლად შეასრულეს ნავთობის მოპოვების მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. მათ მოიპოვეს 15.4 მილიონი ტონა ნავთობი, რამაც 25,8 პროცენტით გადაამეტა 1932 წლის დონეს.

მეორე ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაამთავრა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის ბევრმა სხვა დარგმა. მთლიანად ამიერკავკასიის ფედერაციის სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1933 წელს, 1932 წელთან შედარებით, შეადგინა 12,3 პროცენტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება ამ მხარის მძიმე, კვების მრეწველობაში. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება ქიმიურ და ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში. ეს მოწმობდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმატებებს ახალი ტექნიკისა და ახალ წარმოებათა ათვისების საქმეში.

1933 წელს ამიერკავკასიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოები, მათ შორის ზესტაფონის ფერომარგანეცის, აგარის შაქრის ქარხნები, კარაკლისის ციანამიდის კომბინატი, რიონჰესი, ძორაჰესი და სხვები, გაფართოვდა წარმოება პირველი ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაცემულ ახალ, აგრეთვე რეკონ-

---

[1] მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 77, შესან. ერთ. 393, ფურც. 1.

სტრუირებულ საწარმოებში. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 794 მილიონი მანეთისა ათვისებულ იქნა 874 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი.

ნავთობისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებთან ერთად კვლავ ჩამორჩებოდნენ სპილენძის მადნის მოპოვებისა და სპილენძსადნობი, ქვანახშირის მრეწველობა და ზოგიერთი სხვა დარგი. 1933 წელს სპილენძის გამოდნობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 59 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობისა — 58 პროცენტით, ხე-ტყის მრეწველობისა — 61 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობისა — 85,3 პროცენტით[1]. ტექნიკური რეკონსტრუქციის და წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გარდაქმნის ამოცანები მრეწველობის ამ დარგებში ჯერ კიდევ ნელა წყდებოდა.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გაშალეს იმისათვისაც, რომ შეესრულებინათ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობათა პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების დარგში. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამიერკავკასიაში საკოლმეურნეო მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საფუძვლიანად განიხილეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე 1933 წლის თებერვალში, აგრეთვე ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებზე იმავე წლის თებერვალსა და აპრილში. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო მებამბეობის, როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი და პერსპექტიული დარგის, შემდგომი განვითარების მნიშვნელობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთავარ ამოცანად დასახა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების წარ-

[1] Контрольные цифры народного хозяйства ЗСФСР на 1934 год. ЗАКГИЗ, Тифлис, 1934, стр. 7.

მოების შემდგომი განვითარება. პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საჭიროა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობების გადიდება. სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე უწინარეს ყოვლისა იდგა მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა. ვინაიდან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ბევრი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება დამოკიდებული იყო ახალი სარწყავი სისტემების შექმნაზე, ამ საკითხმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა, მთელი სიმწვავით გააკრიტიკეს დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი. აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპი ამიერკავკასიაში კვლავ ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპს. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნებოდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო სისუსტით, ბევრი მათგანის არარენტაბელობით.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო კვალიფიციური ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მწვავე ნაკლებობა. ამის გამო კოლმეურნეობებში ხშირად უშვებდნენ სერიოზულ შეცდომებს წარმოების ორგანიზაციაში, შრომის აღრიცხვასა და ანაზღაურებაში. ბევრი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციები და გამგეობები გადაჭარბებულად აფასებდნენ მორალური ფაქტორების როლს და უგულებელყოფდნენ თავისი შრომის შედეგებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპს. ახალგაზრდა სოციალისტურ მრეწველობას ჯერჯერობით არ შეეძლო მთლიანად უზრუნველეყო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. ამავე დროს კოლმეურნეობებში არსებულ მექანიზმებს სპეციალისტთა უყოლობის გამო ცუდად იყენებდნენ.

კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმესა და მათი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას ყოველნაირად აბრკოლებდა შემუსრული კლასობრივი მტერი, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად როდი იყო მოსპობილი. კულაკური ელემენტები შედიოდნენ კოლ-

მეურნეობებში, ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას, თესდნენ გლეხთა მასებში ეჭვს, უნდობლობას კოლმეურნეობებისადმი, პარტიის პოლიტიკისადმი.

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში, სოციალისტურ საფუძველზე მის გარდაქმნაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტგანყოფილებათა შექმნამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებში. ახალ პირობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იყვნენ არა მარტო კოლმეურნეობებისათვის დახმარების გამწევი, მათი საწარმოო-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო ორგანოები, არამედ აგრეთვე ხელმძღვანელი პოლიტიკური, ეკონომიური და ორგანიზაციული ცენტრები სოფლად, ფართო საკოლმეურნეო მასების სოციალისტური აღზრდის, მათზე პარტიული გავლენის გაძლიერების ორგანოები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტგანყოფილებათა შექმნამ და საქმიანობამ ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაადასტურეს პარტიის უნარი, რომ გამოენახა ორგანიზაციის საჭირო ფორმები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ თავი მოეყარა პარტიული ძალებისათვის სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე.

1933 წლის გაზაფხულზე პოლიტგანყოფილებები შეიქმნა ამიერკავკასიის ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან და საბჭოთა მეურნეობაში. პარტიულმა ორგანოებმა პოლიტგანყოფილებებში სამუშაოდ გაგზავნეს იდეურად გამოწრთობილი და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე კომუნისტები. მაგალითად, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პოლიტგანყოფილებებში გაგზავნილი 100 კომუნისტიდან 70-ს ჰქონდა მრავალი წლის პარტიული სტაჟი, ამასთან მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ რევოლუციამდე შევიდა პარტიაში. საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსების დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენდნენ კომუნისტები, რომლებიც 1921 წლამდე შევიდნენ პარტიაში.

პოლიტგანყოფილებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო შეექმნათ და განემტკიცებინათ პირველადი პარტიული ორგანიზაციები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

როგორც აღინიშნა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ 1933 წლის იანვარში მოწვეულ სამხარეო თათბირზე სოფლად პარტიული მუშაობის შესახებ, უდიდესი მნიშვნელობა

ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციის თაობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დირექტივის შესრულებას, გამოცდილ და შემოწმებულ პოლიტმუშაკთა შერჩევას, მათთვის დახმარების გაწევას პოლიტგანყოფილებათა გარშემო მტკიცე პარტიულ-კომკავშირული ბირთვისა და უპარტიო საკოლმეურნეო აქტივის ორგანიზაციაში[1].

პოლიტგანყოფილებები ესწრაფვოდნენ ყოველი ღონისძიებით გაეაქტიურებინათ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გაეძლიერებინათ მათი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული მდგომარეობისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის სოციალისტური გარდაქმნის თაობაზე პარტიის დირექტივების წარმატებით განხორციელებისათვის. პოლიტგანყოფილებათა დახმარებით კოლმეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გაშალეს იმისათვის, რომ შეექმნათ და გამოეწრთოთ სოფლის აქტივი, გაეუმჯობესებინათ შრომის ორგანიზაცია და განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, უზრუნველეყოთ საკოლმეურნეო კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა. პარტიის სასოფლო რაიკომებთან ერთად პოლიტგანყოფილებები არჩევდნენ და გზავნიდნენ კურსებზე საუკეთესო კოლმეურნეებს, რომელთაც შესწევდათ უნარი სათავეში ჩადგომოდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელებს, ბრიგადებს, ფერმებს. მაგალითად, აზერბაიჯანში მარტო 1933 წელს საკოლმეურნეო კადრების მასობრივი გადამზადების კურსები გაიარა 18 ათასმა კაცმა: 600 მათგანმა შეიძინა ტრაქტორისტის სპეციალობა.

1934 წლის იანვარში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დასახა ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მიმბმელთა, სათესი მანქანების მძღოლთა და სხვა საკოლმეურნეო კადრების მომზადების ახალი ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელების მეოხებით უკვე იმავე წელს საქართველოში პოლიტგანყოფილებათა აქტიური მონაწილეობით მომზადდა სხვადასხვა კვალიფიკაციის 7 ათასამდე სპეციალისტი.

პოლიტგანყოფილებებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერების ამოცანა. დიდი მუშაობა ხორციელდებოდა

---

[1] Газ. «Заря Востока» № 19, 22 января 1933 г.

უპარტიო საკოლმეურნეო აქტივის პოლიტიკური აღზრდისა და შეკავშირებისათვის. ამასთან ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ რაიონის ადგილობრივ თავისებურებებს. აზერბაიჯანის ბევრ სასოფლო რაიონში პარტიის რაიკომებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებებმა ფართო პოლიტიკურ-განმარტებითი მუშაობა გაშალეს ქალთა შორის საკოლმეურნეო წარმოებაში მათი ჩაბმის მიზნით.

პოლიტგანყოფილებები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კოლმეურნეობებში ერთპიროვნულ გლეხთა ჩაბმასაც. პოლიტგანყოფილებათა ინიციატივით იწვევდნენ ერთპიროვნულ გლეხთა რაიონულ და სასოფლო ყრილობებს, რომლებზეც განიხილავდნენ თესვასთან, მოსავლის აღებასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს, აცნობდნენ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებასა და წარმატებებს. კოლმეურნეთა ბევრ კრებაზე, განსაკუთრებით წლიური შემოსავლის განაწილების დროს, იწვევდნენ ერთპიროვნულ გლეხებსაც.

სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაშლაში დიდი მუშაობა გასწიეს პოლიტგანყოფილებებთან შექმნილმა გაზეთებმა. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში, პროპაგანდას უწევდნენ და ავრცელებდნენ მოწინავე გამოცდილებას, პოპულარიზაციას უწევდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის მოწინავეებს, აჩაღებდნენ ფართო კამპანიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლებისათვის, ამხილებდნენ კულაკთა და სხვა მტრულ ელემენტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას.

საკოლმეურნეო მოძრაობას გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ შემუსრული ექსპლოატატორული კლასები. სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში მოპოვებულმა წარმატებებმა აიძულეს კულაკი შეეცვალა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა. ბევრი კულაკი თავს ასაღებდა საკოლმეურნეო მოძრაობის მომხრედ, შედიოდა კოლმეურნეობაში და მიზნად ისახავდა შიგნიდან გამოეთხარა ძირი მისთვის. ისინი ბრძოლის ყოველგვარ მეთოდებს მიმართავდნენ: ვერაგულად ესროდნენ კოლმეურნე აქტივისტებს, წამლავდნენ წყალს ჭებში, წვავდნენ საკოლმეურნეო ზვინებსა და ნაგებობებს, აზიანებდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ინვენტარს, აქეზებდნენ კოლმეურნეობებში შესულ ერთპიროვნულ გლეხებს დაეხოცათ განსაზოგადოებული პირუტყვი, საბოტაჟს

უწევდნენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარებას, ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს და ა. შ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებები პარტიის სასოფლო რაიკომებთან და კოლმეურნეობათა პარტიულ უჯრედებთან ერთად რაზმავდნენ გლეხობას მტრული ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ააშკარავებდნენ კულაკთა ძირგამომთხრელი საქმიანობის ფაქტებს, ამხილებდნენ მათს ბინძურ მაქინაციებს, წმენდდნენ კოლმეურნეობებს მიტმასნილი უცხო ელემენტებისაგან, უზრუნველყოფდნენ საბჭოთა ხელისუფლების კანონების დროულად და ზუსტად შესრულებას. საზოგადოებრივი წარმოების დეზორგანიზატორებს აძევებდნენ კოლმეურნეობებიდან და ასახლებდნენ, ხოლო საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე აქტიურ მტრებს განაკულაკებდნენ და მათ მიმართ იყენებდნენ რეპრესიულ ღონისძიებებს.

ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაუსახა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს, დაბეჯითებით მოითხოვდნენ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის რაიონული რგოლის სერიოზულ განმტკიცებას, პარტიის რაიკომების, რაიონული საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობის გაძლიერებას თითოეულ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არსებული მდგომარეობისათვის. სოფლად პარტიული მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 15 ივნისის დადგენილებამ „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის, საკოლმეურნეო უჯრედისა და პოლიტგანყოფილებათა და რაიკომთა ურთიერთობის შესახებ"[1]. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად კომუნისტი კოლმეურნეები იყოფოდნენ დამოუკიდებელ საწარმოო, ე. ი. საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებად. პარტიული უჯრედების შექმნა კოლმეურნეობებში საწარმოო პრინციპის მიხედვით, ნაცვლად ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებისა, მიზნად ისახავდა პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანას უშუალოდ ბრიგადებში, რგოლებში, ფერმებში. საწარმოო პრინციპით სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის საკითხი განიხილა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1933 წლის ივლისში. მიღებულ

[1] Коллективизация сельского хозяйства. Важнейшие постановления Коммунистической партии и Советского правительства. 1927—1935 гг., М., 1957, стр. 459—462.

გადაწყვეტილებაში სამხარეო კომიტეტმა დაავალა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს უახლოეს ხანში გარდაექმნათ სასოფლო პარტიული ორგანიზაციები. მათ წინადადება მიეცათ შეექმნათ პარტიული უჯრედები ყველა კოლმეურნეობაში, სადაც იყო არანაკლებ სამი კომუნისტისა. იმ კოლმეურნეობებში, სადაც სამზე ნაკლები კომუნისტი იყო, იქმნებოდა პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა სასოფლო რაიონული კომიტეტები დაუყოვნებლივ შეუდგნენ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნას. რამდენიმე თვეში მკვეთრად გაიზარდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების რიცხვი. მაგალითად, სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის შედეგად ამიერკავკასიაში 1933 წლის 1 იანვრიდან 15 დეკემბრამდე საკოლმეურნეო პარტიული უჯრედების რიცხვი 1.842-დან გაიზარდა 2.706-მდე, საკოლმეურნეო საკანდიდატო ჯგუფების რიცხვი — 324-დან 1.136-მდე, სასოფლო საბჭოების ტერიტორიული პარტიული უჯრედების რიცხვი — 1.079-დან 1.500-მდე, სასოფლო საბჭოებთან არსებული საკანდიდატო ჯგუფების რიცხვი — 119-დან 187-მდე[1]. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებებისა და პარტიის სასოფლო რაიკომების ყოველდღიური დახმარებით საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მებრძოლი ორგანიზატორები ხდებოდნენ.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, დღენიადაგ ეხმარებოდნენ მათ. მაგალითად, 1933 წლის 4 ნოემბერს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა მოხსენებანი აზერბაიჯანის სსრ შამქორის რაიონის „იულდუზის", საქართველოს სსრ ლანჩხუთის რაიონის ლესაჭინათისა და სომხეთის სსრ ვაღარშაპატის რაიონის „ანასტვაწის" კოლმეურნეობათა პარტიული უჯრედების მუშაობის შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებაში სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ამ უჯრედებმა, საკოლმეურნეო წარმოებაში თავიანთი ძალების სწორად განაწილების, პარტიულ-მასობრივი და ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების მეოხებით, შეძლეს აღმოეფხვ-

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 199.

რათ თავიანთი კოლმეურნეობების ჩამორჩენა, გაეხადათ ეს კოლმეურნეობები მოწინავენი საწარმოო გეგმის შესრულებაში და უზრუნველეყოთ მათი, როგორც ბოლშევიკური კოლმეურნეობების, შემდგომი განვითარება"[1]. პარტიის სამხარეო კომიტეტმა განაზოგადა ამ კოლმეურნეობათა პარტიული უჯრედების მუშაობის დადებითი გამოცდილება და ამასთან აღნიშნა, რომ ისინი ნამდვილად შემობრუნდნენ წარმოებისაკენ: სოფლის კომუნისტთა უმრავლესობა უშეალოდ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში: გაძლიერდა კომუნისტთა ავანგარდული როლი; გაუმჯობესდა, უფრო შინაარსიანი გახდა ამ უჯრედების მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა ხელმძღვანელი სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადებისათვის, ახალშექმნილ კოლმეურნეობებში შეიმჩნეოდა მათი მწვავე ნაკლებობა. ამასთან დაკავშირებით საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეცხადებინა მობილიზაცია და გაეგზავნა სოფლად ხელმძღვანელ სამუშაოზე საქალაქო პარტიულ ორგანიზაციათა კომუნისტები. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ამ დადგენილების შესასრულებლად. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალური კურსების გავლის შემდეგ, სოფლად გაიგზავნა ასამდე კომუნისტი. ისინი რეკომენდებულ იქნენ მსხვილ კოლმეურნეობათა პარტიული უჯრედების მდივნებად. სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 80 ახალშექმნილი კოლმეურნეობის პარტიული უჯრედების ხელმძღვანელობა განამტკიცა რესპუბლიკის ქალაქებიდან სოფლად გაგზავნილი კომუნისტებით. ასეთივე მუშაობა წარმოებდა საქართველოშიც.

ამავე დროს მტკიცდებოდა სასოფლო რაიონების ხელმძღვანელი პარტიული კადრების შემადგენლობა. რაიკომების მდივნებისა და განყოფილებათა გამგეების თანამდებობებზე გზავნიდნენ ათობით თეორიულად მომზადებულ, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე კომუნისტს.

ამიერკავკასიის კოლმეურნეობათა პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ლენინურმა კომკავშირმა. 1933 წლის განმავლობაში

---

[1] К VII съезду коммунистических организаций Закавказья, стр. 181.

საწარმოო საფუძველზე რეორგანიზებულ იქნენ სოფლის კომკავშირული უჯრედებიც. იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიც არ იყო პარტიული ორგანიზაციები, პარტიის სასოფლო რაიკომები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებანი ეყრდნობოდნენ კომკავშირულ უჯრედებს. კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი გაიგზავნა კოლმეურნეობებში სამუშაოდ. 1933 წელს სომხეთის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების თითქმის ყველა წევრი უშუალოდ წარმოებაში იყო დასაქმებული. საქართველოს სასოფლო რაიონებში ათასობით კომკავშირელი მუშაობდა კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებად და წევრებად, ბრიგადირებად, ბუღალტრებად, მოანგარიშეებად. აქტივობას იჩენდნენ აზერბაიჯანის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციებიც.

კომუნისტებისა და კომკავშირელების გარდა სოფლად იგზავნებოდნენ მოწინავე უპარტიო მუშებიც. მარტო 1933 წელს საქართველოს სამრეწველო ცენტრებიდან სოფლად გაიგზავნა 3.500-ზე მეტი კაცი. სულ კი ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში გაიგზავნა დაახლოებით 6.000 კაცი, რომელთაგან 2.456-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა[1]. პარტიის თბილისის ლენინის რაიკომმა იკისრა ვალდებულება საშეფო კასპის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებთან, საბჭოებთან და კოლმეურნეობებთან ერთად სრული პასუხი ეგო ამ რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის. ლენინის რაიკომი საშეფო რაიონის საკითხებს განიხილავდა თავის საწარმოო და სხვა საკითხების თანაბრად. ლენინის რაიონის ხელმძღვანელი აქტივი, მუშები, მოსამსახურეები, სპეციალისტები ფართოდ მონაწილეობდნენ კასპის რაიონში წარმოებულ მუშაობაში[2].

ერევნის, ლენინაკანის, კაფანისა და სომხეთის სხვა ქალაქებისა და მუშათა დაბების სამრეწველო საწარმოებმა სოფლად გაგზავნეს სპეციალური მუშათა ბრიგადები, რომლებიც ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში, მოსავლის აღებაში, სხვა სეზონური სამუშაოების შესრულებაში. მარტო

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 674.

[2] Журн. «Партработник Закавказья», 1933, № 1, стр. 34.

რესპუბლიკის რკინიგზელთა კოლექტივებმა 1933 წელს საშეფო სოფლებში გაგზავნეს მუშათა 134 ბრიგადა, რომლებმაც მოკლე ხანში შეაკეთეს დიდძალი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

აზერბაიჯანის სოფელს დიდ დახმარებას უწევდნენ ბაქოსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა კოლექტივები. კასპიის სანაოსნოს მეზღვაურებმა იკისრეს სალიანის რაიონის შეფობა. სოფლად ყოველმხრივ საშეფო მუშაობას ეწეოდნენ ბაქოს შაუმიანის რაიონის მშრომელები.

საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში, მისი საფუძვლების განმტკიცებაში, კოლექტიურ მეურნეობათა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო, რესპუბლიკურმა და რაიონულმა ყრილობებმა. დამკვრელ კოლმეურნეთა პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც 1933 წლის თებერვალში გაიმართა, უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ამიერკავკასიაშიც. ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებანი რომ განაზოგადა, ყრილობამ დაადასტურა, რომ კოლექტიური მეურნეობა ძირითადი ძალა გახდა სოფლად, რომ მისი შემდგომი ბედი განუყრელად დაკავშირებულია კოლმეურნეობათა განვითარებასთან.

1933 წლის მარტში გაიმართა სრულიად აზერბაიჯანის დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი შეკრება, სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობები. დელეგატები განიხილავდნენ თესვისა და ახალი მოსავლის აღების ორგანიზაციის საკითხებს. კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების გადაუდებელ ამოცანებს, განაზოგადებდნენ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას. ყრილობათა შედეგებს განიხილავდნენ ყველა კოლმეურნეობაში და ისინი სოფლის მშრომელთა ახალ შრომითს აღმავლობას იწვევდნენ. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ აღმავლობას და წარმართეს იგი მომავალი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

მეორე ხუთწლედის პირველსავე წელს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. გაძლიერდა გლეხთა ნდობა კოლმეურნეობებისადმი. კოლექტიური მეურნეობანი შესამჩნევად განმტკიცდნენ, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და აღრიცხვა. სოფლის პარტიული უჯრედები

უფრო ღრმად სწვდებოდნენ საზოგადოებრივ წარმოებას, უფრო კონკრეტულად ამუშავებდნენ მისი განვითარების პრობლემებს. სოფლის კომუნისტთა მებრძოლური, მიზანდასახული მუშაობა ნაყოფიერ შედეგებს იძლეოდა: შესამჩნევად ამაღლდა კოლმეურნეობათა საწარმოო მაჩვენებლები, გაძლიერდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ გაფართოებას. მავალითად, 1933 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი ამიერკავკასიაში გაიზარდა 8.101-მდე, ხოლო მათი მეურნეობების რიცხვი —440.818-მდე; საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერაციული მეურნეობების რიცხვი — 442-მდე, რომელთა ნათესი ფართობი შეადგენდა 144.280 ჰექტარს. კოლექტივიზაციის პროცენტმა ამიერკავკასიაში მიაღწია 41,2 პროცენტს. მთელი ნათესი ფართობების 42,8 პროცენტი კოლმეურნეობებს ეკუთვნოდათ. უფრო სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა კოლექტივიზაცია იმ რაიონებში, რომლებიც დასპეციალებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების რომელიმე წამყვან დარგში. 1933 წელს ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში კოლექტივიზაციის პროცენტმა შეადგინა 64,0, ხოლო მეჩაიეობის რაიონებში — 68,0[1]. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ხუთწლედის პირველ წელს აზერბაიჯანმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და ქვეყანას მისცა 132,5 ათასი ტონა ბამბა.

მტკიცდებოდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. 1933 წელს ამიერკავკასიაში მოქმედებდა 67 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 1933 წელს მხარის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 4.074 ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 57,4 ათას ცხენის ძალას შეადგენდა[2].

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზაციის გზით ამიერკავკასიის სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში მოპოვებულმა წარმატებებმა, გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციამ, სახელმწიფოს მნიშვნელოვანმა მატერიალურმა დახმარებამ სოფლის მეურნეობისადმი, პოლიტგანყოფილებათა შექმნამ საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნე-

---

[1] Контрольные цифры народного хозяйства ЗСФСР на 1934 год, стр. XXVIII.

[2] იქვე, გვ. 75.

ობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურმა განმტკიცებამ უზრუნველყვეს ამ მხარის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა 1933 წელს. ყველა სახელმწიფო გეგმა სოფლის მეურნეობის დარგში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესების შედარებით უმნიშვნელო ზრდის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, მარცვლეული კულტურების მთლიანი პროდუქცია 1932 წელთან შედარებით გადიდდა 54,6 პროცენტით, ბამბის წარმოება — 60,7 პროცენტით, თამბაქოსი — 18 პროცენტით, ჭარხლის წარმოება — 6,8 პროცენტით, ჩაის კრეფა— 129 პროცენტით და ა. შ.[1].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა მიერ მეორე ხუთწლედის პირველ წელს გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამეს აზერბაიჯანის კომპარტიის XII ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის IX ყრილობამ და სომხეთის კომპარტიის IX ყრილობამ, რომლებიც 1934 წლის იანვარში გაიმართა. ამ ყრილობებმა დასახეს მხარის რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები 1934 წლისათვის.

სოციალიზმის აშენებისათვის ამიერკავკასიის ფედერაციის მშრომელთა ბრძოლის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობა, რომელიც 1934 წლის 15—18 იანვარს გაიმართა თბილისში. ამ დროისათვის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა პარტიის 92.403 წევრსა და 39.832 წევრობის კანდიდატს[2]. აქედან აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 62.022 კაცი, სომხეთისაში— 21.782 კაცი და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში — 48.431 კაცი[3]. გარდა ამისა, პარტიის 12 ათასამდე წევრი და წევრობის კანდიდატი აღრიცხვაზე იყო ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში.

VII ყრილობას ესწრებოდა 446 დელეგატი გადამწყვეტი ხმის და 98 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატთა შორის იყო 193 მუშა (43,3 პროცენტი). ყრილობის 115 დელეგატს (25 პროცენტი) ჰქონდა ოქტომბრამდელი

[1] Контрольные цифры народного хозяйства ЗСФСР на 1934 год, стр. XXVIII.

[2] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 1, შესან. ერთ. 4541, ფურც. 23.

[3] იქვე; Коммунистическая партия Азербайджана в цифрах, стр. 23.

პარტიული სტაჟი, ხოლო 158 დელეგატი (35 პროცენტი) პარტიაში შევიდა 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლამდე.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ანგარიში; საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიისა და საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიშები; ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნები; საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

ამიერკავკასიელი ბოლშევიკები თავიანთ ყრილობას შეეგებნენ ორგანიზებულნი და შეკავშირებულნი, ნავთობის, ბამბის, ჩაის, მარცვლეულის, თამბაქოს, სუბტროპიკული კულტურების წარმოების დარგში მეორე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულების მაღალი მაჩვენებლებით. მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული კოლმეურნეობათა პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

ყველა ეს გამარჯვება მხარის კომუნისტებმა მოიპოვეს იმის მეოხებით, რომ მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარეს პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, პარტიის რიგების მონოლითურობისათვის, პარტიის თითოეული წევრისა და მთლიანად პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ბრძოლას, ამიერკავკასიის ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცებისათვის ბრძოლას და ამავე დროს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების შემოქმედებითი ინიციატივისა და ფართო თვითმოქმედების გაშლას.

ამიერკავკასიის კომუნისტების VII ყრილობამ გულდაგულ გააანალიზა ფედერაციის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის 1933 წლის მუშაობის შედეგები, განსაზღვრა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანები.

ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ „ნავთობის მრეწველობის, როგორც სსრ კავშირის თბევადი სათბობის ძირითადი ბაზის, ყოველი ღონისძიებით განვითარება ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“[1].

---

[1] VII съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Тифлис, 1934, стр. 196.

ნავთობის მრეწველობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებასთან და ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების გეგმების შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად მრეწველობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ფერადი მეტალურგიის, სამთამადნო, ქვანახშირის, ქიმიური, მანქანათაშენებელი, საშენ მასალათა, მსუბუქი, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების სწრაფი ზრდა. განსაკუთრებით ხაზი გაესვა მარგანეცის, სპილენძისა და ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის, მათი პროდუქციის გამოშვების გადიდების, ერევნის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მშენებლობის დაჩქარების, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, რიონისა და ქანაქერის ჰიდროელექტროსადგურების, ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრების, მთელი რიგი სხვა ელექტროსადგურების მშენებლობის დიდ მნიშვნელობას. ყრილობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებდნენ აგრეთვე კასპიის ნავთობჩასასხმელი ფლოტის, ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკურ რეკონსტრუქციას, შავიზღვისპირა რკინიგზის მშენებლობის დაჩქარებას, საავტომობილო ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობის განვითარებას ამ მხარეში.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიის ფედერაციის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. ყრილობამ აღნიშნა სსრ კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად ამიერკავკასიის გადაქცევის, მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური, აგრეთვე სუბტროპიკული კულტურების დანერგვის საქმეში მოპოვებული წარმატებანი და მიუთითა, რომ საჭირო იყო ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების წარმოების შემდგომი გადიდება. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა მეცხოველეობის ჩამორჩენის დაძლევა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მისი მექანიზაციის დონის ამაღლებას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებას.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო იყო კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფა. დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად დაისახა თითოეული კოლმეურნეობის ბოლშევიკურ მეურნეობად გადაქცევა, ხოლო ყველა კოლმეურნისა — შეძლებულად. პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ

გლეხთა შორის, კოლმეურნეობების გაწმენდას კულაკური და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისაგან.

ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო კადრების მომზადების, აღზრდისა და სწორი განაწილების საკითხებიც. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ განეგრძოთ მუშაობა იმისათვის, რომ „განემტკიცებინათ კადრებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირეული რგოლები ცენტრალური აპარატების გადაჭრით შემცირებისა და გამარტივების და ამ აპარატების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების უშუალოდ წარმოებაში გადაყვანის გზით"[1]. დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაისახა პარტიული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის, კულტურული რევოლუციის შემდგომი განხორციელების დარგში მათი საქმიანობის გაძლიერებისათვის.

ყრილობაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დირექტივის რეალიზაციის დიდ მნიშვნელობას, რომ გაფართოებულიყო ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივა და თვითმოქმედება[2], რაც გამომდინარეობდა ლენინური, ეროვნული პოლიტიკიდან.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების VII ყრილობამ ახალი ძალით დაადასტურა ამიერკავკასიელ კომუნისტთა შეკავშირება და მათი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ებრძოლათ პარტიის გენერალური ხაზისათვის, მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის.

VII ყრილობამ აირჩია საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდა 124 წევრი და 35 კანდიდატი. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთა შორის იყვნენ: რ. ა. ახუნდოვი, დ. ქ. ბუნიათზადე, ა. ა. გულოიანი, ე. ა. კვანტალიანი, მ. კ. ლევანდოვსკი, გ. მ. მუსაბეკოვი, ფ. ე. მახარაძე, ს. ნ. მარტიკიანი, უ. პ. რახმანოვი, გ. თ. სტურუა, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, მ. გ. ტოროშელიძე, მ. ა. ნარიმანოვი, ა. გ. ხანჯიანი, ს. მ. ეფენდიევი და სხვები. სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს 16 კაცი.

ყრილობამ აირჩია საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობის დელეგატები — 75 გადამწყვეტი ხმის და 16 სათათბირო ხმის უფლებით.

---

[1] VII съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет, стр. 211.

[2] იქვე, გვ. 212.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეიკრიბა საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობა. იგი მიმდინარეობდა 1934 წლის 26 იანვრიდან 10 თებერვლამდე საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის, კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კპ (ბ) დელეგაციის ანგარიშები, მეორე ხუთწლედის გეგმა და ორგანიზაციული საკითხები (პარტიული და საბჭოთა მშენებლობა). ყრილობაზე შეაჯამეს სოციალისტური მშენებლობის, ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგები, პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელების მეოხებით მისი მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაქცევის შედეგები.

პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ 1933—1937 წლების ძირითად პოლიტიკურ ამოცანად დასახული იყო კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია და იმ მიზეზების მთლიანად აღმოფხვრა, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, საზოგადოების დაყოფას ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება მიჩნეული იყო ძირითად სამეურნეო ამოცანად, რომლის გადაწყვეტა მოითხოვდა ახალი ტექნიკის ათვისებას.

კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა მეორე ხუთწლედში განისაზღვრა 133 მილიარდი მანეთის ოდენობით, ე. ი. ერთიორად გადიდდა პირველ ხუთწლედთან შედარებით. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობას 1937 წელს 2,1-ჯერ უნდა გადაეჭარბებინა 1932 წლის დონე და დაახლოებით 8-ჯერ—1913 წლის დონე. დასახული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ერთიორად გაზიდება, რისთვისაც მთლიანად უნდა დამთავრებულიყო კოლექტივიზაცია და განხორციელებულიყო მთელი სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია.

საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობამ მიიღო რეზოლუცია პარტიული და საბჭოთა მშენებლობის შესახებ, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია ადამიანების შერჩევა და შესრულების შემოწმება.

ყრილობამ მიიღო პარტიის წესდება ახალი რედაქციით და აირჩია საკავშირო კპ (ბ) ხელმძღვანელი ორგანოები.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ ფართო განვითარებას სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე.

მეორე ხუთწლეულში კაპიტალური დაბანდებანი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გათვალისწინებული იყო 5,2 მილიარდი მანეთის ოდენობით (1933 წლის ფასებით), აქედან მძიმე მრეწველობაში — 2,6 მილიარდი მანეთი, მაშინ როცა მთელ პირველ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში შეადგენდნენ 2,3 მილიარდ მანეთს. თუ 1932 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია (1926/27 სამეურნეო წლის ფასებით) შეადგენდა 1,4 მილიარდ მანეთს, 1937 წელს ამიერკავკასიას უნდა გამოეშვა 2,5 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, ხოლო 1932—1937 წლებში — 10 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულებისა[1].

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების უმნიშვნელოვანესი ელემენტი მეორე ხუთწლედში იყო უახლესი ენერგეტიკული ბაზის შექმნა ელექტრიფიკაციის დარგში დიდ სამუშაოთა განხორციელების საფუძველზე. მეორე ხუთწლედის გეგმით ამიერკავკასიის ფედერაციის ელექტროსადგურების სიმძლავრე უნდა გადიდებულიყო 484,8 მილიონ კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება—1.684,4 მილიონ კილოვატსაათამდე[2], ე. ი. 1932 წელთან შედარებით უნდა გადიდებულიყო ერთიორად და მეტად.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ნავთობის მრეწველობის სულ უფრო მზარდ როლს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომი-

[1] Второй пятилетний план развития народного хозяйства СССР (1933—1937 гг.), т. II. План развития районов. М., 1934, стр. 541; Контрольные цифры народного хозяйства ЗСФСР на 1934 г., Тиф ис, 1934, стр. VIII, 2, 3; Народнохозяйственный план ЗСФСР на 1935 г., Тифлис, 1935, стр. 2, 3, 6; Народнохозяйственный план на 1936 г., Тифлис, 1936, стр. 130, 131.

[2] Контрольные цифры народного хозяйства ЗСФСР на 1934 г., стр. 62; Народнохозяйственный план ЗСФСР на 1935 г., стр. 96; Народнохозяйственный план на 1936 г., стр. 140, 141.

კისათვის და სახავდა მის მაქსიმალურად გაფართოებას. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მეორე ხუთწლეულში „აზნავთობის“ ხაზით გეგმის შესაბამისად გათვალისწინებული იყო 1,3 მილიარდი მანეთის ოდენობით[1]. „აზნავთობს“ ნავთობის მოპოვება 1932 წლის 12,2 მილიონი ტონიდან უნდა გაედიდებინა 22,5 მილიონ ტონამდე 1937 წელს, ხუთწლედის მანძილზე მიეცა ქვეყნისათვის 96.8 მილიონი ტონა ნავთობი. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აზერბაიჯანში 5,6 მილიონ მეტრზე მეტი ნავთობის ჭაბურღილის გაყვანას და 49 მილიონ ტონამდე ნავთობის გადამუშავებას.

მეორე ხუთწლედში უნდა დამთავრებულიყო ამიერკავკასიის მრეწველობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების ტექნიკური რეკონსტრუქცია და შემდგომი განვითარება, როგორიცაა მარგანეცის მრეწველობა, ფერადი მეტალურგია (სპილენძი), ქვანახშირის, ქიმიური, მსუბუქი, კვების, ხე-ტყის, მანქანათსაშენებელი, საშენ მასალათა (კერძოდ, ცემენტის) მრეწველობა და სხვ.

ძველი დარგების (მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა, მეცხოველეობა) განვითარებასთან ერთად მეორე ხუთწლეულის გეგმამ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას დაუსახა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების (ბამბა, ჩაი, ციტრუსები) წარმოების ფართო განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანები. ამიერკავკასიის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ბამბის წარმოებაში მეორე ხუთწლედის მანძილზე 10-დან უნდა გადიდებულიყო 12,2 პროცენტამდე. ჩაის პლანტაციების ფართობი უნდა გაზრდილიყო 48 ათას ჰექტარამდე, ხოლო ციტრუსებისა — 2,3 ათასი ჰექტარიდან 10 ათას ჰექტარამდე. ხუთწლედის დამლევისათვის მხარეს უნდა ეწარმოებინა 500 მილიონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი, ჩვენს ქვეყანაში მოწეული მთელი თამბაქოს 29,1 პროცენტი. დიდი ამოცანები იყო დასახული ირიგაციისა და მელიორაციის დარგში, რისთვისაც გამოიყო დიდძალი სახსრები[2].

სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის საფუძველზე გეგმა ითვალისწინებდა დიდ ძვრებს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კულტურულ-საყოფაცხოვ-

[1] Второй пятилетний план развития народного хозяйства СССР (1933—1937 гг.), т. I, М., 1934, стр. 563.

[2] იქვე, ტ. II, გვ. 222, 223, 543.

რებო მშენებლობის დარგში. განათლების შემდგომი განვითარებისათვის ხუთწლეულში გამოყოფილი იყო 191 მილიონი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისათვის — 172 მილიონი მანეთი. მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითს და საშუალო სკოლებში უნდა გადიდებულიყო 38 პროცენტით. გათვალისწინებული იყო 2,6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აშენება[1].

მეორე ხუთწლიანი გეგმით დასახულმა ამოცანებმა ხელი შეუწყვეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის როლის შემდგომ ამაღლებას ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, საბჭოთა კავშირის ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ნაწილის საწარმოო ძალთა ფართოდ განვითარებას[2].

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილება მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. არსებულ სიძნელეებს რომ სძლევდნენ, ისინი მტკიცედ და გულდაჯერებით მიდიოდნენ წინ, აღწევდნენ ახალ გამარჯვებებს სოციალისტურ მშენებლობაში.

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი ღონისძიებანი მოახმარეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დაჩქარებას, ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ამაღლებას პოლიტიკური მუშაობის დონემდე.

პარტიული უჯრედების შემადგენლობის ზრდასთან, საქმიანობის გაფართოებასთან და მათ წინაშე დასახული ამოცანების გართულებასთან დაკავშირებით პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად პარტიული უჯრედები გარდაიქმნა პირველად პარტიულ ორგანიზაციებად, რომელთაც სათავეში ედგნენ პარტიული კომიტეტები, პარტორგები, პარტბიუროების მდივნები. ამ მიზნით 1934 წლის მარტ—აპრილში ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გაიმართა პარტიული კრებები, რომლებმაც წარმოების ამოცანებთან პარტიული მუშაობის მჭიდრო კავშირურთიერთობის ლოზუნგით ჩაიარეს. პარტიული უჯრედები პირველად პარტიულ ორგანიზაციებად გარდაიქმნა.

---

[1] Второй пятилетний план развития народного хозяйства СССР, т. II, стр. 541, 224, 225.

[2] იქვე, გვ. 225.

1935 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში, რომლის რიგებში 122.994 კომუნისტი იყო (პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა რიცხვი შემცირდა იმის გამო, რომ 1933 წლიდან დროებით შეჩერდა პარტიაში მიღება), მოქმედებდა 7.345 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 1.910 პარტიული კომიტეტი, 5.435 პარტორგი, 1.521 საკანდიდატო ჯგუფი, 2.680 თანამგრძნობთა ჯგუფი, 1.269 პარტიულ-კომკავშირული ჯგუფი[1].

საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ 1935 წლის 28 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება „საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების, ბაქოს კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, ერევნის კომიტეტის, რაიკომების აპარატების სტრუქტურის შესახებ და პარტიულ ორგანიზაციათა ძირეული რგოლების გარდაქმნის შესახებ"[2]. ამ გადაწყვეტილების თანახმად პარტიული კომიტეტების ფუნქციური აგება, რომელიც ასუსტებდა ოპერატიულ ხელმძღვანელობას, გაუქმდა. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში ფუნქციური განყოფილებანი ლიკვიდირებულ იქნენ და მათ ნაცვლად შეიქმნა ერთიანი საწარმოო-დარგობრივი განყოფილებები. ახალი სტრუქტურის მიხედვით სამხარეო კომიტეტის აპარატი შეიცავდა სამხარეო კომიტეტის ორ მდივანს, 5 განყოფილებას — ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების, კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ვაჭრობის განყოფილებებსა და განსაკუთრებულ სექტორს[3]. პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან პარტიული ხელმძღვანელობის დაახლოების, მათდამი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით წინანდელი განყოფილებანი პარტიის რაიკომებში და თითქმის ყველა საქალაქო კომიტეტში ლიკვიდირებულ იქნენ; განყოფილებების ნაცვლად შეიქმნა პასუხისმგებელ ინსტრუქტორთა აპარატი ბიუროებისა და პლენუმების წევრთაგან. ამასთან თითოეული ინსტრუქტორი მიემაგრა პირველადი პარტიული ორგანიზაციების გარკვეულ დარგობრივ ჯგუფს. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თხოვნით ბაქოსა და თბილისის

---

[1] მლისფპა, ფ. 13, აღწ. 2, შესან. ერთ. 768, ფურც. 51, 52.

[2] იქვე, შესან. ერთ. 267, ფურც. 16.

[3] იქვე, შესან. ერთ. 268, ფურც. 161, 162.

კომიტეტები შეტანილ იქნენ ჩვენი ქვეყნის იმ უდიდესი ქალაქების პარტიის საქალაქო კომიტეტების სიაში, სადაც შეიქმნა დარგობრივი განყოფილებები. გარდა ამისა, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ნახჭევნის, მთიანი ყარაბაღის საოლქო კომიტეტებში, ერევნის, განჯის, ქუთაისის, ლენინაკანის, ფოთის, ნუხის საქალაქო კომიტეტებში, ამიერკავკასიის მთელ რიგ უდიდეს სასოფლო რაიკომებში შენარჩუნებულ იქნა კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებები.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გარდაქმნის არსს ის შეადგენდა, რომ უფრო ოპერატიული გამხდარიყო მათი მუშაობა, რომ მათ უფრო ყურადღებით და სერიოზულად შეერჩიათ პარტიული კადრები, უფრო გაბედულად დაეწინაურებინათ ისინი პასუხსაგებ უბნებზე, უფრო ღრმად სცოდნოდათ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ცხოვრება, უკეთ დახმარებოდნენ მათ, უკეთ წარემართათ მათი მუშაობა, ადგილზე კონკრეტული ხელმძღვანელობით უზრუნველყოთ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

1934 წლის აპრილში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტურ პარტიათა ზოგიერთი რაიკომების ინსტრუქტორების თათბირი, რომელმაც ცხადყო, რომ ყველა რაიკომმა სწორად როდი გაიგო გარდაქმნის არსი და საკმაოდ ნათლად როდი ჰქონდა წარმოდგენილი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების გზები.

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გააჩაღა თვით პარტიული ორგანოების გარდაქმნისა და მათი მუშაობის მეთოდების ძირეულად გაუმჯობესებისათვის. 1934 წლის 27 აპრილს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა პარტიის რაიკომების ინსტრუქტორებთან მუშაობის საკითხი. სამხარეო კომიტეტმა მოუწოდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას ძირითადი ყურადღება დაეთმო იმისათვის, რომ ინსტრუქტორთა მეშვეობით მაქსიმალურად დაეახლოვებინა პარტიის რაიკომები პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის, გულდაგულ, სერიოზულად შეერჩია ინსტრუქტორები, აღმოეფხვრა მუშაობის ბიუროკრატიულ-კანცელარიული მეთოდები, დაენერგა ცოცხალი, ოპერატიული ხელმძღვანელობა და შესრულების შემოწმება.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ამ მითითებათა საფუძველზე გარდაიქმნა პრაქტიკული მუშაობა ინსტრუქტორებისა, რომლებიც თანდათანობით ხდებოდნენ ცენტრალური რგოლი პარტიული აპარატის მუშაობაში. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები უფრო გულდაგულ განიხილავდნენ ინსტრუქტორთა ხარისხობრივი შერჩევისა და მათი სწორად განაწილების საკითხებს. 1934 წლის 10 აგვისტოსათვის ამ მხარის პარტიის სასოფლო რაიკომების 444 შტატიანი ინსტრუქტორიდან შერჩეული იყო და მუშაობდა 408[1].

პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია თანამგრძნობთა ჯგუფების შესაქმნელად. ეს ჯგუფები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ პარტიას და წარმოადგენდნენ ახალ ამძრავ ღვედს მისგან მშრომელთა უფართოესი მასებისაკენ. თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციას მიეძღვნა კომუნისტთა კრებები, რომლებიც ამიერკავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გაიმართა. 1934 წლის 1 ოქტომბრისათვის ამიერკავკასიის პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი იყო 1.900-ზე მეტი თანამგრძნობთა ჯგუფი, რომლებიც 10,5 ათას კაცს მოიცავდნენ[2]. პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს თანამგრძნობთა შერჩევისათვის. ქალაქებში თანამგრძნობთა ჯგუფებში ძირითადად მიიღეს საუკეთესო უპარტიო დამკვრელი მუშები. თანამგრძნობებთან მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს ბაქოს, თბილისისა და ერევნის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ბევრმა სასოფლო-რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" თავის ფურცლებზე მოაწყო თანამგრძნობთა შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარება. ნომრიდან ნომერში გაზეთი რუბრიკით „თანამგრძნობებთან მუშაობის გამოცდილების ტრიბუნა" ბეჭდავდა მასალებს ამ საკითხზე, უშვებდა სპეციალურ „გამოცდილების ფურცლებს". „ზარია ვოსტოკა" ითვალისწინებდა, რომ თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნა ახალი მომენტი იყო პარტიულ მშენებლობაში, და ახორციელებდა ამ მუშაობის

---

[1] Журн. «Партработник Закавказья», 1934, № 12, стр. 48.

[2] იქვე, 1934, № 17, გვ. 4—5.

გამოცდილების გაზიარებას მოსკოვის (ქარხნები „ელექტროძალა", „კაუჩუკი") და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა შორის[1].

სოციალისტური მშენებლობის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, კომუნისტთა იდეური დონის ამაღლებას, ხელმძღვანელი კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებას, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების მუშაობის აქტივიზაციასა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას. მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს ამ მიმართულებით.

ამასთან დაკავშირებით დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 27 მარტის დადგენილებამ „საკავშირო კპ(ბ) საქალაქო კომიტეტებში პარტიული კადრების განყოფილებათა შექმნის შესახებ". ამიერკავკასიაში პარტიის საქალაქო კომიტეტებში, მალე კი რაიკომებშიც შეიქმნა პარტიული კადრების განყოფილებანი, რამაც ხელი შეუწყო კადრების შერჩევის, დაწინაურების, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესებას.

ბაქოს პარტიული ორგანიზაციის — ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაციის — განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით პარტიის ბაქოს კომიტეტში შეიქმნა სამდივნო.

პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მხარის პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის შემდეგ ათასობით კომუნისტი პირველად მოვიდა ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. ამ ვითარებაში პარტიული აქტივის აღზრდას, მის სწავლებას, მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების გავრცელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ დარგში დასახული ამოცანების გადასაწყვეტად პარტიული ორგანიზაციები იყენებდნენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებს. მაგალითად, საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანომ — ჟურნალმა „პარტრაბოტნიკ ზაკავკაზიამ" 1935 წელს თავის ფურცლებზე მოაწყო პარტორგთა სამხარეო დაუსწრებელი კონფერენცია. ოთხი თვის განმავლობაში ჟურნალის ფურცლებზე თავისი პარტიული მუშაობის გამოცდილების შესახებ გამოვიდა 36 კაცი, მათ შორის 27 პარ-

[1] Газ. «Заря Востока» № 290, 16 декабря 1934 г.

ტორგი. მათი გამოსვლები მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომუნისტის ავანგარდული როლი წარმოებაში, პარტიული კადრების სწორი განაწილება, პარტიული დღეები, პარტიული სწავლება, მუშაობა თანამგრძნობებთან, ინდივიდუალური აგიტაცია, თავისი საქმის ტექნიკის დაუფლება, პარტორგთა სწავლება, ოპერატიულობა და გეგმიანობა მუშაობაში და სხვ. პარტორგთა დაუსწრებელი კონფერენცია, რომელსაც გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი ძირეულმა პარტიულმა მუშაკებმა, პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების მასობრივ ღონისძიებად გადაიქცა.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა აამაღლეს პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონეც. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტთა ინტერესი პარტიის ისტორიის შესწავლისადმი, გაფართოვდა მათი ჩაბმა პარტიულ სწავლებაში, გაუმჯობესდა პარტიული განათლების ქსელის მუშაობის შინაარსი. 1933/34 სასწავლო წელს ამიერკავკასიის საბჭოთა და პარტიულ სკოლებში და წრეებში სწავლობდა პარტიის წევრთა 78,7 პროცენტი და პარტიის წევრობის კანდიდატთა 80,9 პროცენტი[1]. საბჭოთა და პარტიული სკოლების რეორგანიზაციისა და სწავლების ვადის 2 წლიდან 8 თვემდე შემცირების შემდეგ განხორციელდა მათი სპეციალიზაცია: ამიერკავკასიაში მოქმედებდა 6 სამრეწველო და 32 სასოფლო-სამეურნეო საბჭოთა და პარტიული სკოლა. დიდი მუშაობა შესრულდა პროპაგანდისტთა შერჩევისა და მომზადებისათვის.

გასული წლებისაგან განსხვავებით, როცა პარტწრეებში წარმოებდა ყრილობის გადაწყვეტილებათა ეგრეთ წოდებული „დამუშავება", მოეწყო თითოეული კომუნისტის მიერ საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა, მათი ფართოდ განმარტება მუშებისათვის, კოლმეურნეებისათვის, მოსამსახურეებისათვის, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებისათვის.

1935 წლის 4—5 აგვისტოს საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან გაიმართა თათბირი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხებზე. თათბირმა განიხილა საკითხები: შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პარტიული სწავლების შედეგები და 1934/35 სასწავლო წელს სწავლე-

[1] Журн. «Партработник Закавказья», 1934, № 10, стр. 66.

ბის გაშლის ღონისძიებანი, პოლიტიკური სწავლება კომკავშირში, საბჭოთა და პარტიული სკოლების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულება.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში სულ უფრო მკვიდრდებოდა კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც ემყარებოდა ადგილებზე არსებული მდგომარეობის კარგ ცოდნას. პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდნენ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, ერთიანობისა და იდეური სიწმინდის გაძლიერებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პარტიის წმენდისათვის მზადებამ, პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ და 1926 წლის ნიმუშის პარტიული ბილეთების, საკანდიდატო ბარათებისა და სააღრიცხვო დოკუმენტების გამოცვლამ. 1933 წელს გარკვეული მუშაობა განხორციელდა პარტიის წმენდისათვის მოსამზადებლად; მაგრამ პარტიული დოკუმენტების მომავალ შემოწმებასთან და გამოცვლასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში წმენდა არ ჩატარებულა[1].

1934 წლის 1 დეკემბერს გაბოროტებულმა გარეწარმა, რომელიც პარტიული ბილეთით ინიღბებოდა, ავაზაკურად მოკლა ს. მ. კიროვი. ამან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საჭირო იყო რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, პარტიის დაცვა უცხო ელემენტებისაგან.

ამ ამოცანების გადაწყვეტას ხელს უწყობდა პარტიული დოკუმენტების შემოწმება და გამოცვლა. ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში ეს ღონისძიება 1935 წლის მაის—დეკემბერში განხორციელდა. შემოწმების მსვლელობაში ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის რიგებიდან გაირიცხა მისი შემადგენლობის

[1] Четвертый Пленум ЗКК ВКП(б). Стенографический отчет. Тифлис. 1936, стр. 10

18,8 პროცენტი. ესენი ძირითადად იყვნენ უცხო და შემთხვევითი, პარტიის რიგებში გამძვრალი ადამიანები.

შემოწმების შემდეგ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია ითვლიდა 112,2 ათას წევრს, აქედან აზერბაიჯანის კომპარტია — 44,4 ათასს, საქართველოსი — 38,6 ათასს, სომხეთის კომპარტია — 18,3 ათასს, და ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციები — 10,8 ათასს[1]. შემოწმების დროს ჯეროვანი წესრიგი დამყარდა პარტიული დოკუმენტების შენახვისა და გაცემის საქმეში. შემოწმებამ ხელი შეუწყო კომუნისტთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას, მათი ავანგარდული როლის გაძლიერებას წარმოებაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას მრეწველობაში და ტრანსპორტზე. მაგრამ პარტიული დოკუმენტების შემოწმების მსვლელობაში იყო პარტიიდან დაუსაბუთებლად გარიცხვის ფაქტებიც. ეს შეცდომები გამოსწორდა 1935 წლის დამლევს და 1936 წლის პირველ ნახევარში.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგები 1936 წლის 2—4 თებერვალს შეაჯამა საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის IV პლენუმმა. როგორც პლენუმმა აღნიშნა თავის დადგენილებაში, შემოწმებამ ცხადყო, რომ „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები პარტიის საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის გარშემო შეკავშირებული ჯანსაღი, მტკიცე, ბრძოლისუნარიანი ორგანიზაციები არიან“...[2].

პლენუმმა დასახა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის კონკრეტული პროგრამა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის ჩასატარებლად, რაც სერიოზული პარტიულ-ორგანიზაციული ღონისძიება იყო და რასაც უნდა განემტკიცებინა პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგები, ხელი შეეწყო პარტიის რიგების შემდგომი გაძლიერებისათვის, გაეუმჯობესებინა მუშაობა თანამგრძნობთა შორის პარტიაში მისაღებად მომზადებისათვის, გაეძლიერებინა ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. პლენუმმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭირო იყო ღონისძიებათა განხორციელება ისეთი პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, როგორიც

---

[1] Четвертый Пленум ЗКК ВКП(б). Стенографический отчет, стр. 11.
[2] Газ. «Заря Востока» № 30, 6 февраля 1936 г.

ოყვნენ აფხაზეთის, ნახჭევნის, კიროვაბადის, ლენინაკანისა და სხვა ორგანიზაციები, რომლებშიც პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ გამოავლინა პარტიული მუშაობის სუსტი დაყენება, აგრეთვე წინადადება მისცა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს განეხორციელებინათ სპეციალური ღონისძიებანი მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად.

პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნამ და გაუმჯობესებამ, ყურადღების გაძლიერებამ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი, აგრეთვე ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმების სრულყოფამ კეთილნაყოფიერად იმოქმედა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

2. პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. წარმოების ნოვატორთა მოძრაობის გაშლა

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის და კომუნისტთა VII სამხარეო ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ამ მხარის მშრომელთა ბრძოლას მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უწინდებურად იყო ნავთობის მრეწველობის განვითარების, ნავთობის მოპოვებისა და ნავთობპროდუქტების წარმოების გადიდების საკითხები, ვინაიდან სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე. 1934 წლის 29 იანვარს საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ, ხოლო 3 თებერვალს — აზერბაიჯანის კპ(ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმმა განიხილეს „აზნავთობის“ რეორგანიზაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები და ნავთობის მრეწველობის მუშაობის მდგომარეობა. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი: ჭაბურღილების გაყვანისა და ათვისების ვადების ჩაფუშვა; ბურღვისა და მექანიზებული მოპოვების გეგმების შეუსრულებლობა; მოცდენები და ავარიები და

შემრიგებლური დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი; ნავთობის საქმის ორგანიზაციის სრულყოფის შეუფასებლობის ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით „აზნავთობის", რაიკომებისა და პარტიული კომიტეტების წინაშე დაისახა ამოცანა, რომ გაეძლიერებინათ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა მეურნეობის ყველა უბნისადმი, გაღაკრით განემტკიცებინათ პარტიული და საწარმოო დისციპლინა, განეხორციელებინათ ღონისძიებანი ნავთობის მრეწველობის ცალკეულ უბნებზე არსებული ტექნიკური ჩამორჩენისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ავარიების თავიდან ასაცილებლად. პასუხისგებაში მიეცათ ამაში დამნაშავე პირნი[1]. საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა გადაჭრით გაილაშქრეს ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის თვითდამშვიდების წინააღმდეგ, რომელთაც მიაჩნდათ, ნავთობის მრეწველობაში გარდაქმნა უკვე დამთავრდაო. ამ გარდაქმნის განგრძობისა და დამთავრების აუცილებლობას ეხებოდა გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია „გამოვიტანოთ ყოველგვარი დასკვნები"[2]. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „აზნავთობის" დაწვრილერთეულება მიზნად ისახავდა დაეახლოვებინა ხელმძღვანელობა წარმოებასთან, უფრო მოქნილი, კონკრეტული, ოპერატიული გაეხადა იგი. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი ორგანიზაციული მუშაობით სწრაფად და გადაჭრით გარდაექმნათ თავიდან ბოლომდე ნავთობის მრეწველობის მართვა, მისმა ხელმძღვანელებმა გააჭიანურეს ეს საქმე, შეასუსტეს ყურადღება ისეთი ძირეული რგოლებისადმი, როგორიცაა სარეწი, ჯგუფი, ბრიგადა, სადაც წყდებოდა საწარმოო გეგმების ბედი.

მეორე მოწინავე სტატიაში „ყურადღებით, სერიოზულად გარდაქმნათ პარტიული მუშაობა"[3] „პრავდა" სამართლიანად აკრიტიკებდა ბაქოს ორგანიზაციას პრაქტიკული მუშაობის გარდაქმნაში აუჩქარებლობისათვის. „გარდაქმნის შედეგებზე, — წერდა „პრავდა", — უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით, თუ რომელიმე ორგანიზაციამ როგორ შეცვალა თავისი მუშაობის ფორმები, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ შეძლო გამოეცოცხლებინა და გაეუმჯობესებინა ეს მუშაობა, როგორ შეძლო გაეძლიერებინა პარტიის

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 33, 5 февраля 1934 г.

[2] Газ. «Правда» № 72, 14 марта 1934 г.

[3] Газ. «Правда» № 89, 31 марта 1934 г.

წევრთა ავანგარდული როლი წარმოებაში, როგორ შეძლო დაერაზმა თავის გარშემო უპარტიოები, და ბოლოს, როგორ დაეხმარა ამა თუ იმ საამქროს, საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, დაწესებულებას პარტიისა და მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებაში"[1].

1934 წლის 3 აპრილს ნავთობის მრეწველობის მუშაობის საკითხი განიხილა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც აღნიშნა, რომ მუშაობის კოლოსალურად გაზრდილი მოცულობა და წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გართულებული ამოცანები მოითხოვენ „აზნავთობის" მუშაობის შემდგომ გარდაქმნას[2].

მეორე ხუთწლედში ნავთობის მრეწველობის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 14 მაისის დადგენილებამ „„აზნავთობის" მუშაობის შესახებ". პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ 1934 წლის ოთხ თვეში არ შესრულებულა ნავთობის მოპოვების გეგმა, და დავალა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ბაქოს კომიტეტს „...გაეშალათ პარტიულ-მასობრივი მუშაობა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის მოპოვების გეგმების უთუოდ შესრულებისა და დასახული რეორგანიზაციის რაც შეიძლება მალე დამთავრების საკითხთა გარშემო..."[3]. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ აღნიშნა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელებინათ ბურღვის, მოპოვებისა და ნავთობის გადამუშავების დარგში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე „აზნავთობისათვის" დახმარების გაწევას მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. მძიმე მრეწველობის, გზათა და საგარეო ვაჭრობის საკავშირო სახალხო კომისარიატებს დაევალათ დროულად დაემზადებინათ, შეეპყიდათ და შემოეტანათ ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა და მასალები. „აზნავთობის" საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით შესყიდულ იქნა 5,5 ათასი ტო-

---

[1] Газ. «Правда» № 89, 31 марта 1934 г.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 84, 9 апреля 1934 г.

[3] მლიაზფა, ფ. 1, აღწ. 77, შესან. ერთ. 393, ფურც. 5—7; газ. «Бакинский рабочий» № 144, 17 мая 1934 г.

ნა იმპორტული სატუმბ-საკომპრესორო მილები, ხოლო სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს წინადადება მიეცათ უმოკლეს ვადებში აეთვისებინად ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისათვის ახალი ტიპის საბჭოური მოწყობილობის მასობრივი წარმოება. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა შეემუშავებინათ ღონისძიებანი ძველი ქარხნების სპეციალიზაციისა და ახალი საწარმოების მშენებლობის გზით ნავთობის მოწყობილობის წარმოების ბაზის გასაფართოებლად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანები 16 მაისს განიხილეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა, ხოლო 21 მაისს — საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიურომ, რომლებმაც დიდი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გაშალეს ამ დადგენილების განმარტებისა და შესრულებისათვის. 17 მაისს ბაქოს პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყო ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისადმი მიძღვნილი ერთიანი პარტიული დღე.

1934 წლის ივნისის დამდეგისათვის „აზნავთობის" ცენტრალური აპარატის, სარეწების სამმართველოთა, ჯგუფებისა და დამხმარე საწარმოების ორგანიზაციული გარდაქმნა ძირითადად დამთავრდა. გაუმჯობესდა ტექნიკური ძალების განაწილება წარმოებაში: ინჟინერთა ნაწილი მართვის ორგანოებიდან გადავიდა სარეწებზე: დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპლოატაციისა და ბურღვის ჯგუფების გამოყოფას. პარტიული ორგანიზაციები აძლიერებდნენ თავიანთ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სარეწებზე და ქარხნებში. პარტიის ბაქოს კომიტეტმა 1934 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დაავალა რაიკომების მდივნებს „პირადად გაეწიათ ყოველდღიური ხელმძღვანელობა თავიანთ რაიონში პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის, და არ დაევალებინათ ეს სამუშაო სხვისთვის"[1].

ნავთობის მრეწველობის გარდაქმნისა და ნავთობის მოპოვების გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ამ დროს ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ბაქოს, დონბასისა და გროზნოს და ბაქოსა და ლენინგრადის მშრომელთა შორის. 1934 წლის მაისში ლენინგრადის იეორის ქარხნის დამკვრელებმა

---

1 მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 77, შესან. ერთ. 587, ფურც. 2, 6.

ნავთობის მოწყობილობის დამამზადებელი ყველა ქარხნის მუშებს მიმართეს მოწოდებით „შეავსრულოთ ჩვენი ვალი ბაქოელ მენავთობეთა წინაშე". გაზეთების „ზა ინდუსტრიალიზაციუს", „კრასნაია ზვეზდას" (ლენინგრადი), „ბაკინსკი რაბოჩის" საშუალებით მათ მოუწოდეს გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ბაქოს სარეწების შეკვეთების უკეთ და უსწრაფესად შესრულებისათვის და დახმარებოდნენ ბაქოს მუშებს პარტიის საბრძოლო დავალების განაღდებისათვის ბრძოლაში[1]. ლენინგრადის ქარხნების ინიციატივით დაწყებული ბაქო—ლენინგრადის სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ნავთობის მოწყობილობის დამამზადებელ ყველა ქარხანაში გავრცელდა და კეთილნაყოფიერი გაელენა მოახდინა მათს მუშაობაზე. ივნისში ლენინგრადის იეორის ქარხნის მუშებმა და დნეპროპეტროვსკელებმა გამოიჩინეს ახალი ინიციატივა — მოეწვიათ ბაქოში მანქანათმშენებლობისა და ნავთობის მრეწველობის წარჩინებულ ადამიანთა კონფერენცია, რათა შეეჯამებინათ გაწეული მუშაობის შედეგები და დაესახათ შემდგომი ამოცანები ნავთობის მოპოვების გადიდებისათვის ბრძოლაში. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ბაქოს მუშებმა და 1934 წლის 29 ივნისის სპეციალური დადგენილებით „ბაქოს მენავთობეთა და ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მანქანათმშენებელთა შეჯიბრების შესახებ"[2] მოიწონეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა.

შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მენავთობეთა და მანქანათმშენებელთა მუშაობის გაუმჯობესებას, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ქარხნებში დამზადებული მოწყობილობით სარეწების უზრუნველყოფას.

ნავთობის მოპოვების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბაქოს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლაში იშვა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" რუბრიკით „მიმდინარეობს პარტორგთა გადაძახილი" სისტემატურად ბეჭდავდა მასალებს, რომლებშიც საუკეთესო პარტორგები აღწერდნენ პარტიული მუშაობის გარდაქმნის საქმეში შეძენილ თავიანთ გამოცდილებას. 1934 წლის 11 ივნისს ლენინის რაიონის 70 პარტორგმა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" მეშვეობით მიმართა ბაქოს

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 121, 26 мая 1934 г.
[2] Газ. «Бакинский рабочий» № 151, 30 июня 1934 г.

ყველა პარტიულ მუშაკს წინადადებით — მოეწყოთ პარტორგთა და ჯგუფორგთა მასობრივი დაუსწრებელი კონფერენცია. წინადადება ითვალისწინებდა განეზოგადებინათ და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების კუთვნილება გაეხადათ პარტორგთა გადაძახილის მსელელობაში შეძენილი პარტიული მუშაობის გარდაქმნის უდიდესი გამოცდილება, გადაექციათ ეს გადაძახილი პარტორგთა და ჯგუფორგთა მასობრივ დაუსწრებელ კონფერენციად, რომელზეც განიხილავდნენ ისეთ უპირველეს საკითხებს, როგორიცაა უპარტიო აქტივისტებთან და თანამგრძნობებთან მუშაობა, პარტიული დღეებისათვის მზადების ფორმები და მეთოდები, კომუნისტებისათვის პარტიულ დავალებათა მიცემის საკითხი, პრაქტიკულ მუშაობაში ძირეული პარტიული მუშაკის ინსტრუქტაჟი და სწავლება და სხვ. პარტიული მუშაობის ერთ-ერთი ახალი ფორმა იყო საუკეთესო პარტიულ ორგანიზატორთა შეხვედრები.

განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით 1934 წლის ზაფხულში ნავთობის მოპოვების მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. 1934 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა კვლავ განიხილა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა და თავის გადაწყვეტილებაში „ნავთობის მოპოვების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ დასახა ნავთობის მოპოვების მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი. „აზნავთობს“ წინადადება მიეცა 1935 წლის 1 იანვრისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული ჭაბურღილების საერთო ფონდი გაედიდებინა 4.500-მდე, გაეზარდა გაზის მოპოვება, შეემოწმებინა ინჟინერ-ტექნიკური კადრების განაწილება სარეწებზე, მოეხდინა ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნების სპეციალიზაცია. „პარტიული მუშაობა თითოეულ სარეწზე და ჯგუფში ისე უნდა მოეწყოს, — ნათქვამი იყო გადაწყვეტილებაში, — რომ ბურღვის ფრონტის გაფართოებისა და ნავთობის მოპოვების გადიდებისათვის დასახულ და განხორციელებულ სამეურნეო ღონისძიებათა გარშემო დაირაზმოს თითოეული კომუნისტი და კომკავშირელი, თითოეული სპეციალისტი და მუშა“[1].

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუშაობის გაუმჯობესებას ბურღვის დარგში. 1934 წლის 21 ივლისს ბაქოში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროსა და

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 195, 22 августа 1934 г.

აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო სპეციალური დადგენილება „აზნავთობში“ ტურბინული ბურღვის შემდგომი დანერგვისა და მისი სრულყოფის შესახებ[1].

დიდი ზრუნვით იყვნენ გარემოსილი ბურღვის მუშაკები; მოწესრიგდა მათი ხელფასი, გაძლიერდა ბურღვის ოსტატთა და სხვა მუშაკთა დაინტერესება გეგმის გადაჭარბებით.

პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დაუცხრომელი მუშაობის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გმირული თავდადებული შრომის მეოხებით აღმოიფხვრა ნავთობის მრეწველობის ჩამორჩენა საგეგმო დავალებებისაგან. 1934 წლის 28 დეკემბერს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა უპატაჟა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ბაქოს მენავთობეთა დიდი შრომითი გამარჯვება — ნავთობის მოპოვების გეგმის შესრულება. წლის განმავლობაში მოპოვებულ იქნა 19 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი. 1933 წელთან შედარებით ნავთობის მოპოვება გაიზარდა 25,2 პროცენტით, გაზის მოპოვება — 70,3 პროცენტით, ბურღვა — 44,6 პროცენტით[2].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მარგანეცის, სპილენძის, ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენის დასაძლევადაც. ეს საკითხები არაერთხელ განიხილეს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა.

პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა ჭიათურის მარგანეცის მაღაროების რეკონსტრუქცია და გახახლდა სამთო-მომპოვებელი მოწყობილობა. ამან გაადიდა მარგანეცის მადნის მოპოვება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება მრეწველობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში.

ბევრი რამ გაკეთდა სპილენძის მრეწველობის ტექნიკური დონის ამაღლებისათვისაც. ალავერდისა და კაფანის რაიონების მაღაროებსა და ქარხნებში ახალი ტექნიკის დანერგვასთან ერთად მეტი ყურადღება ექცეოდა მატერიალური დაინტერესების პრინციპს

[1] მლიაზფპა, ფ. 2, აღწ. 22, შესან. ერთ. 207, ფურც. 106, 107; გაზ. «Правда» № 207, 29 июля 1934 г.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 3, 3 января 1935 г.

სწორად გამოყენებას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, ყოველივე ეს ხელს უწყობდა სპილენძის წარმოების გადიდებას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა ქვანახშირის მრეწველობაშიც. განხორციელდა ტყიბულის ქვანახშირის შახტების ელექტრიფიკაცია. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა შახტების მშენებლობა ტყვარჩელის რაიონში. ამ მშენებლობებისათვის დიდ ზრუნვას იჩენდნენ სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარება, ახალი საწარმოების მშენებლობა და ძველის რეკონსტრუქცია მოითხოვდა მანქანათმშენებლობის სწრაფ ზრდას. ბაქოს მეტი წილი მანქანათსაშენებელი ქარხნები დასპეციალდნენ ნავთობის მრეწველობის მოწყობილობის გამოსაშვებად. სწრაფი ტემპით ზრდიდა წარმოებას საქართველოს მანქანათმშენებლობაც. მისი პროდუქციის მოცულობამ 1934 წელს ოთხჯერ გადაამეტა 1928 წლის დონეს.

ამიერკავკასიაში იზრდებოდა აგრეთვე ელექტროენერგეტიკა. მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მსუბუქი და კვების, საშენ მასალათა და ადგილობრივი მრეწველობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაჩვენებლები. 1934 წელს მან 3,7 მილიონი ტონა ნავთობი გადაიტანა და მრავალი წლის მანძილზე პირველად შეასრულა წლიური გეგმა ამ დარგში[1].

ამიერკავკასიის ფედერაციის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 25 მარტის დადგენილება „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის დარგში ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ", სრულყოფდნენ ხელმძღვანელობას ამ მხარის მრეწველობისადმი. პარტიის სამხარეო კომიტეტთან მოეწყო არაერთი თათბირი მრეწველობის ცალკეულ დარგებში (საფეიქრო, ცემენტის, ადგი-

---

[1] VII Закавказский съезд Совстов. Стенографический отчет. Тифлис, 1935, стр. 84.

ლობრივი, კვების და სხვ.) და ტრანსპორტზე პარტიული მუშაობის საკითხებზე. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე სისტემატურად განიხილავდნენ წარმოებაში პარტიული მუშაობის საკითხებს. მაგალითად, 1935 წლის მაისში სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხები ბაქოს სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურსა და ლენინაკანის საფეიქრო კომბინატში პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ[1], პრესის ფურცლებზე ფაბრიკა-ქარხნებისა და სარეწების პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ[2].

ამიერკავკასიას ფართო სამრეწველო მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად მეორე ხუთწლედის პირველ წლებში, ისევე როგორც წინათაც, მუდმივ დახმარებას უწევდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები, უწინარეს ყოვლისა რუსეთის ფედერაცია. „რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პროლეტარიატის ხანგრძლივმა და ნამდვილმა დახმარებამ.., — ამბობდა ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ს. მ. ტერგაბრიელიანი, — შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, სრულიად ახალ ტექნიკურ საფუძველზე მოგვეხდინა ნავთობის, სპილენძისა და მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია, დიდი ნაბიჯით გაგვევითარებინა ტექნიკური კულტურები, გადაგვექცია ამიერკავკასია ჩაის კულტურის ძირითად ბაზად, საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად. სუბტროპიკებისა და ტექნიკური კულტურების ქვეყნად“[3].

წარმატებით რომ სძლევდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის სიძნელეებს, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის მშრომელთა ღონისძიებებს ახმარდნენ მეორე ხუთწლედის გეგმით დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულებას.

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ფართო ასპარეზი გადაშალა მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. ამ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად საჭირო იყო კოლმეურნეობათა პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, მათი უზრუნველყოფა ერთგული, საქმის

---

[1] Газ. «Заря Востока» № 109, 12 мая 1935 г.
[2] Газ. «Заря Востока» № 110, 14 мая 1935 г.
[3] Газ. «Заря Востока» № 13, 14 января 1935 г.

კარგად მცოდნე კადრებით. საჭირო იყო ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა სოფლის მშრომელთა შორის, თითოეული მათგანისათვის საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობის ჩვენება, კოლმეურნეთა შეგნებულობის დონის ამაღლება, მათთვის კოლექტიური შრომის ჩვევების ჩანერგვა. კერძომესაკუთრული ინტერესები უნდა შეეცვალა კოლმეურნეობის კეთილდღეობისათვის, კოოპერაციული საკუთრებისათვის ზრუნვის ინტერესებს.

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობისა და ამიერკავკასიის კომუნისტების VII ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ასრულებდნენ, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააქტიურეს თავიანთი მუშაობა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის. პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებოდნენ მათს ეკონომიკას, დროულად ავლინებდნენ და აღკვეთდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებით განვითარების შემაფერხებელ მიზეზებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელების განმტკიცებასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა კოლმეურნე მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, ფართოვდებოდა სოციალისტური შეჯიბრება ყანებსა და ფერმებში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციის მოწინავე მეურნეობათა თაოსნობას სამი მოძმე რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. 1933 წლის დამლევიდან კი ამიერკავკასიაში გაფართოვდა შეჯიბრება ჩრდილოეთ კავკასიის მილოსტ-კურაკინოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლმეურნეობებთან. ამ კოლმეურნეობების წარმომადგენელთა წერილმა ამიერკავკასიის კოლმეურნეობების ბრიგადირებისადმი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, რომელიც გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა, უაღრესად გაცხოველებული გამოხმაურება გამოიწვია მხარეში. ამ მიმართვის პასუხად ამიერკავკასიის კოლმეურნეობათა ბრიგადირებმა გაგზავნეს წერილი, რომლითაც აუყიბინებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ოვალთ ვალდებულებებს.

1934 წლის მარტში საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტსექტორმა გამოაქ-

ვეყნეს მიმართვა „საუკეთესო საკოლმეურნეო, სატრაქტორო ბრიგადისა და ბრიგადირის წოდებისათვის სამხარეო შეჯიბრების მოწყობის შესახებ"[1].

სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოავლინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი ნიჭიერი ორგანიზატორი, შრომის გმირი, რომელთა გამოცდილება ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიასა და მოძმე რესპუბლიკებში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების, თესვის ჩატარების, ნათესების მოვლა-დამუშავების, მოსავლის აღების საკითხები. 1934 წლის ივნისის დამდეგს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასულ წლებთან შედარებით უფრო წარმატებით და ორგანიზებულად ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა და ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭირო იყო ძირითადი ყურადღება დაეთმოთ მარგვლა-დამუშავების, მოსავლის აღებისა და დამზადების სამუშაოთა წარმატებით განხორციელებისათვის. „ამ ამოცანების გარშემო, — ნათქვამი იყო დადგენილებაში, — ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ გლეხთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და სოციალისტური შეჯიბრება"[2].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციას და 1934 წლის ივლისის დამდეგს მიიღო დადგენილება „გორის, ლენინაკანის, ბარდის, ღამარლუს, აგდაშის, ალი-ბაირამლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სამეურნეო საქმიანობის შესახებ", რომელშიც აღნიშნული იყო მათი არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად[3].

გაძლიერდა ბრძოლა იმისათვის, რომ ამიერკავკასია გადაქცეულიყო მებამბეობის მეორე ბაზად და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ძირითად ბაზად. ამ მიზნით დიდი სამუშაოები ხორციელდებოდა მტკვარ-არაქსის დაბლობის (აზერბაიჯანი) ხელოვნური

[1] Газ. «Заря Востока» № 68, 21 марта 1934 г.
[2] Газ. «Заря Востока» № 129, 4 июля 1934 г.
[3] Газ. «Заря Востока» № 153, 9 июля 1934 г.

მორწყვის და კოლხეთის დაბლობის (საქართველო) მელიორაციისა და ამოშრობის დარგში. ფართოედებოდა ბამბის ნათესები და ჩაის პლანტაციები, გაიზარდა ამ დიდმნიშვნელოვან კულტურათა მთლიანი მოსავალი.

დიდი ზრუნვით იყო გარემოსილი ამიერკავკასიაში მეცხოველეობის განვითარებაც. 1934 წლის მარტში გამოქვეყნდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტსექტორის მიმართვა „მეცხოველეობის დარგში XVII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის პრესის რეიდის მოწყობის შესახებ". ამ მიმართვაში აღნიშნული იყო ზოგიერთი გაზეთის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მეცხოველეობის განვითარების პროპაგანდისათვის. ამ მიმართვის შესაბამისად სამხარეო, რესპუბლიკური, რაიონული და პოლიტგანყოფილებათა გაზეთების რედაქციებმა მოაწყვეს პრესის რეიდები. ფართოდ აშუქებდნენ ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მუშაობის საუკეთესო ნიმუშებსა და გამოცდილებას მეცხოველეობის სფეროში, აელინებდნენ მისი აღმავლობისათვის ბრძოლის დეზორგანიზატორებს, ამხილებდნენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებისადმი მიწათმოქმედების ზოგიერთი ორგანოს ფორმალურ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის ფაქტებს[1].

1934 წლის 31 მაისს გაიხსნა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებანი მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ და მიიღო დადგენილება „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ". ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს აქტიური ბრძოლა თითოეულ კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმების შექმნისათვის და მოკლე ხანში მოიპოვეს გარკვეული წარმატებანი. მარტო 1934 წლის მეორე ნახევარში აზერბაიჯანში შეიქმნა 434 საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმა — სარძეოსამეურნეო, მეცხვარეობის, მეღორეობის ფერმები. მეცხოველეობის ფერმების შექმნისათვის, პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის

[1] Газ. «Заря Востока» № 68, 21 марта 1934 г.

მნიშვნელოვანი მუშაობა ხორციელდებოდა საქართველოსა და სომხეთის კოლმეურნეობებშიც.

მეცხოველეობის ჩამორჩენის აღმოფხვრას ხელს უწყობდა მეცხოველეობის კოლმეურნეობებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრებაც. 1934 წელს მოეწყო შეჯიბრების თაობაზე კარაკლისის, დილიჟანისა და ყაზახის რაიონებს შორის დადებული იმ ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, რომელიც ითვალისწინებდა პირუტყვის გამოზამთრების საუკეთესო ორგანიზაციასა და სულადობის შენარჩუნებას, საკოლმეურნეო ფერმების მუშაობის გაუმჯობესებას, რაიონების მეცხოველეობის მეურნეობათა აღმავლობას. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს კარაკლისის რაიონის კოლმეურნეებმა. მათ მეცხოველეობის აღმავლობისათვის შეუპოვარი ბრძოლით შეძლეს მნიშვნელოვანწილად დაეძლიათ რაიონის მეურნეობის ამ დარგის შეუფასებლობის შედეგები, რასაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში[1].

განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მთის და მთისწინეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონების ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას. არასწორი დაგეგმვის, სახელმწიფო მიწოდების არარეალურად განსაზღვრის გამო სომხეთის მთის და მთისწინეთის რაიონებიდან პარტიულ ორგანოებში საგანგაშო სიგნალები მოდიოდა.

საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გულდაგულ შეისწავლა სომხეთის ამ რაიონებში შექმნილი მდგომარეობა და მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე ამოცანები 1934 წლის ივნისში განიხილა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც დასახა რესპუბლიკის მთის და მთისწინეთის რაიონების ეკონომიკის გაუმჯობესების ფართო ღონისძიებანი: განამტკიცეს ამ რაიონების ხელმძღვანელი კადრები, კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოჰყვეს 2 მილიონი მანეთი, სოფლებში მოაგვარეს მოსახლეობისათვის პურისა და სამრეწველო საქონლის მიყიდვა; კოლმეურნეები გაათავისუფლეს 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფო მიწოდებისაგან.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების მთელ ამ მრავალმხრივ მუშაობას დადებითი შედეგები მოჰყვა, მხარის სოფლის მეურნეობის

---

[1] Газ. «Заря Востока» № 74, 28 марта 1934 г.

მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პურეულის, ხორცის, ბამბის, თამბაქოსა და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა უმნიშვნელოვანესი პროდუქციის შესყიდვისა და მიწოდების 1934 წლის სახელმწიფო გეგმები. უკვე 1934 წლის დამლევისათვის საკოლმეურნეო წყობილება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ძირითადი ფორმა გახდა, ხოლო ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების რაიონებში საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები გადამწყვეტ საწარმოო ძალას წარმოადგენდნენ[1].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები რაზმავდნენ და წარმართავდნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად და ღღენიადაგ სრულყოფდნენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს. 1934 წლის აპრილში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა პარტიის სასოფლო რაიკომების ინსტრუქტორთა მუშაობის საკითხი. მიღებული დადგენილება ითვალისწინებდა ამ რაიკომებში ფუნქციურ-დარგობრივ ინსტრუქტორთა თანამდებობების ლიკვიდაციას და აწესებდა გამსვლელ ინსტრუქტორთა თანამდებობებს. თითოეული მათგანი მიემაგრებოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების გარკვეულ ჯგუფს და ვალდებული იყო მომსახურებოდა პარტიული მუშაობის ყველა დარგს. რაიკომების მდივნებს ევალებოდათ სისტემატური პირადი ხელმძღვანელობა გაეწიათ ინსტრუქტორებისათვის. ამ დადგენილების შესაბამისად ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა გადასინჯეს და განამტკიცეს სოფლის რაიკომების ინსტრუქტორთა პერსონალური შემადგენლობა.

ახალი ამოცანების შესაბამისად სულ უფრო უმჯობესდებოდა სოფლად პარტიული ორგანოების სტრუქტურაც. 1934 წლის ნოემბერში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის საკითხები და აღნიშნა, რომ მათ უდიდესი როლი შეასრულეს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, ხელი შეუწყვეს სოფლის მეურნეობის შესამჩნევ აღმავლობას. საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახალ ეტაპზე პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო გარდაექმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებანი ჩვეულებრივ პარ-

[1] VII Закавказский съезд Советов, стр. 9, 25.

ტიულ ორგანოებად და შეეერთებინა ისინი პარტიის რაიონულ კომიტეტებთან[1]. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებს, ისინი 1940 წლამდე მოქმედებდნენ.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებათა გარდასაქმნელად. ამ გარდაქმნის შედეგად პოლიტგანყოფილებებიდან განთავისუფლებული პარტიული მუშაკები გაიგზავნენ პარტიის სასოფლო რაიკომებში მათ განსამტკიცებლად. ამიერკავკასიის ბევრ სასოფლო რაიონში შემოღებულ იქნა პარტიის რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობა. გარდა ამისა, შეიქმნა პარტიის ახალი სასოფლო რაიონული კომიტეტები.

1934 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა კოლმეურნეობათა პარტიული უჯრედების პირველად პარტიულ ორგანიზაციებად გარდაქმნისათვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები დღენიადაგ უწევდნენ კონტროლს პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებისათვის, დროულად აღმოფხვრიდნენ სოფლად პარტიული ორგანოების გარდაქმნის დროს წარმოშობილ ნაკლოვანებებს. პარტიის სასოფლო რაიკომები აგრეთვე ქმნიდნენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან თანამგრძნობთა ჯგუფებს, რომლებშიც აბამდნენ უპარტიო აქტივისტებს, წარმოების მოწინავეებს.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ეწეოდა მუშაობას მოწინავე კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების, პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გამოცდილების შესწავლისათვის, განზოგადებისა და გავრცელებისათვის. ამ საკითხს მიეძღვნა სოფლად პარტიულ-მასობრივი მუშაობის სამხარეო თათბირი, რომელიც 1934 წლის 11—12 დეკემბერს გაიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან. თათბირმა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანები, რომ განემტკიცებინათ ეს ორგანიზაციები სოფლის კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და ავანგარდული როლის ამაღლების, კოლმეურნეთა მასების აღზრდაში მათი როლის გაძლიერების გზით. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხები: აზერბაიჯანის სსრ კასუმ-ისმაილის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის", საქართველოს სსრ ოზურ-

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, გვ. 366.

გეთის რაიონის ნაგომარის კოლმეურნეობისა და სომხეთის სსრ აბ-ტის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ; საქართველოს სსრ ორჯონიკი-ძის სახელობის საბჭოთა მეურნეობასა და სომხეთის სსრ შურაპა-ტის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში პარტიულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ[1].

1935 წლის იანვარში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა ფედერაციის საკოლმეურნეო პირველადს პარ-ტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-მასობრივი მუშაობის მდგომარე-ობის საკითხი და აღნიშნა, რომ მათ სერიოზული წარმატებანი მოი-პოვეს ამ საქმეში. გაძლიერდა კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოებაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; პარ-ტიულ-კომკავშირული ძალები უკეთ იყვნენ განაწილებული კოლ-მეურნეობებსა და ბრიგადებში; ამაღლდა სოფლის კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონე; დაწინაურდნენ ძირეული პარტიული აქტივის ახალი, სამუშაოზე შემოწმებული და აღზრდილი კადრები; კომუნისტთა და უპარტიო კოლმეურნეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

ამავე დროს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებები მხოლოდ დასაწყისი იყო ხოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისა, რომელთა საქმიანობაშიც ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანე-ბებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ პარტიული კრებები ჯერ კიდევ არ-დამაკმაყოფილებლად მზადდებოდა და ტარდებოდა; პარტიულ ორ-განიზაციათა ზნიშვნელოვან ნაწილში დაბალი იყო პარტიული სწაე-ლების დონე; ჯერ კიდევ სუსტად წარმოებდა მუშაობა თანამგრძ-ნობთა ჯგუფებთან; სუსტად იყო დაყენებული კომუნისტთა აღრი-ცხვა და ა. შ. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიუთითა, რომ საჭირო იყო კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლება და ამის საფუძველზე სასოფლო პარტიული ორგანიზაცი-ების განმტკიცება, „კომუნისტთა წამყვანი როლის გაძლიერება სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომუნისტთა აღზრდა ლენინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით"[2].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ იდეოლოგიურ

---

[1] Журн. «Партработник Закавказья», 1935, № 9—10, стр. 87—89.

[2] იქვე, № 2, გვ. 71, 72.

მუშაობას ეწეოდნენ სოფლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოფლის კომუნისტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები დიდ დახმარებას უწევდნენ სასოფლო რაიკომებს პროპაგანდისტთა კადრების მომზადებაში. ეწყობოდა სოფლის პროპაგანდისტთა საჰხარეო, რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო კურსები, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო სკოლები, სისტემატურად იმართებოდა პროპაგანდისტთა სემინარები. სოფლისათვის ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო კადრების მომზადების მიზნით საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისში, ბაქოსა და ერევანში გაიხსნა სპეციალური კურსები.

პარტიული ორგანიზაციების მჩქეფარე მუშაობის, ამიერკავკასიის მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შეუპოვარი, შთამაგონებელი შრომის მეოხებით სახალხო მეურნეობამ მეორე ხუთწლედის მეორე წელს დიდი ნაბიჯი გადადგა თავისი განვითარების გზაზე.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმების შესრულების შედეგები შეაჯამა ამიერკავკასიის საბჭოების VII ყრილობამ, რომელიც 1935 წლის 15 იანვარს გაიხსნა თბილისში. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ გააკეთა გ. მ. მუსაბეკოვმა. სამრეწველო წარმოებისა და მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ მეორე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ორჯერ და მეტად გადააჭარბა პირველი ხუთწლედის პირველი ორი წლის დონეს. ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ 1934 წელს დაახლოებით 1,7 მილიარდი მანეთი შეადგინა[1], ხოლო ამ მხარის მრეწველობის პროდუქციის მატება 16,9 პროცენტს უდრიდა. 1934 წლის დამლევისათვის სოციალისტური სექტორი სახალხო მეურნეობაში 95,4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მრეწველობის ხვედრითი წონა ამიერკავკასიის მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციაში 78,9 პროცენტს აღწევდა[2]. ამიერკავკასიის სახალხო შემოსავალი 1931

---

[1] VII Закавказский съезд Советов, стр. 25, 28.

[2] Народнохозяйственный план ЗСФСР на 1935 г., стр. VII.

წლის 1,6 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 2,5 მილიარდ მანეთამდე 1934 წელს[1]. საბჭოების VII ყრილობამ აღნიშნა დიდი წარმატებანი ამ მხარის მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებაში, როგორიცაა ნავთობის, მარგანეცის, ქიმიური, კვების, მანქანათსაშენებელი, ქვანახშირის მრეწველობა.

ქიმიური მრეწველობის ბევრ მშენებარე და უკვე საექსპლოატაციოდ გადაცემულ საწარმოს სრულიად საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა.

ყრილობამ აღნიშნა საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი. კოლმეურნეობები უკვე გლეხურ მეურნეობათა ნახევარს აერთიანებდნენ. სოციალისტური სექტორი ნათესი ფართობების ნახევარზე მეტს მოიცავდა, მებამბეობის რაიონებში — 80 პროცენტს, ხოლო მეჩაიეობის რაიონებში — თითქმის 100 პროცენტს. კოლმეურნეობები განმტკიცდნენ პოლიტიკურად და ორგანიზაციულ-მეურნეობრივად. სატრაქტორო პარკის სიმძლავრე 1930—1934 წლებში ოთხჯერ გაიზარდა. ფართოდ გაიშალა ახალი ეიწების მორწყვის სამუშაოები.

ამიერკავკასიის ფედერაცია ჩვენი ქვეყნის მებამბეობის მეორე ბაზა გახდა. ბამბის ნათესი ფართობი 222 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, ხამი ბამბის მოსავალი ჰექტარზე 1930 წლის 4 ცენტნერიდან გადიდდა 7,7 ცენტნერამდე 1934 წელს. ბამბის წარმოების სახელმწიფო გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. დიდი წარმატებები იყო მოპოვებული მეჩაიეობაში, სუბტროპიკული კულტურების წარმოებაში, დაისახა ბერები მეცხოველეობის განვითარებაშიც.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მეორე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფას და დაავალა ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობას განუხრელად ემუშავა ამ მხარის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის[2].

ამიერკავკასიის მშრომელთა მიერ სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულმა წარმატებებმა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი შეფასება დაიმსახურეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების 15 წლის იუბილეს დღეებში. აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დაჯილდოვდნენ ლენინის ორდენებით.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა აგრეთ-

---

[1] VII Закавказский съезд Советов, стр. 26.

[2] იქვე, გვ. 251.

ვე აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის მუშათა კლასის, კოლმეურნეთა გლეხობის, ინტელიგენციის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი.

ახალ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კადრების პრობლემას, რომელთაც შესწევდათ უნარი დაუფლებოდნენ ახალ ტექნიკას. ამ პრობლემის გადასაჭრელად რომ რაზმავდა მშრომელებს, პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“.

ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს მშრომელთა ფართო მოძრაობა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ საბრძოლო ლოზუნგების განხორციელებისათვის, რომლებიც ეხებოდა ახალი ტექნიკის ათვისებას, ამ ტექნიკას ზედმიწევნით დაუფლებული კადრების მომზადებას, და სათავეში ჩაუდგნენ მას. ეს მუშაობა წინა პლანზე წამოიწია ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში მეორე ხუთწლედში.

ამიერკავკასიის მრეწველობის მოწინავე მუშები დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს, ამსხვრევდნენ მოძველებულ ნორმებს. 1935 წელს წარმოშობილ სტახანოვურ მოძრაობას მგზნებარე მომხრეები და მიმდევრები გამოუჩნდნენ ამიერკავკასიის მრეწველობაში და ტრანსპორტზე, ამ მხარის სოფლის მეურნეობაში. აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში წარმოების ნოვატორთა მოძრაობის წამომწყებნი იყვნენ ბურღვის ოსტატები ზ. პარფიონოვი, ისმაილ მიქაილი, აღა ნეიმატულა, ა. ვანესოვი და სხვები. 1935 წლის ოქტომბერში ზ. პარფიონოვის ბრიგადამ მიაღწია გავლას 540 მეტრი სიჩქარით ჩარხთვეზე, მაშინ როცა ნორმით გათვალისწინებული იყო 406 მეტრი. მალე ამ რეკორდს გადააჭარბა ისმაილ მიქაილის ბრიგადამ, რომელმაც უზრუნველყო 745 მეტრი სიჩქარე ჩარხთვეზე.

ფართოდ გავრცელდა სტახანოვური მოძრაობა საქართველოს მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობაში. ნოვატორული შრომის მაგალითს იძლეოდნენ მნგრეველ-მტვირთავები ვ. სამხარაძე და ტ. ფოფხაძე; 1935 წლის ოქტომბერში პირველმა მათგანმა საწარმოო დავალება 561 პროცენტით შეასრულა, მეორემ კი რამდენიმე დღის შემდეგ — 673 პროცენტით. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ტყიბულელმა მეშახტეებმა შ. ფურცხვანიძემ, ა. კასრაძემ.

სომხეთის სპილენძის მრეწველობაში კაფანის მაღაროს მბურ-

ღავმა მ. პაპიანმა 1935 წლის დამლევს 6-ჯერ გადააჭარბა მადნის მოპოვების დღიურ ნორმას. მის მაგალითს მიბაძა ალაევერდელმა მაღაროელმა ს. ხაჩატურიანმა.

ფართოდ გავრცელდა სტახანოვური მოძრაობა ამიერკავკასიის მანქანათსაშენებელ, საფეიქრო და სხვა საწარმოებში, რკინიგზის ტრანსპორტსა და მშენებლობებზე. თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა ა. ჭიჭინაძემ 1936 წლის იანვარში ნორმა 500 პროცენტით შეასრულა, ხოლო ლენინაკანის დეპოს სტახანოველმა ა. ალექსანიანმა დღიურ ნორმას 18-ჯერ და მეტად გადააჭარბა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას. მთელი ძალ-ღონე ხმარდებოდა მეორე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებას. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის პლენუმებზე, სხდომებზე სისტემატურად განიხილავდა საკითხებს, თუ როგორ ასრულებდნენ გეგმას მრეწველობის დარგები, მსხვილი საწარმოები, იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლებითაც ამხილებდა ნაკლოვანებებს, სახავდა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. როცა 1935 წლის დამდეგს აზნავთობი სერიოზულად ჩამორჩა საწარმოო გეგმების შესრულებაში, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ორჯერ (11 მარტსა და 23 აპრილს) მიიღო დადგენილებანი, რომლებიც შეიცავდნენ კონკრეტულ მითითებებს მუშაობის გარდაქმნის შესახებ[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ აზნავთობის ჩამორჩენა გეგმის შესრულებაში შეიძლება აღმოფხვრილიყო მხოლოდ გადამწყვეტი ღონისძიებებით, და 5 ივლისს და 26 ივლისს მიიღო დადგენილებანი აზნავთობის დაწვრილერთეულებისა და რაიონულ და სარეწაო პარტიულ ორგანიზაციათა შესაბამისი გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებათა საფუძველზე შეიქმნა საკავშირო მნიშვნელობის დამოუკიდებელი ნავთობმომპოვებელი ტრესტები: ლენინნავთობი, სტალინნავთობი, აზიზბეკოვნავთობი და ორჯონიკიძენავთობი.

აზნავთობის დაწვრილერთეულებისათვის გაწეული მუშაობის პირველი შედეგები შეაჯამა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1935 წლის 10—11 სექტემ-

[1] Газ. «Заря Востока» № 61, 14 марта 1935 г.

ბერს გაიმართა. პლენუმმა აღნიშნა, რომ აზნავთობისა და სარეწების დაწვრილერთეულების შედეგად შეიქმნა შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო წარმოების სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობა. მაგრამ დაწვრილერთეულებასთან დაკავშირებული სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობის გარდაქმნა არ დამთავრებულა[1]. პლენუმმა დასახა ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის მიმართულ ღონისძიებათა ფართო პროგრამა.

ამ პროგრამის შესრულების საფუძველზე 1935 წლის ბოლო თვეებში შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა ნავთობის მრეწველობამ.

ძლიერ ჩამორჩებოდა აგრეთვე სპილენძისა და ქვანახშირის მრეწველობის დარგები, რომელთაგან პირველმა 1935 წლის გეგმა 47,7 პროცენტით, ხოლო მეორემ — 40,9 პროცენტით შეასრულა.

აღასთანავე დიდი წარმატებანი მოიპოვეს ამიერკავკასიის მრეწველობის მთელმა რიგმა სხვა უმნიშვნელოვანესმა დარგებმა. ელექტროენერგიის გამოშვება ამ მხარეში გადიდდა 20,1 პროცენტით წელიწადში. ვადამდე შეასრულა წლიური გეგმები მარგანეცის, კვების მრეწველობამ. პირველ ხუთწლედში ამიერკავკასიის მრეწველობამ გამოუშვა 4,3 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ხოლო ერთ, 1935 წელიწადში წარმოებული იყო 2,1 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

წარმატებით მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტი. შუა აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზების მუშაკებთან 1935 წლის ივნისში დაწყებულმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიელ რკინიგზელთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რომლებიც ასრულებდნენ საგეგმო დავალებებს.

მრეწველობის განვითარებაში ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვეს ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა 1936 წელს. გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნოვატორული მოძრაობის შემდგომ გაფართოებას. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1935 წლის დეკემბერში გაიმართა, დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველეყოთ სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გავრცელება მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში, წარემართათ პოწინავე მუშათა მეცადინეობა ორგანიზებული კალაპოტით.

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 212, 16 сентября 1935 г.

პლენუმის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით აღინიშნა არასაკმაო მასობრივობა სტახანოვური მოძრაობისა ნავთობის მრეწველობაში[1]. სტახანოვური მოძრაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო მწვავედ გააკრიტიკა ბაქოს პარტორგანიზაცია 1936 წლის თებერვალში საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა. ბაქოს ბოლშევიკების ამოცანა ის არის, ხაზგასმული იყო პლენუმის გადაწყვეტილებაში, რომ სათავეში ჩაუდგნენ მოწინავეთა მოძრაობას ნავთობის მრეწველობის ყველა დარგში, ბოლომდე გატეხონ კონსერვატიული ელემენტების წინააღმდეგობა, მთელი სიგრძე-სიგანით განავითარონ სტახანოვური მოძრაობა[2].

კრიტიკულ შენიშვნებს რომ ანაღდებდა, აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა ყოველნაირად გაეშალა წარმოების ნოვატორთა მოძრაობა. 1936 წლის დამდეგს გამართულმა ბაქოს პარტორგანიზაციის აქტივის კრებამ მოუწოდა მშრომელებს მოეწყოთ ტექნიკური სწავლება და ნოვატორთა გამოცდილების შესწავლა, გამოეყენებინათ შრომის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიც არის სტახანოვური ცვლები, დღე-ღამეები და ხუთდღიურები. პირველ ასეთ ხუთდღიურში ილიჩის ყურის სარეწის კოლექტივის ინიციატივით ჩაება ბაქოს თითქმის ყველა სარეწი, ნავთობგადასამუშავებელი და მანქანათსაშენებელი საწარმო. იქმნებოდა სტახანოველთა სკოლები. ბაქოს პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით განზოგადებული ნოვატორთა გამოცდილება მასების კუთვნილება ხდებოდა. 1936 წლის პირველ ოთხ თვეში სტახანოველთა რიცხვი ნავთობის მრეწველობაში გაორკეცდა და 13 ათასს მიაღწია.

1936 წლის თებერვალში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბაქოში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ნავთობმომპოვებელ და ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაში ტექნიკური ნორმებისა და გამომუშავების ნორმების გადასინჯვის საკითხებისადმი მიძღვნილი ორი სრულიად საკავშირო დარგობრივი კონფერენცია. ამ კონფერენციებმა დასაბამი მისცეს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის იმ დირექტივების პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებიც ეხებოდა სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ ნორმირებას.

---

[1] სკკპ ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი III, გვ. 376.

[2] Газ. «Заря Востока» № 30, 6 февраля 1936 г.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის დადგენილებანი განიხილა და მხურვალედ მოიწონა აგრეთვე ამიერკავკასიის ყველა სხვა საქალაქო პარტორგანიზაციამ. ბაქოში, თბილისში, ერევანში, სოხუმში, ბათუმში, ლენინაკანსა და სხვა ქალაქებში გამართულმა პარტიული აქტივის კრებებმა გააკრიტიკეს ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც გამომუშავების ნორმების შესახებ ძველ წარმოდგენათა ტყვეობაში იყვნენ, დასახეს ღონისძიებანი წარმოების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის.

სწრაფად იზრდებოდა წარმოების ნოვატორთა რიცხვი. სტახანოვურმა მოძრაობამ ამიერკავკასიის მრეწველობაში მასობრივი ხასიათი შეიძინა; ამან კვთილსასურველი გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებსა და გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაზე.

სტახანოვურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშა ახალგაზრდობა კომკავშირის მეთაურობით. ამიერკავკასიის კომკავშირულ ორგანიზაციათა VII ყრილობამ, რომელიც 1936 წლის 17--21 თებერვალს გაიმართა, ცხადყო მათი რიგების დიდი ზრდა. ამ დროისათვის ამ მხარის კომკავშირული ორგანიზაციები ითვლიდნენ 216,9 ათას კაცს (იმ კომკავშირელთა გაუთვალისწინებლად, რომლებიც მსახურობდნენ წითელი არმიის რიგებში, დასაქმებული იყვნენ რკინიგზის ტრანსპორტზე და კასპიის სანაოსნოში)[1]. ყრილობამ განიხილა საკითხები: სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა; სრულიად საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ანგარიში; კომკავშირის კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად; ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ, თუ რა აქტიურად მონაწილეობდა ამიერკავკასიის კომკავშირი საკავშირო კპ (ბ) სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით სოციალისტურ მშენებლობაში. კომკავშირმა დიდი ინიციატივა გამოიჩინა სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. ამიერკავკასიის კომკავშირული აქტივი ძირითადად შედგებოდა სოციალისტური წარმოების მოწინავეებისაგან, სტახანოველებისაგან, რომლებსაც ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული

---

[1] VII съезд комсомольских организаций Закавказья. 17—21 февраля 1936 г. Сборник материалов съезда. Тифлис, 1936, стр. 113.

ახალგაზრდობის მასებში. ყრილობამ აღნიშნა აგრეთვე კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა. ამიერკავკასიის კომკავშირი ასრულებდა დიდმნიშვნელოვან როლს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საჭირო კადრების მოზადებაში.

მნიშვნელოვნად განვითარდა კომკავშირელთა პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის სოფლის ახალგაზრდობას შორის. ამ დროისათვის კომკავშირული პოლიტქსელი ამიერკავკასიის სოფელში შედგებოდა 7.277 სკოლისა და წრისაგან, სადაც 98,7 ათასი კომკავშირელი სწავლობდა.

მეორე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად ამიერკავკასიის ახალგაზრდობის დარაზმვისათვის დიდ მუშაობას ეწეოდა ამ მხარეში გამომავალი 8 კომკავშირული გაზეთი სრულიად საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანოს „მოლოდიო რაბოჩის" მეთაურობით, რამდენიმე კომკავშირული და პიონერული ჟურნალი.

ამიერკავკასიის კომკავშირულ ორგანიზაციათა VII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კომკავშირელები და ახალგაზრდობა იჩენდნენ დიდ შრომითს ენთუზიაზმს, აქტიურად მონაწილეობდნენ მეორე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

კაპიტალური მშენებლობის შემდგომ ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან და გაფართოებასთან, ნოვატორთა მოძრაობის ზრდასთან და კადრების მომზადებაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად ამიერკავკასიის მრეწველობაში ხუთწლედის უკანასკნელი წლების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფა. ეს საკითხები მუდამ იყო ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ყურადღების სფეროში.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად. აზერბაიჯანის ნავთობმომპოვებელი ტრესტებისა და ნავთობსახდელი ქარხნების ტრესტის მუშაობის გაერთიანების მიზნით სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შექმნა აზერბაიჯანის ნავთობის კომბინატი, რომელიც ნავთობის მთავარ სამმართველოს ექვემდებარებოდა და მისი აღმასრულებელი ორგანო იყო.

1936 წლის 14 ივნისს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „აზერბაიჯანის ნავთობის ტრესტების დაწვრილერთეულების შესახებ". ამ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ახალი ნავთობის ტრესტები: ყარადაღნავთობი, ყარა-ჩუხურნავთობი, კერგეზნავთობი[1].

პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლამ ნავთობის მრეწველობის გარდაქმნის დამთავრებისათვის, წარმოების ნოვატორთა მოძრაობის მასობრიობის უზრუნველყოფისათვის, მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის იმის პირობები შექმნა, რომ ახალი წარმატებანი მოეპოვებინათ აზერბაიჯანელ მენავთობეებს, რომლებმაც 1936 და 1937 წლებში გადაჭარბებით შეასრულეს ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების გეგმები.

წარმატებით შრომობდნენ საქართველოს მარგანეცის მრეწველობის მუშაკები. 1935 წლის დამლევს ჭიათურის მარგანეცის მაღაროების კოლექტივმა იკისრა ვალდებულება, რომ მეორე ხუთწლედის პროგრამას 4 წელიწადში შეასრულებდა და ქვეყანას 1,3 მილიონ ტონა სასაქონლო პროდუქციას მისცემდა. 1936 წლის 4 ნოემბრისათვის ეს ვალდებულება შესრულებულ იქნა. ეს ნიშნავდა, რომ ჭიათურელებმა ვადაზე 14 თვით ადრე მიაღწიეს მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილ დონეს. მარგანეცის მადნის მოპოვება 1936 წელს 1932 წელთან შედარებით 4-ჯერ გადიდდა[2].

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობის, მასების შრომითი გმირობის შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობის მაჩვენებლები მრეწველობისა და ტრანსპორტის სხვა დარგებშიც. მკვეთრად გაიზარდა აგრეთვე ამიერკავკასიაში წარმოებული კაპიტალური მშენებლობის მოცულობა.

მნიშვნელოვანი წარმატებანი იქნა მიღწეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებაში.

კოლმეურნე გლეხობის შრომითი აღმავლობის ახალი ტალღა გამოიწვია საკოლმეურნეო წარმოების დამკვრელთა II სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც 1935 წლის თებერვალში გაიმართა მოსკოვში. ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კოლმეურნე გლეხობის დელეგა-

---

[1] მლიაზუპა, ფ. 2, აღწ. 22. შესან. ერთ. 216, ფურც. 238, 239.

[2] Газ. «Заря Востока» № 259, 5 ноября 1936 г.

ციებიც. ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი (სანიმუშო) წესდება, რომელმაც ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას. წესდებაში დადგენილი იყო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციისა და გაძღოლის ძირითადი პრინციპები, დასახული იყო საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების გზები. მიწა, რომელსაც კოლმეურნეობები ამუშავებდნენ, სამუდამო სარგებლობისათვის გადაეცათ მათ.

1935 წლის თებერვალში საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ ფართოდ განეხილათ დამკვრელ კოლმეურნეთა II სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები და კოლმეურნეობებს მიეღოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება. ამ მიზნით აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ სოფლის რაიონებში მიეკლინებინათ ხელმძღვანელი მუშაკები. რათა კოლმეურნეობებში ჩაეტარებინათ საერთო კრებები დამკვრელ კოლმეურნეთა II სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობის შედეგების საკითხებზე და განემარტათ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება. პარტიულ ორგანოებს წინადადება მიეცათ საბჭოთა ვადაში უზრუნველეყოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელებში შეემუშავებინათ თავიანთი წესდებანი, განეხილათ და დაემტკიცებინათ ისინი კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიაში უნდა გამოცემულიყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ, რუსულ, აფხაზურ და სხვა ენებზე[1].

უკვე 1935 წლის მარტ—აპრილში რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოო ორგანოების მხარდაჭერით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ამიერკავკასიის თითოეულ კოლმეურნეობაში შედგენილ იქნა საკუთარი წესდება, რომელსაც საფუძვლად დაედო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება.

ამიერკავკასიის სოფელში გაიშალა ბრძოლა წესდების იმ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, რომ განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, სწორად აღერიცხათ შრომადღეები, სამართლიანად გაენაწილებინათ შემოსავალი და სხვ.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 44, 21 февраля 1935 г.

ამიერკავკასიის ათასობით კოლმეურნე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები ჩაებნენ წარმოების ნოვატორთა მოძრაობაში, დაუცხრომლად შრომობდნენ, დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ ნორმებს. ამიერკავკასიის სოფელში სტახანოვური მოძრაობის წამომწყებთა შორის იყვნენ ბამბის მუშები ბ. ბაგიროვა, კ. სამედოვი, მ. ალიევი, მეჩაიეები უ. აკუბა, ც. ქარდავა, ჟ. კილაძე, მეთამბაქოე გ. ბოსტანჯიანი, კომბაინერები ა. ღუდუშაური, გ. მარჯანიანი, მეცხოველე ბ. მამედოვი, მეაბრეშუმე ო. აივაზაშვილი, მერგოლური ტ. მოვსესიანი, ბრიგადირი ზ. ბუდაღიანი და ბევრი სხვა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, სწავლობდნენ და ავრცელებდნენ საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილებას. ამ მიზნით პერიოდულად იმართებოდა უხვი მოსავლის ოსტატთა რესპუბლიკური და რაიონული შეკრებები, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირები, სადაც მოწინავე კოლმეურნეები უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, გამოთქვამდნენ აზრს შრომის ყველაზე რაციონალური მეთოდების შესახებ.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში ნოვატორთა მოძრაობის ფართოდ გაშლამ, მოწინავე გამოცდილების მხარდაჭერამ და გავრცელებამ, კოლმეურნეობათა შემდგომმა განმტკიცებამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, მეორე ხუთწლედის გეგმით დასახულ მაჩვენებელთა მიღწევას.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, რომლებიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის გაღიდებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულ და ხარისხიან შესრულებას, არაერთხელ განუხილავთ ეს საკითხები, მიუღიათ მათ გამო გადაწყვეტილებანი, რომელთა რეალიზაცია საშუალებას იძლეოდა აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში, უზრუნველეყოთ მისი ყოველმხრივი განვითარება.

წინანდებურად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მებამბეობის, მეჩაიეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა იმ დარგების განვითარებას, რომელთა პროდუქციის დიდი ნაკლებობა იგრძნობო-

და. 1935—1936 წლებში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება ბამბის ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების შესახებ[1]. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად იზრდებოდა ხამი ბამბის მოსავალი, ბამბის მოსავლიანობა. 1935 წლის ზაფხულისათვის საქართველოს უკვე 830 კოლმეურნეობას ჰქონდა ჩაის პლანტაციები. 1935 წელს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა ერთიორად მეტი იყო, ვიდრე 1933 წელს[2]. იმავე წლებში თითქმის ერთიორად გადიდდა ციტრუსოვანთა მოსავალი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე მნიშვნელოვნად გადიდდა ციტრუსოვანი კულტურების რგვა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე[3]. გაფართოვდა აგრეთვე თამბაქოს პლანტაციები. 1936 წელს საქართველოსა და აზოვ-შავიზღვისპირეთის მეთამბაქოეები განაგრძობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელშიც გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა და აფხაზმა მეთამბაქოეებმა. თამბაქოს მოსავლიანობით საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ჩვენს ქვეყანაში[4].

დიდ მუშაობას ეწეოდნენ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მეცხოველეობის განვითარების დარგშიც. მარტო 1934 წლის ივლისიდან 1935 წლის აპრილამდე 1800 საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმა შეიქმნა[5].

1935 წლის მაისში დილიჟანში გაიმართა ამიერკავკასიის სარაიონთაშორისო თათბირი, რომელიც მიეძღვნა პირუტყვის განაწილებას ზაფხულის საძოვრებზე და ყაზახის, ბორჯომის, კიროვაკანისა და დილიჟანის რაიონებს შორის დადებულ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებას[6].

ფართოვდებოდა ამიერკავკასიისა და რუსეთის სფსრ მოძმე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების მეცხოველეთა შეჯიბრება. 1935 წლის მაისში თბილისს ეწვია ჩრდილოეთ კავკასიის მხარის მოწინავე მეცხოველეთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაცია. 1935 წლის 1 ივნისს ამიერკავკასიისა და

---

[1] Газ. «Заря Востока» № 158, 10 июля 1935 г., № 106, 9 мая 1936 г. и др.
[2] Газ. «Заря Востока» № 240, 16 октября 1935 г.
[3] Газ. «Заря Востока» № 92, 20 апреля 1936 г.
[4] Газ. «Заря Востока» № 162, 14 июля 1936 г.
[5] Газ. «Заря Востока» № 123, 29 мая 1935 г.
[6] Газ. «Заря Востока» № 106, 9 мая 1935 г.

ჩრდილოეთ კავკასიის მეცხოველეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ხელშეკრულების პირობებით დაღესტანი შეჯიბრებაში ჩაება მთიან ყარაბაღთან, სომხეთი — ჩრდილოეთ ოსეთთან, ნახჩევნის ასსრ — ჩერქეზეთის ოლქთან, აჭარის ასსრ — ყარაჩაის ოლქთან და ა. შ[1]..

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობას. 1935 წლის სექტემბერში საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდებოდა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და ჩრდილოეთ კავკასიის მხარესთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, აღნიშნა მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი და წინადადება მისცა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებს განეხორციელებინათ ღონისძიებანი, რათა თითოეულ რაიონს, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას შეესრულებინა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა[2].

1936 წლის აპრილის დამლევს ჟიურიმ, რომლის შემადგელობაში შედიოდნენ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, გაზეთების „პრავდისა" და „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს" წარმომადგენლები, შეაჯამა შედეგები ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეცხოველეთა შეჯიბრებისა, რომელშიც ჩაბმული იყო ათეულ ათასობით კოლმეურნე და რომელმაც დაანწინაურა ასობით მოწინავე ფერმა, სოციალისტური მეცხოველეობის ათასობით მოწინავე, ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა განმტკიცებასა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს ამიერკავკასიელმა მეცხოველეებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მთელი რიგი დავალებანი, მნიშვნელოვნად გაზარდეს პირუტყვის სულადობა[3].

შეჯიბრების შედეგების შესახებ ჟიურის ცნობას რომ აქვეყნებდა, გაზეთი „პრავდა" აღნიშნავდა, მისი უმნიშვნელოვანესი პოლი-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 124, 30 мая 1935 г.
[2] Газ. «Заря Востока» № 224, 27 сентября 1935 г.
[3] Газ. «Заря Востока» № 97, 26 апреля 1936 г.

ტიკური შედეგი ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შეგობრობის კიდევ უფრო მეტი განმტკიცება იყოო[1].

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებათა მეოხებით განუხრელად მაღლდებოდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონე. მეორე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, იზრდებოდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, მატულობდა კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იყო უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო არტელების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებასთან. თუ 1933 წელს შრომადღეზე 10—15 კილოგრამ მარცვლეულის შემოსავალს იღებდნენ მხოლოდ მოწინავე მარცვლეულისმთესველ კოლმეურნეობათა წევრები, 1934 წელს ასეთი შემოსავლიანობა უკვე საშუალო იყო ამიერკავკასიის მარცვლეულისმთესველ კოლმეურნეობათა ჯგუფში. როცა ამ ფაქტს აღნიშნავდა, გაზეთი „ზარია ვოსტოკა" წერდა, რომ „ყოველი კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნე სავსებით და ჭარბადაც არის უზრუნველყოფილი ყოველივე საჭიროთი — სურსათ-სანოვაგითა და ტანსაცმლით"[2]. აზერბაიჯანის კოლმეურნეობათა შემოსავალმა სახელმწიფოსათვის მხოლოდ ბამბის ჩაბარების შედეგად 1936 წელს შეადგინა 423 მილიონი მანეთი. თუ 1935 წელს რესპუბლიკაში იყო 9 მილიონერი კოლმეურნეობა, 1936 წელს ასეთ მეურნეობათა რიცხვმა 30-ს მიაღწია[3]. სომხეთის კოლმეურნეობათა მარტო ფულადმა შემოსავალმა 1937 წელს 109,6 მილიონი მანეთი შეადგინა 1932 წლის 21,7 მილიონ მანეთთან შედარებით[4].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში ქვეყნის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა შექმნეს ისეთი პირობები, როცა შესაძლებელი ხდებოდა შეუფერხებელი მომარაგება პურითა და პირველი საჭიროების სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. აქედან გამომდინარე, საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის ნოემბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაუქმებულიყო პურის ბარათების სისტემა და ცენტრალური განა-

---

[1] Газ. «Правда» № 114, 24 апреля 1936 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 287, 12 декабря 1934 г.

[3] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 528.

[4] Социалистическое строительство в Армянской ССР (1920—1949), стр. 54.

წილების სისტემა ყველგან შეცვლილიყო ფართო საბჭოთა ეაჭ-რობით.

საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ამ ახალმა გამოვლინებამ მათი შრომითი ენთუზიაზმის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია, ხელი შეუწყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ახალ წარმატებათა მიღწევას სოციალისტურ მშენებლობაში.

ამიერკავკასიაში წლითიწლობით იზრდებოდა საქონელბრუნვის მოცულობა, რაც მოწმობდა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. 1930 წელს საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) შეადგენდა 770,4 მილიონ მანეთს, ხოლო 1933 წელს — 2.322 მილიონ მანეთს[1]. 1934 წლის ივნისის დამდეგს საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში საქონელბრუნვის გაფართოების შესახებ. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ამ დარგში დასახულ ამოცანათა გადაჭრის საფუძველზე საქონელბრუნვა ფედერაციაში 1935 წელს 3.683 მილიონ მანეთამდე გადიდდა. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ მხარეში მკვეთრად გაიზარდა კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება, გადიდდა ამ საქონლის მიწოდება მოძმე რესპუბლიკებიდან.

დიდ ზრუნვას იჩენდნენ მხარის პარტიული ორგანიზაციები საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის, მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ამიერკავკასიაში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის. ბაქოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენდა 7 ათას პროცედურას დღეში. ნავთობის ქალაქის მუშები სამართლიანად უწოდებდნენ ამ ინსტიტუტს ნამდვილ ჯანმრთელობის სასახლეს. თბილისში ამუშავდა მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ინსტიტუტი, რომელიც თავისი მოწყობილობით ერთ-ერთ საუკეთესო სამკურნალო დაწესებულებად ითვლებოდა ჩვენს ქვეყანაში. ერევანში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სულ 50 საავადმყოფო საწოლი იყო, 1936 წლის დამდეგისათვის უკვე აშენდა

[1] Газ. «Заря Востока» № 130, 5 июня 1934 г.

საავადმყოფოები, რომელთა საწოლების რიცხვი 800-ს შეადგენდა[1].

1936 წლის იანვარში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საავადმყოფოების მდგომარეობისა და იქ საქმის დაყენების შემოწმების შედეგები, მწვავედ გააკრიტიკა გამოვლენილი ნაკლოვანებანი და წინადადება მისცა რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებს დაუყოვნებლივ დაემყარებინათ ჯეროვანი წესრიგი საავადმყოფოებში, აემაღლებინათ მშრომელთა სამედიცინო მომსახურების დონე. სამხარეო კომიტეტის მითითებით პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შეისწავლეს და თავიანთ სხდომებზე განიხილეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის მდგომარეობის საკითხი[2].

მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებასთან ერთად დიდი ცვლილებები ხდებოდა მათს ყოფა-ცხოვრებაშიც.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალის მდგომარეობის შეცვლას ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ოჯახში. საბჭოთა წყობილებამ შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის უფართოესი შესაძლებლობანი შეუქმნა აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ქალებს. ისინი სოციალიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილენი გახდნენ.

სოციალისტური მშენებლობის პროცესში უღრმესი გადატრიალება მოხდა არა მარტო ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. არამედ მშრომელთა სულიერ ცხოვრებაშიც. მათს იდეოლოგიაში, კულტურაში, შეგნებაში მომხდარი ძირეული ცვლილებანი შეადგენდნენ კულტურული რევოლუციის არსს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს. საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მომხდარი ეს გარდაქმნები თვით საბჭოთა წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობდა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანებს შეესაბამებოდა.

კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა ადამიანების მეცადინეობას ახმარდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზებისა და ელექტროსადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობას, უზრუნველყოფდა გლეხთა მეურნეობების გადაყვანას სოციალისტური განვითარების გზაზე. კულტურული რევოლუციის ფრონტზეც ტიტანურ მუშაობას ეწეო-

[1] Газ. «Заря Востока» № 154, 4 июля 1936 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 113, 17 мая 1936 г.

და. ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებამ და სსრ კავშირში სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აშენებამ იმის საჭირო პირობები შექმნა, რომ კიდევ უფრო ამაღლებულიყო ქვეყნის კულტურა.

ქვეყანა ლენინური კურსით რომ მიჰყავდა, პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ რესპუბლიკათა ყოველმხრივ აყვავებას. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკაში, კულტურულმა მშენებლობამ მეორე ხუთწლედის მანძილზე უაღრესად ფართო გაქანება მიიღო.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა VII ყრილობამ აღნიშნა, რომ მხარის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც თანამიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, მშრომელები კულტურული რევოლუციის გზით მიჰყავთ. აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი იქცეოდნენ მთლიანი წიგნიერების, მოწინავე მეცნიერების, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის რესპუბლიკებად.

კულტურული რევოლუცია ამიერკავკასიაში ხორციელდებოდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე. მაგრამ მათი განვითარება-გაღრმავების გზაზე ამ მხარეს ჰქონდა თავისი სიძნელეები. ამიერკავკასიაში კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა იყო მოზრდილი მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაციის დამთავრება.

ამიერკავკასიაში უწიგნურობისა და მცირე წიგნიერების ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობას განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა პირველი ხუთწლედების მანძილზე. ეს მუშაობა მოითხოვდა დიდძალ ფინანსურ სახსრებს, ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას, პარტიულ ორგანიზაციათა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას. მშრომელთა შორის ვლინდებოდა დიდი მისწრაფება ცოდნისადმი. წიგნს ასეულ ათასობით ადამიანმა მოჰკიდა ხელი. ამიერკავკასიის ქალაქები და სოფლები სხვადასხვანაირი სკოლებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის კურსების ხშირი ქსელით დაიფარა. პარტიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უწიგნურობისა და მცირე წიგნიერების მოსპობას კომუნისტებს შორის. 1935—1936 წლებში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ორჯერ გამოიტანა სპეციალური დადგენილებანი ამ საკითხის გამო.

მეორე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიაში უწიგნურობის ლიკვიდაციის სკოლები ასეულ ათასობით კაცმა დაამთავრა. მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკად გადაიქცა საქართველო. აზერბაიჯანში, უწიგნურობისა და მცირე წიგნიერების ლიკვიდაციის მიზნით, ყველა სახეობის სწავლებაში 1935 წელს ჩაბმული იყო 292 ათასი კაცი, ხოლო მომდევნო წელს — უკვე 496 ათასი კაცი. 1937 წელს რესპუბლიკის უწიგნურობის ლიკვიდაციის სკოლები 216 ათასმა კაცმა დაამთავრა[1]. მოზრდილი მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის დიდი მუშაობა ხორციელდებოდა სომხეთშიც, სადაც 1937 წლის ზაფხულში უწიგნურთა რიცხვი დაახლოებით 89 ათასს შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით სომხეთის სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1937 წლის დამლევისათვის უწიგნურობის მთლიანი ლიკვიდაციის შესახებ[2].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე სახალხო განათლების, სასკოლო მშენებლობის განვითარების საკითხები. საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტები დიდ ზრუნვას იჩენდნენ საყოველთაო სწავლების ამოცანათა განხორციელებისათვის, მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის, მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით სოფლად, სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემისათვის. სკოლის შენობათა მშენებლობისათვის და ა. შ. 1933 წლის აგვისტოში მიღებულ დადგენილებაში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაავალა განეხორციელებინათ იმ მუშაობის ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა, რომელიც ჩაღდებოდა სკოლების განმტკიცებისა და ახალი სასწავლო წლის შესახვედრად მათი მომზადებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა „სოფლის სკოლას და ეროვნულ უმცირესობათა სკოლას, როგორც ყველაზე ჩამორჩენილ რგოლს ამიერკავკასიის სახალხო განათლების სისტემაში“[3]. 1934 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გააკრიტიკა ამ მხარეში სასკოლო მშენებლობის ნელი ტემპი[4].

---

[1] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 530.

[2] Газ. «Коммунист» № 183, 23 августа 1937 г.

[3] Газ. «Заря Востока» № 188, 17 августа 1933 г.

[4] Газ. «Заря Востока» № 205, 3 сентября 1934 г.

დაძაბული მუშაობის შედეგად 1933/34 სასწავლო წელს გადაიჭრა ამიერკავკასიაში საყოველთაო დაწყებითი სწავლების ამოცანები. დიდი მუშაობა შესრულდა, რათა ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდობას მისცემოდა შესაძლებლობა მიეღო განათლება მშობლიურ ენაზე. მაგალითად, 1934/35 სასწავლო წელს აზერბაიჯანში ბავშვები სწავლობდნენ აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ, ქართულ, ლეკურ, ტალიბურ, ტატურ, გერმანულ, ქართულ, ასირიულ, ბერძნულ, უზბეკურ და ავარიულ ენებზე. 1933/34 სასწავლო წელს სომხეთში სწავლება სკოლებში წარმოებდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ქართულ, ასირიულ, ბერძნულ ენებზე. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ყველა პირობა იყო შექმნილი აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, მთიან ყარაბაღში. თუ ცარიზმის დროს აფხაზეთსა და აჭარაში განათლების საჭიროებისათვის ერთ სულ მოსახლეზე იხარჯებოდა მეოთხედი კაპიკი წელიწადში, 1936 წელს იხარჯებოდა 55 მანეთი.

ამიერკავკასიაში შეიქმნა აგრეთვე საშუალო სკოლები წარმოებას მოუწყვეტლივ ახალგაზრდობის სწავლებისათვის. 1935 წელს ამ სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 32 ათასამდე გაიზარდა. 1935/36 სასწავლო წლიდან ასეთი სკოლები სოფლადაც იქმნება.

საბჭოთა სკოლის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებას „დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანაწესის შესახებ". იმავე წლის ნოემბერში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ამ დადგენილების შესრულების საკითხი და დასახა ღონისძიებანი სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებისათვის, სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის[1].

უდიდესი მუშაობა ხორციელდებოდა აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების დარგში. 1934 წლის დამლევს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეამოწმა 30 უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ დაწესებულებათა სასწავლო ცხოვრება გარდაქმნილიყო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 19 სექ-

[1] Газ. «Заря Востока» № 271, 23 ноября 1935 г.

ტემბრის დადგენილების საფუძველზე. ამ სასწავლებელთა უმრავლესობა კარგად იყო მოწყობილი. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა, რომ „სტუდენტობა სწავლას ეკიდება, როგორც საზოგადოებრივ პოვალეობას პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე, და წარმატებით იბრძვის მეცნიერების ათვისებისათვის“[1].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ითვალისწინებდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების, აგრეთვე პედაგოგთა და მედიკოსთა კადრების მომზადების უაღრესად დიდ მნიშვნელობას და აწყობდა ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სამხარეო თათბირებს[2].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის, მათ შორის კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს[3].

კადრების მომზადების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელთა შეჯიბრებას. 1935 წლის დეკემბერში დაიწყო თბილისის, ბაქოს, ერევნისა და კიევის უნივერსიტეტების შეჯიბრება. ამ უნივერსიტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც 1936 წლის მაისში შედგა თბილისში, გაიმართა სასწავლო, სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობის შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება.

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 23 იანვრის დადგენილებამ „უმაღლესი სასწავლებლების მუშაობისა და უმაღლესი სკოლისადმი ხელმძღვანელობის შესახებ“.

ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას ძირეულ ეროვნებათაგან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას უწევდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და რუსეთის სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, სადაც სასწავლებლად იგზავნებოდა აზერბაიჯანელი, ქართველი და

[1] Газ. «Заря Востока» № 3, 3 января 1935 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 106, 8 мая, № 115, 18 мая 1934 г.

[3] Газ. «Заря Востока» № 239, 14 октября 1934 г.

სომეხი ახალგაზრდობა. მარტო 1934 წელს მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრა დაახლოებით 400 სტუდენტმა ამიერკავკასიიდან, რომლებიც საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შუამდგომლობით სამუშაოდ გაიგზავნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში[1].

ამიერკავკასიაში შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი. წარმატებით წყდებოდა ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადების ამოცანა. ამ მხარეში მეცნიერული აზრის განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ფილიალებს, რომლებიც 1935 წელს შეიქმნა. ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში ნაყოფიერად შრომობდა ათასობით მეცნიერი მუშაკი.

უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელის ზრდამ და მეცნიერთა რიცხვის გადიდებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოთა ფრონტის გაფართოებას. ამიერკავკასიის მეცნიერებმა დაიწყეს ამ მხარის განვითარებადი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ მეცნიერების მიმართულებათა დამუშავება, სერიოზული წვლილი შეჰქონდათ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად სწავლობდნენ და წყვეტდნენ მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში მომუშავე კადრების იდეური წრთობის საკითხებს. შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა პარტიული სწავლების საკითხებს. 1934 წლის ნოემბერში საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოისმინა პარტიის ნუხისა და ლენინაკანის საქალაქო კომიტეტებისა და სტალინის რაიკომის მოხსენებანი მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო ნაკლოვანებანი პარტიული სწავლების ორგანიზაციაში, ხარისხში, დასახული იყო წინადადება, რომ უზრუნველეყოთ პარტიული განათლების ქსელის გარდაქმნა და სოფლად პარტიული სწავლების ძირითად ფორმად გაეხადათ საკანდიდატო სკოლები, მაქსიმალურად შეემცირებინათ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეები და გაეფართოებინათ საღამოს

---

1 მლიაზფპა, ფ. 1, აღწ. 77, შესან. ერთ. 761. ფურც. 6.

საბჭოთა და პარტიული სკოლებისა და კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლების მსმენელთა კონტინგენტი. წინადადება იყო აგრეთვე მოეწყოთ პროპაგანდისტთა მუდმივი სემინარები და გაემართათ პარტიული აქტივის სემინარები[1].

ერთი წლის შემდეგ, 1935 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხი სამხრეთ ოსეთის, კიროვაბადისა და სტეფანავანის პარტორგანიზაციებში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის, პარტაქტივის დაუსწრებელი სწავლებისათვის მუშაობის გარდაქმნის შესახებ[2].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა რეორგანიზაცია უყო კულტპროპგანყოფილებას. რომლის ნაცვლად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში შეიქმნა სამი განყოფილება: პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის, სკოლების, მეცნიერების, მეცნიერულ-ტექნიკური გამოგონებების და აღმოჩენებისა; კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა[3].

საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა სპეციალურად განიხილა სოფლად მასობრივი კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები. მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო კოლმეურნე აქტივის უზრუნველყოფა პოლიტიკური ცოდნით, რომლის მოცულობა პოლიტანბანის საფუძვლების მოკლე კურსი უნდა ყოფილიყო. თითოეულ კოლმეურნეობაში კინოსეანსების მოწყობა, გაზეთებისა და წიგნების, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის კითხვის ორგანიზაცია, აგროზოოტექნიკური, მხატვრული თვითმოქმედებისა და ფიზკულტურული წრეების შექმნა[4].

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები სპეციალურად განიხილა 1934 წლის დეკემბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1935 წლის მაისში გაიმართა.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 267, 18 ноября 1934 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 272, 24 ноября 1935 г.

[3] Газ. «Заря Востока» № 204, 3 сентября 1935 г.

[4] Газ. «Заря Востока» № 25, 29 января 1935 г.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული პარტიულ სწავლებაში კომუნისტთა ჩაბმაში. 1934/35 სასწავლო წლის დამლევისათვის პარტიულ სწავლებაში ჩაბმული იყო: საქართველოს კომპარტიაში— პარტიის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის 95 პროცენტი, სომხეთისაში — 82 პროცენტი, აზერბაიჯანისაში — 70,4 პროცენტი[1]. პარტიულ ორგანიზაციებში მარქსისტულ-ლენინური სწავლების ძირითადი ფორმები იყო საკავშირო კპ (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეები, საკანდიდატო და დაწყებითი პარტიული სკოლები.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნასა და გამოცემას აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნილი პარტიის ისტორიის ინსტიტუტები სისტემატურად მუშაობდნენ კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა თარგმნისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბეჭდვითი სიტყვის მატერიალური ბაზა. თბილისში აშენდა წიგნის სახლი, ბაქოში — ახალი სტამბა. ფართო გაქანება მიეცა საგამომცემლო საქმეს. აზერბაიჯანულ, ქართულ, სომხურ ენებზე მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა არა მარტო ამიერკავკასიის მწერალთა ნაწარმოებები, არამედ რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ქმნილებანიც. 1937 წელს აზერბაიჯანულ, ქართულ და სომხურ ენებზე ამიერკავკასიაში 16,7 მილიონი ცალი წიგნი გამოიცა[2].

ამიერკავკასიაში გაიზარდა გამოცემული ჟურნალ-გაზეთების რიცხვი. პრესა, კერძოდ, გაზეთები „ზარია ვოსტოკა", „კომუნისტი" (აზერბაიჯანულ ენაზე), „კომუნისტი" (ქართულ ენაზე), „ჰორურდაინ ჰაიასტან", „ბაკინსკი რაბოჩი", ჟურნალები „პოლიტრაბოტნიკ ზაკავკაზია", „სოციალისტიჩესკი რაბოტნიკ ზაკავკაზია" და სხვები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მასების დარაზმვაში მეორე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად. პრესა ხელს უწყობდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, ავლენდა ნაკლოვანებებს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. დიდ აქტივობას იჩენდნენ რაიონული გაზეთები. ისინი უშუალოდ იყენენ

---

[1] Газ. «Заря Востока» № 120, 26 мая 1935 г.

[2] Социалистическое строительство Союза ССР, 1933—1938 гг. Статистический сборник. М.-Л., 1939, стр. 154.

დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან და ოპერატიულად ეხმაურებოდნენ თავიანთი რაიონების ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებს, ქმედით დახმარებას უწევდნენ პარტიულ ორგანიზაციებს მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გასაშლელად.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია დღენიადაგ ზრუნავდა ამ მხარის პრესის ზრდისათვის, უნარიანად წარმართავდა მის საქმიანობას, ხელს უწყობდა იმას, რომ გაზეთებსა და ჟურნალებს შეესრულებინათ მასების კოლექტიური პროპაგანდისტისა და კოლექტიური ორგანიზატორის როლი.

ამიერკავკასიაში წლითიწლობით იზრდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 1934 წლის მარტში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების საკითხებზე. ამის შემდეგ ამიერკავკასიაში დიდი მუშაობა გაჩაღდა ბიბლიოთეკების რიცხვისა და მათი წიგნის ფონდის გასადიდებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოფლის ბიბლიოთეკებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი სოფლად. მეორე ხუთწლედში სოფლის მშრომელთა შორის კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის მთავარი კერები ხდებოდნენ კლუბები, რაიონული და საკოლმეურნეო კულტურის სახლები. ბევრ კლუბში შეიქმნა ბიბლიოთეკები, მოქმედებდნენ კოლმეურნეთა პოლიტცოდნის ასამაღლებელი წრეები. ფართოდ განვითარდა მხატვრული თვითმოქმედება. მშრომელთა შორის დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ მუზეუმები.

მხარის პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის არსენალში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რადიომაუწყებლობამ. ინტენსიურად წარმოებდა მუშაობა ქალაქებისა და სოფლების რადიოფიკაციისათვის. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სახკომსაბჭოებთან შეიქმნა რადიომაუწყებლობისა და რადიოფიკაციის სახელმწიფო კომიტეტები.

სწრაფად ვითარდებოდა კინოფიკაციაც. სტაციონარული დანადგარები იყო ამიერკავკასიის ყველა რაიონსა და ბევრ სოფელში. კინო მასობრივი აგიტაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება ხდებოდა. ამ წლებში სტუდიებმა „ქართულმა ფილმმა“, „არმენფილმმა“ და „აზფილმმა“ ბევრი მნიშვნელოვანი მხატვრული და დოკუმენტური

ფილმი შექმნეს. ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე დიდი წარმატებით უჩვენებდნენ ამიერკავკასიელი კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილ ისეთ სურათებს, როგორიც არის „26 კომისარი“. „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „დარიკო“, „პეპო“, „ზანგეზური“, „ისმეთი“ და სხვები.

ნამდვილ აყვავებას მიაღწია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხთა თეატრალურმა და მუსიკალურმა ხელოვნებამ. დრამატული და ოპერის თეატრები, კონსერვატორიები, ფილარმონიები, აგრეთვე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები და სხვა საშემსრულებლო კოლექტივები მასებს აცნობდნენ და აყვარებდნენ არა მარტო ეროვნულ, არამედ აგრეთვე რუსულ და მსოფლიო თეატრალურ და მუსიკალურ კულტურას. დრამატული თეატრები ამიერკავკასიის რესპუბლიკების არა მარტო დედაქალაქებში, არამედ ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში იყო.

ამ წლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპოზიტორებმა შექმნეს არაერთი მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოები, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

მეორე ხუთწლედის მანძილზე დიდი შემოქმედებითი წარმატებებით აღინიშნა ამიერკავკასიის ხალხთა სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარება. აზერბაიჯანელმა, სომეხმა და ქართველმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა შექმნეს სოციალიზმისათვის ამიერკავკასიის ხალხთა გმირული ბრძოლისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებიც მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ.

თავიანთი ნიჭიერი ნაწარმოებებით გაუთქვეს სახელი საბჭოთა ხელოვნებას გამოჩენილმა კომპოზიტორებმა უზეირ გაჯიბეკოვმა, ზაქარია ფალიაშვილმა, არამ ხაჩატურიანმა, მხატვრებმა მარტიროს სარიანმა, გიგო გაბაშვილმა, აზიმ აზიმზადემ, მსახიობებმა ვერიკო ანჯაფარიძემ, ნატო ვაჩნაძემ, ჰაიკანუშ დანიელიანმა, ბულ ბულ მამედოვმა, შოვკეთ მამედოვამ, რაჩია ნერსისიანმა, ვაგრამ ფაფაზიანმა, უშანგი ჩხეიძემ, აბას მირზა შარიფზადემ და მრავალმა სხვამ.

გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური აზერბაიჯანული, სომხური და ქართული კულტურა. სულ უფრო მტკიცდებოდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპოზიტორთა, თეატრის და კინოს მოღვაწეთა, სახვითი ხელოვნების ოსტატთა კავშირურთიერთობა. ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების

აყვავებისა და დაახლოების მკაფიო გამოხატულება იყო ოლიმპიადა, რომელიც 1934 წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე მიმდინარეობდა თბილისში. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმაც — რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა[1]. ოლიმპიადის გახსნის დღეს გაზეთი „ზარია ვოსტოკა" წერდა: „ხალხური მხატვრული შემოქმედების მასობრივი დათვალიერება პირველად ეწყობა ასეთი მასშტაბით. იგი ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში მიმდინარე კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მკაფიო მოვლენა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მძლავრი დემონსტრაციაა". ყველა სახეობის ხალხური შემოქმედების 1.500 შემსრულებელი ჩამოვიდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს დედაქალაქში. ოლიმპიადა ხელს შეუწყობს „ლენინური ეროვნული პოლიტიკის შემდგომი გაშლისა და განვტკიცების, მასების ინტერნაციონალური აღზრდის" საქმეს[2].

ოლიმპიადაზე თავიანთი წარმატებანი ცხადყვეს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა სცენის ოსტატებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, ანსამბლებმა და თვითმოქმედების წრეებმა.

1937—1938 წლებში მოსკოვში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ხელოვნების პირველი დეკადები. ეს დეკადები ამიერკავკასიის ხალხთა სოციალისტური ხელოვნების უმკაფიოესი დემონსტრაცია იყო. მოწინავე სტატიაში „აზერბაიჯანული კულტურის ზეიმი" გაზეთი „პრავდა" წერდა: „აზერბაიჯანული კულტურის დეკადა უდიდესი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აზერბაიჯანული კულტურის შემოქმედებითი წარმატებებით მთელ ჩვენს მრავალმილიონიან ხალხს შეუძლია იამაყოს"[3].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ლიტერატურის მუშაკთა შემოქმედებითი ძალების აღზრდასა და შეკავშირებას. ამაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ(ბ) 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ". გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ძველი პროლეტარული ლიტერატურულ-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 114, 20 мая, № 130, 5 июня 1934 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 125, 30 мая 1934 г.

[3] Газ. «Правда» № 107, 18 апреля 1938 г.

მხატვრული ორგანიზაციების ჩარჩოები მეტად ვიწროა და აბრკოლებენ მხატვრული ლიტერატურის შემდგომ აღმავლობას[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გაეუქმებინა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და ყველა მწერალი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას იცავდნენ, გაეერთიანებინა ერთიან საბჭოთა მწერლების კავშირად. ამგვარი გარდაქმნა დასახული იყო სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებშიც.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად 1932—1933 წლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები შეუდგნენ ლიტერატურულ და მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნას. რესპუბლიკებში რეორგანიზებულ იქნა შემოქმედებითი გაერთიანებები, შეიქმნა მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირები.

1934 წლის ზაფხულში გაიმართა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობები. თავიანთ მისალმებებში ყრილობებისადმი ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა მწერლებს მოუწოდეს შეექმნათ ნაწარმოებები თანამედროვე თემებზე, მკაფიოდ აესახათ საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პათოსი. ყრილობებზე გამოსვლისას მწერლები აღნიშნავდნენ ლიტერატურის დიდ როლს ამიერკავკასიის ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობის განმტკიცებაში, რუსული ლიტერატურის კეთილმყოფელ გავლენას მოძმე ხალხთა ლიტერატურების განვითარებაზე.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობას, რომელიც 1934 წლის აგვისტოში გაიმართა მოსკოვში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატები —აქსელ ბაკუნცი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, დერენიკ დემირჩიანი, სამედ ვურღუნი, სტეფანე ზორიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიქაილ მუშფიქი, მამედ საიდ ორდუბადი, სულეიმან რუსთამი, გალაკტიონ ტაბიძე, ჯაფარ ჯაფარლი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალექსანდრე შირვანზადე და სხვ.

---

[1] КПСС о культуре, просвещении и науке. Сборник документов. М., 1968, стр. 213, 214.

ამიერკავკასიის მწერლების მიერ შექმნილმა ბევრმა ნაწარმოებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. ამ ნაწარმოებებში დახატულია ეპოქის გმირის — სოციალიზმის მშენებლის სახე, მხატვრულად ასახულია ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ყოველნაირად ავითარებდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან. 1937 წელს ამიერკავკასიის ხალხებმა ყველა მოძმე ხალხთან ერთად აღნიშნეს დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაღუპვის 100 წლისთავი. 1937 წლის დეკემბერში ზეიმით აღინიშნა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავი. ეს იუბილეები საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის დიდ დღესასწაულებად იქცნენ. ხშირად იმართებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრები. 1935 წელს თითქმის ორი თვე გაატარა ბელორუს მწერალთა ჯგუფმა საქართველოში, ქართველ მწერალთა ჯგუფმა კი—ბელორუსიაში. ამიერკავკასიას ეწვივნენ გერმანელი, ესპანელი, ავსტრიელი ანტიფაშისტი მწერლები.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ მწერლებისა და მხატვრების, კომპოზიტორებისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეების შემოქმედებითი ძალების ზრდა-განვითარებას. რაზმავდნენ მათ კომუნისტური პარტიის გარშემო, მათს ძალებს ახმარდნენ სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

მეცნიერთა, ლიტერატორთა და ხელოვნების ოსტატთა, პრესის, რადიოსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა დახმარებით ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები დიდ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, პროპაგანდას უწევდნენ მეცნიერულ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, იბრძოდნენ ყოველგვარი ბურჟუაზიული, იდეალისტური ტენდენციების წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციები აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას ეწეოდნენ მოსახლეობაში, ავრცელებდნენ ბუნებისმეტყველების ცოდნას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა, თავს აღწევდა ეკლესიისა და მეჩეთის გავლენას, თავისუფლდებოდა რელიგიური ბანგისაგან.

მარქსისტულ-ლენინური თეორია სულ უფრო ძლიერ ეუფლებოდა მასებს, გაბატონებული იდეოლოგია ხდებოდა საბჭოთა კავ-

შირში. სულ უფრო მტკიცდებოდა სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, დუღაბდებოდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, მათი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა კი, ახალ შინაარსს რომ იძენდა, აქტიურად მოქმედი ფაქტორი გახდა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში.

8. მეორე ხუთწლედის შედეგები ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში. სოციალიზმის გამარჯვება. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები.

მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის თავდადებული შრომის შედეგად, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა და წარმართავდა, ხუთწლიანი გეგმა ვადამდე — ოთხ წელიწადსა და სამ თვეში შესრულდა. სსრ კავშირში გადაწყდა მეორე ხუთწლედის ისტორიული ამოცანა, საბოლოოდ იქნენ ლიკვიდირებული ექსპლოატატორთა კლასები, მთლიანად მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზები. საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც განუხრელად ახორციელებდნენ სოციალიზმის აშენების ლენინურ გეგმას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით გადაწყვიტეს სოციალისტური მშენებლობის უძნელესი ამოცანა — ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნის ამოცანა. პირველად მსოფლიოში საბჭოთა კავშირში ძირითადად აშენდა სოციალისტური საზოგადოება.

მეორე ხუთწლედის შედეგად ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაბატონდა სოციალისტური წარმოების წესი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა. 1937 წელს წარმოების სოციალისტური სისტემის ხვედრითმა წონამ ქვეყნის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შეადგინა 99,8 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში კი—98,6 პროცენტი[1].

დამთავრდა მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია. მკვეთრად გაიზარდა მრეწველობის პროდუქციის მოცულობა. 1937 წელს სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტი მიღებული იყო ახალ ან პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილ-

---

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, გვ. 469.

ზე მთლიანად რეკონსტრუირებულ საწარმოებში. მეორე ხუთწლედში თითქმის ერთისამად გაადიდა თავისი პროდუქცია მანქანათსაშენებელმა მრეწველობამ. ელექტროენერგიის წარმოებით ჩვენი ქვეყანა მეთხუთმეტედან მეორე ადგილზე გამოვიდა ევროპაში და მესამე ადგილზე მსოფლიოში. მოახლოებული ომის საშიშროების გამო დიდი ყურადღება დაეთმო თავდაცვითი მრეწველობის განვითარებას.

მეორე ხუთწლედში დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. განმტკიცდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივი და პოლიტიკური საფუძვლები. მნიშვნელოვანი მასშტაბით გაიზარდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა.

დიდი წარმატებანი იყო მოპოვებული მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. მეორე ხუთწლედის წლებში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი ერთიორად და მეტად გადიდდა. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი გაიზარდა 2,5-ჯერ, კოლმეურნეთა შემოსავალი კი 3-ჯერ.

მეორე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში დამთავრდა მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაცია, განხორციელდა სავალდებულო დაწყებითი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო და უმაღლესი განათლება. პარტიის მზრუნველი ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ სახალხო ინტელიგენციის კადრები.

მეორე ხუთწლედი ლენინური ეროვნული პოლიტიკის თვალსაჩინო მიღწევებით აღინიშნა. ეროვნულ რესპუბლიკებში გაიშალა დიდი სამრეწველო მშენებლობა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, ძირეულ ეროვნებათაგან აღიზარდნენ სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები. ჩამოყალიბდნენ ახალი ტიპის ერები — საბჭოთა სოციალისტური ერები. მათი სულიერი სახე-იერის განმასხვავებელი ნიშანი იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის იდეოლოგია. დიად სოციალისტურ ოჯახად შედუღაბებულმა საბჭოთა კავშირის ერებმა და ეროვნებებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს მაგალითი პრინციპულად ახალი ურთიერთობისა, რომელიც ემყარებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ურღვევი მეგობრობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურყევ საფუძველს.

კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის

განხორციელებამ ხელი შეუწყო ეროვნულ რესპუბლიკათა ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ განვითარებას.

უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში საბჭოთა ხალხმა, კერძოდ, ამიერკავკასიის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს მეორე ხუთწლედი.

საბჭოთა ამიერკავკასიამ დიდი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში. რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი კოლონიური განაპირა მხარეებიდან აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი გადაიქცნენ სოციალისტურ რესპუბლიკებად, რომლებსაც ჰქონდათ დიდად განვითარებული, თანამედროვე ინდუსტრია, სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნილი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური აყვავებული კულტურა.

მეორე ხუთწლედის დამლევისათვის სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობით, მსხვილი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდებით, მთლიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებით და ელექტროენერგიის გამომუშავებით ამიერკავკასიას რსფს რესპუბლიკისა და უკრაინის სს რესპუბლიკის შემდეგ მეხამე ადგილი ეკავა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ხოლო ნავთობის მოპოვებითა და ნავთობპროდუქტების წარმოებით — პირველი ადგილი.

1933—1936 წლებში ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იყო 4.750 მილიონი მანეთი (1926—1927 წლების ფასებით). ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მეორე ხუთწლედში გაიზარდა ერთიორად და მეტად — 1932 წლის 1.778 მილიონი მანეთიდან 3.670 მილიონ მანეთამდე 1937 წელს[1].

მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელმა მენავთობეებმა პირნათლად მოიხადეს ვალი ჩვენი ქვეყნის წინაშე. ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. თუ მეორე ხუთწლედში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული იყო 157,6 მილი-

---

[1] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, М., 1939, стр. 115.

ონი ტონა ნავთობი, აქედან 96 მილიონი ტონა ქვეყანას ბაქომ მისცა. ეს იყო ამიერკავკასიის ფედერაციის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის დიდი წვლილი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის საქმეში. მეორე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიაში მოპოვებული იყო 8,5 მილიონი ტონით მეტი ნავთობი, ვიდრე მთელ ჩვენს ქვეყანაში მთელი პირველი ხუთწლედის მანძილზე. 1937 წელს სსრ კავშირში მოპოვებული 2.180 მილიონი კუბური მეტრი გაზიდან 2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მოდიოდა ამიერკავკასიაზე (ბაქოს რაიონი)[1].

ელექტროენერგიის გამომუშავება ამიერკავკასიაში 1932 წლის 791 მილიონი კილოვატსაათიდან გაიზარდა 2.160 მილიონ კილოვატსაათამდე 1937 წელს, ხოლო ელექტროსადგურების სიმძლავრე შესაბამისად გადიდდა 212 ათასი კილოვატიდან 443 ათას კილოვატამდე[2].

დიდი წარმატებანი იყო მოპოვებული ამიერკავკასიის მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაში. ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია ხუთწლეულში გადიდდა სამჯერ, ქიმიური მრეწველობისა — 3,6-ჯერ, მარგანეცის მადნის მოპოვება — 4,2-ჯერ, ქვანახშირისა — თითქმის 2-ჯერ; ცემენტის წარმოება გაიზარდა თითქმის 40 პროცენტით. ამიერკავკასიის რკინიგზების ტვირთბრუნვა 1932 წლის 15,1 მილიონი ტონიდან გადიდდა 25,9 მილიონ ტონამდე 1937 წელს[3].

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვებით კავშირში მესამე იყო აზერბაიჯანის სსრ (რსფს რესპუბლიკისა და უკრაინის სს რესპუბლიკის შემდეგ). განვითარების განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის ძირითადმა დარგმა — ნავთობის მრეწველობამ. ახალი ტექნიკის ბაზაზე განხორციელებული ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობამ 1937 წელს ქვეყანას მისცა სამჯერ მეტი ნავთობი, ვიდრე 1913 წელს. აზერბაიჯანში ნავთობის 83 პროცენტი

---

[1] Промышленность СССР. М., 1964, стр. 205, 214; Народное хозяйство Азербайджанской ССР. Баку, 1957, стр. 41.

[2] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 116, 133, 136, 139.

[3] იქვე, გვ. 115, 116, 118; Промышленность СССР, стр. 194, 322.

მოპოვებული იყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოჩენილ და ათვისებულ ნავთობიან ფართობებზე. რესპუბლიკის მრეწველობის ახალი დარგებიდან განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა შალის, ბამბის, საკონსერვო, ხორცის და რძისა და სხვა დარგები. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის 89,5 პროცენტს სამრეწველო პროდუქცია შეადგენდა.

დიდი წარმატებანი მოიპოვა სომხეთის სსრ მრეწველობამ. 1937 წელს რესპუბლიკის წარმოების საერთო მოცულობაში მრეწველობის წილმა 71,6 პროცენტი შეადგინა. მეორე ხუთწლედის მანძილზე სომხეთში სწრაფად ვითარდებოდა ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, შეიქმნა ქიმიური მრეწველობა, გაფართოვდა და ძირეულად გარდაიქმნა ალავერდისა და ზანგეზურის სპილენძსადნობი ქარხნები. მინერალური ნედლეულისა და სევან-ზანგეზურის კასკადის იაფი ჰიდროენერგიის ბაზაზე ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში პირველი სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მშენებლობა.

მეორე ხუთწლედში ბევრად გაიზარდა საქართველოს მრეწველობა. ხუთწლედის დამლევისათვის სამრეწველო ნაწარმის ხვედრითმა წონამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პროდუქციაში 75,8 პროცენტი შეადგინა. 1937 წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობა ერთიორად და მეტად აღემატებოდა 1932 წელს წარმოებულს. მნიშვნელოვნად განვითარდა საბჭოთა კავშირში უდიდესი ჭიათურის მარგანეცის ბაზა. ერთიორად გადიდდა ქვანახშირის მოპოვება ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის აუზებში. რეკონსტრუირებული იყო მანქანათსაშენებელი საწარმოები. მეორე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი და ლითონდამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მთლიანი მოცულობა თითქმის ორ-ნახევარჯერ გადიდდა, ქიმიური მრეწველობისა კი ერთიორად. სწრაფად ვითარდებოდა აგრეთვე რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგები.

ლენინური კოოპერაციული გეგმის განუხრელმა განხორციელებამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში უზრუნველყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. მეორე ხუთწლედში განუწყვეტლივ იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მტკიცდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა.

ამიერკავკასიაში ახალი წარმატებები იყო მოპოვებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში. 1937 წლის დამლევისათვის ამ მხარის სოფლის მეურნეობის ტრაქტორების პარკის სიმძლავრემ 145,6 ათასი ცხენის ძალა შეადგინა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვი 1932 წლის 82-დან გადიდდა 126-მდე 1937 წელს, ხოლო ტრაქტორების რიცხვი — 4.200-დან 9.500-მდე; ხუთწლედის დამლევისათვის ამიერკავკასიის მინდვრებში მუშაობდა 822 კომბაინი, ათასობით სატვირთო ავტომანქანა და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა[1]. მნიშვნელოვნად ამაღლდა მიწის მანქანური დამუშავების ხვედრითი წონა.

მეორე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიაში შესრულდა დიდი მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ენერგოაღჭურვილობის გაძლიერებისათვის. საქართველოში აშენდა 20-ზე მეტი სასოფლო ელექტროსადგური. ბევრი ასეთი სადგური გადაეცა საექსპლოატაციოდ აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის სასოფლო რაიონებში.

სოფლის მეურნეობის დარგში გაწეული დიდი მუშაობის, მექანიზაციის, რწყვისა და მელიორაციის განვითარების მეოხებით ამიერკავკასია საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაიონად გადაიქცა. მეორე ხუთწლედის დამლევს აზერბაიჯანი ქვეყნის მეორე მებამბეობის ბაზა იყო, ხოლო საქართველო — ჩაისა და არაერთი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურის წარმოების ძირითადი რაიონი.

ბამბის ბოჭკოს წარმოება ამიერკავკასიაში 1932 წლის 45,5 ათასი ტონიდან გაიზარდა 66,8 ათას ტონამდე 1938 წელს[2], ჩაის წარმოება — 16 ათასი ტონიდან 272 ათას ტონამდე, მარცვლეულისა — 13,5 მილიონი ცენტნერიდან 21,6 მილიონ ცენტნერამდე. ამ წლების განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 2,9 მილიონი სულიდან 4 მილიონამდე, ცხვრის და თხისა — 3 მილიონი სულიდან 5,6 მილიონ სულამდე[3]. მაგრამ მთლიანად ამიერკავკასიაში მეცხოველეობა და განსაკუთრებით მისი პროდუქტიულობა ჯერ კიდევ ნელა იზრდებოდა.

---

[1] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 134, 137, 139.

[2] Промышленность СССР. Статистический сборник. М., 1964, стр. 358.

[3] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 134, 137, 139.

ამიერკავკასიაში ვითარდებოდა აგრეთვე მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა.

კოლმეურნეობებს რომ განამტკიცებდა, პარტია ცდილობდა მათში ჩაება გლეხობის ახალი ფენები. 1937 წელს აზერბაიჯანის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხთა ყველა მეურნეობის 86,5 პროცენტი, საქართველოში — 76,5 პროცენტი, სომხეთში — 88,7 პროცენტი. იმავე წელს აზერბაიჯანის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამუშავებდნენ მთელი სახნავ-სათესის 93,5 პროცენტს, სომხეთის კოლმეურნეობები — 92,6 პროცენტს, საქართველოსი კი — 82,8 პროცენტს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის შეუპოვარი მუშაობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. ამიერკავკასიის სოფლებში საბოლოოდ და გადაჭრით გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ.

მეორე ხუთწლედი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო სოციალისტური საზოგადოების დიდმნიშვნელოვანი ამოცანის — მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრის გზაზე. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დამკვიდრდა ახალი, თავისუფალი სოციალისტური შრომა, განუწყვეტლივ იზრდებოდა მუშათა ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი.

საცალო საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) ამიერკავკასიაში მეორე ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა 1.859 მილიონი მანეთიდან 5.646 მილიონ მანეთამდე, ესე იგი ერთისამად და მეტად[1].

დიდად განვითარდა კომუნალური და საბინაო მშენებლობა. მეორე ხუთწლედში 1.600 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი აშენდა ამიერკავკასიაში. კაპიტალურმა დაბანდებამ სომხეთის საბინაო მშენებლობაში შეადგინა 201,9 მილიონი მანეთი. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა 483 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები — თითქმის 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში. საქართველოში 1932—1936 წლებში ამავე მიზნებს მოხმარდა დაახლოებით 300 მილიონი მანეთი, რამაც შესაძლებელი გახადა აეშენებინათ და საექსპლოატაციოდ გადაეცათ 600 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი

[1] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 119.

საცხოვრებელი ფართობი. საბინაო და კომუნალური მშენებლობის მასშტაბი განსაკუთრებით დიდი იყო აზერბაიჯანში, სადაც მეორე ხუთწლედში აშენდა 656 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი (266 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში.)[1]. მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა ამიერკავკასიის ქალაქების, რაიონული ცენტრების, მუშათა დაბებისა და სოფლების კეთილმოსაწყობად.

უდიდესი წარმატებანი იყო მოპოვებული მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების განვითარებაში. მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიის ექიმთა რიცხვი 4,4 ათასიდან 6,9 ათასამდე გადიდდა, ხოლო საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა შესაბამისად 15,1 ათასიდან 23,3 ათასამდე[2].

მეორე ხუთწლედის დამლევისათვის ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გადამწყვეტი გამარჯვებანი მოიპოვა კულტურულმა რევოლუციამ. ამიერკავკასიის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხოვნობის მეორე ხუთწლედის დავალებანი შესრულდა. საყოველთაო დაწყებითი განათლების ამოცანები რომ გადაჭრეს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა გაშალეს ბრძოლა შვიდწლედის მოცულობით საყოველთაო სწავლებისათვის. ამიერკავკასიის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 1932/33 სასწავლო წლის 1.122 ათასიდან გაიზარდა 1.519 ათასამდე 1937/38 სასწავლო წელს[3]. ამიერკავკასიის მასწავლებელთა რიცხვი კი (შემთავსებელთა ჩათვლით) ამავე ხნის განმავლობაში 32,6 ათასიდან 49,24 ათასამდე გადიდდა[4].

უკვე 1935 წელს ყოველ 1000 სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რიცხვით აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა გაუსწრეს ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, ავსტრიას.

დიდი იყო მიღწევები უმაღლესი და საშუალო სპეციალური გა-

---

[1] Народное хозяйство Азербайджанской ССР. Статистический сборник. Баку, 1957, стр. 319.

[2] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 123.

[3] იქვე, გვ. 120.

[4] Культурное строительство СССР. Статистический сборник. М., 1956, стр. 96, 98, 110.

ნათლების განვითარების დარგში. 1937 წელს ამიერკავკასიაში მოქმედებდა 39 უმაღლესი სასწავლებელი და 341 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ამ სასწავლებელთა მოსწავლეების კონტინგენტი 1932/33 სასწავლო წლის 86,6 ათასი კაციდან გადიდდა 102.5 ათასამდე 1937/38 სასწავლო წელს.

ამიერკავკასიის მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი 1932—1937 წლებში 1.339-დან 2.717-მდე გადიდდა, კლუბების, კულტურის სასახლეებისა და სახლების რიცხვი — 1.965-დან 2.822-მდე. 1937 წლისათვის ამიერკავკასიაში არსებობდა დაახლოებით 70 მუზეუმი[1]. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის ამიერკავკასიაში სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ოც ენაზე გამოდიოდა 285 გაზეთი, რომელთა ყოველდღიური ტირაჟი 1,3 მილიონი ცალი იყო, და 70 ჟურნალი რამდენიმე ასეული ათასი ცალი ტირაჟით. ამიერკავკასიაში გამომავალი გაზეთების ნომრების რიცხვი 1932 წლის 14,5 ათასიდან გაიზარდა 26.2 ათასამდე 1937 წელს[2].

აყვავდა ამიერკავკასიის ხალხთა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ხელოვნება. ამ მხარის თეატრების რიცხვი ამავე წლებში 46-დან 83-მდე გაიზარდა, მოქმედებდა 1.038 კინოდანადგარი[3]. ლიტერატორები, კომპოზიტორები, მსახიობები, მხატვრები და ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის სხვა ოსტატები ერთგულად ემსახურებოდნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, თავიანთი შემოქმედებით ამდიდრებდნენ საბჭოთა კულტურის საგანძურს.

მეორე ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი მოწმობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფაქტიური უთანასწორობის, ქვეყნის განვითარებული რაიონებისაგან მათი ჩამორჩენის დაძლევას. ეს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვების შედეგად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, შეიცვალა მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის მის აბსოლუტურ უმრავლესობას

---

[1] Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР, стр. 135, 138, 140.

[2] Печать СССР в 1937 году. Статистические материалы, М., стр. XXXIX.

[3] იქვე, გვ. 122.

შეადგენდა ორი მეგობარი კლასი — მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, აგრეთვე ახალი, მუშურ-გლეხური ინტელიგენცია. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ინტერესების ერთობის მეოხებით შეიქმნა საბჭოთა ხალხის ურღვევი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა.

სოციალიზმის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ბუნება. მაღალი მორალური თვისებანი, ახალი სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებრივი ქონებისადმი, პოლიტიკური აქტივობა — ყველა ეს თვისება ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, მუშათა და გლეხთა დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

საბჭოთა სინამდვილის პირობებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებული სოციალისტური მშენებლობის პროცესში იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ გაბედული, ინიციატივიანი და თავდადებული ადამიანები, რომელთა ერთგულება სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვრო იყო, რომელთა ენერგია და შემოქმედებითი აზრი დუღდა და გადმოდუღდა.

კლასობრივი სტრუქტურის გარდაქმნასთან ერთად შეიცვალა ერებისა და ეროვნებების ურთიერთობა და სოციალური ბუნება. წარსულს ჩაბარდა ყოფილი უნდობლობის გრძნობები, რომლებიც შეცვალა ურთიერთმეგობრობამ და ძმურმა თანამშრომლობამ სოციალიზმის მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების დიდ ოჯახში ღირსეული ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელმა, სომეხმა და ქართველმა სოციალისტურმა ერებმა.

საბჭოთა კავშირის უდიდესმა წარმატებებმა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში, მშრომელთა მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანმა ზრდამ ხელი შეუწყო მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კიდევ უფრო მეტად შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, რომლის დაუცხრომელ შთამაგონებელ, მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ საქმიანობას უკავშირებდა საბჭოთა ხალხი ყველა თავის მიღწევას.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძირეული ცვლილებანი აისახა და დამკვიდრდა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში— კონსტიტუციაში.

1935 წლის 1 თებერვალს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომი-

ტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოების მომავალ VII სრულიად საკავშირო ყრილობაზე პარტიის სახელით შეეტანა წინადადება სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. ეს წინადადება გულისხმობდა საარჩევნო სისტემის შემდგომ დემოკრატიზაციას, იმას, რომ ნაკლებად თანასწორი არჩევნები შეცვლილიყო თანასწორით. მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა — ფარულით და დაზუსტებულიყო კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები, რომ კონსტიტუცია სსრ კავშირში კლასობრივი ძალების შექმნილი თანაფარდობის შესაბამისი ყოფილიყო.

6 თებერვალს სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობამ განიხილა და მიიღო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადება, გამოიტანა სპეციალური დადგენილება საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ახალი კონსტიტუციის პროექტი. საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 7 თებერვალს შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ახალი კონსტიტუტიის პროექტის მოსამზადებლად. 1936 წლის 12 ივნისს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დიდი აღმავლობით ჩაიარა კონსტიტუციის პროექტის განხილვამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. პროექტს განიხილავდნენ საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, უბნებში გამართულ ამომრჩეველთა კრებებზე, საწარმოების მუშათა და მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. ამიერკავკასიაში კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში გაიმართა 12 ათასზე მეტი კრება, რომლებსაც დაახლოებით 3 მილიონი კაცი დაესწრო. განხილვა მშრომელთა მაღალი აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობდა. კრებებისა და პლენუმების მონაწილეებს კონსტიტუციის პროექტისათვის შეჰქონდათ შესწორებანი, დამატებანი და ცვლილებანი, რომელთა რიცხვმა ამიერკავკასიაში დაახლოებით ათი ათასს მიაღწია.

კონსტიტუციის პროექტის ღრმად შესწავლის მიზნით ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობა გაშალეს. ათეულ ათასობით კვალიფიციური პროპაგანდისტი, ლექტორი, აგიტატორი და კონსულტანტი

განუმარტავდა კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასებს კონსტიტუციის პროექტს, ეხმარებოდა მათ საფუძვლიანად შეესწავლათ ეპოქის ეს თვალსაჩინო დოკუმენტი. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები თავიანთ ფურცლებზე აქვეყნებდნენ კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილ მკითხველთა წერილებს, სტატიებსა და კონსულტაციებს. კონსტიტუციის პროექტის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს სისტემატურად განიხილავდნენ პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

კონსტიტუციის პროექტის შესწავლამ და განხილვამ ხელი შეუწყო საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გაიშალა მოძრაობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის. უცხოველესი გამოხმაურება და აქტიური მხარდაჭერა პოვა პარტიულ ორგანიზაციათა მოწოდებამ — დაეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 2 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიაში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობები. საბჭოების სრულიად საქართველოს VIII, სრულიად აზერბაიჯანის IX და სომხეთის სსრ IX საგანგებო ყრილობებზე შეჯამეს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები და აირჩიეს საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები. ამის შემდეგ ყრილობებმა მიიღეს დადგენილება შეეწყვიტათ თავიანთი მუშაობა. შემდგომი სხდომები იმავე შემადგენლობით უნდა გაგრძელებულიყო საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ, რათა განეხილათ და დაემტკიცებინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ახალი კონსტიტუციები. ამ კონსტიტუციების პროექტებს ამუშავებდნენ საკონსტიტუციო კომისიები, რომლებიც 1936 წლის ივნისის დამლევს შექმნეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

1936 წლის 25 ნოემბერს შეიკრიბა საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. ყრილობაზე მოხსენება „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ" გააკეთა ი. ბ. სტალინმა.

1936 წლის 5 დეკემბერს ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა და დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი, რომელმაც დაამკვიდრა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. ყრილობამ კონსტიტუციის მიღების დღე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გამოაცხადა.

ამრიგად, საბჭოეთმა მიიღო ახალი კონსტიტუცია — გამარჯვებული სოციალიზმისა და საბჭოთა დემოკრატიის ქვეყნის კონსტიტუცია. ახალ კონსტიტუციაში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად. კონსტიტუციაში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. კონსტიტუციაში უაღრესი სიცხადით იყო განსაზღვრული საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებები და ფუნქციები, მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე გაუქმდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ერთობლივ ბრძოლაში მათი ძალების გაერთიანების საქმეში. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკები როგორც მოკავშირე რესპუბლიკები უშუალოდ შეეიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია გახდა ნიმუში მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შემუშავებისათვის. 1937 წლის 1 თებერვალს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა საკონსტიტუციო კომისიის მოხ-

სენება რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. კონსტიტუციის პროექტი მოწონებულ იქნა და 2 თებერვალს გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ცოტა ხანში საკონსტიტუციო კომისიების მოხსენებანი მოისმინეს აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებმა. აზერბაიჯანსა და სომხეთშიც დაიწყო ახალი კონსტიტუციების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

კონსტიტუციის პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად 1937 წლის 10 თებერვალს თავისი სხდომები განაახლა სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება ყრილობაზე გააკეთა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ე. მახარაძემ, რომელმაც თქვა: „ამიერკავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობა და მეგობრობა... ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ზრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა, რომლებმაც უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში და საპატიო ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს შორის"[1]. 1937 წლის 13 თებერვალს ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია.

1937 წლის 10 მარტს კვლავ დაიწყო სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების საგანგებო IX ყრილობის სხდომები. ყრილობაზე მოხსენება აზერბაიჯანის სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ უ. ბ. რახმანოვმა. 13 მარტს ყრილობამ საზეიმო ვითარებაში მიიღო აზერბაიჯანის სსრ ახალი კონსტიტუცია.

1937 წლის 20 მარტს თავისი მუშაობა განაახლა სომხეთის საბჭოების საგანგებო IX ყრილობამ. ყრილობაზე სომხეთის სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ს. ანესოღლიანმა. 22 მარტს ყრილობამ მიიღო სომხეთის სსრ ახალი კონსტიტუცია.

---

[1] Газ. «Заря Востока» № 40, 18 февраля 1937 г

ყრილობებმა მიიღეს იდენტური დადგენილებანი ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შესახებ და კომუნისტურ პარტიას აღუთქვეს, რომ ამიერკავკასიის მშრომელები კიდევ უფრო გააძლიერებდნენ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას სოციალიზმის საკეთილდღეოდ, დაუშრეტელ ენერგიას მოახმარდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საბჭოების ყრილობებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ისტორიული როლი ამიერკავკასიის ფედერაციისა, რომელიც 14 წლის განმავლობაში ამ მხარის ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების მედროშე იყო და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების მშრომელ მასებს აკავშირებდა და რაზმავდა სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის წლებში აყვავდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. განმტკიცდა მეგობრობა და თანამშრომლობა ამ მხარის ხალხებს შორის და დიდ რუს ხალხთან, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან. ამიერკავკასიის ფედერაციამ, როგორც ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობისა და სოციალიზმის მშენებლობის იარაღმა, შეასრულა თავისი ისტორიული მისია, რამაც უზრუნველყო ამ მხარის საწარმოო ძალების უმაგალითო აღმავლობა, ინდუსტრიალიზაციის, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის, კულტურული რევოლუციის ურთულესი ამოცანების განხორციელება, უდიდესი სოციალური პროგრესის-მიღწევა. მოამზადა პირობები, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოკავშირე რესპუბლიკები უშუალოდ შესულიყვნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1937 წლის 23 აპრილს მიიღო დადგენილება „ახლად შექმნილი მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა შესახებ", რომლის თანახმად საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი უქმდებოდა, ხოლო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები უშუალოდ დაექვემდებარნენ საკავშირო კპ (ბ) ცენტრა-

ლურ კომიტეტს[1]. 1937 წლის მაისში გაუქმდა აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი[2].

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ახალმა კონსტიტუციებ-მა დაამკვიდრეს სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიის რესპუბ-ლიკებში. ახდა ის, რაზედაც ამ მხარის მშრომელები ოცნებობდნენ. ეს იყო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვ-ნული პოლიტიკის, დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალ-ხების უანგარო დახმარების, სოციალიზმის აშენებისათვის ამიერ-კავკასიის ხალხთა თავდადებული ბრძოლის შედეგი.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალ-ისტური რესპუბლიკები, როგორც აღნიშნული იყო ამ რესპუბლიკების კონსტიტუციების მე-13 მუხლში, ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისევე როგორც თავდაცვის ხაზით, ურთიერთდახმარების განსახორციელებლად ნებაყოფლობით გაერთიანდნენ თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან. კონსტიტუციების ამავე მუხლში ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკები დამოუკიდებლად ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებას და სრულად ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს.

ახალი კონსტიტუციებით განისაზღვრა ამიერკავკასიის რესპუბ-ლიკების პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლები. ახალი კონს-ტიტუციები ადგენენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრება განისაზღვრება სახელმწიფო სახალხო-სამეურ-ნეო გეგმებით, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი დოვლათის გადიდება და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. კონსტიტუციები აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების მოქალაქეებს ანიჭებდნენ შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობის და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებებს.

3. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავისუფლება არსებობს მხოლოდ გაბატონებული, მქო-

---

[1] Газ. «Заря Востока» № 94, 24 апреля 1937 г.

[2] Газ. «Заря Востока» № 106, 11 мая 1937 г.

ნებელი კლასებისათვის, რომ კონსტიტუციების მუხლები მხოლოდ მათ და მათს ინტერესებს ემსახურება. „აიღეთ თანამედროვე სახელმწიფოთა ძირითადი კანონები, სიტყვის თავისუფლება, აიღეთ „მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე" — და თქვენ ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალთმაქცობას, რომელსაც კარგად იცნობს ყოველი პატიოსანი და შეგნებული მუშა"[1].

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით სოციალისტური რესპუბლიკების ძირითადი კანონები წარმოადგენდნენ ნამდვილი დემოკრატიის, მშრომელების, ხალხის მასების დემოკრატიის კონსტიტუციებს.

დიდ უფლებებსა და დემოკრატიულ თავისუფლებებს რომ ანიჭებდნენ მოქალაქეებს, ახალი სოციალისტური კონსტიტუციები ავალდებულებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების თითოეულ მოქალაქეს შეესრულებინა კანონები, დაეცვა შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოკიდებოდა საზოგადოებრივ მოვალეობას, გაფრთხილებოდა და განემტკიცებინა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათაწმიდა და ხელშეუვალი საფუძველი.

ახალი კონსტიტუციების შილება მოასწავებდა ახალ ეტაპს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი დიადი გარდაქმნები, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციით დამკვიდრებულნი, წარმოადგენდნენ იმის დიდმნიშვნელოვან წანამძღვარს, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულიყო მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი, გაფართოებულიყო პარტიის გავლენა მასებში და გაძლიერებულიყო ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა.

მაგრამ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ზოგჯერ არღვევდნენ პარტიის წესდებას, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, არჩევითობის მაგიერ მიმართავდნენ კოოპტაციას, ცალკე თითოეული კანდიდატურის მიხედვით კენჭისყრის მაგიერ — სიით კენჭისყრას, ფარული კენჭისყრის მაგიერ — ღია კენჭისყრას და სხვ. ეს დარღვევები ხელს უშლიდნენ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 28, გვ. 293.

პარტიის წევრთა აქტივობის ზრდას, გავლენას ახდენდნენ ხელმძღვანელ ორგანოებსა და პარტიულ მასას შორის ურთიერთობაზე. ამ და მსგავს ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელად პარტიული ორგანიზაციები ვერ შეასრულებდნენ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დაისახა სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებასთან, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნების შემოღებასთან დაკავშირებით.

ამ პირობებში საჭირო გახდა პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გარდაქმნა და გაუმჯობესება, პარტიულ ორგანიზაციებში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე განხილულ იქნა საკითხები ახალი საარჩევნო სისტემით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მზადებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესაბამისი გარდაქმნის შესახებ.

სოციალიზმის გამარჯვება ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა პარტიული და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი გაშლისათვის. მაგრამ ამას ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის პირდაპირი დარღვევები, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისაგან, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპებისაგან გადახრები, რომლებიც დაკავშირებული იყო ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტთან. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ—მარტის პლენუმზე მის მიერ წამოყენებული თეზისი, თითქოს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისა და სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცების კვალობაზე კლასობრივი ბრძოლა ქვეყანაში სულ უფრო გამწვავდებოდა, პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების, მრავალი სხვა სრულიად უდანაშაულო ადამიანის — კომუნისტებისა და უპარტიოების წინააღმდეგ უკანონო რეპრესიათა დასასაბუთებლად.

პიროვნების კულტის შედეგებმა ძლიერ იჩინეს თავი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაშიც, რომლის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ 1933 წელს გაძვრა ბერია. ბერიამ, მისმა დამქაშებმა ბაგიროვმა და სხვებმა, რომლებიც შემდგომში ამხილეს როგორც პოლიტიკური ავანტიურისტები და საბჭოთა ხალხის

მტრები, დაიწყეს მზადება, შემდეგ კი ხელი მიჰყვეს რეპრესიებს მრავალი პატიოსანი, პარტიის ერთგული მუშაკის მიმართ. ამიერკავკასიის პარტორგანიზაციათა იდეოლოგიურ მუშაობას დიდი ზიანი მიაყენეს ბერიასა და ბაგიროვის წიგნებმა, რომლებიც ამახინჯებდნენ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ისტორიას.

თუმცა ყოველივე ეს სერიოზულ ზიანს აყენებდა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს, მაგრამ ამას არ შეეძლო შეეჩერებინა სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლა, შეეცვალა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი და ბუნება, შეერყია პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები.

1937 წლის გაზაფხულიდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიებმა დაიწყეს პარტიული მუშაობის გარდაქმნა. პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში კოოპტაციის სისტემა ლიკვიდირებულ იქნა, აღდგა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობის პრინციპი. ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ფარული კენჭისყრის გზით გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. პარტიული ორგანოების არჩევნები პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ნამდვილ შემოწმებად გადაიქცა.

1937 წლის მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის XIII ყრილობა, საქართველოს კომპარტიის X ყრილობა და სომხეთის კომპარტიის X ყრილობა, რომლებმაც შეაჯამეს პარტიულ ორგანიზაციათა წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, დასახეს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა კომუნისტთა აქტიურობის გაძლიერებას, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებას, მშრომელთა ფართო მასებთან პარტიულ ორგანიზაციათა კავშირის განმტკიცებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

1937 წლის 9 ივლისს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელშიც მკაფიოდ გამოიხატა თანამიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმი. 10 ივლისს დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ გამოქვეყნდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკურ, საქალაქო, საოლქო და რაიონულ გაზეთებში. რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გაშალეს, რათა საფუძვლიანად გაეცნოთ მშრომელთათვის არ-

ჩევნების დებულება. იმართებოდა პარტიული აქტივის კრებები, რომლებზეც სახავდნენ ცენტრალურ ამოცანას — ყოველმხრივ შომზადებულიყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, გაეშალათ ფართო ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, კიდევ უფრო განემტკიცებინათ კავშირი მასებთან.

1937 წლის 12 დეკემბერს პირველად მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებში პარტია უპარტიოებთან ბლოკით, კავშირით გამოდიოდა. ამ ბლოკის კანდიდატებს უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნებში ხმა მისცა ამომრჩეველთა 98,6 პროცენტმა, ხოლო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში —97,8 პროცენტმა.

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა არჩევნებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ: აზერბაიჯანში — 98,9 პროცენტმა, საქართველოში — 98,6 პროცენტმა, სომხეთში — 99,7 პროცენტმა. ამით ამიერკავკასიის ხალხებმა ცხადყვეს მაღალი შეგნებულობა, მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, მისმა ერთგულებამ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განუხრელმა განხორციელებამ, მუშებისა და ყველა მშრომელის შთაგონებულმა შრომამ, საბჭოთა ხალხების მეგობრობამ და ძმურმა თანამშრომლობამ უზრუნველყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, კულტურული რევოლუციის განხორციელების, ძირითადად სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანათა წარმატებით შესრულება. ამ ამოცანების განხორციელებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელებმა.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებით საბჭოთა კავშირში შეიქმნა ყველა პირობა სოციალისტური საზოგადოების აშენების დასამთავრებლად.

დ ა ს კ ვ ნ ა

ლენინის დიადი პარტიის მებრძოლმა რაზმებმა — ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გამოიარეს ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, შეიძინეს უდიდესი გამოცდილება, რომლის შესწავლასა და განზოგადებას დიდი მეცნიერული და პოლიტიკური ვნიშვნელობა აქვს.

ამიერკავკასიის რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციები, რომლებიც XIX საუკუნის დამლევს წარმოიშენენ, ამ მხარის მშრომელთა ავანგარდს წარმოადგენდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდნენ გმირულ ბრძოლას ამიერკავკასიის ხალხები გადამთიელ და ადგილობრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მათ მკაცრ განსაცდელთა გრძელი გზა განვლეს.

აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების მოწინავე ადამიანები სამშობლოს ხსნის გზას ხედავდნენ რუსეთთან მჭიდრო კავშირში. რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებამ, მიუხედავად ცარიზმის მიერ ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისა, ობიექტურად პროგრესული როლი შეასრულა ამ მხარის ხალხთა ისტორიულ ბედში. ამ მოვლენამ ამიერკავკასიის ხალხები იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან, ბოლო მოუღო გარედან შემოსევებსა და თავდასხმებს, ფეოდალურ შინაომებს. მან ხელშემწყობი პირობები შექმნა, რათა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ამიერკავკასიის ხალხებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან ისტორიული ბედის, სამეურნეო წყობის, ყოფისა და კულტურის ერთობით.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება ინტენსიურად აქცევდა ამიერკავკასიას, ისევე როგორც სხვა კოლონიურ განაპირა მხარეებს, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნის საერთო კალაპოტში.

კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში შეიქმნა და განმტკიცდა ეროვნულ განაპირა მხარეთა მშრომელების რევოლუციური კავშირი გმირ მუშათა კლასთან — საიმედო მოკავშირესთან და სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლთან.

ამიერკავკასიის ხალხებისათვის რევოლუციური ბრძოლის გამოც-

დილებისა და ტრადიციების წყარო იყო რუსეთის მუშათა კლასი, რომელმაც პირველმა აღმართა სოციალისტური რევოლუციის დროშა. რუსეთის მუშათა კლასი მტკიცედ უჭერდა მხარს ჩვენი ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, თანამიმდევრულად იბრძოდა ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის მუშათა გამოსვლები საერთო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო.

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციათა ქმნადობა და განმტკიცება იმ დროს ხდებოდა, როცა მარქსიზმმა დაამარცხა ჩვენს ქვეყანაში წვრილბურჟუაზიული თეორიები და მიმდინარეობანი, როცა რევოლუციური ბრძოლის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა, როცა მარქსისტული თეორიის შემოქმედებითს განვითარებას, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქასთან შეფარდებით მუშათა კლასისა და მისი პარტიის რევოლუციური სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავებას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა.

უდიდეს თეორიულ მუშაობასთან ერთად ვ. ი. ლენინმა ტიტანური პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა იმ მიზნით, რომ მასობრივ მუშათა მოძრაობასთან შეეერთებინა მარქსიზმი და შეექმნა მებრძოლი პროლეტარული პარტია, ახალი ტიპის პარტია. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირი", რომელიც ვ. ი. ლენინმა დააარსა გასული საუკუნის დამლევს, გახდა ნიმუში იმისა, რომ რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციები შექმნილიყო ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში, მათ შორის ამიერკავკასიის პროლეტარულ ცენტრებში. მან დიდი გავლენა მოახდინა ამ მხარის სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაზე.

თავისი მრავალმხრივი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინმა კავშირი დაამყარა ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის აქტიურ მონაწილეებთან. 1894 წლიდან ვ. ი. ლენინს მიმოწერა ჰქონდა ამ მხარის ბევრ რევოლუციონერთან, პირადად ხვდებოდა მათ, აძლევდა მითითებებს, ეხმარებოდა რჩევა-დარიგებით, პარტიულ სამუშაოზე გზავნიდა თვალსაჩინო მარქსისტებს ამიერკავკასიაში.

ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ეკიდებოდა ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ფართოდ აშუქებდა თავის ფურცლებზე გაზეთი „ისკრა".

ყოველივე ეს ხელს უწყობდა ამიერკავკასიის მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდას, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დამლევს გამოამჟღავნა მნიშვნელოვანი მოწიფულობა.

თბილისში, ბაქოში, ბათუმსა და ამ მხარის მთელ რიგ სხვა ადგილებში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაგან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი „მესამე დასი" იყო. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატებმა იწყეს გადასვლა მარქსიზმის ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის იდეების შეერთებაზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ და რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე შეიქმნენ როგორც რსდმ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები, იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ მენშევიკების, ესერების, ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და ნაციონალსტური პარტიებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ გაჟღენთილ ბრძოლაში.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა ბოლშევიზმს როგორც პოლიტიკურ მიმდინარეობას და როგორც პოლიტიკურ პარტიას, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ვ. ი. ლენინის საიმედო დასაყრდენი გახდნენ ოპორტუნისტების — მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა უმდიდრესი გამოცდილება გვასწავლის, რომ მათ ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ისტორიული წარმატებანი უწინარეს ყოვლისა იმიტომ მოიპოვეს, რომ მუდამ ხელმძღვანელობდნენ და ყოველთვის ერთგულად იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები იმთავითვე იქმნებოდნენ როგორც მუშათა ერთიანი ინტერნაციონალური ორგანიზაციები. ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ მოწინავე პროლეტარებს — აზერბაიჯანელებს, სომხებს, ქართველებს, რუსებსა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს.

1903 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები გაერთიანდნენ რსდმპ კავკასიის კავშირში, რაც მოასწავებდა

პარტიის აგების ლენინური ორგანიზაციული პრინციპების დიდ გამარჯვებას. რსდმპ კავკასიის კავშირმა და მისმა ხელმძღვანელმა ორგანომ — კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ცარიზმის მიერ განზრახ დანერგილი ეროვნული განცალკევებულობისა და შუღლის ლიკვიდაციის საქმეში. თავიანი არსებობის პირველი დღეებიდანვე კავკასიის კავშირის კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ვ. ი. ლენინთან და მისი უტყუარი დასაყრდენი გახდა.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს საქმიანობა ამიერკავკასიაში, სრულიად კავკასიის პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევა და მუშაობა, პრესის ერთიანი ორგანოების არსებობა ხელს უწყობდა ამიერკავკასიის მუშათა კლასის შეკავშირებას, მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების წარმატებას. მათს ინტერნაციონალურ აღზრდას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მუდამ იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების გამტარებელნი. თავიანთი საქმიანობის ყველა ეტაპზე ისინი სხვადასხვა ეროვნების მუშებს ზრდიდნენ მათი კლასობრივი ინტერესების ერთობის სულისკვეთებით, ინტერნაციონალური ერთიანობის სულისკვეთებით. ბოლშევიკები იყენებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და თვითმპყრობელობის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალნაირ ფორმებსა და საშუალებებს, რაზმავდნენ ამიერკავკასიის მშრომელთ რუსი პროლეტარიატის, როგორც რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წამყვანი ძალის, გარშემო.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც მაშინ იდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკების წინაშე, ის იყო, რომ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაებათ ამ მხარის მკვიდრ ეროვნებათა პროლეტარები, აეშაღლებინათ მათი პოლიტიკური შეგნება. ბოლშევიკები პოულობდნენ გზებს ყველა ეროვნების მუშათა გონებისა და გულისაკენ. მათ მოამზადეს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა კადრები, რომელთაც უნარი შესწევდათ გაეწიათ მარქსიზმის პროპაგანდა, მოაგვარეს ლიტერატურის გამოცემა ამიერკავკასიის ეროვნებათა ენებზე. მარტო რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში და თვით რევოლუციის წლებში ამიერკავკასიაში ოცზე მეტი ბოლშევიკური გაზეთი გამოდიოდა ლეგალურად და არალეგალურად ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე. მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირე-

ბის მიზნით ბაქოს ბოლშევიკთა კომიტეტთან შეიქმნა ჯგუფები და სექციები, რომლებიც პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის.

ჯერ კიდევ 1904 წელს ბაქოს ბოლშევიკთა კომიტეტთან შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „გუმეთი" („ენერგია"). „გუმეთი"— ბაქოს პარტიული ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილი — მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა იმ მიზნით, რომ ბოლშევიკური პარტიის გარშემო დაერაზმა მშრომელ აზერბაიჯანელთა ფართო მასები. მოგვიანებით შეიქმნა აგრეთვე რუსმპ ბაქოს ორგანიზაციის სომხური და ლატვიური სექციები, სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ადალეთი" („სამართლიანობა"), რომელიც უპირატესად მუშაობდა ირანის აზერბაიჯანიდან გამოსულ აზერბაიჯანელ მუშებს შორის, პროპაგანდისტული ჯგუფი „ფარუკი" („სამართლიანობის ქომაგი") და „ბირლიკი" („ერთიანობა"), რომლებიც ბაქოში ეწეოდნენ მუშაობას შესაბამისად დაღესტნელ და ვოლგისპირელ თათარ მუშებს შორის. ასეთი ჯგუფებისა და სექციების შექმნა ცხადყოფდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების უნარს — გაეთვალისწინებინათ კონკრეტული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების თავისებურება.

ვ. ი. ლენინი, რომელსაც არაერთხელ აღუნიშნავს ამიერკავკასიელ ბოლშევიკთა ნაყოფიერი საქმიანობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს თანამიმდევრულად განეხორციელებინათ ინტერნაციონალური პრინციპი, რომელიც „ასე ბრწყინვალედ არის ნაცადი კავკასიაში 1895 წლიდან"[1].

ისტორიამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ინტერნაციონალური აგება ერთადერთი სწორი პრინციპი იყო. ასეთ მრავალეროვან მხარეში, რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, კიდევ უფრო გლეხური იყო, ვიდრე რუსეთი, წარმატებით შეეძლო ემოქმედა მხოლოდ ისეთ პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც თავიდან ბოლომდე იქნებოდა აგებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების განხორციელებამ საშუალება მისცა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს წარმატებული ბრძოლა გაეჩაღებინათ ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალის-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 642.

ტების, წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ, და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიეყვანათ ამ მხარის მშრომელები მთელი რუსეთის პროლეტარიატთან უმჭიდროესი კავშირით.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორია გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის პროლეტარული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართოვდებოდა რუსეთის მუშათა კლასის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოწინავე რაზმის მძლავრ გამოსვლათა გავლენით.

იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა, როგელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, ერთიან მებრძოლ არმიად შეადუღაბა ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების მშრომელები და გაუძღვა მათ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების დასამხობად.

ამიერკავკასიის მშრომელი მასები — აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები და სხვები რუსი მუშებისა და გლეხების, ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხთა მშრომელების მხარდამხარ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ედგნენ მასების რევოლუციურ ძალებს, პარტიის ყველაზე დიდი და ბრძოლისუნარიანი რაზმების რიგებში ჩადგნენ.

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ და რსდმპ III ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში „კავკასიის ამბების შესახებ" კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დახასიათებული იყვნენ, როგორც ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციები[1].

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის მუშები 1905—1907 წლებში შეუპოვრად იბრძოდნენ ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ბაქოს, თბილისის, ალექსანდროპოლისა და ამ მხარის სხვა ქალაქების მუშების მიერ მეფის ოპრიჩნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილმა სისხლმა ისინი ჩააყენა თვითმპყრობელობის დამხობისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

ეროვნულ საკითხს კავკასიაში მწვავე ხასიათი ჰქონდა. ცარიზმი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 497.

ახორციელებდა არარუს ხალხთა ჩაგვრის პოლიტიკას, ძალადური რუსიფიკაციის პოლიტიკას, ერთიმეორის წინააღმდეგ აქეზებდა ხალხებს. ამიერკავკასიაში მოქმედი მრავალრიცხოვანი ნაციონალისტური პარტიები და მიმდინარეობანი — დაშნაკები, პანისლამისტები, სოციალ-ფედერალისტები, „სპეციფიკები", ჰნჩაკისტები და სხვები — თითოეული თავისი, განსაკუთრებული ნაციონალისტური პროგრამებითა და ბრძოლის ტაქტიკური ხერხებით — ამწვავებდნენ მხარის პოლიტიკურ ატმოსფეროს, გავლენას ახდენდნენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებზე. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები გადამწყვეტ, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ნაციონალისტთა სეპარატიზმის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობის ეს გამოცდილება ფართოდ იქნა გამოყენებული მათ მიერ ყველა ჯურის ნაციონალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ ეტაპებზე.

დიდ რევოლუციურ სიმტკიცეს, ინტერნაციონალიზმის დროშისადმი ერთგულებას იჩენდნენ მხარის მოწინავე მუშები ბოლშევიკების მეთაურობით ცარიზმისა და ბურჟუაზიის სისხლიანი ერთიშორისი პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებდნენ ლენინის იმ იდეას, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასსა და გლეხობას შეკავშირებულად უნდა ემოქმედათ, ამასთან მუშათა კლასს ხელმძღვანელი როლი უნდა შეესრულებინა, დიდი წარმატებები მოიპოვეს ამ მხარის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაშლაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დახასიათებით ყველაზე მოწინავე გლეხური მოძრაობა იყო[1].

რეაქციის წლებში მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მაგრამ ამ მძიმე პირობებშიც კი ბოლშევიკები უნარიანად ახამებდნენ ერთმანეთთან რევოლუციური საქმიანობის არალეგალურ და ლეგალურ ფორმებს და განაგრძობდნენ მასების შეკავშირებას პარტიის გარშემო, თანამიმდევრულად იბრძოდნენ ლიკვიდატორების, ოტზოვისტების, ტროცკისტების წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა აშკარა და ფარული მტრის წინააღმდეგ.

ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, როცა რუსეთის

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 471.

პროლეტარიატმა დაიწყო მასობრივი შეტევა მეფის მონარქიასა და ბურჟუაზიაზე, ამიერკავკასიის მუშებმა ახალი ძალით გააჩაღეს რევოლუციური ბრძოლა.

ლენინიზმისადმი ერთგულება, მაგარი რევოლუციური წრთობა ეხმარებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში გარკვეულიყვნენ იდეოლოგიური ბრძოლის რთულ პირობებში, ეწარმოებინათ ნაყოფიერი მუშაობა მშრომელთა რევოლუციური აღზრდისათვის.

პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში და ომის წლებში გაძლიერდა თვითმპყრობელობის მიერ კოლონიური ჩაგვრა და მკვეთრად იჩინეს თავი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა განწყობილებებმა. ამის გამო ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააქტიურეს თავიანთი მუშაობა მასების ინტერნაციონალისტური აღზრდისათვის. ისინი გადაჭრით ილაშქრებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ისევე როგორც მთელი პარტია, თანამიმდევრულად ამხილებდნენ მეფის რუსეთისა და სხვა მეომარი სახელმწიფოების აგრესიულ მიზნებს, ახორციელებდნენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინურ კურსს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ, მეფის თვითმპყრობელობის დამხობამ ხალხის მასების პოლიტიკური აქტივობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. ბაქოში, თბილისში, ერევანსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

იატაკქვეშეთიდან რომ გამოვიდნენ და ლეგალურ პოლიტიკურ საქმიანობას შეუდგნენ, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მთელ პარტიასთან ერთად ენერგიული მუშაობა გაშალეს მასებში, ამხილებდნენ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას, შემთანხმებელ-მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც იმპერიალისტური ომის განგრძობას მოითხოვდნენ. ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებით შეიარაღებული ბოლშევიკები იმისათვის იბრძოდნენ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდილიყო.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები შეუპოვრად იბრძოდნენ შემთანხმებელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იზოლაციისათვის, ხალხის მასების მიმხრობისათვის, მოთმინებით განუმარტავდნენ მუშებსა და გლეხებს, სანამ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, საბჭოებში კი მენშევიკები პარპაშობენ, მშრომელები ვერც ბინადობას, ვერც მიწას, ვერც პურს ვერ მიიღებენო.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით, დაამხეს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა და პროლეტარიატის დიქტატურა დაამკვიდრეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში აღაგზნო ამიერკავკასიის მშრომელები, მათი აეანგარდი — სახელოვანი ბაქოს პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად.

რამდენიმე დღეც კი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც პეტროგრადში შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა, რომ პროლეტარულ ბაქოში აფრიალდა საბჭოების ხელისუფლების წითელი დროშა. საბჭოთა ბაქო იყო ნამდვილი შუქურა სოციალისტური რევოლუციისა ამიერკავკასიაში.

მაგრამ იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში შეიქმნა სპეციფიკური პირობები (მხარის დაშორებულობა რუსეთის რევოლუციური ცენტრებიდან, წვრილბურჟუაზიული გარემოს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მნიშვნელოვანი გავლენა და სხვა მიზეზები), შინაურმა კონტრრევოლუციამ, უცხოელ იმპერიალისტთა აქტიური მხარდაჭერით, დროებით მოახერხა ხელი შეეშალა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მთელ ამიერკავკასიაში.

სერიოზული სიძნელეებისა და დაბრკოლებების მიუხედავად ამიერკავკასიის მუშები და გლეხები კომუნისტურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით გმირულად იბრძოდნენ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის უმაღლესი წერტილი ამ პერიოდში სახელოვანი ბაქოს კომუნა იყო.

ბაქოს კომუნის გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის შემდგომი ბედისათვის. ბაქოს მუშათა თავდადებული ბრძოლა ბოლშევიკების მეთაურობით მაგალითი იყო ამიერკავკასიის ყველა მშრომელისათვის, აღაგზნებდა მათ რევოლუციური გამოსვლებისათვის შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. კომუნის გაკვეთილები, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის 1917—1918 წლების გამოცდილება ამ მხარის ბოლშევიკებმა გამოიყენეს თავიანთ შემდგომ საქმიანობაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მასების დასარაზმავად.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ვ. ი. ლენინი მთელი გულისყურით ადევნებდნენ თვალს ამიერკავკასიის ბოლშევიკების, მშრომელების თავდადებულ ბრძოლას, უძვირფასეს რჩევა-დარიგებას აძლევდნენ მათ, უწევდნენ უდიდეს მორალურ მხარდაჭერას, ყოველმხრივ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას.

რაკი საკუთარი ძალები არ გააჩნდა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ძალების ჩასახშობად, ამ მხარის კონტრრევოლუციამ კავშირი შეკრა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. უცხოელ ინტერვენტთა მხარდაჭერით 1918 წლის მაისის დამლევს გამოცხადდა „დამოუკიდებლობა“ საქართველოსი მენშევიკების მეთაურობით, აზერბაიჯანისა — მუსავატელების მეთაურობით, სომხეთისა — დაშნაკების მეთაურობით.

ამიერკავკასიაში დამყარებულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ რეჟიმებს ანტიხალხური ხასიათი ჰქონდათ. უცხოელ ინტერვენტთა ხიშტებზე დაყრდნობით ქართველი მენშევიკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები, სომეხი დაშნაკები — გადამთიელთა ეს დაქირავებული აგენტები — ბითუმად და ცალობით ვაჭრობდნენ „თავიანთი“ ხალხების პატიოსნებითა და ღირსებით, მათი ეროვნული ინტერესებით.

ამიერკავკასიის ოკუპაცია რომ მოახდინეს, ინტერვენტები ფართოდ იყენებდნენ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული რესპუბლიკების მარიონეტულ მთავრობებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მტაცებლურად ძარცვავდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ეროვნულ სიმდიდრეებს, ძირს უთხრიდნენ მათ ეკონომიკას.

ტერორი და რეპრესიები მუშებისა და გლეხების მიმართ, უცხოელ ინტერვენტთა პარპაში და მუსავატელთა, დაშნაკთა და მენშევიკთა ხროვების ანტიხალხური პოლიტიკა მშრომელთა მასების გულისწყრომასა და სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას იწვევდა.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხთა მასები შეუპოვრად იბრძოდნენ ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორია გვასწავლის, რომ მუშებისა და მშრომელი გლეხობის ძალების შეკავში-

რება, მუშათა კლასის ერთიანობის უზრუნველყოფა, რაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობებია, შეუძლებელია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გარეშე.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკები ადგილობრივი პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით ახორციელებდნენ მოქნილ ტაქტიკას მთელი რიგი ეროვნული წვრილბურჟუაზიული რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლშევიკები ოდნავადაც არ თმობდნენ თავიანთ პრინციპებს, ამხილებდნენ ამ პარტიების ფსევდოსოციალისტურ ხასიათს, ამავე დროს, საჭიროების შემთხვევაში, დებდნენ მათთან საბრძოლო თუ ტაქტიკურ შეთანხმებებს, კრავდნენ დროებითს ბლოკებს ცარიზმზე რევოლუციური შეტევის გაძლიერების ინტერესებისათვის. ამასთან ამიერკავკასიის ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით, რომელსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და დემოკრატიის რევოლუციური ელემენტების ერთობლივი ბრძოლა გარდაუვალი და აუცილებელია თვითმპყრობელობის დამხობის ეპოქაში“[1].

ასეთი ტაქტიკის განხორციელება საშუალებას აძლევდა ბოლშევიკებს გაეფართოებინათ რევოლუციური ბრძოლის ფრონტი, მუშათა კლასისათვის მიემხროთ ის ელემენტები და პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც თუმცა იჩენდნენ მერყეობას, მაგრამ ებმებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, როცა მკაფიოდ იჩინა თავი კლასობრივი ძალების პოლარიზაციამ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიენიჭა ბოლშევიკების ბრძოლას ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ. ამ შეურიგებელ ბრძოლაში ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა სოციალისტური რევოლუციის დროშის ქვეშ დარაზმეს მუშათა და გლეხთა მასები.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური ძალების ჩაბმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონ-

---

[1] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 9, стр. 276.

და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის ლოზუნგს, რომელიც ამ მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა წამოაყენეს და რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ვ. ი. ლენინმა მოიწონეს. ამ ლოზუნგს, რომელსაც საფუძვლად ედო ერთა თვითგამორკვევის უფლების ლენინური იდეა, ფართოდ აერცელებდნენ ბოლშევიკები ამიერკავკასიის ხალხთა მასებში, მარჯვედ უპირისპირებდნენ მას ყალბ ბურჟუაზიულ „დამოუკიდებლობას", იგი ერთ მთელად აერთიანებდა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ინტერესებს. ლენინური მითითებებისა და რჩევა-დარიგების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულების საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ერთიან რევოლუციურ ნაკადად გააერთიანეს მუშათა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გლეხთა გამოსვლები მიწისათვის, მემამულეების, ხანებისა და ბეგების მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლა უცხოელ იმპერიალისტთა უღლის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იყო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების შექმნა, რომლებიც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) შემადგენელი ნაწილები იყვნენ.

საბჭოთა რუსეთი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ვ. ი. ლენინი ყოველდღიურ ზრუნვას იჩენდნენ, ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, უზრუნველყოფდნენ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა მასების შემდგომ დაახლოებას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. „...მხოლოდ ასეთი დაახლოება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — უზრუნველყოფს კაპიტალიზმზე გამარჯვებას. ურომლისოდაც შეუძლებელია ნაციონალური ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა"[1].

გმირი წითელი არმიის მიერ თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა, მისმა მოახლოებამ ამიერკავკასიის საზღვრებთან იმის პირობები შექმნეს, რომ უშუალო დახმარება გაეწიათ ამ მხარის ხალხთა მასების გამოსვლებისათვის ბურ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 165.

ჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და მისი იმპერიალისტი ბატონების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით მოიშორეს ბურჟუაზიულ-მემამულური უღელი და სამუდამოდ ააფრიალეს აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში საბჭოების გამარჯვების დროშა. 1920 წლის 28 აპრილს გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 1920 წლის 29 ნოემბერს — სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 1921 წლის 25 თებერვალს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

თავიანთ სოციალურ და ეროვნულ განთავისუფლებას ამიერკავკასიის ხალხები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხი, უნდა უმადლოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, კომუნისტურ პარტიას, მის ბელადს ვ. ი. ლენინს.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ამიერკავკასიაში დასაბამი მისცა სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა ხასიათით ყველაზე მკაფიო, ყველაზე მდიდარ პერიოდს ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ამიერკავკასიაში დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ ნამდვილი გაზაფხული მოუტანა ხალხებს, მათი მატერიალური და სულიერი ძალების არნახული აყვავების პირობები შექმნა.

ამიერკავკასიის ხალხების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, დიადი მონაპოვრები პროლეტარიატის დიქტატურის მეოხებით იყო მიღწეული. პარტიის ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზეა შესაძლებელი.

პროლეტარიატის დიქტატურა რომ დამყარა, ამიერკავკასიის მუშათა კლასმა მისი საშუალებით დათრგუნა ამ მხარეში დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა, უზრუნველყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების დაცვა გარეშე მტრების თავდასხმისაგან. იგი პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით საბელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას ახორციელებდა გლეხობის მშრომელი მასებისადმი, ქალაქის მშრომელთა არაპროლეტარული ფენებისადმი, ამავე დროს განამტკიცებდა კავშირს მათთან იმ მიზ-

ნით, რომ ხელახლა აღეზარდა ისინი და ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში.

პროლეტარიატის დიქტატურა მშრომელთა ფართო მასებთან, უწინარეს ყოვლისა მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განსაკუთრებული ფორმაა. ამ კავშირმა შეადგინა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური საფუძველი.

მუშათა და გლეხთა კავშირის განვითარება-განმტკიცება — სოციალიზმის შექმნისა და გამარჯვების საწინდარი — ყოველთვის იდგა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში, იყო მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების, ისევე როგორც მთელი პარტიის, ისტორია გვასწავლის, რომ თუ კომუნისტური პარტია არა, ისე ვერ განხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურა. „...პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა კომუნისტური პარტიის შეშველობით"[1]. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, რომელიც მასებს მიუძღვის, შეუძლია დარაზმოს მშრომელები, პოლიტიკურად გაანათლოს ისინი, უჩვენოს სოციალიზმის გზა, შთააგონოს საგმირო საქმეები.

მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია იყო სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელთა ბრძოლისა სოციალიზმის აშენებისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებმაც გაშალეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, თავიანთ საქმიანობაში მუდამ ხელმძღვანელობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებითა და რჩევა-დარიგებით. ამ მითითებებმა და რჩევა-დარიგებებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს პარტიის პოლიტიკის განსაზღვრისათვის ამიერკავკასიაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვლადიმერ ილიას ძე დაბეჯითებით ურჩევდნენ კავკასიის კომუნისტებს გაეთვალისწინებინათ თავიანთი რესპუბლიკების სპეციფიკა, უნარიანად

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 241.

განეხორციელებინათ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. 1921 წლის 14 აპრილს წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტანის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს" ვ. ი. ლენინმა დასახა ამოცანა ამიერკავკასიაში შეექმნათ სანიმუშო სოციალისტური რესპუბლიკები აღმოსავლეთის საზღვარზე. ლენინის წერილი ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა სამოქმედო პროგრამა გახდა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის კპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებს. მათ შორის გადაწყვეტილებას ეროვნულ საკითხზე. კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა წარსულში ჩაგრულ ხალხთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა.

ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, შემდეგ კი 1922 წლის თებერვალში ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა I ყრილობაზე არჩეული რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეთაურობით დიდი აღმშენებლობითი მუშაობა გააჩაღეს. ისინი შეუპოვრად იბრძოდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განვითარება-განმტკიცებისათვის, საწარმოო ძალების სწრაფი აღმავლობისათვის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირისათვის, საბჭოთა რუსეთთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მათი მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, სახალხო მეურნეობის აღორძინების, სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის, აგრეთვე გარედან თავდასხმის შემთხვევისათვის მათი თავდაცვის განმტკიცების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ძალების გაერთიანებას. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ბრძოლის ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ 1922 წელს შექმნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია ეროვნული საკითხის გადაჭრის იმ დროისათვის საუკეთესო სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენდა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის სულისჩამდგმელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იყო.

ამიერკავკასიის ხალხთა საბჭოთა ეროვნული საბელმწიფოებრიობის შექმნას, ამიერკავკასიის ფედერაციად მათ გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი განვითარებისათვის. ეროვნული საკითხის გადაჭრა ამ მხარეში სოციალისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარი იყო.

ერთა თვითგამორკვევა და თანასწორუფლებიანობა; სხვადასხვა ეროვნების მუშათა და ყველა მშრომელთა შეკავშირება სოციალიზმისათვის ბრძოლაში; სოციალისტურ გზაზე დამდგარ ხალხთა მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო კავშირი; ერთა ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფა ერთობლივი მეცადინეობით მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შეშვეობით, — ასეთი იყო პრინციპები ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდნენ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები, ისევე როგორც მთელი პარტია. დღევანდელი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ლენინიზმის ეროვნული პროგრამის ამ პრინციპების ხორცშესხმის მკაფიო მაგალითია.

ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, წარსული ეროვნული შუღლის გადმონაშთებს რომ ძლევდნენ, პარტია, საბჭოთა ხელისუფლება მოთმინებითა და თანაგრძნობით აგვარებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყოველმხრივ თანამშრომლობას, რომლებიც 1922 წლის დეკემბერში ნებაყოფლობით გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. „ლენინის ხელმძღვანელობით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, — შეიქმნა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო—სსრ კავშირი—თანასწორუფლებიანი და სუვერენული რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციის ერთიანობა, იდეური და კულტურული ცხოვრების ერთობა. ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი ერისა და ეროვნების შეკავშირება, მათი სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა, ერთიანი პროლეტარული იდეოლოგიის დამკვიდრება — ასეთია სოციალიზმის მიღწევები საუკუნოვანი ეროვნული პრობლემის გადაჭრაში, პრობლემისა, რომლის გადაწყვეტა არ ძალუძს არც ერთ წყობილებას. სსრ კავშირის ხალხთა მონოლითური ერთიანობა კო-

მუნიციპალური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა"[1].

ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს — სსრ კავშირის შემადგენელი ნაწილი გახდა ამიერკავკასიის ფედერაცია.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით საბჭოთა ხალხი შეაიარაღა სოციალიზმის აშენების მეცნიერული გეგმით, რომელიც შედგება სამი შემადგენელი ნაწილისაგან: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, კულტურული რევოლუციის განხორციელება.

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, სოციალიზმის მშენებლობის საკვანძო ამოცანა იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. აღდგენითი პერიოდის ამოცანა რომ შეასრულეს, ამიერკავკასიის მშრომელებმა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამა. რომისწინა ხუთწლედების მანძილზე აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ რესპუბლიკებად გადაიქცნენ. წარმოიშვა მრეწველობის ახალი დარგები, ინდუსტრიული ცენტრები, მხარე დაიფარა ელექტროსადგურების ქსელით.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შედეგად ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. იგი აღიჭურვებოდა მოწინავე ტექნიკით. ლენინური გეგმით ამ მხარეში გაიშალა მსხვილი სარწყავი, გაწყლოვანების და ამოსაშრობი სისტემების მშენებლობის დიდი სამუშაოები. ამიერკავკასიის გლეხები, რომლებმაც თავი დააღწიეს საუკუნოვან კაბალას, სიღატაკესა და გაჭირვებას, დაადგნენ ბედნიერი, შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზას.

კულტურული რევოლუციის მსვლელობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მთლიანად მოისპო უწიგნურობა, განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლება საყოველთაო შეიდწლიან განათლებაზე თანდათან გადასვლით. შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო ქსელი. აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში სწრაფად

---

[1] ელადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. თბ., 1970, გვ. 32.

ვითარდებოდა მეცნიერება და კულტურა, ყალიბდებოდა ახალი, მუშურ-გლეხური იიტელიგენცია. შეიქმნა აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა. აყვავდა ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელთა საუკეთესო მიღწევები საბჭოთა და მსოფლობის უდიდეს შესაძლებლობათა შექმნა.

კულტურული რევოლუციის უდიდესი მიღწევა, პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის შედეგი იყო მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება.

სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენდა ქალის განთავისუფლება, მისი სრული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, საწარმოო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უდიდეს შესაძლებლობათა შექმნა.

სოციალისტური მშენებლობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდებოდა გარეშე და შინაური მტრების, პარტიის შიგნით მათი აგენტურის — ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვათა წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლაში.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორია მოწმობს, რომ სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ამიერკავკასიის კომუნისტები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზს, ფხიზლად იდგნენ პარტიული რიგების ერთიანობის სადარაჯოზე, მუდამ ერთგულად იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, შეურიგებლად იბრძოდნენ ყოველგვარი მტრული მიმდინარეობებისა და დაჯგუფებების — ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ნაციონალ-უკლონისტების და სხვათა წინააღმდეგ.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მთლიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ხალხთა სახე, მათ შორის დამკვიდრდა ახალი ურთიერთობანი, რომლებიც ემყარებოდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მტკიცე საფუძველს.

რსფს რესპუბლიკა და სხვა მოძმე რესპუბლიკები ფასდაუდებელ ძმურ დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს იმაში, რომ მოეხდინათ სოციალისტური გარდაქმნები, შეექმნათ დიდად განვითარებული მრეწველობა, მსხვილი კოლექტიური სოფლის მე-

ურნეობა, ებრძოლათ კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის, გახევითარებიხათ გახათლება და მეცხიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, მოემზადებიხათ ინტელიგენციის ეროვნული კადრები.

აძავე დროს ამიერკავკასიის ხალხები გულეხვად უზიარებდნენ მოძმე ხალხებს თავიანთი შრომის ნაყოფს.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბაქოს ნავთობმა.

ამიერკავკასიის კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ამ მხარის მშრომელთა ბრძოლას იმისათვის, რომ მოეხადათ თავიანთი ინტერნაციონალური ვალი — ქვეყანა უზრუნველეყოთ თხევადი სათბობით.

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში ამიერკავკასიის მშრომელებმა შეასრულეს ლენინის ანდერძი —აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკებად გადააქციეს.

სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში უღრმესი ცვლილებანი მოხდა. მთლიანად მოისპო ექსპლოატატორული კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზები. ძირეულად შეიცვალა მუშათა კლასი, გლეხობა, აგრეთვე ინტელიგენცია, რომლებიც ახალ სოციალისტურ საზოგადოებას წარმოადგენდნენ.

ჩამოყალიბდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი სოციალისტური ერები, რომლებიც ურღვევი მეგობრობითა და ძმობით არიან დაკავშირებული სსრ კავშირის სხვა სოციალისტურ ერებთან.

„სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, — ის არის, რომ ჩვენი პარტიისა და ხალხის გამოცდილებამ ფართოდ და უცილობლად დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი საზოგადოების მშენებლობის შესახებ. საბჭოთა საზოგადოებამ პრაქტიკულად ცხადყო, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიის განხორციელება საესებით შეესაბამება მუშათა და გლეხთა, ყველა მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, რომ ყოველმხრივი სოციალური პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების სოციალისტური განვითარების გზით, რომ სოციალიზმს

ხალხებისათვის მოაქვს სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, ნამდვილი დემოკრატია, მტკიცე მშვიდობა და თავისუფლება"[1].

სოციალიზმის გამარჯვება კანონმდებლობით დამკვიდრდა სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც 1936 წლის დეკემბერში მიიღო საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობამ. ამ კონსტიტუციის თანახმად აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი უშუალოდ შეეიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები. საჭირო აღარ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შემდგომი არსებობა. თავისი არსებობის 14 წლის მანძილზე ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება, მთლიანად და საესებით შეასრულა თავისი ისტორიული როლი — ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობისა და სოციალიზმის მშენებლობის იარაღის როლი.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესრულების საფუძველზე ამიერკავკასიის კომუნისტებმა ამ მხარის მშენებლობისა და განვითარების მსვლელობაში კიდევ უფრო განამტკიცეს აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობა, მიაღწიეს იმას, რომ შეიქმნა „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი" ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში[2].

ამიერკავკასიის ფედერაციამ დიდი როლი შეასრულა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმის მშენებელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით მრავალეროვანი მხარის მშრომელთა აღზრდის საქმეში.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალიზმის მშენებლობის წლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის პარტიულ ორგანიზაციათა მჭიდრო შეკავშირება ერთიანი სამხარეო პარტიული ორგანოს მეთაურობით, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ფედერაციული გაერთიანება ერთადერთი სწორი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება იყო, რამაც საშუალება მისცა ამიერკავკასიის მშრომელებს წარმატებით გადაეწყვიტათ მათ წინაშე დასახული ისტორიული ამოცანები. მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შეეძლოთ ამიერკავკასიის ხალხებს გადაეკრათ ბევრი

---

[1] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. თბ., 1967, გვ. 33.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 397.

მნიშვნელოვანი და რთული ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა, უზრუნველეყოთ ამიერკავკასიის რესურსების რაციონალური გამოყენება. ფედერაციის ფარგლებში გაცილებით უფრო ადვილად წყდებოდა ამიერკავკასიის ერებისა და ეროვნებების ეკონომიკის შეთანასწორების, კულტურის დაჩქარებული განვითარების ამოცანები. ამიერკავკასიის ფედერაცია მტკიცედ აღუდგა წინ იმ მისწრაფებებს, რომელთაც ასაზრდოებდა საერთაშორისო იმპერიალიზმი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ემიგრაციის წრიდან გამოსული მისი აგენტურა და რომელთა მიზანი იყო სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორება და ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმების რესტავრაცია.

ამიერკავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საწარმოო ძალების განვითარება, მათი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყოველმხრივი აღმავლობა და ამით მოამზადა მათი, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, უშუალო შესვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ამიერკავკასიის ფედერაციის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა. იგი განუხრელად ახორციელებდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მეცადინეობას ახმარდა სოციალისტური მშენებლობის წარმატებით შესრულებას.

ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ საჭირო აღარ იყო საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის არსებობაც, ორგანოსი, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული როლი.

სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისადმი ხელმძღვანელობის დიდმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ, რომელიც სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში შეიძინეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა, ხელი შეუწყო მათი, როგორც ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ხელმძღვანელობის, დიადი ლენინური პარტიის ერთგული რაზმების, ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.

სოციალიზმის გაბატონების შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის მეთაურობით შევიდნენ სოციალისტური

საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათან გადასვლის პერიოდში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიული განვითარების გამოცდილება დამაჯერებლად აბათილებს დასავლეთის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მონაჭორებს, თითქოს არ იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები და შეუძლებელი იყო სოციალისტური გარდაქმნები ამიერკავკასიაში. აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების თვით ცხოვრება, შესანიშნავი მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში აცამტვერებენ იმპერიალიზმის იდეოლოგთა ფსევდომეცნიერულ „თეორიებს“ სკკპ ხაზის — ყოფილი მეფის იმპერიის წინათ ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეების ინდუსტრიული განვითარების, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ხაზის „მცდარობის“ შესახებ.

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, ხალხთა ძმურმა მეგობრობამ, მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, საბჭოთა პატრიოტიზმმა, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში განვითარებულმა და განმტკიცებულმა, გაუძლო ისტორიულ შემოწმებას დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა შეწყვიტა ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ. კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხები სსრ კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ დიდი რუსი ხალხის მეთაურობით აღდგნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა უდიდესი მუშაობა გაშალეს რესპუბლიკების მთელი მატერიალური და სულიერი რესურსების მობილიზაციისათვის მტრის უკუსაგდებად.

დიდი სამამულო ომი ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა ბრძოლისუნარიანობის მკაცრი გამოცდა იყო. აზერბაიჯანელმა, სომეხმა და ქართველმა ხალხებმა, მათმა მებრძოლმა ავანგარდებმა — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა პირნათლად გაუძლეს ისტორიაში არნახულ გამოცდას.

ამიერკავკასიის მშრომელებმა ღირსეული წილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებაში.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მილიონ-ნახევარზე მეტი შვილი მედგრად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების შემადგენლობის ნახევარზე მეტი წავიდა წითელი არმიის რიგებში.

ამიერკავკასიის მამაცი მეომრები ფაშისტთა ურდოებს ებრძოდნენ მოსკოვის მისადგომებთან, ლენინგრადის კედლებთან, მონაწილეობდნენ სტალინგრადისა და კურსკის დიად ბრძოლებში, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ევროპის დამონებული ქვეყნების განთავისუფლებაში, მოქმედებდნენ პარტიზანულ რაზმებში მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში.

გმირობის ნიმუშები გვიჩვენეს აზერბაიჯანულმა, სომხურმა და ქართულმა ჯარის შენაერთებმა. უკვდავი შარავანდით შემოსეს თავიანთი დროშები საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში 416-ე ტაგანროგის წითელდროშოვანმა სუვოროვის ორდენოსანმა მსროლელთა დივიზიამ (აზერბაიჯანი), 89-ე ტამანის წითელდროშოვანმა წითელი ვარსკვლავის ორდენოსანმა მსროლელთა დივიზიამ (სომხეთი), 414-ე ანაპის წითელდროშოვანმა მსროლელთა დივიზიამ (საქართველო) და სხვა აზერბაიჯანელთა, სომეხთა და ქართველთა ჯარის შენაერთებმა.

დიდი სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად თავდადებით შრომობდნენ, რათა გაედიდებინათ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დამკვრელური შრომით ეხმარებოდნენ საბჭოთა არმიას გამარჯვებანი მოეპოვებინა ფრონტებზე. მტერზე გამარჯვების მიღწევაში დიდია ბაქოს როლი, რომელმაც მაშინ ფრონტსა და ზურგს ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის თითქმის სამი მეოთხედი მისცა.

ამიერკავკასია აწარმოებდა ათობით სახეობის საბრძოლო მასალას, შეიარაღებას, აღჭურვილობას.

ომის წლებში ამიერკავკასიის ხალხთა ათასობით შვილი — საბჭოთა არმიის მეომრები და ზურგის მშრომელები — დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმი-

რობისათვის აზერბაიჯანის 114, საქართველოს 137 და სომხეთის 103 მამაც მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ქვეყნად არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დაამარცხოს სოციალიზმი. ქედი მოახრევინოს ხალხებს, რომლებმაც შეიცნეს ნამდვილი თავისუფლება, უსაზღვროდ ერთგული არიან სოციალისტური სამშობლოსი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშისა.

ძლევამოსილად რომ დაამთავრა დიდი სამამულო ომი, საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომას, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებას. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელები წარმატებით ასრულებდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმებს და ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდნენ ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ჩვენი ქვეყნის ოლქებს ომის შედეგების ლიკვიდაციაში. ამ რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენაში მოძმე რესპუბლიკათა მონაწილეობა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობათა ჭეშმარიტ დემონსტრაცია იყო.

ომისშემდგომ წლებში კიდევ უფრო განვითარდა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა. ამიერკავკასიის მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სკკპ XX ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებებმა დიდი გავლენა მოახდინეს პარტიის ცხოვრებასა და საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განვითარებაზე, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაზე.

სკკპ XX ყრილობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის საკითხმა.

საბჭოთა ხალხის რევოლუციური გარდამქმნელი საქმიანობის მთავარი შედეგი, ლენინური იდეების რეალური განსახიერება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვება იყო სოციალიზმის სრული გამარჯვება სსრ კავშირში და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლა.

პარტიის XXII ყრილობაზე მიღებულმა სკკპ ახალმა პროგრამამ განსაზღვრა სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანები: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების, ისევე როგორც მთელი პარტიის, საქმიანობისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს პიროვნების კულტის შედეგების დაძლევისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის პრინციპების განუხრელი დაცვისა და განვითარებისათვის. პარტიისა და მთელი ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც დაგმო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, ხელშემწყობი პირობები შექმნა კომუნიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის მეცნიერული დონის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში მიმდინარეობს სოციალისტური ერების ყოველმხრივ განვითარებისა და აყვავების ინტენსიური პროცესი. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა იწვევს საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანებას, მათ შორის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა გაცვლის შემდგომ გაფართოებას.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა ამიერკავკასიის ხალხების და ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის მეგობრობა და ძმობა. ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობა. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ომისშემდგომ პერიოდში გაძლიერდა სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება, გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება სახალხო მეურნეობის განვითარებაში. კომუნისტური მშენებლობის პირობებში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ძალები ერთიანდებიან ინდუსტრიის მომიჯნავე დარგების კომპლექსური განვითარებისათვის, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ამ მხა-

რის მოძმე რესპუბლიკების ეკონომიურ ერთობას. ისეთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სათბობ-ენერგეტიკული ბაზის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის დაჩქარებული განვითარება, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის ფართო მასშტაბით შექმნა და სხვ., მოითხოვდნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელთა ძალების გაერთიანებას.

ამიერკავკასიის მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების დახმარებით 1960 წლის თებერვალში დაამთავრეს ყარადაღი—აქსტაფა—თბილისი—ერევანი გაზსადენის მშენებლობა, რომელსაც ხალხში „მეგობრობის ტრასა“ დაარქვეს. შეიქმნა აგრეთვე აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა.

აზერბაიჯანის სსრ დაშქესანის რაიონის რკინის მადნის უმდიდრესი საბადოს ბაზაზე იქმნებოდა და ვითარდებოდა აზერბაიჯანისა და საქართველოს შავი მეტალურგია. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც უშვებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ფოლადის მილებს, დაშქესანიდან იღებს გამდიდრებულ მადანს. სუმგაითის ქარხანა, რომელიც ნაგლინსა და ფოლადის მილებს აწარმოებს, სისტემატურად მარაგდება შავი ლითონით საქართველოდან.

ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ბაქოს ნავთობი. აზერბაიჯანი ნავთობპროდუქტების ძირითადი მიმწოდებელია საქართველოსა და სომხეთისათვის. ნავთობპროდუქტების გარდა აზერბაიჯანი სომხეთსა და საქართველოს აწვდის ელექტროენერგიას, ეთილის სპირტს, კაუჩუკს, მილებს, ელექტროძრავებს, საბურღ დანადგარებსა და აგრეგატებს, საკისრებს, იოდს, ბრომს, ლითონის კოშკურებს, გაზის მურს, ალუმინს, ფანჯრის მინას და ათობით სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქციას. მათვე ეგზავნებათ აგრეთვე აზერბაიჯანის ხელსაწყოთმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სახეობათა პროდუქცია.

თავის მხრივ საქართველო და სომხეთი აზერბაიჯანში გზავნიან შავ და ფერად ლითონებს, თუჯს, მილებს, ტექნოლოგიურ, მიწისქვეშა-სატრანსპორტო, სამჭედლო-საწნეხ მოწყობილობას, ახალ ჩარხებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომობილებს, კაბელის ნაწარმს, კავშირგაბმულობის საწარმოთა აპარატურას, ელექტროშესადუღებელ და ხისდამმუშავებელ მოწყობილობას, ტექნიკური

რეზინის ნაწარმს, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, ტრიკოტაჟისა და შეკერილ ნაწარმს, ავეჯს და სხვ. გარდა ამისა, აზერბაიჯანი სომხეთიდან იღებს სხვადასხვა ქიმიურ პროდუქტს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, კომპრესორებს, ჰიდროტუმბოებს, ავტოდეტალებსა და სხვა პროდუქციას.

სომხეთიდან საქართველოში იგზავნება ქიმიური, მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, საშენ მასალათა მრეწველობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია. საქართველოს სსრ საბჭოთა სომხეთს აწვდის შავ ლითონებს, ქვანახშირს, მანქანათმშენებლობის პროდუქციას, კერძოდ, სატრანსპორტო, სამჭედლო-საწნეხ მოწყობილობას, სამშენებლო მექანიზმებს, ქიმიური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო დამხმარე მასალებს.

ეკონომიკის აღმავლობის მძლავრი ბერკეტი, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის მკაფიო გამოვლინებაა სოციალისტური შეჯიბრება. ომისშემდგომ წლებში იგი ახალი ძალით გაიშალა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებს შორის. სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, სამი რესპუბლიკის ცალკეული ქალაქების, რაიონებისა და საწარმოების მშრომელებს შორის, მათ და რუსეთის ფედერაციას, უკრაინის სს რესპუბლიკას, შუა აზიის რესპუბლიკებსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ღონისძიებების კოორდინაციას და გაერთიანებას მოითხოვდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი პრობლემა. საქართველოს მეჩაიეებმა დიდი დახმარება გაუწიეს აზერბაიჯანის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩაის კულტურის გაშენებაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირებმა, სარესპუბლიკათაშორისო, თათბირებმა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის პირუტყვის ორგანიზებული გადარეკვა ზაფხულის საძოვრებზე, ბოსტნეულის მოყვანისათვის საჭირო ფართობების გადიდება, ქიმიური სასუქების გამოყენება, დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში. სოფლის მშრომელთა

ასეთმა შესვედრებმა და ცოცხალმა ურთიერთობამ კიდევ უფრო განამტკიცეს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ და სხვა კავშირურთიერთობამ ამიერკავკასიის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებს შორის, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მშრომელებს შორის. მექანიზატორთა, ბამბის მთესველთა, მებაღეთა, მეჩაიეთა, მევენახეთა, მეცხოველეთა, წყლის მეურნეობის მუშაკთა და სხვათა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მუშაობის მოწინავე მეთოდების, კომპლექსური მექანიზაციის, საწარმოო პროცესთა ელექტრიფიკაციის შემდგომ დანერგვას, საირიგაციო ქსელის განვითარებას, საკვების მოპოვების გაუმჯობესებას, მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურის ამაღლებასა და მოსაელიანობის გადიდებას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებასთან ერთად სულ უფრო ფართოედებოდა და მტკიცდებოდა კავშირურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, უკრაინასთან, ბელორუსიასთან, ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკასთან.

რუსეთისა და უკრაინის დახმარებით ომისშემდგომ წლებში ამიერკავკასიაში შენდებოდა, მოწინავე ტექნიკით აღიჭურვებოდა ბევრი საწარმო და თანამედროვე ინდუსტრიის მთელი დარგები, მათთვის მზადდებოდა სპეციალისტების — ინჟინრების, ტექნიკოსების, კვალიფიციური მუშების კადრები. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ისეთ საწარმოთა შექმნაში, როგორიც არის მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური, სუმგაითის მილსაგლინავი და კაუჩუკის, ახალი ბაქოს ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი, კიროვაბადის ალუმინის ქარხნები, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, ერევნის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომანქანათსაშენებელი, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსაშენებელი, ლენინაკანის სამშენებლო მანქანათა ქარხნები, ამიერკავკასიაში უდიდესი რაზდანის სამთოქიმიური კომბინატი, ამიერკავკასიის ბევრი სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტი, დიდი წვლილი შეიტანეს მოძმე ᲨᲝკავშირე რესპუბლიკებმა, და უწინარეს ყოვლისა რუსეთის ფედერაციამ.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ აგრეთვე ამიერკავკასიისა და

ძთელი ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ერების კულტურათა ურთიერთგამდიდრების მნიშვნელობა.

მეცნიერული და კულტურული კავშირურთიერთობა, სულიერ ღირებულებათა გაცვლა კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში აჩქარებს აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარებასა და სრულყოფას. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მეცნიერები ერთად წყვეტენ ბევრ აქტუალურ მეცნიერულ პრობლემას, რეგულარულად მართავენ ერთობლივ თათბირებს, კონფერენციებსა და სესიებს, აწყობენ კომპლექსურ ექსპედიციებს ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად. წლითიწლობით სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება ფიზიკოსთა, მათემატიკოსთა, გეოლოგთა, გეოგრაფთა, ბიოქიმიკოსთა, ფარმაკოლოგთა, რადიოლოგთა, ქირურგთა, აგროქიმიკოსთა, ისტორიკოსთა, ფილოლოგთა და ამიერკავკასიის სხვა მეცნიერთა შემოქმედებითი თანაძეგობრობა. ამიერკავკასიის ხალხთა მჭიდრო კავშირი და თანამეგობრობა მკაფიოდ ვლინდება უმაღლესი განათლების დარგშიც.

ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას ხელს უწყობს ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, თეატრალური ხელოვნებისა და კინოს მუშაკთა შემოქმედებითი ურთიერთობა. ამაში დიდ როლს ასრულებს აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნა მოძმე ხალხთა ენებზე, აგრეთვე რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სსრ კავშირის ხალხთა ყველა სხვა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნა და გამოცემა ამიერკავკასიაში.

დიდი რუსი ხალხი, მისი უმდიდრესი კულტურა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ და ახდენენ ამიერკავკასიის ხალხთა მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე.

ამიერკავკასიის ხალხები აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით კვლავაც განამტკიცებენ კავშირსა და მეგობრობას ერთმანეთთან, დიდ რუს ხალხთან და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხებთან. ეს დიადი კავშირი და მეგობრობაა მათი სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ახალი

წარმატებების, ეროვნულ ლიტერატურათა შემდგომი განვითარებისა და დაახლოების საწინდარი.

„რაც უფრო წინ მივდიოართ კომუნიზმის მშენებლობის გზით,— აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — მით უფრო წარმატებით ვითარდება ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიკა, კულტურა, მტკიცდება მათი ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. სოციალიზმის, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ძალა ის არის, რომ ისინი აახლოებენ ხალხებს, აძმობილებენ მათ, პარტია განუხრელად იცავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, და მთელ თავის პოლიტიკაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მათს მჭიდრო თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში"[1].

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და ამ მხარის რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა შექმნის დროიდან ნახევარმა საუკუნემ განვლო. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური პარტიების 50 წლისთავის დღესასწაულობამ ერთხელ კიდევ გამოაჩინა ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე, ყველაზე რთული საკითხის — ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაჭრის სიბრძნე და უდიდესი ძალა.

აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ხალხებთან ერთად გაიზიარა მათი სიხარული და ღირსსახსოვარი იუბილეები იდღესასწაულა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხმა. თითოეულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა — მოსკოვმა, დიდი ოქტომბრის აკვანმა — ლენინგრადმა თავიანთი დელეგაციები გამოგზავნეს სადღესასწაულო ზეიმზე ბაქოში, ერევანსა და თბილისში. როგორც ყველაზე ძვირფას სტუმარს, გულითადად შეხვდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელები თავიანთ მიწა-წყალზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ მატერიალური და სულიერი ძალების რა ძლავრ აყვავებას მიაღწიეს ხალხებმა დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. ლენინური კურსით, ტ. 1, გვ. 505.

ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის მუდმივი დახმარებით კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

თავიანთი ნახევარი საუკუნის იუბილე რომ აღნიშნეს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა კანონიერი სიამაყით უპატაკეს პარტიასა და ქვეყანას, რომ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულეს დიდი ლენინის ანდერძი, საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო და საბჭოთა სომხეთი გადააქციეს სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკებად აღმოსავლეთის საზღვარზე.

ამიერკავკასიის კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, ამ მსარის საბჭოთა რესპუბლიკების აყვავება, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დიადი ოჯახის წევრთა თანასწორუფლებიანობა კომუნიზმის მძლავრი შემოქმედებითი ძალის დამაჯერებელი დადასტურებაა, შთამაგონებელი მაგალითია ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოებისათვის, რომლებიც სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

50 წლის განმავლობაში ხალხის თავდადებული შრომით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში შეიქმნა სოციალისტური ინდუსტრიის ახალი დარგები — ქიმიური, ენერგეტიკული, მეტალურგიული, სამთამადნო; კიდევ უფრო განვითარდა ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადასამუშავებელი, ენერგეტიკული, მსუბუქი და კვების მრეწველობა. მწყობრში ჩადგა ასობით მსხვილი საწარმო. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1921 წელთან შედარებით თითქმის 76-ჯერ გადიდდა. 1920 წელთან შედარებით ნავთობის მოპოვება აზერბაიჯანში გაიზარდა 7-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოება — 96-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება — 363-ჯერ. ამჟამად აზერბაიჯანი აწარმოებს ელექტროენერგიას 6-ჯერ, ნავთობს — 2-ჯერ მეტს, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი აწარმოებდა 1913 წელს.

ახლა რესპუბლიკა ნავთობპროდუქტების გარდა აწარმოებს ფოლადს, ნაგლინს, ალუმინს, ნავთობაპარატურას, ელექტროძრავებს, ფოლადის მილებს, მოძრავ საბურღ აგრეგატებს, სილრმულ ტუმბოებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ტრანსფორმატორებს, საკისრებს, კაუჩუკს, ავტოსაბურავებს, მაცივრებს, ტელევიზორებს, ცემენტს, ქსოვილებს და მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ბევრ სხვა

პროდუქციას. აზერბაიჯანს მსოფლიოს 56 ქვეყანაში გააქვს 300-მდე დასახელების საქონელი. რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი სამრეწველო ცენტრები — სუმგაითი, მინგეჩაური, ალი-ბაირამლი, დაშქესანი და სხვ.

დიდი წარმატებანია მოპოვებული ტრანსპორტის განვითარებაში. აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო ახლა ავიახაზებით დაკავშირებულია რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქთან და ჩვენი ქვეყნის 45 სხვა ქალაქთან. 1967 წლიდან ბაქოში მოქმედებს მეტროპოლიტენი.

განუზომლად გაიზარდა აზერბაიჯანის მუშათა კლასი. 1970 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა შეადგინა 1.275 ათასი კაცი, რაც თითქმის 11-ჯერ მეტია, ვიდრე 1920 წელს იყო.

ძირეული ძვრები მოხდა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. რესპუბლიკაში შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. მინდვრებში მუშაობს 47 ათასზე მეტი ტრაქტორი, 4 ათასზე მეტი მარცვალასაღები კომბაინი, 1.500-ზე მეტი ბამბასაკრეფი კომბაინი, 18 ათასამდე სატვირთო ავტომობილი, დიდძალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მთლიანად დამთავრდა სოფლის ელექტრიფიკაცია. საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა კომპლექსის განხორციელების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობი ერთიორად გადიდდა 1921 წელთან შედარებით. 1969 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანმა პროდუქციამ 3,4-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. რესპუბლიკაში ვითარდება მებამბეობა, მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა. მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ფონდები, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წლითიწლობით უმჯობესდება კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობა.

დიდი საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა წარმოებს სოფლად, მაღლდება წარმოების კულტურა, ფართოვდება შრომითი პროცესების მექანიზაცია, იზრდებიან კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრები. ახლა რესპუბლიკაში დაახლოებით 4 ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი, ინჟინერ-მექანიზატორი, ეკონომისტ-აგრარიკოსია. სოფლის მეურნეობის თითქმის 12

ათას სპეციალისტს საშუალო განათლება აქვს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი, ავტომანქანის მძღოლი შრომობს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სწრაფად ვითარდებოდა აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აზერბაიჯანი, სადაც რევოლუციამდე ყოველ ათი სული მოსახლიდან ცხრა უწიგნური იყო, ახლა მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკაა. 50 წლის მანძილზე ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 19-ჯერ გადიდდა. რესპუბლიკაში არის 5.500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 79 სპეციალური საშუალო და 13 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 1,6 მილიონამდე კაცი სწავლობს. ეს ნიშნავს, რომ სწავლობს აზერბაიჯანის სსრ ყოველი მესამე მოქალაქე. ამჟამად რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები სპეციალისტებს ამზადებენ 296 სპეციალობით. ყოველწლიურად სახალხო მეურნეობა იღებს უმაღლესი განათლების მქონე 13 ათას და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 19 ათასზე მეტ სპეციალისტს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების დონით აზერბაიჯანმა არამარტო საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ყველა ქვეყანას, არამედ ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოსაც კი გაუსწრო.

რევოლუციამდელ აზერბაიჯანში არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება არ ყოფილა, ახლა კი 136 სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლებსაც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია მეთაურობს. სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შრომობს 16,6 ათასი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 5,5 ათასი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. აზერბაიჯანელი მეცნიერები ამუშავებენ საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებს, არსებითი წვლილი შეაქვთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. აზერბაიჯანელ მეცნიერთა მიღწევებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნის ნავთობის, ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დიდი წარმატებანი მოიპოვა აზერბაიჯანულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ხალხის მჩქეფარე ცხოვრება, მისი შრომითი გმირობა და მდიდარი სულიერი სამყარო მთავარი თემაა ლიტერატურის და

ხელოვნებისა, რომლებიც ვითარდებიან სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე, პარტიულობისა და ხალხურობის ლენინურ პრინციპებზე. აზერბაიჯანელმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, თეატრისა და კინოს მოღვაწეებმა ნიჭიერი ნაწარმოებებით გაამდიდრეს ჩვენი სამშობლოს სოციალისტური კულტურის საგანძური.

ძირეულად გარდაიქმნა სომხეთის ძველი მიწა-წყალიც. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სომხეთში შეიქმნა მსხვილი სამრეწველო ცენტრები. ერევანში, ლენინაკანსა და კიროვაკანში თანამედროვე საწარმოები აშენდა. რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქები — კაჯარანი და რაზდანი, ჩარენცავანი და აბოვიანი. რესპუბლიკის ინდუსტრიულ სახე-იერს განსაზღვრავენ მრეწველობის ისეთი მოწინავე დარგები, როგორიც არის ფერადი მეტალურგია, ქიმია, მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, რადიოელექტრონიკა, ავტომატიზაციის საშუალებათა და უახლეს საანგარიშო მანქანათა წარმოება. 1970 წელს რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობამ 180-ჯერ გადააჭარბა რევოლუციამდელ დონეს.

სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა. მარტო 1969 წელს გამომუშავებული იყო 2,7-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1913 წელს მთელ მეფის რუსეთში.

ამჟამად საბჭოთა სომხეთი მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში გზავნის საექსპორტოდ 150 დასახელების სამრეწველო პროდუქციას.

საბჭოთა სომხეთი აწარმოებს ავტომობილებს, ავტომობილის საბურავებს, ელექტროძრავებს, მოძრავ ელექტროსადგურებს, გენერატორებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სამჭედლო-საწნეხ მანქანებს, ამძრავებს, ავტომატიზაციისა და გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებს, ცენტრიდანულ ტუმბოებს, ელექტრონათურებს, კაბელს, ცემენტს, ორგანულ და არაორგანულ პოლიმერულ მასალებს, ქიმიურ ბოჭკოებს, ქსოვილებს, მინერალურ სასუქებსა და მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალი სხვა სახეობის პროდუქციას. სევანის ტბაში მდინარე არფის წყლების გადასაგდებად შენდება უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა — 48-კილომეტრიანი გვირაბი. ამ უდიდეს სახალხო მშენებლობაზე სომხებთან ერთად შრომობენ რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ქართველები. სსრ კავშირის 40-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები.

მრეწველობის შექმნისა და განვითარების მსვლელობაში ჩამო-

ყალიბდა და გაიზარდა სომხეთის მუშათა კლასი. რესპუბლიკაში გაჩნდა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმი. ისინი დიდ როლს ასრულებენ რესპუბლიკის მთელ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, საწარმოო ძალების განვითარებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად იცვალა სახე სომხეთის სოფლის მეურნეობამ. რესპუბლიკა დაიფარა სარწყავი არხების ხშირი ქსელით. 1970 წელს სარწყავი მიწების ფართობი ერთიოთხად და მეტად გადიდდა 1920 წელთან შედარებით. გაწყლოვანებულია ასეულ ათასობით ჰექტარი საძოვრები. წლითიწლობით მატულობს ასიგნებანი წყალსამეურნეო მშენებლობისათვის. რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება მეცენატობა და მეხილეობა.

მაღლდება სოფლის მეურნეობის ინტენსივობა, მტკიცდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, ელექტრიფიკაციის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის შემდგომი ამაღლების პროგრამა. სომხეთის ჰინდვრებში მუშაობს 9 ათასზე მეტი ტრაქტორი, 1.700-მდე მარცვალასაღები კომბაინი. 9 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა. ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და აგრეგატი. ელექტრიფიცირებულია რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა.

აღიზარდნენ სპეციალისტთა და მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს 7.600-ზე მეტი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ინჟინერი და ტექნიკოსი.

სოციალისტური სომხეთი მთლიანი წიგნიერების ქვეყანაა. 1.500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 634 ათასი მოსწავლე სწავლობს და 32 ათასზე მეტი მასწავლებელი მუშაობს.

12 უმაღლეს სასწავლებელში 53 ათასზე მეტი სტუდენტი მეცადინეობს. დიდად განვითარდა საშუალო სპეციალური განათლების სისტემა.

სოციალისტური სომხეთი მოწინავე მეცნიერების რესპუბლიკად გადაიქცა. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი აღიარებული ცენტრია. რესპუბლიკის 100-ზე მეტ საჰეცნიერო-კვლევითს დაწესებულებაში დაახლოებით 12 ათასი მეცნიერი მუშაკი მუშაობს. სწრაფად ვითარდება თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგები. სომხე-

თის მეცნიერებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სულ სხვადასხვა მიმართულებით — დაწყებული მიწის წიაღის საიდუმლოებათა გაპოცნობით და დამთავრებული ციურ სხეულთა და გალაქტიკასა და კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე პროცესთა შესწავლით. საქვეყნოდ არის ცნობილი ბიურაკანის ლენინის ორდენოსანი ასტროფიზიკური ობსერვატორიის ფუნდამენტური გამოკვლევები. ერევნის ფიზიკის ინსტიტუტთან შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ელექტრონულ-რკალური ამჩქარებელი, რომლის ბაზაზე დაიწყო მაღალ ენერგიათა ნაწილაკების ფიზიკის საინტერესო გამოკვლევანი. რესპუბლიკაში დიდად განვითარდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საქართველოს სსრ ეკონომიკა და კულტურა. რევოლუციამდე საქართველო რუსეთის აგრარული განაპირა მხარე იყო, ახლა კი ჩვენი ქვეყნის დიდი სამრეწველო რაიონია. აქ შეიქმნა შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი, ქიმიური, ცემენტის, საფეიქრო, შაქრის, საკონსერვო და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგები. დიდად განვითარდა ქვანახშირისა და ენერგეტიკული მრეწველობა.

1913 წელთან შედარებით რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 85-ჯერ გადიდდა.

ამჟამად საქართველო აწარმოებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მარგანეცსა და ფეროშენადნობებს, მძლავრ სამაგისტრალო ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, საზღვაო კატარღებს, ელექტროძრავებს, კოშკურა ამწეებს, რთულ ლითონსაჭრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 433-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია მსოფლიოს 70 ქვეყანაში იგზავნება.

50 წლის მანძილზე რესპუბლიკაში ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრავალდარგოვანი მსხვილი სოფლის მეურნეობა. საქართველო ჩაის წარმოების ძირითადი ბაზაა საბჭოთა კავშირში. ჩაის პლანტაციების ფართობი 1921 წელთან შედარებით 64-ჯერ გადიდდა. რესპუბლიკაში დიდად განვითარდა მევენახეობა, მებაღეობა, ციტრუსოვანთა, თამბაქოს წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობა აღჭურვილია მძლავრი ტექნიკით. მისი უზრუნველყოფა ტრაქტორებით 1940 წელთან შედარებით 12-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

რესპუბლიკაში განხორციელდა დიდი სამელიორაციო სამუშაოები, აშენდა დიდი სარწყავი სისტემები, ამოშრობილია კოლხეთის ჭაობების მნიშვნელოვანი ნაწილი.

სოფლად გაიზარდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე იმ დროზე ოცნებობდა, როცა საქართველოს 30 ინჟინერი და აგრონომი ეყოლებოდა. ახლა საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 19 ათასზე მეტი სპეციალისტი — აგრონომები, ვეტერინარი ექიმები, ზოოტექნიკოსები, ინჟინრები და ა. შ.

აყვავდა ქართველი ხალხის თავისთავადი კულტურა. საქართველოში სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 1.300 ათასი კაცი. ახლა საქართველოს ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოდის უმაღლესი განათლების მქონე 58 და საშუალო განათლების მქონე 382 კაცი. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 180 ათასი სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ.

ახლა რესპუბლიკაში დაახლოებით 200 სამეცნიერო დაწესებულება და 18 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ცოდნის სხვადასხვა დარგის 19 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს. დიდი სამეცნიერო ცენტრია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ აქტუალური მეცნიერული პრობლემების დამუშავებაში, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ქართველ მეცნიერთა სახელი ცნობილია საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ბევრი მათგანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უდიდეს სამეცნიერო დაწესებულებათა წევრია.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა შექმნეს თვალსაჩინო ნაწარმოებები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან მაღა-

ლი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით, თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად ბევრად გაუმჯობესდა ამიერკავკასიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ძირეული სოციალური ცვლილებები მოხდა. განუზომლად გაიზარდნენ და განვითარდნენ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია. საზოგადოების ძირითადი ძალა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში იყო და არის მუშათა კლასი. რევოლუციურობა, დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა და კოლექტივიზმი განსაზღვრავენ მის წამყვან მდგომარეობას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში. ამიერკავკასიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა გლეხის ახალი ტიპი — კოლექტიური შრომის ადამიანი, მუშათა კლასის ერთგული მოკავშირე, კომუნიზმის აქტიური მშენებელი. თანდათან ქრება ზღვარი ქალაქსა და საკოლმეურნეო სოფელს შორის. ხალხის ინტერესებისადმი ერთგულება კომუნიზმისათვის ბრძოლაში თავდადება, სპეციალური ცოდნის მაღალი დონე და იდეურობა ახასიათებს ინტელიგენციასაც, რომელიც გაიზარდა ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამშობლოს, რესპუბლიკებში.

დიდი წარმატებანი, რომლებიც ამიერკავკასიის მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კანონზომიერი შედეგი იყო იმისა, რომ განუხრელად ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მითითებანი და წინასწარდასახულობანი, რომ ნაყოფიერ და მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიები გაიზარდნენ რიცხობრივად, განმტკიცდნენ იდეურად და ორგანიზაციულად. 1971 წლის დამდეგისათვის აზერბაიჯანის კომპარტიაში 258 ათასი კაცი იყო, საქართველოს კომპარტიაში — 296 ათასზე მეტი, სომხეთის კომპარტიაში — 130 ათასზე მეტი კაცი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტურმა პარტიებმა საბ-

ჭოთა ხელისუფლების წლებში შეიძინეს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და მშრომელთა ფართო მასებში ორგანიზატორული მუშაობის უდიდესი გამოცდილება.

მტკიცედ და ურყევად ადგნენ რა ლენინურ კურსს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა უზრუნველყვეს სწორი ხელმძღვანელობა მასებისადმი, მათი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს, გახდნენ მშრომელთა აღიარებული ხელმძღვანელები და ავანგარდები კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, წარმართველ გავლენას ახდენდნენ და ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიები სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან მასებში. ისინი მშრომელებს ზრდიან მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი ურყევი ერთგულების სულისკვეთებით.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიები იყვნენ, არიან და იქნებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმები, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი

ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური დამსახურება, მხედრული და შრომითი გმირობა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაზე ორი ლენინის ორდენი კიაფობს.

აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მათი კომუნისტური პარტიების შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით დაჯილდოვდნენ.

კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის, კერძოდ, ამიერკავკასიის მშრომელთა გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალ-

ხის მოწინავე, ორგანიზებული მარქსისტულ-ლენინური რაზმი, პოლიტიკური ბელადი.

„მთელი ჩვენი სინამდვილე მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ღირსეულად ასრულებს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს, საბჭოთა ხალხს მიუძღვის სწორი გზით, ლენინური კურსით"[1].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს.

სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ბრძოლის შედეგები შეჯამდა აზერბაიჯანის კომპარტიის XXIII ყრილობაზე, სომხეთის კომპარტიის XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე, რომლებიც 1971 წლის დამდეგს გაიმართა. ყრილობებმა განიხილეს პროექტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა ყრილობებმა ცხადყვეს რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა რიგების მონოლითურობა, ამიერკავკასიის კომუნისტთა მჭიდრო შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

განვლილ ხუთწლედში აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურხეობის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა მერვე ხუთწლედში უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის მძლავრი სტიმული განვლილ ხუთწლედში იყო ისტორიული მოვლენა ყველა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა

---

1 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 116.

და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება და დღესასწაულობა. ამიერკავკასიის მშრომელებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და თავიანთი საბჭოთა რესპუბლიკების და კომპარტიების 50 წლისთავის აღსანიშნავად და პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტდნენ ხუთწლედის სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენა იყო სკკპ XXIV ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა მერვე ხუთწლედის მანძილზე პარტიისა და ხალხის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგები, შეიმუშავა მომავალი ხუთწლიანი პერიოდის პოლიტიკური ხაზი და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ ხუთ წელიწადში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტური მშენებლობის ყველა ძირითადი მიმართულებით.

„ეს იყო წლები, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — როცა ჩვენმა სოციალისტურმა ეკონომიკამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. მტკიცედ იზრდებოდა სოფლის მეურნეობა. მიღწეულია ახალი მიჯნები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სულ უფრო ფართო მასშტაბით ხდებოდა მათი უახლესი მიღწევების ათვისება. ამ საფუძველზე ჩვენ შევძელით არსებითად წავსულიყავით წინ იმ მიმართულებით, რომელიც საბოლოო ანგარიშით გამოხატავს ჩვენი პარტიის საქმიანობის მთავარ აზრს — მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის მიმართულებით.

ეს იყო სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საბჭოთა დემოკრატიის წარმატებითი განვითარების წლები. სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი აყვავების, ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების მნიშვნელოვანი განმტკიცების წლები“[1].

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971. გვ. 3.

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური მაჩვენებლებით შესრულდა. ამის შედეგად შეიქმნა კარგი წანამძღვრები ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, ახალი, მეცხრე ხუთწლედის რთულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი დიდებული ამოცანები.

„მეცხრე ხუთწლიანი გეგმა მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. **ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე**"[1].

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკის და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობა.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა ხუთწლეულში 43—46 პროცენტით გადიდდება. დაჩქარებული ტემპით განვითარდება ქიმიური და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ზღვის ნავთობის საბადოთა შემდგომ ათვისებას. რესპუბლიკაში აშენდება ხელსაწყოთსაშენებელი, ელექტრონული და მრეწველობის სხვა დარგები. გაიზრდება მინერალური სასუქების, სინთეზური კაუჩუკის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმელისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის, ხილბოსტნეულის კონსერვების,

---

1 სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. თბ., 1971. გვ. 10.

ღვინის მასალის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბამბის, ყურძნის, ბოსტნეულის, ხილის, თამბაქოს, ხორცის, რძის, კვერცხის და მატყლის წარმოების გადიდება. გაფართოვდება წყალსამეურნეო მშენებლობის მოცულობა, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოები.

სომხეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობის დონე 60—63 პროცენტით გადიდდება. კიდევ უფრო განვითარდება ფერადი მეტალურგია, არალითონტევადი წარმოებანი, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. გაიზრდება ქიმიური ბოჭკოების, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების საწარმოო სიმძლავრეები. გადიდდება ელექტროენერგიის გამომუშავება, სპილენძის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, ცემენტის, ხილბოსტნეულის კონსერვების, ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის, ავეჯის წარმოება. დაიწყება ატომური ელექტროსადგურისა და მრეწველობის მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობა. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ეთერზეთოვანთა კულტურების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 39—42 პროცენტით, ამასთან უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება მანქანათმშენებლობის არალითონტევადი დარგები და ქიმიური მრეწველობა. გაიზრდება ელექტროენერგიის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, შიფერის, შალის ქსოვილების, ხილბოსტნეულის კონსერვებისა და ავეჯის წარმოება. რესპუბლიკაში ამოქმედდება ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები, დაიწყება ახალი ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგება. დამთავრდება სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. გაიზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები. დიდად განვითარდება ჩაის ფოთლის, ყურძნის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა წარმოება.

კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით სკკპ XXIV ყრილობამ მოუწოდა მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს შთაგონებით და შემოქმედებითად იშრომონ ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პარტია და ხალხი საყოველთაო მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანების უდიდესი შთაგონების წყაროა.

მშობლიური პარტიის მოწოდებას აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღფრთოვანებით უპასუხებენ ახალი შრომითი საქმეებით, აცხადებენ, რომ მზად არიან განახორციელონ XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური აღმშენებლობის პროგრამა.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა ჰთლიანად და სავსებით მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და მიიღეს განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის. გამსჭვალული მისწრაფებით — წარმატებით განახორციელონ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი, ისინი სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შთაგონებული შრომით უპასუხებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს. ახლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარება სუფევს.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიები აძლიერებენ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მასებში და მშრომელთა მთელ ძალებს ახმარენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით განხორციელებას.

ამიერკავკასიის მშრომელები ჩვენი ქვეყნის ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით მიდიან წინ ლენინური გზით კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

სახელთა მაჩვენებელი

ა

აზიმზადე ა. — 379.
ათარბეგოვი გ .ა. — 109.
აივაზაშვილი ო. — 365.
აკუგა უ. — 365.
ალექსანიანი ა. — 358.
ალიევი მ. — 365.
ალიხანოვი გ. ს. — 23.
ამგარცუმიანი ს. ს. — 68, 71, 76, 79, 94, 112, 133.
ანესოლლიანი გ. ს. — 396.
ანჯაფარიძე ვ. — 379.
აღამალლი ოღლი — 57, 68, 71, 94, 164.
ახუნდოვი რ. ა. — 14, 23, 52, 71, 76, 79, 235, 327.

ბ

ბაგიროვა ბ. — 365.
ბაგიროვი მ. — 340.
ბაკუნეცი ა. — 381.
ბერია ლ. პ. — 340.
ბექსადიანი ა. ა. — 14, 15.
ბოსტანჯიანი გ. — 365.
ბრეჟნევი ლ. ი. — 6, 432, 442.
ბუდაღიანი ზ. — 365.
ბუნიათზადე დ. ქ. — 94, 254. 327.
ბუტოვი თ. ბ. — 132.
ბუხარინი — 61, 78, 189. 199, 200.

გ

გაგაშვილი გ. — 379.
გამსახურდია კ. — 381.
გასანოვი ი. კ. — 332.
გაჯიბეკოვი უ. — 379.
გაჯიევი მ. ბ. — 24.
გეგეჭკორი ა. ა. — 63, 71, 94.
გიკალო ნ. ფ. — 235.
გირშიძე ლ. ი. — 131.
გრიშაშვილი ი. — 381.
გუბაქინი ი. მ. — 298.
გულოიანი ა. ა. — 324.

დ

დანელიანი ს. ა. (სარქისი) — 14, 23, 132.
დანელიანი ვ. — 379.
დემირჩიანი დ. — 381.

დუმბაძე ვ. ე. — 52, 57, 59, 115, 129, 135.

ე

ელიავა შ. ზ. — 12, 39, 51, 63, 76, 77, 94, 112, 164, 169, 173, 229, 235.
ენგელსი ფრ. — 147, 371.
ენუქიძე ა. ს. — 77.
ეფენდიევი ს. მ. — 114, 127, 328.

ვ

ვავილოვი ნ. ი. — 298.
ვანესოვი ა. — 357.
ვაჩნაძე ნ. — 379.
ვდოვინი ნ. — 308.
ვირაპი ვ. ვ. — 139.
ვოლგინი ვ. პ. 298.
ვუჩლუნი ს. — 381.

ზ

ზინოვიევი — 113, 126, 130, 131, 132, 134.
ზორიანი ს. — 381.

თ

თუმანოვი ა. ლ. — 139.

ი

იაკოვლევი ა. ი. — 254.
იაკუბოვი ს. დ. — 40, 76, 94.
იზოტოვი ნ. — 308.
ილდრიმი ჩ. ი. — 37.
იოანისიანი ა. ბ. — 94, 116, 127.
ისმაილ მიქაილი — 357.

კ

კაზარიანი პ. ო. — 133, 139.
კალანდაძე ვ. ე. — 129.
კალაძე რ. ფ. — 139.
კალინინი მ. ი. — 71, 72, 164.
კამენევი — 113, 126.
კამინსკი ბ. ნ. — 14.
კარინიანი ა. ბ. — 127.
კარპინსკი ა. ლ. — 298.
კასიანი ს. ი. — 235.
კასრაძე ა. — 357.
კასუმოვი მ. ბ. — 24, 76.
კაშევი მ. — 306.
კახიანი მ. ი. — 62, 76, 94, 106, 127.
კვანტალიანი ე. ა. — 328.
კილაძე უ. — 365.
კიროვი ს. მ. — 12, 17, 19, 24, 40, 41, 51, 61, 67, 71, 76, 79, 94, 96, 100, 112, 114, 253, 337.
კრილოვი ტ. ვ. — 131, 132.
კრინიცკი ა. ი. — 199.
კუიბიშევი ვ. ვ. — 57, 64, 72, 100.

ლ

ლაფანაშვილი ბ. ბ. — 139.
ლევანდოვსკი მ. ა. — 328.
ლენინი ვ. ი. — 6, 7, 10, 13, 14, 18, 19, 24, 25, 26, 29, 32, 33, 34, 36, 37, 38, 41, 42, 43, 53, 57, 58, 59, 61, 62, 63, 64, 68, 69, 71, 72, 76, 77, 83, 85, 86, 88, 90, 92, 99, 102, 104, 119, 127, 147, 148, 164, 170, 171, 184, 214, 230, 250, 266, 268, 294, 302, 310, 321, 360, 370, 398, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 419, 422, 433, 443.

ლისოვსკი მ. — 40.
ლომინაძე ბ. ვ. — 235, 253, 254.
ლორთქიფანიძე დ. — 139.
ლორთქიფანიძე ნ. — 381.
ლუკაშინი ს. ლ. (სრაპიონიანი) — 25, 40, 70, 71, 76, 79, 94, 100, 111, 112, 114, 127, 169.
ლუქსემბურგი რ. — 268, 303.

მ

მამედლინსკი ა. ბ. — 131, 132.
მამედოვა შ. — 379.
მამედოვი ბ. — 365.
მამედოვი ბულ ბულ — 379.
მარტიკიანი ს. ნ. — 328.
მარქსი კ. — 147, 249, 268, 377.
მარჯანიანი ბ. — 365.
მახარაძე შ. ე. — 12, 40, 41, 71, 76, 79, 94, 112, 127, 254, 328, 396.
მდივანი პ. ბ. — 40, 47, 52, 57, 58, 59, 60, 61, 64, 77.
მიასნიკოვი ა. თ. — 12, 19, 25, 40, 41, 57, 59, 61, 71, 73, 76, 79, 93, 94, 96, 109.
მირზოიანი ლ. ი. — 40, 127.
მიროტაძე ლ. ბ. — 139.
მიქოიანი ა. ი. — 77.
მიხაილოვი ვ. დ. — 76.
მოგილევსკი ს. ბ. — 109.
მოვსესიანი ტ. — 365.
მოლოტოვი ვ. მ. — 50.
მრავიანი ა. ა. — 94.
მუსაბეკოვი ბ. მ. — 70, 71, 94, 112, 114, 127, 173, 235, 254, 296, 328, 355.
მუშფიკი მ. — 381.

ნ

ნაზარეტიანი ა. მ. — 12, 39, 71, 76, 109, 112, 114.
ნარიმანოვი მ. ა. — 328.
ნარიმანოვი ნ. ნ. — 12, 19, 24, 44, 67, 71, 76, 79, 96, 109.
ნაჯაროვი რ. ე. — 132.
ნეიმატულა ა. — 308, 357.
ნერსესიანი რ. — 379.
ნურიჯანიანი ა. ს. — 23.

ო

ოკუჯავა მ. ს. — 40, 52, 58, 59, 115, 129, 135.
ორახელაშვილი მ. დ. — 12, 41, 63, 65, 71, 76, 77, 79, 94, 96, 111, 112, 114, 127, 129, 134, 139, 162, 235, 254, 296.
ორდუბადი მ. ს. — 381.
ორჯონიკიძე ბ. კ. — 12, 14, 19, 24, 29, 36, 38, 40, 41, 42, 43, 44, 47, 50, 53, 57, 58, 63, 64, 65, 67, 69, 71, 73, 76, 77, 79, 87, 92, 93, 94, 96, 101, 109, 112, 114, 122, 127, 128, 129, 164, 354.
ოკანეზოვი ა. ა. — 138.

პ

პაპაზიანი ვ. — 379.
პაპიანი მ. — 359.
პარფიონოვი ზ. — 357.
პეტროვსკი ბ. ი. — 57, 71.
პირგულიანი დ. ა. — 133.
პლეშაკოვი მ. ბ. — 40, 114.
პოპოვი მ. მ. — 132.
პრეობრაჟენსკი — 84, 86.
პუშკინი ა. ს. — 382.

ჟ

ჟორდანია ნ. — 143.

რ

რაკოვსკი — 78.
რამიშვილი ნ. ვ. — 143.
რასულზადე მ. ე. — 142.
რახმანოვი შ. ა. — 328, 396.
რზაევი ა. ა. — 14.
რიკოვი — 189, 199.
რუსთაველი შ. — 382.
რუსთამი ს. — 381.
რუძუტაკი ი. ე. — 133, 136, 153.

ს

სამედოვი კ. — 365.
სამხარაძე ვ. — 357.
საპრონოვი — 86.
სარიანი მ. — 379.
საფრაზბეკიანი რ. ნ. — 133.
სენ-ჟანიამა — 293.
სერებროვსკი ა. ა. — 34, 35.
სკუბლინსკი ა. ა. — 132.
სოკოლნიკოვი გ. ი. — 59.
სტალინი ი. ბ. — 16, 24, 44, 45, 57, 58, 59, 69, 70, 77, 100, 219, 222, 308, 309, 354, 375, 395, 426.
სტაბანოვი — 357.
სტურუა გ. თ. — 328.
სტურუა ი. თ. — 76, 77, 114, 229.

ტ

ტაბიძე გ. — 381.
ტერ-გაბრიელიანი ს. მ. — 235, 254, 328, 347.
ტერ-ვაგანიანი ვ. ა. — 132, 138.
ტიტოვი ვ. ი. — 131.
ტომსკი — 189, 199.
ტოროშელიძე მ. გ. — 52, 328.
ტროცკი — 13, 14, 83, 84, 87, 99, 100, 101, 130, 131, 132, 134, 137.

ფ

ფალიაშვილი ზ. — 379.
ფიგატნერი ი. ა. — 12.
ფოფხაძე ტ. — 357.
ფრუნზე მ. ვ. — 77, 109.
ფურცხვანიძე შ. — 357

ქ

ქარდავა ც. — 365.
ქართველიშვილი ლ. დ. — 94, 112, 254.

ღ

ღუდუშაური ა. — 365.

ყ

ყარაევი ა. ბ. — 12, 40, 76, 94, 112, 127, 235, 309.

შ

შარიფზადე ა. მ. — 379.
შახბელდიანი ა. ო. — 146.
შეგარშევი ფ. ი. — 131, 132.
შირვანზადე ა. — 381.
შლიაპნიკოვი — 130.

ჩ

ჩაკლინი ნ. ა. — 75.
ჩერვიაკოვი ა. ბ. — 57, 71.
ჩხეიძე უ. — 379.

ც

ცინცაძე კ. მ. — 52, 59, 62, 115, 135, 139.

ცხაკაია მ. ზ. — 14, 68, 70, 71, 73, 76, 92, 94, 112, 127, 235, 254.

ძ

ძერჟინსკი ფ. ე. — 64, 122, 308, 430.

ჭ

ჭავჭავაძე ი. — 439.
ჭიჭინაძე ა. — 358.

ხ

ხანგულაშვილი მ. ფ. — 138.
ხანოიანი ს. მ. — 164.
ხანჯიანი ა. ზ. — 235, 254, 328.
ხარატურიანი ა. — 379.
ხარატურიანი ს. — 358.
ხარიევი ა. მ. — 169.

ჯ

ჯავახიშვილი მ. — 381.
ჯაფარლი ჯ. — 381.
ჯლაბაძე რ. ს. — 139.

ჰ

ჰუსეინოვი მ. დ. — 23, 52, 76, 79, 94, 112.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

თავი მეათე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ამიერკავკასიის სფსრ შექმნა და შესვლა სსრ კავშირში (1921—1925 წლები) 9

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტთა მთავარი ამოცანების შესახებ 9
2. მხარის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების დასაწყისი. ამიერკავკასიის კომუნისტების I ყრილობა . . 19
3. ამიერკავკასიის სფსრ შექმნა და შესვლა სსრ კავშირში. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა II ყრილობა 41
4. პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. ბრძოლა ტროცკისტების წინააღმდეგ. ლენინური გაწვევა პარტიაში. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა III ყრილობა 90
5. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება სოფლად. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენის შედეგები. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობა 96

თავი მეთერთმეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის მომზადებისათვის ბრძოლაში (1926—1929 წლები) 119

1. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისი ამიერკავკასიაში. მხარის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის წინააღმდეგ 119
2. ამიერკავკასიის მშრომელთა მობილიზაცია ინდუსტრიალიზაციისათვის. ამ მხარის პარტიული და მასობრივი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა . 144
3. ამიერკავკასიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი წარმატებანი. ამ მხარის კომუნისტური ორგანიზაციების V ყრილობა. პარტიის კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე. ტროცკისტულ-ზინო-

ვიეკური ოპოზიციის განადგურების დამთავრება . 161
4. ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები პირველ ხუთწლედში. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებანი ამ მხარეში 177

თავი მეთორმეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში. საკოლმეურნეო წყობილების შექმნა (1929—1932 წლები) 210

1. ბრძოლა ამიერკავკასიის კოლექტივიზაციის გაშლისათვის. სიძნელეთა და დამახინჯებათა დაძლევა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობა . 210
2. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობა მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პერიოდში . . 237
3. წარმატებანი ამიერკავკასიაში მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებაში. ბრძოლა სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის. პირველი ხუთწლედის შედეგები ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში 270

თავი მეცამეტე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის ბრძოლაში. სოციალიზმის გამარჯვება (1933—1937 წლები) 295

1. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები მეორე ხუთწლედში. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობა. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მასებში 295
2. პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. წარმოების ნოვატორთა მოძრაობის გაშლა 339
3. მეორე ხუთწლედის შედეგები ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში. სოციალიზმის გამარჯვება. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები 383

დასკვნა 403

სახელთა მაჩვენებელი 447

მხატვარი ი. გ ე ო რ ო
ტექნიკური რედაქტორი გ. პ ა პ ი ს ა შ ვ ი ლ ი
კორექტორი ლ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე

●

გადაეცა წარმოებას 12/V-1972 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-1972 წ.
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 28,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,75.
შეკვ. 1715. ტირაჟი 3.000

●

ფასი 2 მან. 34 კაპ.

●

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.